

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL GORI STATE UNIVERSITY



სამეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი V, №1

Volume V, No 1

2023

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2021 წლის 09-10 დეკემბერს ჩატარებულ მეთოთხმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „განათლება, მეცნიერება, ინოვაციები: მსოფლიო და საქართველო“ წარმოდგენილი ნაშრომები განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით (გარდა ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც იბეჭდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში).

In the current issue of LEPL – Gori State University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the Education and Humanities sphere works, that were presented at the The Fourteenth International Scientific Conference “Education, Science, Innovations: Georgia and the Outside World”, held by Gori State University on December 09-10, 2021. The History sphere scientific works are not included in the Journal, as they are published in the proceedings of Gori State University History and Archeology Center.

სარედაქციო კოლეგია:

- გიორგი სოსიაშვილი - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- ვიანორ ახალაია (საქართველო);
- გიზო გოგიჩაიშვილი (საქართველო);
- გიორგი გოგიჩაძე (საქართველო);
- იან მალიკი (პოლონეთი);
- თეიმურაზ მთიბელაშვილი (საქართველო);
- დიმიტრი ნადირაშვილი (საქართველო);
- იურგიტა რაუდელიუნიენე (ლიტვა);
- ზვიად როგავა (საქართველო);
- მანანა რუსიშვილი (საქართველო);
- სოსო სიგუა (საქართველო);
- იანის სტრადინში (ლატვია);
- ომარ ფურთუხია (საქართველო);
- ჰარუნ ჩიმქე (თურქეთი);
- ჯემალ ძაგანია (საქართველო);
- ქეთევან ჭკუასელი (საქართველო);
- მიხეილ ჯიბუტი (საქართველო).

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

EDITORIAL BOARD:

- Giorgi Sosiashvili - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- Vianor Akhalaia (Georgia);
- Gizo Gogichaishvili (Georgia);
- Giorgi Gogichadze (Georgia);
- Jan Malicki (Poland);
- Teimuraz Mtibelashvili (Georgia);
- Dimitri Nadirashvili (Georgia);
- Jurgita Raudeliuniene (Lithuania);
- Zviad Rogava (Georgia);
- Manana Rusieshvili (Georgia);
- Soso Sigua (Georgia);
- Janis Stradinsh (Latvia);
- Omar Purtukhia (Georgia);
- Harun Chimke (Turkey);
- Jemal Dzagania (Georgia);
- Ketevan Chkuaseli (Georgia);
- Mikheil Jibuti (Georgia).

TECHNICAL EDITOR:

Giorgi Kazishvili, Gori State University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author's or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

შინაარსი

განათლება

- ხატია გოგალაძე - მოსწავლეთა ბულინგი - დაძლევის გზები და მექანიზმები – 5
დავით ზარნაძე, ზურაბ ჭყონია, სოსო ცოტნიაშვილი - ციტატის ცნების ლინგვისტური განსაზღვრების და ციტირების წესის ზოგიერთი ლოგიკური და სამართლებრივი საკითხი – 13
სოფიო მახაჭაშვილი - განათლების პარადიგმა ოსმალთა საქართველოში 1878-1921 წწ. – 20
ნოდარ მირაზანაშვილი - მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური წინამძღვრები სასწავლო მოქმედების შინაარსში – 33

ფილოლოგია

- თამარ ანთია - პიერ კორნელის „პომპეუსის სიკვდილის“ ზოგიერთი მხატვრული თავისებურების საკითხისათვის – 38
ზურაბ არჩვაძე - მოლიერის შემოქმედებითი მეთოდი და სოციალურ-ესთეტიკური შეხედულებები – 43
ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე - ინგლისური ნასესხობანი ფრანგული ენის ლექსიკაში – 49
დავით ახლოური - ქვემო ქარჩხის ხეობის ტოპონიმები – 51
თამარ გოგალაძე - მგელი-ბოროტ-კეთილის ალუზია სხვადასხვა მხატვრულ ტექსტში – 58
თამაზ დევიძე - მასალები K-79 ხელნაწერის აღწერილობისათვის – 61
თეიმურაზ დოიაშვილი - გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა: ლეგენდა და სინამდვილე – 67
ნინო ვახანია - პუბლიცისტიკა, როგორც მწერლობის ნაწილი (მარკესის პუბლიცისტური წერილების მაგალითზე) – 72
მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგანი, მარინა ჯღარკავა - კონცეპტი ღამე ქართველოურში – 77
ივორ კეკელია - ლამისყანის ტოპონიმიდან – 81
მარიამ კობერიძე - მცა ნაწილაკი ქართულში – 85
კოტე ლომიძე - „ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის ერთი ასპექტი – 87
ქეთევან მარგანი - დალის (resp. კოდორის) ხეობის ეთნოლინგვისტიკა – 91
მაია მელანაშვილი - პიკაროს ქარაქტეროლოგია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში – 97
ალექსანდრე მღებრიშვილი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთა სტრატეგია და მიზანი ცხინვალის რეგიონში (1918-1921) – 104
ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი - ჟან რასინის ბიბლიური პასაჟების რეინტერპრეტაცია „ესთერის“ მიხედვით – 110
ნიკოლოზ ოთინაშვილი - ქსნის ხეობის ონომასტიკიდან. სოფელი ქურთა და მისი მიდამოები – 115
ზურაბ ოქროპირიძე - შალვა დადიანის მინიატურათა ციკლიდან - „ჩამოკრულები“ – 120
იზოლდა რუსაძე, კახაბერ ქებულაძე - კირილე ლორთქიფანიძე და ლექსიკოგრაფიის საკითხები – 126
ნათია სიხარულიძე - გალაკტიონის ერთი ლექსის საიდუმლო – 131
ლუარა სორდია - წარმავლობის ღამე და წარუვალობის ხატი ანა კალანდაძის პოეზიაში – 136
ნანა ქირია - ზვიად გამსახურდიას პოეზიის პანეგირიკული ხასიათი - მიძღვნილი ხასიათის ლექსები – 141
ნარი ჩხაბერიძე - ტერმინ „ჟამისწირვის“ განსაზღვრისა და მერმისთან ურთიერთკავშირისათვის – 147
მარინე ცერცვაძე - იმპრესიონიზმის „აშკარა გამონათებები“ ნიკოლოზ ინასარიძის (ინდო ინასარის) პროზაულ მინიატურებში – 153
გიორგი ხორბალაძე - იაკობ გოგებაშვილი - პერსონაჟი, მხატვრულ ლიტერატურასა და სცენაზე (ერთი პიესის მიხედვით) – 156

CONTENTS

Education

- Khatia Gogoladze** - *Student Bullying Intervention and Mechanisms* – 5
Davit Zarnadze, Zurab Chkonia, Soso Tsotniashvili - *Some Logical and Legal Issues of the Linguistic Definition of the Notion of Citation and the Rule of Citation* – 13
Sophio Makhachashvili - *Educational Paradigm in the Ottoman Georgia 1878-1921* – 20
Nodar Mirazanashvili - *Psychological-Pedagogic Insights into Development of the Artistic Taste Among the School-Aged Children in the Context of Teaching Activities* – 33

Philology

- Tamar Antia** - *Some Artistic Features of Pierre Corneille's Play "The Death of Pompey"* – 38
Zurab Archvadze - *Molière's Creative Method and Socio-Aesthetic Views* – 43
Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze - *English Borrowings in French Lexis* – 49
Davit Akhlouri - *Toponyms of Lower Karchokhi Valley* – 51
Tamar Gogoladze - *A Wolf - an Allusion of Evil and Kindness in Various Literary Texts* – 58
Tamaz Devidze - *Materials for a Description of the Manuscript K-79* – 61
Teimuraz Doiashvili - *Galaktion Tabidze and Olya Okujava: Legend and Reality* – 67
Nino Vakhania - *Opinion Journalism as Part of Writing (According to the Journalistic Letters of Marquez)* – 72
Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marina Jgharkava - *Concept "Ghame" (Night) in Kartvelian Languages* – 77
Igor Kekelia - *From Lamiskana's Toponymy* – 81
Mariam Koberidze - *-Mtsa Particle in Kartluri* – 85
Kote Lomidze - *One Aspect of the "The Man in the Panther Skin" Reception* – 87
Ketevan Margiani - *Ethnolinguistics of the Dali (Resp. Kodori) Gorge* – 91
Maia Melanashvili - *Picaro's Characterization in the 20th Century Georgian Literature* – 97
Aleksandre Mgebrishvili - *Strategy and Goal of the Authorities of the Democratic Republic of Georgia in the Tskhinvali Region (1918-1921)* – 104
Vazha Otarashvili, Eka Kvantaliani - *Reinterpretation of Jean Racine's Biblical Passages According to "Esther"* – 110
Nikoloz Otinashvili - *From the Onomastics of Ksani Gorge. The Village Kurta and Its Environs* – 115
Zurab Okropiridze - *From the Cycle of Miniatures by Shalva Dadiani - "Chamokrulebi"* – 120
Izolda Rusadze, Kakhaber Kebuladze - *Kirile Lortkipanidze and Lexicography Issues* – 126
Natia Sikharulidze - *The Secret of Galaktion Tabidze's One Poem* – 131
Luara Sordia - *The Problem of Ephemerality and Being in Anna Kalandadze's Poetry* – 136
Nana Kiria - *The Panegyric Character of Zviad Gamsakhurdia's Poetry – Dedicated Poems of Character* – 141
Nari Chkhaberidze - *For the Definition of the Term "Zhamistsirva" and for the Connection to "Mermis" (Next Year)* – 147
Marine Tsertsvadze - *"Clear Flashes" of Impressionism in the Prose Miniatures of Nikoloz Inasaridze (Indo Inasari)* – 153
Giorgi Khorbaladze - *Iakob Gogebashvili - a Character in Fiction and on Stage (According to one Play)* – 156

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

Education

ხატია გოგალაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მოსწავლეთა ბულინგი - დაძლევის გზები და მექანიზმები

საკვანძო სიტყვები: ბულინგი, პირდაპირი ბულინგი, ფარული ბულინგი, ფიზიკური და ვერბალური ბულინგი, ინდივიდი, დაბალი თვითშეფასება, დაცინვა, მსხვერპლი, აგრესორი, შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, ჩაგვრა.

შესავალი

სკოლაში ბულინგი იმ პრობლემათა რიგს განეკუთვნება, რომელზეც ხმამაღლა იშვიათად საუბრობენ. ხშირად უფროსი ასაკის ადამიანები მას სხვა სახელს, ბავშვურ ცელქობას არქმევენ. რეალურად, ბულინგი სერიოზული საკითხია და იგი ბავშვების ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. რა მოტივები იმალება ბულინგის უკან? ვინ არის მოძალადე? რა არის ბულინგი და რამდენად საშიში ტენდენციაა იგი ქართული სკოლებისთვის?

ბულინგი არის რეგულარული ხასიათის მქონე მიზანმიმართული, სასტიკი ფიზიკური და/ან ფსიქოლოგიური მოპყრობა, ჩაგვრა. მჩაგვრელი, შეიძლება იყოს ინდივიდი, ან ბავშვების მთელი ჯგუფი. ბულინგის შემთხვევებს შეიძლება ყველგან გადავაწყდეთ: ნებისმიერ ქვეყანაში, კულტურაში, სოციალურ თუ გარემოში. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ხშირად სკოლა ზუსტად ის ადგილია, სადაც ბულინგისთვის ყველაზე ხელსაყრელი სიტუაციები იქმნება.

არსებობს პირდაპირი და ფარული ბულინგი. პირდაპირი ბულინგი: ბავშვს ღიად აყენებენ შეურაცხყოფას, დასცინიან, ურტყამენ და ა.შ. ფარული ბულინგი: აგრესია ღიად არ არის გამოხატული, მაგრამ ბავშვს პასუხს არავინ არ სცემს, არ ესალმებიან, თამაშში ჩართვის უფლებას არ აძლევენ და ა.შ. ეს ყოველივე ერთჯერადი აქტი არაა და იგი დროის გარკვეულ პერიოდში მეორდება.

ბულინგი ხშირად უფროსთა თვალისთვის შეუმჩნეველი რჩება ან არ ხდება მისი სწორი სახელდება. ამის გამო ვერ ხერხდება მისი დროული ამოცნობა და შესაბამისად, შემდგომი მართვა. ხშირად მშობლები და მასწავლებლები ბულინგს სერიოზულად არ აღიქვამენ და მას ბავშვურ ჩხუბს ან ცელქობას არქმევენ. ამგვარად ისინი აფიქსირებენ პოზიციას: „ბავშვები თავიანთ საქმეს თვითონვე მოაგვარებენ“. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ასეც ხდება, თუმცა, არის სიტუაციები, როდესაც ბულინგი სახეზეა და მისი უგულვებელყოფა არ შეიძლება. თუკი უფროსებს ბულინგზე უფრო მეტი ინფორმაცია ექნებათ და პრობლემის არსებობას აღიარებენ, მაშინ მის დროულ აღმოჩენასა თუ მოგვარებასაც შეძლებენ. ბულინგს რაღაც სერიოზული მიზეზი არ სჭირდება და მისი მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ბავშვი, რომელიც სხვებისგან განსხვავებულია. რისკ-ჯგუფში შეიძლება შედიოდნენ ინდივიდები, რომელთაც უჭირთ კომუნიკაცია და სოციალური უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული. ბულინგის/მჩაგვრელების შემთხვევაში ქცევას საფუძვლად ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ისინი შესაძლოა თავად იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი სხვა გარემოში (ოჯახში, ეზოში და ა.შ.). ბავშვს, რომელსაც ამცირებენ ან აშინებენ, თავისი დათრგუნული ემოციები ზოგჯერ თანატოლებზე გადმოაქვთ. ჩაგვრის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ოჯახში ემოციური კავშირისა და სითბოს ნაკლებობა ან უბრალოდ სახეზე გვექონდეს სხვებისგან გადმოტანილი ქცევა, „გართობა“, დაბალი თვითშეფასება და ამ ქცევებით მისი გადაფარვის მცდელობა, ყურადღების მიქცევა და ა.შ.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დახმარება როგორც ბულინგის მსხვერპლს, ასევე ბულინგის გამტარებელსაც სჭირდება. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ უფროსები, გარდა იმისა რომ ბულინგის მიმართ ზოგჯერ გულგრილები არიან, ხშირად მის პროვოცირებას თავად ახდენენ. მაგ.: მასწავლებელი, რომელიც ბავშვს კლასის წინაშე ამცირებს, არქმევს მას ზედმეტსახელს და ა.შ. მშობელი, რომელიც ხედავს, რომ მისი შვილი სხვას ჩაგრავს და ამას ბავშვურ ცელქობას ეძახის. ანდა პირიქით: სერიოზულად არ აღიქვამს შვილის მონათხრობ პრობლემას, მის დათრგუნულ მდგომარეობას და რეალური დახმარების ნაცვლად მას თავადვე არცხვენს: „შენ რა, თავს ვერ იცავ?“, „მშიშარა ხარ?“, „სხვებს თუ არ დასცინიან, შენ

რატომ გიბედავენ ამას?“ და ა.შ. ასეთი დამოკიდებულების შემდეგ, რა თქმა უნდა, ბავშვი თავისი პრობლემების შესახებ აღარ საუბრობს და ეტაპობრივად სიტუაციაც უფრო და უფრო მძიმდება. არის შემთხვევებიც, როდესაც მშობლები შვილებს ძალადობისკენ თვითონვე უბიძგებენ, რაც ზოგადად ძალადობის ნორმალიზებას იწვევს და ხშირად სწორედ ეს ხდება ბულინგის მიზეზი.

ძირითადი ნაწილი

ბულინგი ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში. იგი თითქმის ყოველი ეპოქის თანმდევ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა ბულინგის პრობლემის აქტუალურობა განსაკუთრებით ბოლო ხანებში გაიზარდა. ბულინგი არის ძალადობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ძირითადად სკოლებში გვხვდება. ამერიკის შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტი ბულინგს განმარტავს, როგორც სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენებას ან მის მცდელობას, ეს არის განმეორებით ჩადენილი ნეგატიური ქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ტრამვას. ბულინგი ერთგვარ სოციალურ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც სპეციალისტების მტკიცებით ძირითადად დამახასიათებელია ორგანიზებულ ბავშვთა კოლექტივისათვის, პირველ რიგში ეს არის სკოლა. ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი, თუმცა ბულინგის მსხვერპლნი უფრო მეტად ხდებიან რაიმე ნიშნით განსხვავებული ბავშვები, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ. ბულინგის მოტივაცია კი სხვადასხვაგვარია - შურისძიება, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა და სხვა.

ბავშვი-მსხვერპლი სხვებთან შედარებით არის უფრო პატარა და სუსტი. აშინებს ყოველგვარი კონფლიქტი თანატოლებს შორის, საფრთხის გაჩენის შემთხვევაში კი იწყებს ტირილს. ცდილობს სკოლაში ყოფნისას მოერიდოს ხმაურთან თავშეყრის ადგილებს და დარჩეს კლასში შეუმჩნეველი.

ბავშვ-აგრესორს კი საპირისპირო თვისებები ახასიათებს. ის მუდმივად ცდილობს უფროსად და ძლიერად გამოიყურებოდეს, ხშირად ეუხეშება მასწავლებლებს, მშობლებს, საკუთარ და-ძმას. თანატოლებთან ურთიერთობისას ცდილობს თავისი ძალა გამოამჟღავნოს, პრობლემების გადაჭრის დროსაც უპირატესობას ძალისმიერ გზას ანიჭებს. ბავშვ-აგრესორებს მაღალი თვითშეფასება აქვთ და თავიანთ გარემოში სოციალური უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ.

ძირითადად ბულინგის დაყოფა ხდება ოთხ ტიპად:

1. ფიზიკური ბულინგი - ბულინგის ყველაზე ძალადობრივი ფორმა, რომელიც გულისხმობს ფიზიკური ზიანის მიყენებას ან მის მცდელობას. მისი ფორმებია: ჩხუბი, თმის მოქაჩვა, პირადი ნივთების განზრახ დაზიანება და სხვა;

2. ფარული ბულინგი - ეს არის მორალური და ემოციური ძალადობის ფორმა, რომელიც პირდაპირ არ არის მიმართული ობიექტისადმი. მაგ: ტყუილები, ჭორების გავრცელება, სხვა მოსწავლეებთან დამცირება, მოსწავლის სოციალურ იზოლაციაში მოქცევა და სხვა.;

3. ვერბალური ბულინგი - არის ბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა. ამ შემთხვევაში მოსწავლის დამცირებას და მასზე ძალადობას აქვს ვერბალური ხასიათი. მისი ფორმებია: დაცინვა, შეურაცხყოფა, ღირსების შელახვა, დაშინება;

4. კიბერ-ბულინგი - განსხვავდება ბულინგის სხვა ფორმისაგან, რამეთუ ის სექსუალურ მიზნებს უკავშირდება, თუმცა ტრადიციული „ბულინგის“ მსგავსად, შესაძლოა მოიცავდეს დამამცირებელი სახელების შერქმევას, თავდასხმასა და შანტაჟის სერიოზულ საფრთხეებს.

სკოლაში უფრო ხშირია ბავშვთა შორის ძალადობა. ბულინგის ასეთი მაღალი მაჩვენებელი შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ ეს მოვლენა დიდი ხნის მანძილზე უფროსების მხრიდან არ აღიქმებოდა მნიშვნელოვან პრობლემად. მათმა მიდგომამ - „ბავშვები ერთობიან და მერე რა მოხდა“ - ხელი შეუწყო აღნიშნული პრობლემის გამწვავებას. უკანასკნელ წლებში მანდატურების ინსტიტუტის შემოღებამ სკოლებში რაღაც დოზით მართლაც შეამცირა ძალადობის შემთხვევები, თუმცა ბულინგის პრობლემა აქტუალურობას დღესაც ინარჩუნებს.

იგი საკმაოდ სერიოზულ და მძიმე შედეგების მომტან პრობლემას წარმოადგენს. ძალადობის მსხვერპლი ბავშვი შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერ განიკურნოს ფსიქოლოგიური და ფიზიკური დაზიანებისაგან. განიცდიდეს მუდმივ შიშს, შფოთვის, დამცირებას, მოჭარბებულ აგრესიასა თუ თვითშეფასების დაქვეითებას, რაც ნორმალური ფსიქიკის დეფორმაციის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, საჭიროა გარკვეული სასკოლო რეფორმებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ბულინგი ძალადობის განსაკუთრებით საზიანო ფორმაა და სკოლებში აუცილებელია პრევენციული პროგრამების შემოღება. ასევე საჭიროა სკოლებში ძალადობის უწყვეტი

მონიტორინგი. მიზანშეწონილია სკოლის ფსიქოლოგების როლის გაზრდა და გადამზადება, რომელთაც უნდა შეეძლოთ ადეკვატური მხარდაჭერის გაწევა ძალადობის მსხვერპლთათვის.

ბავშვები უფროსების მზრუნველობის ქვეშ გაცილებით მეტ დროს ატარებენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ამიტომ მათი მოვალეობაა, აღზრდის საშუალებით, უზრუნველყონ ბავშვის პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანად ჩამოყალიბება, რომელიც იხელმძღვანელებს ისეთი ფასეულობებით, როგორცაა: არამძალადობრივი ცხოვრება, გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაციასთან ბრძოლა, მიმტევებლობა და ურთიერთპატივისცემა. სკოლაში ბულინგის შემთხვევების არიდება და აღკვეთა მასწავლებლის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა. თუმცა, ხშირად მასწავლებლისთვის რთულია ბულინგის პრობლემასთან გამკლავება.

ბულინგის ამოცნობას ართულებს ის, რომ ჩვენ ხშირად ერთმანეთისგან ვერ ვასხვავებთ ბულინგს თამაშით ჩხუბისა (ძიძგილაობა) და ნორმალური კონფლიქტებისგან (უთანხმოება მეგობართა შორის). ხდება ისე, რომ ნამდვილ აგრესიას თამაშად მივიჩნევთ.

ბულინგთან გამკლავების შესაძლებლობას ართულებს მცდარი შეხედულებები. არცთუ იშვიათად, ბულინგი ბავშვის განვითარების ბუნებრივ, არასაგანგაშო გამოვლინებად მიიჩნევა („გაიზრდება და აღარ გააკეთებს“, „ბიჭები მაინც ბიჭები არიან“, „უბრალოდ ყურადღებას ნუ მიაქცევ“ და სხვ.). ბულინგი ხშირად დაფარულია. როგორც წესი, ბავშვები არ გვატყობინებენ ბულინგის შემთხვევების შესახებ. ხშირად ჩვენ არ ვიცით, როგორ ვუპასუხოთ ბულინგს.

როგორ უნდა ამოიცნოს მშობელმა, რომ მისი შვილი ბულინგის მსხვერპლია? რაც უფრო მეტად აქვს ბავშვს მშობლების ნდობა და მათთან ემოციური კავშირი, მით უფრო ადვილია მშობლისთვის იმის შემჩნევა, ბავშვი მსხვერპლია თუ მჩაგვრელი. ბულინგის მსხვერპლ ბავშვებს ხშირად აღარ უნდათ სკოლაში სიარული, რის გამოც იგონებენ სხვადასხვა მიზეზებს, აღარ იჩენენ ინიციატივას, არიან დათრგუნულები, გაღიზიანებულები, დაქვეითებული აქვთ მოტივაცია, განიცდიან მეგობრების ნაკლებობას, უარესდება მათი აკადემიური მოსწრება, გაურბიან სკოლაზე საუბარს. ასეთ დროს ბავშვებს ყველაზე მეტად მშობლების მხარდაჭერა და მათი გვერდში დგომა სჭირდებათ.

როგორ უნდა ავამაღლოთ ცნობიერება ბულინგის საფრთხეების და ზიანის შესახებ? პირველ რიგში უნდა მოხდეს პრობლემის აღიარება და მისი სახელდება, ხოლო ამის შემდეგ - რეაგირება. ნებისმიერი უფროსი, რომელიც ბულინგის შემსწრეა და მასზე არ რეაგირებს, ზუსტად ისეთივე დამნაშავეა, როგორც მჩაგვრელი. აუცილებელია, რომ ეს პასუხისმგებლობა თითოეულმა ჩვენგანმა კარგად გავაცნობიეროთ, რათა ეს ქცევა აღარ იყოს ნორმალიზებული არც ჩვენთვის და არც ბავშვებისთვის. აუცილებელია, რომ მშობლებში, მასწავლებლებსა და ზოგადად სოციუმში წახალისებულ იქნეს პოზიტიური ურთიერთობის მოდელი და არა ძალადობრივი კომუნიკაცია. რა თქმა უნდა, ამის მისაბაძი მაგალითები პირველ რიგში თავადვე უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა შევთავაზოთ და ვასწავლოთ ბავშვებს ის ყველაფერი, რასაც მათგან ვითხოვთ.

თუ მშობელი გაერკვევა სიტუაციაში და აღმოაჩენს, რომ ბავშვი ბულინგის მსხვერპლია, რა თქმა უნდა, მას მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს. ბავშვებმა პირველ რიგში უნდა იცოდნენ, რომ მარტონი არ არიან, მათ გაუგებენ და დაეხმარებიან, არ არსებობს მოუგვარებელი პრობლემა, მშობელთან საუბარი ყველაფერზე შეიძლება და ხანდახან თავის დაცვა ყველას არ შეუძლია, რაშიც სამარცხვინო არაფერია. ასეთ დროს კვალიფიციური სპეციალისტის დახმარება არათუ სასურველი, არამედ აუცილებელიც კი არის.

სასკოლო კვლევის ანალიზი

სასკოლო კვლევის ფარგლებში 46 რესპოდენტმა მიიღო მონაწილეობა უმრავლესობა მათგანი იყვნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომუშავე პედაგოგები,

1. უმრავლესობა იყო პრაქტიკოსი სტატუსის 67, 5% და უფროსის სტატუსის 32%.

Survey exceeds 40 responses. Upgrade to view and keep extra responses before deletion. Learn more →

სასკოლო კვლევა

46
Total Responses


46
Completed Responses

Edit

Send

Analyze

1. მიუთითეთ თქვენი სტატუსი



Answered: 40 Skipped: 0

SETTINGS			
Survey Status: OPEN	<input checked="" type="checkbox"/>	პრაქტიკოსი მასწავლებელი	67.5% 27
New Response Alerts	<input checked="" type="checkbox"/>	უფროსი მასწავლებელი	32.5% 13
DETAILS			
Respondents	46	ნამყვანი მასწავლებელი	0% 0
Completion Rate	100%	მენტორი	0% 0

2. დაწყებითების პედაგოგი 10.53%, საბაზო 15.79%, სამივეს 73.8% .


2. რომელ კლასებს ასწავლით?



Answered: 38 Skipped: 2

დაწყებითი	10.53%	4
საბაზო	15.79%	6
საშუალო	0%	0
სამივე საფეხური	73.68%	28

3. რას ნიშნავს ბულინგი?




Answered: 40 Skipped: 0

ფიზიკურ ჩაგვრას	0%	0
ფსიქოლოგიურ ჩაგვრას	2.5%	1
როგორც ფიზიკურ ისე ფსიქოლოგიურ ჩაგვრას	97.5%	39
Other (please specify)	0%	0


3. 2.5% ფიქრობს, რომ ბულინგი ნიშნავს ფსიქოლოგიურ ჩაგვრას, ხოლო 97.5% ასახელებს, რომ ბულინგი ნიშნავს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ ჩაგვრას.

4. ბულინგის ინტერვენციისთვის დროულ ჩარევას იყენებს 95%, დროულ ჩარევას და სასჯელს ერთდროულად იყენებს 5%.




5. 2.5% განმარტავს, რომ ბულინგი არის განზრახ თანმიმდევრული ქცევა. 97.5% განმარტავს, რომ ბულინგი არის როგორც განზრახული, ისე უნებლიე მოქმედება.

6. 5% ასახელებს, რომ კვირაში ერთხელ შესწრები ბულინგის შემთხვევებს სკოლაში, 77.5% ასახელებს, რომ თვეში ერთხელ შესწრები, 15% პროცენტი არასოდეს შესწრები.



7. 85% ასახელებს, რომ ბულინგი უნდა დაისაჯოს და ავუხსნათ რატომ ისჯება, 15% ასახელებს, რომ არ უნდა დაისაჯოს, საუბარიც საკმარისია.


8. გაქვთ კონტაქტი სოციალურ მუშაკებთან?



Answered: 40 Skipped: 0

დიახ	10%	4
არა	90%	36


9. ტარდება თუ არა ტრენინგი მოსწავლეებს შორის ძალადობის გარეშე ურთიერთობის მართვის საკითხებზე?



Answered: 39 Skipped: 1

კვირაში ერთხელ	2.56%	1
თვეში ერთხელ	0%	0
6 თვეში ერთხელ	84.62%	33
არასოდეს	12.82%	5

10. მხარდაჭერის რა ფორმებს მიმართავთ მოსწავლეებისთვის?



Answered: 40 Skipped: 0

მეგობრული დამოკიდებულება	10%	4
პიროვნული საუბრები	7.5%	3
სამართლიანი მოპყრობა	82.5%	33
Other (please specify)	0%	0

8. 90% არ აქვს კონტაქტი სოციალურ მუშაკთან. 10% კი აქვს კონტაქტი.

9. 84,52% სახელებს, რომ სკოლებში მოსწავლეებს შორის ხდება ცნობიერების ამაღლება უსაფრთხო ურთიერთობების შესახებ, 2,55% ასახელებს, რომ ხდება ცნობიერების გაზრდა, 12.82% ასახელებს, რომ არასოდეს ხდება მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით.

10. 10% ასახელებს, რომ მეგობრული ურთიერთობა აქვთ მოსწავლეებთან, 82. 5% ასახელებს, რომ სამართლიანად ეპყრობა მოსწავლეებს, 7.5% პიროვნული საუბრები აქვს.

დაზარალებული ბავშვის დახმარება

1. ბავშვს საშუალება მიეცით, მოყვეს, რაც მოხდა, რას გრძნობს, რა მოუვიდა. გამოხატეთ თანაგრძნობა და მხარდაჭერა. ერთად გაარკვიეთ, რა მოხდა;
2. ბავშვთან ერთად შეადგინეთ მისი უსაფრთხოების გეგმა:
იმსჯელეთ, როგორ აარიდოს ბავშვმა თავი ანალოგიურ სიტუაციებს; განსაზღვრეთ, როგორ მოიქცეოდა ბავშვი, ბუღინგი რომ გაგრძელებულიყო? მოელაპარაკეთ იმაზე, თუ ვის შეიძლება ბავშვმა უამბოს, თუ ბუღინგი არ შეწყდება;
3. შეეცადეთ ჩართოთ დაზარალებული ბავშვი საქმიანობაში, – ისეთში, სადაც მას თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება ექნება. ამით ბავშვს დაეხმარებით თანატოლთა მხარდაჭერის მიღებაში;
4. აუცილებლად ჩართეთ დაზარალებული ბავშვის დასახმარებლად მისთვის მნიშვნელოვანი, სანდო ადამიანები – მეგობარი თანატოლები, საყვარელი მასწავლებლები და სხვები;
5. დააკვირდით, როგორ მიდის ბავშვის საქმეები შემდგომში;
6. საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდით მშობლებს და მოკლედ უამბეთ მომხდარისა და სკოლის მიერ გატარებული ზომების შესახებ.

ბუღინგის ინიციატორი ბავშვის დახმარება

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ დახმარება სჭირდება როგორც ბუღინგის მსხვერპლს, ისე ბუღინგის ინიციატორს, აგრესორ ბავშვსაც. პირველ რიგში, ბავშვის აგრესიული ქცევა არ უნდა აღიქვას, როგორც ბავშვური სიცილე ქე, რადგან დროული კორექციის არარსებობის შემთხვევაში ეს შეიძლება ცხოვრების სტილად იქცეს, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. აგრესიული ქცევის შეცვლა სწორედ ბავშვობის ასაკში შეიძლება. გულახდილად დაელაპარაკეთ ბავშვს და შეეცადეთ გაარკვიოთ სიტუაცია, რომელმაც მოახდინა სხვა ბავშვების მიმართ აგრესიული ქცევის პროვოცირება. ზოგჯერ აგრესორებად მშობლისგან, სხვა ბავშვისგან, უფროსი და-ძმისგან ძალადობაგანცდილი ბავშვები გვევლინებიან, რომლებსაც თავიანთი წყენა სხვა ბავშვზე გადააქვთ.

1. მშვიდად, ნათლად, ბავშვისთვის გასაგებად აღწერეთ მისი ქცევა და უთხარით, ბუღინგის რა ფორმაა ეს;
2. მშვიდად აუხსენით აგრესორს, თუ რა გავლენას ახდენს სხვა ბავშვებზე მისი ასეთი ქცევა;
3. გაარკვიეთ, რა მოხდა (როგორ ესმის ამ ბავშვს მომხდარი);
4. აუცილებლად უთხარით, რომ ასეთი ქცევა მიუღებელია და შეახსენეთ, როგორ ქცევას ელოდებით მისგან;
5. გააგებინეთ მისი პასუხისმგებლობა და ქცევის შედეგები (შეატყობინებენ მშობლებს, ჩატოვებენ კლასში, გამოუცხადებენ საყვედურს და სხვა);
6. თუ ბავშვი-აგრესორის ქცევის შეჩერებას ვერ ახერხებთ, უკიდურეს შემთხვევაში უნდა ეცადოთ გადაიყვანოთ სხვა სკოლაში არა მსხვერპლი, არამედ აგრესორი!

დასკვნა

მასასადამე, დახმარება სჭირდება როგორც ბუღინგის მსხვერპლს, ისე ბუღინგის ინიციატორს, აგრესორ ბავშვსაც. დახმარება მიმართული უნდა იყოს არა დანაშაულის ძიებისა და დასჯისკენ, არამედ ბავშვის აგრესიული ქცევის შეცვლისაკენ სოციალურად მისაღები ქცევით. ხშირად აგრესორის დასჯით ჩვენ ვერ ვაჩერებთ მას. მნიშვნელოვანია არა დადანაშაულება, არამედ იმის ჩვენება, რომ აგრესორის ქცევაა მიუღებელი, და არა თავად ბავშვი.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ კლასის უსაფრთხო გარემო არის საუკეთესო გარემო ბავშვების ეფექტური სწავლებისთვის. კარგი მასწავლებელი:

1. გააგებინეთ ბავშვს, რომ თქვენ არავითარ შემთხვევაში არ მოითმენთ მის აგრესიულ ქცევას, მიუხედავად იმისა, თუ ვისზეა ის მიმართული. დააწესეთ სავსებით კონკრეტული და მკაცრი შეზღუდვები, რომლებსაც მიმართავთ ბუღინგის გამეორების შემთხვევაში;
2. ასწავლეთ ბავშვს დასახული მიზნების მიღწევის კონსტრუქციული მეთოდები, ამა თუ იმ პრობლემის არამალადობრივი გზით გადაჭრის წესები და ხერხები. დაამუშავეთ ამგვარი ხერხები თქვენსა და ბავშვს შორის ურთიერთობის მაგალითზე;
3. იყავით პოზიტიური ქცევის მაგალითი. თქვენზე დაკვირვებით, ბავშვი გარემომცველებისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას, გარემომცველთა პატივისცემას ისწავლის. შექმენით სიტუაციათა მოდელები, რომლებიც იმ სიტუაციათა მსგავსი იქნება, სადაც ბავშვმა აგრესია გამოავლინა. მოახდინეთ პრობლემის გადაჭრის და სასურველი მიზნის მიღწევის სხვა გზების დემონსტრირება, გარემომცველთა მიმართ ფსიქოლოგიური (მუქარა, შეურაცხყოფა) ან ფიზიკური ძალადობის გარეშე;

4. გააძლიერეთ კონტროლი ბავშვზე. იყავით მასთან ახლოს, როცა სხვა ბავშვებთან ერთად თამაშობს. წახალისეთ მისი მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებებში, თვითშემოქმედების წრეებში, სხვა კლასგარეშე საქმიანობებში. ამგვარი დატვირთვა ხელს შეუწყობს ბავშვის მოჭარბებული ენერჯის ცივილიზებული და სოციალურად უსაფრთხო გზით დახარჯვას და მნიშვნელოვნად შეამცირებს მის აგრესიულობას;

5. რთულ შემთხვევებში მიმართეთ სპეციალისტ-ფსიქოლოგს. არსებობს სპეციალური მეთოდები, რომლებიც დაეხმარება ბავშვს მისი აგრესიული ქცევის მიზეზების გარკვევაში, აგრეთვე ამ პრობლემების მართვისა და რეგულირების სხვადასხვა ხერხის ათვისებაში.

ბულინგზე დამკვირვებელ ბავშვებთან საუბარი მათ დაეხმარება უკეთ გააცნობიერონ, თუ რა მოხდა, მათი როლი როგორი იყო, და როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო, ასევე, გაითვალისწინონ, თუ როგორ შეუძლიათ მოიქცნენ ანალოგიურ სიტუაციაში. ძალიან მნიშვნელოვანია იმ ბავშვების მხარდაჭერა და წახალისება, რომლებიც ცდილობდნენ ბულინგის შეწყვეტას და მსხვერპლი ბავშვის დახმარებას.

ბიბლიოგრაფია:

გელხვიძე, გ. (2015 წლის 23 აპრილი). *ბულინგი სკოლებში - პრობლემის გადაჭრის გზები*. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.newpress.ge/staties_id/1991

ზოლოტორი, ა., სარალიძე, ლ., გოგუაძე, ნ., & ლინჩი, მ. ა. (თ. გ.). *ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.unicef.org/georgia/media/2171/file/zaladoba-skolebshi-kvleva.pdf>

რა არის ბულინგი. (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://forparents.ge/informacia-temis-mixedvi/bulingi/ra-aris-bulingi/>

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი. (თ. გ.). *მასწავლებლის როლი ბულინგის პრობლემის გადაჭრაში*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://phf.org.ge/ka/resources/maswavleblis-rol-i-bulingis-problemis-gadachrashi/>

Khatia Gogaladze
Georgian Technical University
STUDENT BULLYING INTERVENTION AND MECHANISMS
RESUME

About 50 respondents took part in the school survey conducted by me. The focus group of the respondents were teachers. The aims and objectives of the research included to find out what the situation is in the general educational space regarding bullying, how much they know about the importance of bullying, how often bullying occurs, what methods are used to prevent bullying, what approaches are used towards the bully, whether they have contact with social workers. I also tried to find out if there is any awareness among students in secondary schools about non-violent relationship management issues and what forms of support teachers apply to students. Based on the research, I can conclude that the majority of respondents had the status of a practicing teacher, the majority taught at all three levels (primary, basic and secondary), Most of them answered correctly what bullying means, and resorted to timely interventions to eliminate the problem. Bullying is always happening in schools, they have no contact with a social worker, awareness among students about non-violent relationships occurs every 6 months, and children are treated fairly.

Keywords: Bullying, Direct bullying, Covert bullying, Physical and verbal bullying, Individual, Low self-esteem, Ridicule, Victim, Aggressor, Revenge, Competition, Non-acceptance, Oppression.

ციტატის ცნების ლინგვისტური განსაზღვრების და ციტირების წესის ზოგიერთი ლოგიკური და სამართლებრივი საკითხი

საკვანძო სიტყვები: საავტორო უფლება, ციტატა, ციტირება, პარაფრაზი.

შესავალი

ციტირების განსაზღვრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საავტორო და მომიჯნავე უფლებების კანონის ფარგლებში წარმოშობილი დავების სწორად გადაწყვეტისათვის: „პლაგიატის“ მტკიცებასთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში ტექსტის ფრაგმენტის გადმოტანის (ციტირების) წესი, რაც შესაბამისად საშუალებას მოგვცემს ვიცოდეთ სხვა ნაწარმოებიდან ტექსტის რომელი ფრაგმენტის გადმოტანაა ციტირება, რომელიც მოითხოვს წყაროზე მითითებას და რომელი ფრაგმენტის გადმოტანა არ არის ციტირება და არ მოითხოვს წყაროზე მითითებას.

მართალია საავტორო და დამომიჯნავე უფლებების კანონის 23-ე მუხლის „ა“ პუნქტით „მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებებიდან ციტირება დაშვებულია ...“ (საქართველოს კანონი საავტორო და დამომიჯნავე უფლებების შესახებ 1999, #2112), მაგრამ განსაზღვრული არის არის ციტირების არსი. ამიტომ, ციტირების მკაცრი განსაზღვრების გარეშე, სასამართლო პრაქტიკაში სხვა ნაწარმოებიდან ტექსტის ფრაგმენტების გადმოტანა სტიგმად არის გამოცხადებული და ამ პროცესის სამართლებრივი შეფასება მხოლოდ მოსამართლის სუბიექტურ მოსაზრებაზეა დამოკიდებული. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ **„განჭვრეტადი და არაორაზროვანი კანონმდებლობა**, ერთი მხრივ, **უზრუნველყოფს პირის დაცვას სამართალშემფარდებლის თვითნებობისგან**, მეორე მხრივ კი, ადგენს გარანტიას, რომ პირმა მიიღოს მკაფიო შეტყობინება სახელმწიფოსგან, რათა მოახერხოს ნორმის სწორი აღქმა, განსაზღვროს, რომელი ქმედებაა კანონით აკრძალული და რომელ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა“ (№2/2/516,542). სახელმწიფომ უნდა მოგვცეს სამართლიანი შეტყობინება, რა ქმედება ისჯება და რა ქმედება არ ისჯება, რომ შევძლოთ ზღვრის გავლება აკრძალულ და დაშვებულ ქმედებებს შორის. წინასწარ ვიცოდეთ, რისთვის დავისჯებით და რა სახით. ეს არის დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპი - კანონიერების პრინციპი, რომელსაც აქვს საგარანტიო ფუნქცია მოქალაქეებისთვის. რადგან ამ შემთხვევაში სახელმწიფოს წინასწარი შეტყობინება არ მიუცია, მაშინ ვერ დასჯის. ეს არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რაც განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში და საქართველოს კონსტიტუციაში. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს ციტატის, ციტირების და პარაფრაზის ცნების კანონმდებლობაში ასახვა. მაგალითისათვის ლიეტუვას რესპუბლიკის საავტორო და დამომიჯნავე უფლებების შესახებ მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულია ციტატის ცნება და ის განმარტებულია, როგორც - მოკლე ნაწყვეტი სხვა ნაწარმოებიდან, ავტორის მოსაზრების დასამტკიცებლად ან ასახსნელად ან მითითება სხვა ავტორის ორიგინალური ფორმულირების მოსაზრებაზე ან ფიქრზე. აღსანიშნავია, რომ ამავე კანონში 21-ე მუხლის სათაურია „ციტირება“. (ლიეტუვას რესპუბლიკის კანონი საავტორო და დამომიჯნავე უფლებების შესახებ, №VIII-1185)

1. ციტირების ლინგვისტური განსაზღვრება, ციტატის სიდიდე და ციტირების მოცულობა

მართალია, რომ საავტორო და დამომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 23-ე მუხლის „ა“ პუნქტში ნახსენებია სიტყვა ციტირება, მაგრამ არ არის განმარტებული მისი მნიშვნელობა. ამ ტერმინის სამართლებრივი განსაზღვრის გარეშე ვთვლით, რომ შეუძლებელია გავარკვიოთ რა არის დაშვებული და რა არის აკრძალული. ასევე მართალია, რომ იმავე მუხლის „ბ“ პუნქტში ნახსენებია „ნაწარმოებიდან

მოკლე ნაწყვეტების გამოყენება“, მაგრამ თუ რას გულისხმობს სამართლებრივად „მოკლე ნაწყვეტები“, როდის არის ეს ნაწყვეტები ციტატა, როდის უნდა მოხდეს ამ ნაწყვეტების გამოყენებისას წყაროზე მითითება და როდის არ არის ეს აუცილებელი, ამ საკითხებზე კანონი პასუხს არ იძლევა, რაც შესაბამისად იწვევს გაურკვეველობას.

პირველ სექციაში განხილული იქნება ციტირების ლინგვისტური განსაზღვრება, მოცემული იქნება ინფორმაციები ციტატების სიდიდეზე და ციტირების მოცულობაზე. მითითებულია, რომ ციტირების მოცულობას ქართულ კანონმდებლობაში განსაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ დამსესხებელი და მისი რაოდენობა გამოითვლება მხოლოდ და მხოლოდ დამსესხებლის ნაწარმოებში.

ერთ-ერთი განმარტების თანახმად ციტატა არის „ნაშრომში რომელიმე სხვა ტექსტიდან სიტყვასიტყვით, უცვლელად გადმოტანილი მონაკვეთი.“ (ქავთარაძე, ქასრაშვილი, სალინაძე, პატარიძე, & საბაური, 2018) მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განმარტება სრულად გამოხატავს ციტატის ცნების არსს და გამოსადეგია მრავალი ფაქტობრივი მდგომარეობის აღსაწერად.

ამ სექციაში მოყვანილია ციტირების განსაზღვრებიდან გამომდინარე დასკვნები. კერძოდ, მტკიცდება ციტირების შესახებ 12 გამონათქვამის აუცილებლად ჭეშმარიტობა. მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში გადმოტანილი ტექსტი არის ციტირება, თუ გადმოტანილი ტექსტი არის სხვისი გამონათქვამის საკუთარი სიტყვებით გამოხატული ტოლფასი გამონათქვამი (პარაფრაზი) ან არის ციტატა, ანუ გადმოტანილი ტექსტი შედგება ზუსტად იგივე სიმბოლოებისაგან.

ლოგიკურად ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში გადმოტანილი გამონათქვამების ტოლფასობა ნიშნავს, რომ ისინი არიან ან ერთდროულად ჭეშმარიტი ან ერთდროულად მცდარი. ამ ტოლფასობის უარყოფების ტოლფასობა გვაძლევს შემდეგს: ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში გადმოტანილი ტექსტი არ საჭიროებს ციტირებას მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არის სხვისი გამონათქვამისაგან ლოგიკურად განსხვავებული გამონათქვამი და არ არის ციტატა, ანუ შედგება განსხვავებული სიმბოლოებისაგან (ერთი მაინც განსხვავებული სიმბოლოსაგან). ამ შემთხვევაში გადმოტანილი ტექსტი არ საჭიროებს ციტირებას ამ ნაწარმოებებში და ნაწარმოების ავტორი თავისუფლდება ციტირების მოვალეობისაგან. მოყვანილია ლოგიკურად განსხვავებული გამონათქვამებისა და ფორმით განსხვავებული (ერთი მაინც განსხვავებული სიმბოლოსაგან) ტექსტების მაგალითები.

ვთქვათ P - არის ციტირებული ტექსტი, Q - ტექსტი არის სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი, R - ტექსტი არის ციტატა ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში. მაშინ მოცემული აუცილებელი და საკმარისი პირობა ასე ჩაიწერება $P \leftrightarrow Q \vee R$, სადაც \leftrightarrow ნიშნავს ტოლფასობას, \vee - „ან“ კავშირს. **თუ ეს გამონათქვამი ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილი გამონათქვამები აუცილებლად ჭეშმარიტია:**

1) თუ ტექსტი ციტირებულია დამსესხებლის ნაწარმოებში, მაშინ ის სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი ან ციტატაა, ანუ $P \rightarrow Q \vee R$.

2) თუ ტექსტი დამსესხებლის ნაწარმოებში არის სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი ან ციტატა, მაშინ ის მოითხოვს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში, ანუ $Q \vee R \rightarrow P$.

1) და 2) გამონათქვამების ჭეშმარიტობა მიიღება ცნობილი ტოლობიდან: $(P \leftrightarrow Q \vee R) = (P \rightarrow Q \vee R) \wedge (Q \vee R \rightarrow P)$.

3) ტექსტი არ ამოითხოვს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არ არის სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი ან ციტატა, ანუ $\neg P \leftrightarrow \neg(Q \vee R)$.

3)-ის დამტკიცება გამომდინარეობს შემდეგი გამონათქვამიდან: თუ ორი გამონათქვამი ტოლფასია, მაშინ მათი უარყოფებიც ტოლფასია. ამიტომ $\neg P \leftrightarrow \neg(Q \vee R)$ არის აუცილებლად ჭეშმარიტი, სადაც $\neg P$ ნიშნავს P გამონათქვამის უარყოფას - ტექსტი არ არის ციტირებული დამსესხებლის ნაწარმოებში. $\neg(Q \vee R)$ ნიშნავს არა Q ან R, ანუ ტექსტი არ არის სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი ან ციტატა.

4) ტექსტი არ მოითხოვს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არ არის არც სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი და არც ციტატა სხვისი ნაწარმოებიდან, ანუ $\neg P \leftrightarrow \neg Q \wedge \neg R$.

4)-ის დამტკიცება: დე მორგანის ორადობის კანონის თანახმად $\neg(Q \vee R)$ ექვივალენტურია გამონათქვამის არა Q და არა R, ანუ $\neg P \leftrightarrow \neg Q \wedge \neg R$, სადაც \wedge ნიშნავს „და“ კავშირს. ამიტომ 4) არის აუცილებლად ჭეშმარიტი.

5) თუ ტექსტი არის სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი, მაშინ ეს ტექსტი საჭიროებს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში, ანუ $Q \rightarrow P$.

5)-ის დამტკიცება: $Q \rightarrow P$ არის 2)-ის ნაწილი და არის აუცილებლად ჭეშმარიტი.

6) თუ ტექსტი არის ციტატა სხვისი ნაწარმოებიდან, მაშინ ეს ტექსტი საჭიროებს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში, ანუ $R \rightarrow P$.

6)-ის დამტკიცება: $R \rightarrow P$ არის 2)-ის ნაწილი და არის აუცილებლად ჭეშმარიტი.

7) თუ ტექსტი არ მოითხოვს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში, მაშინ ის არ არის სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი, ანუ $\neg P \rightarrow \neg Q$.

შენიშვნა: $\neg P \rightarrow \neg Q$ არის 5)-ის კონტრაპოზიცია და არის აუცილებლად ჭეშმარიტი.

8) თუ ტექსტი არ მოითხოვს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში, მაშინ ის არ არის ციტატა სხვისი ნაწარმოებიდან, ანუ $\neg P \rightarrow \neg R$.

შენიშვნა: $\neg P \rightarrow \neg R$ არის 6)-ს კონტრაპოზიცია და არის აუცილებლად ჭეშმარიტი.

9) თუ ტექსტი არ არის სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი ან ციტატა, მაშინ ის არ საჭიროებს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში, ანუ $\neg(Q \vee R) \rightarrow \neg P$.

9)-ის დამტკიცება: $\neg(Q \vee R) \rightarrow \neg P$ არის აუცილებლად ჭეშმარიტი, რადგან არის 3)-ს ნაწილი.

10) თუ ტექსტი არ არის არც სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი და არ არის არც ციტატა სხვისი ნაწარმოებიდან, მაშინ ის არ საჭიროებს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში, ანუ $\neg Q \wedge \neg R \rightarrow \neg P$.

10)-ის დამტკიცება: $\neg Q \wedge \neg R \rightarrow \neg P$ არის აუცილებლად ჭეშმარიტი, რადგან არის 4)-ს ნაწილი.

11) თუ ტექსტი არ საჭიროებს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში, მაშინ ის არ არის სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი ან ციტატა სხვისი ნაწარმოებიდან, ანუ $\neg P \rightarrow \neg(Q \vee R)$.

11)-ის დამტკიცება: $\neg P \rightarrow \neg(Q \vee R)$ არის აუცილებლად ჭეშმარიტი, რადგან არის 3)-ს ნაწილი.

12) თუ ტექსტი არ საჭიროებს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში, მაშინ ის არ არის არც სხვისი გამონათქვამების პარაფრაზი და არც ციტატა სხვისი ნაწარმოებიდან, ანუ $\neg P \rightarrow \neg(Q \wedge R)$.

12)-ის დამტკიცება: 12) არის $\neg P \rightarrow \neg(Q \wedge R)$ და არის აუცილებლად ჭეშმარიტი, რადგან არის 4)-ს ნაწილი.

შენიშვნა 1: მიღებული შედეგებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში გადმოტანილი ტექსტის ფრაგმენტი საჭიროებს ციტირებას დამსესხებლის ნაწარმოებში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც გადმოტანილი ფრაგმენტი არის სხვისი გამონათქვამის ტოლფასი გამონათქვამი გამოხატული ლოგიკურად (არიან ერთდროულად ან ჭეშმარიტი ან მცდარი) ან არის ციტატა, ანუ გადმოტანილი ტექსტის ფრაგმენტი შედგება ზუსტად იგივე სიმბოლოებისაგან. ციტირების წესის განსაზღვრის შემდეგ უკვე შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, როდის ხდება ციტირება და ისინი სტიგმად არ უნდა წარმოვსახოთ, რადგან ის ნაშრომის ან წიგნის დაწერისათვის ჩვეულებრივი პროცესია.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ციტირებას ახასიათებს ტრანზიტულობის თვისება, რაც ნიშნავს შემდეგს: თუ ციტირება გაკეთებულია B ნაწარმოებიდან I ნაწარმოებში და I ნაწარმოებიდან Z ნაწარმოებში, მაშინ ციტირება გაკეთებულია I ნაწარმოებიდან Z ნაწარმოებში. ეს იმიტომ არის სამართლიანი, რომ ამ ციტირებების დროს შენარჩუნებულია პარაფრაზიც და ციტატაც. აქედან ვღებულობთ აგრეთვე, რომ ციტირებას არ საჭიროებენ ცნობილი სამეცნიერო ტერმინების განსაზღვრებები და დებულებები, რომელთა პირველწყაროების მოძიება შეუძლებელია.

ციტირების წესის განსაზღვრის ეკვივალენტობის უარყოფების ეკვივალენტობა გვაძლევს შემდეგს: ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში გადმოტანილი ტექსტის ფრაგმენტი არ საჭიროებს ციტირებას მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არის სხვისი გამონათქვამისაგან ლოგიკურად განსხვავებული გამონათქვამი (არ არის პარაფრაზი) და არ არის ციტატა ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში, ანუ შედგება განსხვავებული სიმბოლოებისაგან (ერთი მაინც განსხვავებული სიმბოლოსაგან). დავაზუსტოთ, რას ნიშნავს სხვისი გამონათქვამისაგან ლოგიკურად განსხვავებული გამონათქვამი და სხვისი გამონათქვამისაგან ფორმით განსხვავებული ტექსტები. მოვიყვანოთ მაგალითები:

1. ლოგიკურად და ფორმით სრულიად განსხვავებული გამონათქვამებია $P \wedge Q$ და $P \vee Q$, ანუ ის არ საჭიროებს ციტირებას ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში (იხილეთ ზარნაძე, 2017, I თავის § 5). ისინი განსაზღვრავენ განსხვავებულ ლოგიკურ ოპერაციებს.

2. ლოგიკურად და ფორმით სრულიად განსხვავებული გამონათქვამებია P მოიცავს Q ($P \supset Q$) და $Q \supset P$, ანუ ის არ საჭიროებს ციტირებას ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში.

3. ლოგიკურად და ფორმით განსხვავებული გამონათქვამებია: თუ P , მაშინ Q ($P \rightarrow Q$) და $P \supset Q$, ამიტომ ის არ საჭიროებს ციტირებას ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში. ამასთან $P \rightarrow Q$ სიმბოლოს ნაცვლად $P \supset Q$ -ს გამოყენება მცდარია.

4. ლოგიკურად და ფორმით განსხვავებული გამონათქვამებია: თუ P , მაშინ Q ($P \rightarrow Q$) და თუ Q , მაშინ P ($Q \rightarrow P$), ამიტომ ის არ საჭიროებს ციტირებას ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში.

5. $P \vee Q$ (\vee - ინგლისური პატარა „ვე“) გამონათქვამისაგან განსხვავებული ფორმისაა $P \vee Q$ (P ან Q), ანუ შედგება განსხვავებული სიმბოლოებისაგან და აქვს განსხვავებული ფორმა, ამიტომ ის არ საჭიროებს ციტირებას ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში. ამასთან $P \vee Q$ -ს ლოგიკურად საერთოდ აზრი არ აქვს.

6. ასევე ლოგიკურად და ფორმით განსხვავებულია სიტყვები: „ჭეშმარიტება“ და „ჭეშმარიტობა“, მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკულად ისინი სინონიმებია. ახლა ვნახოთ რამდენად მცირე და უმნიშვნელოა ამ ერთი ასოსაგან გამოწვეული განსხვავება ლოგიკურად. „ჭეშმარიტება“ წინადადებათა ლოგიკაში არის გამონათქვამების სიმრავლეზე განსაზღვრული ორმნიშვნელობიანი ფუნქცია (ორფასობის პრინციპის თანახმად), რომლის მნიშვნელობებია „ჭეშმარიტობა“ და „მცდარობა“, ანუ ამ ფუნქციის მნიშვნელობებია „ჭეშმარიტობა“ და „მცდარობა“. ამიტომ ჭეშმარიტების ფუნქციის გაიგივება მის ერთ-ერთ მნიშვნელობასთან - ჭეშმარიტობასთან არის შეცდომა.

მოყვანილი ტექსტების მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლოგიკური მსჯელობებისას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ერთ სიტყვას, არამედ ერთ ასოსაც (ერთ სიმბოლოსაც) კი და მათ განლაგებასაც.

შენიშვნა 2: როდესაც რომელიღაც ნაწარმოებში არსებობს ტექსტი, რომელიც მცდარია ავტორის მიერ მოყვანილი მცდარი განსაზღვრების გამო და აქვს არასწორი ფორმა მცდარი აღნიშვნის გამო, მაშინ სხვა ავტორის მიერ მისი გასწორება სწორი განსაზღვრებით და მისი გასწორება სწორი ტრადიციული აღნიშვნის ფორმით ცვლის ტექსტს ისე, რომ ტექსტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ლოგიკურად, ანუ არიან სხვადასხვა აზრის განსხვავებული გამონათქვამები და არ არიან ციტატები ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში, ანუ აქვთ განსხვავებული (ტექსტით გამოხატული) ფორმები. ამიტომ შეცდომის გამსწორებელი ნაწარმოების ავტორის ნაწარმოებში გასწორებული მცდარი ტექსტი აღარ საჭიროებს ციტირებას და შეცდომის გამსწორებელი ნაწარმოების ავტორი არ არის ვალდებული მიუთითოს წყარო ამ ტექსტზე თავის ნაწარმოებში, ანუ თავისუფლდება ციტირებისაგან.

საავტორო კანონის კომენტარებში (ხრუსტალი & ძამუკაშვილი, 2003, გვ. 152) ნათქვამია: „23-ე მუხლის „ა“ პუნქტი, რომელიც ციტირების ნებას იძლევა მხოლოდ სამეცნიერო, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნით. ამ მიზნებთან ციტატის მოცულობა პირდაპირ არის მიზმული. კანონი მას არ ასახელებს და დავის შემთხვევაში საქმის გადასაწყვეტად საჭირო იქნება თვით იმ ნაწარმოების შინაარსისა და მოცულობის გათვალისწინება, რომელშიც იქნა მოთავსებული ციტატა. მაგალითად, თუ ციტატა აღემატება ნაწარმოების ნახევარს, ან უდრის მას, სახეზე იქნება ციტირების არამართლზომიერება. იქვე: „მაგალითად, არგენტინის კანონის მიხედვით იგი შემოფარგლულია 1000 სიტყვით წერილობით სამეცნიერო ან ლიტერატურული ნაწარმოებიდან და 8 ტაქტით მუსიკალური ნაწარმოებიდან. ამასთან, ასეთი სიდიდის ციტატა არ უნდა შეადგენდეს ნაწარმოების არსებით ნაწილს“. (ხრუსტალი & ძამუკაშვილი, 2003, გვ. 152.).

ციტირების მოცულობას ქართულ კანონმდებლობაში განსაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ დამსესხებელი და მისი რაოდენობა გამოითვლება მხოლოდ და მხოლოდ დამსესხებლის ნაწარმოებში. სხვა შემთხვევაში მივიღებთ საკითხის დასმის აბსურდულობას, რაც ნაჩვენებია შემდეგ მაგალითში: ვთქვათ ერთმა ავტორმა თავის 100 გვერდიან ნაწარმოებში (გვერდში არის 50 სტრიქონი) დაისესხა მეორე ავტორის ერთგვერდიანი (50 სტრიქონიანი) მასალის 40 სტრიქონი, მაშინ გამოდის, რომ პირველ ავტორს თავის წიგნში დაუსესხებია მეორე ავტორის $40 \times 100\% / (100 \times 50) = 0.8\%$, ხოლო მეორე ავტორის ნაწარმოებში გაანგარიშებით დასესხება შეეხო 40 სტრიქონს 50 სტრიქონიდან, რაც შეადგენს $40 \times 100\% / 50 = 80\%$ -ს, ანუ დასესხების გამოთვლა მეორე ავტორის წიგნში აბსურდულია. ამიტომ დასესხებული პროცენტი შეიძლება გამოთვლილი იქნას მხოლოდ დამსესხებლის წიგნში.

ციტატის ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ერთი ნაწარმოებში მეორე ნაწარმოებიდან გადმოტანილი ტექსტის ფრაგმენტი არ საჭიროებს ციტირებას მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არის მეორე ნაწარმოების გამონათქვამისაგან ლოგიკურად განსხვავებული გამონათქვამი (არ არის პარაფრაზი) და აქვს მეორე ნაწარმოების ტექსტის ფორმისაგან განსხვავებული ტექსტით გამოხატული ფორმა, ანუ არ არის ციტატა (შედეგა განსხვავებული სიმბოლოებისაგან). ასეთ შემთხვევაში პირველი ნაწარმოების ავტორი არ არის ვალდებული მიუთითოს მეორე ნაწარმოები წყაროდ ამ ტექსტზე თავიანთ ნაწარმოებში, ანუ თავისუფლდება ციტირებისაგან.

2. ციტატისა და ციტირების ასახვა საავტორო და მომიჯნავე უფლებების კანონში

მეორე სექციაში განხილული იქნება ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების მომწესრიგებელი მუხლები საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოდექსიდან სასწავლო-საგანმანათლებლო ან მიმდინარე მოვლენების გაშუქების მიზნით სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.

საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში ტერმინი „ციტირება“, ანუ ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში მოკლე ნაწყვეტების გადმოტანის წესი არ არის განსაზღვრული. სხვა ავტორის ნაწარმოების გამოყენება რეგულირდება საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების კანონის 23-ე მუხლით. აღნიშნული მუხლის პირველი წინადადებით „**დაშვებულია ავტორის**

ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე, მაგრამ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით“.

მასასადამე, კანონის 23-ე მუხლის თანახმად, დასესხება ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე დაშვებულია, ანუ ნებადართულია მხოლოდ გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით. ე.ი. ნაწარმოებებიდან ციტირება აკრძალული არ არის, საჭირო არ არის ავტორის თანხმობა და მისთვის საავტორო ჰონორარის გადახდა სამეცნიერო, კვლევითი პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის მისი გამოყენების დროს.

ნაწარმოების თავისუფალი გამოყენების მომწესრიგებელი 23-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები ეხება სასწავლო-საგანმანათლებლო ან მიმდინარე მოვლენების გაშუქების მიზნით სამეცნიერო, კვლევითი, პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის ნაწარმოების დაუბრკოლებელ გამოყენებას.

23-ე მუხლის „ა“ პუნქტით „მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ნაწარმოებებიდან ციტირება დაშვებულია სამეცნიერო, კვლევითი პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით.

განხორციელდა ციტირებასთან დაკავშირებული სამართლის ნორმის სტრუქტურის შესწავლა მისი თვალსაჩინოებისთვის. ამ მიზნით მოხდა 23-ე მუხლის „ა“ პუნქტის და 59-ე მუხლის წარმოდგენა ანალიტიკური იურისპრუდენციის მეთოდით და დამტკიცდა მათი სუბკონტრარულობა, რაც არსებითად დაგვჭირდება შემდეგში მათი ზუსტი გააზრებისათვის ნორმის შეფარდების პროცესში შეცდომის თავიდან ასაცილებლად:

კანონში ციტირების მიზნებში მითითებულია, რომ ის ნებადართულია „სამეცნიერო, კვლევითი პოლემიკური, კრიტიკული და საინფორმაციო მიზნებისათვის“. რა თქმა უნდა ეს შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი ჩამოთვლილი მიზნით, ან ჩამოთვლილთაგან რომელიმე ორი მიზნით ან ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი რაოდენობის მიზნით. ამიტომ, მოყვანილ ტექსტში უნდა იყოს ნახმარი კავშირი „ან“ და არა „და“ კავშირი და ტექსტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ციტირება შეიძლება მოხდეს სამეცნიერო, კვლევითი პოლემიკური, კრიტიკული ან საინფორმაციო მიზნებისათვის (ზარნაძე & ცოტნიაშვილი, 2017.).

კანონში არსებული მოთხოვნა: „გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს აუცილებელი მითითებით“ მიუთითებს აუცილებელ, იმპერატიულ პირობაზე და ამიტომ ის ნიშნავს „და“ კავშირს. ამის გათვალისწინებით მუხლის შინაარსი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ციტირება შეიძლება მოხდეს სამეცნიერო, კვლევითი პოლემიკური, კრიტიკული ან საინფორმაციო მიზნებისათვის და აუცილებლად უნდა მოხდეს გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს მითითება.

წინადადების შემდეგი ფრაგმენტი: „მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით“ მიუთითებს ასევე აუცილებელ პირობაზე და ამიტომ ისიც ნიშნავს „და“ კავშირს. ამის გათვალისწინებით საბოლოოდ ტექსტი (მას მსჯელობის მოხერხებულობისათვის აღვნიშნავთ A ასოთი) ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: A - ციტირება შეიძლება მოხდეს სამეცნიერო, კვლევითი პოლემიკური, კრიტიკული ან საინფორმაციო მიზნებისათვის, გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს მითითების აუცილებელი პირობით და დასესხება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით.

ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით ჩამოყალიბებული A ტექსტი სრულიად იდენტურია 23-ე მუხლის ა) პუნქტში ჩამოყალიბებული აზრისა და შესაძლებელია მისი სქემატური ჩაწერა შემდეგნაირად: აღვნიშნოთ P - ციტირება სამეცნიერო მიზნით, Q - ციტირება კვლევითი პოლემიკური მიზნით, R - ციტირება კრიტიკული მიზნით, S - ციტირება საინფორმაციო მიზნით, E - გამოყენებული ნაწარმოების ავტორისა და დასესხების წყაროს მითითება, F - ციტირება იმ მოცულობით, რომელიც გამართლებულია ციტირების მიზნით. მაშინ 23-ე მუხლი ასე ჩაიწერება: $A = (P \vee Q \vee R \vee S) \wedge E \wedge F$. ჩანაწერიდან გამომდინარეობს, რომ A ჭეშმარიტია იმ შემთხვევაში, როდესაც ფრჩხილებში მოთავსებული გამოსახულებებიდან P, Q, R, S წინადადებებიდან ერთი მაინც ჭეშმარიტია და E და F აუცილებლად ჭეშმარიტია.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის 23-ე მუხლის დარღვევის სამართლებრივი შედეგის დადგენის მიზნით განვიხილოთ აღნიშნული კანონის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების ინტერპრეტაცია:

59-ე მუხლის 1-ლი პუნქტით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელებს და მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება აქვთ **დამრღვევისაგან** მოითხოვონ: ა) უფლების აღიარება; ბ) უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და **იმ მოქმედების აღკვეთა, რომელიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს**; გ) ამ კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად ნაწარმოების,

ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის კონტრაფაქციულად მიჩნეული ასლების, აგრეთვე მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალებებისთვის გვერდის ავლისათვის საჭირო მასალის, მოწყობილობის ან მოწყობილობის კომპონენტის ჩამორთმევა. ნაწარმოების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის ან მონაცემთა ბაზის კონტრაფაქციული ასლები შეიძლება გადაეცეს უფლების მფლობელს მისი მოთხოვნით; დ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით), თუ დამრღვევმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა საავტორო უფლების, მომიჯნავე უფლებების ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დარღვევის შესახებ; ე) მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაცვლად დამრღვევისთვის საავტორო უფლების, მომიჯნავე უფლებების ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დარღვევით მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა მოსარჩელის სასარგებლოდ; ვ) მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა. ამასთანავე, კომპენსაცია არ უნდა იყოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები; ზ) მისი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სხვა ზომების გამოყენება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ზომები გამოიყენება უფლების მფლობელის არჩევით. (საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ 1999, #2112).

აღნიშნოთ B-თი ის, რისი მოთხოვნის უფლებაც აქვს საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელს საავტორო უფლების დამრღვევისაგან **სავტორო უფლების დარღვევის** შემთხვევაში 59-ე მუხლის მიხედვით. აღნიშნოთ: L-ით ა), M-ით ბ), N-ით გ), K-ით დ), H-ით ე), C-ით ვ), T-ით ზ). მაშინ 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რადგან დ-ვ) პუნქტებიდან მხოლოდ ერთ-ერთის არჩევა ხდება უფლების მფლობელის მიერ, $B=(L \vee M \vee N \vee T) \vee (K \oplus H \oplus C)$, სადაც $K \oplus H \oplus C$ სიმბოლო აღნიშნავს ან მხოლოდ K-ს, ან მხოლოდ H-ს, ან მხოლოდ C-ს, ეს ჩანაწერი ნიშნავს, რომ საავტორო უფლების დარღვევის შემთხვევაში საავტორო უფლების მფლობელს ან მოსამართლეს უფლება აქვს მოითხოვოს „ა“, „ბ“, „გ“ და „ზ“ პუნქტებიდან ერთ-ერთი, ნებისმიერი ორი, ნებისმიერი სამი, ან ოთხივე, ხოლო საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს მოითხოვოს „დ“-„ვ“ პუნქტებიდან მხოლოდ ერთ-ერთის შესრულება. ასეთი ჩანაწერების ადვილად გასაგებად შეიქმნა ნაშრომები (ზარნაძე, ცოტნიაშვილი, & ტურაშვილი, 2016; ზარნაძე & ცოტნიაშვილი, 2017).

აქედან მიიღება, რომ A პირობა და B პირობები არიან სუბკონტარაულები, ანუ $A \Rightarrow B$. ეს ნიშნავს, რომ თუ A პირობა, ანუ 23-ე მუხლი დაირღვა - მცდარი აღმოჩნდა, ანუ სამართლიანია მისი საწინააღმდეგო, მაშინ აქედან გამომდინარეობს B პირობა, ანუ 59-ე მუხლი. მაშასადამე სამართლის ნორმას აქვს სახე თუ A , მაშინ B, ანუ ფაქტობრივი მდგომარეობაა A , ხოლო იურიდიული შედეგია B. საბოლოოდ მივიღებთ, რომ თუ $\neg((P \vee Q \vee R \vee S) \wedge E \wedge F) = (\neg P \wedge \neg Q \wedge \neg R \wedge \neg S) \vee \neg E \vee \neg F$, მაშინ $B = (L \vee M \vee N \vee T) \vee (K \oplus H \oplus C)$

კანონის 23-ე მუხლის „ბ“ პუნქტი ეხება ილუსტრაციად ნაწარმოების თავისუფალ გამოყენებას და მიუთითებს, რომ „ილუსტრაციის სახით გამოყენება ნაწარმოებისა მეტი მოცულობით არის დასაშვები, ვიდრე ციტირებისას“. საავტორო კანონის კომენტარებში (ხრუსტალი & მამუკაშვილი, 2003, გვ. 153) ნათქვამია, რომ 23-ე მუხლის „გ“, „დ“ და „ე“ პუნქტები ეხება საინფორმაციო მიზნით ნაწარმოების რეპროდუცირებას.

შენიშვნა 3. „ციტირება დაშვებულია“ ნიშნავს, რომ ციტირება ნებადართულია: მაგრამ ციტირების ცნება განსაზღვრული არ არის. ამიტომ გაურკვეველია რა არის ნებადართული? უფრო მეტიც, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი იმპერატიულია და უთითებს, რომ „არც ერთ თანაავტორს არა აქვს უფლება, აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება საამისოდ საკმაო საფუძვლების არსებობის გარეშე. ამავე კანონის “23-ე და 59-ე მუხლების ზემოთ მოყვანილი ანალიტიკური ინტერპრეტაციებიდან გამომდინარეობს, რომ მათი ჩამოყალიბების დროს არეულია კავშირები „და“ და „ან“, რაც იწვევს ორაზროვნებას. გარდა ამისა, 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით საავტორო უფლების მფლობელს შეუძლია მოითხოვოს დამრღვევისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გადახდა. ამასთანავე, კომპენსაცია არ უნდა იყოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები,“ რაც უპრეცედენტოა სხვა ქვეყნების კანონმდებლობებთან შედარებით. შესაბამისად ვფიქრობთ, რომ ეს პუნქტი შეიძლება გახდეს უსაფუძვლო გამდიდრების მიზნით დავების წამოწყების მიზეზი.

დასკვნა

მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ერთი ნაწარმოებიდან მეორე ნაწარმოებში გადმოტანილი ტექსტი იქნება ციტატა, თუ გადმოტანილი ტექსტი არის სხვისი გამონათქვამის საკუთარი სიტყვებით (პარაფრაზი) გამოხატული ტოლფასი გამონათქვამი (ლოგიკურად მათი ტოლფასობა ნიშნავს, რომ არიან ან ერთდროულად ჭეშმარიტი ან ერთდროულად მცდარი), ან აქვს ზუსტად ერთნაირი ფორმა, ანუ გადმოტანილი ტექსტი შედგება ზუსტად იგივე სიმბოლოებისაგან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოვდივართ ციტატის, ციტირების და პარაფრაზის ცნებების საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში ასახვის რეკომენდაციით, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ კანონი უნდა იყოს განჭვრეტადი და ის მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს პირის უფლების დაცვას სამართალმემფარდებლის ვოლუნტარიზმისგან.

ბიბლიოგრაფია:

- ბაქრაძე, ვ. (1952). *ლოგიკა*. საშუალო სკოლის XI კლასის სახელმძღვანელო. თბილისი.
- ბაქრაძე, ვ. (1978). *რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი: ლოგიკა* (ტ. IV). თბილისი.
- ზარნაძე, დ. (2013). *ზოგადი უნარების ლოგიკის თვითმასწავლებელი*. თბილისი: ციონი.
- ზარნაძე, დ. (2017). *ლოგიკურ-ანალიტიკური აზროვნების საფუძვლები*. თვითმასწავლებელი. თბილისი: მწიგნობარი.
- ზარნაძე, დ., & ცოტნიაშვილი, ს. (2017). ენაში „და“, „ან“ და „ან მხოლოდ“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების შესახებ. *გორის IX საერთაშორისო კონფერენციის შრომები*. თბილისი: სამშობლო.
- ზარნაძე, დ., ცოტნიაშვილი, ს., & ტურაშვილი, ტ. (2016). ქართულ ენაში „ან“ და „ან მხოლოდ“ კავშირების მრავალჯერადი და მონაცვლეობით გამოყენების შესახებ. *გორის VIII საერთაშორისო კონფერენციის შრომები*. თბილისი: ჯეოპრინტი.
- ლიეტუვას რესპუბლიკის კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, №VIII-1185, <https://e-seimas.lrs.lt/portal/legalActPrint/lt?jfwid=-2icx90xu9&documentId=TAIS.381742&category=TAD> (წვდომის თარიღი 1.12.2021)
- საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ 1999. (#2112). მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16198?publication=12#!> (წვდომის თარიღი 1.12.2021).
- ქავთარაძე, თ., ქასრაშვილი, ნ., საღინაძე, ნ., პატარიძე, ს., & საბაური, თ. (2018). *აკადემიური მუშაობის საფუძვლები: პრაქტიკული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ხრუსტალი, ვ., & ძამუკაშვილი, დ. (2003). *სავტორო კანონის კომენტარები*.
- ხუბუა, გ. (2012). *სამართლის თეორია*. თბილისი: მერიდიანი.

David Zarnadze

Georgian Technical University, N. Muskhelishvili Institute of Computational Mathematics

Zurab Chkonia

Millennium Teaching University

Soso Tsotniashvili

Gori State University

SOME LOGICAL AND LEGAL ISSUES OF THE LINGUISTIC DEFINITION OF THE NOTION OF CITATION AND THE RULE OF CITATION RESUME

The paper discusses the linguistic definition of quotation and paraphrase. Based on the definition of the quotation, the verity of 12 assertions is established. It is concluded that the text transferred from one work to another will be a quotation if the transferred text is an equivalent expression (paraphrase) expressed in someone else's own words (logically their equivalence means that they are either true or false at the same time) or has the exactly the same form, i.e. the transferred text consists of exactly the same characters.

The structure of the legal norm related to the free use of the work is also studied and its analytical interpretation is given. In order to assess the disputes related to the plagiarism of the text, it is determined which fragment of the text is a quotation and the rule of quoting from one work to another, i.e. the necessary and sufficient conditions are given for a fragment of a text to be a quotation from one work to another. Moreover, it is determined which fragment of the text is quoted which requires indicating the source, and transfer of which fragment is not quotation and does not requires indicating the source. The paper recommends on the need to reflect the terms of quote, quotation and paraphrase in the Law of Georgia "On Copyright".

Key words: Copyright, Quote, Quotation, Paraphrase.

სოფიო მახაჭაშვილი
რიზეს რეჯევ ტაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტი

განათლების პარადიგმა ოსმალს საქართველოში 1878-1921 წწ.

საკვანძო სიტყვები: განათლების პარადიგმა, საზოგადოების ჩართულობა, სწორი კომუნიკაცია, შედეგები.

შესავალი

„ასი ათას ყურუმს მივცემდი იმწამს, რომ ჩემთვის ვისმეს ქართული ესწავლებინა!“ - უთქვამს ემინ ეფენდი მუფტი ზადე არტანუჯელს, - დელეგატს, რომელიც 1878 წლის 20 ნოემბერს (2 დეკემბერს) თბილისში, მუხრანსკის სასახლეში გამართულ სადღესასწაულო შეკრებას ესწრებოდა და სიყვარულით გულანთებულ მომმეტა ემოციური დახვედრით გულაჩუყებული დაბრუნებულა მშობლიურ კუთხეში (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008, გვ. 118). ამ ამაღელვებელი შეკრების მიზეზი დედასამშობლოს წიაღში მისი ორგანული ნაწილის, იმ მხარის დაბრუნება იყო, რომელსაც ისტორიულ წყაროებში ზემო ქართლის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, სამცხე-საათაბაგოსა თუ ტაო-კლარჯეთის სახელით მოიხსენიებენ; იგი არაერთგვაროვანი სახელითაა წოდებული სამეცნიერო ლიტერატურაშიც: ძველი მესხეთი (ი. გოგებაშვილი), თურქეთის საქართველო (გ. ყაზბეგი), სამუსულმანო საქართველო, ოსმალეთის ყოფილი საქართველო (ზ. ჭიჭინაძე), ილიამ კი „ოსმალს საქართველოდ“ მონათლა და „გმირების ბუდედ, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვნად, ჩვენს ძველს საქართველოდ“ მოიხსენია.

შეხვედრაზე, რომელსაც 90 კაცი დაესწრო, იმდროინდელი მოწინავე ქართული საზოგადოების წევრებთან ერთად ახლად შემოერთებული რეგიონიდან 16 კაციანი დელეგაცია ესწრებოდა შერიგ ბეგ ხიმშიაშვილის თავკაცობით. დელეგაციაში შედიოდნენ ნური ხიმშიაშვილი, ხუსეინ აბაშიძე, ხუსეინ და ხასან ბეჟანიძეები, სელიმ-ბეგ მაჭახელი (წულუკიძე), ახმედ-აფენდი მარადიდელი, ოსმანაღა მაკრიალელი, ემინ-ეფენდი მუფტი ზადე არტანუჯელი, პეტროს პუჩინიანი (ართვინიანი) და სხვა. ბანკეტზე გულმხურვალე სიტყვა წარმოსთქვეს გრ. ორბელიანმა, აკ. წერეთელმა, ს. მესხმა, დ. ყიფიანმა, ხ. ბეჟანიძემ და სხვა. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008, გვ. 54)

მათგან საყურადღებო იყო აკაკის სიტყვა: „დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიდეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია - ეს ანდერძი იყო: „დედა ენა და ერობა“. (დროება, 1878, გვ. 2)

„დედა ენა და ერობა“ - აკაკის მიერ წინაპართა ანდერძის ამგვარ ფორმულირებაში იკვეთება ის ძირითადი მიმართულება სამომავლო ნაბიჯებისა, მრავალწლოვანი დაშორების შემდგომ ამ მხარის მაცხოვრებლებთან ურთიერთობის აღსადგენად და განსამტკიცებლად რომ უნდა გადადგმულიყო.

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო 1877-78 წელს რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ დადებული საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც თურქეთის მფლობელობაში მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო რუსეთის მიერ 1801 წლიდან ვერაგულად დამოუკიდებლობაწართმეულ

საქართველოს დაუბრუნდა, ანუ „რუსეთის საქართველო“ და „თურქეთის საქართველო“ გაერთიანდა, რასაც უდავოდ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა სულიერი და ფიზიკური ერთობისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის.

მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, ამ მოვლენას შედეგად ის მტკივნეული პროცესი მოჰყვა, მუჰაჯირობის მორიგი ტალღის სახელით რომ შევიდა რეგიონის ისტორიაში და პოლიტიკურ თამაშებს შეწირული ათიათასობით ოჯახის ფიზიკურ თუ სულიერ ტკივილსა და ტრაგიკულ განცდებს, საკუთარი ფესვებიდან მოწყვეტას, უცხოობაში განთესვას რომ გულისხმობს; მათ შთამომავლებში საკუთარ იდენტობასთან გაუცხოვება, მშობლიური ენის დავიწყება და ეროვნული ცნობიერების გახუნება რომ გამოიწვია; ამასვე მოჰყვა მუჰაჯირებისგან დაცლილ ალაგებში მათი სხვატომელებით ჩანაცვლება, რამაც ეთნიკური თუ სოციოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შეცვალა მანამდე არსებული სურათი.

წარმოდგენილი კვლევის მიზანი არაა ამ პრობლემების განსჯა-გაანალიზება ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტში. ამ ასპექტებზე, შემდგომში განვითარებული მოვლენების გამომწვევ მიზეზებსა თუ მიღებულ შედეგებზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომია გამოქვეყნებული და საზოგადოებისთვის კარგადაა ნაცნობი.

ჩვენს ინტერესს განათლების თვალსაზრისით რეგიონში არსებული მდგომარეობის შესწავლა და იმ ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციების თავმოყრა-გაანალიზება წარმოადგენს, რომელიც ამ მიმართულებით განხორციელდა 1878 -1921 წლებში.

„განათლება იქირვება, ბატონებო, ამათ (ოსმალების ქართველებს). ამდონი ახალგაზრდა კაცები ხართ განათლებულები, წადით, გეიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლები გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა. აბა, როგორი ძმა ხართ, თუ ასე აბდღურად დასტოვთ?!“ - წერდა 1878 წ. გაზეთ „დროების“ #126-ში შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი, ადამიანი, რომლის წვლილი განუზომელია რეგიონის მშობლიურ წიაღში დაბრუნების საქმეში; რომელიც წლების განმავლობაში მისი ფაქტიური მმართველი იყო; იცნობდა მის იმჟამინდელ ვითარებასა და საჭიროებებს და მისი განვითარების პერსპექტივას ევროპული ღირებულებებისკენ ორიენტირებასა და განათლებაში ხედავდა.

შერიფ ბეგის ამ სიტყვებს იმოწმებს ს. მესხი დროებაში დაბეჭდილ სტატიაში „ახალი მოვალეობა“ (1878 წ. #146), რომელშიც მოწინავე ქართული საზოგადოების, მისი „განათლებული, სწავლამიღებული, აკარგის გამომრჩევი“ შვილების ახალ მოვალეობად და სამოქმედო გეგმის პირველ ნაბიჯად სწორედ განათლების მიმართულებით დაუყოვნებლივ განსახორციელებელ ღონისძიებებს მიიჩნევდა.

იყო თუ არა საამისოდ ადგილობრივი მოსახლეობის მზაობა და რა ნაბიჯები გადაიდგა ქართული საზოგადოების მიერ საუკუნეების მანძილზე ფიზიკურად თუ სულიერად დაშორებულ თანამომხმეებთან დასახლოებლად; რა მიზნები ისახებოდა და რამდენად იყო შესაძლებელი ამ მიზნების განხორციელება რუსეთის ცარიზმის ბრჭყალებში მოქცეული, თვითმყოფადობადაკარგული, ეროვნული თვითგამორკვევის გზაზე ახლად შემდგარი ქვეყნისთვის? რამდენად უნარიანი იყო, გამკლავებოდა არსებულ გამოწვევებს: ხელი შეეშალა რეგიონში აშკარა რუსული იმპერიული პოლიტიკის გამტარებელთა ბოროტი ზრახვებისათვის და დაემყარებინა სწორი და ეფექტური კომუნიკაცია გაუცხოვებულ მომხმეებთან საერთო ენის გამოსანახავად და სულიერი ერთობის სწრაფად აღსადგენად, რისთვისაც ყველაზე ეფექტურ საშუალებად განათლებას მიიჩნევდნენ. როგორი იყო განათლების თვალსაზრისით რეგიონში არსებული რეალური მდგომარეობა? როგორი საგანმანათლებლო პოლიტიკა ხორციელდებოდა 1878 წლამდე; ცოდნის გადაცემის რა პარადიგმას ემყარებოდა იგი? ჩვენთვის არაა ხელმისაწვდომი რაიმე სახის ოფიციალური დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა ზუსტი სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა მიზნობრივ პერიოდში რეგიონში არსებული საგანმანათლებლო კერების ოდენობის ან თვისობრიობის შესახებ. მხოლოდ პუბლიცისტიკისა და დოკუმენტური პროზის ფურცლებზე გაბნეული ფრაგმენტების შეერთებითაა შესაძლებელი მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღდგენა, რასაც ისახავს მიზნად წინამდებარე სტატია.

მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული მე-19 ს. 70-იან წლებამდე ქართველ მეცნიერებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ამ ტერიტორიების შესწავლისა. მესხეთის შესახებ ინფორმაცია ვაზუშტი ბაგრატიონს მოცემული აქვს თავის წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სწორედ ამ მხარეს ეძღვნება თავები: აღწერა საჩინოთა ადგილთა სამცხე-საათაბაგოსი, ცხოვრება სამცხე-საათაბაგოსი. მაგრამ, როგორც ცნობილია, ავტორს პირადად არ უმოგზაურია და მხოლოდ ინფორმატორებისაგან მოწოდებულ, გადაუმოწმებელ ცნობებს ეყრდნობოდა.

ამ პერიოდიდან ერთადერთი თვითმხილველის, თურქი მოგზაურის - ევლია ჩელების მოგზაურობის ჩანაწერები გვაქვს ხელთ, რომელმაც 1640-41 წწ. იმოგზაურა საქართველოში. ჩანაწერებში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, რეგიონში არსებულ საგანმანათლებლო კერების შესახებაც

გვაწვდის მცირედენ ინფორმაციას, კერძოდ, ჩანაწერებში ვკითხულობთ: ახალციხეში ყველა ჯამეში ყურანი და სხვა ცოდნის წყარო იკითხება, არ ჩანს, თუმცა საგანგებო სასწავლებელი, ჰადისების სახლი და ყურანის საკითხავი სახლი არა აქვთ, მაგრამ ცოდნის მაძიებელი ბევრია. (ჩელები, 1971, გვ. 301) არტაანში ყმაწვილების სასწავლებლები არის. (ჩელები, 1971, გვ. 303) ყარსში 18 სასწავლებელია ყმაწვილებისთვის და მედრესეები კი არა. ყველა მეცნიერება ჯამეებში იკითხება (ჩელები, 1971, გვ. 309) (რა მეცნიერებებს გულისხმობს, არ აკონკრეტებს ავტორი). თორთუმში 10 ყმაწვილების სასწავლებელია, მედრესე და მისთანანი არ აქვს. (ჩელები, 1971, გვ. 322)

ამ ჩანაწერებში არ ჩანს, ცოდნის რა წყაროზეა საუბარი, რა სახის განათლებას იძლევა აღნიშნული სასწავლებლები, რა და როგორ ისწავლება.

ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან, თვითმხილველის თვალთ დახახული და მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის თვალსაზრისით, ფასდაუდებელია ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გ. ყაზბეგის დოკუმენტური თხზულება, რომელმაც 1874 წლის ზაფხულში იმოგზაურა მიზნობრივ რეგიონში და მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს თავი მოუყარა სამოგზაურო ჟანრის წიგნში „სამი თვე თურქეთის საქართველოში“. „ამ მხარეზე ჩვენი წინასწარი ცნობები ძალზე ძუნწი იყო, ევროპის გეოგრაფიულ თხზულებებში შავშეთზე არაფერია ნათქვამი, თითქოსდა ეს მხარე დედამიწაზე არც კი არსებობდა“ (ყაზბეგი, 1995, გვ. 70) - წერდა ავტორი და ცდილობდა ყურადღება გაემახვილებინა როგორც გეოგრაფიული, ისე სოციალურ-ეკონომიკური, ყოფითი, ეთნოგრაფიული თუ ეთნოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ყოველ დეტალსა თუ წვრილმან ნიუანსზე. უამრავი საინტერესო და საყურადღებო ინფორმაციის ამოკითხვა შესაძლებელი ამ ჩანაწერებში, მათ შორის განათლების თვალსაზრისით რეგიონში არსებული ვითარების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე 1874 წელს აღნიშნულ რეგიონში სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო ცნობილმა გერმანელმა ბოტანიკოსმა, „კავკასიის მუზეუმის“ ხელმძღვანელმა გუსტავ რადემ. ეს მისი მეორე მოგზაურობა იყო ამ მხარეში. პირველი - 1867 წ. შედგა. ამავე მიზნით მოგვიანებით - 1893 წელსაც ეწვია რეგიონს (სამივე მოგზაურობის ჩანაწერები აკინძული და გამოცემულია წიგნად „გუსტავ რადე და ოსმალის საქართველო“, 2018 წ.). მოგზაურის ჩანაწერებში მოწოდებული ცნობები სამეცნიერო თვალსაზრისით უდაოდ ღირებულია, თუმცა პირველ-მეორე მოგზაურობაში ავტორი არ იძლევა ინფორმაციას განათლების თაობაზე. მესამე მოგზაურობაში მშრალი, თუმცა საინტერესო სტატისტიკური მონაცემებია მოყვანილი, საიდანაც ვიგებთ, რომ მთელი ოლქი, რომელიც ადმინისტრაციულად სამ ნაწილადაა დაყოფილი, 52746 ადამიანს ითვლის. აქედან ართვინის ნაწილზე 5695 მამაკაცი და 5231 ქალი მოდის, არტანუჯისაზე - 7829 მამაკაცი და 7296 ქალი, ხოლო შავშეთ-იმერხევისაზე - 10655 მამაკაცი და 10164 ქალი. ეს ციფრები მუდმივად ბინადარ მოსახლეობას გულისხმობს. ძირითად ბირთვს, სარწმუნო წყაროების მიხედვით, ქართული წარმომავლობის მუსლიმი აჭარლები შეადგენენ, რომელთა ოჯახებშიც მშობლიური ენაა შენარჩუნებული. ფართოდ არიან წარმოდგენილნი რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის სომხები, მათ მხარეში 4 ვაჟთა და 3 ქალთა სკოლა გააჩნიათ; გრიგორიანელ სომხებს კი მხოლოდ 2 სკოლა აქვთ. მაჰმადიანები თავიანთ შვილებს 91 ე.წ. სასოფლო სკოლაში ასწავლიან. მთლიანად მხარეში 3675 მოსწავლე და 116 მასწავლებელია. თვითონ ართვინში ერთი სამასწავლებლო სემინარიაა, რომელშიც დაახლოებით 100 მოსწავლეა. (რადე, 2018, გვ. 84)

არანაკლებ საინტერესოა ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომი თურქი ისტორიკოსისა და ბლოგერის აჰმეთ ოზთურქის ავტორობით განთავსებული პუბლიკაცია ართვინის ისტორიის, მათ შორის „ართვინის განათლების ისტორიის“ შესახებ (Öztürk, 2007), რომელიც 2007 წლის 16 დეკემბრით თარიღდება და რომელშიც საინტერესო სტატისტიკური მონაცემების ამოკითხვა შესაძლებელი ჩვენთვის საინტერესო (სამიზნე) პერიოდზე.

ისტორიკოსი გვამცნობს, რომ 1869 წლით დათარიღებული ტრაპიზონის გუბერნიის ჩანაწერების წიგნის მიხედვით, ტრაპიზონის პროვინციაში, ლივანის (ართვინის) რაიონში 1869 წელს ფუნქციონირებდა 124 მუსლიმური სკოლა 2359 მოსწავლით. ასევე იყო სომხური სკოლა 80 მოსწავლით და 40 კათოლიკური სკოლა 300 მოსწავლით. ამ სკოლებში მუშაობდა 14 მღვდელი, 10 მეცნიერი (პროფესორი), 113 მოხელე და 115 იმამი (მუსლიმი სასულიერო პირი). 10 უმაღლესი სამეცნიერო სასწავლებელი (ილმე მედრესე) 165 მოსწავლით; იმავე წიგნის მონაცემებით, ლაზისტანის სანჯაყში, ქალაქ ბათუმში არსებობდა 2 მედრესე, 4 მუსლიმური სკოლა და 1 საშუალო სკოლა.

1871 წლით დათარიღებული ერზრუმის პროვინციის წელიწდეულის მიხედვით, არსებობდა 23 ისლამური და 4 ქრისტიანული დაწყებითი სკოლა არდანუში, 3 მედრესე. ამავე ჩანაწერის მიხედვით - 12 ქრისტიანული და 10 ისლამური დაწყებითი სკოლა ქალაქ კისკიმში (იუსუფელში); შავშათში, რომელიც იმ დროს დაბა იყო, არსებობდა 17 მუსლიმური დაწყებითი სკოლა, 36 არამუსლიმური დაწყებითი სკოლა და 5 მედრესე.

1873 წლის ერზრუმის პროვინციის ჩანაწერების წიგნის მიხედვით, არდანუჯში არის 30 მედრესე, 33 მუსლიმური სკოლა, 4 ქრისტიანული დაწესებულება სკოლა, შავშათში კი 20 მედრესე, 17 მუსლიმური სკოლა და 3 ქრისტიანული დაწესებულება სკოლა. გარდა ამისა, შავშათის თეფეჯიოში გახსნილი იყო საკმაოდ დიდი მედრესე 40 ოთახით, რომელშიც 100 მოსწავლე სწავლობდა. (სავარაუდოდ, ეს ის სამასწავლებლო სემინარიაა, რომელსაც გუსტავ რადე ახსენებს თავის წიგნში).

1900 წლის ერზრუმის პროვინციის წიგნის ჩანაწერებში ნათქვამია, რომ კისკიმში (იუსუფელი) არსებობდა სამხედრო სასწავლებელი 67 მოსწავლით.

მაჰმუდის II მეფობის დროს დაწესებული განათლება სავალდებულო გახდა. შესაბამისად, ყველა სოფელსა და უბანში უნდა დაარსებულიყო დაწესებულება სკოლა. 1869 წელს გამოიცა ზოგადი განათლების შესახებ კანონი, რომლის მიხედვითაც სავალდებულო გახდა ოსმალეთის ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება. ვინაიდან ეს სკოლები ძირითადად მეჩეთების გვერდით იყო გახსნილი, მეჩეთის იმამები ჩვეულებრივ მასწავლებლებად მსახურობდნენ. გარდა ამისა, მათ, ვინც დაამთავრეს მედრესეები, აძლევდნენ დოკუმენტს, რომლითაც მათ შეეძლოთ ესწავლებინათ დაწესებით სკოლებში.

ისტორიკოსი ჩვენს მიზნობრივ პერიოდს საოკუპაციო პერიოდად მოიხსენიებს და აღნიშნავს:

რუსებმა ადგილობრივი მოსახლეობის შეკავშირებისა და ასიმილაციის მიზნით ორი რუსული სკოლა გახსნეს, ერთი შავშათის სოფელ ბალიკლიში, მეორე კი სოლუთლუში. ორივე სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე იყო და ერთი თურქი მასწავლებელი ატარებდა რელიგიის გაკვეთილებს. სოლუთლუს სკოლა 1918 წლამდე ფუნქციონირებდა.

ასევე მოიხსენიებს არტანუჯის მახლობლად, ბოდიაკასში, სომხური ეკლესიის სამხრეთით 6-ოთახიან რუსულ სკოლას, რომლის შენობაში გვიანობამდე ფუნქციონირებდა დაწესებითი სკოლა (1914-1927 წლებში).

1900 წელს ოსმალეთის იმპერიის განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული წელიწდეულის მიხედვით, დაბა არხავში გაიხსნა საშუალო სკოლა დასავლური სტილის განათლებით. გარდა ამისა, საშუალო და დაწესებითი სკოლის გარდა გახსნილი იყო ობლების სკოლა ქალაქ ხოფასა და დაბა იუსუფელში. ამ უკანასკნელში სკოლა 1908 წელსაც გახსნილა, რომელიც 1923 წლამდე აგრძელებდა ფუნქციონირებას, როგორც დაწესებითი და საშუალო სკოლა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, ორი თურქული დაწესებითი სკოლა გაიხსნა სოფელ შავშათ თეფესა და სოლუთლუში, რომლებიც მუდროსის ზავის შემდეგ (1918 წლის 30 ოქტომბერი) დაიხურა.

ამ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შემოერთებამდე ოსმალთს საქართველოში კარგად ფორმირებული განათლების პარადიგმა არსებობდა. თუმცა იმის გასარკვევად, თუ როგორი იყო რეალური ვითარება სწავლა-განათლების თვალსაზრისით 1877-78 წლების მოვლენებამდე, გ. ყაზბეგის მიერ მოწოდებულ ცნობები უნდა გავაანალიზოთ, რომელიც მხოლოდ სკოლების ოდენობაზე კი არ ამახვილებს ყურადღებას, არამედ მათ თვისობრივ მხარეს უფრო აქცევს ყურადღებას. ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ახლა აჭარაში ქართული წერა-კითხვის მცოდნენი თითზე ჩამოსათვლელია, თვით ბეგების ოჯახების გამოუკლებლივ, მაგრამ არც თურქული წერა-კითხვის მცოდნეა ბევრი: **სკოლები - ცოდნის წყარო - თურქეთის საქართველოში არ არის**. მედრესეში მხოლოდ ყურანსა და მაჰმადიანურ საეკლესიო დისციპლინას ასწავლიან მექანიკურად. ჩვენ ვნახეთ თურქეთის მუდირები და ოფიცრებიც კი, რომლებმაც წერა-კითხვა არ იცოდნენ.“ (ყაზბეგი, 1995, გვ. 61)

გ. ყაზბეგის ჩანაწერებიდან ამონარიდი ეს ორიოდე წინადადება ნათლად წარმოაჩენს სწავლა-განათლების თვალსაზრისით რეგიონში არსებული მდგომარეობას. წერა-კითხვის უცოდინრობა იმ პერიოდში არ იყო დიდად გასაკვირი. განათლება არც საქართველოში იყო სახალხო და ყველასთვის ხელმისაწვდომი მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, განსაკუთრებით პერიფერიებში (სწორედ ამ პრობლემის მოგვარება იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (ქშწკგს) შექმნის მიზანი, რომელსაც მოგვიანებით თავად გ. ყაზბეგი ხელმძღვანელობდა 1908-1918 წლებში), თუმცა, არ წარმოადგენდა პრობლემას ისეთი შეძლებული ოჯახის შვილთათვის, როგორსაც განეკუთვნებოდა ამ რეგიონის ფაქტობრივი მმართველის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ოჯახი, რომელსაც განათლებულ ადამიანთა მოძებნა გაუჭირდა კერძო მასწავლებლად თავისი 13 შვილისთვის. „იგი დაინტერესებულია შვილებს მისცეს განათლება, მაგრამ ვაი, რომ მასწავლებელი არსად არის.“ -ო - გულდაწყვეტით წერს გ. ყაზბეგი. (ყაზბეგი, 1995, გვ. 45) შერიფ-ბეგის ეს დაინტერესება იმაშიც გამოიხატა, რომ მხოლოდ მედრესესთან არსებულ სკოლაში მიღებული ცოდნის იმედად არ დაუტოვებია შვილები და უსწავლებია სპარსული ენა. ქართული და რუსული ენის შესასწავლად ახალციხის სკოლის ყოფილი მოსწავლე მოუწვევია, რომლის დახმარებითაც ბავშვებს კითხვა და ცოტაოდენი ლაპარაკი უსწავლიათ რუსულად. მუსიკის შესწავლა კი თურქი მუსიკოსისთვის მიუზღვია.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ბეგის ბიბლიოთეკაზეც, რომელიც რამდენიმე თურქული და ერთი რუსული წიგნის - უშინსკის „მშობლიური ენისგან“ შედგებოდა. აქვე შენიშნავს: ქართული წიგნები ბეგს არ აქვს (ზაქარია ჭიჭინაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, თითქოს შერიფ-ბეგის ოჯახში ქართული წიგნები 1860 წლიდან იგზავნებოდა, როგორც ჩანს, სიმართლეს არ შეესაბამება) (ჭიჭინაძე, 1911-1912, გვ. 27) და ბავშვები ცოტას ლაპარაკობენ ქართულად. მიაბიტურად ჟღერს, როგორც ავტორი ახასიათებს, „ძალზე ჭკვიანი, კარგი მოუბარი და ენამოსწრებული, თავისებურად განათლებული“ ბეგის ნათქვამი: „ძალზე საოცარია, რომ ბავშვებმა არ იციან თავისი წინაპართა ენა“, (ყაზბეგი, 1995, გვ. 46) მიზეზად კი გარემოებას ასახელებს, ბავშვები დედის (თურქი ქალბატონის) სამშობლოში - არდაგანში გაიზარდნენო. რასაკვირველია, ენის ცოდნა გენეტიკურად არ გადაეცემა შთამომავლობას. თუ ენობრივ სამყაროსაა მოცილებული ბავშვი და არ ისმენს მშობლიურ მეტყველებას, ვერ შეძლებს წინაპართა ენაზე მეტყველებას. მოგვიანებით ამ პრობლემის მოგვარებაზე იზრუნა შერიფ-ბეგმა. სწორედ მან გამოგზავნა პირველმა შვილები თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში სასწავლებლად.

როგორც აღვნიშნეთ, გ. ყაზბეგი არ ასახელებს სასწავლო დაწესებულებების რაოდენობას, თუმცა ამახვილებს ყურადღებას მათ თვისებრიობასა და სწავლების ხარისხზე; საინტერესოდ აღწერს ხულოში არსებულ სკოლას, რომელსაც დიდი, ჭუჭყიანი და ძველი ხის შენობა ეკავა. ყოველ მოლას თავისი საკლასო ოთახი ქონდა და თავისი მოწაფეები ჰყავდა. ოთახების უმრავლესობას ბოქლომი ედო. ამის მიზეზი სკოლის მონახულების პერიოდია. როგორც ავტორი გვამცნობს, ზამთარში 50-60 ბიჭი დადიოდა სკოლაში. გაზაფხულზე და ზაფხულში კი მოსწავლეთა რიცხვი 20-ს არ აღემატებოდა. (გ. ყაზბეგი კი სწორედ ზაფხულში სტუმრობდა ხულოს). (ყაზბეგი, 1995, გვ. 38) ეს „სეზონური სწავლაც“ განათლების მიმართ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. ამიტომაც ამბობს გადაჭრით „სკოლები - ცოდნის წყარო - თურქეთის საქართველოში არ არის“-ო. რა თქმა უნდა, გ. ყაზბეგი განგებ, მიზანმიმართულად არ ცდილობს სურათის მუქ ფერებში წარმოჩენას. მან მშვენივრად იცის, რომ დანარჩენ თურქეთში საგანმანათლებლო კერები მრავლადაა. იგი ამ კონკრეტულ რეგიონში არსებულ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას და მათი გამოძწვევი მიზეზების ახსნასაც ცდილობს თავისებურად: „კონსტანტინეპოლის მთავრობისთვის თურქეთის საქართველო უმთავრესად შემოსავლის (გადასახადების) წყაროა და მთელი აქაური ადმინისტრაციული პერსონალი თავის უმთავრეს მოვალეობად თვლის გადასახადების დროულად აკრეფას. უნდა ითქვას, ხალხიც შეურიგდა ამ აზრს ... ადმინისტრაციისა და ხალხის ამ სავსებით შეთანხმებული შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ არავინ ზრუნავს და არავინ მოითხოვს არც მართლმსაჯულებას, არც გზების გაყვანას, არც სკოლას და არც საზოგადოებრივ უშიშროებას.“ - აღნიშნავს ავტორი. (ყაზბეგი, 1995, გვ. 62)

ამავე აზრს იზიარებდა ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც 1873-74 წლებში სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და ამ მოგზაურობის შედეგია 1878 წ. პეტერბურგში, რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“. „არც ეკონომიურად, არც გონებრივად ადგილობრივ მცხოვრებთ ნაბიჯიც არ წაუდგამთ წინ. ისინი, შეიძლება ითქვას, უარეს უმეცრეებაში არიან, ვიდრე მათი წინაპრები იყვნენ, სანამ თურქები დაიპყრობდნენ... მათ არა აქვთ არც ერთი სასწავლებელი, გარდა მეჩეთებთან არსებული უბადრუკი სკოლებისა. ერთი სიტყვით, განვითარების გზა მოჭრილი აქვთ.“ - წერდა იგი. (ბაქრაძე, 1987, გვ. 19)

ასეთი იყო მოცემულობა 1877-1878 წ. განვითარებულ მოვლენებამდე რეგიონში განათლების თვალსაზრისით, რაც ქართული საზოგადოებისთვის ნაკლებად იყო ცნობილი, ვინაიდან გ. ყაზბეგის რუსულ ენაზე დაწერილი ნარკვევი მოგვიანებით ითარგმნა და გამოიცა. ფართო საზოგადოებისთვის, რომელიც აღტაცებით შეხვდა (ზუსტად 300 წლის შემდეგ - 1578 - 1878 წ.) ისტორიული მხარის მშობლიურ წიაღში დაბრუნებას, გაიხსნა კარი ამ იდუმალი მხარის მოსანახულებლად და გახდა ხელმისაწვდომი სამოგზაურო თუ სამეცნიერო მიზნებისათვის. სწორედ ამ პერიოდში, 1878-1921 წლებში, სანამ იგი ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, შექმნეს თავიანთი სამეცნიერო ნაშრომები დ. ბაქრაძემ, ზ. ჭიჭინაძემ, ე. თაყაიშვილმა, ნ. მარმა. ქართულ პერიოდიკაში - „დროებაში“, „ივერიასა“ და სხვ. გამოაქვეყნეს არაერთი სტატია ი. ჭავჭავაძემ, ავ. წერეთელმა, ს. მესხმა, ს. ასლანიშვილმა (ბავრელმა), ლ. მჭედლიშვილმა, ა. ნათაძემ, დ. წერეთელმა, ივ. გვარამაძემ (ვინმე მესხმა), ივ. ჯაიანმა, ალ. ყიფშიძემ (ფრონელმა) და სხვ. პუბლიკაციებში განიხილავდნენ ომის შემდეგ შემოერთებულ მხარეში მოსახლე ქართველთა ყოფით პრობლემებს და მსჯელობდნენ მათი მოგვარების გზებსა და საშუალებებზე, ქართული საზოგადოების მიერ სასწრაფოდ გასატარებელ ქმედით ღონისძიებებზე, რადგან სწორედ განათლებულ ქართულ საზოგადოებას უნდა ეტვირთა ეს „დიდი და მძიმე მოვალეობა“, რაც შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის სიტყვების დამოწმებით ჩამოაყალიბა ს. მესხმა გაზეთ დროების 1878 წლის #146 გამოქვეყნებულ სტატიაში „ახალი მოვალეობა“.

„ოსმალის საქართველოს“ თემატიკაზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იმდროინდელი პრესის ფურცლებზე უხვად გაბნეული სოლომონ ასლანიშვილ-

ბავრელის კორესპონდენციები (რომლებსაც თავი მოუყარეს ლელა ქურდაძემ და გოჩა საითიმემ, სათანადო შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლებით გამოსცეს წიგნად: სოლომონ ასლანიშვილი ბავრელი, წერილები „ოსმალის საქართველოზე“ 2008 წ.). ცნობილია, რომ მისი წინაპრები, გვარად ლეონიძეები, არტაანის მხარიდან, სოფელ ველიდან იყვნენ გადმოსულები ჯავახეთის სოფელ ბავრაში. 1878 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ გულმა ფესვებისკენ გაუწია და ახლად შემოერთებული არტაანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში გადავიდა სამუშაოდ. თუმცა იგი არ იყო ტიპური მოხელე, რაც მისმა მოღვაწეობამ ნათლად წარმოაჩინა. მას სურდა გაეცნო დედასამშობლოს წიაღში დაბრუნებული ქართველი მაჰმადიანები და ახალ ვითარებასთან ადაპტაციაში დახმარებოდა. (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008, გვ. 19) ის განსაკუთრებული სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა ღარიბ მოსახლეობაში, რადგან მხარში უდგა მათ: უწერდა თხოვნებს, საჩივრებს, აძლევდა რჩევა-დარიგებებს. პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა, ყოფილი მასწავლებელი, ადგილობრივი მოსახლეობის ახალ ცხოვრებასთან ადაპტაციის ეფექტურ გზას განათლებაში ხედავდა და ძალისხმევას არ იშურებდა ამ გზის გასაკვალად. არტაანსა და არტანუჯში მუშაობისას სახელმწიფო მოხელის მოვალეობის შესრულებასთან ერთად იგი საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა: არტანუჯელი მაჰმადიანი ბავშვებისათვის დააარსა კერძო სკოლა, სადაც მათ ქართულ ენას უსასყიდლოდ ასწავლიდა საკუთარი ხელით შედგენილი სახელმძღვანელოებით. მეთოდიკა ამ სახელმძღვანელოს შედგენისა იდენტური იყო გოგებაშვილის „დედა ენისა“, მაგრამ ადაპტირებული, თავისი მოსწავლეების - მუსლიმი ბავშვების საჭიროებებზე მორგებული. (ეს საჭიროებები შემდგომში იაკობ გოგებაშვილმა გაითვალისწინა და „დედა ენის“ ოცდამეცამეტე გამოცემა ამის დასტურია, რომლის ყდაზე პირდაპირაა მითითებული „ყველა სარწმუნოების ქართველთათვის“). მასვე შეუდგენია „საკითხავი წიგნი გამაჰმადიანებული ქართველებისათვის“ (წიგნი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგში შეტანილია, როგორც ნაბეჭდი წიგნი, თუმცა, სამწუხაროდ, საცავში ფიზიკურად არ იძებნება), ასევე „ქართულ-ოსმალური ლექსიკონი გამაჰმადიანებული ქართველებისათვის“, რომელიც ქშწკვს-ს გადასცა, თუმცა მისი გამოცემა სამწუხაროდ ვერ მოხერხდა, შემდგომში კი ხელნაწერიც დაკარგულა. „დიდად საჭიროა ამ წიგნის გამოცემა. ამ წიგნით ქართველი მაჰმადიანები ადვილათ შეისწავლიან ქართულ ენას და წერა-კითხვას“ - სწორედ ამ ხელნაწერის შესახებ წერდა ზ. ჭიჭინაძე 1912 წელს გამოცემულ წიგნში „ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი“. (ჭიჭინაძე ზ. , 1911-1912, გვ. 266)

ს. ასლანიშვილის მიერ არტანუჯში, არტაანსა თუ ართვინში მომზადებული კორესპონდენციები რეგულარულად იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიის“, „დროების“, „ჯვარი ვახისას“ ფურცლებზე. „...აზრიანი განძი, დაუფასებელი გვირგვინი და წყარო სამცხე-საათაბაგოს შესწავლის და ნამეტურ ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებისა“ - წერდა ამ კორესპონდენციების შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე 1923 წ. გაზ. „ტრიბუნაში“ (9/5, #464) გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი“ და აღნიშნავდა, რომ სწორედ ამ წერილებმა შთააგონა სამუსლიმანო საქართველოში მოგზაურობა და მუშაობა.

უდავოდ საყურადღებო და სანდოა მოწოდებული ინფორმაცია პირველწყაროდან, ადამიანისგან, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა აღნიშნულ რეგიონში, იქ მიმდინარე მოვლენებსა თუ პროცესებში თავად იყო აქტიურად ჩართული და, თუ კორესპონდენციებს გადავავლებთ თვალს, რეალისტური ხედვისა და ობიექტური შეფასების უნარით გამოირჩევა. ჩვენს საკვლევ თემაზე, განათლებაზე მსჯელობისას, იგი ცდილობს პროფესიონალის პერსპექტივიდან წარმოგვიდგინოს და სათანადოდ შეაფასოს არსებული მოცემულობა.

ს. ასლანიშვილი მსუბუქი, სატირანარევი იუმორით აღწერს ართვინში ნანახ მედრესეს, რომელსაც „გამანათლებელ სადგომად“ მოიხსენიებს: პატარა, მდაბალი ფიცრის ოთახი, თეთრი ჩალმიანი ბავშვები, რომელთა ცეცხლით ანთებულ თვალებსა და ცოცხალ შეხედულებაში, დამარხული დიდი ნიჭი გამოსჭვივის. „ეს ყმაწვილები, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ჰყვიროდნენ და იმეორებდნენ ყორანის სიტყვებს იმათთვის გაუგებარს. ვინც მალა დაიყვირებს, ის ბეჯით შეგირდად დაითვლება კარებთან მდაბალ ტახტზედ ფეხმოკეცილი იჯდა ახალგაზრდა მოლლა - მასწავლებელი. ხელში ეჭირა გრძელი ჯოხი და ძალას ატანდა, რომ ყმაწვილებს ეყვირათ... ყმაწვილი კითხულობს, ზეპირობს, მაგრამ არ იცის და არ ესმის, რას კითხულობს; ისიც არ იცის, ის ასოები, რომ ისწავლა, რის მაქნისია.“ - წერდა ს. ბავრელი გაზეთ „დროებაში“. (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008, გვ. 119-120) ამ სტრიქონების მკითხველს უთუოდ გაახსენდება აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ და მასში აღწერილი რუსული სკოლის მოდელი. ამასთანავე ს. ასლანიშვილი ხაზს უსვამს: თათრებს სახალხო შკოლებისათვის არავითარი სახელმძღვანელო წიგნი არ აქვთო. ბავშვებს წერას არ ასწავლიდნენ, ოსმალური ანბანის სირთულის გამო, მხოლოდ კითხვაში ავარჯიშებდნენ იმდენს, რომ დაბეჭდილი ყურანის წაკითხვა შესძლებოდათ და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გამოდიოდნენ „თავშეხვეულ მოლლათ“. უმაღლესი განათლების მიღების მსურველი ყადთან მიდის, რომელიც ზეპირად და ახსნით ასწავლის ყურანს და ამით მთავრდება ამათი სწავლაო.

აქვე აღწერს ართვინში მოქმედ სომხების ორ სასწავლებელს, რომლებიც მუსლიმების სასწავლებელთან შედარებით უკეთაა მოწყობილი, თუმცა მისი შეფასებით, სწავლების დონით ბევრად მაღლა არ დგას. მათაც სახელმძღვანელოები არ ჰქონიათ. სწავლა იწყებოდა ძველისძველი ანბანით - ქერაკანით, რომლის სუსხი თავადაც ახსოვდა ავტორს. ანბანის გაზეპირების შემდეგ ყმაწვილს აკითხებენ ფსალმუნებს, სახარებასა და ძველ აღქმას. აქვე სახელმძღვანელოდ წოდებულ მოიხსენიებს ანეგდოტებითა და სხვადასხვა ფილოსოფოსების ნააზრევით სავსე წიგნს „მანკაკან-ვარჟუთიუნს.“ ანგარიშს, ხატვას და სხვა გონების გასახსნელ საგნებს ამათ შკოლებში ადგილი არა აქვთო. - დასძენს ს. ასლანიშვილი. აქვე მოსწავლეთა კონტიგენტისა და მასწავლებლის შრომის ანაზღაურების შესახებაც იძლევა ინფორმაციას (რასაც მუსლიმთა სასწავლებლების აღწერისას არ ახსენებს. როგორც ჩანს, ამ სკოლების მოხელეები უფრო კომუნიკაბელურები იყვნენ...). სომხების ერთ სასწავლებელში 172 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი-დიაკონია თავისი განუმორებელი ჯოხით; მეორე სასწავლებელში კი 80-მდე მოსწავლე. მასწავლებლის ხელფასი თვეში ათ მანეთს შეადგენს და რასაკვირველია, ისიც ათი მანეთისას ასწავლისო. (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008, გვ. 120)

ზემოთ აღწერილი სასწავლებლები ვაჟთათვის იყო განკუთვნილი. ამათ გარდა, ქალთა სკოლის შესახებაც გვატყობინებს ს. ასლანიშვილი, რომელშიც სწავლის მეთოდით ვაჟთა სკოლის იდენტური იყო. არცთუ სასიამოვნო წარმოსადგენია სურათი, რასაც იგი აღწერს: ერთი მასწავლებლის მაგიერ სამი-ოთხი მონაზონი მებატეებივით ჯოხებით ხელში და გრძელი ფიცრების გარშემო დაჩოქილი პაწაწინა ქალები, რომლებსაც ჭრა-კერვასაც კი არ ასწავლიან, მარტო კითხვას და იშვიათად წერას.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ცნობები 1878-1879 წლის „დროებაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებშია გაბნეული და ადასტურებს გ. ყაზბეგის ზემოთ ნახსენებ თეზას: „სკოლები - ცოდნის წყარო - თურქეთის საქართველოში არ არის“.

არც ს. ბავრელის მშობლიურ მხარეში - ქ. ახალციხეში იყო სახარბიელო ვითარება განათლების თვალსაზრისით. რეგიონში, რომელიც 50 წლით ადრე დაუბრუნდა მშობლიურ კალთას, 70-80-იანი წლების მდგომარეობით ფიქსირდება 7 სასწავლებელი: 1. ქალაქის ოთხკლასიანი სასწავლებელი; 2. კარაპეტას სომხური სასწავლებელი; 3. ელიზავეტის სახელობის ქალთა სასწავლებელი; 4. რაბათის ქალთა უფასო სკოლა; 5. სომხურ-კათოლიკური სკოლა; 6. კათოლიკური სკოლა; 7. ებრაელთა სასწავლებელი.

რაოდენობრივი თვალსაზრისით არაა დიდად შთამბეჭდავი სურათი, თუმცა თვისობრივად მკვეთრად განსხვავებული და მოწესრიგებულია თურქეთის საქართველოსთან შედარებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწავლების სრული კურსი შვიდწლიანი იყო; სასწავლო დისციპლინების ჩამონათვალზე რუსული განათლების პარადიგმის შესაბამისი - ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ფრანგული, ქართული და სომხური ენები, ხაზვა-ხატვა, სიმღერა და ტანვარჯიში; (სწავლების შინაარსი და მეთოდოლოგიაც იმავე პარადიგმის შესაბამისი რომ იქნებოდა, ძნელად მისახვედრი არაა) სასწავლებელი მოსწავლეებს პროფესიულ განათლებასაც აძლევდა.

სამცხე-ჯავახეთში ქალთათვის განათლების ერთ-ერთ ფორმად ე. წ. საშინაო-საოჯახო სკოლები იქცა, სადაც მხოლოდ წერა-კითხვის სწავლებით არ შემოიფარგლებოდნენ. ასწავლიდნენ: ანგარიშს, ლოცვებს, ეტიკეტს, ე.ი. საზოგადოებაში ქცევის წესებს და, რაც მთავარია, ქალის ხელსაქმეს: ჭრა-კერვას, ქარგვას, ქსოვას და ა.შ. (მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე განათლების სფეროში მესხეთში არსებული მდგომარეობის შესახებ იხ. ნ. ყრუაშვილის სტატია: „განათლების კერები მესხეთში“ (ყრუაშვილი, 2011)

შერიფ ბეგ ხიმშიაშვილის ზემოთ მოხსენიებულ სიტყვებს იმოწმებს ს. მესხი „დროებაში“ დაბეჭდილ სტატიაში „ახალი მოვალეობა“ (1878 წ. #146), რომელშიც ამ მიმართულებით მოწინავე ქართული საზოგადოების სამოქმედო პროგრამაა ჩამოყალიბებული: მომავალი ცხოვრების გასაუმჯობესებლად განათლების დონის ამაღლებაზე სათანადო ზრუნვა; სახალხო სკოლების გახსნა, ქართულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოების უფასოდ მიწოდების უზრუნველყოფა ახლად შემოერთებულ ქართველთათვის; სწორედ ამ იდეის გარშემო გაერთიანდა მომდევნო, 1879 წელს ჩამოყალიბებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც, ისე როგორც დანარჩენი საქართველოს, ახლად შემოერთებული ქართველობის ეროვნული ცნობიერების გაღვიძებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თავისი აქტიური კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით. ყოველივე კი მშობლიურ ენაზე განათლების მიმცემი სასწავლებლების გახსნით უნდა დაწყებულიყო.

ბათუმი, როგორც სოციალ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დიდი პოტენციის მქონე რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესი ქალაქი, იმჟამინდელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული; ბუნებრივია, ქშეკვს-ს ყურადღება და ძალისხმევა უპირველესად ბათუმსა და ქობულეთში

მცხოვრებ მუსლიმ მოძმეთა ნდობის აღდგენასა და მათი ეროვნული იდენტობის ამაღლებაზე იყო გადატანილი. ერთი მხრივ რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების გამტარებელთა, მეორე მხრივ კი ფანატიკოს მოლათა დესტრუქციული ქმედებების მიუხედავად, წკგ-მ 1881 წ. შეძლო ბათუმში პირველი ქართული ცოდნის წყაროს - სკოლის გახსნა. იაკობ გოგებაშვილი, რომელიც სკოლის გახსნის შემდგომ ხშირად ჩადიოდა ბათუმში და ეხმარებოდა მასწავლებლებს რჩევებითა და რეკომენდაციებით, აჟღერებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აზრს სკოლის მისიის შესახებ: „ახლად შემოერთებულ მაჰმადიან ქართველთა შვილები მიეზიდნა, გაემართნა ქართულს წერა- კითხვაში, მათი შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარაში ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით გაეახლებინა კავშირი ღვიძლ ძმათაშორის, რომელნიც უღმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულ საუკუნეებში.“ ანუ მისი დანიშნულება სცილდებოდა ჩვეულებრივი ორკლასიანი სასწავლო დაწესებულების ფარგლებს. მას არა მარტო მშობლიურ უბეში ახლად დაბრუნებულ მუსლიმ ქართველთა ეროვნული ცნობიერების გაღვიძება და გამტკიცება უნდა მოეხდინა, არამედ ხელი უნდა შეეწყო მთელი რეგიონის კულტურული პროგრესისათვის.

ის ფაქტი, რომ წკგ-მ თავად ილია ჭავჭავაძე წარგზავნა სკოლის გახსნაზე დასასწრებად, მეტყველებს, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ მოვლენას საზოგადოება და თავად ილია, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და მასწავლებლებს ურჩია: დიდი სიფრთხილითა და მოხერხებით არის საჭირო მუსლიმანებს შორის მუშაობა. გახსოვდეთ, რომ ქართველი მუსლიმანები ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარეთ ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახუროთ, ...დიდი მიღწევა იქნება ჩვენს მხრივ წერა-კითხვასთან ერთად თუ შეაგნებინებთ, რომ ისინი ქართველები არიანო. პირველსავე მიღებაზე სკოლაში ჩარიცხული 30 მოსწავლიდან 11 მართმადიდებელი იყო, 6 კათოლიკური სარწმუნოებისა და 13 მაჰმადიანი, მათ შორის 1 გოგონა უფლიე აბაშიძე იყო. სასწავლო დისციპლინებს რაც შეეხება, ისწავლებოდა: საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, თვალსაჩინო სწავლება, სუფთა წერა, გალობა და გიმნასტიკა.

ბათუმის სკოლაზე, მისი გახსნის მნიშვნელობასა და როლზე არაერთხელ თქმულა. არსებობს 140 წლის მანძილზე არაერთი განსაცდელის გამომვლელი სკოლა (ბევრჯერ დახურვის საშიშროებაც დამუქრებია), დღემდე ინარჩუნებს რეგიონის მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ფუნქციას და ამაყად განაგრძობს თავისი მისიის შესრულებას. ეს ფაქტი მრავლისმეტყველია...

იმავე 1881 წლის 21 ნოემბერს ივანე გვარამაძის თაოსნობით და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელშეწყობით, გაიხსნა ერთკლასიანი სკოლა ვაჭებისათვის მესხეთში, სოფელ ხიზაბავრაში, მოგვიანებით კი ახალციხეში. (ყრუაშვილი, 2011)

ჯერ კიდევ 1879 წ. გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ახალი ქვეყნის ამბები“ ს. ასლანიშვილი საუბრობდა (24/1, #18, გვ. 1-3) სამაზრო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე, სადაც სხვადასხვა საგნებთან ერთად რუსულ ენასაც შეასწავლიდნენ, რათა შესძლებოდათ რუსეთის მიერ დანიშნულ სახელმწიფო მოხელეებთან კომუნიკაცია. ქართული სკოლის გახსნამდე, ქ. ბათუმში მოქალაქე მიხაილოვმა 1880 წელს დააარსა რუსულენოვანი კერძო სკოლა, სადაც ყოველთვიური შესატანი 5 რუბლი იყო, თუმცა დიდხანს ვერ იარსება, რამდენიმე თვეში დაიხურა.

ამგვარი სასწავლებლის გახსნის სურვილი ართვინელებსაც ჰქონიათ, ოღონდ სახელმწიფოს ხარჯზე. ს. ბავრელი მოგვიანებით, 1885 წ. იმავე „დროებაში“ დაბეჭდილ სტატიაში - „ხმა ახალაღებულ უდაბნოდად“ (12/7, #148, გვ. 2-3), არტანუჯელთა სურვილის შესახებ გვამცნობს, რომელთაც მოუთხოვიათ, „...რომ არდანუჯში სკოლა გაეხსნათ მთელი სოფლების და დაბის ხალხისათვის, როგორც მაჰმადიანებისა, ეგრეთვე ქრისტიანებისათვის. ოსმალის დროიდან დარჩენილი სკოლის სახლიც დაუთმეს ამ სამადლო საქმისათვის, მაგრამ,...“ კაბინეტში მწვანე მაუდგადაკრულ საწერ მაგიდასთან მჯდომ მავანს (სავარაუდოდ რუსის მოხელე იგულისხმება), მეტისმეტად მოსჩვენებია ამდენი ხარჯის გაღება და ეს სასიკეთოდ წამოწყებული საქმე ჩაშლილა. (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008, გვ. 179)

ამ საქმის მსგავსად, ქართული ეროვნული იდეით გაერთიანებული საზოგადოების ქვეყნის და პირველ რიგში რეგიონის მაცხოვრებელთა სასიკეთოდ წამოწყებული არაერთი საქმე ჩაშალა „მწვანე მაუდგადაკრულ საწერ მაგიდასთან მჯდომმა“ ოფიცოზმა. განსაკუთრებით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიურობა და ორგანიზებულობა აღიზიანებდა.

ბათუმის გარდა, 1886 წელს, ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექციამ გონიოში, სოფ. მარადიდში გახსნა პირველი ქართული სკოლა. (საბაშვილი, 2017, გვ. 41-42) მარადიდში სკოლის გახსნის ფაქტს ზ. ჭიჭინაძე მოიხსენიებს, მხოლოდ სხვა გარემოებების მიხედვით: „პირველათ ამათში ქართული სკოლა გახსნა ახმედ ეფენდი ხალვაშმა 1889 წ. დაბა მარადიდში. სკოლა მალე დაიხურა, რადგანაც სასულიერო წოდება აეწინააღმდეგა.“ (ჭიჭინაძე, 1911-1912, გვ. 264) როგორც ჩანს, აქ კერძო სკოლაზეა საუბარი.

სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავავლებთ თვალს, ბათუმში სასკოლო დაწესებულებათა რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა. განათლების სამინისტროს ნებართვით 1889 წელს ბათუმში გაიხსნა სამკლასიანი სასწავლებელი. 1887 წელს სკოლა - სომეხ გრიგორიანებისთვის, ხოლო 1890 წელს ბერძნული სკოლა აშენდა. ქალაქის თავის, ლუკა ასათიანის ძალისხმევით პეტერბურგიდან მიღებული ნებართვის საფუძველზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამონახული სახსრებით 1897 წლის გაიხსნა ბათუმის ვაჟთა კლასიკური გიმნაზია ერთი მოსამზადებელი და ორი პირველი კლასით. მოწინავე ინტელიგენციის მხარდაჭერით ისევ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამონახული სახსრებით 1900 წელს 140 მოსწავლისთვის გახსნა ქალთა გიმნაზიაც. გაიხსნა ასევე არაერთი კერძო სკოლა: პალიევას (1888 წ.), ლებედევას (1893 წ.), ჟელტუხინას (1902 წ.), მეფისოვას (1903 წ.) და ბერაიას (1912 წ.) რუსულენოვანი კერძო სასწავლებლები, რომლებშიც მეცადინეობა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ვერც იმპერიული რუსეთის მიერ დაარსებული სასწავლებლები და ვერც ამ პერიოდში გახსნილი კერძო სკოლები ჩაითვლებოდა „ცოდნის წყაროდ“ და ვერ უზრუნველყოფდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. სკოლადამთავრებულები ვერც საჭირო განათლებას დებულობდნენ და ხელობასაც ვერ ეუფლებოდნენ. თუმცა გარკვეული წვლილი მაინც შეიტანეს მოსახლეობაში ელემენტარული განათლების, წერა-კითხვის გავრცელების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

აღნიშნულ სკოლებში ძირითადად სწავლობდნენ ბათუმის მაცხოვრებლები, ზემო აჭარის სოფლების მოსახლეობას კი ამ სკოლასთან წვდომაც კი არ ჰქონდათ, გარდა რამდენიმე ბეგის შვილისა.

ასევე ართვინის, შავშეთისა და არტაანის მაცხოვრებლები ისევ ყურადღებისა და მზრუნველობის მიღმა რჩებოდნენ. ამიტომ წერდა ს. ასლანიშვილი გულდაწყვეტით „ივერიაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციაში „ჰაეროსტატიტ ტანტალი“: „საუკუნის ერთი მეთაუდის განმავლობაში რა ვაკეთებ ჩვენ, ქართველებმა, ამ ახალაღებულ მხარეს? პასუხი ძალიან მოკლეა: არაფერი, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ქართველი ან სამსახურის მიზეზით, ანუ სამეცნიერო აზრით ესტუმრებოდა ართვინის მაზრას და მოაგონებდა აქაურ გამაჰმადიანებულ ქართველებს, რომ თქვენი მამა-პაპა ქართველნი იყვნენო და სხვა მეტი არაფერი, ამით თავდებოდა საქმე.“

არადა, მართლაც შეხსენება ისტორიული გარემოებით ამოყვანილ ფანატიკოსობის მაგარ კედელს რას დააკლებდა. აქ უფრო მეტი ძალისხმევა, სხვაგვარი ქმედებანი იყო საჭირო, ნაყოფი რომ მოეტანა. აქაურებმა თავადაც იცოდნენ „გურჯები“ რომ იყვნენ, მაგრამ თითქმის მაცხოვრებლების მესამედი ოსმალეთის სხვადასხვა მხარეში გადაიხვეწა და დარჩენილებიც შემთხვევას ემებდნენ თავიანთი სამშობლოს სამუდამოდ დასატოვებლად.

პუბლიცისტის აზრით, ამ პროცესის შეჩერებაში ქართული სასწავლებლების გახსნა მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა, რისთვისაც საქველმოქმედო საზოგადოების გააქტიურება იყო საჭირო. ამ მიზანს ემსახურებოდა ამავე სტატიაში ერთ საინტერესო დეტალზე ყურადღების გამახვილება - ართვინის მაზრაში განათლებასთან მიმართებაში სომხების შესამჩნევ ქმედებაზე; კათოლიკე და გრიგორიანულ ეკლესიასთან გამართულ სასწავლებლებზე, რომლებშიც მშობლიურ (სომხურ) ენასთან ერთად რუსულ ენასაც ასწავლიდნენ. „სამი წელიწადია, გრიგორიანებმა გაჰმართეს ვაჟების და ქალების სასწავლებელი, რომელსაც აძლევენ დიდ შემწეობას სომხების ქველმოქმედების საზოგადოებანი. არდანუჯშიც ააშენეს მშვენიერი, ახლად-ახალი ქვითკირის სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს 90 შავირდი. ამ სასწავლებლის გარდა ართვინში არის ორკლასიანი, ნორმალური სასწავლებელი 60-70 შეგირდით.“ - წერს პუბლიცისტი. (ასლანიშვილი-ბავრელი, 2008, გვ. 183)

როგორც ცნობილია, 1884 წლიდან რუსულმა მმართველობამ „წკგს-ს“ კერძო სკოლების დაარსება აუკრძალა (ივერია, 1894), რადგან მეფის რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა ეროვნული ცნობიერების ამადლებზე ზრუნვა, თუმცა ეს აკრძალვა მხოლოდ ქართულ სკოლებზე ვრცელდებოდა. „საზოგადოებამ“ გადაწყვიტა სხვა მიმართულებით წარემართა საგანმანათლებლო საქმიანობა - გაეხსნა სამკითხველოები, შეეწყო ხელი კერძო წიგნსაცავების დაარსებისთვის (ივერია, 1896), საგამომცემლო საქმიანობისათვის (ქ. ბათუმში ჯერ კიდევ 1879 წელს დააარსა სტამბა ალ. მახარაძემ), საბიბლიოთეკო ქსელის ჩამოყალიბებისათვის და ასე აღესრულებინათ „წკგს-ს“ „ღვთიური ვალი“ - საყოველთაო კუთვნილებად გაეხადათ წერა-კითხვა, სულ უკანასკნელ და უშორეს, მივარდნილ ადგილას მცხოვრები ქართველის ოჯახშიც შეეტანა ქართული წიგნი, ქართველი ერის უკეთესი შვილების სული დაეტრიალებინა ყველა მათგანის სახლში; დაერწმუნებინა, რომ „წიგნი უმთავრესი იარაღია ადამიანის განვითარებისა“ (ივერია, 1895) (მე-19 საუკუნის ბოლოს ბათუმში ჯერ კიდევ არ არსებობდა საქალაქო ბიბლიოთეკა. იგი გახსნილა 1900 წელს, მაგრამ წიგნადი ფონდი ძლიერ ცოტა ყოფილა).

ამ საქმეს მისიონერი სჭირდებოდა და ამ რთული, მაგრამ საპატიო მისიის შესრულება საზოგადოების ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ - ზაქარია ჭიჭინაძემ იტვირთა, რომელმაც როგორც ინტელექტუალურად, ისე პრაქტიკულად განუზომელი ღვაწლი

დასდო რეგიონს თავისი საგანმანათლებლო საქმიანობით, არაერთი ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა (20-ზე მეტი წიგნადაა გამოცემული) „ოსმალის ყოფილ საქართველოს“ წარსულსა და აწმყოში არსებული პრობლემების, მათი წარმოქმნის მიზეზებისა და შედეგების გაანალიზებასა, რაც ერთი მხრივ ემსახურებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება-გაღვივებას, მეორე მხრივ, ამ პრობლემათა მიმართ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას.

მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ განათლების თვალსაზრისით რეგიონში არსებული სავალალო მდგომარეობის განხილვას უკავია. იგი საზოგადოებას შეახსენებს აქ არსებული საგანმანათლებლო კერების დიდებულ წარსულს. კერძოდ, ხახულის ტაძრის გვერდით არსებულ სასწავლებლსა და მის ახალ იოანე ოქროპირად მოხსენიებულ ხელმძღვანელს, რომელმაც გააბრწყინა ხახულის სასწავლებელი; გამოზარდა, გაამწერა, წიგნთა თარგმნა და გადაწერა ასწავლა ხახულის ხეობის ქართველებს (ჭიჭინაძე, 1911-1912, გვ. 6). ასევე შატბერდის ძველად სიმდიდრითა და ეკლესიის ხელოვნებით დიდად განთქმულ და გაბრწყინებულ ტაძრს და მის გვერდით არსებულ დიდ სასწავლებელს, რომლის მეოხებით მთელ კლარჯეთში მოიფინა სამღთო სწავლა და წიგნების გადაწერა (ჭიჭინაძე, 1911-1912, გვ. 9); ტბეთის ტაძრსა და მის გვერდით არსებულ შესანიშნავ სასწავლებელს, სადაც გამოჩენილ მტბევართა მეოხებით ბევრი შესანიშნავი მწიგნობარი ქართველი აღზრდილა. აქაურ მაგალობელთა ღვაწლს, რომლებსაც „განუმშვენებიათ ქართული გალობა და ნოტებიც შემოუღიათ...“ (ჭიჭინაძე, 1911-1912, გვ. 10) მოიხსენიებს ამ სასწავლებლის კედლებში აღზრდილ გამოჩენილ სწავლულთა სახელებს, სასულიერო მწერლებსა და მთარგმნელებს: გიორგი მთაწმინდელს, ექვთიმე ათონელს, იოანე პეტრიწს, ჭიმჭიმელს. საერო მწერლებს, მათ შორის იოანე შავთელს, შოთა რუსთაველსა და სხვა „გამოჩენილ ბრძენ ქართველ მწერალს.“ (ჭიჭინაძე, 1911-1912, გვ. 12)

ამ ბუმბერაზი, გენიოსი ადამიანების აღმზრდელი მხარე როგორ იქცა ჟამთა სიავისა თუ ბედუკუდმართობის გამო გაუკაცრიელებულ, გაუნათლებელ, გაველურებულ ადგილად, ამის მიზეზების ახსნას ემსახურებოდა „ზაქარია ეფენდის“, როგორც მას აჭარაში პატივისცემის ნიშნად სიყვარულით მოიხსენიებდნენ, ნაშრომები: „ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი“ (ბათუმი, 1912 წ.), „მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში,“ (თბ., 1913 წ.) „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირი-ემიგრაცია“ (თბ., 1914 წ.) და სხვა.

ცხადია, მას ჰქონდა ინფორმაცია ამ რეგიონში არსებული სასწავლო დაწესებულებების შესახებ და ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში აღწერს კიდეც, მაგრამ, გ. ყაზბეგის მსგავსად, „ცოდნის წყაროდ“ არ თვლიდა მათ. ასევე იცოდა იმ საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ, რასაც ოსმალეთის მთავრობა ახორციელებდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. იგი ქართველთა მაჰმადიანთა შვილების გაგზავნას სახელმწიფოს ხარჯზე ოსმალურ, მით უფრო სამხედრო და სასულიერო სასწავლებლებში არასასურველად მიიჩნევდა, რადგან ამაში „კეთილ აზრს“ ვერ ხედავდა და კიდეც ერთ „მოწყალეობად“ მოიხსენიებდა: „სწავლა რასაკვირველია კარგია და ეს ჩვენც უნდა გაგვხარებოდა, რადგანაც ქართველ მაჰმადიანები რაკი ოსმალის სკოლებში მიიღებდნენ სწავლას, იქ როგორც ევროპიელთა ერთა მახლობლათ მაინც მყოფნი ოსმალთა ზოგ სასწავლებელში ფრანგულ ენასაც ისწავლიდნენ, მასთან საზოგადო ისტორიიდან ცოტა რამ საგნებსაც გაიცნობდნენ, მათთვის ცხადი იქნებოდა ის ნათელიჭემმარტება, რომ იგინი ქართველები არიან, რომ მათი ქვეყანა საქართველოა, მათი ენაც ქართული და მათი ენის წიგნიც სხვა არის...“ - წერდა იგი. (ჭიჭინაძე, 1911-1912, გვ. 223)

„უმალეს სიამოვნებას“ ჰგვრის სწორედ ოსმალურ სასწავლებელში განათლებამიღებულ ქართველ ახალგაზრდებთან შეხვედრა: „...ვნახე ტრაპიზონის სამხედრო სკოლის მოსწავლენი, რომელთაც პირველ დაწყებითი სწავლა ბათუმის ქართველთა წ.კ.გ.ს.-ის სკოლაში მიუღიათ. ესენი დღეს ამ სკოლას დიდი პატივისცემით იხსენიებენ. ამ სკოლიდამ გატანილის მოწმობით ჩვენ თავისუფლად შევედით ტრაპიზონის ოსმალთა სამხედრო სკოლაში და საქართველოდან წაღებული „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ დღესაც-კი გვაქვს აქ შენახული და ხშირად ვკითხულობთ ხოლმეო. (ჭიჭინაძე, 1913, გვ. 58-59) მათ ვინაობას არ ასახელებს, თუმცა აღტაცებით ლაპარაკობს მათზე, ვისაც საკუთარი იდენტობა არა თუ დაუკარგავთ, პირიქით ამაცობენ თავისი ქართველობით და გული შეტკივით მასზე. უფრო მეტად ჩაღრმავებიან საკუთარ ფესვებს და მეტის გაგება მოუწყადინებიათ მის შესახებ.

ტრაპიზონის სკოლის დამთავრების შემდეგ ოსმალის მთავრობას გერმანიაში გაუგზავნიათ სამხედრო სკოლაში სასწავლებლად, რომელიც წარმატებით დაუმთავრებიათ. კარგად შეუსწავლიათ ფრანგული ენა და თავიანთი სამშობლო ქვეყნის შესახებ მ. ბროსეს მიერ ფრანგულად ნათარგმნი „ქართლის ცხოვრებიდან“ და ვახუშტის „გეოგრაფიიდან“ ამოუკითხიათ.. 1890 წ. ეს გრ. გურიელთან მოსულან და სთხოვეს ქართულ ენაზე „ქართლის ცხოვრების“ და ვახუშტის გეოგრაფიის შოვნა, რათა მშობლიურ ენაზე წაეკითხათ ისინი. „ჩვენ ქართველები ვართ, ოსმალის საქართველო დიდაა, ჩვენ ჩვენის ისტორიის გაგება გვინდა, მაგრამ საუბედუროდ, ოსმალთ ამის შესახებ არაფერი უწერიათო. ჩვენი ხალხი, რაც უნდა ფანატიკოსი იყოს და მოძულე ქართველთა, ბოლოს, განათლების მეოხებით, რაკი თავის

ქვეყნის ისტორიას გაიცნობს და თავის შთამომავლობასა, უეჭველად მოყვარე გახდება საქართველოსი და ქართველთა. ამას დიდი ღარი და ხაზი არ უნდაო.“ - აღფრთოვანებით წერდა ზ. ჭიჭინაძე. (ჭიჭინაძე, 1913, გვ. 59)

სწორედ ასეთ ქართულ ენასა და წიგნს მოკლებულ ქართველთათვის ძალასა და ენერჯიას არ იშურებდა, სოფელ-სოფელ დადიოდა, საჩუქრად ჩაჰქონდა საკუთარი სახსრებითა თუ წკგს-ს ძალისხმევითა და ორგანიზებით შეგროვილი წიგნები და ურიგებდა ადგილობრივებს საზრდოს სულისას. იგი არა მარტო ავრცელებდა დედაენას, თავადვე გზადაგზა უკითხავდა წიგნებს და ასწავლიდა მსურველებს ქართულ წერა-კითხვას. აკვირდებოდა მათ რეაქციას, ითვალისწინებდა მათ აზრს და აწვდიდა წკგს-ს გასათვალისწინებელი რჩევებისა თუ რეკომენდაციების სახით: როგორი უნდა ყოფილიყო წიგნები, რომლებიც უნდა გაეცვრცელებინა ქართველ მაჰმადიანებში. „ისეთი წიგნების ბეჭდვა დავიწყეთ, რომლებიც ადვილი გასაგებიც იქნება, მცირედენს სარგებლობას მოუტანს და მალეც გავრცელდება მათ შორის“- წერდა იგი „ივერიაში“ 1892 წ. (#38). (ივერია, 1892)

ახარებდა ის ფაქტი, რომ მის მიერ ჩატანილი ათასობით წიგნი მოფენილი იყო მთელს ხეობაზე და უკვე ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდა ქართული ანბანის მცოდნეებს. ყველაზე დიდ სიამოვნებას სწავლისადმი და წიგნისადმი ბავშვების მხრიდან გამოჩენილი ინტერესი ანიჭებდა, მათი გაბრწყინებული სახეები: „სწორედ გული ეტკინება კაცს, როცა ამ მხარის პატარა ბავშვსა ნახავს, ესენი ქართულის პატარა წიგნებით დადიან, ეხვეწებიან, იმუდარებიან, ქართული ანბანი შეგვასწავლეთო. დიდსა და პატარას ქართული წიგნები ყანებშიც კი დააქვთ, დასვენების დროს შიგ ჩასციცინებენ და ანბანს სწავლობენ.“ (ჭიჭინაძე, 1913, გვ. 70)

განსაკუთრებით ლ. აღნიაშვილის მიერ შედგენილი და 1892-93 რვა ნაწილად დაბეჭდილი „ახალი ანბანი“ მოსწონებიათ. უფროსების გულების მოგებას კი, მათი წესისამებრ, მეჩეთებში ფეხშიშველი სიარულითადა და მათთან ერთად ლოცვით ცდილობდა. მათი ნდობის მოსაპოვებლად და სულიერი კავშირის გასაღრმავებლად პეტრე მირიანაშვილის მიერ ნათარგმნი ყურანი და ქართული ანბანით დაბეჭდილი ლოცვები ჩაუტანა. „სჯული ისლამის, ტომს და ქართველობას არ უნდა უშლიდეს და არც უნდა სპობდეს მას, - ამბობდა იგი. (ჭიჭინაძე, 1911-1912, გვ. 225) სწორედ მან გააცნო ქართული სამწიგნობრო კულტურა მაჭახელელ მუსლიმ სასულიერო პირებს, ვინც მეოცე საუკუნის 20-იან წლებშიც კი მუსლიმურ ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ადავლენდნენ.

ზაქარია ეფენდის მისიონერულმა მოღვაწეობამ ღრმა კვალი დატოვა ადგილობრივთა ცნობიერებაში. მან შეძლო სწორი კომუნიკაცია დაემყარებინა გაუცხოებულ თანამომძმებთან; ღირსეული მოპყრობით, ურთიერთპატივისცემით, ემპათიით, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მოეპოვებინა ნდობა, გაეღვივებინა მათ გულში ქართული სამწიგნობრო კულტურისადმი ინტერესი; გაეჩინა საკუთარი ფესვების ძიების წყურვილი და ეროვნული თვითშეგნების ამალღებისაკენ მოემართა.

წკგს-ის კიდევ ერთმა მისიონერმა ივ. გვარამაძემ დიდი ამაგი დასდო მესხეთის სახალხო განათლების საქმეს: იბრძოდა მშობლიურ ენაზე სწავლების დამკვიდრებისა და ჯანსაღი პედაგოგიური მეთოდებით სწავლების წარმართვისათვის. შემთხვევით არ შეირჩა იგი იაკობ გოგებაშვილის რეკომენდაციით სამცხე-ჯავახეთში საზოგადოების გამგეობის წარმომადგენელად. საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა დედამისიც - *მარიამ ბაღდოშვილი*. მას დაარსებული ჰქონდა *საოჯახო სკოლა ვალეში, რომელიც სამცხე-ჯავახეთში ქალთა განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. მასში სწავლობდნენ როგორც ქრისტიანი (მართლმადიდებელი და კათოლიკე), ისე მაჰმადიანი გოგონები და სკოლა არა მარტო საგანმანათლებლო მისიას ასრულებდა, არამედ ხელს უწყობდა ეროვნული ნიშნის ქვეშ სხვადასხვა სარწმუნოების მქონე გოგონების გაერთიანებას, მათში ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას.*

საგანმანათლებლო იდეებიც და წინაპართა ანდერძიც, „დედაენა და ერთობა“, ივ. გვარამაძეს ბავშვობიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული. „სამშობლო მისთვის შემრგვა / ვინც დედა-ენა იცისო, / ვინც არა, აღარც კაცია / არა მწამს მისი ფიცო“ - ხიზაბავრელების მიერ გალექსილი ეს ფრაზა მთელი მესხეთის ქართველობისთვის მოწოდებად და მიზნად უნდა გადაქცეულიყო ივ. გვარამაძის აზრით, რადგანაც მას მშობლიური ენა მიაჩნდა ყოველი ერის „თავმოყვარეობის დამცველად“ და დრო იყო მათაც აღედგინათ და დაეცვთ ძველთაძველი, მდიდარი და საამაყო დედა ენა. თავადაც ამ რეგიონის მკვიდრი და გულშემატკივარი წერდა და თარგმნიდა სასკოლო წიგნებს, რომელსაც იყენებდა თავის პედაგოგიურ საქმიანობაში; აქტიურად იღვწოდა მესხეთში ქართული წიგნებისა და პერიოდული გამოცემების გავრცელებისათვის...

ქართულ სასწავლო და საკითხავ წიგნებს, საბავშვო ჟურნალებსა და კრებულებს წკგს არა მარტო ოსმალის საქართველოში და სამცხე-ჯავახეთში, არამედ სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრში, კათოლიკურ ეკლესიასთან გახსნილ ქართულ სკოლაშიც გზავნიდა, სადაც მესხეთიდან გაგზავნილი

ბავშვები და მოჰაჯირთა შვილები სწავლობდნენ: „დედა ენები“ რიგდება აქაურ მუსულმან ქართველებში, მათის თხოვნისამებრ და აგრეთვე კათოლიკე ბავშვებში. ორგანვე ნელ-ნელა ეჩვევიან კითხვას... ჯეჯილ-ნაკადულები, სახელმძღვანელოები და სხვა საბავშვო წიგნები გარდაეცა მონასტრის შკოლის საბავშვო ბიბლიოთეკის შესადგენად.“ - ვკითხულობთ 1911 წლის 15 თებერვლის „სახალხო გაზეთში“ ფარსმანის ფსევდონიმით დაბეჭდილ სტატიაში „სტამბოლის ქართველობა“. ეს ის ცენტრია, სტამბოლის ქართულ სავანედ რომ მონათლეს და უცხოეთში ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე, რომელმაც განუზომლად დიდი როლი ითამაშა „ჩვენებურების“ ცხოვრებაში; ფიზიკურ და სულიერ თავშესაფრად იქცა არაერთი ქართველისათვის, მათ შორის გასაბჭოების შედეგად დევნილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრებისათვის. (იხ. შ. ფუტკარაძის „სტამბოლის ქართული სავანე“, 2012 წ.)

40 წელი (1878-1918) არც თუ მცირე დროა ერის ცნობიერებაში გარდამტეხი ცვლილებების მოსახდენად, თუკი ამისთვის ხელისუფალთა მხრიდან არსებობს ნება მიზანმიმართული პოლიტიკის გასატარებლად. მაგრამ, როცა ქვეყანას „ხელის უფლება“ ჩამორთმეული აქვს, საკუთარი „თავი თავად არ ეყუდნის“ და მმართველობის სადავე უპყრია ძალას, რომელსაც რადიკალურად განსხვავებული, სათავისო მისწრაფებები ამოძრავებს და ყოველმხრივ ცდილობს შეზღუდოს და შეაფერხოს ეროვნული ინტერესი, მნიშვნელოვანი შედეგის მოლოდინზე საუბარიც კი შეუძლებელია. მართალია, დროის სიმცირის გამო, მნიშვნელოვანი შედეგი ვერც საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921) განხორციელებულ საგანმანათლებლო რეფორმას, ხელშემწყობი გარემო პირობების შესაქმნელად გადადგმულ თანმიმდევრულ ნაბიჯებს დასცალდა (იხ. გ. საყვარელიძე, მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა 1918-1921 წწ.)... თუმცა, სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკა რომ მძლავრი მექანიზმია ნაციონალური იდენტობის ფორმირებისათვის, უდავოა. ჩვენი კვლევის სამიზნე ორმოცწლიან პერიოდს უკვალოდ არ ჩაუვლია. ბედის ბორბლის კვლავ უკუღმა დატრიალების გამო, მავთულხლართებს მიღმა დარჩენილ რეგიონში რომ დღემდე არ გამქრალა ეროვნული იდენტობა, არ წაშლილა ეროვნული მეხსიერება და დღემდე ისმის ქართული ენა, ამაში გარკვეული წვლილი სწორედ ამ „ერთობის პერიოდს“ მიუძღვის და ქართველ განმანათლებელთა ძალისხმევის შედეგაცაა.

დასკვნა

ერთობამ, რომელმაც მხოლოდ ოთხი ათეული წელი გასტანა, ამერ-იმერ ქართველთა ურთიერთობაში, ზოგადად ეროვნული ცნობიერების გააზრებასა და თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, უდავოდ დიდი როლი შეასრულა; უამრავ საკითხზე დაფიქრების, პრობლემების სხვაგვარად განჭვრეტა-გააზრებისა და შეფასების, ჭეშმარიტი ღირებულებებისა და ფასეულობების სხვა პერსექტივიდან დანახვის შესაძლებლობა გააჩინა.

დაადასტურა, რომ სწორი კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია გაუცხოებულ თანამომძმეთა შორის ურთიერთობის აღდგენისა და მოწესრიგებისათვის. ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის განსახორციელებლად დაგეგმილი ღონისძიებების დროულად და სწრაფად გატარება, მასში საზოგადოების აქტიური ჩართულობა კი მნიშვნელოვანწილად ამაღლებს დადებით ეფექტს.

ზოგადად, სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკა მძლავრი მექანიზმი და საიმედო ხიდია „ჟამთა სიავის“ გამო ფიზიკურად და სულიერად დაშორებულ თანამომძმეთა დასახლოებლად და შესაკავშირებლად. ამგვარი ხიდების აგებაზე ფიქრი და ზრუნვა კი დღევანდელი საზოგადოებისთვისაც აქტუალურია, ვინაიდან, დღის წესრიგში ისევ რჩება როგორც განათლების მიმართულებით არსებული თავსატეხები, ისე ბედის უკუღმართობით მშობლიურ კალთას მოგლეჯილი რეგიონების დაბრუნების პერსპექტივა და ამ ნანატრი დღის დადგომის ჟამს, არცთუ შორეულ წარსულში ისტორიის გაკვეთილებიდან მიღებული გამოცდილება ჩვენს წინაშე მოსალოდნელ გამოწვევათა სათანადოდ გააზრებასა და სწორი ორიენტირების განსაზღვრაში დაგვეხმარება.

ბიბლიოგრაფია:

- ასლანიშვილი-ბავრელი, ს. (2008). *წერილები „ოსმალის საქართველოზე“*. თბილისი.
- ბაქრაძე, დ. (1987). *არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში*. ბათუმი: საბჭოთა აჭარა.
- გოგებაშვილი, ი. (1940). *რჩეული ნაწერები ორ ტომად* (ტ. II). თბილისი: სახელგამი.
- გოგებაშვილი, ი. (1986). *საგანძური*. თბილისი.
- გუჯეჯიანი, რ., & ფუტკარაძე, ტ. (2010). *მელაშვილი - დიდი ქართველი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.chveneburi.net/ka/axmed-melashvili-didi-qartveli-1922-1980-makale,34.html>
- დროება*. (1878 წლის 23 ნოემბერი). #239.

- ზვიადაძე, ს. (2021 წლის 17 იანვარი). *ისტორიული კონტექსტი - აჭარის მრავალი „დაბრუნება“*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://socialjustice.org.ge/ka/products/istoriuli-konteksti-acharis-mravali-dabruneba>
- ივერია. (1892). #38.
- ივერია. (1894). #103.
- ივერია. (1895). #8.
- ივერია. (1896). #102.
- მანია, ქ. (2019). „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ როგორც ეროვნული მეხსიერების ადგილი (ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით). *ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები* (XVII-XVIII), გვ. 124-133. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.academia.edu/43514146/ქ>
- მანია, ქ. (2015). „ოსმალის საქართველოს“ გამაჰმადიანების პროცესი და ქართული იდენტობა („ივერიის“ ზაქარია ჭიჭინაძისეული პუბლიკაციების მიხედვით). *ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები*. თბილისი: 60-79. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.academia.edu/37172987>
- ნიკოლეიშვილი, ა. (2015). *ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლობა თურქეთში*. ქუთაისი.
- რაღე, გ. (2018). *ოსმალის საქართველოს შესახებ*. თბილისი: არტანუჯი.
- საბაშვილი, გ. (2017). *მე-19 საუკუნის სამუსლიმანო საქართველო ქართულ დოკუმენტურ-მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში. სადოქტორო დისერტაცია*. ბათუმი: ბსუ.
- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (2008). *აჭარა* (ტ. 3). ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- საყვარელიძე, გ. (1990). *მკვდრებით აღდგომა ქართული სკოლისა 1918-1921 წწ.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ტაო-კლარჯეთი - ისტორიულ-კულტურული ნარკვევი*. (2018). თბილისი: არტანუჯი.
- ყაზბეგი, გ. (1995). *სამი თვე თურქეთის საქართველოში: მოგზაურის ჩანაწერები*. ბათუმი.
- ყრუაშვილი, ნ. (2011 წლის 14 აპრილი). *განათლების კერები მესხეთში*. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://axaliganatleba.ge/index.php?module=multi&page=details&multi_id=2&id=74
- ჩელები, ე. (1971). *მოგზაურობის წიგნი*. თბილისი: მეცნიერება.
- ჭავჭავაძე, ი. (1957). *თბზულებანი*. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.
- ჭიჭინაძე, ზ. (1911-1912). *ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი*. ბათუმი.
- ჭიჭინაძე, ზ. (1913). *მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში*. ტფილისი.
- ხვედელიანი, ა. (2020). *სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა, როგორც ნაციონალური იდენტობის ფორმირების მექანიზმი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)*. სპეკალი (#14). მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/14/247>
- Öztürk, A. (2007). *Eğitim Tarihinde Artvin*. Retrieved from <http://artvinrehberi.blogspot.com/2007/12/eitim-tarihinde-artvin.html>

Sophio Makhachashvili
Recep Tayyip Erdoğan University of Rize
EDUCATIONAL PARADIGM IN THE OTTOMAN GEORGIA 1878-1921
RESUME

In the second half of the 19th century, one of the most acute and urgent problems - the situation in the field of education - was the subject of active judgment of the advanced Georgian society of that time. It is in this field that dealing with contemporary challenges of the era has become the main concern of Georgian educators who are convinced of the non-alternativeness of education for the development perspective of the nation and the country. The area of their care included the whole of Georgia. Since the end of the 70s, special attention has been directed to South-West Georgia, the region that returned to its native land after three years of separation and alienation; They saw education as a short way to reach the hearts of fellow citizens, and directing all their efforts towards it was considered the most effective way to fill the gap of alienation.

From the perspective of years and centuries, trying to rationally understand and evaluate the results of the measures implemented in this direction, and to draw appropriate conclusions, is the topic presented for discussion in the

present article: the paradigm of education in Ottoman Georgia. Since the challenges in the field of education remain relevant even in the modern era and the prospect of returning the regions torn from their native land by the reversal of fortune, we think that the experience gained from the lessons of history in the not-so-distant past will help us to properly understand the problems expected before us and to choose the right orientation.

What information did the Georgian society have in 1877-78? As a result of the developments in South-West Georgia, the newly joined party, as Iliia Chavchavadze baptized "Ottoman Georgia", about the current situation in the field of education; What is the attitude towards the mentioned topic in the press and journalism of that time; What was the education system of the region according to reports in the Turkish news space; What was the real situation in the field of education from the point of view of eyewitnesses; What was done after the accession - to change the existing situation in 1878-1921 and how much what was done was enough; What was the impact of the educational policy implemented in the mentioned years on the development of the region.

The purpose of this article is representation of these issues in order to make the reader think once again about the importance of timely implementation of effective measures and public involvement in the implementation of the national educational policy; On the role of correct communication in the most difficult process of restoring and regulating relations between estranged relatives.

The article will be of interest to people working on issues of education, history and conflictology.

Keywords: Education paradigm, Community involvement, Correct communication, Results.

*ნოდარ მირაზანაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური წანამძღვრები სასწავლო მოქმედების შინაარსში

საკვანძო სიტყვები: ესთეტიკური, მხატვრული, ხელოვნება, მოზარდობის ასაკი.

ხელოვნება, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, ასახავს და აჩვენებს რა სამყაროს თავის მთლიანობაში, დიდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე, ღრმა კვალს ტოვებს მის ცნობიერებაზე, გრძნობად ემოციურ სამყაროზე. აქედან გამომდინარე, მეტად დიდია და შესამჩნევი ხელოვნების სააღმზრდელო ზემოქმედების ძალა. იგი ზრდის და აყალიბებს ადამიანურ შესაძლებლობებს, გარკვეულ მიმართულებებს აძლევს პიროვნული თავისებურებების ფორმირების პროცესს.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში სიტყვათშეთანხმება „ესთეტიკური გემოვნება“ და „მხატვრული გემოვნება“ პარალელურად გამოიყენება. ამასთან ცხადია, რომ ცნება „ესთეტიკური გემოვნება“ გაცილებით ფართოა და არსებითად მოიცავს „მხატვრული გემოვნების“ სფეროსაც. სპეციალისტები თვლიან, რომ „მხატვრული გემოვნების“ ცნება უფრო მისადაგებელია ხელოვნების სფეროსადმი და სწორედ ამ მიმართებაში უნდა იქნას განხილული. ვ. სკატერშჩიკოვის აზრით „...მხატვრული გემოვნება ეს იგივე ესთეტიკური გემოვნებაა, ოღონდ მხატვრული შემოქმედების სფეროში“. სპეციალურ ლიტერატურაში, ენციკლოპედიურ ლექსიკონებსა და ცნობარებში ადამიანის მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება განმარტებულია, როგორც პიროვნების დამახასიათებელი თვისება, უნარი, რომლის საფუძველზეც იგი ახდენს სინამდვილის მოვლენების, მათ შორის ხელოვნების შეფასებას. - ა. მოლჩანოვის აზრით, - ესაა მყარი დამოკიდებულება, პიროვნებისეული მიმართება-განწყობა. ამასთან ეს უკანასკნელი არაა პასიური, რომელიც მხოლოდ გარე გამღიზიანებლების ზემოქმედებას ემორჩილება. თავისი ხასიათით იგი აქტიურია და არსებობს გარკვეული საგნებისადმი მოთხოვნილებების სახით“ (Молчанова, 1966, стр. 18).

ადამიანს, როგორც წესი, აქვს გარკვეულ ესთეტიკურ შეხედულებათა სისტემა. ამასთან ეს უკანასკნელი ზოგ შემთხვევაში მხოლოდ გრძნობად-ემოციურ გამოცდილებას ეყრდნობა, ზოგჯერ კი გარკვეული ცოდნა-წარმოდგენების ბაზაზეა ჩამოყალიბებული. გაუნათლებელი ადამიანის ესთეტიკური

შეფასება, როგორც წესი, მარტივია და მხოლოდ გრძნობისმიერ რეაქციებს ემყარება, მაშინ როდესაც სათანადო მხატვრულ-ესთეტიკური განათლების პირობებში შეფასებას უფრო მყარი ხასიათი აქვს. სანდოობის მაღალი დონით გამოირჩევა.

გემოვნების, როგორც პიროვნების ერთ-ერთ უმთავრეს ნიშან-თვისებად წარმოჩენა ნათელს ხდის, რომ მისი განვითარების კანონზომიერებანი უნდა ემორჩილებოდეს პიროვნების განვითარების საერთო ლოგიკას. გამონაკლისი ამ თვალსაზრისით ვერ იქნება ვერც ხელოვნების საშუალებებით პიროვნების აღზრდა.

ცნობილია, რომ სახვითი ხელოვნების ნიმუშებში გარკვეული მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით გადმოცემულია ჩვენ გარშემო არსებული საგნები და მოვლენები, ხალხთა ისტორიული წარსული, ყოფისათვის დამახასიათებელი ელემენტები, ფანტასტიკური სიუჟეტები, ბუნების თვალწარმტაცი სურათები. ხელოვანს ყველაფერი ეს გადმოცემული აქვს მხატვრული სახეების მეშვეობით, იგი არა მარტო ასახავს იმას, რასაც ხედავს, არამედ მასში შეაქვს საკუთარი რწმენა-წარმოდგენები და მშვენიერების შესახებ განზოგადებული შეხედულებები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, კერძოდ, მოზარდი, ხელოვნების აღქმის პროცესში უნდა ახერხებდეს განზოგადებული მხატვრული ინფორმაციის მიღებას - მხატვრული სახის ანალიზის გზით. მოზარდი აღქმის პროცესზე დაკვირვებით ადასტურებს, რომ ამგვარი ჩვევა ჯერ კიდევ არ გააჩნიათ, თუმცა განვითარების ასაკობრივ-ფსიქოლოგიური ფონი უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ პედაგოგიურ მუშაობაში მთლიანი აღქმის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვამ თავისი ადგილი დაიჭიროს. ამიტომ მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების პროცესისადმი პედაგოგიური ხელმძღვანელობის სწორი უზრუნველყოფა უპირველეს ყოვლისა საჭიროების სრულად იქნას გამოვლენილი და შემდგომ მუშაობაში გათვალისწინებული მოზარდთა ბიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური მონაცემები, რომლებიც სასწავლო მოქმედების პირობებში საფუძვლად ედება პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას.

ცნობილია, რომ „ყოველი პიროვნება გაივლის ინდივიდუალისათვის საერთოდ დამახასიათებელ ასაკობრივ საფეხურებს, მაგრამ ეს ხდება სხვადასხვა გზით. წარმოიშობა ინდივიდუალური განსხვავებები თვით განვითარების პროცესსა და მის შედეგში, რაც დამოკიდებულია კერძოდ, ნერვული სისტემის ფუნქციონალურ თავისებურებებზე, ფიზიკურ, გონებრივ, ემოციონალურ, ზნეობრივ და სხვა მახასიათებლებზე, ადამიანთა ინტერესების, მიდრეკილებების, უნართა, ტემპერამენტის და, საერთოდ ხასიათის მთლიან თუ ცალკეულ გამოვლინებებზე. ყოველი მათგანი შეიძენს რა მეტ-ნაკლებ სიმყარეს, თავის მხრივ საფუძვლად ედება შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა თუ სწავლაში ცალკეული ადამიანის წარმატებებს“ (Костюк, 1967, стр. 148). ეჭვგარეშეა, რომ მხატვრულ გემოვნებას, რომელიც ხელოვნებისადმი მოზარდის შერჩევა-შეფასებით დამოკიდებულებაში ვლინდება და მისსავე პიროვნულ თვისებად ყალიბდება, ახასიათებს განვითარების ასაკობრივი დინამიკა და ამდენად მისი ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა ადრეული საფეხურიდანვე უნდა იქნას დაწყებული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორგანიზებული სასწავლო მოქმედების პირობებში სასწავლო მასალის შინაარსი და მისი გადაცემის პრაქტიკა უნდა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს მოზარდის ასაკობრივ-ფსიქოლოგიურ შესაძლებლობებს. მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი პიროვნების განვითარების უწყვეტი პროცესის მთლიანი სახით შენარჩუნება.

სპეციალურ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში საკმაო სისრულითაა შესწავლილი მოზარდობის ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. ფსიქოლოგების ლ. ი. ბოჟოვიჩის, ლ. ც. ვიგოტსკის, ვ. ა. კრუტეცკის, ა. ნ. ლეინტივის, ბ. მ. ტეპლოვის, დ. უხნაძის, შ. ჩხარტიშვილის, შ. ნადირაშვილის, მ. ზარანდიას და სხვათა გამოკვლევები გვაძლევს საკმაოდ ზუსტ წარმოდგენას მოზარდთა ასაკობრივი განვითარებისათვის დამახასიათებელი პიროვნულ-ფსიქოლოგიური თავისებურებების შესახებ.

ასაკობრივ ფსიქოლოგიაში მოზარდობის ხანად მიჩნეულია 10-დან 15 წლამდე პერიოდი. ეს სასკოლო პირობებში ძირითადად ემთხვევა IV-VIII კლასებში მოსწავლის ყოფნის დროს. ჩვენი გამოკვლევებისათვის საინტერესოა სწორედ ეს ასაკი, კერძოდ კი IV-VI კლასებში მყოფ მოზარდთ სწავლებისა და აღზრდის პერიოდი. აქედან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნეე მოცემული ასაკის ზოგადი დახასიათებიდან გამოვადინფერენცირით და გამოვყოთ ის კონკრეტული მახასიათებლები, რაც ნიშანდობლივია სწორედ IV-VI კლასის მოსწავლეთათვის და რომელიც უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ მათი მხატვრული გემოვნების განვითარების პროცესში.

ერთ-ერთი უმთავრესი ნიშნი, როცა მოზარდთ ხანა გამოირჩევა, ისაა, რომ ამ ასაკის ბავშვი უკვე 10-11 წლიდან საზოგადოებრივ ცხოვრებას იწყებს საკმაოდ გამოკვეთილი საკუთარი ინტერესებითა და მოთხოვნილებებით. სწორედ ამ ასაკიდან ყალიბდება თვითცნობიერების ტენდენციის ძლიერი ნაკადი, რომელიც თავის მხრივ აღმოცენებულია დიდობის, უფროსების შეგრძნებაზე. მართალია, მოზარდის ქცევაში ჯერ კიდევ საკმაოდ შეინიშნება წინარე, უმცროსი სასკოლო ასაკიდან გადმოყოლილი ცალკეული თავისებურებები, მაგრამ უკვე აშკარად იგრძნობა, რომ მატულობს მოზარდის

პრეტენზიულობის დონე. იგი ითხოვს ანგარიში გაუწიონ, მოეპყრონ ისე, როგორც დიდს. აქედან მოკიდებული მოზარდი ცდილობს თავისი ადგილი დაიმკვიდროს უფროსთა წრეში, თანატოლებში, მეგობრებში. საამისოდ მას უხდება კონტროლი გაუწიოს საკუთარ მოქმედებას, შეაფასოს ისინი იმის მიხედვით, თუ რომელი უწყობს, ან, პირიქით, უშლის ხელს მისთვის სასურველი მდგომარეობის მიღწევაში.

თვითდამკვიდრების ტენდენციის წარმოშობა მოზარდის შემდგომი განვითარებისათვის სერიოზული ბიძგის მიცემა ხდება. ეს იმაში გამოიხატება, რომ იზრდება აქტივობა, მოთხოვნილებები და ინტერესთა სფერო. თუ აღნიშნული პროცესები სწორედ ორგანიზებულ პედაგოგიურ გარემოში განვითარდა, მაშინ იგი პიროვნების ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორად იქცევა. რადგან მოზარდის ინტერესთა სფეროში წარმოშობილი მაღალი აქტივობის გამო ფართო ადგილს იჭერს ცოდნის შეძენისკენ, ახლის გაგებისკენ სწრაფვა. თავისი კონკრეტული სახით ეს უკანასკნელი თვითგანათლებისაკენ, მეტის გაგებისა და შეცნობისაკენ სვლაში ვლინდება, სწორედ ამგვარი მოქმედებისა და მასთან დაკავშირებული შედეგების გამო ფსიქოლოგიაში „მოზარდობის ასაკი მიჩნეულია, როგორც მსოფლმხედველობის, ზნეობრივი წარმოდგენების, პრინციპებისა და იდეალების, შეფასებითი მსჯელობების სისტემის ჩამოყალიბების ხანად. მოზარდი სწორედ მათი მეშვეობით ცდილობს დამკვიდრებას“ (Крутецкий, 1972, стр. 820) ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამ ასაკში თავს იჩენს და ინტენსიურად ვითარდება შეფასებით მსჯელობათა სისტემა, რომელიც მხატვრული გემოვნების განვითარების უშუალო საფუძველს წარმოადგენს.

მეორე და მნიშვნელოვანი გარემოება, რაც შეფასებით მსჯელობებს განსაკუთრებით წონას მატებს, არის ის ფაქტი, რომ სწორედ მოზარდობის ასაკში საფუძველი ეყრება აზროვნების კონკრეტული ფორმიდან აბსტრაქტულზე გადასვლის ეტაპს. ეს ფაქტი კი თავის მხრივ იმაზეც მიანიშნებს, რომ მოზარდის გონებრივი შესაძლებლობები ახალ საფეხურზე ადის. და მასთან მუშობაში ახლებური მიდგომის აუცილებლობასაც აყენებს.

შემდგომი გარემოება, რასაც ასევე პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ის არის, რომ როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, სწორედ მოზარდობის ასაკიდან იკიდებს ფეხს და ყალიბდება ესთეტიკური აზროვნების ტენდენცია. უმცროს სასკოლო ასაკში ესთეტიკური აზროვნება ცალკეული ელემენტების სახით გვხვდება და მას თანმიმდევრული ხასიათი არა აქვს. მოზარდობის ასაკიდან კი ელემენტების გამთლიანების ტენდენცია გააჩნიათ, რაც თავის დაღს ასვამს ინტერესებისა და მოთხოვნილებების განვითარების საკითხსაც. ეს იმაშია გამოხატული, რომ მოზარდები სულ უფრო ხშირად მიიღტვიან ახალი ესთეტიკური ინფორმაციისაკენ, ეცნობიან, კითხულობენ, ათვალიერებენ, უღრმავდებიან სატელევიზიო გადაცემას, კლასგარეშე ლიტერატურას და ა.შ. ამის გამოა, რომ, რომ სწორედ მოზარდობის ასაკში გარკვეულ სამყაროს იძენს შრომის ამა თუ იმ სახეობისადმი მიდრეკილების გამოვლენისაკენ სწრაფვა.

მოზარდთა გარკვეული ნაწილი მტკიცედ ცდილობს გონებრივი შრომით ჩვევების დაუფლებას, ახალი ცოდნის მოპოვებას, ამ თუ იმ სასწავლო საგნის გამორჩევით მის ღრმა შესწავლას, ხელოვნების ცალკეულ დარგებში დასპეციალებას, მეცნიერებისა და ტექნიკის რომელიმე მიმართულების საფუძვლიანად დაუფლებას.

მოზარდების ქცევა-მოქმედებაზე დაკვირვება და მათი გამონათქვამების ანალიზი ადასტურებს, რომ ხელოვნების ნაწარმოებთა მიმართ დამოკიდებულება იძენს მკვეთრად ანალიტიკურ ხასიათს, რასაც თან სდევს ამკარად გამოკვეთილი განწყობილებების გაძლიერება. ცხადია მოზარდის პიროვნების ეს თავისებურებაც გონებრივ-სააზროვნო მოქმედებების გაძლიერებასთანაა დაკავშირებული და მას სწავლების პროცესის სწორად ორგანიზებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მოზარდობის ასაკისათვის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული თავისებურებები, ცხადია, ერთგვაროვანი არ არის მთელი IV-VI კლასების მანძილზე. მე-4 კლასელები მაგალითად სახვითი ხელოვნების ნიმუშების შეფასებისას უმეტესად მაინც საგნობრივი შინაარსის ტყვეობაში არიან და არ მოსწონთ ისეთი ნაწარმოებები, სადაც „არაფერი ხდება“ (პორტრეტი, ნატურმორტი), თუმცა ცალკეული ელემენტების სახით კრიტიკული დამოკიდებულება, მაღალი ცნობისმოყვარეობა და მეტის გაგების ინტერესი მაინც თავისას აკეთებს. ეს გარემოება უკვე მე-5 კლასიდან იჩენს. ამ ასაკის მოსწავლეებთან მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ სულ უფრო ძლიერდება ხელოვნებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების გამოვლენის ტენდენცია, რასაც თან სდევს შედარებით მსჯელობათა გაფართოება. მოსწავლეებს უძლიერდებათ სხვადასხვა ჟანრის ნიმუშებისადმი მისწრაფება. საგულისხმოა, რომ კრიტიკული შეფასების ობიექტი ხდება არა მარტო სახვითი ხელოვნების ნიმუში, არამედ თვით მოზარდის შესაძლებლობებიც. მოსწავლეები შესაფასებლად და მსჯელობისათვის ხშირად ირჩევენ ისეთ ნაწარმოებებს, რომელნიც სიუჟეტური თვალსაზრისით მარტივია. თავის არჩევანს ისინი იმით ასაბუთებენ, ვაითუ ვერ შევძლოთ ჩავწვდეთ იმ ამბავს, რისი გადმოცემაც მხატვარს უნდოდა. ამგვარი

მიდგომა კი იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე კრიტიკულად მოუბრუნდა საკუთარ შესაძლებლობებს. ამგვარი ტენდენციის გაჩენა და განვითარება სამომავლოდ თვითგანათლებისა და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებისაკენ სწრაფვის სერიოზული მამოძრავებელი მოტივი ხდება.

IV-VI კლასელები სულ უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ ისინი მიღებული ესთეტიკური შთაბეჭდილებების საფუძველზე აზრს უზიარებენ ერთმანეთს, ფიქრობენ მართოდ დარჩენილნი ან აკეთებენ ჩანახატებს. ცხადია, ამგვარი რეაქციები შეფასებითი მომენტების გარეშე ვერ იარსებებს და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრული გემოვნების განვითარებისათვის. ეს ტენდენციები გზას უხსნის მხატვრული განათლების ამოცანებზე ზრუნვას. დაკვირვება აჩვენებს, რომ IV-VI კლასელებში მოზარდებს მკვეთრად უძლიერდებათ მისწრაფება ხელოვნების საინტერესო მოვლენებისადმი. ისინი ძალიან დიდი ყურადღებით ისმენენ და იმახსოვრებენ კიდევ საინტერესო ამბებს ცალკეულ მხატვართა ცხოვრების დეტალებს, ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშების შექმნასთან დაკავშირებულ შემოქმედებით ამბებს. ეს ყველაფერი კი საბოლოოდ გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებასა და მოზარდის ესთეტიკურ განვითარებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ IV-VI კლასელები იოლად ითვისებენ ცალკეულ ნაწარმოებთა რეპროდუქციების ანალიზის ხერხებს და თითქმის ყოველ გაკვეთილზე მოითხოვენ ამგვარ დავალებას. ამ მიმართულებით მოზარდთა შინაგანი ესთეტიკური შესაძლებლობების გავარჯიშება კარგ შედეგს იძლევა, რადგან ისინი თანდათანობით მიდიან ხელოვნების ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთიანობით აღქმის აუცილებლობის შეგნებამდე. ეს კი მოზარდის მხატვრული გემოვნების განვითარებაში ყველაზე აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

ბავშვის ქცევის ძირითად ფორმათა შესწავლისას დ. უზნაძე მიუთითებდა, რომ „ყოველ ასაკობრივ საფეხურზე წინა პლანზე გამოდის ქცევის რომელიმე კონკრეტული ფორმა, რომელიც სხვებთან მიმართებაში დომინანტის როლს თამაშობს“ (უზნაძე, 1967, გვ. 427).

ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ ქცევის ძირითად ფორმაში ვლინდება მოცემული ასაკობრივი საფეხურისათვის დამახასიათებელი ყველაზე არსებითი მოთხოვნილებები და ინტერესები. აქედან გამომდინარე, მხარს ვუჭერთ მოსაზრებას, რომ მოზარდობის ასაკში წარმოქმნილი, სააზროვნო მოქმედებისაკენ სწრაფვის ტენდენცია არის მოცემული ასაკობრივი საფეხურისათვის დამახასიათებელი თავისებურება, გარკვეული ფსიქოლოგიური ახალწარმონაქმნი, რომელიც წარმოადგენს საყრდენსა და განმსაზღვრელს მოზარდთა მხატვრული გემოვნების განვითარების პედაგოგიური პროცესის აგებისათვის. ამდენად, სახვითი ხელოვნების საშუალებით მოზარდთ მხატვრული გემოვნების განვითარებისათვის აუცილებელია, ხელოვნების ეს სფერო აქტიურად ჩაერთოს IV-VI კლასელთა აქტიურ სააზროვნო ოპერაციებში, მოხდეს მის შესახებ ცოდნის დაგროვება და აქტიური კრიტიკული დამოკიდებულებების გამოუმუშავება.

„იმისათვის, რომ განიცადო ობიექტისადმი გარკვეული დამოკიდებულება, - სწერდა ბ. ტეპლოვი, - საჭიროა ასე თუ ისე შეიცნო იგი“ (Теплов, 1948, стр. 41). ცხადია, აღნიშნული დებულება ვრცელდება ჩვენი კვლევის ობიექტზეც. მოზარდობის მიმართების საგანს ჩვენ შემთხვევაში სახვითი ხელოვნება წარმოადგენს. მისი აღქმა-შეფასება კი ემოციურ საწყისის გარდა ხელოვნების ნიმუშებში ჩადებული ესთეტიკური ინფორმაციის გაგება-გაცნობიერებასაც საჭიროებს. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ იმასაც ნიშნავს, რომ მოზარდი კარგად დაეუფლოს ხელოვნების ამ დარგის ენობრივ სპეციფიკას, ფორმისა და შინაარსის გადმოცემის თავისებურებებს. თუ ეს დეტალები პედაგოგიური პროცესიდან გამოვრჩა, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ასაკობრივი ფაზის შესაძლებლობები სათანადოდ არაა რეალიზებული და მოზარდის განვითარების ტემპიც არ შეესაბამება ასაკისათვის დასაშვებ ნორმატიულ მონაცემებს. ლ. ი. ბოჟოვიჩის სამართლიანი შენიშვნით „ასაკობრივმა საზღვარმა შეიძლება გადაიწიოს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია კონკრეტულ პირობებში ბავშვის მოქმედების ხასიათი“ (Божович, 1974, стр. 12). სახიფათო და საშიში ისაა, რომ არასწორი პედაგოგიური მუშაობის მეოხებით ასაკობრივმა საზღვარმა „უკან არ გადაიწიოს“ და მოსწავლეს უფროს სასკოლო ასაკში არ მოუხდეს იმის ათვისება, რაც მას მოზარდობისას უნდა შეესწავლა და შეეცნო.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მხატვრული გემოვნების განვითარებისათვის მოზარდობის ასაკში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ის გონებრივ-სააზროვნო ოპერაციები, რომელიც საფუძველად უდევს შეფასებითი მსჯელობების აღმოცენებასა და ჩამოყალიბებას. ჩვენი აზრით, მოზარდობის ასაკი, კერძოდ კი IV-VI კლასები, ამ თვალსაზრისით ოპტიმალურია და ეს გარემოება მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკვე 12 წლისათვის მოზარდის გონებრივი შესაძლებლობები განვითარების ახალ ფაზას აღწევს. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ 10 წლიდან მოზარდის ინტერესები ცვალებადობას განიცდის და მოვლენათა შინაარსისაკენ სწრაფვის მომენტი ადგილს უთმობს ინტელექტუალურ ინტერესებს, რასაც 12 წლის ასაკში საკმაოდ გამოცდილი ხასიათი აქვს (უზნაძე, 1967, გვ. 505). ეს გარემოება კი პედაგოგს საშუალებას აძლევს სახე შეუცვალოს ხელოვნების ნიმუშებზე მოსწავლეებთან მუშაობას. ეს უკანასკნელი უნდა იყოს არა

ტრადიციული საუბრები ხელოვნებაზე, არამედ ხელოვნებათმცოდნეობითი ტიპისა და შინაარსის მეცადინეობა. როდესაც მოზარდობის ასაკის მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების შესახებ ვსაუბრობთ და პიროვნების ესთეტიკური მხარეების განვითარების პროცესს ვაგებთ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ გემოვნების კრიტერიუმები განვითარებად საზოგადოებაში განიცდის ცვალებადობას და მასზე საკმაო ზეგავლენას ახდენს ე.წ. „მოდური“ შეხედულებები, მაგრამ პედაგოგიური პროცესისათვის უმთავრესი მაინც ისაა, რომ მოზარდის პიროვნებაში საფუძველი ჩაეყაროს გემოვნების საბაზისო კომპონენტებს, შეფასებითი მიდგომის აუცილებლობის რწმენას, მსჯელობა-კამათის ჩვევებს, ცოდნის შეძენისკენ სწრაფვასა და ა.შ., რაც შემდგომში თანდათანობით განვითარების კვალობაზე პიროვნების ჰარმონიული განვითარების წინსვლის საფუძველი გახდება.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მხატვრული გემოვნება უნდა განხილული იქნას, როგორც პიროვნების მეტ-ნაკლებად მყარი მახასიათებელი, რომელიც ავტომატურად კი არ მოსდევს ამა თუ იმ ასაკობრივ საფეხურს, არამედ ვითარდება სწორი პედაგოგიური ზემოქმედების პირობებში.

მხატვრული გემოვნება არის მოზარდის მთლიანი ესთეტიკური განვითარების უშუალო რეზულტატი, ამდენად მისი ჩამოყალიბებისათვის საჭიროა ვიზრუნოთ პიროვნების ზოგადესთეტიკურ განათლებაზე, მხატვრული ინტერესებისა და მოთხოვნილებათა სფეროს გაფართოებაზე.

ბიბლიოგრაფია:

უზნაძე, დ. (1967). *შრომები* (ტ. V). თბილისი.

Божович, Л. И. (1974). Воспитание как целенаправленное формирование личности ребенка. *Вопросы психологии* (1).

Костюк, Г. С. (1967). Развитие и воспитание. В В. Е. Гмурман, & Ф. Ф. Королев (Ред.), *Общие основы педагогики*. Москва: Просвещение.

Крутецкий, В. А. (1972). *Основы педагогической психологии*. Москва: Просвещение.

Молчанова, А. С. (1966). *На вкус, на цвет... Теоретический очерк об эстетическом вкусе*. Москва.

Теплов, Б. М. (1948). *Психология*. Москва.

Nodar Mirazanashvili

Gori State University

PSYCHOLOGICAL-PEDAGOGIC INSIGHTS INTO DEVELOPMENT OF THE ARTISTIC TASTE AMONG THE SCHOOL-AGED CHILDREN IN THE CONTEXT OF TEACHING ACTIVITIES RESUME

The paper discusses the psychological–pedagogic insights into development of the artistic taste among the school-aged children in the context of teaching activities. Presentation of a taste as one of the most important characteristic features of a person shows that development of a taste should follow a common logic of human development. Raising a person through art cannot be exception.

Educational impact of art on development of the artistic taste is profound and vivid. It builds and strengthens the human capacities, gives certain directions in the process of formation of personal peculiarities.

Therefore, we consider that for development of the artistic taste among the school-aged children special attention should be given to the brain training exercises that represent the basis for creation and development of evaluative judgment.

The artistic taste should be considered as a solid characteristic of a person that does not automatically follow a certain age step but it is developed in the conditions of sufficient pedagogical influence.

The artistic taste is an average result of an entire aesthetic development of the school-aged children, therefore, for its development it is important to ensure generic aesthetic education of a person through widening the artistic interests and needs.

Keywords: Aesthetic, Artistic, Art, Adolescence.

პიერ კორნელის „პომპეუსის სიკვდილის“ ზოგიერთი მხატვრული თავისებურების
საკითხისათვის

საკვანძო სიტყვები: პიერ კორნელი, პომპეუსის სიკვდილი, რომაელთა ისტორია, სამოქალაქო მშვიდობა, პოლიტიკა, პოეტიკა.

კლასიციზმის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ანტიკური სიუჟეტების დამუშავებას თავიანთ შემოქმედებაში. ამ მხრივ გამონაკლისი არც ფრანგული კლასიციზმის წარმომადგენელი, უდიდესი დრამატურგი პიერ კორნელი გახლავთ.

მე-17 საუკუნის 30-იანი წლებიდან კორნელი ქმნის თავის ტრაგედიებს ანტიკურ სიუჟეტებზე დაყრდნობით. როგორც ანტიკური პერიოდის ტრაგიკოსების, ასევე კორნელის ნაწარმოებების პერსონაჟები ძირითადად მითოლოგიურ ან ისტორიულ გმირებს წარმოადგენენ, რომლებიც ყოველთვის საქვეყნო საქმეებთან არიან დაკავშირებულნი.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ ვისაუბრებთ პიერ კორნელის ანტიკურ სიუჟეტზე შექმნილი ერთ-ერთი ტრაგედიის „პომპეუსის სიკვდილის“ („la mort de Pompée“) ზოგიერთ მხატვრულ თავისებურებაზე პოემის პოლიტიკური და მხატვრული ანალიზის საფუძველზე.

პიერ კორნელის მკვლევრები ძირითადად მისი პიესების პოეტური გენეზისის ანალიზს გვთავაზობენ და ნაკლებად ეხებიან მის პოეტურ და პოლიტიკურ ანალიზს. მაგალითად, კორნელის ცნობილი კომენტატორი ჟორჟ ფორესტიე პოემების პოლიტიკურ ანალიზს სავსებით უარყოფს, ხოლო რაც შეეხება სხვა მკვლევრებს - მიშელ პრინჯეტსა და ჟორჟ კუტონს, ისინი კორნელის პიესებში მე-17 საუკუნის პოლიტიკურ კონფლიქტების ანარეკლს ხედავენ და გულმოდგინედ ეძებენ მათი ავტორის პოლიტიკური აქტუალობის ელემენტებს კორნელის ტრაგედიებში. ჩვენი აზრით, დრამატურგის პოლიტიკური აქტუალობა მნიშვნელოვანი იმდენად არ გახლავთ, რამდენადაც მწერლის ტრაგედიების განხილვა პოლიტიკურ და პოეტურ ჭრილში. პიერ კორნელის ტრაგედიებში აღწერილია დიდი კონფლიქტები, დამაბულობანი და ტანჯვანი, გამოწვეული ადამიანური საქმეებით. აქედან გამომდინარე ტრაგედიების ფართო გაგებისათვის აუცილებელია მათი არა მხოლოდ პოეტური, არამედ პოლიტიკური ანალიზი. ამგვარი ანალიზი განსაკუთრებით ნაყოფიერია პიერ კორნელის ტრაგედიის „პომპეუსის სიკვდილის“ შემთხვევაში, რომლის თავდაპირველმა სტრუქტურამ შესაძლოა დააბნიოს კრიტიკოსები, რომლებიც ინტერესდებიან ზემოხსენებული ტრაგედიით, რადგან პიესის ერთობლივი პოეტური და პოლიტიკური ანალიზი სტრუქტურულად ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

„პომპეუსის სიკვდილში“ ვაანალიზებთ პოეტიკასა და პოლიტიკას შორის მიმართებას ოთხ პუნქტად: 1. პიესის კონსტრუქცია ორ ტრაგედიაში, რომელიც ასახავს პოლიტიკურ საკითხებს. 2. ისტორიისა და დროის პერსპექტივები პიესაში. 3. კეისრის რეაქცია პომპეუსის თავის მოკვების შესახებ. 4. კორნელის თანაარსებობა, პერსონაჟი, რომელიც კორნელმა დაამატა სპექტაკლს, რაც იძლევა ორი რომაული ნაწილის პირისპირ შეხვედრის საშუალებას.

„პომპეუსის სიკვდილი“, რომელიც მე-17 საუკუნეში უკვე შედევრად მიიჩნეოდა, ნაკლებად არის შესწავლილი. მკვლევართა დაბნეულობას იწვევს ტრაგედიის სათაური და აგებულია. ისინი მიიჩნევენ, რომ პიესა არათანმიმდევრულია ან სულ მცირედ მაინც დაშორებულია ავტორის ადრინდელი შედევრებისგან. რადგან პომპეუსის პერსონაჟი სპექტაკლში არ ფიგურირებს, ჩნდება შეკითხვა ვინ არის პიესის ნამდვილი გმირი? მარკ ფუმაროლი მხარს უჭერს პომპეუსის და კეისრის წყვილის მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი ანალიზის ხაზს, რაც სამოქალაქო ომის ეპიზოდში გამოიკვეთება. ფუმაროლის აზრით, პომპეუსისა და კეისრის სახით წარმოგვიდგება ორი დიდსულოვანი პიროვნება, რომელთა გარდაქმნა ნაჩვენებია არისტოტელეს ნიკომაქეს ეთიკიდან დაწყებული პიერ კორნელის რიტორიკულ და ჰუმანისტურ ტრადიციებამდე. პომპეუსი დინჯი, დაკვირვებული და დიდსულოვანი

ფიგურაა, ხოლო კეისარი აქტიური, მშფოთვარე ტირანია. ფორესტიეს აზრით, პიესის ცენტრალური მოქმედება კეისრისა და პტოლომეუსის დაპირისპირებაა. ამ თვალსაზრისის გასამართლებლად იგი ეყრდნობა თავად პიერ კორნელს. თავის დისკურსში დრამატულ პოემაზე, კორნელი აჯამებს ამ დაპირისპირებას, რათა აჩვენოს აუცილებლობა, რომ დრამატული მოქმედება მაყურებლის წინაშე დასრულდეს. „პტოლომეუსი, იღუპება რა თავის მინისტრებთან ბრძოლაში კლეოპატრას მშვიდობიანად გადასცემს სამეფოს, რომლის ნახევარაც ამ უკანასკნელმა მოითხოვა, ხოლო რაც შეეხება კეისარს, მას აღარ ემუქრება საფრთხე, მაყურებელს მეტი შეკითხვა აღარ უჩნდება და კმაყოფილი რჩება ფინალით.“ (Forestier, 2004, p. 126)

„პომპეუსის სიკვდილი“ მოიცავს, ერთი მხრივ, მეფე პტოლომეუსის ტრაგედიას, რომელსაც პიესის პირველი ნაწილი უჭირავს და რომელიც ვითარდება IV აქტში, და, მეორე მხრივ, კეისრის გამოცხადებულ ტრაგედიას, რომელიც არ არსებობს. პიესის ფარგლებში არ აღსრულებულა, მაგრამ მაყურებელს ახსენდება ერთგვარი წინასწარი მინიშნებების საშუალებით. პირველი მოქმედება ნაკლებად მნიშვნელოვანია და უფრო ჯდება მთლიანობაში, ვიდრე ის მოქმედება, რომელშიც გამოცხადებულია კეისრის სიკვდილი. ორი ინტრიგა გადაკვეთს ერთმანეთს და კრისტალიზდება კითხვებზე: როგორ გავიაზროთ პომპეუსის სიკვდილი? (პტოლომეოსისთვის) და როგორ გავიაზროთ პომპეუსის სიკვდილი (კეისრისათვის)?

„პომპეუსის სიკვდილი“ 1630-50 წლებში დაწერილი ფრანგული ტრაგედიების სერიის ნაწილია, რომელიც მთავარი გმირის ტრაგიკულ სიკვდილს ეხება, თუმცა კორნელის პიესას აქვს ის თავისებურება, რომ პომპეუსის პერსონაჟი სცენაზე არ არის წარმოდგენილი, ანუ ტრაგედიის მოქმედი პირი პომპეუსი, პიესაში ფაქტობრივად არ არსებობს. ეს პიესა, პომპეუსის დაკრძალვის სიმღერა იქნება თუ იულიუს კეისრის ნაწინასწარმეტყველები ტრაგედია? როგორც კორნელი ამბობს თავის „განხილვაში“ (1660). არის რაღაც არაჩვეულებრივი ამ პოემის სათაურში, რომელიც ატარებს გმირის სახელს, ვინც საერთოდ არ ფიგურირებს მასში, მიუხედავად ამისა, ის მთავარი მოქმედი პირია, რადგან მისი სიკვდილი არის ერთადერთი მიზეზი იმისა, რაც ხდება მთელ პოემაში. პომპეუსის არყოფნა პიესაში ადასტურებს იმას, რომ ტრაგედიის ძირითადი სიუჟეტი დიდი პიროვნების - პომპეუსის სიკვდილი კი არ არის, არამედ მთავარია პოლიტიკური მოვლენა, რომელიც მისი მკვლელობითაა წარმოდგენილი. ერთი მხრივ, იმის მაგივრად, რომ შეკითხვა დავსვათ ტრაგედიის გმირის შესახებ, სათაურზე დაკვირვება მიუთითებს პოლიტიკურ კრიზისზე, რომელიც აიძულებს გმირებს შეცვალონ თავიანთი ადგილი სამყაროში, თავიანთი გეგმები და თუნდაც თავიანთი პოლიტიკა. რა თქმა უნდა, პომპეუსის სიკვდილი არის „ერთადერთი მიზეზი“, რამაც პტოლომეუსი ძალადობრივ სიკვდილამდე მიიყვანა და მთავარი მოვლენა კეისრის მოახლოებული სიკვდილისკენ მიმავალ გზაზე. მეორე მხრივ, მიუხედავად კორნელის დაჟინებული მტკიცებისა დიდი პომპეუსის მნიშვნელობაზე, პიესის „მთავარი მსახიობი“ კეისარი ჩანს. კორნელმა თავისი პიესა ორმაგ პრობლემაზე ააგო - ეგვიპტელებისა და რომაელების. I და II მოქმედებებში პტოლომეუსი და კლეოპატრა მსჯელობენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეხვდნენ და მიიღონ პომპეუსი, რომელიც კეისართან დამარცხების შემდეგ მათთან თავშესაფრის საძებნელად მოდის. IV და V მოქმედებებში დომინირებს რომაელებს - კეისარსა და კორნელის შორის რეპლიკების გაცვლები და აქცენტი გაკეთებულია მშვიდობის აღდგენის პრობლემაზე. III მოქმედება არის პიესის მთავარი ნაწილი, რომელშიც ვითარდება ეგვიპტელების ქმედებების შედეგები და სადაც კეისრის წინ დგას პრობლემა, რა უნდა გააკეთოს პომპეუსის სიკვდილთან დაკავშირებით. გამყოფი ხაზი აქ გადის შარმიონის შეკითხვაში, რომელიც მიმართულია კლეოპატრასადმი და რომელშიც ორი ინტრიგით დაინტერესებაა შესამჩნევი.

Non, mais elle m'envoie
Savoir à cet abord ce qu'on a vu de joie,
Ce qu'à ce beau présent César a témoigné,
S'il a paru content, ou s'il l'a dédaigné,
S'il traite avec douceur, s'il traite avec empire,
Ce qu'à nos assassins enfin il a su dire.

(არა, მაგრამ მე ის ცნობას მიგზავნის, ჯერ შევიტყო რა სიხარული ვნახეთ, რა დაამოწმა ამ მშვენიერი საჩუქრით კეისარმა, ბედნიერია თუ მოწყენილი, სათუთად იქცევა თუ მბრძანებლურად და ბოლოს რა უთხრა ჩვენს მკვლელებს). (ტაეპი 155)

მოქმედების შემდგომი განვითარება კეისრის რეაქციაზეა დამოკიდებული. პტოლომეუსი სანაძლეოს დებს, რომ პომპეუსის მკვლელობა კეისრისათვის სასიამოვნო იქნება. აქორეას მონათხრობიდან, რაც პიესის მთავარ ნაწილს წარმოადგენს, ვგებულობთ, რომ კეისარმა ეს მკვლელობა მიიჩნია რომზე თავდასხმად, მოახდინა რეაგირება და ქალაქი ხელში ჩაიგდო თავისი „ოცდაათი კოჰორტით“. პტოლომეუსი გადააყენეს, მისი ქვეყანა კი დაიპყრეს. ახალგაზრდა მეფე გაქცევისას კვდება.

რაც შეეხება კეისარს (რომელიც დევნის პომპეუსს), უნდა მოიფიქროს ახალი პოლიტიკური საბაზი პომპეუსის გაუჩინარებისა (რაც მას გულს უხარებს), და პოლიტიკურად შენიღბოს უცხო მეფის ბრძანებით პომპეუსის სიკვდილით დასჯის ბრძანება. რომაული სულით აღფრთოვანება და რომაული ძალაუფლების გარეგნული მოქმედების კრიტიკა წარმოშობს დაძაბულობას, რაც კორნელის მრავალი პიესის საფუძველს წარმოადგენს. პტოლომეუსისა და კეისრის შემფოთება და შიშები რომ გავიგოთ, უნდა გავიაზროთ საგარეო პოლიტიკის ცნება იმ იდეით, რომ საგარეო ურთიერთობები პოლიტიკის გამოვლინების პრივილეგირებული ვექტორია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლუი დიუმონის პოლიტიკის განმარტება, ფართო გაგებით. მისი აზრით სწორედ საზოგადოების საგარეო ურთიერთობა განაპირობებს იმას, რომ სოციალური მიზნები გარდაიქმნება პოლიტიკურ მიზნებად. პოლიტიკური დონე მაშინვე გამოჩნდება, როგორც კი საზოგადოება, რომელიც ჩვეულებრივ მრავალრიცხოვნად აღიქმება, წარმოგვიდგება ერთი პიროვნებით - სხვების წინააღმდეგ. ეს პიროვნება ფაქტობრივად აღემატება მრავალრიცხოვან საზოგადოებას, და ლეგიტიმურად მისი მბრძანებელია. კეისრის ქმედება ასე შეიძლება გავიგოთ: რომის საშინაო საქმეებში მოკავშირეთა ჩარევამ მას საშუალება მისცა დაეკმაყოფილებინა პომპეუსის მომხრეები უცხოელთა დამორჩილებით. მას სჯერა, რომ ქვეყნის შიდა ერთიანობისათვის ხელსაყრელია საგარეო ომი. ეგვიპტელების მიერ პომპეუსის მკვლელობით კეისარი სარგებლობს შემთხვევით და რომაელების სიძულვილს მიმართავს ეგვიპტელებისაკენ იმ მიზნით, რომ წერტილი დაუსვას სამოქალაქო ომს და თავისი მმართველობის ქვეშ გააერთიანოს ყველა რომაელი. მეფე პტოლომეოსი კეისრის მდგომარეობასთან შედარებით დიამეტრალურად განსხვავებულ მდგომარეობაშია. მის ტახტს ორმაგი საფრთხე ემუქრება: ერთი მხრივ, რომაელები და მეორე მხრივ, მისივე და კლეოპატრა, რომელსაც მამის სურვილის თანახმად სურს ძალაუფლების გაზიარება. გახდა რა კეისრის მოკავშირე, მან ფსონი დადო, რომ მოეგვარებინა არეულობები სამეფოში.

„პომპეუსის სიკვდილი“ ეხება რომის ისტორიის ცნობილ ეპიზოდს, რომელიც სცენაზე ჯერ კიდევ რობერტ გარნიემ და შარლ შოლმერმა დადგეს. პოეტური თვალსაზრისით პიესა სამ ისტორიულ პლანს აერთიანებს. პირველი, - მოქმედება ხდება 48 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მეორე, პროტაგონისტები მიაწინებენ თავიანთ წარსულში არსებულ მომენტებზე, რომლებიც თავიანთი შეხედულებებითაა სტრუქტურირებული. ერთი მხრივ, ფარსალიის ბრძოლა, რომლითაც პიესა იწყება, და მეორე მხრივ, პომპეუსისა და კეისრის მიერ პტოლომეოსისათვის მამის ტახტზე ძალაუფლების აღდგენა, რაც კლეოპატრამ შეახსენა თავის მმას, მეფე პტოლომეუსს, რომელიც დახე უმცროსი იყო იმ დროისთვის, მამის დანაზარები რომ ხსომებოდა. მესამე - ისტორიული პიროვნებები მომავალი მაცურებლის მეხსიერებაშია შემონახული. ძვ. წ. 44 წელს იულიუს კეისრის საიდუმლო მკვლელობა, რომელიც ჩაიდინეს შეთქმულებაში მონაწილე სენატორებმა, რადგან ისინი შიშობდნენ, რომ კეისარი მეფედ გამოაცხადებდა თავს. უკანასკნელი მეფის, ტარკინის გადაყენების შემდეგ ამ საკითხს ტაბუ ედო. ამ ნაწილთა გაერთიანება მეოთხე ნაწილში ხდება. ჯონ დ. ლიონის თქმით, კორნელის ტრაგედიების ისტორიულობა გვიჩვენებს დინამიურ ურთიერთქმედებებს ისტორიასა და საზოგადოებას შორის: „ადრინდელ ტრაგედიებში ჩვენ ვხვდებით პერსონაჟებს, რომლებიც ვერ აცნობიერებენ ისტორიული ტრანსფორმაციის გადამწყვეტ მნიშვნელობას, ახალ საწყისს, რადგან ადრინდელ მომენტებზე არიან ფიქსირებული მთავარ საწყისად მხოლოდ ამ მომენტებს აღიარებენ. ეს ტრაგედიები აგებულია იმგვარად, რომ მათი საწყისები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ერთი მხრივ, ის რაც დრამატიზებულია სამყაროს წარსულში, არა მხოლოდ ხილული, არამედ წმინდაც კი არის ამ სამყაროს პერსონაჟებისათვის და აბრმავებს მათ. მეორე მხრივ, ისტორიული მომენტი, რომელშიც მოქმედი პირები ცხოვრობენ თვალსაჩინოა თეატრის მაცურებელთათვის და იძლევა დრამატული ირონიის საფუძველს, რომლის გარეშეც ტრაგედია შეუძლებელია არსებობდეს.“ (Lyons, 1996, p. 57)

მე-17 საუკუნეში სახელმწიფო გადატრიალება ნიშნავდა მოძალადე, ზოგჯერ სასტიკი ძალების ჩარევის მცდელობას მმართველობაში, რის საწინააღმდეგოდ რესპუბლიკამ, პრინცმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რაც სახელმწიფოსთვის სასარგებლო იქნება. ასე რომ, პტოლომეუსი ფრთხილობს გაითვალისწინოს რჩევები თუ რა პოზიცია უნდა დაიკავოს რომაული ძალაუფლების ახალი კონფიგურაციის პირობებში. სცენაზე დისკუსიისას მისი სამი მრჩევლის ქმედება მიზნად ისახავს მეფის მიერ პომპეუსისადმი მადლიერების გრძნობის დაკნინებას. ფოტინი აუცილებლობად მიიჩნევს, გამარჯვებულის მხარდაჭერას და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თავი მოაწონოს გამარჯვებულ მხარეს და კეისრის მიერ დევნილი პომპეუსი მოკლას.

Vous ne pouvez enfin qu'au dépens de sa tête [de Pompée]
Mettre à l'abri la vôtre et parer la tempête.
Laissez nommer sa mort un injuste attentat,
La justice n'est pas une vertu d'État

(„თუნდაც ჩათვალეთ მისი სიკვდილი უსამართლობად, სამართლიანობა არ არის სახელმწიფო სათნოება“) (ტაეპი 107)

პომპეუსის სიკვდილი არის იულიუს კეისრის ნაწინასწარმეტყველები ტრაგედია, რომელიც ხაზს უსვამს მისი სამომავლო გეგმების წარუმატებლობას. მის მომავალ მკვლევლობას მაყურებლებს ორი წინასწარმეტყველება შეახსენებს:

Ainsi finit Pompée et peut-être qu'un jour

César éprouvera même sort à son tour.

Rendez l'augure faux, Dieux qui voyez mes larmes,

(ასე დასრულდა პომპეუსი და შესაძლოა ერთ დღესაც კეისარმაც იგივე ბედი გაიზიაროს. დემეტროს, რომლებიც ხედავთ ჩემს ცრემლებს, მოახდინეთ ისე, რომ ეს წინასწარმეტყველება მცდარი იყოს) (ტაეპი 342)

რითმის ცვალებადობა, რომელიც გამოწვეულია კლეოპატრას შიშით, როდესაც ის მოისმენს თავისსავე წარმოთქმულ წინასწარმეტყველებას სამყაროს არასტაბილურობის შესახებ, რაც კლეოპატრას მედიტაციური რეფლექსიის შემდეგია, ისევე იპყრობს მაყურებლის ყურადღებას, როგორც სიტყვა „წინასწარმეტყველების“ „augure“ გამოყენება. კორნელიას წინასწარმეტყველებას პიესის ბოლოს აღსრულდება მართლაც, რომელი სენატორები გაერთიანდებიან კეისრის მოსაკლავად, რადგან ის უვადო დიქტატორი იყო და ამიტომ, მათ ეშინოდათ მემკვიდრეობითი მონარქიის დამყარების. კლეოპატრასა და კორნელიას წინასწარმეტყველებანი ირონიულ შუქს ჰფენენ პროტაგონისტთა გეგმებს, რომლებიც არ აღიარებენ თავიანთ მომავალ წარუმატებლობას. ისტორიული სურათების დროითი პერსპექტივა სცენაზე აჩენს მიზეზშედეგობრივ ურთიერთობას, რომელიც გმირებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, თუ მათი პოლიტიკა წარმატებული იქნება. გავიხსენოთ კეისრის დაცემის მომავალი წარსული, როდესაც მოქმედება ვითარდება რესპუბლიკის ნანგრევებზე იმპერიული ძალაუფლების დაარსების წინა დღეს, რასაც შეიძლება განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონოდა მეჩვიდმეტე საუკუნის ინტელექტუალთათვის, რომელთაც ახსოვთ რელიგიური ომები, რამაც ქვეყანაში თაობებად დაყოფა გამოიწვია.

პიესის არსს წარმოადგენს III აქტის შესავალი, აქორეას ისტორია, რომელიც მოგვითხრობს, რეაქციის შესახებ კლეოპატრადან დაწყებული კეისრამდე და რეაქციას პტოლომეოსის მსხვერპლად შეწირვის შესახებ კეისრის პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენამდე და ეგვიპტის მიმართ მისი პოლიტიკის განხორციელებამდე. თავის „განხილვაში“ კორნელი აკონკრეტებს, რომ მან ამ სცენის წყაროები პლუტარქესგან და ლუკიანესგან აიღო. აუცილებელია შევადაროთ თუ რას წერენ ხსენებული ავტორები, რათა გავიგოთ რომელი ავტორის წყაროებმა განსაზღვრეს კორნელის არჩევანი. პლუტარქეს აღწერა ყველაზე მოკლე და მარტივია; ეს არის აღმოჩენის ორი ეტაპი, რაც იწვევს ორ საპირისპირო რეაქციას. პომპეუსის დასასრული ასეთია: მალე კეისარი ჩავიდა ეგვიპტეში, რომელსაც ასეთი სამარცხვინო ლაქა მოსცხო. ერთ-ერთი იქაურთაგანი მას წარუდგენს პომპეუსის თავს, მაგრამ კეისარი დაწყევლილივით მოშორდება მას. თუმცა, მან მიიღო პომპეუსის ბეჭედი და დაიწყო ტირილი, როდესაც დაინახა მასზე ამოტიფრული ხმლით შეიარაღებული ლომი. ლუკიანეს კეისარი თვალთმაქცია, ანგარებიანი. იგი კარგად ახერხებს თავისი გრძნობების დაფარვას. ორი სცენა პლუტარქესთან შედარებით საპირისპირო თანმიმდევრობითაა. კეისარი ჯერ დარწმუნდება, რომ ეს მისი გარდაცვლილი მტრის თავია, შემდეგ კი კეთილშობილებას იჩენს და ცრემლებში მალავს გამარჯვების სიხარულს. თავის ტრაგედიაში კორნელი პლუტარქესა და ლუკიანესგან განსხვავებულ არჩევანს აკეთებს. მისი აღწერა პლუტარქესთან შედარებით ნაკლებად პირდაპირია და ლუკიანეს მსგავსად კორნელს შემოაქვს კეისრის თანმიმდევრული რეაქციების ფსიქოლოგიური ანალიზი. მაგრამ ლუკიანესგან განსხვავებით, რომლის ლექსები კორნელს მოსწონს, გამარჯვებულის მოძრაობების სირთულე ფარისევლობა არ არის. მართლაც, თავისი მთავარი მტრის თავთან პირისპირ, კეისარი უპირველეს ყოვლისა გამარჯვებული სიხარულის პირველი მოძრაობით ხვდება. მისი გამარჯვების კონკრეტული მტკიცებულების ხილვა, მისი ნებისგან დამოუკიდებლად წარმოჩენილი, იწვევს მასში პროცესს, რომლის დროსაც მისი ბუნებრივი მიდრეკილება მალე ეწინააღმდეგება მის სულსა და სათნოებას, პროცესს, რომელიც მიიყვანს მას აღშფოთებამდე, პტოლომეოსის მიმართ უნდობლობამდე და პორტისა და ქალაქის აღებამდე.

დაბოლოს, კორნელი წარმოგვიდგენს უჩვეულო თანმიმდევრობას, რომელშიც მზერა, შინაგანი ხმა, ცრემლები, ჟესტები, ბრძანებები და მოქმედებები ერთმანეთს მიჰყვება, ასე რომ, შოკის პირობებში, სათნოების მტანჯველი განსაზღვრა გადაიქცევა პოლიტიკად. ყურადღება, რომელიც კორნელმა დაუთმო ამ სცენას, არა მხოლოდ მის მნიშვნელობას მოწმობს ისტორიისა და ტრაგედიისთვის, არამედ მის მიერ შემოტანილი სირთულე მიუთითებს იმაზე, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია კეისრის პერსონაჟის განსაზღვრისთვის და პიესის კომპოზიციისთვის. ეს კი ორმხრივობას მოითხოვს, მაგრამ ეს ორმხრივობა შინაგანი დამაბულობა უნდა იყოს და არა უბრალო ფარისევლობა.

რაც შეეხება კორნელიას, როგორც პიერ კორნელი აღნიშნავს პიესის „განხილვაში“, მან სიუჟეტს დაამატა მხოლოდ ის, რაც კორნელიას ეხება. კორნელის მიერ გამოგონილი პერსონაჟები გამოხატავენ პოლიტიკურ თვალსაზრისს ან პოზიციას, რომელიც განსაზღვრავს პიესის შედეგს. კორნელია ისტორიული ფიგურაა, მისი ყოფნა და კეისართან დაპირისპირება კი დრამატურგის გამოგონებულია. „პომპეუსის სიკვდილი“ იმ ჟანრს მიეკუთვნება, რომელსაც იტალიელები უწოდებენ „ბედნიერი დასასრულის ტრაგედიას“. ეს ეხება ტრაგედიის ორი დასასრულიდან ერთ-ერთს, სპექტაკლში მოთხრობილ ეპიზოდს: დედოფალ კლეოპატრას წარდგენას თავისი ხალხისთვის, კეისრის ხელით. მაგრამ უკვე ბოლო სცენის სიხარული ჟღერს და მაყურებელმა იცის, რომ ეს ბედნიერი მომენტი მხოლოდ შესვენებაა და რომ დანარჩენი ამბავი არ იქნება ბედნიერი. ამრიგად, კორნელიას პერსონაჟის დამატება სიუჟეტში და მისი გეგმა კეისრის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის განახლების შესახებ ქმარზე შურისძიების მიზნით, ხაზს უსვამს კეისრის „დაპყრობისა და პატიების“ სურვილის ამოცანას. ეს კი აჩენს საკითხს სამოქალაქო მშვიდობის აღდგენის სირთულის შესახებ.

„პომპეუსის სიკვდილში“ ჰორიზონტზე გაივლივებს კორნელიასა და კლეოპატრას წინასწარმეტყველება, რომლის მიხედვით კეისარი მოკლული იქნება, როგორც მომავალი ტირანი. აქ კორნელი ხაზს უსვამს საფრთხეს, რომელიც იმპერიულმა დაპყრობებმა წარმოშვა სახელმწიფოს შიგნით. ეს რომ უკეთ გავიგოთ, კეისარი უნდა შევადაროთ სხვა დიდ რომაელ დამპყრობელს - სციპიონ აფრიკელს. კეისარს სურდა რომში შესულიყო იმავე ეტლით, რომლითაც პომპეუსი დამარცხდა. ის ფიქრობს, რომ მხოლოდ თავისი ნებით შეუძლია ყველაფრის გაკეთება, სიმულვილის ჩაქრობა, წყენის განქარვება, მწუხარების დავიწყება. კეისარს სჯერა, რომ მშვიდობის მოტანა შეუძლია: პირიქით კი ხდება. კეისრის ბედი შეიძლება დაუპირისპირდეს სციპიონის ბედს, როგორც ამას სტოიკოსი სენეკა ასახელებს. სციპიონი, რომელიც შესაძლებელი იყო რომში გამხდარიყო მეფე ან ტირანი, გადავიდა თავის ვილაში ნეაპოლის მახლობლად და გარდაიცვალა გადასახლებაში: ორი დამპყრობელი კონსული რომისთვის ზედმეტია და საფრთხეს უქმნის მმართველობას. უფროსი გონივრულად გადადგა თანამდებობიდან, მისი მემკვიდრე კი - არა. დაპყრობა შეარყევს დამკვიდრებულ ძალას, ორი დამპყრობლის ბედმა მიაღწია ზღვრულ წერტილს, საიდანაც ისინი უნდა გავიდნენ ასპარეზიდან ან მოკვდნენ. სენეკას მიერ მოთხრობილი სციპიონ აფრიკელის არჩევანი და კეისრის ტრაგიკული ბედი მოგვითხრობს დაპყრობისა და მეფობის შერიგების შეუძლებლობაზე. სენეკას ადაფრთოვანებდა იგივე შესაძლებლობა სციპიონთან, კორნელი იმავე შეუძლებლობაზე საუბრობდა, აჩვენებდა რა კეისრის გულუბრყვილობას „დაპყრობისა და პატიების“ სურვილში.

ამრიგად, პიერ კორნელის ტრაგედიის - „პომპეუსის სიკვდილის“ - პოეტიკისა და პოლიტიკის საკითხების კვლევამ ნათლად დაგვანახა ამ ნაწარმოების ზოგიერთი მხატვრული თავისებურება.

ბიბლიოგრაფია:

- Corneille, P. (1980). *Œuvres complètes*. Textes établis, présentés et annotés par Georges Couton (Tome I). Paris: Gallimard, Bibliothèque de la Pléiade.
- Corneille, P. (1984). *Œuvres complètes*. Textes établis, présentés et annotés par Georges Couton (Tome II). Paris: Gallimard, Bibliothèque de la Pléiade.
- Corneille, P. (1987). *Œuvres complètes*. Textes établis, présentés et annotés par Georges Couton (Tome III). Paris: Gallimard, Bibliothèque de la Pléiade.
- Dumont, L. (1991). *Homo aequalis, II. L'idéologie allemande. France-Allemagne et retour*. Paris: Gallimard.
- Forestier, G. (2004). *Essai de génétique théâtrale. Corneille à l'oeuvre*. Genève: Droz.
- Fumaroli, M. (1996). *Héros et orateurs. Rhétorique et dramaturgie cornéliennes*. Genève: Droz.
- Lyons, J. D. (1996). *The Tragedy of Origins. Pierre Corneille and Historical Perspective*. Stanford: Stanford University Press.
- Merlin, H. (1994). *Le public et la littérature au XVIIe siècle*. Paris: Les Belles Lettres.
- Merlin-Kajman, H. (2000). *L'absolutisme dans les lettres et la théorie des deux corps. Passions et politique*. Paris: Honoré Champion.
- Plutarque. (2001). *Vies parallèles*. édition de François Hartog. Paris: Gallimard, collection Quarto.
- Prigent, M. (2008). *Le héros et l'État dans la tragédie de Pierre Corneille*. Paris: PUF/Quadrige.
- Sénèque. (1993). *Entretiens. Lettres à Lucilius*. édition de Paul Veyne. Paris: Roger Laffont/Bouquins.
- Thuau, É. (2000). *Raison d'État et pensée politique à l'époque de Richelieu*. Paris: Albin Michel.

Tamar Antia

Akaki Tsereteli State University

SOME ARTISTIC FEATURES OF PIERRE CORNEILLE'S PLAY „THE DEATH OF POMPEY” RESUME

In this article, we discuss some of the artistic features of one of the tragedies "The Death of Pompey" ("la mort de Pompée") based on the ancient story of one of the greatest French playwright, a representative of classicism, Pierre Corneille.

After a brief review of the scholars' point of view in "The Death of Pompey", we analyze the relationship between poetics and politics in four points: 1. The construction of a play in two tragedies that reflects political issues. 2. Perspectives of history and time in the play. 3. Caesar's (double) reaction to the beheading of Pompey. 4. The Coexistence of Cornelia, a character that Corneille added to the play, allowing the two Roman parts to meet face to face. The essence of "Death of Pompey" is the introduction to Act III, the story of Acorea, which tells the story from Cleopatra to Caesar of Ptolemy's sacrifice before his appearance on the political scene and the implementation of his policy towards Egypt. In his "Examen" Corneille specifies that he took the sources of this scene from Plutarch and Lucane. We have compared the authors in the analysis to make it clear that Corneille's choice was different from the choice of the ancient Greeks mentioned above. The characters invented by Corneille express the political point of view or position that determines the outcome of the play. Cornelia is a historical figure; His presence and confrontation with Caesar is even invented by the playwright. However, special attention should be paid to the blurring between any true story and the story fabricated by Corneille. If he arranges a confrontation between Caesar and Cornelia that did not take place, it is because it serves his purpose as a playwright. Accordingly, the presence of Cornelia in the play should be seen as a manifestation of the game bet.

"Death of Pompey" refers to a famous episode in Roman history, which was still staged by Robert Garnier and Charles Scholmer. From a poetic point of view, the play combines three historical plans. First, the action takes place in 48 BC. Second, the protagonists point to moments in their past that are structured according to their own views. On the one hand the battle of Perseus with which the play begins, and on the other hand the restoration of power by Pompey and Caesar for Ptolemy on his father's throne,

The addition of Cornelia's character to the story and her plan to resume the civil war against Caesar in retaliation for her husband underscore Caesar's desire to "conquer and forgive." This raises the question of the complexity of restoring civil peace.

Keywords: Pierre Corneille, La mort de Pompée, Romain history, Politics, Poetics, Civil peace.

ზურაბ არჩვაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოლიერის შემოქმედებითი მეთოდი და სოციალურ-ესთეტიკური შეხედულებები

საკვანძო სიტყვები: მოლიერი, კლასიციზმი, კომედიები, შემოქმედებითი მეთოდი, აღზრდის პრობლემა, ზნეობრიობის პრობლემა.

ა) მოლიერის შემოქმედებითი მეთოდი.

მოლიერი „მაღალი“ ჟანრის - ტრაგედიის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებდა „დაბალ“ ჟანრს - კომედიას. ის მიმართავდა ბურჟუაზიულ ფარსს, რომლის „მდაბიური“ ფორმა ასეთივე „მდაბიურ“ შინაარსს შეიცავდა. ის ახდენდა სტილისა და ენის დემოკრატიზაციას, ხალხური პოეზიის ღირსების რეაბილიტაციას და მის დაპირისპირებას სალონურ არისტოკრატიულ პოეზიასთან. ყოველივე ამით მოლიერმა შეარყია კლასიციზმის სოციალური საფუძვლები და ფაქტობრივად მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის განმანათლებლური თეატრის მესამირკველ იქცა (Dauvin, 1993, p. 47) მოლიერის

შემოქმედება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა - ის არა მარტო სიუჟეტებს სესხულობს წინამორბედ ფრანგ, იტალიელ და ესპანელ დრამატურგთა პიესებიდან, არამედ მთელ სცენებსაც კი ითვისებს (არჩვამე, 2003, გვ. 112). ის ხშირად ამბობდა ხოლმე: „მე ვიღებ სიკეთეს ყველგან, სადაც კი ვპოულობ მას“ (Égea, 1996, p. 127). მაგრამ ყოველივე ნასესხებს იგი ორიგინალურობას ანიჭებდა, ბანალურ თემებსა და სიტუაციებს ახალ სოციალურ-სატირულ შინაარსს აძლევდა. სწორედ ამიტომ მოგვევლინა მოლიერი მეჩვიდმეტე საუკუნის ფრანგული კომედიის ისეთ შემქმნელად, რომელმაც ყველას დაავიწყა საკუთარი წინამორბედნი. მოლიერის მხატვრული მეთოდი შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც რეალისტური. მისი ძირითადი ესთეტიკური ლოზუნგი იყო ცხოვრებისეული სიმართლის ასახვა და სწორედ ამ ლოზუნგის ერთგული დარჩა მოლიერი თავის ყველაზე ბუფონურ ფარსებშიც კი (Mallet, 1996, p. 87). მოლიერი თავის კომედიებში ოსტატურად იყენებს ამ ჟანრის რეალისტურ შესაძლებლობებს. იგი ქმნის მხატვრული სახეების უზარმაზარ გალერეას, სადაც აისახა მეჩვიდმეტე საუკუნის საფრანგეთის ცხოვრების სხვადასხვა მხარე. ყველაზე ხშირად მოლიერის კომედიებში ვხვდებით ბურჟუაზიის წარმომადგენლებს და ეს აიხსნება რენესანსის დროინდელი იტალიური კომედიის ტრადიციით, სადაც მოქმედება უმეტესად ბურჟუაზიულ გარემოში ვითარდება. განსაკუთრებული ადგილი მოლიერის შემოქმედებაში უკავიათ ე.წ. დეკლასირებულ ელემენტებს, რომლებითაც სავსე იყო იმ დროის პარიზი. ესენი არიან მაჟანკლები, ინტრიგანები და ა.შ. როგორც აბსოლუტიზმის ეპოქის ჭეშმარიტად მოწინავე ბურჟუაზიული მწერალი, მოლიერი მთლიანობაში იზიარებდა კლასიციზმის დოქტრინას, მაგრამ სისტემატურად არღვევდა კლასიციზმის პოეტიკის ყველა წესსა და კანონს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მის ბურჟუაზიულ თვითშეგნებას. იგი არისტოკრატულ სტილში გზას უკვალავდა ბურჟუაზიულ ნაკადს (Amon, 1995, p. 18). მოლიერის კლასიციზმთან სიახლოვეზე მიუთითებს მისი მიდრეკილება დრამატურგიული სახეების რაციონალისტური ტიპიზაციისა და გენერალიზაციისაკენ, მათი აბსტრაქტულ-ლოგიკური სისტემატიზაციისაკენ (Pougeoise, 1995, pp. 87-92). მართალია, მოლიერის პიესებისათვის დამახასიათებელია კომედიური მოქმედების დიდი დინამიურობა, მაგრამ ეს დინამიკა მეტწილად გარეგნული უფროა, ვიდრე შინაგანი. მოლიერის რაციონალისტური აზროვნება იმაშიც ვლინდება, რომ იგი ხშირად მიმართავს მსჯელობებს, რომელსაც მის პიესებში გარკვეული მხატვრული სახეები - რეზონიერები წარმართავენ. (Geray, 1992, p. 57). ამ გმირთა დანიშნულებაა მსჯელობა, მოსაზრებების გადმოცემა, რჩევა-დარიგებების მიცემა და არა მოქმედება. მოლიერის კომედიების მკაფიო, მკაცრი კომპოზიციები, ნათლად გადმოცემული აზრი, ლირიზმის, უშუალოების, ყოველგვარი ირაციონალური მომენტების არარსებობა მხატვრული სახეების სტრუქტურაში - ყოველივე ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ მოლიერი ვაღიაროთ რაციონალისტ კლასიციზტად (Got, 1989, p. 33).

მოლიერის მორალური მრწამსი სამი ძირითადი პრინციპით განისაზღვრება. ესენია: პიროვნების თავისუფლება, ბუნებრიობა, გონიერი და ზნეობრივი ქცევა. ამის შესაბამისად მოლიერი თავის პიესებში სამ ძირითად პრობლემას წამოჭრის: აღზრდის, განათლებისა და ზნეობრიობის პრობლემებს.

ბ) აღზრდის პრობლემა.

აღზრდის პრობლემა მოლიერის მრავალ კომედიაშია წამოჭრილი, რადგანაც იგი უშუალოდ უკავშირდება ბურჟუაზიული ოჯახის, როგორც ბურჟუაზიული კლასის ძირითადი უჯრედის მოწყობის პრობლემას. მოლიერი უჩვენებს აღზრდის ძველი და ახალი მეთოდების დამაბუღ ბრძოლას. იგი მკაცრ მოხუცებს სიცოცხლის მოყვარე ახალგაზრდობას უპირისპირებს, უჩვენებს მათ ბრძოლას ყოველგვარი იძულების (contrainte), სიმკაცრის (sévérité) პირქუმობის (rigueur) წინააღმდეგ პირადი თავისუფლებისა და ავტონომიის დასაცავად გრძნობებისა და ქცევის საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი მხარე არ არის მთლიანად მართალი, მოლიერის სიმპათიები მაინც ყოველთვის ახალი ყოფის განათლებულ დამცველთა მხარეზეა და სწორედ ისინი გამოყავს მას გამარჯვებულებად. მას იმდენად სძულს ყოველგვარი ძალადობა, ძალდატანება პიროვნულ თავისუფლებაზე, ყოველგვარი ბრძოლა ახალგაზრდობის ბუნებრივ მისწრაფებებთან, რომ სრულიად კანონზომიერად მიიჩნევს მათ მიერ სხვადასხვა ხრიკებისა და ინტრიგების გამოყენებას საკუთარი უფლებებისა და მისწრაფებების დასაცავად. ამ ინტრიგებში ახალგაზრდებს ეხმარებიან მოსამსახურეები, აგრეთვე უფროსი თაობის მოწინავე, განათლებული წარმომადგენლები; მაგალითად, კრიზალდი („ცოლთა სკოლა“), კლენტი („ტარტიუფი“), არისტო („განსწავლული ქალები“), ბერალდი („ეჭვით ავადმყოფი“).

როგორც განათლებული ახალგაზრდობის დამცველი და პატრიარქალური მოწყობის მტერი, მოლიერი თავდაპირველად ეპიკურეს საწყისებზე დგას. იგი თვლის, რომ არ შეიძლება ადამიანის ბუნებაზე ძალდატანება, უნდა ირწმუნო მისი სიკეთის, როგორც სწამს არისტოს ლეონორასი („ქმართა სკოლა“) და ყველაფერი კარგად იქნება.

ჯერ კიდევ მის პირველ კომედიებში, სადაც ბრძოლა მოხუცებსა და ახალგაზრდებს შორის მიმდინარეობს, შეიგრძნობა „ბუნებრიობის“ დაცვა. ბუნებრივი გრძნობებით, გატაცებით, ამ გრძნობების სიძლიერით ხსნიან ახალგაზრდები მათ მიერ გადადგმულ უჩვეულო თუ ძველი წესების თანახმად,

გაუმართლებელ, არამართებულ საქციელს. მაგალითად, მასკარინი („ქარაფშუტა“) და ვალერი („ტანჯვა საყვარულისა“).

შემდგომში მოლიერის შემოქმედებაში ეს განწყობა უფრო მკვეთრად არის წარმოდგენილი ისეთ პიესებში, როგორცაა „ქმართა სკოლა“ და „ცოლთა სკოლა“, სადაც აღზრდის პრობლემის ირგვლივ სასტიკი შეტაკებები იმართება ორი ბანაკის წარმომადგენელთა შორის. ერთი მხრივ, სგანარელის სახით („ქმართა სკოლა“) გვყავს ძველი აღზრდის დამცველი, რომელიც ემხრობა ძალდატანებას, ანუ ძალადობას „ბუნების“ მიმართ. მეორე მხრივ, წარმოდგენილია არისტი - აღზრდის ახალი მეთოდების მომხრე, რომელსაც მიაჩნია, რომ მართო სიმკაცრით ვერას გავხდებით; მხოლოდ ძალადობით მშობლები ვერ აღზრდიან ქალის სულში კეთილშობილებას. ზედმეტ სიმკაცრეს, მისი აზრით, ზიანიც კი მოაქვს.

მოსამსახურე ლიზეტა კი უფრო ნათლად გამოკვეთს ამ აზრს - როდესაც ზედმეტად ცდილობენ ჩაგვინერგონ უცოდველობა, პირიქით, უფრო ძლიერდება ცოდვის ჩადენის სურვილი.

ამრიგად, ძველებური აღზრდის მეთოდები არა მართო პრინციპულობის თვალსაზრისით არის არასწორი, მცდარი, არამედ წმინდა პრაქტიკული მოსაზრებითაც. ისინი ვერ აღწევენ მიზანს და საპირისპირო შეხედულებამდე მივყავართ.

ძალიან მკაფიოდ სვამს მოლიერი საკითხს „ტარტიუფში“, სადაც ისევ მიმდინარეობს მსჯელობა მხიარული, ხალისიანი ცხოვრების შესაძლებლობის შესახებ. მოლიერი არა მართო სტოიკური, არამედ ქრისტიანული, ასკეტური მორალის წინააღმდეგაც იბრძვის.

როგორც კომედიური პოეტი, მოლიერი მის მიერ მხილებულ ნაკლოვანებებს სიცილის საშუალებით ებრძვის. მამების ბრძოლა მათი შვილების ბუნებრივი მისწრაფებების წინააღმდეგ მათ სიცილის, დაცინვის ობიექტებად აქცევს. სასაცილონი არიან გორჭიბიუსი „სგანარელში“, არგანი „ექვით ავადმყოფში“. მაგრამ მოლიერი ყოველთვის ცალსახად როდი ემხრობა პიროვნული თავისუფლების თეზისს ცხოვრებით ტკბობის შესახებ.

კომედიიდან „ძალად ქორწინება“ მოყოლებული, მოლიერთან შეინიშნება აღნიშნული პრობლემისადმი ცოტათი განსხვავებული დამოკიდებულება.

სგანარელი „ძალად ქორწინებაში“ ისეთივე პატრიარქალური ბურჟუაა, როგორც სგანარელი „ქმართა სკოლიდან“ და არნოლფი „ქალთა სკოლიდან“. ისიც მზად არის ცოლად შეირთოს ახალგაზრდა დორიმენე. მაგრამ ეს უკანასკნელი, იზაბელასა და აგნესასგან განსხვავებით, სიამოვნებით თანხმდება ამ ქორწინებაზე, რადგანაც მასში ხედავს პირადი თავისუფლების მიღწევისა და მკაცრი მამის მორჩილებისაგან განთავისუფლების საშუალებას. იგი სგანარელს უხატავს მათი მომავალი ოჯახური ცხოვრების სურათს, რომელიც აგებული იქნება სრულ თავისუფლებაზე, ურთიერთპატიებასა და ერთმანეთის მოქმედებებში ჩაურევლობაზე. ამრიგად, დორიმენე განსხვავდება აგნესასგან. იგი უმანკო, გულუბრყვილო ქალიშვილი კი არ არის, არამედ გამოცდილი კეკლუცი ქალიშვილია, რომელიც, ალბათ, თავისუფალი ყოფაქცევის ქალად ჩამოყალიბდება.

ისმის კითხვა: ხომ არ შეიცვალა მოლიერმა თავისი მორალურ-ესთეტიკური შეხედულებები? ამ კითხვაზე დადებით პასუხს სცემს გერმანელი მეცნიერი ვექსლერი (არჩვამე, 2003, გვ. 105).

თუმცა, ალბათ, მისი მოსაზრება მოკლებულია საფუძველს. მოლიერი ამ კომედიაში კი არ იცვლის თავის შეხედულებებს აღზრდისა და ქორწინების შესახებ, არამედ პირიქით, აღრმავებს მათ. დორიმენე, რომელიც მკაცრი აღზრდის ნაყოფია, კიდევ ერთხელ ადასტურებს ლიზეტას ზემოთ მოყვანილ შეხედულებას „ქმართა სკოლიდან“. მოლიერს სურს დაამტკიცოს, რომ აღზრდის ძველი მეთოდები უზნეო და არაგონიერულია, რამეთუ ისინი არ გამორიცხავენ გარყვნილებას, არამედ განაპირობებენ მას, როგორც რეაქციას თავს მოხვეულ ასკეტიზმზე.

აღზრდის პრობლემას მოლიერი ეხება აგრეთვე კომედიაში „მუნწი“. ამ პიესაში იგი უჩვენებს ძალადობის, ძალდატანების ზიანს ბავშვების აღზრდის საქმეში. როდესაც ელიზა ეუბნება ვალერს თავისი სინდისის ქენჯნის შესახებ იმის გამო, რომ ატყუებს საკუთარ მამას, ვალერი ამშვიდებს მას იმით, რომ მამამისი იმსახურებს ასეთ დამოკიდებულებას - მისი სიმუნწისა და შვილების მიმართ სიმკაცრის გათვალისწინებით, ელიზას ყველაფერი ეპატიება.

თუკი მოლიერის ადრეულ კომედიებში მხოლოდ იმაზე იყო საუბარი, რომ ადამიანი უნდა მიენდოს ბუნებრივ მისწრაფებებს და დაჰყვეს მათ, მიანიჭოს შვილებს პირადი არჩევანის თავისუფლება, მოწიფული მოლიერი ამ საკითხს უფრო ღრმად უყურებს. იგი მოითხოვს, რომ მშობლები დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდნენ თავიანთი შვილების მიმართ, ავლენდნენ მათ მიმართ დიდ სიბოძოს, რადგანაც ერთი უკიდურესობა მეორეს იწვევს და მოხუცების გადაჭარბებულ სიმკაცრეს ახალგაზრდების გარყვნილება, ცუდი ყოფაქცევა მოსდევს. ამრიგად, მოლიერს მწარე ირონიით შეაქვს პატარა შესწორება ადამიანის კეთილი ბუნების რწმენაში, რის დეკლარირებასაც იგი „ქმართა სკოლაში“ იძლეოდა.

გ) ბუნებრიობის პრობლემა.

მოლიერი მამაცად და თავგანწირულად იბრძოდა ადამიანის პიროვნების დასაცავად მისი ბუნების ყოველგვარი დამახინჯების, ყოველგვარი არაბუნებრიობისა და ზებუნებრივის წინააღმდეგ. მისთვის ზნეობრიობა ნიშნავდა ადამიანის ბუნებასთან თანხმობაში ყოფნას. ბუნებრიობის წინაშე ქედის მოხრა მოლიერისთვის ცვლიდა ღმერთის თაყვანისცემას, რადგანაც მოლიერი, როგორც მატერიალისტი, მოკლებული იყო ყოველგვარ რელიგიურ გრძნობებს. იგი „თავიდან ვეხებამდე“ ფხიზელი გონების პატრონი დამცინავი ბურჟუა გახლდათ.

ბუნებასთან თანხმობაში ყოფნის ლოზუნგი, როგორც ცნობილია, მოლიერს არ გამოუგონებია. იგი რენესანსის ფილოსოფოსების ლოზუნგი იყო, რომელიც მათ ანტიკური ფილოსოფიიდან გადმოიღეს. მაგრამ ანტიკურ ფილოსოფიაში იგი სულ მცირე, ორი თვალსაზრისით, ორი გაგებით არსებობდა: ეპიკურელთა და სტოიკოსთა. ეპიკურელები ცალკეული ადამიანის ბუნებიდან, მისი ინდივიდუალური თვისებებიდან გამოდიოდნენ, სტოიკოსები კი განიხილავდნენ „უნივერსალურ“ ბუნებას, სამყაროს ზოგად კანონს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თითოეულმა პიროვნებამ.

მოლიერი თავისი შემოქმედების დასაწყისში ამ ლოზუნგის წმინდა ეპიკურესეულ გაგებას ემხრობოდა, მაგრამ რადგანაც „ბუნება“, ეპიკურესეული გაგებით, მხოლოდ ცალკეული ადამიანის ბუნებამდე დაიყვანებოდა, ამიტომ იგი ფილოსოფიური შინაარსის მინიმუმს შეიცავდა. აქედან გამომდინარე, იგი არ აკმაყოფილებდა იმ ბურჟუაზიულ მოაზროვნეებსაც კი, რომლებიც მთლიანობაში ეპიკურესეული ფილოსოფიის პოზიციებზე იდგნენ; არა მარტო სკეპტიკოსები - მონტენი და შარონი, არამედ თვით მატერიალისტი გასენდი და ბერნიეც გამოდიოდნენ ბუნების არა ეპიკურესეული, არამედ სტოიკური გაგებიდან. ამ გაგებამდე მივიდა მოლიერიც, მაგრამ იმის გამო, რომ ფხიზელი ბურჟუაზიული გონების მქონე მოლიერისთვის უცხო იყო ყოველგვარი მეტაფიზიკა, მან ზეპიროვნული ბუნების გაგება გაათავისუფლა ყოველგვარი რელიგიური „მინარევებისაგან“ (რომლებიც შეინიშნება იმავე შარონთან) და სოციალური განზოგადების გზით წავიდა, ანუ ადამიანის ბუნებაზე საკუთარი კლასის სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები გადაიტანა. გამოდიოდა, რომ ყველაფერი, რაც ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესების პრინციპებს შეესაბამებოდა, ბუნებრივი იყო, ხოლო რაც არ შეესაბამებოდა მათ - არაბუნებრივი, მახინჯი და უზნეო.

ეს რომ ასეა, მოლიერისეულ „ბრძენთა“ (sages) სახეების ანალიზი გვიჩვენებს. ყველა ასეთი დადებითი პერსონაჟი, როგორც კაცები (არისტო, კლეანტი, ბერალდი, კლიტანდრი), ასევე ქალები (ელმირა, ანრიეტა, ელიანტა), ბურჟუაზიული სიბრძნის მატარებლები, ბურჟუაზიული მორალის გამომხატველები და დამცველები არიან. მათი საუბრები - ბურჟუაზიის სოციალურ-ყოფითი პრაქტიკის, მისი კლასობრივი ინტერესებისა და პრინციპების, სიმპათიებისა და ანტიპათიების კოდექსს წარმოადგენენ. მოლიერი მთელ რიგ ბურჟუაზიულ „სათნოებებს“, დადებით თვისებებს ხატავს, რომლებიც განსხვავდებიან ფეოდალურ-რელიგიური სათნოებისაგან. ასეთებია: დიდსულოვნება და თავგანწირვა (ვალერი „ტარტიუფში“ და „მუნწში“), უშუალობა (მოლიერის ყველა მსახური ქალი, განსაკუთრებით დორინა და ტუანეტა), პირდაპირობა და გულწრფელობა (ალსესტი, კლიტანდრი).

ბურჟუაზიული იდეალებიდან ნებისმიერი გადახვევა მოლიერის მიერ გამოცხადებულია, როგორც არაბუნებრივი, დამახინჯებული, ყალბი. „ბუნების“ დამახინჯებულები მოლიერთან ძირითადად სამ გამოკვეთილ ტიპად იყოფა: 1) პრანჭიები, 2) კოხტაპრუწები, 3) პედანტები. ყველა მათგანს აერთიანებთ პატივმოყვარეობა, სხვებისგან გამორჩეულობის მანია. მათ სძულთ საღი აზრი, საერთო აზრის საწინააღმდეგოდ მიდიან, ამახინჯებენ, ძალას ატანენ საკუთარ ბუნებას და ისეთი თვისებების მატარებლებად მოაქვთ თავი, რომლებიც მათ არ გააჩნიათ. ამავე დროს, ისინი ამ იდეოლოგიური ტენდენციებისა და კულტურული ჩვევების მატარებლები არიან, რომლებიც უცხოა ბურჟუაზიისათვის და რომლებიც მათ გადმოღებული აქვთ ფეოდალური საზოგადოებისაგან.

დ) ზნეობრიობის პრობლემა.

ბუნების ცნება, რომელიც საფუძვლად ედო სტოიკურ და რენესანსულ ფილოსოფიას, შეიცავდა გონის ცნებას, რომელიც, თავის მხრივ, ემთხვეოდა სათნოების ცნებას. სტოიკოსებმა განავითარეს სოკრატეს წარმოდგენა სათნოების, როგორც ცოდნის შესახებ. ცხოვრება ბუნებასთან თანხმობაში მათთვის ნიშნავს გონიერ ცხოვრებას, შესაბამისად, ზნეობრივ ცხოვრებასაც. ბრძენი - სათნოებით აღჭურვილი ადამიანია, მანკიერი, ცუდი ადამიანი კი - ან სულელია, ან გიჟი. ამრიგად, ჩვენ მივდივართ ეთიკის ინტელექტუალისტურ გაგებამდე, რომელიც ჯერ კიდევ შარონთან და გასენდისთან იყო წარმოდგენილი.

ცოდვისა და ნაკლოვანების უგუნურებასთან გაიგივებას ვხვდებით მოლიერთანაც. მასთან ნაკლოვანების მხილებას ყოველთვის თან ახლავს სისულელის ჩვენება მის უამრავ გამოვლინებაში. ამასთან, გონიერი და ზნეობრივი ბუნებიდან ყველა გადახრა კომიკური ჩვენების ობიექტი ხდება. ამიტომ, სიცილი მოლიერთან არასდროს არ არის უაზრო, ცარიელი. მას ფილოსოფიური საფუძველი და

სოციალური მიმართულება გააჩნია, რადგანაც უგუნურებისა და უზნეობის დაცინვით მოლიერი „ბუნების“, ანუ თავისი კლასობრივი იდეალის დამახინჯებას დასცინოდა.

მოლიერისეული ყველა სულები ორ კატეგორიად იყოფა. პირველ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ადამიანები, რომლებიც ძალაუფლების სიყვარულისა და პატივმოყვარეობის გამო ზღუდავენ ბუნებას, ძალას ატანენ მას. მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან ადამიანები, რომელთა სისულელე ბუნებისა და მისი კანონების არცოდნიდან მომდინარეობს. პირველები უფრო საშიშნი არიან, რადგან მათი უზნეობა ბოროტი ნების შედეგია. ამიტომ მათი მხილება, დაცინვა მოკლებულია გულითად მხიარულებას და სარკაზმის ხასიათს იძენს. ამ ჯგუფს განეკუთვნებიან როგორც კლასობრივი მტრების, ასევე ბურჟუაზია სახეები, რომლებიც „დაავადებულნი“ არიან მავნე, რეაქციული შეხედულებებით, რომლებიც ფეოდალური ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი. ამ ჯგუფში შემოდიან არისტოკრატები, პედანტები, თაღლითები, მოძალადეები, ახირებულები და ფარისევლები. ზოგიერთი მათგანის უგუნურება უნდა გავიგოთ სოციალურ-ფილოსოფიური და არა ყოფითი თვალსაზრისით, რადგანაც იგივე ტარტიუფი და დონ ჟუანი არავითარ შემთხვევაში არ არიან სულებები; მთელი უბედურება ისაა, რომ ისინი ჭკვიანები არიან; მათი ცუდად მიმართული გონება კიდევ უფრო ამძიმებს იმ ზიანს, რომელიც მათ მოაქვთ.

მეორე ჯგუფის პერსონაჟები წარმოადგენენ სულებებს, ბრიყვებს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ისინი ცოდვას ჩადიან და ზიანი მოაქვთ არა ბოროტი ნების გამო, არამედ უკულტურობის, განუვითარებლობის გამო. მათი სიბრიყვე არსებითად უწყინარია, მაგრამ როდესაც ისინი პირველი ტიპის „სულებების“ ხელში იარაღად იქცევიან, არც ისინი არიან უწყინარნი. ორგონი, გულუბრყვილო, მიაშიტი ბურჟუა, ტარტიუფის გავლენით გამოაჩენს „კლანჭებს“ და მოძალადედ იქცევა, რომელიც ავიწროებს ოჯახის წევრებს. „განსწავლული ქალების“ მთელი ჯგუფიც მეორე ჯგუფს განეკუთვნება, რადგანაც მათი სისულელე უწყინარია და მხოლოდ მათვე აყენებს ზიანს, მაგრამ ფილამენტა გამოირჩევა ამ ჯგუფის დანარჩენი წევრებისაგან, რადგანაც იგი ცდილობს გავლენა მოახდინოს ანრიეტაზე და ძალად გაათხოვოს იგი ტრისოტენზე. არგანიც, ვიდრე „ექვით ავადმყოფია“, მხოლოდ მაყურებელთა სიცილს იწვევს, მაგრამ როდესაც იგი ცდილობს ძალად გაათხოვოს თავისი ქალიშვილი დიაფუარუსზე, დამოკიდებულება მის მიმართ იცვლება.

ამრიგად, შეუძლებელია ზუსტი, მკაცრი საზღვრის გავლება ორი ტიპის სულებებს შორის. არსებითად, უნდა განვასხვავოთ უგუნურების ორი მხარე, რომელთა ტიპიურ გამოვლინებას წარმოადგენს ახირებულობა (extravagance), პირველ შემთხვევაში, და ცრურწმენა (superstition) - მეორე შემთხვევაში. უგუნურების ორივე მხარე შეიძლება აღმოჩნდეს ქმედითი იმდენად, რამდენადაც ისინი ავლენენ ვნებებს. ბრძენის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოთოკოს ვნებები (როგორც თავისი, ასევე სხვისი) გონების წყალობით. ბრძოლა გონებასა (raison) და ვნებას (passion) შორის გამსჭვალავს მოლიერის კომედიის მრავალ პასაჟს, ზოგჯერ მთელ პიესებსაც კი. ბრძენად მოლიერს მიაჩნია ის, ვისაც აქვს მსჯელობის, განსჯის უნარი (raisonner), მშვიდად აწონ-დაწონის ყველაფერს და განასხვავებს ჭეშმარიტს მცდარისაგან.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი, გვეფიქრა, რომ ასეთი მშრალი, გაწონასწორებული ბრძენი არის მოლიერის ცხოვრებისეული იდეალის სრული განსახიერება. ეს იმ შემთხვევაში იქნებოდა ასე, მოლიერი რომ თანმიმდევრულად ატარებდეს თავის კომედიებში სტოიკურ მორალს. მაგრამ მოლიერი ძირითადად მაინც ეპიკურესეულ პოზიციებზე იდგა, ხოლო ეპიკურელები კი ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ ბუნებრივ და აუცილებელ ვნებებს არაბუნებრივი და მცდარი ვნებებისაგან. სწორედ აქ, მოლიერი, შარონის, გასენდის, და ბერნიეს მსგავსად, მიმართავდა სწავლებას „ოქროს შუალედის“ (juste milieu) შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა არა ვნებების განადგურებას, მოსპობას, არამედ მათ მოთოკვას. ამ თვალსაზრისს მოლიერი ხშირად გამოთქვამდა თავის პიესებში არისტის, კრიზალდის, კლენტიის, ფილენტიისა და სხვა პერსონაჟთა პირით.

გასენდის მსგავსად, მოლიერი თვლიდა, რომ ვნებები თანაბარი ღირებულებისა არ არიან და რომ უნდა განვასხვავოთ ბუნებრივი ვნებები და არაბუნებრივი, ანუ მავნე, მანკიერი ვნებები. იგი თვლიდა, რომ ბუნებრივი ვნებების დაძლევა თვით ბრძენსაც კი არ შეუძლია. ერთ-ერთ ასეთ ბრძენზე - კლიტანდრზე („განსწავლულ ქალებში“) ფილამენტა ამბობს, რომ იგი გაცხარდა, და რომ ეს გაცხარება მისი ბუნებრივი გრძნობების ბუნებრივი გამოხატვაა. ვნების გამოვლენის სრულიად კანონიერ სფეროს, მოლიერის აზრით, წარმოადგენს სიყვარული, რომელიც არ უნდა იქცეს ცივი განსჯის საგნად. „მიზანთროპში“ ალსესტი ამბობს, რომ სიყვარულის გზნებას გონება არ წარმართავს. მოლიერის აზრით გული შინაგან სტიმულს ექვემდებარება და არა გონებას. დრამატურგი ამ ძალას, ჩვეულებრივ, ახასიათებს სიტყვით „caprice“ და თვლის მას „ბუნების“ კანონიერ გამოვლინებად მანამ, ვიდრე იგი არ სცდება გონიერების ფარგლებს. მაგრამ თუკი სიყვარული, სასიყვარულო ვნება გადადის სიბრმავეში, როდესაც იგი ადამიანს უგუნური საქციელისკენ უბიძგებს, მათ შორის, პირველ რიგში, ველური

ექვიანობისაკენ, იგი სასაცილო ხდება. მოლიერს ძალიან უყვარდა „სასიყვარულო გაბუტვის“ კომიკური სცენების დამუშავება, როდესაც სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს შეყვარებულთა ექვიანობისა და ჩხუბის და მათი შერიგების სცენები. ასეთი სიტუაცია დაედო საფუძვლად მის ერთ-ერთ პირველ კომედიას „ტანჯვა სიყვარულისა“ (ერასტი და ლუსილი) და შემდეგ იგი უმნიშვნელო ვარიაციებით განმეორდა „ტარტიუფში“ (ვალერი და მარიანა), აგრეთვე „გააზნაურებულ მდაბიოში“ (კლეონტი და ლიუსილი). მაგრამ ყველაზე მდიდარ მასალას შეყვარებულის ფსიქოლოგიის შესახებ მოლიერმა თავი მოუყარა „მიზანთროპში“, სადაც სწორედ ალესტის მგზნებარე ვნება სელიმენას მიმართ წარმოადგენს მის უგუნურ გამოხტომათა უმეტესი ნაწილის მიზეზს.

ამრიგად, „ბუნებრივი“ კანონიერი ვნება იქცევა „არაბუნებრივად“, უგუნურად, როდესაც იგი არღვევს „ოქროს შუაღედის“ პრინციპს, ანუ როდესაც იგი ეწინააღმდეგება ადამიანის ქცევის მარეგულირებელ საღ აზროვნებას. ამ შემთხვევაში მოლიერი დასცინის მას, რამეთუ „ადამიანები მზად არიან იყვნენ ბოროტნი, მაგრამ მათ არ სურთ იყვნენ სასაცილონი.“ როგორც ეს ძალზე ზუსტად შენიშნა მოლიერმა „ტარტიუფის“ წინასიტყვაობაში. მოლიერი იმედოვნებდა, რომ ყველა სიმახინჯის, ნაკლოვანებისა თუ სენის გამოსწორებას იმ უძლიერესი სამკურნალო საშუალებით მოახერხებდა, როგორცია სიცილი.

ბიბლიოგრაფია:

- არჩვაძე, ზ. (2003). *ნარკვევები ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან*. ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Amon, É. (1995). *L'Avare de Molière*. Paris.
- Bénazéraf, J. (1989). *L'École des femmes de Molière*. Paris.
- Dauvin, S. (1993). *L'Avare de Molière*. Paris.
- Égea, F. (1996). *Molière*. Paris.
- Geray, C. (1992). *Dom Juan de Molière*. Paris.
- Got, O. (1989). *Dom Juan de Molière*. Paris.
- Mallet, J.-D. (1996). *Les Précieuses ridicules. Les Femmes savantes*. Paris.
- Molière. (1970). *Oeuvres complètes. collection „L'Intégrale“*. Seuil. Paris.
- Pougeoise, M. (1995). *Le Bourgeois gentilhomme*. Paris.

Zurab Archvadze

Akaki Tsereteli State University

MOLIÈRE'S CREATIVE METHOD AND SOCIO-AESTHETIC VIEWS RESUME

Molière's main aesthetic slogan was to reflect the truth of life. Therefore, the artistic world he created is realistic in terms of solution, although this does not necessarily prevent him from being recognized as a classicist comedian. In his comedies, Molière skillfully uses the realistic possibilities of comedy as a genre: he created an entire gallery of artistic figures depicting different aspects of seventeenth-century French life. Most often in Molière's comedies we find the bourgeois types and the declassed elements of the so-called society that filled Paris at the time. Molière, as the leading bourgeois writer of the absolutist era, shared the doctrine of classicism as a whole, although he systematically violated all the rules and laws of the poetics of classicism that were contrary to his bourgeois self-consciousness. He followed the footsteps of the bourgeois stream in an aristocratic style, though on the contrary he should have been — as a classicist, entirely defended the interests of the Absolute. Molière's closeness to classicism indicates his propensity for a rationalistic solution to dramatic faces. Therefore, the characters are mostly static with Molière in their psychological content, the compositions are clear and strict, and the text excludes the existence of any irrational moments of lyricism and immediacy. Molière's beliefs are defined by three basic principles — personal freedom, naturalness, rational, and moral conduct. Accordingly, Molière raises in his plays the problems of upbringing, naturalness and morality. The problem of upbringing is posed in many of Molière's comedies. It shows the tense struggle between old and new methods of upbringing and always takes the side of novelty and youth. Playwright requires that parents show great care and attention to their children. An analysis of the faces of Molière's „wises“ (sages) shows that they are the bearers of bourgeois wisdom, the exponents and defenders of bourgeois morality, and naturally their level of education does not go beyond the interests of this class. Like the Stoics with Molière, living in harmony with human nature means living a rational life and therefore a moral life. Nevertheless, Molière takes a mainly epicurean position on the issue of morality.

Keywords: Molière, Classicism, Comedies, Creative method, Upbringing problem, Morality problem.

ინგლისური ნასესხობანი ფრანგული ენის ლექსიკაში

საკვანძო სიტყვები: ანგლიციზმები, დენოტატიური ნასესხობები, კონოტაციური ნასესხობები, ორმაგი ნასესხობები, სიტყვამაწარმოებელ ელემენტთა ნასესხობები.

შესავალი

ფრანგულ ენაში ფართოდაა წარმოდგენილი ინგლისური ენის ზემოქმედება. მან შეცვალა ლათინური ენა, რომელიც იყო მეცნიერების ენა მრავალ დარგში. ფრანგულ ენაში ანგლიციზმთა სესხების მიზეზები საკმაოდ მრავალფეროვანია; მათ შორის მთავარია: ახალ ცნებათა ნომინაციის მოთხოვნილება ანუ პოლისემიის თავიდან აცილება არსებულ ტერმინოლოგიურ სისტემებში, განსაზღვრული სტილისტიკური შეფერილობის გამოხატულება და ემოციურ-ექსპრესიული შეფასება. ამ პროცესის მნიშვნელოვანი ფაქტორია ინგლისური ენის პრესტიჟულობა. ანგლიციზმების გამოყენება ქმნის ენობრივი კომპეტენტურობის შთაბეჭდილებას, მოდის, სოციალური სტატუსისა და განათლების დონის შესაბამისად.

მეთოდოლოგია და საკვლევი პრობლემის მიმოხილვა

ინგლისურ ნასესხობათა სახეობები ფრანგულ ენაში:

- **დენოტატიური ნასესხობანი** - ნასესხობანი ცნებასთან ერთად, მაგალითად: **leader** – ლიდერი; **label** – ეტიკეტი, იარლიყი, მარკა; **nylon** – ნეილონი.

- **კონოტაციური ნასესხობანი** – ნასესხობათა ეს სახეობა აღნიშნავს ფრანგულ ენაში იმ ინგლისურ სიტყვათა შეღწევას, რომლებიც აღნიშნავენ იმ ცნებებს, რომელთაც ფრანგულ ენაში უკვე გააჩნიათ თავიანთი სახელწოდება, მაგალითად: **week-end** – **fin de la semaine** – ვიკენდი, კვირის ბოლო; **baby** – **bébé** – ჩვილი ბავშვი; **nurse** – **bonne d'enfant** – ძიძა; **insane** – **insensé** – უაზრო; **barman** – **garçon** – ბარმენი, ოფიციატი; **leader** – **chef** – ლიდერი, მეთაური; **living room** – **salle de séjour** – სასტუმრო ოთახი; **match** – **compétition** – მატჩი, შეჯიბრება.

- **ორმაგი ნასესხობანი** – ნასესხობათა სახეობა, რომლის შედეგადაც სიტყვები და ცნებები, გადატანილნი ინგლისური ენის მიერ წარსულ ეპოქაში, ბრუნდებიან ფრანგულ ენაში მორფოლოგიისა და სემანტიკის სახეცვლილებებით, თუმცე ინარჩუნებენ წარმოთქმას ფრანგული ენის ნორმების შესაბამისად; მაგალითად: **humour** – იუმორი, ნასესხობა ფრანგული ენიდან ინგლისური ენის მიერ მე-17 (ფრანგ. **humeur** – მიდრეკილება ხუმრობისადმი), რომელმაც, დაბრუნდა რა წყარო-ენაში, მიიღო ახალი დაბოლოება და წარმოითქმის თანამედროვე ფრანგული საწარმოთქმო ნორმების შესაბამისად.

- **სიტყვამაწარმოებელ ელემენტთა ნასესხობა** - ინგლისური ენის განსაზღვრულ მორფოლოგიურ ელემენტთა ნასესხობა (სუფიქსი, დაბოლოება, წინსართი) და მათი მიერთება მკვიდრ ფრანგულ სიტყვებთან; მაგალითად: **couponing**, ნაწარმოებია ფრანგული სტყვიდან **coupon** ინგლისურ სუფიქს **-ing** - ის დამატებით. სუფიქსი **-ing**, აღნიშნავს ქმედებას, ქმედების ადგილს, რომელიც აწარმოებს სიტყვებს ფრანგულ ენაზე, ინგლისური ენისაგან დამოუკიდებლად; მაგალითად: **caravaning** სიტყვიდან **caravane**: 1). ქარავანი; 2). ტრანსპორტი; 3). მგზავრთა ავტოსაბმური; 4). ერთად მსვლელ ადამიანთა ჯგუფი. თვით სიტყვა **caravaning** -ს აქვს შემდეგი მნიშვნელობები: 1). ავტოტურიზმი; 2). კემპინგი ავტოფურგონიანი ტურისტებისათვის.

- **კალკირება**. ისევე, როგორც ხდება სესხება ცალკეული ინგლისური სიტყვებისა, ასევე ხდება სესხება სიტყვათა მნიშვნელობებისა, ინგლისური ენიდან ფრანგულ ენაში გადადის მთლიანი გამონათქვამები, ფრაზეოლოგიური შეერთებები და ამ შეერთებათა გააზრებები. მაგალითად, ნაცვლად ფრანგული **tomber amoureux** -სა „შეყვარება“, ამბობენ **tomber en amour** (ინგლ. **to fall in love** - დან); **ouvrir la ligne** (ინგლ. **to open the line** - დან) – ნაცვლად **décrocher** -სი „ყურმილის აღება“; **demander une question** (ინგლ. **to ask a question** - დან) – ნაცვლად **poser une question** „შეკითხვის მიცემა“. ნასესხები სიტყვები ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში გვხვდება: საყოფაცხოვრებო წესებიდან ტერმინოლოგიამდე. თუმცე, მსესხებელი ენა მარტივად და პასიურად არ ითვისებს უცხო სიტყვას. უცხო სიტყვის ათვისება მექანიკურად არ ხდება, იგი იცვლება, ეგუება რა მოცემული ენის სისტემას და ხდება მისი ორგანული ნაწილი. ათვისების პროცესში, სიტყვის ცვლილება სხვადასხვა მიმართულებით ხდება. ფრანგულ ენაში, ინგლისური ნასესხობები ექვემდებარებიან ადაპტაციის ყველა შესაძლებელ სახეობას, რომელთაგან

ყველაზე მეტად დამახასიათებელია ფონეტიკური, მორფოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციები. თუმცა, არ ასიმილირდებიან ისეთი სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ განსაკუთრებულ ინგლისურ ნივთებსა და მოვლენებს: **lady, gentleman, pudding, bill**. ამჟამად, ინგლისური ენის გავლენის პროცესი ფრანგულ ენაზე დიდი ინტენსიურობით ხდება გლობალიზაციის გამო. ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე, ფრანგული ენა ძალიან შეიცვალა, განსაკუთრებით ლექსიკური შემადგენლობის მხრივ. ეს ფაქტი არ არის საკვირველი, რადგან ბოლო ოცდახუთ წელიწადში, მძაფრი მოვლენები, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, ცხოვრების აჩქარებული ტემპი, ბუნებრივია, უნდა ასახულიყო ფრანგი ხალხის ენაშიც. ადამიანისათვის, რომელმაც კარგად იცის ფრანგული ენა და ჟურნალ-გაზეთების კითხვისას, ხვდება ახალი უცნაური, არაფრანგული სიტყვები, რასაკვირველია, ზოგჯერ - გაუგებარიცაა. ფრანგებმა, თანამემამულეთა იმ ნაწილის მიმართ, რომლებიც უზომოდ გატაცებულნი არიან უცხოური ნასესხობებით, ტერმინი - ფრანგული ენაც კი შემოიღეს. ფრანგმა ლინგვისტმა, რენე ეტიემბლმა, გამოიყენა ეს ტერმინი თავის ცნობილ წიგნში „**Parlez-vous français?**“, რომელიც გამოიცა 1964 წელს. ტერმინი „**le français**“, ნაწარმოები სიტყვებიდან „**français**“ et „**anglais**“ აღნიშნავს ფრანგულ ენაში ინგლისური სიტყვების გამოყენებას, ზეპირ და წერით ენაში.

შედეგები/დასკვნები

დასკვნის სახით შევნიშნავთ, რომ ანგლიციზმები ფრანგთა ყოველდღიური ენის დიდ ნაწილს შეადგენენ, განსაკუთრებით ახალგაზრდების ენაში. ამჟამად, შეუძლებელია ფრანგებთან ურთიერთობა იმ ინგლისური სიტყვების ცოდნის გარეშე, რომლებიც დამკვიდრებულია კლასიკურ ფრანგულ ენაში. ყველაზე ხშირად, ინგლისური ნასესხობები გვხვდება ყოველდღიური ურთიერთობის სფეროში, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, საესტრადო მუსიკის, კულინარიის, მოდის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ეკონომიკისა და მენეჯმენტის სფეროებში, ასევე ინფორმაციულ ტექნოლოგიათა სფეროში. ისინი შეიძლება დავყოთ შემდეგ თემატურ ჯგუფებად: „**საჭმელი, საკვები პროდუქტები**“: **fast-food, cheeseburger, chips, lunch, barbecue, sandwich, snackbar, punch, cocktail, soda, whisky, pub**; - „**ტანსაცმელი, მოდა და სილამაზე**“: **dressing-room, label, leggings, stretch, string, top-modèle, piercing, chignon, shopping, spray, dress code, look, funny, casting, jeans, tee-short, top, top-model**; „**გარეგნობა, ხასიათი**“: **slim, lovely, pretty, trench, un sac bowling en cuir, make-up, superwomen, lifting, bon look, top class, miss, gentlemen, superman, funny, cool**; - „**სპორტი**“: **football (foot), handball, rugby, beach-boll, free-style, boxer, tennis, auto-motto, basket-ball, volley-ball, score, set, match, boxe, judo, auto-moto, freestyle, jogging, snowboard, bobsleigh**; - „**ტრანსპორტი**“: **cab, car, karting, lorry, van, un car-ferry, parking, yacht, bulldozer, bus, skipper, scooter, métro, métropolitain, express, crash, break, parking, tunnel, auto**; - „**აღზრდა და სწავლება**“: **baby, baby-boom, baby-sitting, tutoriel, puzzle, nurse**; „**კინო, ტელეხედვა, მუსიკა**“: **festival off, fiction, gangster, pop star, happy end, fiction, superstar, horror snow, remake, rock-n-roll, hard rock, folk, fan, slow, jazz, singer, world music, dance team, fantasy**; - „**საკომუნიკაციო საშუალებები, კომპიუტერული და ინტერნეტ ტექნოლოგიები, მობილური კავშირი**“: **blog, blogueur, hardware, webcam, tweet, google, software, site, post, net, internaute, internet, en ligne, e-mail, chat, plate-forme, high-tech, mobile, MMS, SMS, message**. ინგლისურ ნასესხობათა ყველაზე დიდი რაოდენობა შეინიშნება ახალგაზრდათა ლექსიკაში. ასეთებია: **Coca-cola, Pepsi, just, cool, too much, speed, jeans, walkman, tee-short, punk**. ცოცხალი სალაპარაკო ენაც სავსეა ანგლიციზმებით: **yes, rigoler, blague, squat, saloperie, descendre, fichtre, matraquage, garconnet, panache, info, promo, prof, dejanter, gonfler, seriner, ramener, rappliquer, rajouter, rentrer, renvoyer, rebonjour, non-stop**. ახალგაზრდების ლექსიკაზე ასეთი ძლიერი გავლენა უკავშირდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კინოს, ტელეხედვას, ასევე საკობრივ თავისებურებებს. აღსანიშნავია, რომ უფროსი თაობების მეტყველებაში არ შეინიშნება ანგლიციზმთა ასეთი რაოდენობა. ფრანგული ენის მაგალითებს შეიძლება შევხვდეთ ავთენტურ მასალებში (ტექსტებში, საგაზეთო სტატიებში, ინტერნეტში, ფრანგულ სიმღერებში), რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში. ამიტომაც, აუცილებელია ყურადღება მიექცეს ანგლიციზმებს შესასწავლი თემების ლექსიკური მასალის სწავლებისას.

ბიბლიოგრაფია:

Cactus. Website: <https://www.cactusworldwide.com/>

Chesley, P. (2010). Lexical borrowings in French: Anglicisms as a separate phenomenon. *Journal of French Language Studies*, 20(3), 231-251. doi:<https://doi.org/10.1017/S0959269510000049>

Le Petit Larousse illustré. (1995). Paris.

Ministère de la Culture. (n.d.). *Langue française et langues de France*. Retrieved from <http://www.culture.gouv.fr/culture/dgllf/>

Pflimlin, E. (2016, July 1). Le Brexit et l'avenir de la City londonienne. *Le Monde*.
Wikipedia. (n.d.). *Français*. Retrieved from <https://fr.wikipedia.org/wiki/Français>
Арнольд, И. (2012). *Лексикология современного английского языка*. Москва: Флинта.
Селезнева, В., & Краснова, Е. (2017). *French borrowings in English*. Донской Государственный.

Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ENGLISH BORROWINGS IN FRENCH LEXIS
RESUME

One of the characteristic features of language development is the constant variability of its lexical composition. In order to fully fulfill its main function, i.e. the function of communication, its lexical composition of a language should quickly and immediately respond, reflect and fix the changes that take place in all spheres of life and human activity: production, science, world-view, socio-economic relations, life etc. All the realities of the surrounding actions are reflected in the lexical inventory of a language, which reacts quickly to any change in this or that area of life. Any new concept that emerges as a result of human activity, in various fields immediately acquires reflection in language, and thus neologisms are created (Greek **neos** - new and **logos** - concept). Neologisms are linguistic units that are created by the internal means of any language, as well as by borrowed ones from the other languages. Borrowings are one of the most important factors in language development. The influence of the English language can be seen in the history of many languages.

Keywords: Anglicisms, Denotative borrowings, Connotative borrowings, Double borrowings, Borrowings of word- formative elements.

დავით ახლოური
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქვემო ქარჩოხის ხეობის ტოპონიმები

საკვანძო სიტყვები: ქარჩოხი, ხეობა, ტოპონიმი, მამულები, მდინარე.

მდინარე ქსნის სათავე ცხრაზმის, ჭურთის და ქარჩოხის ხეობებისგან შედგება... ცხრაზმა ისტორიულ სოფელ ლარგვისის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, სადაც ჩამოედინება მდინარე ცხრაზმულა, მდინარე ჭურთულა ქსნის მარჯვენა შენაკადია, ხოლო ქარჩოხის ხეობა ზემოთ, ჩრდილოეთით მიუყვება ქსანს.

მთის ხეობები ოდითგან კარგად იყო გამაგრებული ციხე-კოშკებით და არა მარტო ქსნის ერისთავების, არამედ საქართველო სამეფო კარისთვისაც საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა. ლარგვისის მონასტერში არაერთხელ გადაუმაღლავთ სვეტიცხოვლის საგანძური.

უნდა ითქვას, რომ დღეს ქარჩოხი ქსნის ბოლო ხეობაა, სადაც ჯერ კიდევ ცხოვრობს მოსახლეობა, თუმცა რამდენიმე ათეული წლის წინ ქარჩოხის ჩრდილო დასავლეთით ჟამურის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ, რომლებიც იქ XVIII საუკუნიდან მკვიდრდებიან. მოგვიანებით მათი ნაწილი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილმა კი ქართლის ბარს მიაშურა.

საქართველოს ისტორიაში კარგადაა ცნობილი ქარჩოხის ბრძოლა. ქართველთა ლაშქარმა, მარაბდის ველზე განცდილი მარცხის შემდეგ ცხმორის ციხესთან გადაუხადა სპარსელებს სამაგიერო, მტერმა 12 000 მეომარი დაკარგა.

XVIII საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობების მიხედვით ქარჩოხის თემში 12 სოფელი შედიოდა (თაყაიშვილი, 1951, გვ. 9-13), საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ადმინისტრაციულად ქარჩოხს ექვემდებარებოდა სოფლები: ნავიხევი, ოხირი, ჩიგოანი, ელოიანი, თინიკანი, წიპტაური, პავლიანი, კარელთკარი, ბალაანი, მიდელაანი, ქენქაანი, ხოზოეთი, ჭორჭოხი (ენციკლოპედია „საქართველო“, 1997, გვ. 341) ანუ ჟამურის ხეობის მოსახლეობის ნაწილიც.

ქარჩოხის ხეობას, გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, მოსახლეობა ორ ნაწილად ყოფდა, ქვემო და ზემო ხეობებად. ქვემო ქარჩოხად უნდა მივიჩნიოთ სამხრეთით მდებარე სოფლები: ბალაანი (ადმინისტრაციული ცენტრი), მიდელაანი, ქენქაანი, ჭორჭოხი, ასევე ნასოფლარები ძაბოეთი და ხოზოეთი.

ბალაანის ადრინდელი სახელწოდებაა **ახალდაბაა**, სადაც თავდაპირველად ბალხამიშვილები, მარტიაშვილები, ფოცხვერაშვილები და ბუთხუზები ცხოვრობდნენ. სახელწოდება მიგვანიშნებს, რომ საუკუნეების წინ აქ გაჩენილა დაბის ტიპის საცხოვრებელი დასახლება, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მალევე უნდა ქვეულიყო ქარჩოხის თემის ადმინისტრაციულ ცენტრად. იგი ერთმანეთთან აკავშირებდა ზემო და ქვემო ხეობებს. XVIII საუკუნის აღწერების მიხედვით შემდგომში აქ დამკვიდრდა ქარჩოხის მოურავი აბრამ ბალას ძე თინიკაშვილი, რომლის შთამომავლებიც მოგვიანებით ბალაშვილებად დაეწერნენ. 1873 წლის კამერალური აღწერაში სოფლის ორივე სახელწოდებაა მითითებული - **„ახალდაბა ანუ ბალაანთკარი“**... მცხოვრებთა შორის უკვე ბალაშვილები ჭარბობენ... (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი). სახელწოდება **ბალაანი** აქ დასახლებული გვარიდან მომდინარეობს. მოურავის სახელს დაუკავშირდა ტოპონიმები: **მოურავიანი** (სოფლის მოსახლეობის ერთ-ერთი შტო), **მოურავიანთ მიწები** (სახნავ-სათესი მამულები)... მოსახლეობა სხვა შტოებადაც იყოფოდა - **მათეანი და ზევითლიანი**. სოფლის თავში მოსახლე ბალაშვილებს ზევითლიანებად იხსენიებდნენ, მათეანი წინაპრის პატივსაცემად მის შთამომავლებს ეწოდათ.

ბალაანს ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ტყე, რომელიც **„ბალხამთ მზვარის“** სახელით იყო ცნობილი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, თუ რა როლს ასრულებდნენ სოფლის ცხოვრებაში აქ ბალაშვილებამდე დამკვიდრებული ბალხამიშვილები (ახლოური, 2019, გვ. 55).

საყურადღებო ტოპონიმია **დიდ-ბალაანი**, რომელიც მიგვანიშნებს ქსნის ხეობაში რამდენიმე თაობის ერთ ოჯახად თანაცხოვრებაზე, რაც ხელს უწყობდა ურთიერთ სოლიდარობას და ოჯახების ეკონომიურად გაძლიერების საფუძველი ხდებოდა. დიდ-ბალაანელთა ერთ-ერთ წინაპარს წიწის ფიციც კი დაუდვია ერთობაზე... მეოცე საუკუნის ოციან წლებში დიდ-ბალაანის ოჯახის წევრთა რაოდენობა 75 სულს ითვლიდა, ჰყავდათ ცხვრის დიდი ფარა, 80 სულამდე მსხვილფეხა საქონელი, 24 ცხენი, ჰქონდათ სახნავ-სათესისა და სათიბ-სამოვრების დიდი სავარგულები. „ოჯახში ერთდროულად 9 აკვანი ირწეოდა. სამკალ-სათიბზე 20-მდე მუშა მამაკაცი და 15 ქალი გადიოდა... ყოველდღიურად პურის გამოცხოებაზე ესაჭიროებოდათ ერთი კოდი ანუ 64 კილოგრამი ფქვილი, წელიწადში კი 23360 კილოგრამი, რაც მარცვლეულის დიდ მარაგს მოითხოვდა.“ (მთხრობელი მამო გიორგის ასული ბალაშვილი) (ქენქაძე, 2011, გვ. 44-45).

ბალაანის კოშკი - ამ სახელწოდებითაა ცნობილი სოფელში აღმართული პირამიდული ფორმის ოთხსართულიანი საბრძოლო კოშკი ორფერდა სახურავით, რომელსაც სტილისტიკური მონაცემებით XVI საუკუნის ბოლო პერიოდს ან მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარს მიაკუთვნებენ. (ზაქარაია, 2002, გვ. 432) კოშკი აგებულია ფლეთილი წვრილი ქვით, პირველ სართულზე ბუხარია მოწყობილი, სამ სართულზე სათოფეებია განლაგებული, მეოთხეზე - სადაზვერვო ხერხელები. სავარაუდოდ, ასრულებდა, როგორც თავდაცვით, ისე საცხოვრებელი ნაგებობის ფუნქციას.

ტოპონიმთა ნაწილი უკავშირდებოდა სოფლის სალოცავებს: **კვირაცხოველი** - კვირაცხოვლის ნიშზე მიგვანიშნებდა, **ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის მამულები** იმ ადგილებს ეწოდებოდა, სადაც მათი სახელობის სალოცავები იყო აგებული. **საღვთოს ქედზე**, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით მდებარეობდა, საღვთო სალოცავი იყო დაბრძანებული.

დიაკვნის ქედი სოფლების ჭორჭოხისა და ბალაანის საზღვარი იყო. გადმოცემით, ბალაანელებსა და ჭორჭოხელებს მამულების გამო მუდმივად დავა და შფოთი ჰქონიათ. საკითხის მოგვარება სოფლის დიაკვნს გადაუწყვეტია. იგი შეთანხმებულა ჭორჭოხელებთან, რომ წაიღებდა სამანის ქვას ბალაანიდან და სადამდეც შეძლებდა შეუსვენებლად მის ატანას, იქ იქნებოდა საზღვარი. ღვთის მსახურს დიაკვნის ქედთან ჩაუთმუხლია, იქვე გარდაცვლილა. მისი სამუდამო განსასვენებელიც საზღვრის ქედზეა.

სოფელში ვხვდებით ასევე **სათოლის ცხვირის ქედს**, რომელიც ცხვირს ჩამოჰკავს და **ოლეს ქედს**...

სოფლის ერთ-ერთ სამოვარს **ბარბითი** ერქვა. ბარბითი (მულნი - ორბელიანი, 1991, გვ. 95), იყო სიმებიანი საკრავი, ყელით და ფართო მუცლით, გამოსცემდა დაბალ ხმას (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, 2011, გვ. 15). ბალაანშიც ერთ-ერთი მამული აღნიშნულ საკრავს მოჰკავდა, იგი ვიწრო ყელით ტყეში გატეხილ სახნავ მიწებთან იყო დაკავშირებული.

ქსნის ხეობაში და მით უფრო მთიან ზოლში ხშირად ვხვდებით ტოპონიმებს: **ახოები, ნატეხები**, მაგალითად, ბალაანში მამულებს მოიხსენიებდნენ **ორდაანთ ნატეხის, ლექსოს ნატეხის, ლადოს ნატეხის** სახელწოდებებით, მიდელაანში - **გოგილაანთ ახოები, ილურთქლიანთ ახოები, თანდილაანთ ახოები...** ქენქაანში - **ოთარას ახო, წინ ახო, ტეტას ახო...** ჭორჭოხში - **დიდახო** და ა.შ. ახოები, იგივე ნატეხები გაკაფულ და დამუშავებულ მამულზე მიგვანიშნებდა. სულხან-საბას მიხედვით ახო არის „საყანური განაკაფი, ტყე-განყენებული“ (ორბელიანი, 1991, გვ. 85). იმის გამო, რომ მთის სოფლებში სახნავი მამულები მცირე იყო და მოსავლიანობა - მწირი, მთიელები იძულებული ხდებოდნენ გაეჩხათ ტყეები, მოეთხარათ დეკა და იელი და სახნავად მოემზადებინათ (ითონიშვილი, 1974, გვ. 22), რაც კოლოსალურ შრომას მოითხოვდა. ქარჩოხის ხეობაში უმეტესწილად ისეთი ადგილებია, რომელსაც ეტყობა, რომ ტყისგანაა „გამოგლეჯილი“. ამ ახოებმა მათი გამტეხისა და დამმუშავებელის სახელები დღემდე შემოგვინახეს, ზოგი მესაკუთრის ვინაობა კი ხალხის მეხსიერებას აღარ შემორჩა და უბრალოდ, ახოებად ან ნატეხებად არიან ცნობილი.

ასევე ყველა სოფელში გვხვდება ტოპონიმები: **მზვარე, ვაკეები, სამარილე, ნიშიქედი, ჩირდილიმიწები, ნაყვარქედი ან ნაყვარები, ნაფეტვარი, საგულეები, დიდველე, ხატიმიწები...**

სულხან საბას განმარტებით მზვარე არის „ადგილი მზის მდეგი“ (ორბელიანი, 1991, გვ. 474). ზოგ სოფელში იგი კუთვნილებითი ხასიათისაა, ბალაანში - **ბალხამთ მზვარე**, ჭორჭოხში - **ქაწაანთ მზვარე...**

ვაკე სწორი, გაშლილი ადგილის აღმნიშვნელია და, მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, არცთუ ისე ხშირად გვხვდება მთაში, მაინც ყველა სოფელშია ვაკედ წოდებული მამულები.

სამარილე ეწოდებოდა ადგილს, სადაც დალაგებული იყო სიპი ქვები და საქონელს მარილს აჰმევენენ.

ნიშიქედზე სალოცავი ნიში იყო დაბრძანებული.

ჩირდილიმიწები ტყის შუა გულში მდებარე მამული გახლდათ, სადაც მუდმივად ჩრდილი იდგა (სომხიშვილი, 1981, გვ. 17).

ნაყვარქედი, ნაყვარი გატიალებულზე, ამოწყვეტილზე მიგვანიშნებდა, რასაც ადგილობრივები განაყვრებულს ეძახდნენ. სავარაუდოდ, ეს ტერმინი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო გარკვეული ტერიტორიის მფლობელის უმემკვიდრეოდ გარდაცვალებასთან ან ნადირის მიერ მოსახლეობის კუთვნილი საქონლის ამოწყვეტასთან.

ნაფეტვარი მამული იყო, სადაც ფეტვი ითესებოდა სასოფლო სამეურნეო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

საგულეები საგულე, საგულეებელი, საგულდაგულოდ შერჩეული მამულის აღმნიშვნელი იყო, ასეთ ადგილებზე სოფლის მოსახლეობა ხშირად ზამთრისთვის განკუთვნილ თივებს ინახავდა.

დიდველე, გრძელველა სახნავი თუ სათიბი მამულის მოცულობაზე მიგვანიშნებდა.

თითოეული სოფლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა **ხატიმიწებად** სახელდებულ მამულებს. ქსნის ხეობის მთის ყველა სოფელში გვხვდება ხატის მიწები, ხატის მთები, ხატის ტყეები... ცნობილი ეთნოგრაფის ვ. ითონიშვილის დაკვირვებით, ხატის მამულების ზრდას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა. პირველი ძირითადი მიზეზი სალოცავების ჯეროვანი მომსახურება და რელიგიური დღესასწაულების ორგანიზება იყო. ასევე მამულის თუ მთის შეწირვით ხატის რისხვისაგან თავის დაზღვევას ცდილობდნენ და ხატის სიახლოვეს მდებარე საკუთარ მამულებს თმობდნენ მოსალოდნელი დამიზეხებისაგან თავის დაცვის იმედით, ზოგჯერ კი „დამიზეხების“ გამო... ხატს მამულებს სწირავდნენ აგრეთვე სოფლიდან გადასახლების მოსურვე უმემკვიდრეოდ დარჩენილი ან მეტად შეძლებული პირები სასოფლო დღეობებზე მათი სულის დამწყალობებისათვის (ითონიშვილი, 2003, გვ. 105-106).

მაგალითად, სოფელ ქენქაანში სამი სალოცავი იყო, წმინდა გიორგის, ამაღლებისა და კვირაცხოვლობის. აქაურებისთვის, ლომისობის შემდეგ უმთავრესი დღესასწაული გიორგობა იყო, რომელსაც 23 ნოემბერს აღნიშნავდნენ. მიწების დიდი ნაწილი წმინდა გიორგის სახელზე ჰქონდათ შეწირული. მას ეკუთვნოდა ხის გუთნით 8 დღის, რკინის გუთნით 5 დღის სახნავი მიწა. იღებდნენ 2 ტონამდე მოსავალს, რომელსაც სოფელი თანაბრად ინაწილებდა. „4 ტომარა ლუდისთვის იყო განკუთვნილი, ხოლო 3 ტომარა არაყისთვის. ნაწილს პურის გამოსაცხობად გამოყოფდნენ. საკლავი რიგზე იყო. გაყიდული პურის საფასურით ყიდულობდნენ ჭურჭელს. მოსავლის ნაწილი სოფლის ხარჯებში მიდიოდა, ნაწილი კი ხალხს რჩებოდა. მოსავლით ეხმარებოდნენ აგრეთვე ობლებსა და ტიალებს. ყოველივე ამას ანაწილებდა ხატის უფროსი ანუ დეკანოზი“ (ითონიშვილი, 2003, გვ. 114).

სოფელ ჭორჭოხში ლომთ წმინდა გიორგის სახელზე ბალხამიშვილებს შეუწირავთ ყვერით სახნავი ორი დღიური მიწა **ასავალას** სახელწოდებით. ეს ადგილი სალოცავთან ახლოს მდებარეობდა და ოჯახის დამიზეხების გამო მოხდა მისი ხატისთვის დათმობა. ხატის მამულს, დეკანოზების ნებართვით, პავლიაშვილების ერთი ოჯახი ამუშავებდა, ისინი სოფელ პავლიანიდან იყვნენ გადმოსულები და ახალ

სამკვიდროში დიდი მამულები არ ჰქონდათ... მოსავალი 8 ტომარა ყოფილა, საიდანაც ერთი ტომარისგან ხატის ბეგარად არაყი უნდა გამოეხადათ ლომთ წმინდა გიორგის დღეობისთვის, შვიდ ტომარას კი თვითონ დაიტოვებდნენ. „ამავე სოფელში წმინდა არბოს ხატთან ახლოს მდებარეობდა მამული **ღელეთი** (6 დღიური), რომელიც დათიკა სამიაშვილმა (საბიაშვილმა - დ.ა.) ამ სალოცავს შესწირა იმის გამო, რომ ხატი მის ოჯახს „ამიზეზებდა“. ხსენებულ ადგილზე, რომელსაც სასოფლოდ ხმარობდნენ, 10-12 ტომარა პური მოდიოდა. ამაზედაც დაწესებული იყო ხატის ბეგარა, რომელსაც აღდგომაზე ან ყვავილობაზე იხდიდნენ. წმინდა არბოს ანალოგიურად ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელზედაც ყოფილა შეწირული 3 დღიური მამული და ამ შემთხვევაშიც იმავე მოტივით, რომ ხატთან მამულის ახლო მდებარეობის გამო სალოცავი ბალხამიშვილებს „ამიზეზებდა“. ამ შემთხვევაშიც შეწირულ მამულზე ქაშუეთობისათვის ბეგარა ყოფილა დაწესებული. დამოწმებულ მასალებს აგვირგვინებს მთხრობლის განაცხადი იმის თაობაზე, რომ ეს მამული არავის მიერ არ იყო გათავისებული, საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენდა და, ამდენად, ის სათემოდ ითვლებოდა“ (ითონიშვილი, 2003, გვ. 112-113).

ბალაანში 3 უღლით 10 დღის სახნავი მიწა ყოფილა განკუთვნილი წმინდა გიორგის ეკლესიის სახელზე, რომლის დამუშავებაც მთელი სოფლის ერთობლივი მოვალეობა იყო. „მოსავალი ხმარდებოდა როგორც დღეობებს, ისე სასოფლო საქმეს. მოწეული 20 ტომარა მარცვლეულიდან (1 ტომარა უდრის 4 ფუთს) 2 ტომარა ხმარდებოდა ლუდის დუღებას, 4 ტომარა სათესლედ გადაინახებოდა, ხოლო დარჩენილი 14 ტომარა მოსავლიდან ნაწილი საკლავისთვის გამოიყენებოდა, ხოლო ნაწილის საფასური სესხადაც გაიყვამოდა და გზის შეკეთებასაც ხმარდებოდა. თვით დღესასწაულების ორგანიზაცია სოფლიდან არჩეულ 4 მნათეს ევალებოდა. აღდგომის, კვირაცხოვლობისა და გიორგობისთვის ისინი „ხატისაგან ასესხებული“ ფულით საკლავებს ყიდულობდნენ. იმავე ფულით ოკაშში, ძალისში ან ლამისყანაში ნაყიდ ტკბილს ეკლესიის ქვევრებში ასხამდნენ (ითონიშვილი, 2003, გვ. 109-110).

ბალაანის ტოპონიმებიდან ასევე აღსანიშნავია კუთვნილებითი ხასიათის სამოვარი ადგილი, რომელსაც **ფიჩხანანთ მამულს** უწოდებდნენ, **გვერდეთი** - ფერდა სათიბი ადგილი იყო, **ჯორთუკა** სასაფლაოს უკანა ტერიტორიას ეწოდებოდა. **საშურეს წყარო** დასაშურებელზე, საჩქაროდ გამოსაყენებელზე უნდა მიგვანიშნებდეს. წყაროს სიახლოვეს კიროვანი მიწაა და მოიპოვება შირიმის ქვა, რომელიც მტკიცეა და წყალგაუმტარი. იყენებდნენ კედლების მშენებლობისთვის და ბინების გადასახურად. სოფლის წმინდა გიორგის ეკლესიის გუმბათი და სვეტები შირიმითაა დამზადებული.

ბალაანში რამდენიმე ხევი ჩამოედინება - **კვირაცხოვლისხევი და საშურეხევი**, ეკლესიასთან ერთდებიან და ქმნიან **ბალაანთხევს**, რომელიც ქსნის მარცხენა შენაკადია... **მურწათ ხევი** იმით იყო გამორჩეული, რომ იქ მხოლოდ მურწა თევზი ბინადრობდა.

ლერწითი სახნავი ადგილი იყო. სულხან-საბას მიხედვით „ლერწამი სუნნელია უაღრესი სხვათა სუნელთა სამღრდელოთა საკმეველად აღაზავებენ.“ იგი ლერწამს ადარებს ლელწამს - „ყანის ნაწველარსა, გინა ჩალასა“ და დასძენს, რომ „შაქარი მგონიაო“ (ორბელიანი, 1991, გვ. 411-412). როგორც ჩანს, ამ ადგილზე ხარობდა მცენარე, რომელსაც იყენებდნენ საკმეველის შესაზავებლად.

ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა ხშირად სხვადასხვა სოფლებში ფლობდა სახნავ-სათიბ ადგილებს, მაგალითად ბალაანში მიდელაშვილები და ქენქაძეები, თინიკაანში, მიდელაანში და ქენქაანში - ბალაშვილები და ასე შემდეგ... მთებს, რომელსაც თავის დროზე მეზობელი სოფლის მოსახლეობა თიბავდა, მოიხსენიებდნენ როგორც **ქენქაანთ მთა, მიდელაანთ მთა...**

ბალაანის დასავლეთით, ქსნის მარჯვენა მხარეს ნასოფლარი **მაბოეთია**, სადაც ოსები სახლობდნენ. ისინი კოლექტივიზაციის დაწყებამდე უნდა გადასახლებულიყვნენ ქარჩოხის ხეობიდან, თუმცა რამდენიმე ტოპონიმი დაუკავშირდა ამ ძველ ნასოფლარს, მაგალითად **გარმაბოური** ძაბუეთის სამხრეთით მამული ანუ გარე მაბოეთია, **მაბოეთის ხევი** მდინარე ქსნის მარჯვენა შენაკადია... **მაბოეთის სათიბები**, კოლექტივიზაციამდე მიდელაშვილების მიერ ოსებისგან შესყიდული ვრცელი ტერიტორიაა, რომელიც, რა თქმა უნდა, აქ ოსების დასახლებამდე ქართველებს ეკუთვნოდათ.

ბალაანის მეზობელ სოფელ მიდელაანის ტოპონიმების ერთი ნაწილი გვარის შტოებს უკავშირდება: **გოგილაანი, დემეტრიანი, თადილაანი, თამრიანი, ილურთქლიანი, კურდღელიანი, ნიკოლაანი, ნინიკოანი...** ვხვდებით მათ სახელზე განპირობებულ მამულებსაც: **თადილაანთ მიწები, გოგილაანთ ახოები, კურდღელიანთ ნასახლარები, თამრიანთ ნაფუძარი** და ა.შ.

ასავალი ეწოდებოდა მამულს, რომელიც ძაბუეთის მთებში ასასვლელი ადგილი იყო, **კედლიმიწები** კედელივით მყარ სალ კლდესთან ან მამულში მდგარ კედელთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, **კოლმოკლეები** - კვალმოკლეს ნიშნავდა, სახნავ ადგილს, სადაც ხვნის დროს მოკლე კვალი გაჰქონდათ. მამულის აღმნიშვნელი ტოპონიმი **კვალმოკლე** ქსნის ხეობის სოფელ სამეგურშიც გვხვდება (სომხიშვილი, 1981, გვ. 70). **სამგლეთი** მიდელაანის ჩრდილო-დასავლეთით მგლის სიმრავლით ცნობილი ადგილი იყო, რომელსაც საქონლის საზაფხულო სამოვრად იყენებდნენ. **ხედაცემულა** როგორც ტყის, ისე მამულის სახელწოდებაა, სადაც ცივი წყარო ჩამოედინება. წყაროსთან ახლოს დიდი წიფლის ხეებია, შესაძლებელია

ადრე აქ წაქცეული ხე წყაროს გადაეფარა და აქედან მივიღეთ ეს სახელწოდება. უკანა სასაფლაო სოფლის უკან მდებარე ადგილია, იგი წლების წინ სასაფლაოდ გადაქცეულა. გადმოცემით, სოფელ კვერიათის მოსახლეობა მიდელაანელებს თიხის მილებით რძეს აწვდიდა, რძე გველს მოუწამლავს, რასაც მსხვერპლი მოჰყოლია (ახლოური, 2006, გვ. 48-49).

სოფლის მკვიდრთა დღევანდელ სამუდამო განასვენებელს ტაბარძენას უწოდებენ. ტაბარი სპარსთა ენააო - აღნიშნავს სულხან-საბა: „ორპირი ნაჯახია, მოპტყე... ვ ი ს რ ა მ.: „რომელი ტაბარს სცემდეს, ჰგონებს საყვირისა ჯმასა აწომასა“ და ადარებს ტაბარძენს, „უნაგირზედ რომ ნაჯახს დაკიდებენ... „რომელიმე მოსჭრიდეს ფერტა წათებითა, რომელიმე კელთა ტაბარძენებითა“ (ორბელიანი, 1993, გვ. 129). ტაბარს ატარებდნენ დერვიშები (ჩიქობავა, 1986, გვ. 1228), აღმოსავლეთის ქვეყნებში მოხეტიალე მუსლიმანი ბერები, თუმცა, ცნობილია ისიც, რომ ამ იარაღს ქართველი მეზრძოლებიც იყენებდნენ და მათი შეიარაღების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ტაბარძენად წოდებული ადგილი შემადღებულზეა, მოაგავს უნაგირს, მაგრამ ცულთან რა კავშირშია, ხალხის ხსოვნაში არაა შემორჩენილი. შესაძლებელია აქ გამართულიყო ბრძოლა, რომლის დროსაც გამოიყენეს ტაბარი - ცული, როგორც საბრძოლო იარაღი. ასევე, არაა გამორიცხული ეს ყოფილიყო ტერიტორია, სადაც ქსნის ხეობელები საბრძოლო ხელოვნებას ეუფლებოდნენ ტაბარის გამოყენებით. ვისრამიანში ტაბარის ხმა საყვირის ყმას „ჰგონებს“. შეიძლება ტაბარის ხმა გლოვის ზარისა და დატირების ხმასთანაც გავაიგივოთ, რაც სასაფლაოსთვის უჩვეულო არ იქნებოდა. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ სასაფლაოდ ეს ადგილი შედარებით გვიან, XX საუკუნეში შეირჩა, მანამდე მიდელაშვილები მიცვალებულებს ბალაანში ეკლესიის სიახლოვეს კრძალავდნენ. მეზობელ სოფელში, წმინდა ადგილას, საფლავისთვის ტერიტორია მათ ნაყიდი ჰქონიათ...

მიდელაანის სამხრეთით სოფელი ქენქანია. სახელწოდება აქ მაცხოვრებელ გვარს უკავშირდება. ქენქაძეების წინაპრები ქსნის ხეობაში გორის რაიონის სოფელ თორტიზიდან არიან მოსულები, მათი ძირი გვარი ქარუმიძეა. სამი ძმიდან ერთი გეზვერეთში დაესახლა და ჭოჭკელების გვარს ჩაუყარა საფუძველი, დანარჩენი ორი ძმიდან, რომლებიც საკმაოდ მაღლები ყოფილან, ერთი ხარბალში დასახლდა, მეორე - ქენქანში ზესიძედ მოექცა ერთ იქაურ ხელოსან გლეხკაცს. ძმებს გვარი ფიზიკური სიმაღლიდან გამომდინარე მიუღიათ; ქენქა - მაღალს ნიშნავდა (ქენქაძე, 2008, გვ. 81).

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, ქსნის ხეობის სოფელ ქენქანის ძირი სიტყვა „ქენქ“ უნდა უკავშირდებოდეს ლაზურ „ქანქს“ და სვანურ „ქინქს“, რაც ქექვას ნიშნავს (ფენრიხი & სარჯველაძე, 1990, გვ. 334). ამ ვერსიას შიდა ქართლის ზოგიერთი ტოპონიმის განხილვისას იზიარებს პროფ. გ. სოსიაშვილი (სოსიაშვილი, 2013, გვ. 58).

ქენქანში ერთ-ერთ ქედს აბრამაანთ ქედი ეწოდება. აბრამაანი გვარის შტო იყო, რომლებიც სოფლის თავში აბრამაანთ ქედზე ცხოვრობდნენ. ერთი ვერსიით, ქედის სახელწოდება შეიძლება დაკავშირებული იყოს ქარჩოხის ხეობის მოურავ აბრამთან, რომელიც ქსნის საერისთავოს 1774 წლის აღწერით ქენქანის მკვიდრთა შორისაა მოხსენიებული ძმებთან - ივანესთან და გიორგისთან ერთად (თაყაიშვილი, 1951, გვ. 39), შემდეგ კი გადადის ახალდაბაში (თანამედროვე ბალაანი) და ბალაშვილების წინაპრად გვევლინება. შესაძლებელია, მოურავის პატივსაცემად ქენქანში მართლაც დაერქმიათ ქედისთვის მისი სახელი, ხოლო იქ მაცხოვრებელი ქენქაძეები აბრამიანთ სახელით მოეხსენიებინათ... დასაშვებია მეორე ვერსიაც, რომ აბრამი თვითონ ქენქაძეთა საგვარეულოდან ყოფილიყო, შტოსა და მათ საცხოვრებელ ქედს კი წინაპრის პატივსაცემად ეწოდა ეს სახელი.

სოფლის დასავლეთით ვხვდებით ქედს გრიგოლაურის სახელწოდებით. მამაკაცის საკუთარ სახელთან დაკავშირებულ ქედს ორ ნაწილად ყოფს შარის ხევი, რომელიც შარის, საფრთხის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ნაშრობის ქედი ქენქანის ზემოთ, დასავლეთითაა. ქარიანი ადგილის გამო, წვიმის შემდეგ ნიადაგი ადვილად შრებოდა.

ბეჟუანი ეწოდებოდა ქენქანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთ უბანს, სადაც, გადმოცემით, ქენქაძე ბეჟუას შვილები ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ ძმას მოუკლავს ჟამურელი ყაჩაღი მამსირა, ეროვნებით ოსი, რომელიც ცნობილი ყოფილა თავისი ძალადობითა და გარყვნილი საქციელით... ძმები იმავე დამეს აყრილან და სამკვიდროდან გადახვეწილან. სად, არავინ იცის. განრისხებულ ჟამურელებს ქენქაძეების სახლ-კარი გადაუწვავთ და მოუოხრებიათ (ვრცლად იხ. ქენქაძე, 2010, გვ. 46-47). დღეს ბეჟუანთა ნამოსახლარი კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაშია.

ბუერიანი ქენქანის სამხრეთით, ჭურთის წყალგამყოფ ქედზე მდებარე ვაკე ადგილი იყო. როგორც ჩანს, ეს ტერიტორიაც თავის დროზე გატეხილი და დამუშავებულია, ადრე იხვნებოდა, ბოლოს გაასამოვრეს და ძირითადად, მსხვილფეხა საქონლის გამოსაკვებად იყენებდნენ. ამ ადგილზე გავრცელებულია ბუერა - რთულყვავილოვანთა ოჯახის მრავალწლიანი ბალახი, დიდი, მომრგვალო

გრძელყუნწიანი ფოთლებით, რომელიც ტენიან ადგილებში ხარობს (ჩიქობავა, 1986, გვ. 64). ტენიანობა ბუერიანისათვისაცაა დამახასიათებელი.

კაკლების, საკაკლეს სახელით რამდენიმე ადგილი იყო ცნობილი. ქარჩოხის ხეობაში საკმაოდ დიდი ზომის კაკლის ხეები იზრდებოდა, ზოგიერთი რამდენიმე კომლის საკუთრება იყო და ნაყოფს თანაბრად ინაწილებდნენ.

კვირიკეთი ნასოფლარია სოფლის სამხრეთით. ტოპონიმი, ერთი ვერსიით, წმინდა კვირიკეს სახელს უნდა უკავშირდებოდეს. მეორე ვერსიით სახელი შეიძლება მომდინარეობდეს ამ ტერიტორიაზე შემორჩენილი კვირაცხოვლის სახელობის ეკლესიის სახელწოდებიდან. ამ ადგილს ზოგი **კვირიქედსაც** უწოდებს. კვირაცხოვლობა აღდგომის სწორზე აღინიშნებოდა, ქსნის ხეობაში თითქმის ყველა სოფელი ზეიმობდა ამ რელიგიურ დღესასწაულს.

გადმოცემით, კვირიკეთზე უცხოვრიათ არაგვის ხეობიდან გადმოსულ ნარიმანიძეებს. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის სამთავის საყდრის გამოსავლის დავთარში (იხ., ქართული სამართლის ძეგლები (ქსმ), 1970), ისევე როგორც ქსნის საერისთავოს 1774 და 1783 წლის სტატისტიკურ აღწერილობებში (იხ., თაყაიშვილი, 1951) ქენქაძეების გვერდით ნარიმანიძეები არ გვხვდებიან. ეს თქმულება გაცილებით წინა საუკუნეებს უნდა უკავშირდებოდეს.

სოფლის ზემოთ, დასავლეთით მდებარე წყარო მანიოზის სახელით იყო ცნობილი. **მანიოზის წყარო** ქმნიდა ხევს, სადაც ორი წისქვილი იყო გამართული, ერთი აბრამიანთ ეკუთვნოდა, მეორე - ხოზოეთის მაცხოვრებლებს.

მუნჯები სამოვარი ადგილი იყო კვირიკეთის (კვირიქედის) ახლოს... უფრო კლდიანი ადგილია. აქ ადრე ტყე ყოფილა და გაუკაფავთ. სახელი უნდა მიეღო უტყვი, მიკარგული ადგილმდებარეობის გამო. მუნჯების თავზე ნაგებობების კვალი იკვეთება.

პანტიანი მზარეულიანსა და ხარბალს შორის მდებარე ვრცელი მამულია, სადაც ასევე მდებარეობდა საყდარი. სახელწოდება დაკავშირებულია პანტის ჯიშის მსხლებთან.

საძაღლეთი სოფლის დასავლეთით ხოზოეთისკენ მიმავალ გზაზე მდებარე მამულია. მთაში ნადირის სიმრავლის გამო აქ მაცხოვრებელ ქიტთან შტოს ბევრი ძალლი ჰყოლია.

სხების სახელწოდებით სოფლის ბოლოში, აღმოსავლეთით მდებარე მამული გასხეპილზე, გაკაფულ ადგილზე მიგვანიშნებს.

შაფწაროები სოფლის დასავლეთით მდებარე ვრცელი ტერიტორიაა. ამ სახელით მოიხსენიებდნენ ველებს და წყაროებს, რომლებიც რამდენიმე ადგილას გამოედინებინ კლდეებიდან და აქვთ მოშავო ვერი.

შოლტები მზარეულიანთ ნასოფლარის ქვემოთ, ჭორჭოხის მოპირდაპირედ, ჭალის პირას მდებარე ველებს ეწოდებოდა. სულხან საბას განმარტებით, შოლტი არის მათრახი სამ-ოთხ ღერი, მეორე მნიშვნელობით ტყავის ანაჭერია გრძლად (ორბელიანი, 1993, გვ. 306). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით კი შოლტს ქართულ ენაში უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდა - ნიშნავდა ტყავის წვრილი ნაჭრების წნულს, ასევე საქალამნედ დაჭრილ საქონლის ტყავს, წკეპლას და კედლიდან კედელზე გადებულ კოჭს, რომელსაც სახურავი უჭირავს და ცნობილია როგორც ფშავში, ისე მთიულეთში (ჩიქობავა, 1986, გვ. 505). თითქმის ყველა მნიშვნელობით, ტოპონიმი „შოლტები“ მიგვანიშნებს, სწორ და გრძელ, შოლტებად დაფენილ ველებზე.

ჭალები ქენქაანის სამხრეთით მდებარე გაკაფული მამულია. მართალია, ქსნის ნაპირებიდან ანუ ჭალიდან საკმაოდ მოშორებითაა, მაგრამ ეს სახელწოდება სწორი, ვაკე ადგილის გამო უნდა მიეღო.

ქენქაანის დასავლეთით მდებარეობს ნასოფლარი **ხოზოეთი**, რომელიც, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ქარჩოხის ხეობაში ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი დასახლება გახლდათ. იქ მცხოვრებთა გვარების მამულებს დღემდე შემორჩათ მეპატრონეთა სახელები: **გამხიტანთ მიწები, გაროზაანთ მამული, ობგაძეების ნატეხები...**

თვითონ ტოპონიმი **ხოზოეთი** მცენარის სახელს უკავშირდება, ხოზო მთიულეთში მსხვილმარცვლიანი უფხო პურის აღმნიშვნელი ტერმინი იყო.

სოფლების ხოზოეთისა და ქენქაანის მოპირდაპირედ, ქსნის მეორე მხარეს მდებარეობდა სოფელი **ჭორჭოხი**, რომელიც ქსნის დინების მიმართულებით ქარჩოხის ხეობის ბოლო სოფელი იყო. ადგილობრივთა გადმოცემით, სოფელს ჩამორეცხილი კლდიანი ადგილის გამო ადრე ჭოროხი რქმევია და მერე ხალხს ჭორჭოხი უწოდებია. თავის მხრივ, სულხან-საბას განმარტებით, ჭოროხი - მდინარისაგან კვიშა შეყრილი ადგილია (ორბელიანი, 1993, გვ. 406).

სოფლის ტოპონიმთა ერთი ნაწილი დაკავშირებული იყო სალოცავებთან, ყვავილობის სალოცავის ადგილს **წმინდა არბოს** უწოდებდნენ, ლომისის ნიშის ადგილს **ლომთი** ერქვა, **ელიის ქედი** ელიას ნიშის საბრძანისზე მიგვანიშნებდა, **კვირაცხოველი** - კვირაცხოვლის ნიშზე, **ქაშუეთი** - ქაშუეთის სალოცავის

ადგილზე. ვხვდებით კუთვნილობითი ხასიათის ტოპონიმებსაც: **ფოცხვერანთ მამული, საბიანთ ქედი, მზარეულიანთ ტყე... შოთაანთ სათიბები, ადლოლანთ მამულები, ლაზარიანთ მიწები...**

სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ხასიათის ტოპონიმებიდან აღსანიშნავია მამულის სახელწოდება **დურეები...** დურა ცხვრის ტყავისაგან შეკერილი მამაკაცის წამოსასხამია, რომელსაც ბეწვი შიგნით აქვს მოქცეული... ადგილი ქარიანი იყო და როგორც ჩანს, თბილად ჩაცმასთან ასოცირდებოდა. **უნაგირის ქედი** - ცხენის უნაგირს წააგავდა, **დიდახო** გატეხილი, დამუშავებული მამული იყო, **საზორეთი** - სამოვრეთის ანუ საქონლის სამოვარი ადგილის აღმნიშვნელი გახლდათ...

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, სამწუხაროდ, ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლები სავალალო მდგომარეობაშია, განსაკუთრებით ეს ითქმის მთიან რეგიონზე. ქარჩოხის ხეობა თითქმის დაცლილია მოსახლეობისაგან, მხოლოდ რამდენიმე სოფელში შემორჩა ერთი ან ორი კომლი. ოკუპანტები ითვისებენ და იჩემებენ ყველაფერს ქართულს, ცვლიან ტოპონიმებს და აყალბებენ ისტორიას. რეალობა კი სულ სხვაა. ჩვენ მიერ განხილული ტოპონიმკური მასალა, საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, თუ რა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა ქსნის ხეობაში, ვის ეკუთვნოდა სოფლის სამოვრები, სახნავ-სათესი მამულები, ციხე-კოშკები, ეკლესია-მონასტრები... ვის შეჰგავდა სოფელი...

ბიბლიოგრაფია:

ახლოური, დ. (2006). *სოფელი მიდელაანი*. თბილისი: უნივერსალი.

ახლოური, დ. (2019). *სოფელ ბალაანის მოსახლეობა 2008 წლის აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ. საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან არსებული ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I (VII)*.

ენციკლოპედია „საქართველო“. (1997). *ბალაანი*. ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. თბილისი.

ზაქარაია, პ. (2002). *ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია*. თბილისი: ჟურნალ „არქიტექტურა და დიზაინის“ გამომცემლობა.

თაყაიშვილი, ე. (1951). ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა). *სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 45*.

ითონიშვილი, ვ. (1974). *ქართლის მთიელთა ყოფა ცხოვრებიდან*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ითონიშვილი, ვ. (2003). *ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან*. თბილისი: მემატინაე.

კარბელაშვილი, პ. (1900). *იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელ-მთავარნი*. თბილისი: ალექსანდრე ეპისკოპოსის გამოცემა.

ორბელიანი, ს. ს. (1991). *ლექსიკონი ქართული* (ტ. I). თბილისი: მერანი.

ორბელიანი, ს. ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტ. II). თბილისი: მერანი.

საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 254, დავთარი 24, საბუთი №29.

სომხიშვილი, ვ. (1981). *ქსნის ხეობის ქართლური*. ცხინვალი: ირისთონი.

სოსიაშვილი, გ. (2013). *შიდა ქართლის ისტორიის საკითხები*. თბილისი: უნივერსალი.

ფენრიხი, ჰ., & სარჯველაძე, ზ. (1990). *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი.

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. (2011). საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ელდარ ნადირაძე. თბილისი: მერიდიანი.

ქართული სამართლის ძეგლები (ქსძ). (1970). საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (ტ. III). თბილისი: მეცნიერება.

ქენქაძე, ვ. (2008). *ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი*. თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2010). *ქსნური ხალხური ფაბლიო*. თბილისი.

ქენქაძე, ვ. (2011). *დიდი ოჯახი ქსნის ხეობიდან. ჩვენი უნივერსიტეტი*.

ჩიქობავა, ა. (რედ.). (1986). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ)*. ერთტომეული. თბილისი.

Davit Akhlouri
Gori State University
TOPONYMS OF LOWER KARCHOKHI VALLEY
RESUME

Due to its geographical location, Karchokhi gorge, which is located at the headwaters of Ksani gorge, north of Akh'algori, is divided into two parts: above and lower Karchokhi. Lower Karchokhi consists of the villages: Balaani (administrative center), Midelaani, Kenkaani, Chorchokhi, as well as the villages Dzaboeti and Khozoeti.

In this paper there is discusses about the toponyms of each of these villages. We have names that are common to all the villages in the valley, they are separated, but we also have completely different ones, specific only to a specific village. Some of the toponyms are related to the economic life of the people, some to churches-monasteries, icon lands, mountains, ridges, estates, rivers, as well as various branches of the population. The origin of each toponym is explained. Behind each of them is the history of Ksani gorge, which is real and beautiful. Today when the Akh'algori region is occupied after the August 2008 war, when the occupiers assimilate everything Georgian, change toponyms and falsify history, it is extremely important to find toponymic material, their explanation, which once again clearly proves what nationality people lived in Ksani gorge and who owned this land and water.

Keywords: Karchokhi, Valley, Toponym, Estates, River.

თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მგელი-ბოროტ-კეთილის ალუზია სხვადასხვა მხატვრულ ტექსტში

საკვანძო სიტყვები: მგელი, მგლური, ბოროტება, სიკეთე, ახლებური ალუზია.

შესავალი. წარმართული დროიდან მოყოლებული გარეული ცხოველი მგელი ითვლება დაუნდობლობისა და ბოროტების ერთგვარ სიმბოლოდ, რომელიც ადამიანში ასეთივე ადრულ მტრულ გრძობებს მგლურს, გამგელბულს და სხვა ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური გამოთქმებით აღნიშნავს, სადაც „მგელი“ ფიგურირებს.

მგელთან დაკავშირებით ეროვნულმა ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა ცნობილი „სერზე მიდის სამი მგელი“, სადაც მთქმელის ყურადღება მახვილდება მგლის მხატვრულ ჩანაფიქრზე, როგორც დაესხან თავს ჭალაში ლურჯა ცხენს, გამოკვეთს მათ სტრატეგიასაც.

განსაკუთრებულად მოჩანს მგელი მთის ზეპირსიტყვიერ ძეგლებში, ხოლო XIX საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, ვაჟა-ფშაველას „ამოდის, ნათდებადან“ მოყოლებული, მოჩანს როგორც ამ ცხოველთა ოჯახის წარმომადგენლის დაუნდობლობა დაუძღვრებული, დაბერებული წევრის მიმართ, თუნდაც იგი ადრე გამორჩეული ყოფილიყო. 1902 წელს ვაჟა წერს პატარა მოთხრობას „მგელი“, რომელშიც ალეგორიულად გახსნილია მისი, როგორც მოინანიეს, ბუნება და ადამიანის ხელით აღსასრული.

1988 წელს გოდერძი ჩოხელი ქმნის გახმაურებულ რომანს „მგელი“, რომელსაც დღემდე მოჰყვება მკვლევართა - ნანა კუციას, ლუარა სორდიას, მათა ჯალაიაშვილის, ზურაბ ოქროპირიძესა და გიორგი ხორბალაძის სამეცნიერო შრომები მგლის ფენომენის შესწავლის შესახებ. თითქოს ამით უნდა დასრულებულიყო „მგლის“ თემისადმი მიძღვნილი მხატვრული ტექსტები და აი, 21-ე საუკუნეში მწერალი ქალი ოლია ბრაგვაძე მინიატურაში „მგელი“ საოცარი გულისხმიერებით გამოკვეთს თავის დამოკიდებულებას მგლის ფენომენისადმი: „მკაცრი ბუნების ბუნებრივი შვილია, რომ არ იცოს რა, რა დაუშვებოდა ბუნებას ამით?... ცხოველთა შორის ერთადერთია განსაკუთრებულად სწორედაც რომ ჭემმარტად განსაკუთრებული. არ უწყვილდება ოჯახის წევრებს... და კიდევ ერთი რამ. ვერ

დაიმორჩილა ადამის მოდგამ, ვერ აამღერა თავის დაკრულზე... მგონი ეს თვისება მომწონს. ნამდვილად ეს მხიბლავს მტაცებელში“ (ბრაგვაძე-ქუთათელაძე, 2021, გვ. 20).

ხოლო სულ ახლახანს გამოცემულ წიგნში „ჩრდილების თეატრი“ მწერალი-პროზაიკოსი გიორგი სოსიაშვილი ახალი შტრიხებით „შიფრავს“ „მგლის“ ფენომენს ადამიანში, უცნაურ ალუზიური დატვირთვას აძლევს ბოროტება-სიკეთის თემას მგელში და მგლური ბუნების ადამიანში. სწორედ ამით გვინდა წინამდებარე სტატიაში გამოვკვეთოთ ძირითადი ხაზები ალეგორიზმს რომ უდევს საფუძვლად, თუ როგორ წარმოადგენს მას თანამედროვე მწერალი გ. სოსიაშვილი („ცალყურა მგელი“).

მეთოდები. გამოყენებულია შედარებით-ტიპოლოგიური და კომპარტივისტული კვლევის მეთოდები.

ძირითადი ნაწილი. რატომ მაინცდამაინც მგელი? მგელი და ადამიანი, მგლების ჯოგი და სოფელი. მტერი ადამიანისა და შიმშილის დამაოკებელი. ასე წარმოჩინდა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში. განთქმული რომის დამარსებელი ძმების, რომულუსისა და რემის დედის ძუ მგლისაგან მოდის სიკეთის ის ნამცვრევი, რომ მან ძუძუ აწოვა ობოლ ძმებს. ამდენად, თუმცა მგელი თავდაპირველად უფრო სიკეთის სიმბოლოდ წარმოჩინდა, მაინც დამკვიდრდა ლათინურში ანდაზა: „Homo homini lupus est“ („ადამიანი ადამიანისათვის მგელია“). ასე ყალიბდება ორი ხაზი მგლის ბუნების დასახასიათებლად: მგელი-ბოროტების, დაუნდობლობის სიმბოლო, რომელიც თითქოს პატივისმცემელია საკუთარი ჯილაგისა, მასაც კი გაჰკრავს კბილს, თუ შინაგანმა ფიზიოლოგიურმა განცდამ არ შემოუტია სამყაროს განუყოფელი ბუნებიდან გამომდინარე სწორედაც იწყება მგლის ორსახოვნების წარმოჩენა მხატვრულ ტექსტებში. ამ ორსახოვნებიდან, ორბუნებოვანებიდან გამომდინარე უფრო დაუნდობლობის ფაქტორზე ამახვილებს ვაჟა-ფშაველა თავის პატარა მოთხრობაში „ამოდის, ნათდება“ (1896 წ.). აქ ვაჟა უფრო ბუნების ერთიანობის პრინციპიდან ამოდის. როგორც მკვლევარი სიმონ ხუნდაძე აღნიშნავს, „ბუნება ვაჟას შემოქმედებაში სცოცხლობს, როგორც მთლიანი ინდივიდუალური არსი“. ბუნების ერთიანობაში ადამიანურად გასულიერებულად მსჯელობენ მგლები, რომლებიც სოფლის დაცემას აპირებენ და შიმშილისაგან შეწუხებულან, მაგრამ მთვარის ამოსვლა მათ განზრახვას ჩაუშლის და ისევ ბებერ მგელ ტოტის მიადგებიან შესაჭმელად.

დიახაც, ერთი ასეთი მგელი განაგრძობს სიუჟეტს პატარა მოთხრობაში „მგელი“ (1902), მგელი, რომელიც ჩივის მგლობას, ცდილობს შემოქმედის წინაშე მოინანიოს ცოდვები. მაგრამ ადამიანის ხელით კვდება. არის თუ არა მონანიე მგლის ადამიანის ხელით სიკვდილი უცნაური გარდასახვა ადამიანისათვის, რომელიც კლავს: „მოკვდა მგელი... ამ შემთხვევამ ყველა გააოცა. - დიდება შენთვის, უფალო. წინადიგრძნო სიკვდილის მოახლოვება, თორემ ვინ მგელია, ვინ მაგისთანა მსჯელობა? - ამბობდა კლდე“ (ვაჟა-ფშაველა, 1964, გვ. 55).

მაშ, ვაჟასთან იკვეთება მგლის ორი ბუნება: ა) დაუნდობლობა; ბ) სინანულის შეგრძნება ცოდვების გამო, რომელშიც ურევია უწყინარ ცხოველად, კეთილ ცხოველად (ირმად) გადაქცევის სურვილი. თითქოს ეს თემები ამოწურული უნდა ყოფილიყო, მაგრამ XX საუკუნის 80-იან წლებში გამოსულ რომანში კიდევ უფრო ღრმავდება ყველა ასპექტი: ადამიანთან მგლის დამოკიდებულებასა და ადამიანში მგლური ბუნების გაჩენისა, ადამიანის მგლად გარდასახვისა და პირიქით, სინანული და ბოროტისაგან დაშორების სიმბოლო - ყვავილი.

მკვლევარი გ. ხორბალაძე ეთანხმება დიკ ჰიგინზის ნააზრევს: რომან „მგლის ფენომენის დახასიათებას იყენებს მას, როგორც პოსტმოდერანიზმის ტენდენციების გამოხატველს და ეს მაშინ, როდესაც ეს პოსტმოდერანიზმი ჯერ კიდევ არაა საქართველოში ჩამოყალიბებული. ხოლო თავად, გ. ჩოხელის ამ პერიოდის ნააზრევის ანალიზისას დ. ჰიგინზე ხსნის ლიტერატურული ტექსტის ონტოლოგიით, ან იმ სამყაროს ონტოლოგიით, რომელსაც იგი ასახავს: „რა არის სამყარო? რა სახის სამყაროები არსებობს, როგორ არიან აგებულნი და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან? რა ხდება, როცა განსხვავებული სამყაროები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ან, როცა მათ შორის საზღვრები დაირღვევა? რა სახისაა ტექსტის არსებობა, და რა სახისაა სამყაროს (ან სამყაროთა არსებობა, რომელსაც იგი ასახავს?)“ (ხორბალაძე, 2015, გვ. 140-141). ჩვენი მხრივ კი აღვნიშნავდით, რომ რომანის პირველ ნაწილში - ქალაქი-სიმბოლოურად წარმოსდგება სიკეთე-ბოროტების სამყაროდ, რომელშიც სოფლიდან ჩამოსული ლუკა აღმოჩნდება, ხოლო „წითურ მგელში“ ავტორი ხსნის მგლადყოფილი მონანიე ადამიანის (თევდორეს) ბუნებას, სადაც, მგლური ალგორიზმიდან გამომდინარე, ხან სიკეთე იმარჯვებდა მასში, ხან - ბოროტი. დორისხევის ფანტასტიკური სამყარო ისეთი სამგელეთია, სადაც ყველაფერი მგლადქცეულის მიმართ გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. ავტორს რომანში ჩართული აქვს მონათხრობები, გადმოცემები - წარმართული თუ ქრისტიანული და ამ ფონზე მგელი წარმოგვიდგება როგორც ჯოგის კანონებს დაქვემდებარებული, ისე ადამიანყოფილის თვისებებით და განცდებით აღჭურვილი. მგელი - ბოროტს, დაუნდობელს განასახიერებს, ადამიანადქცეული - მონანიეს, „სადაც ძაღლია, ძროხები, ადამიანი და ახალმოსული თოვლი, იქ აღარ შეიძლება ავი ფიქრი“, - გაუელვა ლუკას“ (ჩოხელი, 1988, გვ.

171). ამდენად ავტორმა სცადა მგლური, მგლობა მხოლოდ დორისხევის კანონებს დაქვემდებარებული სათვის მიეწერა, ხოლო ადამიანური მონანიებისაკენ მიმართულ-მოსიარულედ, თუმცა მასშიც შეიძლება შეინიშნებოდეს ბოროტი.

სრულიად ახალი დატვირთვა მისცა მწერალმა გიორგი სოსიაშვილმა თავის მოთხრობაში „ცალყურა მგელი“ აღნიშნულ საკითხს. ადამიანი კვდება, მაგრამ ძალა რჩება შვილს მგლობისაკენ მოუწოდოს: „მგელი უნდა იყო! არ შეჭამ და სხვები შეგჭამენ. ეგრეა ცხოვრება, ცხოვრებას არ უყვარს სუსტი მხდალი ადამიანები. ცხოვრება მგლებისთვისაა. მგლობა ტყეში ცხოვრებას და ლეშის ჭამას არ ნიშნავს, აქ მგლობა მარიფათია, სიფხიზლეა, ალღოა“ (სოსიაშვილი, 2021, გვ. 52).

ასეთ დროს ბავშვს უჩნდება კითხვა, მისიანების ადგილი სადღაა. მოგვიანებით, ჭაბუკობისას, გზაჯვარედინის პრინციპი იწყებს მოქმედებას. იგი იგებს იმ მიზეზებს, რატომ იქცა მამამისი მგლური ბუნების ადამიანად და მიაგნებს, რომ ამისი საბაზი შიშია ცხოვრებისა, მის გატანაზე შიში. ამიტომ „ცხოვრებასთან ბრძოლამ ისე შეიყვანა „მგლის“ როლში, რომ აღარც გახსენებია თავისი ნამდვილი „მე“ (სოსიაშვილი, 2021, გვ. 55) მამის გარდაცვალების შემდგომ შვილი მგლად იქცევა, ცხოვრობს მგლური ცხოვრებით. აქ უკვე მგლური ცხოვრების, ჯოგის კანონებს მორჩილ წევრებს ხატავს ავტორი, აქ უკვე მგლადყოფილის შიშს გამოხატავს და ცდილობს გაერკვეს ცხადსა თუ სიზმარულში. არსი ერთია: ადამიანი მგლად არ იბადება, ცხოვრების შიში აქცევს მას მგლად, მაგრამ მგლადქცეულშიც სიკეთისაკენ სწრაფვა მაინც მოქმედებს. იქნებ ამიტომაც მგელი ზოგჯერ არამგელი. იქნებ მონანიეც. ამდენად გ. სოსიაშვილის ცალყურა მგელიც წინამორბედი ავტორების მსგავსად რომ აგრძელებს მგლის ფენომენის შესწავლას, გამოკვეთს მიზეზს, რამ შეიძლება აქციოს ადამიანი მგლად და შთამომავლობისათვის მგლური ბუნების მოსურნედ. ეს ცხოვრების გატანის შიშია, რადგან წინაპრებიდან ჩახვდა, რომ იმან ვერ გაიტანა თავი, ვინც სიკეთით იცხოვრა.

დასკვნა. სხვადასხვა ეპოქის სამი მწერლის შემოქმედებაში მგლის ფენომენის გახსნის მცდელობაა მოცემული, რაც გრძელდება კიდევ 21-ე საუკუნის მხატვრულ ტექსტებში. გ. სოსიაშვილის მოთხრობაში სწორედ ამ ეპოქის თვალთახედვითაა გახსნილი თემა: ცხოვრების ვერგატანის შიში ადამიანის მგლად ქცევისაკენ მოუწოდებს, რაც კიდევ ერთი ნიშანია ბოროტსა და კეთილს შორის ბრძოლის გამოხატულებისა. ამაშია „ცალყურა მგლის“ გამორჩეულობაც.

ბიბლიოგრაფია:

ბრაგვაძე-ქუთათელაძე, ო. (2021). *ლუკასათვის რო უნდა წამეკითხა*. გორი: ქართლი.

ვაჟა-ფშაველა. (1964). *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად* (ტ. VI). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

სოსიაშვილი, გ. (2021). *ჩრდილების თეატრი*. გორი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩოხელი, გ. (1988). *მგელი*. თბილისი: მერანი.

ჭუმბურიძე, ჯ. (1974). *მწერლები და ისტორიკოსები*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ხორბალაძე, გ. (2015). *იების სევდა*. თბილისი.

Tamar Gogoladze
Gori State University

A WOLF - AN ALLUSION OF EVIL AND KINDNESS IN VARIOUS LITERARY TEXTS RESUME

A wolf is an animal, which was given the name of a lonely and ruthless creature even in ancient times. But it was ruthlessness that led him to the allegory with the evil man, around which appropriate vocabulary and phraseologies were developed. This is perceived in the world or national literary texts and speech. A wolf became popular by several literary works of Vazha-Pshavela (“The Wolf”, “Rises, Lights up!”), at the end of the XIX century and at the beginning of the XX century and at the end of the XX century the writer Goderdzi Chokheli in his novel “The Wolf”. In the XXI century a wolf-animal was outlined in a special way, as a wolf settled in a human, fighting of kindness and evil in the story of Giorgi Sosiashvili (“The One-eared Wolf”). With all three writers, despite the common parallels, there is a distinct artistic realization of the wolf and the wolfishness, which also reveals the eternity of the theme. This is the purpose and novelty of our article.

Keywords: Wolf, Wolfishness, Evil, Kindness, New allusion.

მასალები K-79 ხელნაწერის აღწერილობისათვის

საკვანძო სიტყვები: ხელნაწერი, მარხვანი, შედგენილობა, რედაქციული კუთვნილება.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში არაერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერია დაცული. მათ შორისაა ერთი საინტერესო შედგენილობის ლიტურგიკული ძეგლი („მარხვანი“), რომელიც აღნიშნულია ლიტერით K-79.

ხელნაწერის აღწერილობა გამოქვეყნდა 1953 წელს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში. აღწერილობა შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ევსევი ნიკოლაძემ. აღწერილობის თანახმად, ხელნაწერი დათარიღებულია XV-XVI საუკუნეებით. ტექსტი შესრულებულია ეტრატზე და მოიცავს 240 ფურცელს, ხელნაწერი ნაკლული და დაზიანებულია (ნიკოლაძე, 1953, გვ. 218).

ანდერძის თანახმად, ხელნაწერი შეიცავს „მარხვანის“ წმინდა გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებულ რედაქციას:

„იწყებიან წმიდანი ესე და სულთა სარგებელნი მარხვანი მეზუჭრისა და ფარისეველისაჲ. ლოცვა [ყავთ] ნეტარისა მამისაჲ გიორგი მთაწმინდელის[თუს, რომელმან] თარგმნა წმიდანი ესე მარხვანი და მე მ[ისითა მად]ლითა გამიმარჯოს“ [K-79, 1r].

K-79 ხელნაწერზე მუშაობა 2018 წელს დაიწყო. ტექსტის შესწავლამ ცხადყო, რომ ხელნაწერის აღწერილობა ნაკლულია და არ არის ზუსტი. ნუსხა რთული შედგენილობისაა, არაერთ შემთხვევაშია გათვალისწინებული ცალკეულ საგალობელთა გვიანდელი თარგმანები და რედაქციები. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია ხელნაწერის სრულყოფილი აღწერილობის შედგენა, რასაც სამომავლოდ ვგეგმავთ, წინამდებარე პუბლიკაციაში კი წარმოვადგენთ აღწერილობის მასალებს, რომლებიც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს „მარხვანის“ ტექსტის შედგენილობის რთულ და საინტერესო სურათს K-79 ხელნაწერში.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად დაიწყო ლიტურგიკული ხელნაწერების შესწავლა, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „მარხვანის“ ქართული რედაქციების გამოვლენასა და წყაროთა ურთიერთმიმართების საკითხებს. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული უნიკალური კრებულის Par-5-ის კვლევა, რომელიც შესაძლებელი გახდა ნუსხის დიგიტალიზებული ვარიანტის საშუალებით. აღნიშნული კრებული სამი ნაწილისაგან შედგება და შეიცავს „მარხვანის“ ტექსტის წმინდა გიორგი მთაწმინდელისა და არსენ ბერის (ელინოფილურ) რედაქციებს (თაყაიშვილი, 1933, გვ. 32-36).

Par-5-ის პირველი ნაწილი წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“ მნიშვნელოვანი წყაროა, არანაკლებ ფასეულია ამავე ნუსხაში დადასტურებული „მარხვანის“ მოგვიანო რედაქციის ტექსტები. ამდენად, K-79 ხელნაწერის შედგენილობისა და ტექსტის რედაქციული კუთვნილების დადგენაში დიდი დახმარება გაგვიწია საგალობელთა შედარებამ Par-5-ში გამოვლენილ პარალელურ ტექსტებთან.

ხელნაწერის შედგენილობის დაზუსტებისა და ტექსტის რედაქციული კუთვნილების განსაზღვრის მიზნიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ აღწერითი და შედარებითი ანალიზის მეთოდები. აღწერითი მეთოდის საშუალებით აღვსუსხეთ ცალკეული საგალობლები, განვსაზღვრეთ მათი შედგენილობა. აღსუსხული მასალა შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით შევაჯერეთ Par-5-ში დადასტურებულ რედაქციებთან, რისი საშუალებითაც გამოვლინდა არაერთი სტრუქტურული თუ რედაქციული ხასიათის ცვლილება.

საკვლეპო ღვთისმსახურებას აწესრიგებს ტიპიკონი. სწორედ ტიპიკონის განვითარება შეაპირობებს არაერთ მასალობრივ და სტრუქტურულ ცვლილებას, რომელიც K-79-ში დასტურდება. მსგავს ფაქტთა ანალიზისათვის ვისარგებლეთ ინტერდისციპლინარული მეთოდით, რომელმაც საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა.

ე. ნიკოლაძის აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერში შეტანილია საგალობლები:

„1. „გალობანი მეორედ მოსლვისანი, თარგმნილნი არსენისაგან. — დღესა მას საშინელსა უცხოდასა მოსლვისა შენისასა ვძრწი მომგონებელი...“ (19v-24r)

2. „გალობანი ანდრია კრიტელისანი, თარგმნილნი არსენისაგან. — უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს...“ (162v-163v)

3. „მეხუთისა შვდელისა ხუთშაბათსა სტიქარონნი სინანულისანი. მწუხრი უწინარეს დიდთა გალობათსა ბერძულსა ანბანსა ზედა ჩავლენ, ვითარ ესე თვთეულისა მუხლისადა დაგვსუამს ასომ თვსი. — მინდა ცრემლთა აკოცად...“ (163v-164v)

4. „გალობანი ზაიადობისანი, რომელთა თავნი იტყვან ბერძულეზრ: ოსსანა ქრისტე, კურთხეული ღმერთი...“ (196r-197v)

5. „სამფსალმუნი დიდისა ოთხშაბათისანი, რომელთა თავნი იტყვან ბერძულეზრ: ოთხშაბათსა ვგალობ. — კლდესა ზედა...“ (205)

6. „გალობანი დიდისა ხუთშაბათისანი, რომელთა თავნი იტყვან ბერძულეზრ: გრძელსა გალობასა ვგალობ. — ზღუად მეწამული...“ (209r-210)

7. „სამფსალმუნი წმიდისა დიდისა პარასკევისანი, რომელთა თავნი იტყვან ბერძულეზრ: პირველსა შაბათსაგა შენდა აღვიმსობთ...“ (216r-217r)

8. „ოთხფსალმუნი დიდისა შაბათისანი, რომელთა თავნი იტყვან: შაბათსა ვგალობ დიდსა. — შეცვულ იქმნა, გარნა არა დაშთა მკეცისა მკერდსა იონა...“ (226r-227r)

9. „ახლად თარგმნილი უსაკუთრესითა სიტყვთა ეფრემის მიერ ბრძანებითა ბერისა ანტონის ტბელისადათა. — აღდგომისა დღე არს...“ (230v-232v)

10. „გალობანი გოდებისათვს ღ'თისმშობლისა დაფლვასა ზედა ღ'თივგუამოვანთა ჯორცთა უფლისა ჩუშნისა იესო ქრისტესა გოლგოთას, ბერძულნი, დიდსა პარასკევსა მწიხრსა სერობად... მიმწუხრი. — დაბადებულთა შენთა ცხონებად ინებე...“ (234v-236v)

11. „გალობანი დიდისა შაბათისანი. — ჟ შენდა, მაცდურო, ჯოჯოხეთო ბნელო...“ (236v-238r)

12. „იბაკონი წმიდისა ღ'თისმშობლისანი, რომელნი ითქმიან წინაშაბათსა ხარების, რომელსა დაუჯდომელ ეწოდების. განგებად და ვედრებად წმიდისა ღ'თისმშობლისა მიმართ ლოცვისა მის დაუდჯომელისა, რომელსა მკურვალედ აღასრულებენ საბერძნეთისა ეკლესიანი, თქმულნი წმიდისა რომანოს მგალობელისანი. — ზეშთა ბრძოლისა ჩემისათვს...“ (240v) (ნიკოლაძე, 1953, გვ. 218-219).

დამოწმებულ აღწერილობაში გამოყოფილია ის საგალობლები, რომლებიც გვიანდელ რედაქციებს ეკუთვნის. ზოგიერთ საგალობელს არა აქვს მითითებული ზუსტი გვერდი, ხელნაწერზე მუშაობამ კი ცხადყო, რომ ზოგ შემთხვევაში გვერდის ნომერი არასწორადაა მითითებული, ასევე, გამორჩენილია არაერთი ჩანართი გვიანდელი რედაქციებიდან:

1. „გალობანი მეორედ მოსლვისანი, თარგმნილნი არსენისაგან. — შემწე და მცხნელ. დღესა მას საშინელსა უცხოდას მოსლვისა შენისასა ვძრწი მომგონებელი...“ [19r-24r]

„გალობანი მეორედ მოსლვისანი“ დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდის, კერძოდ, ხორციელის კვირიაკის, ცისკრის განგების ნაწილია. საგალობელთა ავტორია წმინდა თეოდორე სტუდიელი. საგალობელთა სახელწოდება, ძლისპირი და ხმა დასტურდება 19r გვერდზე.

ე. გაბიძაშვილთან მეორედ მოსვლის საგალობლების გვერდები სწორადაა მითითებული (გაბიძაშვილი, 2011, გვ. 416).

2. „მეხუთისა შვდელისა ხუთშაბათსა სტიქარონნი სინანულისანი. მწუხრი უწინარეს დიდთა გალობათსა ბერძულსა ანბანსა ზედა ჩავლენ, ვითარ ესე თვთეულისა მუხლისადა დაგვსუამს ასომ თვსი. — მინდა ცრემლთა აკოცად...“ [163v, 161r-162r]

არსებულ აღწერილობაში ეს საგალობლები მითითებულია წმინდა ანდრია კრიტელის სინანულის დიდი კანონის შემდეგ, სტრუქტურული თვალსაზრისით კი, მეხუთე შვიდეულის ოთხშაბათის მწუხრის განგების ნაწილია. ამას მოწმობს „სტიქარონსა ზედა დასდებლების“ ამგვარი დასათაურების არაერთი ფაქტი K-79-სა და Par-5 ხელნაწერებში. მაგალითად, K-79 ხელნაწერში, დიდი სამშაბათის მწუხრის განგებაში, „სტიქარონსა ზედა დასდებლები“ დასათაურებულია ამგვარად: „სტიქარონნი წმიდისა დიდისა ოთხშაბათისანი“ [K-79, 203v]; Par-5 ხელნაწერში, დიდი ოთხშაბათის მწუხრის განგებაში, დასტურდება მსგავსი სახელწოდება: „სტიქარონი დიდის ხუთშაბათისანი“ [Par-5, 262v]. საეჭვოა ისიც, რომ „დიდი კანონის“ წინ შესასრულებელი საგალობლები მოცემული იყოს მის შემდეგ, რადგან ამ შემთხვევაში დაირღვეოდა წეს-განგებათა ბუნებრივი მიმდევრობა.

162v გვერდზე იწყება ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“. აღწერილობაში მითითებულია, რომ კანონის ტექსტი სრულდება 163v გვერდზე. „დიდი კანონის“ ტექსტი, მოცულობიდან გამომდინარე, ცხადია, 162v-163v გვერდებზე სრულად ვერ დაეტეოდა. ამ ფაქტის ახსნა ორი მიზეზით იქნება შესაძლებელი: 1) თუ ხელნაწერის გვერდები არეულია; 2) ის გვერდები, რომლებზეც „დიდი კანონის“ ტექსტის დანარჩენი ნაწილი ეწერა, დაკარგულია.

მუშაობის პროცესში დაზუსტდა, რომ 163r-164v გვერდზე დადასტურებული ტექსტი საცისკრო გალობანის (სამსაგალობლის) ფრაგმენტია და არ არის „დიდი კანონის“ ნაწილი. ამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ ტექსტს:

„მატკობელი და დააცხვრნეს ჳმანი საცთურისანი.

სულისა წჳმათა მიერ მზესა ქუჭზე ყოველივე დაათრვეთ, მწნენო, და გლოვამ მრავალმრთეებისა განსდევნეთ ქუეყანით, ყოვლადქებულნო.

ჳ გუნდნო მოციქულთანო, დამზადებელსა ქრისტესა, რადთა მადიდებელთა თქუნთა და ნამუშაკვეთა მოწყალე გუჭქმნეს.

ვითარცა ქრისტეს მუშაკთა, ყოველნი ცისკიდენი მოიმუშაკენით, მოციქულნო, და ნაყოფსა მას მათსა მოისთულებენ სამარადისო.

თვთმთავარო მოსაყდერო, ყოვლადმღიერო, სამებაო წმიდაო, მამაო, სიტყუაო და სულო, გუაცხოვნენ სამწყსონი შენნი მარადის.

გიხაროდენ, ცეცხლისფერო საყდარო, გიხაროდენ სასანთლეო, გიხაროდენ, მთაო წმიდაო, გიხაროდენ ღირსო ქრისტეს დედაო“ [K-79, 163r].

163r-164v გვერდზე დასტურდება მეოთხე გალობის („მესმასა“) ნაწილი, მერვე გალობა („აკურთხევდითსა“) და მეცხრე გალობა („ადიდებდითსა“).

მეხუთე შვიდეულის ხუთშაბათის განგების ტექსტის კვლევამ ცხადყო, რომ 163-ე ფურცელი უნდა მოთავსდეს 160-ე და 161-ე ფურცლებს შორის. 160v გვერდზე იწყება დიდი ხუთშაბათის „ხუედრნი“, რომლის გაგრძელებაც დასტურდება ჩვენ მიერ განხილულ 163r გვერდზე. ამ შემთხვევაში მესამე გალობის მეორე ტროპარი, რომლის დასასრულიც ზემოთ დავიმოწმეთ, ამგვარ სახეს მიიღებს:

„ათორმეტ ძალმან ქრისტეს ქადაგმან სახიობაჲ იგი საღმრთოჲ გვგალობეს და[163r]მატკობელი და დააცხვრნეს ჳმანი საცთურისანი“ [K-79, 160v-163r].

აღსანიშნავია ისიც, რომ მეხუთე შვიდეულის ხუთშაბათის „ხუედრნი“ აერთიანებს გალობათა ორ სხვადასხვა ვარიანტს. ამას მოწმობს სინგურით შესრულებული პირველი გრაფემა ტროპარში „ჳ გუნდნო მოციქულთანო“ და მის გასწვრივ აშიაზე მითითებული დაქარაგებული სახელი თე. სინგურითაა შესრულებული ორი ტროპარის დასაწყისი მომდევნო, მერვე და მეცხრე გალობებში. პირველი ნაწილის ავტორი, იოსები, მითითებულია 160v გვერდზე. ამ საგალობელთა ავტორები და დასაწყისები დასტურდება Par-5 ხელნაწერში 237v გვერდზე.

მაშასადამე, თანმიმდევრობის არევისა და, შესაბამისად, აღწერილობაში დადასტურებული უზუსტობის მიზეზი გახდა ხელნაწერის გვერდების არევა.

3. „გალობანი ანდრია კრიტელისანი, თარგმნილნი არსენისაგან. — უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს...“ [162v, 164-175v]

„დიდი კანონის“ ტექსტი არსენ იყალთოელის მიერაა ნათარგმნი. გალობათა ტროპარებს შორის ჩაერთვის ბიბლიური ჰიმნები (საგალობლები).

ე. გაბიძაშვილს K-79 ხელნაწერში შეტანილი საგალობლებიდან მხოლოდ ორი აქვს მოხსენიებული: 1) მეორედ მოსვლის საგალობლები, რომელთა შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ; 2) საგალობელი ანდრია კრიტელისა, რომელთა შესახებაც, ევს. ნიკოლაძის აღწერილობის თანახმად, მითითებულია, რომ დასტურდება K-79 ხელნაწერის 162v-163v გვერდებზე (გაბიძაშვილი, 2011, გვ. 452).

4. „გალობანი ბაიაიობისანი, რომელთა თავნი იტყვან ბერძულებრ: ოსსანა ქრისტე, კურთხეული ღმერთი...“ [196r-197v]

ბაიაიობის კვირიაკის ცხრა გალობა დასტურდება Par-5-ის მესამე ნაწილში, კერძოდ, 255r-256v გვერდებზე. საგალობლების ავტორია კოზმან მონაზონი.

5. „ორფსალმუნი დიდისა სამშაბათისანი, რომლისა თავნი იტყვან ბერძულებრ: სამშაბათსა. — გალობამ ჳ. ბრძანებასა მას მძლავრებრივსა...“ [202r]

წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციაში [Par-5, 195v] დასტურდება სამგალობიანი ვარიანტი, მერვე და მეცხრე გალობებს წინ უძღვის მეორე გალობა („მოიხილესა“). ტექსტი ელინოფილური რედაქციისაა და დასტურდება par-5 ხელნაწერის მესამე ნაწილში, 259v გვერდზე. საგალობელთა ავტორია კოზმან მონაზონი.

6. „სხუანი. ჳმაჲ დ გუერდი. იხილეთ, იხილეთ...“ [202r-203r]

დიდი სამშაბათის ორსაგალობელს მოჰყვება გალობათა მეორე, სამგალობიანი, ვარიანტი. K-79 ხელნაწერის 202-ე ფურცელი დაზიანებულია, იკითხება მხოლოდ მერვე გალობის ძლისპირი „მთასა ზედა...“. საგალობელთა ტექსტი წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა და დასტურდება Par-5-ში, 196r-197r გვერდებზე. აღსანიშნავია, რომ K-79-ში ამ გალობათა შემოკლებული ვარიანტი გვაქვს, ტროპართა რაოდენობა შემცირებულია, აკლია Par-5 ნუსხის პირველ ნაწილში დადასტურებული ტროპარები: მეორე გალობას – ორი ტროპარი: „ჳ, უსაზღვრომ კაცთმოყუარებანი...“ [Par-5:196v] და

„ყოველი უწყი, ყოვლისა მეცნიერ ხარ...“ [Par-5, 196v]; მერვე გალობას – ოთხი: „განაბრწყინვე ლამპარი და...“ [Par-5, 197v], „შაბათისა და ზამთრისა სივლტოლითა...“ [Par-5, 197v], „ელვის სახედ გულისკმა ყავ უფლისა...“ [Par-5, 197v] და „მო-რად-ვიდეს მსაჯული ბევრეულთა ძალთა თანა“ [Par-5, 197v]; მეცხრე გალობას – ოთხი: „ვინმე უწყის მამად შენი, შენსა გარეშე...“ [Par-5, 197v], „მამინ საყდარი დაიდგენ და წიგნი განეხუნენ...“ [Par-5, 197v], „მოვალს ყოველთა მსაჯული, რადთა...“ [Par-5, 197v] და „ვითარცა კრავი უმანკოა...“ [Par-5, 197v].

7. „სამფსალმუნი დიდისა ოთხშაბათისანი, რომელთა თავნი იტყვან ბერძულეზრ: ოთხშაბათსა ვგალობ. — კლდესა ზედა...“ [205r-205v]

ტექსტი არ არის წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციისა, დასტურდება Par-5 ხელნაწერის მესამე ნაწილში, 261v გვერდზე. სამფსალმუნის ავტორია კოზმან მონაზონი.

8. „სხუანი ხუედრნი. განძლიერდითსა დ. ლოცვამან ანნა. აღსასრულისა ყოველთასა ჟამი არს...“ [205v-206v]

დიდი ოთხშაბათის ცისკრის განგებაში, მსგავსად დიდი სამშაბათის ცისკრისა, დასტურდება გალობათა ორი ვარიანტი. ტექსტი წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციას ეკუთვნის და დასტურდება Par-5 ხელნაწერის I ნაწილში, 199r-200r გვერდებზე. K-79-ის გადაწერილი ამ შემთხვევაშიც ამცირებს გალობებში ტროპართა რაოდენობას. მესამე გალობას აკლია ერთი ტროპარი: „შენ ხარ საზრდელი...“ [Par-5, 199v]; მერვე გალობას – „შენ ხარ ზატიკი...“ [Par-5, 199v]; მეცხრე გალობას – ერთი ტროპარი: „რადთა აჩუენო უსაზღვროდ იგი სიმდაბლე...“ [Par-5, 199v].

9. „გალობანი დიდისა ხუთშაბათისანი, რომელთა თავნი იტყვან ბერძულეზრ: გრძელსა გალობასა ვგალობ. — ზღუად მეწამული. მოკუჭთილი ჰკუჭთს მეწამულსა. ყოველთ მიზეზმან და ცხოველობისა წყარომან...“ [209r-210v]

პარალელური ტექსტი დასტურდება Par-5 ხელნაწერის მესამე ნაწილში, 263v გვერდზე. სამსაგალობლის ავტორია კოზმან მონაზონი. K-79-ში დასტურდება ძლისპირთა ორი ვარიანტი: პირველი, რომელიც მხოლოდ დასაწყისითაა მოცემული და მეორე, სრული ვარიანტი. პირველად მითითებულია ის ძლისპირები, რომლებიც ტექსტის გიორგისეულ რედაქციაში დასტურდება „ზღუად მეწამული...“ [შდრ. Par-5, 202r]. მეორე ძლისპირი მოცემულია სრულად და ემთხვევა Par-5 ხელნაწერის მესამე ნაწილში დადასტურებულს [შდრ. Par-5, 202r].

10. „დიდსა ხუთშაბათსავე ხუედრნი გ გუერდი. რაჟამს ესმა მო. ქორმან დაგებულმან დღეს მოწაფითურთ შეგიწყნარა“ [210v-211r]

დიდი ხუთშაბათის განგებაშიც საცისკრო გალობათა ორი ვარიანტი დასტურდება. მეორე ვარიანტი წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციაა და დასტურდება Par-5 ხელნაწერის I ნაწილში, 203r-204r გვერდებზე. ტექსტი ამჯერადაც შემცირებულია. თითოეულ გალობას აკლია ხუთ-ხუთი ტროპარი: მეოთხე გალობას – „ნეტარ არს შემწყნარებელი უფლისა სარწმუნოებით...“ [Par-5, 203r], „გიყუარს და ჰყიდი, იუდა...“ [Par-5, 203r], „უღმრთოებად ღმრთისმკვლელობა მათ...“ [Par-5, 203r], „ტაკუკად ღმრთივშუენიერად აქუს...“ [Par-5, 203r], „ჯორცი და სისხლი საუფლოდ...“ [Par-5, 203r]; მერვე გალობას – „დაჰგლახაკენ და დაჰმსდბლდი...“ [Par-5, 203v], „ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე...“ [Par-5, 203v], „საყუარელი მოწაფე წამისყოფითა...“ [Par-5, 203v], „შემდგომად მიღებისა პურისა მის...“ [Par-5, 203v], „საუკუნიტგან დაფარულნი საქმენი...“ [Par-5, 203]; მეცხრე გალობას – „დიდ და ყოვლადწმიდა ზატიკ ჩუენდა არს ქრისტე ღმერთი...“ [Par-5, 203v], „მოიღე პური, აკურთხე და უჩუენე...“ [Par-5, 203v], ვენაჰმან ჰემმარტიმან რქუა რტოთა...“ [Par-5, 203v-204r], „პურმან ზეცათამან, ქრისტემან...“ [Par-5, 204r], „ნუმცა მექმნების დასაჯელ...“ [Par-5, 204r].

11. „სამფსალმუნი წმიდისა დიდისა პარასკევისანი, რომელთა თავნი იტყვან ბერძულეზრ: პირველსა შაბათსაგა. შენდა აღვიმსთობთ...“ [216r-217r]

ტექსტი არ არის წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციისა, დასტურდება Par-5 ხელნაწერის მესამე ნაწილში, 267r-267v გვერდებზე. ძლისპირები ამ შემთხვევაშიც გაორებულია. დასაწყისების სახით მოცემულია Par-5-ის პირველ ნაწილში დადასტურებული ძლისპირები [შდრ. Par-5, 206r], ხოლო სრული სახით მოცემულია ძლისპირები, რომლებიც აღნიშნულ გალობებს პარიზული ნუსხის მესამე ნაწილში ახლავს [შდრ. Par-5, 267r].

12. „ოთხფსალმუნი დიდისა შაბათისანი, რომელთა თავნი იტყვან: შაბათსა ვგალობ დიდსა. — მუცლად იღო. შეცველ იქმნა, გარნა არა დაშთა მწეცისა მკერდსა იონა...“ [226r-227r]

ტექსტი არ ეკუთვნის წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციას, დასტურდება Par-5 ხელნაწერის მესამე ნაწილში, 270v-271r გვერდებზე. სამფსალმუნის ავტორია კოზმან მონაზონი. დასტურდება ძლისპირთა ორი ვარიანტი: პირველი, რომელიც დასაწყისების სახითაა მოცემული, Par-5-ის პირველ ნაწილში დადასტურებულს ემთხვევა [შდრ. 209v-210r]. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, ის მოცემულია სრულად და დასტურდება Par-5-ის მესამე ნაწილში [შდრ. 270v-271r]. VII და IX გალობათა ძლისპირები,

რედაქციათა მიხედვით, იდენტურია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი დუბლირებულია, ჯერ დასტურდება მათი დასაწყისები, შემდეგ კი – სრული ვარიანტები.

230r-232v გვერდებზე მოცემულია აღდგომის კვირიაკის საგალობლები.

13. „კვრიაკესა ცისკრად, წარდგომამ, რადოდენიცა გინდეს, პირველისა ჯმისა წარდგომათაგან თქვ. იბაკომ. მჯდომარე. ცისკარსა მსთუად მოვიდა...“ [230r-230v]

აღდგომის საგალობელთა პირველი ნაწილი მოიცავს, იბაკოს („ცისკარსა მსთუად მოვიდა...“), კონდაკს („დაღაცათუ ნებსით თვისით...“), იკოსს („პირველ მზისა მზე დაჯდა ოდესმე საფლავად...“). იბაკოსა და იკოსის ტექსტი თანხვედრა მარხვანის პარიზული ნუსხის პირველსა და მესამე ნაწილებში დადასტურებული. რაც შეეხება იკოსს, K-79-ში დასტურდება ტექსტის შედარებით ახალი რედაქცია:

„მზისა შემოქმედი რამ მზე საფლავსა შთაჯდა ჯორცითა, ცისკარსა მოვიდეს მენელსაცხებელნი ძიებად მისა და ურთიერთარს იტყოდეს: მივისწრაფოთ ჩუენ შემურვად ჯორცთა ცხორების მომცემელთა დაცემულისა ადამისა, აღმადგინებელთა საფლავსა შინა მყოფთა, მოვედით უკუე მივისწრაფოთ და თაყუანისვსცეთ მას და ნელსაცხებელი ძღუნად მიუპყრათ შეხუეულსა სუდართა და ჯმავყოთ: აღდეგ, მეუფეო, დაცემულთა აღმადგინებელო, აღდეგ და განაზნიენ მტერნი აღდგომისა შენისანი“ [Par-5, 215r-215v];

„პირველ მზისა მზე დაჰჯდა ოდესმე საფლავად, რომელსა მიეგბნეს განთიად და ეძიებდეს, ვითარცა დღესა მენელსაცხებელნი დედანი და ურთიერთარს ღაღადებდეს, მოვედით, მ მეგობარო, და დავასხათ სულნელი ჯორცთა მათ დაფლულთა, ცხორებადშემოსილთა, ჯორცთა — აღმადგინებელთა ადამ დაცემულისადათა, რომელნი წუთლა სხენან სამარებსა, წარვიდეთ, ვისწრაფოთ, ვითარცა მოგუთა, და თაყუანისვსცეთ და მიუძღუნოთ მიჰრონი, ვითარცა ძღუნნი არა სახუჭვლითა, არამედ სიდონითა წარგრავნილსა და ვიხილოთ და და ჯმავყოთ: აღდეგ. მ მეუფეო, რომელნი დაცემულთა მისცემ აღდგომასა“ [K-79, 230v].

მაშასადამე, K-79 ამ შემთხვევაშიც ახალ რედაქციას ანიჭებს უპირატესობას.

14. „ახლად თარგმნილი უსაკუთრესითა სიტყვთა ეფრემის მიერ ბრძანებითა ბერისა ანტონის ტბელისადათა. — დღესა მას აღდგომისასა. აღდგომისა დღე არს... განვიწმიდნეთ საცნობელნი და...“ [230v-231v]

ხელნაწერში შეტანილი აღდგომის საცისკრო გალობათა შესახებ, აღწერილობის გარდა, მითითებულია ასევე კ. კველიძესთან (კველიძე, 1960, გვ. 268).

დუბლირებულია ძლისპირები, მოცემულია ერთი და იმავე ტექსტის ორი რედაქცია, ერთი – გიორგისეული, მეორე – ეფრემისეული. პირველი მათგანი დასტურდება დასაწყისის სახით.

15. „ღთისმშობლისანი, აღდგომისანი, დიდისა კვრიაკისა თანა. — აღდგომისა დღე არს. აღდგომისა მხილველი ძისა ღმრთისა შენისა იხარებდ...“ [231v-232v]

ეს საგალობლები მოჰყვება აღდგომის დღესასწაულის საცისკრო კანონს. თითოეული გალობა შედგება ძლისპირისა და ორი ტროპარისაგან. Par-5-ის მესამე ნაწილში ეს ტროპარები შეერთებულია ზემოთ განხილულ აღდგომის ცისკრის კანონთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი ნაწილია და თითოეულ გალობაში მოცემულია ორი ბოლო ტროპარის სახით. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელნაწერის წყაროების განსაზღვრისათვის.

16. „გამოავლინე დ გუერდი. „ჯორცითა მიიძინე, ვითარცა მკუდარმან...“ [232v]

მოცემულია ორი მუხლის სახით. არ დასტურდება Par-5-ის პირველ ნაწილში.

17. თუესა მარტსა 9. წმიდათა ორმოცთა [232v-233v]

Par-5 ხელნაწერიც ცხადყოფს, რომ მარხვანში შემდეგ ცალკეულ დღესასწაულთა წეს-განგების შეტანა უცხო მოვლენა არ ყოფილა. ტიპიკონის მიხედვით, ორმოცი სებასტიელი მოწამის მსახურება მეოთხე რანგისაა. დიდმარხვაში სულ რამდენიმე დღესასწაულია ისეთი, რომელთა მსახურებაც მარხვის უნიკალურ მსახურებას უერთდება. ასეთ შემთხვევებს აწესრიგებს „მარკოზის თავები“, რომლის მიხედვითაც, ორმოცი სებასტიელი მოწამის ხსენება შეიძლება მოიწიოს მეექვსე შვიდეულის ორშაბათამდე, ამათგან სამ შემთხვევაში, დიდმარხვის განზოგებას (მეოთხე შვიდეულის ოთხშაბათს), მეხუთე შვიდეულის ხუთშაბათს (როდესაც ცისკრის განგებაში სრულდება ანდრია კრიტელის სინანულის დიდი კანონი) და მეხუთე შვიდეულის შაბათს (ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დაუჯდომლის შაბათი), ორმოცი სებასტიელი მოწამის განგება იცვლის ადგილს, უერთდება მახლობელ დღეთა განგებას (მარხვანი, 1901, გვ. 11).

K-79-ში შეტანილი 9 მარტის მსახურების ტექსტი ნაკლებია, დასტურდება მხოლოდ მწუხრის განგება და ცისკრის განგების ნაწილი. პირველი გალობის ტექსტი წყდება 233v გვერდზე, მომდევნო გვერდზე მოცემულია, სავარაუდოდ, დიდი პარასკევის განგების ნაწილი:

„მ, სულგრძელებასა შენსა, ქრისტე მაცხოვარ, რომლითაცა მოჰკალ სიკუდილი და აცხოვნენ სულნი ჩვენი“ [234r].

ორმოცი სებასტიელი მოწამის მსახურების ტექსტი არ დასტურდება Par-5 ხელნაწერის მესამე ნაწილში, რომელშიც მოცემულია წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის პირველად და მეორედ პოვნის განგება [Par-5, 292r-292v], რომელსაც, რანგობრივი თვალსაზრისით, უტოლდება 9 მარტის განგება. აღნიშნული წეს-განგებები მარხვანის საგალობელთა ორგანული საკუთრება არ არის, მათი შეტანა კრებულში განპირობებულია ამ მსახურებათა შესრულების თავისებურებებით, რომელთა შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ.

18. „გალობანი გოდებისათვის ღთისმშობლისა დაფლვასა ზედა ღთივეგუამოვანთა ჯორცთა უფლისა ჩუწნისა იესო ქრისტესა გოლგოთას, ბერძულნი, დიდსა პარასკევსა მწუხრსა სერობად... მიმწუხრი. — დაბადებულთა შენთა ცხონებად ინებე...“ [234v-236v]

თარგმანი ეკუთვნის წმინდა ეფრემ მცირეს. ამ საგალობელს ლ. ხაჩიძემ მიუძღვნა სპეციალური კვლევა. სტატიაში აღნიშნულია, რომ ტექსტი მოსდევს წმინდა ეფრემის მიერ თარგმნილ ადგომის კანონს Par-5 ხელნაწერის მესამე ნაწილში:

„აქვე, ხელნაწერის 269r-ზე იწყება ეფრემის აქამდე უცნობი თარგმანი — დიდი პარასკევსათვის განკუთვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი. კანონის გასწვრივ, აშიაზე, მიწერილია კანონის ავტორისა და მთარგმნელის სახელები — თეოფანე, თარგმანი ეფრემ“ (ხაჩიძე, 1991, გვ. 140).

სტატიაში K-79 ხელნაწერი ნახსენებია მხოლოდ ადგომის კანონთან მიმართებით, ისიც კ. კეკელიძის მიერ ხელნაწერის მოხსენიების გამო.

K-79-ში არ არის მითითება საგალობელთა ავტორისა და მთარგმნელის შესახებ, თუმცა მხოლოდ არსებული აღწერილობიდანაც ცხადია, რომ ერთსა და იმავე ტექსტთან გვაქვს საქმე.

საგალობლის ტექსტი, Par-5 ხელნაწერის მიხედვით, გამოქვეყნდა დასახელებულ პუბლიკაციაში (ხაჩიძე, 1991, გვ. 140).

19. „გალობანი დიდისა შაბათისანი. რომელმან დაჰფარა. ჳ შენდა, მაცთურო ჯოჯოხეთო, რამეთუ განაღე...“ [236v-237v]

დიდი შაბათის საცისკრო გალობანის ეს ვარიანტი წმინდა გიორგი მთაწმინდელის მიერაა ნათარგმნი. დასტურდება Par-5 ხელნაწერის პირველ ნაწილში, 209r-210r გვერდებზე. K-79-ში არ არის შეტანილი მეორე გალობა, რომელიც დასტურდება პარიზულ ნუსხაში. ეს გარემოება ტიპიკონის ჩამოყალიბების პროცესითა და საღვთისმსახურო პრაქტიკითაა შეპირობებული. ტექსტი ნაკლულია, წყდება მერვე გალობის მეორე ტროპარზე.

20. „იბაკონი წმიდისა ღთისმშობლისანი, რომელნი ითქმიან წინაშაბათსა ხარების, რომელსა დაუჯდომელ ეწოდების. განგებად და ვედრებად წმიდისა ღთისმშობლისა მიმართ ლოცვისა მის დაუდჯომელისა, რომელსა მჭურვალედ აღასრულებენ საბერძნეთისა ეკლესიანი, თქმულნი წმიდისა რომანოს მგალობელისანი. — ზეშთა ბრძოლისა ჩემისათვის...“ [238r-240v]

Par-5 ხელნაწერის მესამე ნაწილში ეს ტექსტი მოცემულია 287v-290v გვერდებზე. შედარება ცხადყოფს, რომ K-79-ში მოცემულია საგალობლების სხვა რედაქცია. პარიზულ მარხვანში ტექსტის უფრო ვრცელი ვარიანტი დასტურდება. საგალობლებს წინ შედარებით მოკლე ტექსტი უძღვის: „იბაკონი წმიდისა ღვთისმშობლისანი“ [Par-5, 288r], მაგრამ მანამდე მოცემულია დიდმარხვის მეხუთე შვიდეულის შაბათის წეს-განგების ტიპიკონური მითითებები [Par-5:287v].

K-79 ში დადასტურებული მითითება აღნიშნულ საგალობელთა შესრულების დროის თაობაზე მეტად საინტერესოა. ტიპიკონის თანახმად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დაუჯდომელი აღესრულება დიდმარხვის მეხუთე შაბათს, როგორც ეს პარიზულ ნუსხაშია მითითებული: „შაბათსა მეხუთე შვიდეულისასა“ [Par-5, 287v]. ადგომის დღესასწაულის მოძრაობიდან გამომდინარე, აღნიშნული მსახურების შესრულების დრო არ არის დამოკიდებული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაულზე.

განხილული მასალა, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ხელნაწერის ზუსტი და სრულყოფილი აღწერისათვის, მეორე მხრივ კი, იგი შემდგომი, კომპლექსური, კვლევის საფუძველია. სრულყოფილი აღწერილობა საშუალებას მოგვცემს, არგუმენტირებულად ვიმსჯელოთ ხელნაწერის წყაროებსა და ტექსტის რედაქციულ კუთვნილებაზე. ამ ეტაპზე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ K-79 ხელნაწერში „მარხვანის“ რამდენიმე რედაქციაა გათვალისწინებული და წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის საგალობლებში არაერთი ცვლილებაა შეტანილი ლიტურგიკული პრაქტიკიდან გამომდინარე.

ბიბლიოგრაფია:

- გაბიძაშვილი, ე. (2011). *ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები: ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია* (ტ. 5). თბილისი: თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა.
- თაყაიშვილი, ე. (1933). *პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი*. პარიზი.

კეკელიძე, ვ. (1960). *ქართული ლიტერატურის ისტორია: ძველი მწერლობა* (ტ. I). თბილისი: საქოთა საქართველო.
მარხვანი. (1901). ტფილისი: სტამბა ექვთიმე ხელაძისა.
ნიკოლაძე, ე. (1953). *ხელნაწერთა აღწერილობა* (ტ. I). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ფონდის №5 ხელნაწერი.
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდის №79 ხელნაწერი.
ხაჩიძე, ლ. (1991). ეფრემ მცირის უცნობი თარგმანი. *მაცნე: ენისა და ლიტერატურის სერია* (1), გვ. 137-154.

Tamaz Davidze
Akaki Tsereteli State University
MATERIALS FOR A DESCRIPTION OF THE MANUSCRIPT K-79
RESUME

The Kutaisi Historical Museum has preserved a liturgical source ("Lenten Triodion") of an interesting composition, marked with the letter K-79. According to the headnote of the manuscript, the text is an edition of the Giorgi Mtatsmindeli. It has not yet been studied and published. The description of the manuscript, published in 1953, is incomplete and inaccurate. In this publication, we present materials, which represent an interesting picture of the composition of the text of "Lenten Triodion" in K-79.

Comparison of the text with the editions approved in Par-5 helped us to determine the composition of the manuscript, the editorial affiliation of the text, and the authors of the hymns.

The discussed material is essential for a complete description of the manuscript, which will allow us to reasonably discuss the sources of the text and editorial affiliation. At this stage of the research, it is safe to say that the K-79 manuscript contains several editions of "Lenten Triodion" and in connection with liturgical practice, a number of changes were made in the translated service of Giorgi Mtatsmindeli.

Keywords: Manuscript, Fasting, Composition, Editorial affiliation.

თეიმურაზ დოიაშვილი
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა: ლეგენდა და სინამდვილე

საკვანძო სიტყვები: გალაკტიონი, ოლია ოკუჯავა, გალაკტიონოლოგია.

გალაკტიონ ტაბიძის ახალ აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მიიქცია ვრცელმა ლექსმა „დრამა ერთი ბინისა“, რომელიც პირველად 1928 წელს დაიბეჭდა, როგორც შემადგენელი ნაწილი პოემისა „ეპოქა“, დამოუკიდებელი სათაური კი მოგვიანებით მიიღო, როდესაც ავტორმა ეს პოემა ლექსებად დაშალა და ციკლის სახით გამოაქვეყნა თბილისში (1935).

„დრამა ერთი ბინისა“ განსაკუთრებული მხატვრული ღირსებით არ გამოირჩევა, პირიქით, ალღო ფორმისეული ხარვეზების კვალი ამჩნევია. ლექსი საინტერესო ჩანს „დამიფრული“ შინაარსით, რომლის ამოხსნას ქვემოთ შევეცდები.

ნაწარმოები დაწერილია რვატაქტიანი სტროფით და მოკლე, შვიდმარცვლიანი მეტრით, რომელიც თავისუფალი ლექსის სივრცეში ფუნქციონირებს. პირველი ორი სტროფი გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ პოეტი რითმიანი ლექსის დაწერას აპირებდა, მაგრამ შემდეგ განზრახვაზე ხელი აიღო, თითქოს

გართმვის უარყოფით სურდა, რაც შეიძლება სწრაფად ამოეთქვა მძიმე სათქმელი. საბოლოოდ, ლირო-ეპიკური ჩანაფიქრისათვის მოიძებნა ადეკვატური ფორმა, რომელიც ემოციურ საწყისს და საზომის ექსპრესიულობას ამბის თავშეკავებულ თხრობას უთავსებდა.

მაინც რა ხდება დრამაში, რომელსაც ორი მოქმედი პირი ჰყავს: მამაკაცი - მიმართვის უშუალო ობიექტი („შენ“) და ქალი („იგი“/„ის“), თხრობას კი ავტორი, კაცი-პერსონაჟის ალტერ ეგო, წარმართავს, როგორც „ამბის“ გარემოებათა მცოდნე და ვითარების შემფასებელი.

ლექსი იწყება დრამის მონაწილეთა მძიმე სულიერი განწყობილების გადმოცემით, რომლის გამომწვევი მიზეზი წარსულშია საგულვებელი. კაცის არსებას „მწველი სასოწავკვეთა“ და „დიდი წამება“ დაუფლებია, ქალს კი „მწუხარების გველი“ ღრღნის. დრომ, როგორც ირკვევა, ვერ გაანელა მწარე წარსულის ხსოვნა („ის მწუხარება დარჩა“). დახშული, ჩლუნგი და ცივი მწუხარება, ვითარცა აკლდამა, ისე გადაჰფარებია ოჯახის აწმყოს. იგი „გაუშუქებელ ღამით“ ავსებს მომავალსაც, აძაბუნებს პერსონაჟთა ნებელობას, ბოჭავს მათ მოქმედებას.

სულიერი მდგომარეობის გადმოცემას თხრობაში შემოდგომის სურათი ცვლის - განწყობილების შესაბამისად დახატული პეიზაჟური ჩანართი, არსებითად კი მინიმუმების ენაზე დაშიფრული დამატებითი ინფორმაცია დრამის პერსონაჟებზე:

თან შემოდგომა დადგა,
თან წამოვიდა წვიმა,
ქარმა დაჰბერა უცებ,
ბალიც გაშიშვლდა უცებ,
გულდარდიანი ისმის
ახმაურება ხეთა.
ღამეებია ბნელი,
ღამეებია ვრცელი.

(ტაბიძე, 1968, გვ. 107)

„თან შემოდგომა დადგა“ და „ბალიც გაშიშვლდა“ აქ, ჩემი აზრით, მოქმედ პირთა ასაკსა და გრძნობის ჰკნობაზე მინიმუმებაა, ქარწვიმიანი ამინდი, ბნელი და ვრცელი ღამეები კი - უნდობარი დროისა და უაზროდ გაწელილი, ცივი და ძნელი თანაცხოვრების მეტაფორული გარდათქმა.

რა არის ის ართქმული, დაფარული, რამაც მამაკაცსა და ქალს ასეთი ტანჯვა არგუნა, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია? მომდევნო სტროფში წარსულს თითქოს ფარდა ეხდება, თუმცა მკითხველი მხოლოდ „ამბის“ ბუნდოვან, ვუალირებულ კონტურებს ხედავს:

უცებ დაბრუნდა შენთან,
გადაკარგული სადღაც,
ეხლა გამხდარი, ჩუმი
და ავადმყოფი - იგი...
ვერ გადაურჩა ყინვას,
ვერ გადაურჩა სირცხვილს,
„აი დავბრუნდი“ - ამბობს,
„დარჩი“ - პასუხი შენი.

(ტაბიძე, 1968, გვ. 107)

ირკვევა, რომ სადღაც გადაკარგული ქალი, „გამხდარი, ჩუმი და ავადმყოფი“, მოულოდნელად დაბრუნდა მამაკაცთან და თან მოიტანა სირცხვილის დაღი („ვერ გადაურჩა სირცხვილს“). დრამის ეს შეკუმშული „ფაბულა“ ლექსის კონკრეტული შინაარსის ამოხსნის საშუალებას იძლევა.

პოეტური ტექსტი პირდაპირ ასოციაციას იწვევს გალაკტიონ ტაბიძის დღიურის 1921 წლის 25 მაისის ჩანაწერთან, სადაც პოეტისა და რუსეთიდან დაბრუნებული ოლია ოკუჯავას პირველი შეხვედრა და განცდება აღწერილი. აქვე ჩნდება ვარაუდი, რომ ლექსი-დრამის პერსონაჟთა პროტოტიპები თავად გალაკტიონი და ოლია არიან.

გალაკტიონმა, როგორც გვამცნობენ, მოულოდნელად, სხვებისგან გაიგო ოლიას ჩრდილოეთიდან დაბრუნების შესახებ. პირველი, რაც დიდი ხნის განშორების შემდეგ შეამჩნია მამაკაცმა, იყო ის, „თუ რანაირად გამოცვლილია ოლია. იგი ლაპარაკობდა ძლიერ სუსტად“. გალაკტიონი აშკარად ხედავს, რომ ქალის ავადმყოფობა სერიოზულია და დღიურში თანაგრძნობის ფრაზა ჩნდება: „ო, როგორ წარუშლელი

დადი დაუმჩნევია ამ ავადმყოფობას... ფაქტია, ჩემს წინაშე ეხლა სულ სხვა ადამიანი დგას. მე ძლივსძლივობით ვცნობილობ მას“.

ჩანაწერის ყველა ეს დეტალი ლექსში ზუსტად გადადის: „უცებ დაბრუნდა შენთან,/ გადაკარგული სადღაც,/ ეხლა გამხდარი, ჩუმი/ და ავადმყოფი - იგი“.

მთავარი კოლიზია იდუმალი ამბისა ამ სტრიქონებშია შეფარული:

ვერ გადაურჩა ყინვას,
ვერ გადაურჩა სირცხვილს.
(ტაბიძე, 1968, გვ. 107)

ზოგადი მინიშნების შემდეგ („გადაკარგული სადღაც“) „ყინვის“ ხსენება აზუსტებს ადგილს, საიდანაც ქალი დაბრუნდა – „ყინვა“ მეტონიმიური სახეა ჩრდილოეთის და, მამასადამე, ალუზიაც რუსეთზე. სწორედ ყინვიან ჩრდილოეთს უკავშირდება ბუნდოვანი და ყრუდ ნათქვამი სტრიქონი „ვერ გადაურჩა სირცხვილს“.

განვავრძოთ შედარებითი ანალიზი. ოლიასთან შეხვედრის საწყის მომენტს გალაკტიონი დღიურში ასე გადმოგვცემს: „მე მას ვაკოცე. იგი არ მოელოდა და დაიბნა“.

რატომ უნდა ყოფილიყო ოლიასათვის მოულოდნელი და დამაბნეველი ქმრის კოცნა - სრულიად ბუნებრივი რამ ხანგრძლივი განშორების შემდეგ? ჩავხედოთ დღიურს და ამჯერად ოლიას მოვუსმინოთ:

- არ გეზიზღები? მე გადამდეგი სენით ვარ ავად...

ეს „არ გეზიზღები“ და „გადამდეგი სენი“, რომელსაც გალაკტიონი სხვაგან „ცუდ სენად“ მოიხსენიებს, რამდენჯერმე მეორდება ოლიას მონოლოგში.

გალაკტიონის პასუხი ქალის კითხვაზე პოეტის შემბრალებულსა და მგრძნობიარე ბუნებაზე მეტყველებს:

- საშინლად ავადმყოფიც რომ იყო, ჩემთვის მაინც ძვირფასი ხარ, ოლია!

ატირებულნი ოლია კვლავ ეკითხება:

- მაშ არ გეზიზღები... მაშ ვიცხოვრებთ ერთად?

- ვიცხოვრებთ!.. - უპასუხებს გალაკტიონი.

დღიურის ეს ინფორმაციულად და ფსიქოლოგიურად უკიდურესად დატვირთული მონაკვეთი, მოსაუბრეთა ემოციურად დამაბული, მღელვარე დიალოგი ლექსში გადატანილია მოკლე შესიტყვებებით, რომლის მიღმა სიტუაციის მთელი დრამატიზმია გადამალული:

„აი დავბრუნდი“ - ამბობს.

„დარჩი“ - პასუხი შენი.

(ტაბიძე, 1968, გვ. 107)

აქ, ფაქტობრივად, დღიურის ფინალია გამეორებული („მაშ ვიცხოვრებთ ერთად? - ვიცხოვრებთ!“), შინაარსობრივად ჩანაწერის ეკვივალენტური, მხოლოდ სხვა სიტყვებით გადმოცემული.

„სირცხვილის“ კონკრეტულ შინაარსში საბოლოოდ გასარკვევად დღიურს მივუბრუნდეთ, გავყვეთ გალაკტიონის ფიქრებს ოლიას ჩრდილოურ ცხოვრებაზე.

„ვინ იცის, რანაირი ცხოვრებით ცხოვრობდა იგი? ეს ჩემთვის სამუდამოდ გამოუცნობ გამოცანად დარჩება“... - წერს პოეტი და განავრძობს: - „მღალატობენ მეგობრები, მღალატობენ ნათესავები, მღალატობს, საზოგადოდ, ბედი: მიღალატა ოლიამაც და მთელს ჩემს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე უფრო უსასტიკესი ღალატი!.. რად, რად ჩაიდინა ასეთი რამ ოლიამ?“

ლიტონი სიტყვა „დარჩი“, რასაც ლექსში მამაკაცი წარმოთქვამს, გალაკტიონის რეალურ გრძნობათა ქარტეხილს ფარავს. განვავრძოთ დღიურის კითხვა:

„გრცხვენოდეს, ოლია. შენ მეტად ავად ხარ იმისთვის, რომ როდისმე გაგაგებინო. მე გავიგე, მე ვიცი ყველაფერი! არასდროს ამ სიტყვებს მე არ გეტყვი და შეიძლება, ეს უფრო უსასტიკესი სასჯელი იქნეს შენთვის? მე ვიზრუნებ შენთვის, რომელიც ასეთი შებრალებით მიყვარხარ. შენ კი, თუ გსურს, კიდევ მიღალატე, მიღალატე, როგორც მღალატობს ყველა: გალაკტიონ ტაბიძე თავის თავს არ უღალატებს! შენ არ გიღალატა! ვერავინ, ვერავინ ვერ გაიგებს ამ ცნობას. ეს, თითქო, არც მე ვიცი... ხა, ხა, ხა“.

დღიურში ნათლად ჩანს, როგორ იბრძვის პიროვნებაში შეურაცხყოფის ტკივილი და მიტყვების სურვილი. პირადული უკან იხევს – ბრალდების დრო არ არის, რადგან ოლია ავადაა.

არა, გალაკტიონი თავს არ იტყუებს („მე გავიგე, მე ვიცი ყველაფერი!“) - მისი რეაქცია კვლავაც პოეტის შემბრალებული გულის ამომახილია, განმტკიცებული მოვალეობის გრძნობით („მე ვიზრუნებ შენთვის, რომელიც ასე შემბრალებით მიყვარხარ“).

ბედისწერის შემოტევა, ღალატს გალაკტიონი ადამიანობის, შენდობის პოზიციიდან უპასუხებს, საკუთარი თავისადმი კი, შინაგანი ჭიდილის შემდეგ, მკაცრი განჩინება გამოაქვს: დუმილი! არც ერთი სიტყვა ოლიას, არც ერთი სიტყვა - სხვებთან! („არასოდეს ამ სიტყვებს მე არ გეტყვი... ვერავინ, ვერავინ გაიგებს ამ ცნობას...“).

ლექსში ჩანს, რომ დღიურიდან მოქმედების სტრატეგიამ ცხოვრებაში გადაინაცვლა. პოეტურ ტექსტში ზუსტად ვითარდება დღიურის „სცენარი“:

მხოლოდ ეს იყო თქვენში.
არც ერთი სიტყვა მეტი.
არც ერთი სიტყვა წარსულს.
არც ერთი სიტყვა მყობადს.
(ტაბიძე, 1968, გვ. 107)

ლექსის მიხედვით, დრამის მონაწილეთა შორის გადაულახავი დუმილი ისადგურებს და მკითხველი გრძნობს, რომ „საბედისწერო დღიდან“ ერთ ჭერქვეშ მიტევებით აღდგენილი ერთობა კი არ ზეიმობს, არამედ მწარე უკონტაქტობა, რეალური გაუცხოება:

ერთიმეორის თვალებში
საბედისწერო დღიდან
თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ
და რაღაცაზე ფიქრობთ.
(ტაბიძე, 1968, გვ. 107)

სინამდვილე, ცხოვრება, სამწუხაროდ, უფრო დაუნდობელი და ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე პოეტის ზნეობრივი თვითშეგონება: შეურაცხყოფილი სულის კეთილშობილური განაზრახი არაცნობიერის სიღრმიდან „ამომხტარი“ არპატიების შემოტევებით დაემხო. ცნობიერებიდან განდევნილი დასჯის წადილი, უნებლიედ, დღიურში ამოტივტივდა: „ამ სიტყვებს მე არ გეტყვი და შეიძლება, ეს უფრო უსასტიკესი სასჯელი იყოს შენთვის“, - წერს გალაკტიონი.

თურმე უთქმელობასა და დუმილში მიტევებასთან ერთად საპირისპირო აზრიც იკითხება: დასჯის სურვილი... ამიტომაც, რომ დღიურში, პატიების მოტივის პარალელურად, მძაფრ თვითთრონიასთან შერწყმული არპატიების დემონის სარკასტული ხარხარიც ისმის. გავიხსენოთ: „ვერვინ გაიგებს ამ ცნობას. ეს თითქოს არც მე ვიცი... ხა, ხა, ხა!“

„ამბის“ დაკონკრეტების შემდეგ ლექსში რამდენადმე თვალსაჩინოვდება უძრავ დუმილში დანთქმული ადამიანების თანაცხოვრების შინაგანი დრამატიზმი. აი, ისინი სხედან ერთმანეთის პირისპირ, უმზერენ ერთმანეთს და თავთავის საფიქრალს ფიქრობენ. რის იმედი უნდა ჰქონდეს ორ ურთიერთგაუცხოებულ არსებას? ამის პასუხად ავტორი-მთხრობელი ყოვლისმცოდნის სამზერიდან მიგვანიშნებს რეალურ ვითარებაზე: პატიება არ შედგა, დრო მკურნალი ვერ აღმოჩნდა! სასწაულის მოლოდინიც ამაოა - აღტაცების ხანა ჩავლილია, გული კი გრძნობით ვეღარ გათბება:

თქვენ შეიძლება უცდით
სასწაულების მოსვლას,
როცა გათბება გული
პატიებით და გრძნობით?
ან აღტაცებას უცდით?
მაგრამ ამაო ცდაა.
თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ
და რაღაცაზე ჰფიქრობთ.
(ტაბიძე, 1968, გვ. 107)

ამ სტროფში დრამის მონაწილეთა და, შესაბამისად, მათი პროტოტიპების გაუცხოებული თანაცხოვრების გამოცდილებაა ჩადებული - 1921-ის შემდგომი მრავალი წლის მწარე გამოცდილება. შეგახსენებთ: ლექსი 1928 წელს გამოქვეყნდა როგორც შემადგენელი ნაწილი პოემისა „ეპოქა“, 1935 წელს

კი, დამოუკიდებელი სათაურით, ავტორის სიცოცხლეში პირველად და უკანასკნელად დაიბეჭდა. ოლიას ბოლო გადასახლებამდე მცირე ხნით ადრე გალაკტიონმა თავისი ე.წ. ოჯახური ცხოვრება განსაზღვრა როგორც დრამა.

პოეტურ ტექსტში გამეორების ხერხით ორგონიას აქცენტირებული მამაკაცისა და ქალის ერთად ცხოვრების არსებითი ნიშნები - დუმილი და ფიქრი რაღაცაზე. ფინალურ, კულმინაციურ სტროფში გახსნილია ის „რაღაც“, რასაც ფიქრით გასრესილი ადამიანები დუმილის სიღრმეში მალავენ. რეალური ურთიერთდამოკიდებულება ზედაპირზე ამოდის, მანამდე ართქმული სიტყვიერ გარსში ექცევა:

შენ: ხომ დაამხე ჩემი,
ცივო ტიკინა, ბედი?
ის: ხომ გასრისე, გველო,
ახალგაზრდობა ჩემი?
(ტაბიძე, 1968, გვ. 107)

მსგავსი ბრალდება ოლიას მხრიდან გალაკტიონის ჩანაწერშიც იკითხება: „მოდის ჩემთან ოლია, ამბობს საყვედურებს, რომ მე იგი დავლუპე“...

ლექსის დასასრულისკენ დაუნდობლად შიშვლდება ვერშემდგარი მიტევების სავალალო შედეგი: ბედისწერას ერთ სივრცეში ჩაუკეტავს კაცის ბედის დამამხობელი „ცივი ტიკინა“ და ქალის ახალგაზრდობის შემმუსვრელი „გველი“!

დრამატულ ამბავს ბოლოში მიწებებული აქვს სოცრეალისტური მორალიზებული განსჯა და ოპტიმისტური მოწოდება - ახალ დროს გაუსწორონ თავალი: საქართველოში „ყოველი ჩუმი სახლი“, წარსულის ჩრდილებისაგან გათავისუფლებული, განახლების ძალით უნდა აივსოს.

როგორც დასაწყისშივე ითქვა, „დრამა ერთი ბინისა“ ახალი ეპოქის ამსახველი პოემის ნაწილი იყო, ამდენად, ბოლო, რუდიმენტული სტროფიც იქიდან გადმოჰყვა, თუმცა, შესაძლოა, მისი დატოვება ტექსტში დიდი პიროვნული დრამის ვუალირებასაც ემსახურებოდა. ავტორი-მთხრობელიც ხომ, ასე ვთქვათ, საკუთარს კი არა, სხვის ამბავს გვიყვება...

ლექსისა და დღიურის, პოეტური და დოკუმენტური ტექსტების პარალელური ანალიზი, ვფიქრობ, ექვს არ ტოვებს, რომ „დრამის“ პერსონაჟთა პროტოტიპები, როგორც ვვარაუდობდი, თავად გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა არიან.

არ დავმაღავ, სტატიის დასრულების შემდეგ გამიჩნდა კითხვა იმ კოლეგების მიმართ, რომლებიც წლების მანძილზე ძერწავდნენ, ამდიდრებდნენ და ხვეწდნენ ლეგენდას ოლია ოკუჯავასა და გალაკტიონის გაუხუნარ, უჭკნობ სიყვარულზე -

დავიღალე მე ამ ამბით...
თქვენ, მკვლევარნო, თქვენც, მგოსნებო,
დაგრჩათ კიდევ ქალში რამე
სანეტარო, საოცნებო?!

(ბოდინს ვუხდი გალაკტიონს სტროფში შეტანილი მცირე ცვლილების გამო).

ოლია ოკუჯავა განათლებული, ნიჭიერი პიროვნება იყო, რომელმაც, უდაოდ, პოზიტიური როლიც შეასრულა გალაკტიონის ცხოვრებაში, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ იგი არაქართულ ტრადიციებზე აღზრდილი, თავისებური ფიზიოლოგიური და ფსიქიკური წყობის ქალბატონი გახლდათ, ურაკომუნისტური შეხედულებების მქონე ოჯახსა და სქესის პრობლემებზე.

შემორჩენილი დოკუმენტური მასალა – ასეთი კი საკმაოზე მეტია! - მოწმობს, რომ ოლიასა და გალაკტიონის ურთიერთობას ბევრი რამ აშორებს დანტე-ბეატრიჩესა და პეტრარკა-ლაურას მოდელისაგან. პარალელებისა და ანალოგიების მოყვარულთ მე უფრო ალექსანდ ბლოკისა და ლიუბოვ მენდელეევის დაულაგებელ, ერთგულების ნორმით შეუზღუდავ „ოჯახს“ შევახსენებდი, თუმცა მწარე სინამდვილეს არც ბლოკისთვის შეუშლია ხელი, შეექმნა „ლექსები მშვენიერ ბანოვანზე“ და არც გალაკტიონისათვის - დაწერა ე.წ. „შორეული ქალის“ ციკლი.

ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში დღემდე არავის უცდია ბლოკის მეუღლის ზნეობრიობის ეტალონად წარმოჩენა. იქნებ, ჩვენც შეგვეკავებინა თავი მძიმე ხვედრის ქალბატონის – ოლია ოკუჯავას გადაჭარბებული იდეალიზაციისაგან, ფსევდოლეგენდის ტირაჟირებისაგან, გამოგონილი, არარსებული შუქით რომ „ანათებს“ გენიოსის უმთენარო ღამეს.

ბიბლიოგრაფია:

ტაბიძე, გ. (1968). *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. III. თბილისი. გამომცემლობა: საბჭოთა საქართველო.
ტაბიძე, ნ. (2000). *გალაკტიონი*. თბილისი. თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ჯავახაძე, ვ. (2018). *უცნობი*. თბილისი. გამომცემლობა „ინტელექტი“.

Teimuraz Doiashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

GALAKTION TABIDZE AND OLYA OKUJAVA: LEGEND AND REALITY

RESUME

The article analyzes the poem „Drama of one apartment“ written by Galaktion Tabidze in the late 1920s.

The parallel analysis of this poem of Galaktion and the poet's diary, poetic and documentary texts clearly shows that the prototypes of the characters of the „drama“ are Galaktion and Olya Okujava.

At the end of the dramatic story told in the poem, a social realist moral judgment and an optimistic appeal are attached - to look at the new time: "every silent house" in Georgia should be freed from the shadows of the past and filled with the power of renewal.

„The drama of one apartment“ was part of a poem depicting the new era, so the last, rudimentary stanza was taken from there, although perhaps its omission served to veil a great personal drama in the text. The author-narrator, so to speak, tells us not his own story, but someone else's story.

Keywords: Galaktion, Olya Okujava, Galaktionology.

ნინო ვახანია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**პუბლიცისტიკა, როგორც მწერლობის ნაწილი
(მარკესის პუბლიცისტური წერილების მაგალითზე)**

საკვანძო სიტყვები: პუბლიცისტიკა, აქტუალური, მწერლობა, სტილი, ადამიანი, კერძო, ზოგადი.

პუბლიცისტიკა მას შემდეგ გახდა საქართველოში მნიშვნელოვანი, რაც პერიოდიკამ დაიწყო გამოსვლა, ესე იგი მე-19 საუკუნიდან. თუმცა თავისი კუთვნილი ადგილი მან იმ საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიკავა, როცა პუბლიცისტებად დიდი მწერლები მოგვევლინენ - ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა... ყველა ქვეყნის ცხოვრებაში პუბლიცისტიკა სამართლიანადაა მიჩნეული ლიტერატურის შემადგენელ განუყოფელ ნაწილად. როგორც ლექსიკონი გვამცნობს, „პუბლიცისტიკა [არის] საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე“ (ჭაბაშვილი, 1989). პუბლიცისტიკა მარტო აქტუალური და მნიშვნელოვანი თემების განხილვით არ ემსგავსება მწერლობას, არამედ - ნაწერის მიზიდველობითაც. თუმცა მხატვრული და პუბლიცისტური სტილი განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ დიდი პუბლიცისტიკა ძალიან ახლოს დგას დიდ მწერლობასთან - ორივე ცხოვრებას ასახავს მთელი თავისი სისავსითა და მრავალფეროვნებით.

ქართულად კარგად თარგმნილი ყოველი წიგნი ამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას, თუმცა გამორჩეული ღირებულება აქვთ მსოფლიოში აღიარებული ავტორების ნაწარვის გადმოღებას. ასეთ განსაკუთრებით საყურადღებო წიგნად მიგვაჩნია გაბრიელ გარსია მარკესის პუბლიცისტური წერილების კრებული „საუკუნის სკანდალი“ (გამოსცა „ინტელექტმა“ 2021 წელს. ესპანურიდან თარგმნეს ელზა

ახვლედიანმა და მაკა გოგოლაშვილმა). ოქტავიო პასი წერილში „თარგმანი: ლიტერატურა და წერილები“ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ: „თარგმანი ... ძლევს ორ ენას შორის არსებულ განსხვავებებს და ამავდროულად, უფრო მეტადაც წარმოაჩენს მათ“ (პასი, 2021, გვ. 535). მარკესის ეს ახალგამოცემული კრებული ცხადად გვიჩვენებს, რამდენი საერთო გვაქვს შორეულ ქვეყნებთან და როგორ განვსხვავდებით მათგან.

წიგნში ყველაზე ვრცელი ნარკვევი სწორედ ისაა, რომლის სათაურიც საერთო სახელწოდებაა გატანილი. როგორც ავტორის მინაწერი გვამცნობს, ეს ქრონიკები 1995 წელს ყოველდღე იბეჭდებოდა გაგრძელებებით 17-დან 30 სექტემბრის ჩათვლით. ცნობილია, მარკესმა ჟურნალისტობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა უნივერსიტეტში სწავლობდა და მერეც, ყოველთვის, თავს ჟურნალისტად მიიჩნევდა.

რომაული ქრონიკები იმ უბედური შემთხვევის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც რომში მცხოვრებ გოგონას, ვილმა მონტესს შეემთხვა.

შინიდან გასული საღამოს რომ არ დაბრუნდა, მამამ განგაში ატეხა. მალე პლაჟზე იპოვეს ცხედარი. ოჯახის წევრებმა დაადასტურეს, რომ ცხედარი ვილმა მონტესისა იყო და დაიწყო გამოძიება.

აი, აქ იწყება სრული ქაოსი და ანარქია.

მოწმეები ჩვენებებს წარამარა ცვლიან.

მომხდარის შესახებ თავიანთი შეხედულებები აქვთ დედას, მამას, დას... რაც არ ემთხვევა გამოძიების მიერ მიკვლეულ კვალს და ხელს უშლის სიმართლის დადგენას.

ვერაფრით გაირკვა, როდის გავიდა ვილმა სახლიდან.

პორტიე ხან ერთს ამბობს, ხან - მეორეს. დრო კი მეტად მნიშვნელოვანია. 5-ზე? 6-ზე? 6-ის ნახევარზე?..

ჩასაცმელის მდგომარეობის მიხედვით პოლიცია ცდილობს, დაადგინოს, ცხედარი წყალმა გამორიყა თუ არა, თუ კი, დიდხანს იყო თუ არა წყალში, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დგება, როცა ირკვევა, რომ მშობლებმა გარდაცვლილს ტანისამოსი გამოუცვალეს.

მკვლელობაა, თვითმკვლელობა თუ უბედური შემთხვევა? ავტორი ლამის თვითონ მოგვევლინოს დეტექტივად. თხრობა დეტალურია, საქმის ცოდნით წარიმართება. მკითხველს რომ თავგზა არ აებნეს, მოკლე მონაკვეთების მერე აჯამებს ნათქვამს და დასამახსოვრებელ, საკვანძო დეტალებს გამოყოფს. თხრობა ისეთი ჩამორევიანია, როგორც კარგ დეტექტიურ რომანებს ახასიათებთ ხოლმე, მკითხველი მით უფრო დამაბულია, რადგან საქმე რეალურად მომხდარს ეხება.. ნუთუ ასეთი უძღურია პოლიცია, რომ სიმართლე ვერ გაიგოს და დამნაშავეები დაუსჯელები დატოვოს?! მართალია, ერთი კერძო შემთხვევაა, მაგრამ სიმართლის ვერდადგენა დანაშაულის ფარულ წაქეზებას ნიშნავს... ამიტომაც არ დაშოშმინდა პრესა, გააქტიურდა საზოგადოებრივი აზრი. დაინიშნა ახალი გამოძიებელი. მაგრამ ხელახალი გამოძიება ძალზე გაიწელა, გამწელდა სწორი გზის პოვნა.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? იტალიელი გამოძიებლების უძღურებას ან თუნდაც გულგრილობას? სავარაუდოდ - არა. საქმე ისაა, რომ გამოძიების ლაბორინთში გაცხადდა ერთი ახალგაზრდის გვარ-სახელი, არც მეტი, არც ნაკლები, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვაჟისა. როგორც ჩანს, სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. და როგორც უნდა გააქტიურდნენ ჟურნალისტები, როგორც უნდა აღელდეს საზოგადოება, ეს მისტერია თუ ენიგმა, როგორც ჩანს, არასოდეს აიხსნება. დიდი ალბათობით, „არც არასოდეს გაირკვევა ეს ამბავი“, - იმედი გადაწურვია ჟურნალისტს (როგორ გვაგონებს ვოთარებას დღეს ჩვენში!).

იტალიაში ქალებზე მამაკაცების ძალადობის თემას ეძღვნება იტალიელი მწერალი ქალის, დაჩა მარაინის რომანი „ხმები“, რომელიც ქართულად თარგმნა ნუნუ გელაძემ (მარაინი, 2019).

ქალთა საკითხზე - უკანონო ვაჭრობასა და ტრეფიკინგზე მარკესს სხვა წერილებშიც არაერთხელ უსაუბრია. მათგან სიმძაფრით გამორჩეულია „პარიზში დაკარგული ქალები კარაკასში არიან?“ ჟურნალისტის ნაამბობი მკითხველის ემოციაზე ძლიერად მოქმედებს, თითქოს „ტყვეთა სყიდვის“ ეპოქაში ვცხოვრობდეთ. წერილი, გარდა იმისა, რომ შემფოთებას გამოიწვევს (პარიზში „წელიწადში ასი ათასობით ადამიანი იკარგება“), დაწერილია ნიუანსების ცადნითა და დეტალების ზუსტად გადმოცემით. ფაქტობრივად, განგაშის, გაფრთხილების ზარია. საზოგადო პრობლემა განხილულია კონკრეტული მაგალითებით. დახატულია ერთი გაქნილი რეპორტიორი, რომელსაც გარეგნობა და იერ-სახე ისეთი ღირსეული ადამიანისა ჰქონდა, მსოფლიოში ძნელად თუ ექნება ვინმეს. და ეს კერძო კაცი და მასთან დაკავშირებული კერძო შემთხვევა განზოგადებულია. ვძრწით ამკარად დამნახავნი იმ მანკიერებისა, რომელსაც ასე მტკიცედ მოუკიდებია ფეხი საფრანგეთსა და, ალბათ, მთელ ევროპაში.

მარკესის სტატიები სხვადასხვა მიზნითაა დაწერილი. ზოგი მათგანი თუ სრულყოფილი ნოველა არაა, მხატვრული თხზულების შესაქმნელი საფუძველი მაინცაა. „ბუენდიების სახლი“ მსოფლიოში ისეთ გახმაურებულ რომანად იქცა, როგორც „მარტოობის ასი წელიწადია“.

კრებულში გამოქვეყნებული პირველივე სტატია - „სიკვდილი პირგამტეხი ქალბატონია“ - სათაურთან-შინაარსთან-ფორმიანად ძალიანაა მიახლოებული სიტყვაკაზმულ მწერლობას. მეტაფიზიკურ, მისტიკურ მოვლენას აღწერს, რომელიც ნამდვილი რომ არ იყოს, მწერლის ფანტაზიის ნაყოფი ეგონება მკითხველს. და რომელ მხატვრულ თხზულებას არ დაამშვენებს პუბლიკაციის ფინალური ფრაზა: „... ახლა მოედანზე დგანან გაწბილებულები. უხმობენ სიკვდილს, მაგრამ უხმობენ არა საჩხუბრად, არამედ ლინჩის წესით დასასჯელად“.

არანაკლებ საინტერესოა „სიერპული უცნაური კერპთაყვანისმცემლობა“, საიდანაც იმასაც ვიგებთ, რომ ჩვენი არ იყოს, ატლანტიკის სანაპიროზე, მიცვალეზულის დატირება დღესდღეობით მთავარი მოქმედი წესია ჭირისუფლისთვის და სამიმარზე მისულთათვისაც. მოტირალი ქალების თეატრი კი პირდაპირ საქართველოს რომელიმე კუთხიდან (განსაკუთრებით მთის ყოფიდან) აღებული რეალისტური ფრაგმენტიც კი შეიძლება ეგონოს კაცს. მაშ, ცხადად, თვალნათლივ შევიმეცნებთ, რა პატარაა სამყარო, როგორ ჰგვანან ადამიანები და ტრადიციები ერთმანეთს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და რა სულიერი ნათესაობა შეიძლება აკავშირებდეთ ათასეული კილომეტრით დაშორებულ სრულიად უცხო და უცნობ ადამიანებს.

უცნაური, მხატვრული წარმოსახვებისთვის ნიშანდობლივი ამბავია მოთხრობილი წერილში „კაცი, რომელიც წვიმაში მოდიოდა“.

„ფოსტალიონმა ათასჯერ დარეკა ზარი კარზე“ დაკარგული წერილების სასაფლაოს გვიხატავს. მესიჯებისა და ტელეფონების ეპოქაში თემა მოძველებულად ხომ არ გამოიყურება? ერთი ჩვეულებრივი, რიგითი რეპორტაჟი რომ იყოს, - უთუოდ. მაგრამ ჟურნალისტი დაკარგულ, მარტოსულ, საზოგადოებისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც უცნაურად გამქრალ ადამიანებზე, მათ ფიქრებსა და განცდებზე გვესაუბრება და მაშასადამე, სტატიის თემაც მარადიული და უკვდავია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მარკესმა სიტყვაკაზმულ მწერლობაში გამოიყენა პრინციპი, რომელსაც მოგვიანებით „მაგიური რეალიზმი“ უწოდეს. მთავარი მახასიათებელი ამ ხერხისა კი ის არის, რომ „ყველაზე საზარელი, ყველაზე უჩვეულო საგნები და მოვლენები აღწერილია უემოციოდ“ (ვიკიპედია: თავისუფალი ენციკლოპედია). პუბლიცისტიკა თითქოს არც ითხოვს ემოციას.

მარკესს შეუძლია, ჟურნალისტურ ნარკვევში რომის პაპიც გააკრიტიკოს და ამას ახერხებს ისე მშვიდად, ისე უბრალოდ, თითქოს წერილმან რამეს ამხელდეს. ვთქვათ, როცა აღწერს, რა საზეიმოდ ხვდებიან პაპს მოგზაურობის დროს, მკითხველსაც ამაღლებული განწყობა ეუფლება. თუმცა ირონიაში გადასული იუმორი უკვე ამხელს ავტორის განსხვავებულ ხედვას, მერე კონტრასტი მძაფრდება იმის აღნიშვნით, რომ მოსწავლეები, რომლებიც თეთრ და ყვითელ ალმებს აფრიალებდნენ, ოფლად იღვრებოდნენ თავიანთ შალის უნიფორმებში... და ბოლოს, ოფიციალური და საყოველთაოდ მიღებულისაგან სრულიად განსხვავებული, საპირისპირო ჭრილში დანახული და აღქმული ამბავი: „...ზავშეებისთვის არ იყო არდადეგები, სამაგიეროდ, უნდა დასწრებოდნენ პაპის არდადეგებს“.

უფრო მძაფრი და მწვავეა კრიტიკული თვალი შემდეგ ეპიზოდში. მყვინთავები წყალში ეძებენ ქალის გამორიყული სხეულის თავს. პაპი ფანჯრიდან გადასცქერის მის წინ ხელისგულივით გადამლილ ტბასა და იქ მოფუთფუთე მყვინთავებს. თუ გავითვალისწინებთ მარკესის განსაკუთრებულ, გამძაფრებულ ინტერესს ქალებზე ძალადობის ფსიქოლოგიური, მორალური თუ პოლიტიკური საფუძვლების მოძიებისადმი, გასაკვირად არ მოგვეჩვენება პაპისა და მთელი ხელისუფლების გულგრილობის მამხილებელი დასკვნა, ირონიული ფორმით გამოთქმული: „რომის მოსახლეობას ეჭვი არ ეპარება, ადრე თუ გვიან მყვინთავები თავს იპოვიან კასტელგანდოლოფოს წყლებში“. ვის თავს? - უსულო სხეულის თუ საკუთარ? ქართულად წინადადება ისე ჟღერს, რომ მარკესი უთუოდ საკუთარი თავის პოვნას - გამოფხიზლებას, ირგვლივ გამეფებული უსულგულობის დანახვას - გულისხმობს...

პუბლიცისტურ სტილს, ჩვეულებრივ, ახასიათებს კლიშეები, თუმცა მარკესის ენა იმდენად ექსპრესიულია, რომ უფრო მხატვრულ სტილს უახლოვდება.

ცალკეა აღსანიშნავი სათაურთა შერჩევის ხელოვნება. უმრავლეს შემთხვევაში სათაურები, მოკლე, ტევადი, ხან ხუმრობანარევი და ყოველთვის ინტერესის აღმძვრელია (როგორც ამბობენ, დამანიტრიგებელია). მაგალითად: „ხრუმჩოვი - ამერიკული ტელევიზიის ვარსკვლავი“, ან: „პიჟამოიანი ბოგოტელები როხას ამხობენ“, ან: „შეთავაზება - მასო საუკეთესო ხუმრობა“ და ა. შ. „მკვდარი ვილმა მონტესი ქალაქში დადის“ გამორჩეულია და მარგალიტად არის მოხსენიებული წინასიტყვაობაში. ჩვენს დროში განსაკუთრებით საყურადღებოა: „ზიური გრიპი, მსოფლიო 39 გრადუსი სიცხით“.

ერთნაირი ხელოვნებითა და ოსტატობით შეუძლია მწერალსა და ჟურნალისტს ერთი ოჯახის, ერთი საგვარეულოს 100-წლიანი თავგადასავლის აღწერაც და მთელი მსოფლიოს, ერთმანეთისაგან დაშორებული და სრულიად დაუკავშირებელი მოვლენების ერთწლიანი მონაკვეთის დახატვაც მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ამ უკანასკნელის ნიმუშია სტატია „ყველაზე მრავალფეროვანი წელიწადი მსოფლიოში“. ვრცელი პუბლიკაცია ქვეთავებადაა დაყოფილი, რაც აადვილებს ყურადღების

მობილიზებას კითხვისას და, გარდა ამისა, მარკესი იყენებს ასეთ საინტერესო ხერხს - ერთმანეთის გვერდგვერდ, ერთ ქვეთავში, ერთ მონაკვეთში, ერთ აბზაცში ათავსებს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ, დაშორებულ ამბებს. ასეთი თხრობა ეკლექტიზმის შთაბეჭდილებას კი არ ტოვებს, მკითხველის გონების დაძაბვას ან რაიმე უსიამოვნებას კი არ იწვევს, სწორედ პირიქით - ამბავი უფრო სახალისოა, თხრობის აჩქარებული ტემპი მოდუნების ნებას არ გაძლევს და ბოლომდე თითქოს თამამ-თამამით მიჰყვები ავტორს ისე, რომ წუთითაც ვერ მოწყდები კითხვას. სულ ერთ მონაკვეთს მოვიყვან ზემოთქმულის საილუსტრაციოდ: „...საბჭოთა კავშირი აბსოლუტურ, ბირთვულ იარაღს ფლობდა, ეს გრძელი დისტანციის რაკეტა იყო და მას პლანეტის ნებისმიერ წერტილამდე შეეძლო მიედწია. დასავლეთში კი ამ დროს ჯინა ლოლობრიჯიდას პირველი შვილის დაბადებას ელოდნენ და ამ განცხადებისთვის დიდად ყურადღება არ მიუქცევიათ... დასავლეთმა ... სცადა თავი იმით ენუგეშებინა, რომ მსახიობს ჯანმრთელი გოგონა შეეძინა, რომელიც 6 ფუნტს და 99 გრამს იწონიდა“. ასე, ამ პრინციპითაა აგებული მთელი სტატია და თუ ერთმა ციტატამ ვერ მოახდინა სათანადო შთაბეჭდილება, იმიტომ, რომ ამოღებულია, ამოგლეჯილია ტექსტიდან, ხოლო თავის ადგილას ყველა ფრაზა შთაბეჭქდავია.

როგორი მოსაწყენი მოგვეჩვენებოდა წერილი თავიდანვე, ავტორს თხრობა 1957 წლის 1 იანვრით რომ დაეწყო. მაგრამ არა! თავიდანვე თქვა, რომ ლონდონში ყველაზე მნიშვნელოვანი დღე 1 იანვარი არ ყოფილა, ეს დღე იქ 9 იანვარს, ოთხშაბათს, საღამოს ექვს საათზე დაიწყო. მკითხველი უკვე, ასე ვთქვათ, „ჩაჭერილია“, ამ ინტერესს უკვე ვერსაით წაუხვალ, ვერ დაუძვრები (ასე დიდი მწერლები იწყებენ დიდ მხატვრულ ტილოებს...).

კიდევ ერთი ნიშანი, მარკესის ჟურნალისტური წერილებისთვის დამახასიათებელი ის გახლავთ, რომ ძირითადად, მათ შუაგულში ადამიანი დგას. არა ზოგადი მსჯელობა აქტუალურ საკითხებზე, არამედ კონკრეტული ამბების თხრობა, კერძო ადამიანის - საზოგადოებისთვის კარგად ცნობილის, ან ნაკლებად, ან უცნობის - კერძო ამბავია ჟურნალისტის ინტერესის საგანი. თითოეულ ასეთ ამბავში ამოიკითხება ზოგადი, საჭირობოროტო, ამა თუ იმ ქვეყანაში თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში გააქტიურებული პრობლემა.

„მხოლოდ თორმეტი საათი ბავშვის გადასარჩენად“ სწორედ ამ განწყობით, ამ თვალთახედვითაა დაწერილი. ცოფიანი ძაღლის ნაკბენისგან ბიჭუნას გადასარჩენად მამასთან და ნაცნობ-უცნობებთან ერთად მკითხველიც იბრძვის, დამაბულად ადევნებს თვალს ყოველ ნაბიჯს, წამლის საშოვნელად გადადგმულს. განიცდის, ღელავს, ბრაზდება, მოუთმენლობა იპყრობს, ეშინია, იმედი ღამის გადაეწუროს, რომ კეთილი ადამიანების თანადგომითა და გარემოებათა სასიკეთოდ დამთხვევის შედეგად წამლის ბოლო დოზა ბოლო წუთებზე მოუსწრებს პატარას. ბავშვის გადარჩენაში უშუალოდ მონაწილეთა გარდა, მკითხველსაც ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს საკუთარი შვილი გადაურჩა სიკვდილს. წერილის დასასრული ნოველისებურია: „იმ წუთებში კი ბავშვის დედას [რომელმაც იმ დღეს პატარა გოგონა გააჩინა] მშვიდად ეძინა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა საშინელება გადაიტანა მისმა ოჯახმა იმ დღეს, და, მგონი, მან ამის შესახებ ახლაც არაფერი იცის“ (მარკესი, 2021, გვ. 192).

და მთელი ეს ჯოჯოხეთი მხოლოდ იმის გამო, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში ძაღლებს ცოფზე ცრიან, ვენესუელაში კი ამგვარი ლიცენზია არ არსებობს.

რა გასაკვირია, რომ კოლუმბიელმა მწერალმა კარგად იცის სამხრეთ-ამერიკის ყოფის შუქ-ჩრდილები და განსაკუთრებული სიყვარულითა და სიფაქიზით აშუქებს მათ. საერთოდაც, რაზეც უნდა წერდეს, იშვიათია ასეთი გულწრფელობა, სიმართლე, თანაგანცდა, გულის სიღრმიდან წამოსული განწყობები!

სიმბოლურად ჟღერს სიტყვები: „გახსოვდეთ არაკატაკა, ვიდრე ვეფხვს არ შეუჭამია!“ ასე მსოფლიოს მიმართავს და ლათინო-ამერიკული ქვეყნების თავისებურებებს - გეოგრაფიული მდებარეობა იქნება ეს, ტრადიციები თუ კულტურის სხვადასხვა სფერო - ექომაგება და ესარჩლება.

რამდენი რამე ევალება მწერალს, ჟურნალისტს. ადამიანური არსებობის არცერთი სფერო არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ. ყველგან და ყველაფერში მთავარი, არსებითი უნდა დაინახოს და გამადიდებელი შუშით აღქმული მიაწოდოს მკითხველს. გამოაფხიზლოს საზოგადოება, განგაში ატეხოს, ამხილოს, მოუწოდოს, გადაარჩინოს, დაამკვიდროს!.. თვითონ მარკესს კი ღრმად სწამდა, რომ „მწერალს კარგად წერის გარდა არანაირი ვალდებულება არ გააჩნია“. ამ კრედოს გამოხატავს მთელი მისი შემოქმედება.

მარკესის პუბლიცისტიკაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

მარკესისთვის უპირველესია ადამიანი. ავტორი კონკრეტულ შემთხვევებს აზოგადებს და ინდივიდის თავგადასავალში კაცობრიობის სახეს ხატავს.

ყოველთვის დეტალურად აქვს შესწავლილი ვითარება, რომლის შესახებაც წერს იმდენად, რომ წვრილმანებშიც ერკვევა.

გულწრფელია და რაზეც უნდა წერდეს, სიყვარული, თანაგანცდა ჩანს ყველგან, თუმცა ეს ხელს არ უშლის, იყოს უკიდურესად კრიტიკული თუნდ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნებების მიმართ.

მის პუბლიცისტურ წერილებში თხრობა ჩამთრევი და ემოციურია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პუბლიცისტის სტილი ძალიან ჰგავს და უახლოვდება მხატვრულ სტილს.

ბიბლიოგრაფია:

ვიკიპედია: თავისუფალი ენციკლოპედია. *გაბრიელ გარსია მარკესი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://ka.wikipedia.org/wiki/გაბრიელ_გარსია_მარკესი
მარიანი, დ. (2019). *ხმები*. (ნ. გელაძე, მთარგმნ.) თბილისი: საგა.
მარკესი, გ. (2021). *საუკუნის სკანდალი*. თბილისი.
პასი, თ. (2021). თარგმანი: ლიტერატურა და წერილები. *პირველი სხივი* (2).
ჭაბაშვილი, მ. (1989). *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*. თბილისი.

Nino Vakhania
Sokhumi State University
OPINION JOURNALISM AS PART OF WRITING
(ACCORDING TO THE JOURNALISTIC LETTERS OF MARQUEZ)
RESUME

Opinion Journalism has become important in Georgia since periodicals began to be published in the 19th century. However, it has occupied a worthy place since the 60s of the last century, when great writers - Ilia, Akaki, Vazha-Pshavela - acted as publicists...

The Opinion Journalism is rightfully considered as an integral part of writing in the life of every country. The fact is that the opinion journalism is not only writing about relevant and important topics, but also the attractiveness of writing. Although artistic and journalistic styles differ from each other, excellent opinion journalism is very close to great writing.

Each well-translated book in Georgian enriches our literature, but has a special value in conveying the opinions of world-famous authors. A particularly noteworthy book is the collection of opinion journalistic letters by Gabriel Garcia Marquez - "The Scandal of the Century".

For Marquez, man is above all. The author summarizes specific cases and draws the face of humanity within the adventures of an individual.

He has always studied the situation in detail, about which he wrote so much that he understood even the little things.

He was honest and whatever he wrote about, love and compassion can be seen everywhere, but this did not prevent him from being extremely critical even towards people well known to the general public.

The narrative in his journalistic letters is fascinating and emotional. We can safely say that the style of journalism is very similar and close to the artistic style.

Keywords: Journalistic, Actual, Writing, Style, Human, Private, General.

მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მარინა ჯღარკავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

კონცეპტი ღამე ქართველურში

საკვანძო სიტყვები: კონცეპტი, ქართველური, ღამე, სერი, ლეთ.

დროის ფენომენი არის აზროვნების ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნება ადამიანის გარშემო არსებულ სამყაროზე. დროის მახასიათებელ მეტაფორებს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოს ენობრივი სურათის ფორმირებაში. დროებითი ცნებების, კერძოდ, კონცეფტ „ღამის“ შესწავლა ქართველური ენათმეცნიერების ფარგლებში საინტერესო დასკვნების საშუალებას იძლევა ლინგვისტური, ფსიქო-ემოციური და კულტუროლოგიური თვალსაზრისით.

მეგრულ-ლაზურში საერთო ქართველური ლექსებშია სერი „ღამე“, ღუმა „წუხელ“, ღუმასერი/ღომასერი („გუმინ ღამე/გუმინღამე“)... ფონეტიკური სახეცვლილების შედეგი უნდა იყოს მეგრული ონჯუა „საღამო“ და ლაზური ლუმჯი „საღამო“ საერთო ძირით ნჯირ/მჯირ (ონჯირუ „ძილი“, „წოლა“...); შდრ. ლაზური „ოლუმჯირა“ „საღამოხანი“.

სერ ძირი ქართულში შემორჩენილია სიტყვებში სერი „ვახშამი“ და სერობა „ვახშობა“ (შდრ. მეგრ. **ოსერიშე, ოსერშე** „ვახშამი“); დასტურდება ძველ ქართულშიც „საღამოს“ მნიშვნელობით (ფენრიხი & სარჯველაძე, 2000, გვ. 399); მეგრულ-ლაზური ღუმა-ს კანონიერი შესატყვისია ქართული ღამე (ფენრიხი & სარჯველაძე, 2000, გვ. 502).

კომპოზიციაც იდენტურია: **სერ-დღალერი** „დღე-ღამე“, **სერი-სერი/სერ-სერით** „ღამ-ღამობით“, **სერიშგვერდი// სერიში გვერდი** „შუაღამე, ნაშუაღამევი“.

ლაზურსა და მეგრულს შორის განსხვავებას გვამღვეს ისევ თურქიზმები: ლაზურში გვხვდება სიტყვები: დათისიკონას „შუაღამე“, მარე-გეჯე „შუაღამე“...

„სერ“ ძირი ერთნაირად გამოიყენება მეგრულ-ლაზურში როგორც ცალკე ლექსიკური ერთეული და როგორც კომპოზიციის ნაწილი.

მეგრულში:

სერი/ონჯუა, ონჯუვა, ონიჯუა, ოინჯუა - 1. ღამე; საღამო.

აკა **სერი** გუმოთანაფეთია. (ხუბუა, 1937, გვ. 2) - „ერთი ღამე გამათენებინეთ“. **სერით** ბლურს, დღაშით ვარ. (სამუშია, 1979, გვ. 41) - „ღამე მძინავს, დღისით - არა. დემქ თიმუ **სერსეთი** ქემორთე (ყიფშიძე, 1994, გვ. 50) - „დევი (დევმა) იმ ღამესაც მოვიდა.“ იმუ **სერი ონჯუა** რდგ (ყიფშიძე, 1994, გვ. 53) - „ის ღამე საღამო იყო“. **ონჯუაქე** ქიიყუნი, სუმიხოლო ნდიენქე ქომორთესე (Цагарели, 1880, стр. 14) - „საღამო რომ შეიქნა, სამივე დევები მოვიდნენ“.

ლექსემა სერი აქტიურად მონაწილეობს სიტყვათმეხამებებსა თუ სიტყვათწარმოებაში:

სერიში ტახუა - ღამის თევა (ტეხვა); **სერიშ გოთანაფა** - ღამის გათენება:

სქანი გემა **სერსე პტახე** (სამუშია, 1979, გვ. 59) - „შენს გამო ღამეს ვათევ (ვტეხ)“. ანდა დღა რე, **სერს ტახუნსინი** - „რამდენიმე დღეა, ღამეს ათევს (ტეხს).“

სერი ჩეთ გაათანულ - „ღამე თეთრად გაათენა.“

ოსერიშე, ოსერშე - ვახშამი.

ჟირიხოლო ჩილი დო ქომონჩქ ქიმიოტეს **ოსერშე** (ხუბუა, 1937, გვ. 33) - „ორივე ცოლ-ქმარმა მიატოვეს ვახშამი“. **ოსერშეში** კეთება რე (სამუშია, 1979, გვ. 96) - „ვახშამის კეთებაა.“

სერ-სერით - ღამ-ღამობით.

სერ-სერით გერც გეხე - „ღამ-ღამობით მგელზე ზის.“ (**ორე**) **სერ-სერით** გილმალგ, ქოთომიში მახირალი - „(არის) ღამ-ღამობით მოსიარულე, ქათმის ქურდი (მპარავი).“

სერი დო დღაში - დღე და ღამე.

ი ბადიდიქე **სერი დო დღაში** იდგ (Цагарели, 1880, стр. 34) - „იმ ბერიკაცმა დღე და ღამე იარა“. ლური ვამილუ **სერი დო დღაშითე** (სამუშია, 1979, გვ. 26) - „ძილი არ მაქვს დღე და ღამით.“

ამსერი//ამუსერი//ამესერი - ამეღამ, ამ ღამეს.

ამსერი ვამორთუ - „ამელამ არ მოვიდა.“ მა გომიტე **ამუსერი** ჯიხაშე - „მე გამიშვი ამელამ ციხიდან“. ქიდირულუ **ამესერი**ნი, ქიგასიზმარე (ხუბუა, 1937, გვ. 53) - „რომ დაიძინა ამელამ, დაესიზმრა.“

ამსერიში - ამაღამდელი.

ამსერიში მოჰყუდუსი, ნა, მუში სისქვამა გოჰყუდუნსი (სამუშია, 1979, გვ. 17) - „ამაღამდელ პატარძალს, ნა, თავისი სილამაზე გაამზითვებს.“

ისერუანს, ოსერუანს - დაღამება (აღამებს; იღამებს).

თელი დღას ოჰკადურემის გითოხე დო თექ **ოსერუანს** - „მთელი დღე სამჭედლოში ზის და იქ აღამებს.“

ოსერიშეთ/ოსერიშო/ოსერშო/ოსორიშო/ოსერიშობა - ვახშმად/ვახშმობა/ვახშმის ჭამის დრო.

ქედოხოდეს **ოსერიშეთ** (ხუბუა 1937, 201) - „დასხდუნენ ვახშმად.“ მაჟირა მოკონია **ოსერიშოთ** (ხუბუა, 1937, გვ. 203) - „მეორე მინდაო ვახშმად.“ **ოსერშო** ოჰკომეს (ხუბუა, 1937, გვ. 151) - „ვახშამი შეჭამეს“. თექი ბჰკუმუნქ **ოსერიშოს** (ყიფშიძე, 1994, გვ. 41) - „იქ ვჰამ ვახშამს.“ **ოსერიშობას**გ ბოშიქე კითხე დიდასე (ყიფშიძე, 1994, გვ. 57) - „ვახშმობაზე (ვახშმობისას) ბიჰმა ჰკითხა დედას.“

ლაზურში:

სერ(ი) ღამე: სი სერ მუჰო ინჯირი? (ჩიქობავა, 1936, გვ. 117) - „შენ ღამე როგორ დაიძინე?“

ოსერუ დაღამება (თანდილავა, 2013, გვ. 619)

სერ-დღალერი// სერინდღალერი// სერი ნდღალერი დღე-ღამე (თანდილავა, 2013, გვ. 690): ვანა სერი-ნდღალერი მო დოდგითუთ, იკითხით! (ჩიქობავა, 1936, გვ. 96) - „დღე-ღამე ნუ გაჩერდებით (გააცდენთ), ისწავლეთ!“

სერი გვერდი/სერიშგვერდი შუალამე: ჰუდ დივეფე სერი გვერდის (მარი გეჯეს) მომსელეს (ყიფშიძე 1939, 84)- „ის დევები შუალამისას წამოდგენენ“..

სერი-სერი ღამ-ღამობით (თანდილავა, 2013, გვ. 690)

სერიშგვერდი // სერიში გვერდი შუალამე, ნაშუალამევი: აწი მანმაგერეფე სერიში გვერდის მთელი ხოლო ქისელეს (ჩიქობავა, 1929, გვ. 130)- „ახლა მეზობლები ყველანი შუა ღამეზე ადგენენ“. სერიშგვერდის ქოგოჰკეს ფარაში ოკორთუს (ჟღენტი, 1936, გვ. 98) „შუალამეზე შეუდგენენ ფულის გაყოფას“

ლომასერი გუშინ ღამე: ლომასერი იხი დიდო ბართუ (ჩიქობავა, 1936, გვ. 1) - „გუშინ ღამე ქარი ძალიან ქროდა“.

სხვა ვითარებაა **ნჯ/მჯ** ძირთან. იგი ლაზურში უფრო მეტად გამოიყენება და აქტიურად მონაწილეობს სიტყვათა წარმოქმნასა თუ თხზვაში.

მეგრულში **ო-ნჯ-უ-ა** მხოლოდ **საღამოს** მნიშვნელობით გვხვდება:

ონჯუას/ონჯუაშახ - საღამოს/ საღამოზე/ საღამომდე.

ონჯუას ჩეთ ვადიყურჩა (ყიფშიძე, 1994, გვ. 86) - „საღამოს ადრე (თეთრად) არ დაიძინო (არ მიყურდე).“ **ონჯუვას**გ ცუდეშა მიიშუ (Чагарели, 1880, стр. 18) - „საღამოზე სახლში მიდიოდა“. **ონჯუაშა** ქოყვილგნდესე ნდემემცე (ყიფშიძე, 1994, გვ. 88) - „საღამომდე (ქე) კლავდუნენ დევებს.“

ლაზურში **მჯ** ძირით იწარმოება სიტყვა **ლიმჯი/ლუმჯი**, რომელიც ნიშნავს როგორც **საღამოს**, ასევე **ღამეს**: ემ **ლიმჯი** დიყუ დუგუნი (კარტოზია 1972, 21) - „იმ ღამეს იქნა ქორწილი“. **ლიმჯიში** ქიმოჯი ნოღაშენ ზემბილი ნოკიდერი ქომობტუ (ყიფშიძე, 1939, გვ. 13) - საღამოზე ქმარი ქალაქიდან კალათა მოკიდებული მოვიდა.

გელამჯინუ შეღამება, **გელიმჯინაფა** შემოღამება, **გელიმჯინერი** შეღამებული, **გელუმჯინაფა** შემოღამება, **გელუმჯინერი** შეღამებული, **გელუმჯინუ** შეღამება (თანდილავა, 2013, გვ. 85), **ლიმჯაფა** დაღამება, **ლიმჯერიშე** მოსაღამოებულზე, საღამოს, **გელამჯინერი** შეღამებული, **ოლუმჯუ** დაღამება, **ოლუმჯარა** საღამოხანი (თანდილავა, 2013, გვ. 592).

ღამე სევდის, ფიქრის დროა. ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ღამე ბოროტების ჩადენის დროცაა და მისტიკური არსებების გამოჩენის დროც, ამიტომ სიბნელე შიშის გრძნობას ამძაფრებს. ყოველივე ამის დასტურია მეგრულ-ლაზურის მაგალითებიც:

მეგრული:

სერი ტყარიში დო აზრაგიში რენია - „ღამე ტყიურისა და ყაჩაღისა არისო“.

სერი იშენ სერი რე დო უკუმელა მაფუ დღაში - „ღამე ღამეა და დღეც ბნელი მაქვს“.

ონჯუას ჩხოუ ხოლო მეხვადენია ყუდეშა მულას - „საღამოს ძროხაც მიხვდება სახლში მოსვლასო“.

ლაზური:

სერ მუთხანეფე გემალანდენ (თანდილავა, 2013, გვ. 114) - „ღამე რაღაცეები მეღანდება“.

სერის გვერდის ჯადი ოხორის ქამახთუ, არ ქოგუინწკედუ (ყიფშიძე, 1939, გვ. 13) – „შუალამეზე ჯადოქარი სახლში შევიდა, ერთი მიმოიხედა“.

კატა სერის თაბუთი ეშმაღერი ბძირომ-და (ქლენტი, 1936, გვ. 199) – „ყოველ ღამე კუბოს ამოტანილს ვხედავო“.

ოლუმჯიაში ხასანი დოლურუ (ქლენტი, 1936, გვ. 9)– „სალამო ხანს ხასანი მოკვდა“.

დოლუმჯუ დო ვა მეგალენ (ჩიქობავა, 1929, გვ. 121) – „დაღამდა და ვერ მიხვალ“.

არ აერის დულუმჯეს დო გერმას ქოდინჯირეს (ყიფშიძე, 1939, გვ. 87) – „ერთ ადგილას დაულამდათ და ტყეში დაიძინეს“.

სერის გვერდის ჯადი ოხორის ქამახთუ, არ ქოგუინწკედუ (ყიფშიძე, 1939, გვ. 13) – „შუალამეზე ჯადოქარი სახლში შევიდა, ერთი მიმოიხედა“.

მათისიკონაის ჯაზეფე მოხთეს (ჩიქობავა, 1929, გვ. 126) – „შუალამისას ეშმაკები (ავი სულები) მოვიდნენ“.

ოლუმჯიაში ოკომწკუფუ-ში, ხუვარდა ქომოხთუ (თანდილავა, 2013, გვ. 583) – „სალამო ხანს როცა შეზნელდა, საყვარელი (მატრაბაზი) მოვიდა“.

სერი გამაფთით დო ბიმტით (ყიფშიძე, 1939, გვ. 32) – „ღამე გამოვედით და გავიპარენით“.

ჰუე დივეფე სერი გვერდის (მარი გეჯეს) მომსელეს (ყიფშიძე, 1939, გვ. 84) – „ის დევები შუალამისას წამოდგნენ“.

ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისთვის გ. კლიმოვმა აღადგინა **ღამენ**- არქექტიპი (ფენრიხი & სარჯველაძე, 1990, გვ. 502). განსხვავებული ვითარებაა **სვანურში**, რამდენადაც აქ ღამის კონცეფციის ლექსემები განსხვავებული ძირებია და არ წარმოგვიდგენს ფონეტიკურ შესატყვისობებს ქართულ-ზანურთან: **ღეთ / ლეთ** „ღამე“. 2. ზმნს. „ღამეს“. **ღეთი / ლეთი** „წუხელ“ **ლი-ღეთე** „ღამისთევა“ **იზური** „ღამდება“ **ნებოზ** „სალამო“ **ი-ნბოზ-აალ** „სალამოვდება“... **ღეთილადეღ / ლეთ-ლადეღ / ლეთილადეღ / ლეთლადეღ / ლეთილდეღ** „დღე და ღამე, დღე-ღამე“... **ღეთ ი ლადეღ** უშუალოდ ესერ ხაჭიმხ (ანდ.) „ღამე და დღე ერთმანეთს მისდევნო“ ...

ღეთ (-იშ, -არ ბზ., -იშ, -არ ლშხ.), **ღეთ** (-იშ, -არ) ბქ., ლნტ. 1. „ღამე“. 2. ზმნს. „ღამეს“.

ღეთი (-თიშ, --) ბზ., ლშხ., **ღეთი** (-თიშ, --) ბქ., ლნტ., ზმნს. „წუხელ“.

ღეთილადეღ, ლეთ-ლადეღ (-დღიშ, -დღარ ბზ., -დღიშ, -დღარ ლშხ.), **ღეთილადეღ, ლეთლადეღ** (-დღიშ, -დღარ) ბქ., **ღეთილდეღ** (-იშ, -არ) ლნტ. – „დღე და ღამე, დღე-ღამე“.

ღეთ ი ლადეღ უშუალოდ ესერ ხაჭიმხ (ხეცადუნაშხ) (ანდ.) - ღამე და დღე ერთმანეთს მისდევნო (ენაცვლებიანო).

ეჯ **ღეთ** კესარ ი მიჩა აფხნეგარ ჩუასანდხ დიკუენიშმეც (ბზ. 354) იმ ღამეს კეისარი და მისი ამხანაგები დიაკვანთან დარჩნენ. აშუტ **ღეთ** მიშგუ მუხუბე... ლემდერს კრებას არდა (ბქ. 201) -- ერთ ღამეს ჩემი ძმა ლემდერში კრებაზე იყო.

ესერ **ღეთ** მანდა 931 ლეთი (ბზ. 59) - კარგი ღამე მქონდა წუხელ. მიჩ' ესერ ქორ **ღეთი** ჩოლშიხელი (ბქ. 19) - შენი სახლი წუხელ დამწვარაო. [დენას] **ღეთი** ძღედ თემი ხარენა (ლშხ. 62) - გოგოს წუხელ დიდი გაჭირვება ჰქონია. **ღეთი**... აშისწუენებ ბეფში პაპიამაქ (ლნტ. 317) - წუხელ ბავშვის ნათლიად დამინახეს.

სკარ უომთხუტ **ღეთ-ლადეღ** ლასუტ წეს (ბქ.) - დღეობა ოთხი დღე-ღამე გრძელდებოდა (წესად იყო). [ჭყინტ] აემდამერუ **ღეთ-ლადეღ** ეხკუად ბროლი კომკეთეჟი ლაზს (ლშხ. 72) - ბიჭი თორმეტი დღე-ღამე მოუნდა ბროლის კომკუზე ასვლას. **ღეთილდეღ** მი ხუაშყიდხუტი დედეს (ლნტ.) - დედას მე სულ (დღე და ღამე) ვახსოვარ.

ესლრი-ანლრი ეშხვი მალი, აშხვ არგილს ლგ **ღეთ** ი ლადეღ „მიდის-მოდის ერთი რამე, იქვე კი დგას დღე და ღამე“.

უწვენა ლი ეშხვი მალე, მართე ესლრი ჩი **ღეთ**, ლიზ-ლიჩედ ხოხალ მეკვბად, თვიდ ხომა მუჭხვი ლი „უხილავი ერთი რამე, კაცთან მოდის ყოველ ღამე, მოსვლა-წასვლა იცის ფრთხილი, არის თაფლზე მეტად ტკბილი“ (ჭუმბურიძე, 2007, გვ. 3012-313).

კონცეპტი, ზოგადად, აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხის სემანტიკური წარმონაქმნია და წარმოადგენს აზრის ვერბალურ გამოვლინებას. კონცეპტის აზრის გასაგებად საჭირო ხდება ამ ენაზე მოლაპარაკეთა კოლექტიური ცნობიერების ანალიზი ანუ როგორი მნიშვნელობით იყენებენ ამ სიტყვას, როგორი ასოციაციებია დაკავშირებული ამ სიტყვით გამოხატულ ცნებასთან, როგორი იყო მისი არქექტიპული მნიშვნელობა, როგორ გამოიხატება მყარ სიტყვათშეხამებებსა და ფრაზეოლოგიზმებში, აგრეთვე, ლიტერატურასა და სასაუბრო მეტყველებაში.

ამ კუთხით ძალზედ საინტერესო აღმოჩნდა ქართველურ ენათა მონაცემებზე დაკვირვება „ღამე“

ლექსემის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში, კონცეპტში გაერთიანებული სიკვდილ-სიცოცხლის, არსებულისა და წარმოსახვითის, ხშირ შემთხვევაში აგრეთვე კეთილისა და ბოროტის ამსახველი სიტყვების, სიტყვათშეხამებებისა და ფრაზეოლოგიზმების აღნუსხვა-შესწავლის მიზნით.

ამრიგად, პუბლიკაციაში წარმოდგენილია „ღამის“ კონცეპტში გაერთიანებული სვანურისა და მეგრულ-ლაზურის ბნელისა და ნათელის, სიკვდილ-სიცოცხლის, კეთილისა და ბოროტის, არსებულისა და არარსებულის სემანტიკის მდიდარი ენობრივი მასალა. პარალელურ ფორმატში წარმოდგენილი ეს ენობრივი მონაცემები საინტერესოა როგორც სტრუქტურა-აღნაგობის, ასევე სიტყვათწარმოებითი მოდელების, ეტიმოლოგიების, სემანტიკური ნიუანსების თვალსაზრისით. წინასწარი კვლევის საფუძველზე, სალიტერატურო ქართულთან მიმართებით იკვეთება უაღრესად საინტერესო სემანტიკური ნიუანსები.

ბიბლიოგრაფია:

- თანდილავა, ა. (2013). *ლაზური ლექსიკონი*. თბილისი.
- თოფურია, ვ., & ქალდან, მ. (2000). *სვანური ლექსიკონი*. თბილისი.
- კარტოზია, გ. (1972). *ლაზური ტექსტები*. თბილისი.
- ლიპარტელიანი, ა. (2014). *სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლოურული კილო)*. თბილისი.
- ქლენტი, ს. (1936). *ჭანური ტექსტები*. თბილისი.
- სამუშია, ვ. (1979). *ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. მეგრული ნიმუშები*. თბილისი.
- სვანური ენის ქრესტომათია. (1978). *ტექსტები შვედურს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა, ზ. ჭუმბურიძემ*. თბილისი.
- ფენრიხი, ჰ., & სარჯველაძე, ზ. (2000). *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი.
- ფენრიხი, ჰ., & სარჯველაძე, ზ. (1990). *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი.
- ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები* (ტ. II). (1991). თბილისი.
- ქაჯაია, ო. (2001-2006). *მეგრულ-ქართული ლექსიკონი* (ტ. I-IV). თბილისი.
- ქობალია, ა. (2010). *მეგრული ლექსიკონი*. თბილისი.
- ყიფშიძე, ი. (1939). *ჭანური ტექსტები*. ტფილისი.
- ყიფშიძე, ი. (1994). *რჩეული თხზულებანი*. თბილისი.
- შეროზია, რ., & მემიშივი, ო. (1994). *მეგრული და ლაზური ანდაზები*. თბილისი.
- ჩიქობავა, ა. (1929). *ჭანური ტექსტები* (ტ. I). ტფილისი.
- ჩიქობავა, ა. (1936). *ჭანურის გრამატიკული ანალიზი*. თბილისი.
- ჭუმბურიძე, ზ. (2007). *სვანური ენა*. თბილისი.
- ხუბუა, მ. (1937). *მეგრული ტექსტები*. ტფილისი.
- Цагарели, А. (1880). *Мингрельские этюды. Мингрельские тексты с переводом и объяснениями*. Санкт-Петербург.

Marine Kakachia, Ketevan Margiani

Sokhumi State University

Marine Jgharkava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics

CONCEPT “GHAME” (Night) IN KARTVELIAN LANGUAGES

RESUME

We have studied several concepts in order to find out what is common and what is different in Kartvelian linguistic data and how well they fit into a single lexical-semantic system.

This time we studied the concept of “GHAME” (Night) in Svan and Megrelian-Laz. This concept is universal as it is presented in any culture and is regarded as an ancient concept of humanity, depicting the basic characteristics of man, mind and intellectual abilities.

The concept of “GHAME” (Night) in Kartvelian includes various semantic poems, phraseologies, which show a person's attitude to time, its course, as well as life expectancy and his fate or misfortune. These ancient and important time-related lexemes use one root for word production in Georgian, Svan and Megrelian-Laz languages--სერი „night“, ღუმა „Last night“, ონჯუა/ლომჯი „Evening“ and the morphological-semantic indicators of lexical units, formed

from the above mentioned lexemes, are completely identical in Kartvelian languages. These concurrences allow us to conclude that the concept “GHAME” (Night) reflects a unified system in Kartvelian. The situation is different in Svan, as the verses of “GHAME” (Night) concept have different roots (ლეთ / ლეთ) and do not present phonetic correspondences with Georgian-Zan.

Night evokes opposite feelings: 1. as a time for action for the apostles of darkness / evil forces, and with darkness; Darkness is the fear, the uncertainty that underlies a person's emotional, irrational feelings. All this, of course, is reflected in linguistic data (proverbs, songs or other figurative expressions)

Keywords: Concept, Seri „night“, Leet „night“, Kartvelian languages, Night.

*იგორ კველია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ლამისყანის ტოპონიმიიდან

საკვანძო სიტყვები: ადგილთა სახელები, სოფელი, ისტორია, წყარო.

ლამისყანა ეწოდება სოფელს შიდა ქართლის მხარის კასპის მუნიციპალიტეტში, ქსნის ხეობაში. ისტორიული წერილობითი წყაროებიდან (1459 წ.) ირკვევა, რომ სოფელი სამთავნელის სამწყსოში შედიოდა და მართებდა სამთავისთვის გამოსაღები (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, 1964, გვ. 131). გვიან შუა საუკუნეებში ლამისყანა ქსნის ერისთავების მფლობელობაში იყო, ხოლო XVIII საუკუნის I ნახევრიდან მუხრანბატონები ფლობდნენ. შემდეგ სოფელი კვლავ ერისთავებს დაუბრუნებიათ. 1728 წელს ილტოზის წყაროზე ლეკებს დაუტყვევებიათ დავით გურამიშვილი. დღეს ეს წყარო **გურამიშვილის წყაროს** სახელით არის ცნობილი. 1795 წელს ლამისყანაში გამართულ ბრძოლაში იაონე ბატონიშვილმა სძლია ალა-მაჰმად ხანის ჯარის ერთ რაზმს (სიკმა, 1990, გვ. 174). სოფელში, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე, ძნელად მისადგომი, მაღალი ბორცვის ფერდობზე დგას ორბელიანთა სასახლის კომპლექსი, რაც XVII საუკუნეშია აგებული. იგი აუშენებია ივანე ორბელიანს, მისი მეუღლის, ნინო თორნიკეს ასულ ერისთავის მამისეულ ნამზით მამულში. კომპლექსი აერთიანებს ციხე-გალავანს, სასახლეს, გალავნის გარეთ მდებარე წმ. გიორგის ეკლესიას, მარანს და სხვა სამეურნეო ნაგებობებს. სასახლიდან კარგად მოჩანს სოფლები: ძველი ილტოზა, ქსოვრისი და ოძისი, აგრეთვე ქსნის, დამპალოს, მუხრანისა და სხვა ციხეები. ამ სასახლესთან არის დაკავშირებული გურამიშვილის სიყვარულის ისტორია. აზნაურ გარაყანისძეების ქალიშვილს, დავით გურამიშვილის მეუღლეს, ამ შენობის მარანში მოუკლავს თავი. სასახლე ქსნის ერისთავებს გარაყანისძეებისგან უყიდიათ ქეთევანის თვითმკვლელობის შემდეგ. XIX ს-ის შუა წლებში სასახლის ბოლო მეპატრონეები ყოფილან ალექსანდრე ორბელიანი და მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი. „ორბელიანთა სასახლის ლიტერატურულ სალონში თავს იყრიდნენ ცნობილი მოღვაწენი. თვით მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი (1852-1941 წწ.), შვილი პოეტ ვახტანგ ორბელიანისა (1812-1890 წწ.), ცნობილი ლიტერატორი და საზ. მოღვაწე იყო. აქ ხშირად ჩამოდიოდნენ, დროდადრო ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ვახტანგ ორბელიანი, ივანე ჯავახიშვილი (1876-1940 წწ.), რომელსაც ცოლად ჰყავდა მარიამ ორბელიანის ძმისშვილი ანასტასია ნიკოლოზის ასული ორბელიანი, ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე (1870-1917 წწ.) - ივანე ჯავახიშვილის ქვისლი და სხვ. ამ სახლში იყო ორბელიანთა მდიდარი საგვარეულო ბიბლიოთეკა“ (სიკმა, 1990, გვ. 174). სოფელი შედგება სამი უბნისაგან: **გარაყანთ უბანი**, **ღვთიშობელი** (დასავლეთით) და **ლამისყანები** (ჩრდილოეთით).

არქეოლოგიური გათხრებით დადგენილია, რომ სოფელი დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებში. სოფ. თეზიკენ მიმავალი გზის მარცხნივ, სასაფლაოს ფერდობზე მიკვლეულია თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (სიკმა, 1990, გვ. 174).

წინამდებარე ნაშრომში სალექსიკონო მასალის სახით წარმოვადგენთ სოფ. ლამისყანის ტოპონიმიკურ მასალას, რაც ჩვენ მიერ ჩაწერილია 2019 წლის აგვისტოში. მასალა მნიშვნელოვანი წყაროა სოფლის ისტორიის, ისტორიულიგეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად.

აკვანი - საყდარი ლამისყანებში, ხვითსა და თვაურებს შორის. ამის ცოტა ზემოთ კვირაცხოველია. „ამ საყდარში თეთრ მამალს სწირავდნენ აღდგომის მეორე კვირასა. იქ კლავდნენ, თავს იქ დატოვებდნენ და ფეხებსაც. დანარჩენი ნაწილი ჩამოჰქონდათ სახლში და აქ ხარშავდნენ. ასე იმიტომ ჰქვია, რომა შორიდან აკვანსა ჰგავს“.

ანდრიაანთ ტყე - ჯაგნარი სოფლის დასავლეთ ნაწილში.

ატმინი - ატმის ბაღები თელიანთან.

აშირაანთ მიწა - სახნავი ლამისყანების ქვემოთ.

ახალუბანი - უბანი ქსნის მარჯვენა ნაპირას. ეწოდა დაახლოებით 60-70 წლის წინ. ლამისყანელები დასახლდნენ და შექმნეს ახალი უბანი.

ბაკლას მორევი - მორევი ქსანზე. ბაკლა მეტსახელია. „ბაკლა - მშრალად მოხარშული ლობიო“.

ბარათიანთ ჭალები - ჭალა-ვენახები ქსნის მარჯვენა ნაპირას, სოლომნის ნატეხთან, ს. თეზის საზღვარზე. „რამაზაშვილების შტო იყო ბარათაანთ. ბარათა სახელია“.

ბასოს მიწები - სახნავები ზედაველების ჩრდილოეთ ფერდობზე.

ბენაანთეული ვენახი - ვენახები.

ბოსტნის კაკალი - კაკლის ხე ლამისყანების ქვემოთ.

ბლუტიანთ მიწები - სახნავები გარაყაანთ უბანში. ბლუტიანთი ქენქაძეების შტო-გვარია.

გადასახედი - ბექობი გარაყაანთ უბანში, ჩახრიალასთან. აქედან ჩანს ქსნის ხეობა.

გარაყაანთ უბანი - უბანი სოფლის ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქსნის მარჯვენა ნაპირას. ცხოვრობენ გარაყანისძენი.

გაწყვეტილები - საბალახო ქსნის პირას, ცხრაბალთან.

გიგიაანთ მიწა - სახნავი გარაყაანთ უბანში.

გიგიაანთხევი - ხევი გარაყაანთ უბანში, თეზის გზაზე. სათავეში ეწოდება ფარადაანთ ღელე.

გიორგობა/წმინდა გიორგი - ნიში ნატრეულას ხევის მარცხენა ნაპირას, სოფლის ცენტრში.

გიოს ნატეხი - მინდორი ზედაველებზე.

გურამიშვილის წყარო - წყარო, დავით გურამიშვილის სახელობისა. ისტორიული, მონუმენტური ხელოვნების ძეგლი გაიხსნა 1975 წლის მაისში, დავით გურამიშვილის დაბადების 270 წლისთავზე (არქიტექტორი ვ. ორბელაძე). ორ მოზრდილ ფილაზე დავით გურამიშვილის შემდეგი სიტყვებია ამოკვეთილი: „მოიღეთ წმინდა ჭურჭელი, წაიღეთ ვისაც გსურთა“ (სამშობლო, 1975).

გძელველები - ერქვა ვენახს ქსნის ჭალაში.

გძელველების მორევი - მორევი ქსანზე.

დიდნატეხები - სახნავები ნანიანთ ნატეხებთან.

დიდტყვიპირები - ახლები ზედაველების ჩრდილოეთ ფერდობზე, ჭიხინაანთ ახლებთან.

ელიამუხა - ერქვა მუხის ხეს წისქვილის რუხე. ამჟამად მორევია. „მეხი დასცემია და გამხმარა“.

ვარდიბეთი - უბანი ლამისყანების ზემოთ.

ზედაველები - ველი. აქ ადგილებს ეწოდება **გიოს ნატეხი, ნანიანთ ნატეხი, კობოურიანთ ნატეხი, შაყილათ ნატეხი...**

ზვრები - ვენახები კომუნისუბნის ჩრდილოეთით.

ზოზრანთ მიწა - გადაეცა სოფელ თეზს, სასაფლაოდ.

თალალას მიწები - სახნავები ზედაველების ჩრდილოეთ ფერდობზე.

თეთრი გზა - გზა ღრმაგზის პარალელურად ადის ჭოლიკაანთ მიწებიდან ზედაველაზე.

თეთრუანთ მიწა - სახნავი თეზის საზღვარზე. თეთრუა ერქვა ღვინიაშვილს.

თელიანი - ოლე იყო ტოდნაურის გვერდით, იგოეთ-ლამისყანის გზის ჩრდილოეთით.

თელიმორევი - მორევი წისქვილის რუხე.

კიკუანთ უბანი - უბანი სოფლის ცენტრში. გარაყანისძეების შტოგვარია, კიკოს შთამომავალი.

კიკუანთ ქედი - ბორცვი, სადაც დგას სოფლის ადმინისტრაციული შენობა. აქვეა **გიორგობა/წმინდა გიორგი** - ნიში.

ივლიტე - ადგ. **ჯვარედინების** აღმოსავლეთით.

კობოურიანთ ნატეხი - მინდორი ზედაველებზე.

კოდა - ფერდობი და გზა ქსნის მარჯვენა ნაპირზე. გადიოდა სოფელ ქსოვრისში.

კოდის რუ - წისქვილის რუს სახელია სოფლის ცენტრიდან აღმოსავლეთით. კოდა ადგილის სახელწოდებაა (იხ. ზემოთ).

კომ(უ)ნის უბანი - უბანი სოფლის ცენტრის ჩრდილოეთით. კომუნა იყო აქ, ორბელიანის სასახლეში.

კობალანთ მუხა - ერქვა მუხის ხეს იგოეთ-ლამისყანის გზის სამხრეთით, ზედაველების გზაზე.

კუნდის მიწა - მინდორი გარაყანთ უბანში.

კურდღლის ოლე - მინდორი თელიანში.

ლაზარაანთეული - მინდვრები გარაყანთ უბანში. „ლაზარაანთი ოსიშვილების შტოა. ოსიშვილები არიან რაზმაძეები. ამათი მეშვიდე თუ მერვე წინაპარი გახდა ოსიშვილი. ის კაცი გაიქცა საძეგურიდან და შეიფარეს ოსებმა ქარქუშანთში. ამიტომ დაერქვა ოსიშვილი. იქიდან ჩამოვიდა მეჯვრისხევში და მერე აქა“.

ლამი - ქსნისპირა ჭალა ახალგორის გზის გასწვრივ „ძველად ლამიყანაში ცხოვრობდნენ და მერე ლამზე ჩამოვიდნენ“.

ლამისყანის მიწები - ნასოფლარი იგოეთის სარწყავი არხის ნაპირას. თარიღდება განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქით (სიკმა, 1990, გვ. 174).

მახარებლის დელე - ხევი ქსნის მარჯვენა ნაპირას. ხევის სახელწოდებას უკავშირებენ გვარ მახარობლიშვილს. ამ გვარისკაცი ცხოვრობენ სოფელ ოკამში.

მიხაკას ნატები - სახნავი ზედაველების აღმოსავლეთ ფერდობზე.

ნაბაგარი/ნაკაფი ბალი - მინდორი. „ბაგა ახალმენი ვენახია“.

ნაგუბრები - ბალები თელიანთან, იგოეთ-ლამისყანის გზის სამხრეთით. „ოლეები იყო და გუბები დგებოდა“.

ნათათრალ(ებ)ი - ერქვა ვენახს ქსნის მარჯვენა ნაპირას, ბარათიანთ ჭალების მახლობლად.

ნათ(ათ)რალის ბალები - ბალები სოფ. თეზის საზღვარზე. „სომხებსა ჰქონდათ, მაგრამ ნათათრალის ბალებს ეძახიან მაინცა“.

ნაკალურები - სახნავები ს. თეზის საზღვართან.

ნაკაფ(ებ)ი - მინდორი ქსნის მარჯვენა ნაპირას, საკეტებთან, სოფელ თეზის საზღვარზე.

ნაკაფი ბალი - იგივე **ნაბაგარი** (იხ. ზემოთ).

ნანიანთ ნატები/ნანიანთეული - სახნავები დიდველების ჩრდილოეთ ფერდობზე. ნანიანთი ცუცუნაშვილების შტოგვარია.

ნანიანთეული - იგივე **ნანიანთ ნატები**.

ნანიანთ ნატები - მინდორი ზედაველებზე.

ნასტაკისის არხი - ნაარხალი თეზი-ოკმის სარწყავი არხის გვერდით და მის პარალელურად, 20 მეტრზე. მოსახლეობა არ იყენებს.

ნასყიდას საყარი - მორევი ქსანზე. სახნავებსაც ასე უწოდებენ. „სოფლის საქონელს ყრიდნენ ქსანზე“.

ნატრეულა - წყარო და დელე. ჩამოედინება სოფლის ცენტრში და უერთდება წისქვილის რუს.

ნატრეულას ხევი - ხევი ნატრეულაში.

ნაჯოგრები - მინდორი კიკუანთ ქედის დასავლეთით. „აქ ჯოგი მოჰყავდათ და ყიდდნენ“.

ობოლფურცელა - ადგილი იგოეთ-ლამისყანის გზის ჩრდილოეთით. მწირი ნიადაგია.

ორმოთხევი - ფერდობი და ხევი ზედაველების სამხრეთით, ოკმის საზღვართან.

ოქრუას მიწა - სახნავი.

პაიჭაანთ ორლობე - გზა-აღმართი გარაყანთ უბანში. „ამ გზით გამოჰქონდათ მოსავალი“.

პაპალაანთ კაკალი - ერქვა ვენახებს ქსნის ჭალაში, ახალუბნის აღმოსავლეთით. „იყვნენ გვარად პამპალოვები, სომხები. წავიდნენ მუხრანში“; „ზეკუცია როცა იყო, იქ იყვნენ გასახლებულები. გარიდებულები იყვნენ სოფელსა“.

პაპალანთფშა - ფშა იყო პაპალაანთ კაკალთან. ახლა ვენახებია.

პლატონიანთ ვენახი - ერქვა ვენახს ქსნის ჭალაში.

ჟემტიაანთ ოლეები - სახნავები ანდრიაანთ ტყესთან. „ოლეები გასდევდა“.

რამაზაანთ ახო - სახნავები გიგიაანთხევში.

რიყე - ქვიანი ჭალა საოდისოსა და ქსანს შუა. „რიყე-ქვიანია, ცარიელი ადგილია. ჭალაში ტყე იზრდება“. მის გასწვრივ ვენახებია.

საკეტები - სარწყავი რუ ქსნის მარჯვენა მხარეს. „რუ დიოდა და ბატონს საკეტი ჰქონდა. სამ რუდ გამოედინებოდა. ამ რუს ერქვა თეზის რუ. თეზი შედის სოფელ ოკამში“.

სანაშხიროები - ვენახები პაპალაანთ კაკალთან. „ნაშხირი ეწოთ ბატონებსა“.

საომისო - ასე ეწოდება ტერიტორიას თვაურებსა და ქსანს შუა. ომისის მიდგმა იყო სოფელ ახმაჯის საზღვართან. აქედან გადიოდა გზა ბაქაქურებში.

სასამთავისო - ბაღები სამთავისის საზღვართან, შვინდავაკებში.

სატრიალო - მორევი ქსანზე.

სოლომნის ნატეხი - საბალახო ჭერმიანში, ქსნის მარჯვენა ნაპირას.

ტოდანაური - წყაროცაა და სახნავიც.

ფარადანთ დელე - ასე ეწოდება გიგიანთხევის სათავეს.

ქვაჯორები - ტყე-ძემვნარი ნაკალაურების გვერდით, ქსნის მარჯვენა ნაპირზე, გარაყანთ უბანში. „ჯორაკა ქვა“ - ლოდები, უძრავი ქვები.

ქვითკირები - ფერდობები ქსნის მარჯვენა ნაპირზე. ძველი ნასახლარებია.

ქლეპანთეული - სახნავი თეზის საზღვარზე.

ღვთისმშობლის ეკლესია - გვიანდელი ფეოდალური ხანის დარბაზული ეკლესია სოფლის სასაფლაოზე, გზისპირას. ნაგები სხვადასხვა ზომის თიხის ქვით. მშენებლობაში გამოუყენებიათ კარგად გათლილი შირიმის ქვებიც. ეკლესიაში შესასვლელი სამხრეთიდანაა. აქვს ნახევარწრიული აფსიდა, რომლის ღერძეც თაღოვანი სარკმელია. სარკმლის მარცხნივ სწორკუთხა ნიშია. მოგვიანებით ამ ეკლესიისთვის ჩრდილოეთიდან მიუშენებიათ მეორე ეკლესია, რომლის დარბაზიც ცილინდრული კამარითაა გადახურული (სიკმა, 1990, გვ. 176).

ღრმაგზა - გზა ჭოლიკანთ მიწებიდან ადის ზედაველაზე.

შაყილათ ნატეხი - მინდორი ზედაველებზე.

შიკომორევი - მორევი წისქვილის რუზე. „აქ ვდგამდით პირსაქცეულასა. თევზის საჭერია, დაწნული. თევზი შვევა და ველარ გამოვა. ვდგამდით ოჩხის კარებში. სხვაგან ეძახიან ფაცერსა“.

ჩახრიალა - ფერდობი გარაყანთ უბანში. წისქვილის რუ ჩადიოდა.

ცხრაბალი - ერქვა ბლის ხეებს გაწყვეტილებთან. ამჟამად საბალახოა ქსნის პირას.

წისქვილის რუ(ცი) - ქსნის არხი. გამოედინება მარჯვენა ნაპირიდან და საომისოსკენ მიემართება.

წმ. გიორგის ეკლესია - გვიანდელი ფეოდალური ხანის ისტორიული ძეგლი დგას ციხე-გალავნის გარეთ, მისი ჩრდილოეთი კედლის შესასვლელთან. შეუკეთებიათ XIX საუკუნეში (ძეგლის აღწერილობა იხ. სიკმა, 1990, გვ. 176).

წყაროები - ნატრეულას სათავეა, ნატრეულა კი ხევის სახელწოდებაა.

ჭერმიანი - მდებარეობს ქსნის მარჯვენა ნაპირას, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ჭიხინანთ ახოები - ახოები დიდტყიპირებთან, ზედაველების ჩრდილოეთ ფერდობზე.

ჭოლიკანთ მიწა//ჭოლიკასეული - მინდორი.

ჭოლიკასეული - იხ. **ჭოლიკანთ მიწა**.

ხოდაბუნები - ვენახები წისქვილის რუ(ცი)ის მარჯვენა მხარეს. „ბატონის ყანებს ერქვა“.

ჯვარედინები - ტყე ივლიტეს დასავლეთით, ზედაველებზე.

ბიბლიოგრაფია:

კეკელია, ი. *საველე დღიური*. N2.

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის. (1964). X-XVIII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ (წ. I). თბილისი.

სამშობლო. (1975 წლის 12 ივნისი). #11.

სიკმა. (1990). *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა* (ტ. V). თბილისი.

Igor Kekelia *Akaki Tsereteli State University* **FROM LAMISKANA'S TOPONYMY** **RESUME**

Lamiskana is a village in Ksani Gorge, in Shida Kartli, the municipality of Kaspi. In this article there is represented some toponymic material of the village Lamiskana that was recorded by the author in August 2019. Some toponyms in the article are represented together with the stories from the informers.

Keywords: Names of places, Village, History, Source.

-მცა ნაწილაკი ქართულში

საკვანძო სიტყვები: -მცა ნაწილაკი, სალიტერატურო ქართული, ძველი ქართული, ქართულური, ფუნქცია.

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია -მცა ნაწილაკი სალიტერატურო ქართულსა და ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართებაში გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებსა და ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების კვლევაზე დაყრდნობით.

-მცა ნაწილაკის ფუნქციის კვლევას ქართველურ ენათმეცნიერებაში არაერთი ანგარიშგასაწევი და მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა. მკვლევართა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ -მცა ნაწილაკს ძველ ქართულში გამოკვეთილი სინტაქსური ფუნქცია ჰქონდა. თხრობითი კილოს ფორმებზე¹ დართული -მცა ნაწილაკი აძლიერებდა სიტყვის მნიშვნელობას, გამოხატავდა სურვილს ან ნატვრას: გამოყენების არც ფართო იყო: დაერთოდა სახელს, ზმნას, ზმნიზედას, კავშირს... „არარაჲ აქუს, რამცა ჭამეს“ (ადიშის ოთხთავი); ნუ შემემთხუევინ მე ეგე ყოფად, ვითარმცა დაგიტევე შენ, და მივექცე და წარვედ სახიდ ჩემდა (რუთ. 1, 16) (შანიძე, 1918: 79; შანიძე, 1976: 76, 106).

გარდა ზემოთ დასახელებული ფუნქციისა, -მცა ნაწილაკს შეეძლო ძველ ქართულში გამოეხატა: 1. პირობითობა: „უკუეთუმცა მე მიცოდეთ, მაღცამცა ჩემი იცოდეთ“ (ი. 8, 19). 2. თხრობითი კილოს ფორმის ბრძანებითად გადაქცევა: „ესემცა იცით“ (მ. 24, 43). 3. ის ზმნის ფორმას ანიჭებდა II თურმეობითის შინაარსს: „არა უნდა, ვითარმცა ჰურიასტანს იქცეოდა“ (ი. 7, 1 C). 4. იშვიათად იხმარებოდა „თითქოს“ ნაწილაკის ფუნქციით: „ნუ ჰგონებთ ვითარმცა მე ძურისმეტყუელ რამე ვყავ თქუენტუს წინაშე ღმრთისა“ (ი. 5, 45) (სარჯველაძე, 1997: 161).

დროთა ვითარებაში -მცა ნაწილაკის გამოყენების წესი შეირყა სალიტერატურო ენაში და ბოლოს -მცა მთლიანად გაქრა, როგორც განსაზღვრული ფუნქციის მქონე ელემენტი. ამ ნაწილაკის გაქრობის მიზეზი კავშირებითის ფორმები არ იყო. უძველესი ძეგლების ენიდან მოკიდებული -მცა ნაწილაკიანი ფორმების გამოყენება კავშირებითის გვერდით ბუნებრივია, მაგ.: „ნუმცა ...შთავარდების გეჰენიასა“. შდრ. „არა შთავარდეს გეჰენიასა“ (3,30)... (გაჩეჩილაძე, 1960: 248).

-მცა ნაწილაკის გაქრობის მთავარი მიზეზი იყო ენაში თხრობითი კილოს მყოფადის გაჩენა, მაგრამ ამ ნაწილაკის ფუნქციის მოშლას ხელს უწყობდა ზოგი სხვა გარემოებაც. XI საუკუნის შემდეგ საგრძნობლად შეიმჩნევა -მცა ნაწილაკის ხმარება II თურმეობითთან.

პ. გაჩეჩილაძის მიერ ამ თვალსაზრისით შესწავლილ ძველი ქართული ენის ძეგლებში (XI ს-მდე) -მცა II თურმეობითთან 30-მდე შემთხვევა გვხვდება მაშინ, როდესაც მართო „ამირან-დარეჯნიანში“, რომელიც XVII-XVIII ს-ის ხელნაწერთაა, 32-ჯერაა ნახმარი. ანალოგიური ვითარებაა XII საუკუნის შემდეგი პერიოდის სხვა ძეგლებშიც. ხშირდება -მცა-ს გამოყენება II თურმეობითთან (გაჩეჩილაძე, 1960: 249).

-მცა ნაწილაკი მიჩნეულია რთულ სუფიქსად. „წარმოდგება მ და ცა ნაწილაკისაგან. მისი პირველი ნაწილი მ ნაშთი უნდა იყოს რაღაც სიტყვისა, მეორე კი, ცა, არის ცნობილი კავშირი, რომელიც მნიშვნელობით უახლოვდება და კავშირს და რომელიც ლათინური ქუე-სავით, სიტყვის ბოლოს დაისმის ხოლმე: კაციცა, სიტყუაცა, წიგნიცა, სახლიცა, ეგრეცა, მერმეცა და სხვა“ (შანიძე, 1918: 79).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენასა და დიალექტებში -მცა ნაწილაკმა შეიცვალა არა მართო გამოყენების არე, არამედ ფუნქციაც. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში -მც (ა) ნაწილაკი მხოლოდ გადმონაშთის სახითაა დადასტურებული. თავდაპირველ ფუნქციათაგან მას მხოლოდ ნატვრის, ლოცვისა და წყევლის ნიუანსების გამოხატვალა შემორჩა. ამასთან იგი გვხვდება როგორც თხრობითი, ისე კავშირებითი კილოს ფორმებთან და უმთავრესად დიალექტიზმებს წარმოადგენს.

უი, უწინამც დღდე გაუქრება: ილია, 145. იმასამც შაწირება: ვაჟა, 209. შენი ჭირიმც დამილევია, შენი: ყაზბ., 83 (კოტინოვი, 1978: 109).

¹ ნატვრითი კილოს ფორმებთან არ გამოიყენებოდა.

-მცა ნაწილაკი და მისი ფონეტიკური ნაირსახეობები - მც// მ ძირითადად დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, თუმცა გვხვდება დასავლურ დიალექტებშიც, სადაც ჩვეულებრივ გამოიყენება ნატვრის, წყველისა და დალოცვის გამომხატველ ფრაზებში.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები:

ხევსურული: „**იქნებიმც** უშიშაისად! **მზიდავიმც** ხარი წყლისაო!“ (ხევს. პოეზია., 108, 17); „**ანამც** კი დაწვა ჩაბანო, **ანამც** წყალს წააღებინა...“ (რაზიკ., 142, 26); „**ღმერთიმც** აგაშენებს“ (გაბ., 128, 24, შდრ. „აგაშენოს ღმერთმა!“) (ჭინჭარაული, 1960: 65).

მთიულურ-გუდამაყრული: „ადამო ჯარიაშვილო, დედამც ცხონდება შენო“ (თხრობითი კილო); „შენამც შეგიყორდეს (= შეგიყვარდეს) ცხრათავიანი დევის დაო“ (კავშირებითის ფუნქციას ანიჭებს თხრობითი კილოს ფორმებს) (ჩიქობავა, 2010: 238; ჯორბენაძე, 1989: 238).

ფერეიდნული: **შენამ (ც)** -შენამ გენაცვალო ემაგ შავ თოლებჩი [ქდკ.შაჰინა მულიანი].

შენამც -შენამც გენაცვალე მაგ შავ თოლებჩი [ქდკ.შაჰინა მულიანი] (ბერიძე, 2020: 422).

დასავლეთ საქართველოს დიალექტები:

რაჭული დიალექტის გოლოლურ კილოკავი: „**დიამც** (=ბევრიმც) მოგივა ახალი წელიწადიო შეძენისაო“, „**ნეტამც** ნაცარა მანატრა“, „**ღმერთიმც** გიგმია მაღალიო“ (ნიშნავს: ბევრი მოგივიდეს// მოგსვლოდეს) (ჯორბენაძე, 1989: 435).

ზემოიმერული: თუმც დავთანხმდენ, ნიშნად ამისა იმწამსვე მეიპარცონ წვერები და თმებიო. ზემოიმ. 12. **გურული: თორემც** რომ სამსახურში მნახოფ, თქვენ გამადრეთ ზრუგზე ტყავი. გურ. ფოლკ., 116 (კოტინოვი, 1978: 109).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველქართული მოდალური ნაწილაკი -მცა რთულია თავისი შემადგენლობით. მასში გამოიყოფა მოდალური მ ელემენტი, რომელიც გენეტურად და ფონეტიკურადაც უკავშირდება სვანურ -უ (→ვ) [// -ოღუ, -ოღ, -უუ] ნაწილაკს, და მნიშვნელობის გამამდიერებელი -ცა ნაწილაკი (კოტინოვი, 1978: 110).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ მეგრულში -ნი ელემენტის ნატვრითი ფორმები, ისევე როგორც -მცა ნაწილაკდართული ფორმები, ძველი ვითარების ამსახველად შეიძლება ჩაითვალოს (დადიანი, 2000: 163).

-**მცა** ნაწილაკი ქართულში სხვა კილოების მსგავსად თითქმის გამქრალია, იშვიათად დასტურდება გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებში (გიგინეიშვილი, 1961: 270-329; იმნაიშვილი, 1974: 240) და თუ მაინც დასტურდება ძველი ქართულის სინტაქსური ძალა დაკარგული აქვს. იხმარება ძალიან იშვიათად და ისიც თითქმის მხოლოდ ლოცვის, წყველის და დალოცვის დროს. შეცვლილია იგი ფორმითაც: მოკვეცილი აქვს ხმოვანი, ზოგჯერ ც-ც ეკვეცება და რჩება მხოლოდ **მ** (კობერიძე, 2013: 413).

მაგ.: სულამც ერთათ გააწყდებიან აბესალომ და ეთერ (ქსნის ხეობა); ისემც აგეხილება ეგ თვალეხი (ტყვიავე); **ნეტამც**, ქალო, ფიფქი იყვეს! (ბერბუკი) (იმნაიშვილი, 1974: 240).

ფრონეს ხეობის ქართულში -**მცა // მც** გამოხატავს: ა) **დალოცვას:** „**შენამც** ამენებულხარ და გამრავლებულხარ ქმარ-შვილში“; ბ) **ნატვრას:** „**ნეტამც** შემემლოს, რომ ჩემ მტერსა სიცოცხე მოვუსწრაფო“; გ) **გაბრაზებას:** „**ასემც** გიქნია, რომ დარჩენილხარ“; დ) **შესიტყვებას:** „**ისემც** რა გითხრა შენ“ (კობერიძე, 2000: 95-96).

ქართლის ანალოგიური ვითარება გვხვდება კახურშიც (იმნაიშვილი, 1974: 57).

ამრიგად, -**მცა** ნაწილაკი ქართულში თითქმის გამქრალია. გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებსა და ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალებში აქა-იქ იხმარება გადმონაშთის სახით მეორე პირის ნაცვალსახელებში, ვითარების ზმნისართებსა და შორისდებულებთან. მას თითქმის დაკარგული აქვს თავისი სინტაქსური ძალა, რომელიც გააჩნდა ძველ ქართულში და ამჟამად დასტურდება ქართული ენის დიალექტებში -მც-ს სახით დაწყველის, დალოცვის, ნატვრის, გაბრაზების დროს. ძირითადად თხრობითი კილოს ფორმებთან გვხვდება, თუმცა იგუებს კავშირებითის ფორმებსაც. ეს ნაწილაკი მთლიანად ჩანაცვლა -ც//ცა ნაწილაკმა.

ბიბლიოგრაფია:

- ბერიძე, მ., ბაკურაძე, ლ. (2020). *ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი*. თბილისი: თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- გაჩეჩილაძე, პ. (1960). კვლავ -მცა ნაწილაკისათვის. *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება*, ტ. X. გიგინეიშვილი, ი., თოფურია, ვ., ქავთარაძე, ი. (1961). *ქართული დიალექტოლოგია. ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა. ტექსტები. ლექსიკონი*. თბილისი: თსუ.
- დადიანი, ე. (2000). -ნი ელემენტი მეგრულში. *ქართველური მემკვიდრეობა*. IV. იმნაიშვილი, გ. (1974). *ქართლური დიალექტი*. I. თბილისი: მეცნიერება.

- კობერიძე, მ. (2000). ზოგი ნაწილაკის ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართულში. *საენათმეცნიერო ძიებანი*. X.
- კობერიძე, მ. (2013). მცა ნაწილაკი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები*.
- კოტიხოვი, ნ. (1978). -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციის ევოლუციისათვის ქართულში. *მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია*. #1.
- სარჯველაძე, ზ. (1997). *ძველი ქართული ენა*. თბილისი.
- შანიძე, ა. (1918). -მცა ნაწილაკი ძველ ქართულში. *პრომეთე*. #1.
- შანიძე, ა. (1976). *ძველი ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი: თსუ.
- ჩიქოზავა, ა. (2010). *მთიულურის თავისებურებანი*. თბილისი: არნ. ჩიქოზავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.
- ჭინჭარაული, ა. (1960). *ხვესურულის თავისებურებანი*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.
- ჯორბენაძე, ბ. (1989). *ქართული დიალექტოლოგია*. თბილისი: მეცნიერება.

Mariam Koberidze
Gori State University
-MTSA PARTICLE IN KARTLURI
RESUME

- Mtsa particle has almost disappeared in Kartluri. It changed not only the area of use, but also the function. In the published dialectal texts and the materials we recorded, here and there it is used as a relic in second person pronouns, adverbs of situation and interjections. For example: ‘shenamts’ you too;

‘tkvenamts’ yours too; ‘net’avmts’ You would too; ‘asemts’ so too; ‘isemts’ as well, ‘sulamts’ at all.

It has almost lost its syntactic power, which it had in Old Georgian, and is currently attested in the form of -mts when cursing, blessing, garbage, anger.

The mentioned particle is also characterized by one peculiarity: before the verb there is -mts (‘netamts movidodes’ may it come), after the verb -mtsa (‘movidodes netamts’ may it come). -mts/-mtsa is found mainly with the forms of the narrative kilo, although it adapts to the forms of conjunctions as well. This particle in Kartluri was completely replaced by the particle -ts/tsa.

Keywords: - Mtsa particle, Literary Georgian, Old Georgian, Kartluri, Function.

კოტე ლომიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ვეფხისტყაოსნის“ რეცეფციის ერთი ასპექტი¹

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, გიორგი ლეონიძე, რეცეფცია, ნეორომანტიზმი.

„ვეფხისტყაოსანი“ არის ნაწარმოები, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ქართველების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. რუსთველის პოემა საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ეტალონს, რომლისთვისაც უნდა მიეზამათ. თუკი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შეწევნას ღვთისგან ითხოვდა, მოგვიანო ხანებში მწერლები მისგან მოელიან პოეტურ დასტურს: „აწ, რუსთველო, გეთხოვები რომე მომცე ნება თქმისა“ (ანონიმი). იგი არის შემოქმედი, რომლის პოეტური ტრადიციის გათვალისწინება სავალდებულოდ ქცეულა ე.წ. აღორძინების ხანის ეპოქაში, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ეჭვქვეშ დგება პოეტის კვალიფიკაცია: „ვინ ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა, გარდმობრძანდეს ასე აქეთ“ (არჩილი).

¹ კვლევა (PHDF-21-914) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

პოემისადმი ინტერესი არც მოგვიანო ხანებში განელეზულა, მეტიც, მისი გავლენის არეალი უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ცნობილია ცისფერყანწელთა წარსულისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, მათი მოწოდება ლიტერატურული ტრადიციების გადაფასებისაკენ, ამბივალენტური პოზიცია როგორც ქართველი, ისე უცხოელი კლასიკოსების მიმართ, ამ ყოველივეზე მეტყველებს მათი არა მხოლოდ პოეტური მემკვიდრეობა, არამედ ლიტერატურული მანიფესტები და წერილები. სწორედ ამ ფონზე განსაკუთრებით საყურადღებოა ის ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ, რაც მათ გამოიჩინეს. თემა საკმაოდ ვრცელია, ამჯერად წარმოვადგენ შემოკლებულ ვარიანტს კვლევისა „ვეფხისტყაოსანი“ გიორგი ლეონიძის პოეზიაში“.

„ვეფხისტყაოსანს“ გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. გარდა იმისა, რომ პოეტისათვის შოთა რუსთაველის პოემა შემოქმედებითი იმპულსის მიმცემს წარმოადგენდა, იგი „ვეფხისტყაოსანთან“ რუსთველოლოგიისათვის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ამბითაცაა დაკავშირებული. კერძოდ, მას წილად ხვდა პატივი მიეკვლია რუსთველის პოემის მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერისთვის, რომელსაც რუსთველოლოგიური მეცნიერება ზაზასეულის სახელით იცნობს. მანვე გაარკვია აღნიშნულ ხელნაწერთან დაკავშირებული არაერთი საკითხი, მათ შორის, დამკვეთისა და გადამწერის ვინაობა. გიორგი ლეონიძის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად, გაირკვა ისიც, რომ „ხელნაწერი 1661-1664 წწ. უნდა იყოს გადაწერილი; იგი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემლისა და კომენტატორის ვახტანგის ნაქონი ანუ მისი სამუშაო ეგზემპლართაგანი ყოფილა“ (კარბელაშვილი, 2001, გვ. 172).

გ. ლეონიძისადმი მიძღვნილ წერილში „შოთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი – გიორგი ლეონიძის პოეტური შთაგონება“ რუსთველოლოგი მარიამ კარბელაშვილი წერს: „შოთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი გიორგი ლეონიძის პოეზიის ერთ-ერთი მაგისტრალური თემაა. ამ შემთხვევაში მე არ ვგულისხმობ იმ ბრწყინვალე ლექსებს, რომელნიც მან ვეფხისტყაოსანს მიუძღვნა („ვეფხისტყაოსანს“, „ნეტავ რა მარღვი გიტევდა“, „რუსთაველს“), მე მხედველობაში მაქვს მთელი მისი პოეტური შემოქმედება, რომელშიც სულ სხვადასხვა რაკურსით – იქნება ეს რუსთველური ფრაზეოლოგია, რემინისცენცია-ალუზიები, ტროპიკა, ინსპირაცია თუ პოეტური ხერხები – წარმოჩნდა მისი სულიერი კავშირი შოთა რუსთაველთან, მნიშვნელოვანი მისი შინაგანი პოეტური ბიოგრაფიისათვის, როგორებიცაა, მაგალითად, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა თუ მამულიშვილობისა და სიყვარულის მძაფრი განცდა“ (კარბელაშვილი, 2001, გვ. 173-174). გიორგი ლეონიძის დამოკიდებულებას „ვეფხისტყაოსნისადმი“ კარგად გვაგრძნობინებს ერთი მოგონება, რომლის თანახმადაც პოეტისათვის „ვეფხისტყაოსნის“ შეგრძნება წარმოადგენს ერთგვარ ლაკმუსის ქაღალდს, რომელიც სასიცოცხლო ენერჯის არსებობა-არარსებობას უდასტურებს და სიკვდილის მოახლოებას განაცდევინებს: „სიცოცხლის მიწურულს, გარდაცვალების ავბედით წელიწადს, როცა ამ „ჩამოქაფული ჩანჩქერის“ ჟრჟოლა ვეღარ უგრძნვია, თავისი უმცროსი ქალიშვილის, თინათინისათვის, უთქვამს: მე დიდი დღე აღარ მიწერია, მალე უნდა მოვკვდე – „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობ და ვეღარ განვიცდი. ეს იმას ნიშნავს, ჩემი სასიცოცხლო ძალა დაშრეტილაო“. (კვიციანი, 2018)

„ვეფხისტყაოსანი“ გიორგი ლეონიძის პოეზიაში შემოქმედების ადრეულ ეტაპზევე ჩნდება. ერთ-ერთ პირველ შეხმინებას რუსთველთან ვხვდებით ლექსში „1914 წელს“, აქ პოეტი ჩანგს ისე მიმართავს, როგორც სატრფოს – „დღეს მედების შენგან ალი“ (შდრ. „თქვა: „მაშინვე მხესა ჰგვანდა, აწ მედების ვისგან ალი“ (326,4) ¹ და სხვ.). ასევე შეიძლება დავასახელოთ რუსთველური ტროპების გამოყენება ერთ-ერთ ადრეულ ტექსტში: „გიშრის წამწამებს ბროლის ცრემლები დაეკიდება“.

გარდა ფრაზეოლოგიური სიახლოვისა, ახალგაზრდა პოეტის ლირიკაში არის ველად გაჭრის მოტივი, რაც ჩვენს პოეზიაში აღმოსავლური ეპიკიდან სწორედ „ვეფხისტყაოსნით“ შემოვიდა:

„გავიჭერ ველად, იქ ვმღერი ჰანგებს...
სამყოფი არის უდაზნო ჩემი...
ვიდა ვიტრო? - ტირილ-მახილით
ზღვის ტალღას მივეც იმედის გემი!“
(ლეონიძე, 2000, გვ. 79).

აღსანიშნავია ის, რომ შუა საუკუნეების ველად გაჭრის მოტივი გიორგი ლეონიძესთან ახალი შინაარსით იტვირთება, აქ იგი ფაქტობრივად ბარათაშვილისეული „წყალის პირს“ წასვლის ანალოგია, ამ მოსაზრებას ადასტურებს მომდევნო ტაეპიც – „სამყოფი არის უდაზნო ჩემი“. ამკარაა მიმართება

¹ პოემის ტექსტი აქ და შემოდგომ დამოწმებული მაქვს ნ. ნათამის სასკოლო გამოცემიდან — რუსთაველი, შ. (2009). „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი: ანბანი.

რომანტიკულ პოეზიასთან, რაც ალბათ არცაა გასაკვირი. მაგალითისთვის, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, გალაკტიონი პირდაპირ არ მისულა სიმბოლისტურ პოეზიასთან, იგი ჯერ აღადგინეს რომანტიკული ტრადიციას. (იხ. დოიაშვილი, 2005) გიორგი ლეონიძესთან კი ეს ტენდენცია უფრო სპორადულია, ვიდრე გააზრებული და თანმიმდევრული.

„ვეფხისტყაოსნითა“ შთაგონებულ 1914 წლით დათარიღებული ლექსი „ბროლის ფიფქი“. აღნიშნული ტექსტი ერთგვარი ეკლექტურობით გამოირჩევა, რაც მოულოდნელი სულაც არაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გიორგი ლეონიძე ამ დროს დამწყები პოეტია და თავისუფალი ვერ იქნება თუნდაც აშკარა გავლენებისგან. დასახელებულ ლექსში, გარდა რუსთველისა, შეინიშნება აკაკის შემოქმედების კვალიც და ამავდროულად ეს ყოველივე შეზავებულია ნეორომანტიკულ განწყობასთან:

„მთას, ბარსა გადაეფინა ფიფქი ბროლისა ახალი,
ყვავილი მოჰყვა საბრალო, სწვავს მას ყინვისა ახ, ალი!
ვაჰ, ვინ უშველოს საწყალსა, ვინ მიანიჭოს წამალი,
ვინ უძღვნას სხივი შვებისა, ვინ გაუღვიოს წამ ალი...“
(ლეონიძე, 2000, გვ. 64-65).

ტექსტის წაკითხვისას უპირველესად რაც თვალში მოგვხვდება, არის ლექსის საზომი, დაბალი შაირი. შემდგომ ამისა ყურადღებას იპყრობს სპეციფიკური რუსთველური ხერხი, რაც უდეტრებით (შორისდებულებით) რითმის შედგენას გულისხმობს. აღნიშნული პოეტური ხერხი ძალიან ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ და მას აქვს როგორც პრაქტიკული დანიშნულება, რაც სალექსო სტრიქონის მეტრულ მოწესრიგებაში გამოიხატება, ისე გამომსახველობითი დატვირთვა, იგი ერთგვარი რემარკაა და ექსპრესიულობას სძენს სათქმელს. მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

„მოიღებდიან ჭურჭელსა ტურფასა, ახალ-ახალსა,
მაგრა მის ყმისა მჭკრეტელთა გული მიეცა, **გლახ, ალსა**“ (1020, 3-4).
„მე დავრჩე შენი გაყრილი თავისა მევაგლახავად?
კაცსა მოყვრისა გაწირვა, ახ, მოუხდების, **ახ, ავადი!**“ (1573,3-4).

ვფიქრობ, მიმართება რუსთველის პოემასა და გ. ლეონიძის დასახელებულ ტექსტებს შორის არათუ ფორმობრივ, ლექსიკურ დონეზეც კი აშკარაა. გარდა ამისა, ჩემი აზრით, ახალგაზრდა პოეტის სიტყვები არის ერთგვარი კონტამინაცია რუსთველის ცნობილი ტექსტისა: „სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე სტკივიან“ (1356,4). თუკი რუსთველთან კონტრასტული სურათია წარმოდგენილი, გიორგი ლეონიძე ამ ორ მოვლენას აერთიანებს – „სწვავს მას ყინვისა, ახ, ალი“.

ამას გარდა, ლექსში დასახელებული **ბროლის ფიფქი**, ჩემი აზრით, რუსთველური ტროპის მოდიფიკაციას წარმოადგენს. „ვეფხისტყაოსანში“ არაერთხელ დასტურდება სინტაგმა „ბროლის წვიმა“, ვნახოთ ორიოდ მაგალითი:

„მუნვე წვიმს **წვიმა ბროლისა**, ჰგია გიშრისა ღარი სად“ (89,3).
„ნარგისათ **წვიმა ბროლისა** წვიმს, ვარდი ნაწვიმარია“ (1329,3).

ბროლის წვიმის გვერდით პოემაში გვხვდება სიტყვათშეთანხმება *ბროლის ცვარცვ*: „აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვარითა“ (1338,1). ამდენად, ვფიქრობ, კონტექსტის გათვალისწინებით, ამგვარი დაკავშირება არაა საფუძველს მოკლებული.

გარდა იმ ლექსებისა, რომლებშიც „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროს აღუზიანა, გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში არის არაერთი ტექსტი, რომელიც უშუალოდ მიგვანიშნებს მიძღვნისა თუ შთაგონების ობიექტზე. მათ შორის ორი ლექსი განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, ეს ლექსებია „ვეფხისტყაოსანს“ და „ვეფხისტყაოსანი“. აღნიშნული ტექსტებს თარიღად უზის 1937 წელი, მასშასადამე „ვეფხისტყაოსანის“ 750 წლის იუბილისათვის დაიწერა, თვალმისაცემია ამაღლებული სტილი. დასახელებული ტექსტები „ვეფხისტყაოსნის“ ერთობ ორიგინალურ რეცეფციას წარმოადგენს. ფაქტობრივად ამ ლექსებში გაერთიანდა ყველა ამბავი, ყველა განწყობა, ყველა ემოცია – დადებითიც და უარყოფითიც – რომელიც შუა საუკუნეებიდან მოყოლებული პოეტის ეპოქამდე რუსთველის პოემას დაუკავშირდა, ხოლო გიორგი ლეონიძე ამ ყოველივეს ერთად კრავს და ქმნის ოდას „ვეფხისტყაოსანზე“. აღნიშნული ლექსების მიხედვით, პოემა მონაწილეობდა ქართველი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში და არსებობას უადვილებდა – „ვეფხისტყაოსანი“ შემწეა მიჯნურის, მოლაშქრის, მოხეიმისა თუ ჭირში მყოფი ადამიანისთვის – „ზოგს პურ-მარილზე შეესწარ და ზოგს უხვევდი იარებს“, პოემა აღზრდისა და

მორალური პრინციპების ჩამოყალიბების საშუალებაცაა. როგორც ცნობილია, ფოლკლორის სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ ზეპირსიტყვიერების ჟანრებს პრაქტიკული დანიშნულება აქვთ, თითოეული ჟანრი მონაწილეობს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში – შრომის, საგმირო, სამიჯნურო პოეზია და სხვ., გიორგი ლეონიძისათვის ყოვლისმომცველია რუსთველის პოემა, თითქოს მასში გაერთიანებულია ყველა ჟანრი, პრაქტიკული და გონითი საქმიანობის ყველა ასპექტი. ლექსებში გამოყენებულია საინტერესო მხატვრული ხერხი, პოემა მითოლოგიზებულია, მოწყვეტილია დრო-სივრცულ საზღვრებს. პოემის ავტორიც, თუმცა „თავსოქროგადანაყარად“ მოიხსენიება, თითქოს უბრალო გამტარია, ლექსის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანი“ თან მარად არსებობს და თან მარად იქმნება, ხალხი ქმნის ყოველწამიერად, ხალხი სათავისოს, საკუთარ გულისნადებს სდებს მასში, მხოლოდ რუსთველი არ არის მისი ავტორი. ფაქტობრივად ლექსებში წარმოდგენილია ის, თუ როგორ აღიქვამდნენ პოემას და მასში ასახული რომელი იდეები მიაჩნდათ საგულისხმოდ.

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ლეონიძის ადრეულ ლექსებში ჩანს რუსთველური მხატვრული ხერხისა და „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზეოლოგიის გამოყენების შემთხვევები, ასევე „ვეფხისტყაოსნის“ მოტივი, რომელიც გააზრებულია ნეორომანტიკული ტრადიციის შესაბამისად. გარდა ამისა, თვალშისაცემია რუსთველის პოემის ორიგინალური რეცეფცია, რაც გულისხმობს ყველა იმ ამბისა თუ წარმოდგენის გაცოცხლებას, რომლებთანაც ასოცირდება ქართველთათვის „ვეფხისტყაოსანი“.

ბიბლიოგრაფია:

- ბარბაქაძე, თ., & ბენაშვილი, გ. (რედ.). (2001). *გიორგი ლეონიძე*. თბილისი: საარი.
- დოიაშვილი, თ. (2005). გზა არტისტული ყვავილებისკენ. *ლიტერატურული მივანი* (26).
- კარბელაშვილი, მ. (2001). „*ჩემო სამშობლოვ, ჩემო მთა-ველო, რა იქნებოდი ურუსთაველო?*“. თბილისი.
- კვიციანიშვილი, ე. (2018 წლის 06 ნოემბერი). *სამშობლოსა და სიტყვის „დამწვარი მსახური“*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://1tv.ge/elit/giorgi-leonidze-samshoblosa-da-sityvis-damwvari-msakhuri/8/>. (24.11.2021)
- ლეონიძე, გ. (2000). *საქართველოს ცრემლები*. თბილისი: გიორგი ქავთარაძის გამომცემლობა.
- რუსთაველი, შ. (2009). „*ვეფხისტყაოსანი*“. თბილისი: ანბანი.

Kote Lomidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ONE ASPECT OF THE "THE MAN IN THE PANTHER SKIN" RECEPTION RESUME

Giorgi Leonidze's early poems show the use of Rustaveli's artistic style and the phraseology of the "The Man in the Panther Skin". As well as the motif of the "The Man in the Panther Skin", which was conceived by the neo-romantic tradition. In addition, the original reception of Rustaveli's poem is noteworthy, which means reviving all the stories or ideas related to "The Man in the Panther Skin" for Georgians.

Keywords: "The Man in the Panther Skin", Giorgi Leonidze, Reception, Neo-romanticism.

დალის (resp. კოდორის) ხეობის ეთნოლინგვისტიკა

საკვანძო სიტყვები: სვანური, კოდორის ხეობა, ონომასტიკა, ეთნოლინგვისტიკა.

დალის ხეობის ეთნოლინგვისტიკა თემატურად მოიცავს და აერთიანებს ისეთ საკვანძო და ქართველოლოგიური თვალთახედვით აქტუალურ შემდეგ საკითხებს: კოდორული სვანური მეტყველება (ინტერფერენციული იერსახე, ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები)... დალის ხეობის ონომასტიკა – ტოპონიმია, ანთროპონიმია, თეონიმია, ჰიდრონიმია, ზოონიმია; ამ მხარის ბრინჯაოს ხანისა თუ ელინისტური ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები; კოდორის ხეობის ისტორია, ადრეული შუასაუკუნეების ციხესიმაგრეები, ნაეკლესიარები, სალოცავები და ქრისტიანული ძეგლები; შესაბამისად, ინტერესი კოდორის ხეობისადმი ანუ დალის ქვეყნისადმი (როგორც ამას ადრეული პერიოდის მოგზაურები უწოდებენ!) მრავალმხრივ არის განპირობებული.

დალის ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმინეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში - დალის ხეობა, XIX საუკუნეში - წებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში - აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში - ზემო აფხაზეთი. სახელწოდებათა ასეთი მრავალფეროვნება კი, ვფიქრობთ, თავისთავად მიანიშნებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. სვანეთის, სვანებისა და უშუალო გარემოცვის მეზობელთათვის კი კოდორის ხეობა ოდითგანვე იყო და არის დალი (სვანური წარმოთქმით დალ) ნადირობის ქალღმერთის საბრძანებელი და დალეღთა ისტორიული სამკვიდრებელი. 2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ კოდოროლების უმეტესობა, სამწუხაროდ, დევნილის სტატუსით ცხოვრობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – იმერეთში, ქვემო ქართლში, სვანეთში, ევროპის ქვეყნებში... და არა მშობლიურ ოდაბადეში! ცნობილია, რომ უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით – კლუხორის, მარუხის, ნაჰარვის... უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. ამ კონტექსტში საინტერესოა რ. ხაჯიმბას განცხადება, რომ აფხაზეთის პარალმენტი განიხილავს კანონპროექტს, რომელიც კოდორის ხეობის სტატუსს ეხება, შესაძლებელია ხეობა დაცულ ზონად გამოცხადდეს, რადგანაც კოდორის ხეობას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და „ის პერსპექტივაში აფხაზეთის მარგალიტი უნდა გახდეს“. ვ. არძინასთვის კი კოდორის ხეობა ყოველთვის იწოდებოდა აფხაზეთის „ოქროს გასაღებად“. 1874 წელს კავკასიაში ჩამოსული ინგლისელი მოგზაური გროვე, რომელიც ყარაჩაიდან გადმოვიდა კოდორის ხეობაში, წერდა: „მნელია ნახო უფრო დიდებული და მშვენიერი ადგილი, ვიდრე მდელითი დაფარული სივრცე და ტყეები, რომელზეც კოდორი მიედინება“.

დალის სვანეთი მდებარეობს დასავლეთი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მდინარე კოდორის ხეობის ზედა წელზე, სათავეებიდან 70 კმ-ის მანძილზე. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი, საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ნაჰარვისა (გონდორაის) და ქლუხორის უღელტეხილებიდან მარუხის უღელტეხილამდე (დაახლოებით 80-90 კმ.). დალის სვანეთს აღმოსავლეთით მესტიის რაიონი ესაზღვრება. მათ ერთმანეთისაგან ყოფს ხვარაშისა და ჯერილის საკმაოდ მაღალი მთაგორები; სამხრეთით ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების ტერიტორიებია (ურთიერთგამყოფია ფანავის ქედი, ჰარვასა და ბარუმბას მთები), დასავლეთით კი – ბაგადის კლდეებია. დალის სვანეთი მოიცავს მდინარე კოდორის ხუთი (აძგარა, ყულუჭი, გვანდრალა, ხეცქვარა, საკნარა) შენაკადის აუზებს. მისი ფართობი შეადგენს 650 ჰექტარს, აქედან 350 ჰექტარი საკარმიდამო და სახნავ-სათიბ მიწებს უკავია, დანარჩენი კი ტყის მასივები და ალპური საძოვრებია (მარგიანი, 2005, გვ. 16).

დალის ხეობის ისტორია შორეულ წარსულში იკარგება, ის ათასწლეულებსაც კი ითვლის. არქეოლოგთა დასკვნით, ქრონოლოგია კოდორის ხეობის არქეოლოგიური ძეგლებისა საკმაოდ ფართოა: აქ გვხვდება როგორც ძველი ქვის ხანის, ასევე ბრინჯაოს და მომდევნო დროის ნაშთები, რაც რეგიონის ადრეული ხანიდან დასახლების მაუწყებელია; იგულისხმება წებელდის კულტურა და პოსტწებელდური მატერიალური კულტურის ძეგლები (ჯაფარიძე, 2009, გვ. 650). ვარაუდობენ, რომ კლუხორის უღელტეხილით ჯერ კიდევ ძვ. წ.აღ-ის III ათასწლეულში მყარდებოდა რეგულარული კავშირები

სრულიად სხვადასხვა ეთნოსთა შორის, ხოლო ხალხთა მასიური გადაადგილების ეპოქაში - IV-VII სს. კოდორის ხეობა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიასა და შუა აზიას შორის (Бондарев, 1981, стр. 89).

მეცნიერებაში დღეს უკვე დადგენილია, რომ მდინარე კოდორის ხეობა ბრინჯაოს ხანაში კოლხური კულტურის არეალში შედიოდა. მომდევნო ეპოქებში ამ ტერიტორიაზე კვლავ კოლხური ტომები ბინადრობდნენ. ანტიკურ ხანაში სვანები, ანუ სუანოკოლხები. დალის სვანეთი ისტორიული მისიმიანეთია. ამ მხარეს ანტიკურსა და შუა საუკუნეების ეპოქაში მისიმიანეთი (მისიმიანეთი) ეწოდებოდა. პ. ინგოროყვას აზრით, მისიმიანები ის სვანებია, რომელთა შესახებაც სტრაბონი ამბობს: „არიან პირველნი ძალითა და ძლიერებით (პონტოს მთიელ ტომთა შორის), მბრძანებლობენ ყველა გარემო ტომებზე და უჭირავთ კავკასიონის მთიანი მხარე, რომელიც აღმართულია დიოსკურიის (სოხუმის) ზემოთ“. მისიმიანთა მხარის საზღვრები ცნობილია VI-VIII საუკუნეების ავტორების – აგათია სქოლასტიკოსის, მენანდრე პროტექტორისა და ანასტასი აპოკრიფისის შრომების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ დალის ხეობის მკვიდრნი თავიანთ თავს დანარჩენ ქართველებთან მიმართებით ყოველთვის ხაზგასმით უწოდებდნენ და დღესაც უწოდებენ დალელს და დალელებს. სამეცნიერო პროექტის ფარგლებში კოდორის ხეობაში 2006-2008 წლებში ჩვენ მიერ ჩაწერილი თითქმის ყველა მთქმელი და ინფორმატორი (მათი რიცხვი ასეულს აღემატება) დანახებით, გულისტკივილით, წყრომითაც კი გამოხატავდა უკმაყოფილებას მათი არა დალის ხეობის, არამედ ზემო აფხაზეთის მკვიდრებად მოხსენიების გამო.

VIII საუკუნიდან დალის ხეობისათვის დგება ერთგვარი სიბნელის ხანა. ფიქსირებული არ არის არავითარი ცნობა. შეინიშნება ისტორიული წყაროებისა და მატრიანების ნაკლებობა. შუა საუკუნეების კოდორის ხეობა, დალის სვანეთი, ისტორიაში დღემდე თეთრ ლაქად მოჩანს. მემატრიანენი და მეისტორიენი, თითქოს პირი შეუკრავთო, არარას გვაუწყებენ. თავისი სათქმელი უნდა თქვას არქეოლოგიამ, რაც მომავლის აუცილებელი და საშური საქმეა. გულისტკივილით დავსძენთ, რომ ასეთი მდიდარი და შორეული წარსულის მქონე მხარეში ისტორიის გასაცოცხლებლად კვლევა-ძიებას მთელი გასული საუკუნის მანძილზე მიზანმიმართული პოლიტიკური ქვეტექსტების გამო სისტემური ხასიათი არ ჰქონია. და ჯერ კიდევ 1979 წელს დაზვერვითი სამუშაოებისას დიდი ქართველი არქეოლოგის შოთა ჩართოლანის მიერ დაფიქსირებული 36 ძეგლი კოდორის ხეობისა (ბრინჯაოს ხანის უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები, ციკლოპური მეგალითური ნაგებობები, ჩხალთის ნამოსახლარი, აჟარის გორა, ლაგვანას სამაროვანი, ჩხალთის ანტიფიქსი...) დღემდე ელოდება მკვლევარს, მეცნიერულ ანალიზს და მზის სინათლეს.

დალის ხეობის სალოცავთაგან, ქრისტიანულ ძეგლთაგან და ნაეკლესიართაგან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: შიყერის წმ. გიორგი სახელობის ეკლესია, აჟარის/ სვიფის/ წმ. გიორგი, ნალხვამი, ჩხალთის წმ. გიორგი... კოდორის ხეობაში ბოლო პერიოდამდე შემორჩა ქრისტიანულ სამყაროში არსებული ტრადიცია განდევნილობისა, რასაც ადასტურებს ტოპონიმი ბეროლრე ნალხვიგუ „ბერების ნასახლარი, ბერთა სავანე“. ათეისტურ ეპოქაში ქრისტიანულ რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ზედმიწევნით აღსასრულებლად ბერ-მონაზვნებს შეუმჩნეველი და ერთგვარად გასაიდუმლოებული ადგილები ჰქონიათ სოფლებში - აჯარასა და ბრამბაში/ ბარგმბაში.

ითვლება, რომ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო დალის ხეობას საუკუნეების მანძილზე ხალხთა და ტომთა გადაადგილება-გადანაცვლებისა თუ დროებითი განსახლების მრავალმა გრიგალმა გადაუქროლა, რამაც გარკვეულწილად პოვა ასახვა ამ მხარის ტოპონიმიაში, ყოფაში, სულიერ და მატერიალურ კულტურაში.

დალის ხეობის თანამედროვე ტოპონიმის უპირველესი მახასიათებელი არის ენობრივი სიჭრელე, მრავალფეროვნება, სახელების სრულიად განსხვავებული ქრონოლოგია, სხვადასხვა ენობრივი წარმომავლობა; ზოგადი სურათი ასეთია: სვანურია, ძირითადად, დალის ხეობის სოფლებისა და უღელტეხილების სახელწოდებანი, მთელი მიკროტოპონიმია, ჰიდრონიმთა უმეტესობა, აგრეთვე წერილობითი (ბერძნული) წყაროებით ფიქსირებული გეოგრაფიული სახელები; აფხაზურია არაერთი სოფლის, მდინარის, მთისა და საზაფხულო სამოვრის/იალადის სახელი; მხოლოდ ერთეულების სახითაა არის წარმოდგენილი მეგრული, რუსული... გაურკვეველი ეტიმოლოგიის გეოგრაფიული სახელები.

კოდორის ხეობის აფხაზურენოვანი ტოპონიმებია: აკაკუა, აბაყუა, ანუყუა, არმუა/არემუა, ღუალუა, ქუთარბა, ბარგმბა / მრამბა < მაკრამბა, შოტ, ამმახ, სირბისტა, არგუნ, დოუჩ, დედუქეფთა, მარუხ, სოიფსარა, გუანდრა, აჯარა, ჯეჯერა, აჭაფარა, აძგარა... ჩამონათვალი, სავარაუდოდ, არ არის სრული, თუმცა კვლევა-ძიების გაგრძელება ამ კუთხით სამომავლო პერსპექტივაა.

სრულიად დამაჯერებელია ბერძნულ წერილობით წყაროებში ფიქსირებული ისტორიული მისიმიანეთის სვანურენოვანი გეოგრაფიული სახელების მ. ქალდანისეული ანალიზი: მისიმიანებით

დასახლებულ მხარეს მისიმიანეთი შეარქვეს იქაური ხალხის სახელის მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობა კი თავის ქვეყანას სულ სხვა სახელით მიმართავდა. ამის მაგალითები ხომ მრავალია! რა შეიძლება ყოფილიყო ეს სახელი და გვაქვს თუ არა რაიმე ცნობა მისი არსებობის შესახებ? ეს სახელი, ჩვენი ვარაუდით, იყო დალი (დალ). მხოლოდ ამ სახელით იცნობს მთელი სვანეთი ყოფილი მისიმიანეთის ტერიტორიას. იგივე სახელი მოხსენიებული აქვთ ი. გიულდენშტედტს, ლ. ლიულიესა და კლაპროთს იმავე ტერიტორიის საერთო სახელწოდებად. გარდა ამისა, ამ მხარის კარგ მცოდნეს ლ. ლიულიეს თავის რუკაზე ერთ-ერთი სოფლის სახელადაც აქვს ნაჩვენები „დალი“. ეს სოფელი, მაშინდელი რუკის მიხედვით დღევანდელი ლათის ტერიტორიას ემთხვევა. „თუ ვიწამებთ, რომ დღევანდელი აფხაზეთის სვანეთის უძველეს სვანურ სახელწოდებას - დალს კავშირი აქვს სვანების წარმართული პანთეონის ქალღმერთის - დალის სახელთან, მაშინ შეიძლება გვეფიქრა, რომ იმ სოფელში, რომელსაც ძველთაგანვე სახელად „დალი“ რქმევია, წარმართობის ეპოქაში სწორედ ნადირობის ქალღმერთის სახელობის ტაძარი მდგარიყო“ (ქალდანი, 1999, გვ. 57); აღსანიშნავია, რომ ხეობის მკვიდრნი დანარჩენ საქართველოსთან და სვანეთთან მიმართებაში თავიანთ თავს ყოველთვის ხაზგასმით უწოდებდნენ და უწოდებენ მდღაღს („დალეღს“) და დაღარს („დალეღებს“).

დალის ხეობის ანთროპოლოგიური/ეთნოლინგვისტური პორტრეტის სრულყოფილად წარმოსაჩენად უაღრესად მნიშვნელოვანია და საყურადღებო, რომ ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების სხვადასხვა წყაროებში მოხსენიებულია დალის ხეობის შემდეგი სვანურენოვანი (ან სვანური ეტიმოლოგიის) გეოგრაფიული სახელები: ფუსტა, ჩიხარი/ჩხალი/ჩხალთა, ლაგვანა, შიყერი, ტიბელეოსი, დარენი, ბოკერი /ზოგერი...

ეთნოლინგვისტური/ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდა დალის ხეობის გეოგრაფიულ სახელთა ანალიზი. ცნობილი თვალსაზრისია, რომ ტოპონიმის გარეშე შეუძლებელია ხალხთა ისტორიის, წარსულის, ენის... შესწავლა. გეოგრაფიულ სახელში ხშირ შემთხვევაში მოცემულია ხოლმე ის დიდი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ვერ მოგვცეს ვერცერთმა ისტორიულმა დოკუმენტმა, წყარომ, მეცნიერულმა შრომამ. ისტორიული გეოგრაფიის ენათმეცნიერული ანალიზის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელიცაა დაიწეროს საქართველოს ისტორია. ტოპონიმის, როგორც ცნობილია, „დედამიწის ენას“ უწოდებენ, რადგანაც „ამტყვევლების“ შემთხვევაში შეუძლია გვაზიაროს მრავალ საიდუმლოს, რომელიც მასშია ჩაუნჯებული. ყოველი ტოპონიმი ერთდროულად გარდასულ დღეთა ნაყოფიცაა და მემატანეც, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი შორეული თუ ახლო წინაპრების მატერიალურ თუ სულიერ ცხოვრებაზე.

ზოგადად, სვანური ტოპონიმით უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი ცნობილი მკვლევარი თუ ქართველოლოგი დაინტერესებულა. კვლევა-ძიების შედეგად მნიშვნელოვანი დასკვნებიც არის გაკეთებული: „ძველი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობები სვანების მრავალრიცხოვნების შესახებ ზღაპრული გაზვიადების ნაყოფი რომ არ არის, ამას თვალნათლივ ადასტურებს სვანეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმიკური მასალის ანალიზი... რაჭა-ლეჩხუმის, ზემო იმერეთისა და მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში აშკარად შეინიშნება სვანური ენის კვალი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე ოდესღაც სვანებს უცხოვრიათ, ამგვარი ნაკვალევი შეიმჩნევა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზეც. მდინარე ყუბანისა და თერგის შენაკადთა სათავეებში. ამას მოწმობს იქაური ტოპონიმები: ხუმარი (შდრ. ცხუმარი), უშკალანი (შდრ. უშკულ) და სხვა... (ჭუმბურიძე, 2007, გვ. 25-34; Лавров, 1950, стр. 78).

ჰიდრონიმია: დალის სვანეთი მოიცავს მდინარე კოდორის ხუთი შენაკადის აუზებს. ეს შენაკადებია: გვანდრალა, საკნარა, ხეცქვარა, აძგარა, ყულუჩი. ონომასტიკურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ხეობისა და ხევის შინაარსი თითქმის იდენტურია, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მცირეა; ორივე კი წყალთან და საერთოდ ჰიდრონიმიასთან არის დაკავშირებული. საინტერესოა, რომ გეოგრაფიულ სახელთაგან ქრონიკებში ყველაზე ხშირად იხმარება კოდორის ხეობის სვანური სახელი - დალიან ტუბი „დალის ხეობა“. აქვე შევნიშნავთ, რომ ხეობისა და ხევის ფუნქციით სვანურში იხმარება ტუბი და ტყუფე. უფრო ხშირად ტუბი, რაც სვანურში ასევე ჰიდროგრაფიასთანაა დაკავშირებული, არა მხოლოდ ფუნქციურად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეტიმოლოგიურადაც. დალიან ტუბი - დალის ხეობა, ხომ ტუბი „დიდი ხევი“, ლეჟან ტუბი „აღმოსავლეთის ხევი“, ლეჟუნ ტუბი „დასავლეთის ხევი“. ტყუფეს კი უფრო მხარის, რეგიონის სემანტიკა აქვს. მართალია, დალიან ტუბი და დალიან ტყუფე ორივე ითქმის დალის (კოდორის) ხეობის მნიშვნელობით, მაგრამ თუკი შინაარსს ჩავუღრმავებთ, ტყუფე აქვს სივრცითი განფენილობის შინაარსი, ტუბის /ტვიბს კი სწორედ, ჩაღრმავებული მდებარეობისა, ხევისა, ხეობისა. ცნობილია, რომ ჰიდრონიმია არის ტოპონიმის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილი; წყალს, ზოგადად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანისათვის. კაცობრიობის ცივილიზაციის კერები, პირველი დასახლებანი სწორედ მდინარეებთანაა დაკავშირებული. ერთ-ერთი ზოგადტოპონიმიკური

კანონზომიერების თანახმად, დიდ ობიექტთა, განსაკუთრებით, მდინარეთა სახელები საუკუნეებში ცოცხლობენ და მოსახლეობის ეთნიკურ ცვლასაც კი უძლებენ.

აღსანიშნავია, რომ ყოფილი მისიმიანეთის და დღევანდელი სვანეთის მხარეთა მდინარეების სახელების გარკვეული ნაწილი ერთსადაიმავე –რა სუფიქსს შეიცავს: გვანდ-რა, საკნა-რა, აძგა-რა, აჯა-რა, ხეც-ქვა-რა/ხე-წყვა-რა/ხე-ქვა-რა ... სვანეთიდან მსგავს წარმოებას ვხედავთ მდინარეთა სახელებში: დოლ-რა, ნაკ-რა, კალ-რა, მულხუ-რა... (ქალდანი, 1999, გვ. 56). დალის ხეობის მიკროტოპონიმია ხასიათდება ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს მახასიათებელი ტერმინების სიუხვით. აქ ხშირია ისეთი გეოგრაფიული ცნებებისა და ლექსემების გამოყენება, როგორცაა – ხევი, ხეობა, კლდე, ტბა, მთა, ღელე, გადასასვლელი, უღელტეხილი, მალლობი, გორაკი, სათიბი, ციცაბო კლდე, ქარაფი, ფერდობი, ადიდებული მდინარე, მეწყერი, ჩანჩქერი, მწვერვალი... ასევე ზმნისართი-მორფემოიდები – ზედა, ქვედა, ზემოთ, ქვემოთ, ზემოური, ქვემოური, აღმოსავლეთი, დასავლეთი... მსგავსად ქართული ტოპონიმისა დალის ხეობის გეოგრაფიულ სახელთა დაჯგუფება შეიძლება სხვადასხვა ასპექტით – მარკირების, სემანტიკისა და არქაულობის კუთხით. აღნაგობის თვალსაზრისით გამოიყოფა: პირველადი, წარმოქმნილი და რთული (კომპოზიტური) გეოგრაფიული სახელები.

ტოპონიმი ნამ-შიხ-ჟ < (ლი-შხ-ი “წვა, დაწვა”, შდრ. ქართ. ნა-ხში-ირი < სვან. ნა-შიხ-ირ-ი) არის სახელი სოფლის მიმდებარედ კლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე აღმართული მთისა ულამაზესი ლანდშაფტებით, იალაღებით, კლდე-ჭიუხებით. აღსანიშნავია, რომ ამავე მთისათვის გასული საუკუნის 50-იან წლებში დალის ხეობაში ჩასული გიორგი ლეონიძის პატივსაცემად გოგლაურა უწოდებიათ.

კოდორული მეტყველება საინტერესო სეგმენტია სვანურისა და, ზოგადად, ქართველური დიალექტოლოგიური სივრცისა: საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად ენათმეცნიერთა დიდი ინტერესისა, დალის ხეობის სვანურ მეტყველებაზე დაკვირვება, კოდორული ტექსტების შეკრება და გამოსაცემად მომზადება პირველად გახდა შესაძლებელი რუსთაველის ფონდის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში შექმნილი კოდორული ქრონიკების სახით. უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო წრეებში უკვე არსებობს შეფასებები: „კოდორული ქრონიკები“ - დალისხეობელთა ოდისეა, მატიანე, იმედის წიგნი, ისტორია და ყოველდღიურობა, წარსული და მერმისი! „კოდორული ქრონიკები“ იგივე კოდორის ცხოვრებაა! ეს არა მხოლოდ მეხსიერების წიგნია, არამედ იმედისაც. იმედის, რომ კოდორელები არასოდეს დაივიწყებენ თავიანთ საცხოვრისს (ჯ. კაშია). „თანამედროვე თვალთახედვით რომ ვთქვათ, მართლაც მრავალწახნაგოვანი წიგნი გამოვიდა და ყოველ წახნაგში მას ძალიან დიდი საზოგადოებრივი, მეცნიერული და ყველანაირი დატვირთვა აქვს. ხელოვნური არაფერია მასში. ეს უნდა ეამაყებოდეთ არა მარტო ამ ნაშრომის შემდგენლებს, არამედ, საერთოდ, ჩვენს ენათმეცნიერულ აზრსაც. აი, აქ, როგორც წვეთში ჩანს მთელი ოკეანე, ისე ჩანს ჩვენი ხალხის მწარე ბედი, ისტორიული ხვედრი თუ გნებავთ, აი, ამ პატარა დალის ხეობის მაგალითზე, მის საამაყო წარსულზე, ძველ ამბებზე, თანამედროვეობაზე... ესაა უზარმაზარი ფოლიუმი... „ჩვენი ეროვნული იდენტიფიკაციისათვის ამისთანა წიგნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ, თუ გადამჭრელი არა“ (ნ. ანდლულაძე). საბედნიეროდ „კოდორული ქრონიკები“ არ არის მხოლოდ კოდორის ხეობის მოსახლეობის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის პირველი ნაბიჯები... ამ წიგნის მნიშვნელობას, ალბათ, გვიან გავაცნობიერებთ. გავაცნობიერებთ მაშინ, როდესაც კოდორს მოწყვეტილი კოდორელები თანდათან გადაასხვანაირებენ თავიანთ საუბარს და მხოლოდ ეს წიგნი შეინარჩუნებს იმ ხიბლს, რასაც პირველად თქმული სიტყვის უბრალოება ჰქვია და არა მხოლოდ ამას! როგორც ჩანს, ჩვენ ქართველთა იმ უიღბლო თაობებს ვეკუთვნით, რომლებსაც საკუთარი მიწა-წყლის მიტაცების მოწმობა არგუნა ბედმა. სულაც არ იყვნენ ცუდები ისინი, ვის თვალწინაც იკარგებოდა კლარჯეთი და ტაო, საათაბაგო და სამცხე, ჰერეთი და კავკასიის გადასასვლელები... სულაც არ იყვნენ ცუდი ქართველები, უბრალოდ იღბალი შეხვდათ ამნაირი. ჩვენც იმათგანი ვართ სავარაუდოდ. მრავალი წელი გაივლის ჩვენს ფუჭ ოცნებასთან ერთად და ერთადერთი რამ, რაც დავიწყებას გამოჰლეჯს ხეობას დალისას, „კოდორული ქრონიკები“ იქნება მხოლოდ, არაჩვეულებრივი წიგნი, არაჩვეულებრივი ავტორების მიერ შექმნილი (დ. თევზაძე).

დალის ხეობის სვანური მეტყველება ინტერფერენციულობით ხასიათდება. სხვა მახასიათებლებთან ერთად ინტერფერენციულობა თვალსაჩინოდ აისახა „კოდორულ ქრონიკებში“. ბალსხემოური და ბალსქვემოური დიალექტების ურთიერთხემოქმედება ვლინდება ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე – ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაში, სემანტიკა-სემასიოლოგიაში. XIX საუკუნის დასაწყისში დალის თემში, რომელიც წებელდის ოლქში შედიოდა, შემდეგი ტოპონიმებია დადასტურებული: საკუთრივ დალი, აჟარა, ყამგარა, ზიმა, შვაქვა, ვარდა, თავმ-იფა-იჰაბლა, ამჟარა, ლათა, გენწვიში. დღეს კოდორის (დალის) ხეობა მოიცავს სოფლებს: აჟარა, მარცხენა გენწვიში, მარჯვენა გენწვიში, ომარიშალი / იალცუნესგა („ორ-წყალ-შუა“ იგივე „შუამდინარეთი“), ტუბრაშერი, ხუტია, ნაჰარვი, ლათა, ტიში, ქვაბჩარა, ზუმა, ჩხალთა, ბუჩუკური,

ბუმუგური, აძგარა, გვანდრა, ბარუმბა, ყულუჩი, საკენი... ინტერფერენციულობის ასპექტით დალის ხეობის სოფლების დაჯგუფება შეიძლება შემდეგნაირად: სოფლები, სადაც ბალსქვემოელები რაოდენობრივად ჭარბობენ ბალსქვემოელებს: ომარიშალი, მარჯვენა გენწვიში, ხუტია, მარცხენა გენწვიში, პტიში, ლათა. სოფლები, სადაც ბალსქვემოელები ცხოვრობენ უფრო მეტნი, ვიდრე ბალსქვემოელები: ჩხალთა, საკენი, აჟარა, ქუაბზარა, ბარუმბა, ნაჰარუ, გვანდრა; სოფლები, სადაც მხოლოდ ბალსქვემოელები ცხოვრობენ: ბუმუგური, ბუჩუყური, ტუბრაშერი, ზუმა. დალის ხეობის ონომასტიკონი (თეონიმია, ტოპონიმია, გვარსახელთა სისტემა, ზოონიმია, ბოტანონიმია...) უაღრესად საინტერესოა და თითქმის შეუსწავლელი... თუკი არ მივიღებთ მხედველობაში ტოპონიმიას (გეოგრაფიულ სახელებთან დაკავშირებით არსებულ ცალკეულ გამოკვლევებს).

ამგვარი გახლავთ „კოდორული“ ონომასტიკონი - მრავალფეროვანი... არქაული, ენობრივი, ისტორიული, ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო.

გულისტკივილით შევნიშნავთ აქვე, რომ პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე თითქმის ათეული წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიის სამეცნიერო მივლინება მასალის ჩასაწერად და შესაკრებად, ისტორიული დალის, იგივე კოდორის ხეობაში. ამიტომ ხეობა, სადაც დავიბადე და გავიზარდე, ათეული წლების წინ 1986–2008 წლებში რამდენიმეჯგუფის გვაქვს მოვლილი – ფხედაფხე, კარდაკარ, სოფელ-სოფელ... აღვწახე და ჩავიწერეთ ფასეული ეთნოლინგვისტური, ისტორიული, დიალექტოლოგიური, ფოლკლორული... მასალები, არქეოლოგიური ცნობები. 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შედეგად, სამწუხაროდ, დალის ხეობის დედასამშობლოსგან დროებით მოკვეთის შემდგომ ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, უდავოდ გაიზარდა.

დალის ხეობის ეთნოლინგვისტიკის კუთხით კვლევა, კულტურული ანთროპოლოგიური პორტრეტის სრულყოფილი სახის შექმნა, ვფიქრობთ, მომავლის პერსპექტივაა. გამომდინარე მისი მრავალფეროვნებიდან, მრავალწახნაგოვნებიდან და საკვანძო საკითხთა სირთულიდან. სამომავლოდ, შესაბამისად, ამ ინტერდისციპლინურმა დარგმა სიღრმისეულად უნდა მოიცვას საკითხები: კოდორის (ისტორიული მისიმიანეთის) ბრინჯაოს ხანისა თუ ელინისტური ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები; დალის ხეობის ისტორია, ადრეული შუასაუკუნეების ციხესიმაგრეები, ნაეკლესიარები, სალოცავები და ქრისტიანული ძეგლები; დალის ხეობის ონომასტიკა; უაღრესად ინტერფერენციული იერსახის მქონე კოდორული სვანური მეტყველება...

დალის ხეობის ონომასტიკის დარგებს – ტოპონიმიას, ანთროპონიმიას, თეონიმიას, ჰიდრონიმიას, ზოონიმიას... სხვა ძირითად ანთროპოლოგიურ მახასიათებლებთან ერთად კოდორის ხეობის ეთნოლინგვისტური პორტრეტის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. სწორედ ამით არის განპირობებული წინამდებარე ნაშრომში ჩვენი მოკრძალებული მცდელობა ონომასტიკურ ერთეულთა სახელდებაში ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორების წარმოჩენისა.

ბიბლიოგრაფია:

ბარდაველიძე, ვ. (1939). *სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი*. თბილისი.

ბატონიშვილი, ვ. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება* (ტ. IV). თბილისი.

ბერულავა, ნ., & თოლორდავა, რ. (2009). ჩახარის ნაქალაქარი და მისიმიანელთა ანტიბიზანტიური აჯანყების (555–556 წწ.) ზოგიერთი ასპექტი. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, V.

გასვიანი, გ. (1998). *აფხაზეთი: ძველი და ახალი აფხაზეთი*. თბილისი.

თაყაიშვილი, ე. (1991). არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. *ქართული ემიგრანტული ლიტერატურა: დაბრუნება*. თბილისი.

მარგიანი, ქ. (2010-2011). დალის ხეობის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, VIII.

მარგიანი, შ. (2005). კოდორის ხეობის/დალის სვანეთის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა. კრებულში: *დალეღთა იმედი შუქრი მარგიანი*. თბილისი.

მიზჩუანი, თ. (1989). *დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან*. თბილისი.

ქალდანი, მ. (1999). მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. *აფხაზეთის მოამბე*, II.

ჩანტლაძე, ი. (2007–2010). კოდორის (დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველების ინტერდისციპლინური კვლევის შედეგები. *კოდორული ქრონიკები* (ტ. I). თბილისი.

ჩართოლანი, შ., & ცინდელიანი, მ. (2010). *კოდორის ხეობის „დალ“-ის მხარის არქეოლოგიური ძეგლები*. თბილისი.

- ცხადაია, პ. (1986). სვანური სუბსტრატის საკითხისათვის სამეგრელოს ტოპონიმიაში. *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 122(1).
- ჭუმბურიძე, ზ. (2007). სვანური ენა. *გამომცემლობა „პეტეტი“*. თბილისი.
- წერედიანი, ნ. (2008). სვანურ ხალხურ დღეობათა კულტურული მემკვიდრეობა. კრებულში: *სვანეთი*. თბილისი.
- ხვისტანი, რ. (2018). *კულტურული მემკვიდრეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (მდინარე კოდორის ზემო წელი – ისტორიული მისიმიანეთი)*. თბილისი.
- ხორავა, ბ. (2008). წებელდა-დალის 1840 წლის აჯანყება. კრებულში: *სვანეთი – ქართული კულტურის სვანე*. თბილისი.
- ჯაფარიძე, ვ. (2009). მთიანი აფხაზეთის (მდ. კოდორის შუა წელის) არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საკითხისათვის. *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*.
- Бгажба, Х. (1956). Некоторые вопросы этнонимии, топонимии Абхазий. *Труды Абхазского института языка, литературы и истории*, XXVII.
- Бондарев, Н. (1981). *В горах Абхазий*. Москва.
- Лавров, Л. (1950). *Расселение сванов на Северном Кавказе до XIX века*. Москва: КСИЭ.

Ketevan Margiani
Sukhumi State University
ETHNOLINGUISTICS OF THE DALI (RESP. KODORI) GORGE
RESUME

Ethnolinguistics of the Dali Gorge covers and integrates thematically key and kartvelologically topical themes such as the Bronze Age and Hellenistic archaeological sites; history of Kodori Gorge; early medieval fortresses, sites of former churches, houses for prayers and Christian monuments; onomastics (toponymy, anthroponymy, theonymy, hydronymy, zoonymy) of Dali Gorge; Kodorian Svan speech (interference picture, ethnolinguistic aspects) ... Consequently, interest in the Kodori Gorge, or Dali country (as the travelers of early periods call it!) is multifaceted.

Dali Gorge is a historical part of the West Georgia, Apkhazia. In the antique epoch it was called Mivisianeti or Misimianeti, in the middle ages - Dali Gorge, in XIX century – Tsebelda Dali Sabokaulo (the area controlled by a certain police department), in the Soviet epoch it was called Apkhazian Svaneti, and in XXI century – Upper Apkhazia. Such a variety of the names speaks for itself, of the importance and special role of this gorge in the history of Georgia.

History of Dali Gorge is being lost in distant past. Svan Discourse of Dali Gorge is famous with its interference. It is very interesting segment of Georgian dialectological field;

Microtoponymy of Dali Gorge is characterized by the abundance of environment describing terms. The Geographical phenomena and lexemes, such as – ravine, gorge, rock, the places where there used to be towers there, lake, mountain, brook, pass, hill, hillock, knoll, grassland, tower, cliff, slope, risen river, landslip, waterfall, mountain top... Including morphemoids – down, downwards, up, upward, eastern-western...

The gorge enjoys the most advantageous geographical location - Klukhori, Naharvi, Marukhi - Dali Gorge is the shortest way that connects the seaside region of the West Georgia with the North Caucasus. Toponymy of Dali's Gorge is characterized by lingual diversity and absolutely different chronology of designation.

Study of onomastic, folk and linguistic materials of Dali Gorge in general Georgian dialectological field under ethnolinguistic, interferential, linguoculturological aspects enables us to have made quite interesting conclusions.

Keywords: Svan, Kodori gorge, Onomastics, Ethnolinguistics.

პიკაროს ქარაქტეროლოგია XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

საკვანძო სიტყვები: პიკარესკა, რომანი, ლიტერატურა, ქარაქტეროლოგია.

XX საუკუნის ლიტერატურაში, მათ შორის ქართულში, ასახვა პოვა პიკარესკულმა რომანმაც და პიკარესკულმა პიესამაც. წინამდებარე ნაშრომში ქართველი პიკაროების ქარაქტეროლოგიისას დავეყრდნობით *მხატვრულ სახეებს*, რომლებიც შექმნეს მ. ჯავახიშვილმა, პ. კაკაბაძემ და მ. ანთაძემ.

წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას შევაჩერებთ და გავაანალიზებთ ქართველი პიკაროების - კვაჭის, ყვარყვარეს, ლაზარეს - ტიპურ ქარაქტეროლოგიურ თვისებებს.

მნიშვნელოვანია ავტორის მიერ პიკაროს ბავშვობის წლების წარმოჩენა, იმ სიტუაციისა, თუ ვინ იტამაშა მნიშვნელოვანი როლი მისი ხასიათის, ქარაქტეროლოგიური თვისებების ჩამოყალიბებაზე. მ. ჯავახიშვილის რომანში *პიკაროს აღმზრდელის, დამრიგებლის* როლში ცალსახად კვაჭის მამა - სილიბისტრო გვევლინება. სწორედ სილიბისტრო იყო ინიციატორი აზნაურის წოდების მიღებასთან დაკავშირებული ავანტიურისა, რასაც „აუარებელი დრო და ფული“ დაახარჯა, რადგან გული ეთანაღრებოდა იმის გამო, რომ პასპორტში სამარცხვინო და სათაკილო სიტყვა - *გლეხი* - ეწერა. თუმცა, სილიბისტრო, თავის ოცნებებშიც კი, სამტრედიის, ხონისა და ქუთაისის მასშტაბებს ვერ სცილდებოდა და სწორედ ამ ლოკალურ სივრცეში წარმოედგინა, რომ მისი კვაჭიკო „ნათესავს გაახარებდა... და მტერს თვალს დოუყენებდა“.

საყურადღებოა სილიბისტროს შეგონებები, რომლითაც კვაჭის უნდა ეხელმძღვანელა ადამიანებთან ურთიერთობისას: „შვილო კვაჭი, აი ქვეყანა ასეა მომართული: ზოგი უმფროსია, ზოგი უნცროსი; ზოგი მდიდარია, ზოგი ღარიბი; ზოგი ძლიერია, ზოგიც გლახაკი; ზოგი თავადია ან აზნოური, ზოგი კიდო ყაზახია, გლეხია. შენისთანა აზნოურიშვილმა ყველას თავი არ უნდა გოუყადროს... აზნოურს და მდიდარს დოუმეგობრდი, დოუახლოვდი... მდიდარი და ძლიერი ყოველთვის გამოგადგება: ერთი წინ წაგაყენებს, მეორე გაჩუქებს რასმე, მესამე ხელს მოგიმართავს...“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 14). ცხადია, სილიბისტროს დარიგებებმა განსაზღვრეს, რომ „...კვაჭი ჭკვიანთან ჭკვიანი იყო, დინჯთან - დინჯი... პირდაპირთან - ორგული, ფლიდი და ორპირი; ორგულთან - ათგული და ათპირი; მუხასთან - ლერწამი, ლერწამთან - მუხა; რკინასთან - ბამბა და ბამბასთან - რკინა“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 16); რომ „სადაც პირდაპირი გზა დაკეტილი იყო და სხვა ვინმე უკან იხევდა, იქ კვაჭი ხუთიოდე მიხვეულ-მოხვეულ ბილიკს იპოვნიდა... ათიოდე ხვრელს აღმოაჩენდა“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 17); რომ მისი ცხოვრებისეული დევიზი გახდა: „მამიავ, დეისომე: ღმერთს ცხვარი მოსაწველად და საკრეჭად გოუჩენია“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 17). ამგვარად, კვაჭიც „წველიდა“ და „კრეჭდა“ სხვადასხვა სიტუაციაში მასზე მინდობილ ადამიანებს ყველგან - სამტრედიიდან დაწყებული და ევროპის დედაქალაქებით დასრულებული - სადაც კი ხელი მიუწვდებოდა.

რაც შეეხება ყვარყვარეს, პ. კაკაბაძის პიესაში არ არის საგანგებოდ წარმოჩენილი ყვარყვარეს ბავშვობის წლები; ამდენად, ვერ ვიმსჯელებთ, როდის და ვისი შეგონებებით ჩამოყალიბდა ყვარყვარე თუთაბერის „ცხოვრებისეული ფილოსოფია“, თუმცა მისი შეხედულება საზოგადოებაზე/ხალხზე და მასთან დამოკიდებულებაზე დიდად არ განსხვავდება კვაჭის ხედვისგან; ყვარყვარეს თანახმად, „...ხალხი თავის მტერია, თუ არ მოწყემსე, უჭკუო საქონელივით ხრამში გადავარდება... თუ შნო გაქვს, ჯოხს თვითონ მოგცემს, ოღონდ მალიან ჭკვიანად უნდა დაარტყა“ (კაკაბაძე). როგორც პერსონაჟების (და თავად ყვარყვარეს) საუბრიდან ირკვევა, ბავშვობიდანვე მატყუარასა და უქნარას, ხალხმა ნაცარქექია შეარქვა; მოგვიანებით კი მუქთახორა შვილის რჩენა მამამისს - წყვიწყვისაც - მობეზრდა და სახლიდან გააგდო. მას შემდეგ ყვარყვარე უსაქმოდ დაწანწალდებოდა სოფელ-სოფელ, სანამ ერთმა მეწისქვილემ არ შეიფარა. ყვარყვარეს გამორჩეული თვისებები - ცრუპენტელობა და სიზარმაცე - პიესის პირველსავე სცენაში იკვეთება, როდესაც ეს უკანასკნელი ბუხრის პირას ნაცარში იქექება და კლდეში გვირაბის გაყვანაზე ოცნებობს. ყვარყვარე უკადრისობს მისი ტყუილებითა და ბაქიობით თავმოებურებული მეწისქვილის შენიშვნას - „...პატარა ხიდის გაკეთება აილე იჯარით და ისეთი ბუქი დააყენე, თითქოს მთა და ბარი გქონდა გასასწორებელი და ის ხიდი მაინც ვერ გააკეთე“ - იბტიბარს არ იტებს და თავმოძვონედ პასუხობს: „მთავრობას ამ მთის გარშემო გაჰყავს გზა და იმ უხეირო ინჟინრებს ფიქრად არ მოსვლიათ, რომ გვირაბი აქ გზას შეამოკლებს (ამაყად). აი, მე რომ ჩემს გეგმას უფროსს წარვუდგენ და მერე ლარივით რომ გავიყვან მთაში ამოდენა გვირაბს, შენ ის უნდა ნახო“ (კაკაბაძე).

რამდენადმე განსხვავებულია ლაზარეს აღმზრდელთა ფუნქციური დატვირთვა; ბავშვობაში დაობლებული (მამამისმა, შინსახკომის ოფიცერმა ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა დედამისი), იგი რიგრიგობით იზრდებოდა ბებია-ბაბუებთან. როგორც თავად აღნიშნავს, განსაკუთრებით უყვარდა მამის სოფელში ყოფნა, „კამახ ბაბუასთან“, რომელმაც „...შემეჩვია ფიზიკურ შრომას, მასწავლა თოხნა, ჩეხვა, ბარვა, ეზო-მიდამოს მოვლა, საერთოდ სოფლის მეურნეობა. რომ გითხრათ, მიწაზე მუშაობა შემაყვარა-თქვა, არა, მარა მიწის ცოდნა კი გამომეყვა მისგან“. რაც შეეხება დედის მშობლებს, იქაური ბაბუა „...მკაცრად მზრდიდა, ათეისტურად, კომუნისტურად, ოქტომბრულ-პიონერულ-კომკავშირული სულისკვეთებით, თუმცა ამავე დროს ზნეობრივად - მასწავლიდა სინდის-ნამუსს, პატიოსნებას, სიმართლეს, შრომისმოყვარეობას, ზრდილობას და სხვათა პატივისცემას. ახლა ვედარაფრით ვედარ გაიგებ, რა მანქანებით ახერხებდა ის სულგანათლებული შეუთავსებლის შეთავსებას. მან შემაყვარა წიგნი, მანვე შთამინერგა სამშობლოს სიყვარული, ისტორიის თავყანისცემა. მოგვიანებითაღა მივხვდი, რომ ბაბუამ ჩემი კაცად ქცევა დაისახა ცხოვრების ერთადერთ მიზნად“. თუმცა, ამ აღმზრდელობითმა სისტემამ საბჭოთა სინამდვილეში ვერ იმუშავა და ცხოვრებისეულ რეალობასთან ლაზარეს პირველივე შეხვედრისას ჩამოიშალა.

ზოგადად, პიკაროებს გამორჩეულად იტაცებთ *თავგადასავლები და ავანტიურა*; მაგალითად, კვაჭის ბავშვობიდან იზიდავდა ზემოაღნიშნული; იმის მიუხედავად, რომ ზოგადად, სწავლას დიდად არ სწყალობდა, „...გატაცებით ჰკითხულობდა მოგზაურობას, ყოველგვარ თავგადასავალს, მსხვილფეხა და წვრილფეხა ავანტიურის აღწერას. ორჯელ-სამჯერ გადაიკითხა ჯერ მაინ-რიდი, კუპერი, გუსტავ ემარი, გორდონის მოგონებანი, ნატ პირკენტონი, შერლოკ ჰოლმსი და ათასგვარი დომხალი“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 16). ზემოთ დასახელებული ავტორების მადლიერ მკითხველს, შესაძლოა, წიგნში აღწერილი მოვლენებიდან ზნეობრივი, კეთილშობილური გაკვეთილები აეთვისებინათ, მაგრამ კვაჭიმ მალევე გააცნობიერა, „...რომ ამ ქვეყნის ღერძი და დედაბოძი მხოლოდ და მხოლოდ ფულია, ხოლო დანარჩენი, რაც კი არსებობს... უკლებლივ ყველაფერი მხოლოდ ფულის მტვერია, მისი ყურმოჭრილი მონამორჩილია“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 45).

სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ მწერალი გვიჩვენებს, რომ კვაჭის ბუნება, მისი ფულისადმი სიყვარული არ იცვლება; კორექტირებას განიცდის მხოლოდ მისი „საქმის გაიმასქნების“ მასშტაბები: იგი იწყებს ქუთაისში ნაშოვნი ვერცხლის მანეთიანით და შემდგომში მისი აფიორებით შემოსული თანხა რამდენიმე მილიონამდე აღწევს, ხოლო მასშტაბურობით - პეტერბურგის, პარიზისა და ლონდონის მდიდრულ კვარტლებს სწვდება.

კვაჭის მსგავსად, ყვარყვარეც აცნობიერებს ფულის ძალას; კარგად იცის, თუ რა ენაზე ესაუბროს მის გარემომცველ საზოგადოებას - ეს არის ფულის, ქრთამის ენა. მეწისქვილესთან საუბარში იგი ღიად აცხადებს: „დიდი მოიჯარადრე ვიქნები, დიდისგან დიდი. აი, ნახავ, ქრთამს სულ ქერივით დავაბნევ დიდკაცობაში. თვალი დაგიბრმავდება, რომ გაგივლი და არ შეგხედავ“ (კაკაბაძე).

კვაჭის მსგავსად, ყვარყვარემაც იცის, ვისთან როგორ მოიქცეს: სუსტთან - დიდგულობს, ძლიერთან - უკანდახვევის ტაქტიკას ამჯობინებს; მისი სამოქმედო პრინციპია: „კაცს კბილი უნდა გაუსინჯო, თუ ირყევა, მოთხარე; თუ მაგრადაა, გაქცევა მოასწარი, რომ არ გაგქელოს“ (კაკაბაძე). მაგ., პირველსავე სცენაში, როდესაც მინავლებულ ცეცხლში გარედან ჯირკის შემოტანა დაეზარება, მეწისქვილეს დაემუქრება კარში გადებით, რასაც ამ უკანასკნელის მხრიდან ადეკვატური აღშფოთება მოჰყვება: „ეს რა გადავიკიდე. მე ისე ვატყობ, აქედან გადენასაც მიპირებ... როგორ, ვინ უნდა გავიდე აქედან, მე თუ შენ?! ვისია ეს წისქვილი?!“ (კაკაბაძე). მსგავს სიტუაციაში ყვარყვარე კონფლიქტის მოგვარების ორ ხერხს მიმართავს: შეუძლია უკან დაიხიოს და თავი მოისაწყლოს („ახლა ეს ზამთარიც ილევა და რომ გამოზაფხულდება, მერე მე ვიცი შენი სამაგიერო პატივისცემა“) ან თავხედურად გადავიდეს შეტევაზე („ჭკუაზე მოდი, ეს კერა არ გამიცვიო, თორემ... (მუშტს მოუღერებს) სულს ამოგაცილი, თუთაბერი ვარ, სულძაღლო! ... ყვარყვარე ვარ, ყვარყვარე! ძველებური ვაჟკაცის სახელი მქვია. ისე გავადენ ბდღვირს აქაურობას!“). ორივე შემთხვევაში ყვარყვარეს მთავარი დასაყრდენი - საკუთარი ენაა, რადგან მტკიცედ სწამს, რომ ლაპარაკსა და ენის ტრიალში მას ბადალი არა ჰყავს; ამდენად, რიტორიკულად ჟღერს მისი კითხვა: „მე ყვარყვარე თუთაბერს ენით შენ შემომიარ?“ (კაკაბაძე).

კვაჭის მსგავსად, ყვარყვარეც *თავისი დროის შვილია*. თუ კვაჭის გარშემო პატარა კვაჭიკოები ტრიალებენ (ბესო შიქიას, ლადი ჩიკინჯილამის, გაბო ჩხუბიშვილის, ჭიპი ჭიპუნტირამის, ჯალილ ემინ-ოღლის, სედრაქ ჰავლაბრიანის და სხვათა სახით), რომლებიც ავანტიურული „გაიმასქნებით“ ბევრად ჩამორჩებიან თავიანთ მეგობარს და ამიტომაც უპირობოდ აღიარებენ მის ბელადობას, ყვარყვარეს „სიდიადეც“ მის გარშემო მოფუსფუსე ადამიანების ფონზე უფრო შთამბეჭდავად წარმოჩინდება. ყვარყვარე, რომელიც გლახაკებად, მაწანწალებად და უთაურებად მოიხსენიებს თავის მეზობლებს, კაკუტას და ქუჩარას („აფსუს, თქვენ ჩემი მეზობლები იყოთ, სწორედ მერცხვინება“), მათი ნაქურდალის მითვისებას არ თაკილობს. საინტერესო ის არის, რომ ამ „გლახაკებსა“ და „უთაურებს“ კარგად

მოეხსენებათ ყვარყვარეს უზნეობა; ამიტომაც, ფრონტის ხაზიდან გამოქცეულები, როდესაც წისქვილში თავიანთ მეზობელს გადაეყრებიან, ცდილობენ მათ მიერ გამარცხული მკვდარი ოსმალო ჯარისკაცის ნაქურდალის გადამალვას. ქუჩარა კაკუტას მიმართავს: „ნუ ეტყვი, დამალე (კაკუტა მალავს შეხვეულს)... არაფერია, აგერ, სადღაც, ერთ მკვდარს წავაწყდით... გავმარცხეთ, თორემ ცოცხალი რას გაგატანს (კაკუტას) არ ანახო, მოიტა, მე დავიჭერ (გამოართმევს შეხვეულს)“ (კაკაბაძე). თუმცა, კაკუტას და ქუჩარას მცდელობა ამო გამოდგება და ყვარყვარე მაინც მიითვისებს ნაქურდალს. ამდენად, სავსებით გასაზიარებელია ა. ნიკოლეიშვილის მოსაზრება: „ამ ცხოვრებისეული ჭუჭყის მთავარ გმირად დრამატურგმა, მართალია, ყვარყვარე თუთაბერი წარმოგვიდგინა, მაგრამ იქვე ისიც ნათლად და არაორაზროვნად გვიჩვენა, რომ საზოგადოება სავსეა პატარ-პატარა ყვარყვარეებით, ირგვლივ მიმდინარე ეპოქალურმა ძვრებმა და გარდაქმნებმა ბევრი პიროვნების არსებაში აღაზვეეს ყვარყვარეობის სინდრომი“ (ნიკოლეიშვილი, 1997, გვ. 107).

რაც შეეხება ლაზარეს, ისიც თავისი დროის (ანუ გასული საუკუნის 60-იანი წლების) ტიპური წარმომადგენელია; მასაც თავისი დროის შესაფერისი ბავშვობა ჰქონდა; პედაგოგი ბაბუა ზრუნავდა მის სულიერებაზე, აკითხებდა წიგნებს; ამდენად „...ჩემს სულიერებას არ გამოჰკლებია არც ერთი მეტ-ნაკლებად აუცილებელი გმირი მსოფლიო ლიტერატურისა: გნებავთ გრაფი მონტე-კრისტო და გნებავთ ერკმან-შატრინის გლეხკაცი, შერლოკ ჰოლმსი, ბიძია თომა, კრაზანა, ზურიკელა ვაშალომიძე, ოსტაპ ბენდერი თუ პავკა კორჩაგინი... რომელი ერთი ჩამოვთვალო...“. ამასთან, ლაზარე არც ჩხუბს თაკილობდა, „...ვერთობლივით ფეხბურთით, ლახტით, გრძელი და მრგვალი ვირით, ვთევზაობდით, ვაგებდით კაკანათებს, ვიპარავდით მეზობლების სიმინდს, ხილ-ბოსტნეულს და ადესას. მერე დავიწყეთ სიგარეტის მოწევა, უხამსი ანეკდოტების ლაპარაკი და ღვინის სმა“. ეს ყველაფერი სკოლის დამთავრებისთანავე დასრულდა, რასაც ბებია-ბაბუის გარდაცვალებაც დაემთხვა. ლაზარე სრულიად მარტო დარჩა ცხოვრების პირისპირ.

დაობლებული ლაზარესთვის თავის რჩენის ერთადერთ გზას ფიზიკური შრომა წარმოადგენდა და მანაც რაიონული ცენტრის ქარხანას მიაშურა. სწორედ აქ აითვისა პირველი თვალნათელი ცხოვრებისეული გაკვეთილი, როდესაც გააცნობიერა, რომ საბჭოური ცხოვრების კეთილდღეობის დასტურად არსებობდა ქარხნის ადმინისტრაცია: „დირექტორი, მისი მოადგილეები, მთავარი ინჟინერი, საამქროთა უფროსები, პარტკომი, პროფკომი და მათთან დაახლოებული პირები, რომლებიც ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს ფლობდნენ“; სწორედ აქ, ქარხანაში გაერკვა პირველად ლაზარე არსებულ სიტუაციაში და მისმა „...კვიმატმა, მაძიებელმა გუმანმა ცხოვრებაში პირველად დამაწყებინა სცენაზე გამოდგმული დეკორაციების მიღმა ჩამალულ საიდუმლოებებზე ფიქრი“ (ანთაძე, 1998, გვ. 20). საბჭოურ სამრეწველო მაქინაციებში გარკვევამ და გაშიფვრამ გადაადგმევინა ლაზარეს დამოუკიდებელი ნაბიჯები, რაც საბოლოოდ, მისი კარიერული წინსვლისთვის წარმატებული აღმოჩნდა.

პიკაროსა და მისი გარემომცველი საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემაზე მსჯელობისას ბუნებრივად დგება **ქართული პიკაროების პოლიტიკისადმი დამოკიდებულების საკითხი**. კვაჭისა და ყვარყვარეს შემთხვევაში იგი ცალსახად არსებულ რევოლუციურ სინამდვილეს უკავშირდება, ხოლო ლაზარეს შემთხვევაში - საბჭოური ცხოვრების ორ პერიოდს: ბრეჟნევისეული „სტაგნაციისა“ და გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“.

კვაჭისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ იგი არასოდეს ივიწყებს ხარისხზე მჯდომი ბებერი თუთიყუშის „თილისმურ ფორმულას“: „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ... არც აქეთ, არც იქით... შენც მინდიხარ, ისიც მიყვარს“. სწორედ ამ პრინციპით მოქმედებს კვაჭი ქუთაისის საიდუმლო კრებაზე, რომელზეც პირველად გამოავლენს თავის ორატორულ ნიჭს. აღსანიშნავია, რომ კვაჭის პირველი ავანტიურა და მსხვილი თანხის შოვნა სწორედ პოლიტიკას უკავშირდება; კერძოდ, რევოლუციური არეულობის ჟამს ქუთაისში „ცნობილი და პატივცემული“ კოლია არევადის დავალებით კვაჭი დაუახლოვდა შავი ქვის მრეწველის, ბერძენი კაროპულოს ვაჟს - კიპრიანეს, ხელი შეუწყო მის გატაცებას, რასაც ოჯახის მხრიდან მემკვიდრის გამოსყიდვა მოჰყვა. ამგვარი „საქვეყნო“ საქმის „გაიმასქნებით“ იშოვა კვაჭიმ პირველად დიდი თანხა. მართალია, კვაჭი არც სრულიად „არასაქვეყნო“ საქმეების „გაიმასქნებას“ თავილობდა (მაიზელსონის როიალის ავანტიურა, ვოლკოვის ქვრივის სახლის ხელში ჩაგდება, სედრაქას ყალბით ფულით თამაში, ვერცხლის კოვზების მოპარვა სასტუმრო „ევროპის“ რესტორნიდან და სხვ.), თუმცა, კვაჭის ყველაზე დიდი მაქინაციები და მსხვილი აფიორები, რა თქმა უნდა, პოლიტიკური სიტუაციებისა და საჭირო ადამიანების სათავისოდ გამოყენებას უკავშირდება.

არ არის შემთხვევითი, რომ მ. ჯავახიშვილმა თავისი გმირის ავანტიურული საქმიანობა, რომელზეც დაწვრილებით ვისაუბრეთ ზემოთ, რუსეთის იმპერიის საეტაპო მოვლენებს დაუკავშირა (პირველი მსოფლიო ომი, ოქტომბრის რევოლუცია, რომანოვების დინასტიის დასასრული და სხვ.). სწორედ ამ ფონზე გვიჩვენებს მწერალი, რომ კვაჭის პოლიტიკა იმდენად აინტერესებს, რამდენადაც

მისგან გამორჩენას ელის. რომანოვების დინასტიის დამხობის შემდეგ (რომელმაც დიდძალი ფული აშოვნინა) მან შემდეგი სიტყვებით დააწყნარა მიმდინარე მოვლენებით შემფოთებული თავისი სამძო: „ვინც უნდა დამარცხდეს, ჩვენ მაინც გვეიმარჯვებთ. ერთი ფეხი მარჯვენა ხანაკში მიდგია, მეორე კი მარცხენაში. თუ კერენკამ გაიმარჯვა, მაშინვე მარცხენა ფეხსაც მარჯვნივ გადავძვამ, და თუ წითლებმა გაიმარჯვეს, მარჯვენა ფეხსაც მარცხნივ გადავძვამ და მეც გავეწითლდები“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 215).

მართლაც, კვაჭი ჯერ კერენსკის მთავრობის „სამსახურში ჩადგება“ და მისი სახელით დაატრიალებს ჩვეულ მაქინაციებს, ხოლო მოგვიანებით არც სმოლნის ინსტიტუტში მისვლა გაუჭირდება და „ნაცნობი წითლისთვის“ - ივან ივანიჩ ივანოვისთვის - იმის თქმა, რომ „...კერენსკი პროლეტარიატს ჰლუპავს... ამიტომ მე, ჩემი პარტია და ჩემი უზარმაზარი საზოგადოება თავითფეხამდე თქვენთან გადმოვდივართ. გვიმსახურეთ და გამოგვიყენეთ“ (ჯავახიშვილი, 2004, გვ. 217). თუმცა, „წითელი ემმას“ გაცურება არც ისე იოლი აღმოჩნდება; ფრიალ საყურადღებოა კვაჭის მიერ ბოლშევიკების შეფასება: „გეიგონეთ და დეიმანსოვრეთ ჩემი სიტყვა: მე ხომ ვარ ხვთისპირიდან გადავარდნილი, მარა ესენი ჩემზე უარესები ყოფილან“. ამიტომაც ჩქარობს კვაჭი, „საკუთარი წილის“ მიღებას და „წითელი ჯოჯოხეთიდან“ თავის დაღწევას უცხოეთში ემიგრაციით.

აქვე შევნიშნავთ, რომ კვაჭი გმირის ნიღბის მორგებასაც ლამობს ბოლშევიკებთან დაპირისპირებისას („აქა ამბავი კვაჭის ომიანობისა“); თუმცა კოჯრის პოზიციებზე ასული მალევე გააცნობიერებს, რომ შეცდა („წადი, კვაჭი, გაბრუნდი. შენ შესცდი. არ უნდა ამოსულიყავი. აქ საშენო საქმე არ კეთდება. წადი, კვაჭიკო, წადი!“). ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ დიმიტრი ბენაშვილმა გაამახვილა ყურადღება. მისი აზრით, კვაჭი „კაცუნა იყო და გმირის როლი ითამაშა“, რაც დროის ნიშანმა განაპირობა (ბენაშვილი, 1959). წითლების გამარჯვების შემდეგ კვაჭი „...პირისახიდან თეთრ საღებავს იცილებს, წითელს ისვამს და საკუთარი ტყავის გადარჩენისათვის „წითელი ემმას“ სამსახურში დგება“ (ჭიჭინაძე, 2014). დასასრულს, სავსებით გავიზიარებდით პროფესორ თეიმურაზ მალაფერიძისეულ შეფასებას, რომ კვაჭი (და ზოგადად კვაჭიზმი) ძალზე მავნე, ანტისაზოგადოებრივი მოვლენაა, მაგრამ თუკი მას საბჭოთა ხელისუფლება იცილებს თავიდან, ამის მოტივი მხოლოდ კვაჭის პოტენციური მეტოქეობაა, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ „საბჭოთა რეჟიმია უფრო მავნე, ვიდრე „რაღაც კვაჭიზმი“. იგი შეუდარებლად დიდი, გრანდიოზული, სახელმწიფოებრივი მასშტაბის კვაჭიზმია“ (მალაფერიძე, 2005, გვ. 179).

გუშინდელი ნაცარქექია არა თუ უმალ მოირგებს ხალხისთვის წამებული რაინდის მანტიას, არამედ ცდილობს კაკუტა და ქუჩარაც დაარწმუნოს თავის დამსახურებაში რევოლუციის წინაშე: „მამ, ტყუილა ვეწვალე! ხომ ხედავდი დღე და ღამე, რომ პოლიცია მსდევდა.... ხომ იცი, ჩვენ, სოციალისტები, ტყუილს რომ არ ვიტყვით.... ხომ კარგად იცით, რაც მე ხალხისთვის წვალება გადამხდა?!“. ლეგენდა რევოლუციონერ მძლეთამძლე ყვარყვარეზე სწრაფად ვრცელდება. ყვარყვარე მალევე გამოჩნახავს საერთო ენას დროებითი მთავრობის რწმუნებულთან და თავის რევოლუციურ დამსახურებას ამგვარად წარმოაჩენს: „ქვეყანამ იცის, ბატონო, ჩემი ვაჟკაცობა, რამდენჯერ სახრჩობელას გადავურჩი. რევოლუციამ სწორედ ყელზე მომხსნა თოკი, მარა უარესში კი ჩამაბა. ჯერ ფრონტზე იმდენ ჯარს პატრონობა გავუწიე, რევოლუცია და ჩემი თავი გავაცანი, მერე იქიდან აქამდე ვატარე გზაზე-უგზურზე და ხალხი უკლებლად მოვიყვანე. ეს ყველაფერი ერთმა კაცმა ვქენი... მაგრამ რისთვის გადავიტანე ამდენი შრომა და გაჭირვება? სულ იმისათვის, რომ თქვენ, როგორც ბედნიერ მთავრობას სამსახური გაგიწიოთ, თუ კი დამიმადლებთ. (კაკუტას და ქუჩარას) თქვენ ენა გააქვავეთ“ (კაკაბაძე). დროებითი მთავრობაც „უმაღლის“ დამსახურებას და ყვარყვარეს შეიარაღებული ძალების უფროსად დანიშნავს.

ყვარყვარეს არც მენშევიკების დამარცხება დააზნევეს; პიესის ავტორი კიდევ ერთხელ მიმართავს „ზედა“ და „ქვედა“ ადგილების კარნავალურ ჩანაცვლებას და ამჯერად ბოლშევიკების აღზევების მოწმენი ვხდებით. შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში ყვარყვარე ახალი ნიღბის მორგებას შეეცდება და მეწისქვილის ქალიშვილს, რევოლუციონერ გულთამხეს სთხოვს „ბოლშევიკურ ლაპარაკში“ გაწაფვას: „ბოლშევიკური პროგრამა მომთხოვეს, მაგრამ მე ვერ დავუფქვი და დღეს პანდური მომაცოლეს... ახლა ცოტა ბოლშევიკურ ლაპარაკში მინდა გაწაფვა. შენ ვერ მასწავლი?“ (კაკაბაძე); თუმცა ყვარყვარეს წარმატებული რევოლუციური კარიერა ამით დასრულდება. პიესის ფინალში ყვარყვარე კიდევ ერთხელ გაიბრძოლებს და შეახსენებს უმადურ ხალხს თავის დამსახურებებს („რას მემართლებით? მე რევოლუციაზე ლოგინი დამიგია და ახლა დასჯა მერგება?“); მაგრამ ბოლშევიკი სევასტი საბოლოოდ ჩამოხსნის მას ნიღბს: „ამხანაგებო, ყვარყვარე თუთაბერი ნაცარქექიაა.... ის მეფის დროს ჩემ მაგიერ დაიჭირეს და ამ შემთხვევის წყალობით თავი გაუსაღებია ძველ რევოლუციონერად... ჩვენი გამოძიებით კი ყვარყვარე თუთაბერი ნამდვილი ჭკუანაკლებია, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეს ადამიანი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს და ამიტომ ვათავისუფლებთ“ (კაკაბაძე). თითქოს ყველაფერი დალაგდა, ნაცარქექიას გმირი-რევოლუციონერისა და ხალხისთვის თავდადებული რაინდის ნიღაბი ჩამოხსნეს და თავისი ადგილი მიუჩინეს, მაგრამ ლოგიკურად იზადება კითხვა, თუ რას წარმოადგენს

საზოგადოება, რომელიც ამგვარ ავანტიურისტებს, თუნდაც დროებით, აძლევს გმირის ნიღბის მორგების შანსს.

პოლიკარპე კაკაბაძე ცალსახად გვიჩვენებს, რომ ყვარყვარეს მსგავსი ავანტიურისტებისა და ფარისევლების წარმატების საწინდარს უზნეო და უპრინციპო საზოგადოება წარმოადგენს. პიესის თანახმად, არც მეფის მთავრობა გამოირჩევა პატიოსნებით, არც მენშევიკებისა თუ ბოლშევიკების ხელისუფლება. ზემოთ უკვე ვიმსჯელებთ მეფის მთავრობის წარმომადგენლებზე, რომლებიც ქამელეონივით იცვლებიან პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად და მზად არიან ფეხებში ჩაუვარდნენ „გამოჩენილ რევოლუციონერს“, თავიანთ დამსახურებებზე ესაუბრონ ტლუ და გაუთლელ ყვარყვარეს მისგან მოწყალების მიღების მიზნით. რაც შეეხება მენშევიკებსა და ბოლშევიკებს; დროებითი მთავრობის ერთ-ერთ გამორჩეულ სახეს მაზრის კომისარი - ტიტე ნატუტარი წარმოადგენს, რომელიც ისეთივე ავანტიურისტია, როგორც ყვარყვარე, თუმცა უდავოდ მასზე უფრო დახვეწილი და განსწავლული. ხალხის ბედნიერებისთვის „თავადაკლულ“ ტიტეს მალევე აუცრუვდება გული: „განა, მე არ შევეცადე გამომეყენებინა ჩემი ცოდნა... მაგრამ არ მოხერხდა, ხალხი არ გამომადგა. ეჰ, წინათ სიტყვა ხალხი ჩემთვის წმინდათა-წმინდა იყო, ახლა კი, ვფიქრობ, როგორც პოეტების დახატული ქალი არ იპოვება ბუნებაში, ისე არ არსებობს ხალხი იმ სახით, როგორც ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეები გვასწავლიდნენ“ (კაკაბაძე).

ყვარყვარეს მსგავსად, არც ტიტეს უჭირს ახალი სიტუაციის საკუთარ თავზე მორგება; იგი „გულანთებული“ მიმართავს ყვარყვარეს: „მე წინასწარმეტყველივით ვხედავ შენს სახეში უდრეკ ძალას, რომელიც დაეუფლება დიდ სახელმწიფოს... თქვენ იქნებით სახელმწიფოს უფალი, მაგრამ დაგჭირდებათ გვერდით პოლიტიკოსი, მეცნიერი. ასეთი მე ვიქნები“. ტიტეს საამური ბაასით მოხიბლული ყვარყვარე გამოტყდება, რომ ნაცარში ქექვისა და გეგმების შედგენის ჟამს მასაც უფიქრია ქვეყნიერებისა და ხალხის გადარჩენაზე, რასაც მოჰყვება ტიტეს აღტაცებული შემახილი: „ო, რა საამურია, ზამთარში, შუა ცეცხლთან ნაცრის ქექვა და ფიქრები კაცობრიობაზე, ქვეყნის დასაბამზე და დასასრულზე, და ტირილი და ოცნება...“. წრე იკვრება; „თანამებრძოლები“ ერთმანეთს საბოლოოდ გაუგებენ, რასაც მოსდევს ყვარყვარეს დაპირება: „იცოდე ოქროს სარაიას აგიშენებ, ჩემს საკუთარს რომ მოვათავებ იმის მერე“ (კაკაბაძე), რაც შექმნილ სიტუაციაში სარკასტულად ჟღერს.

რაც შეეხება ბოლშევიკებს, მათ კრებსით სახეს კარგად წარმოაჩენენ სევასტი და გულთამზე. პიესის ფინალში ყვარყვარეს მხილებისას რევოლუციონერი სევასტი საკუთარ დამსახურებას არ ივიწყებს და ხალხს ახსენებს, რომ „მეფის დროს“ ნაცარქექია ყვარყვარე მის ნაცვლად დაიჭირეს და ამ შემთხვევამ მისცა დასაბამი თუთაბერის „რევოლუციონერობასა“ და გადიდგაცებას. თუმცა, ბოლშევიკი სევასტი არ ამბობს, თავად რა მოიმოქმედა, როდესაც მის დასაჭერად წისქვილში სამხედრო ოფიცრები მოვიდნენ: მეწისქვილის პერანგში გადაცმული, ფქვილის ტომრებს ამოფარებული, იგი მშვიდად ადევნებდა თვალს, თუ როგორ ეფერებოდა მისი თანამებრძოლი და შეყვარებული გულთამზე ყვარყვარეს და როგორ დაიყოლია, რომ სევასტის ნაცვლად გაჰყოლოდა ოფიცრებს. ერთ მომენტში (როდესაც ყვარყვარე გულთამზეს კოცნის) სევასტიში თითქოს თავმოყვარეობა იღვიძებს („ამ დამცირებას სიკვდილი მირჩევნია“), თუმცა ამ სიტყვებს არავითარი ქმედება არ მოსდევს და საბოლოოდ, სევასტის ნაცვლად „რევოლუციონერ-აგიტატორ“ ყვარყვარეს დააპატიმრებენ.

„გულანთებული ბოლშევიკები“ - სევასტი და გულთამზე - ცხადია აცნობიერებენ, რომ სასიკვდილოდ იმეტებენ უდანაშაულო ადამიანს (თუნდაც, ნაცარქექიას), მაგრამ აბსოლუტურად არ განიცდიან სინდისის ქენჯნას. პიესის ფინალში კვლავ გამოჩნდება რევოლუციონერი სევასტი, რომელიც მაზრის თავმჯდომარეს პრეტენზიულად საყვედურობს: „კიდევ კარგად ყოფილხართ. ისე არეულია ეს მაზრა, არ მეგონა, თუ აქ ცოცხალი დამხვდებოდით“. თავმჯდომარე თავს იმართლებს: „დაიხ, ჩემმა ავადმყოფობამ ეს ახლად გასაბჭოებული მაზრა ისევ ძველი აბრაგების ხელში ჩააგდო“ (კაკაბაძე).

მიგვაჩნია, რომ ქვევის/ქმედების (დანაშაულის) და მისი თანამდევი შედეგის (სასჯელის) ფილოსოფიურ-ეთიკური პრობლემა - ერთ-ერთი ცენტრალურია პიესაში (თუმცა, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, რატომღაც იგი წინა პლანზე არ წამოწეულა). იბადება ლოგიკური კითხვა, თუ ვინ არის დამნაშავე: ნაცარქექია ყვარყვარე, რომელმაც ისარგებლა მომენტით, რათა „ზემოთ აცოცებულიყო“ უზრუნველად ცხოვრების მიზნით თუ უზნეო და უპრინციპო საზოგადოება (რომელშიც, თავის მხრივ, მოიაზრება მეფის მთავრობის მოხელეებიც, მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც), რომელმაც ჯერ აგრძნობინა ძალაუფლების გემო ყვარყვარეს და შემდგომ სანაგვეზე მოისროლა. პიესის ბოლო სცენა, თითქოს, სასამართლოს წარმოადგენს, რომელშიც პროკურორის როლში - ბოლშევიკური ხელისუფლება გვევლინება, ხოლო დამნაშავის როლში - რა თქმა უნდა, ყვარყვარე. ბოლშევიკი სევასტი სულაც არ თვლის საჭიროდ მოიბოდიშოს, რომ მისმა უნიათობამ და სულმოკლეობამ განაპირობა ყვარყვარეს ავანტიურისტული გეგმების ხორცშესხმა და მაზრის ხელისუფლების სათავეში „აბრაგების“ მოსვლა; თავდაჯერებულად აცხადებს, რომ ყვარყვარე უკვე არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენს

ბოლშევიკური მთავრობისთვის და მას „დიდსულოვნად“ ათავისუფლებს. საკმაოდ გამჭვირვალედ იკითხება პიესის ქვეტექსტი: ისინი, ვინც „ყოფილებს“ (ანუ მეფის ხელისუფლებას, ტიტე ნატუტარს) ჩაენაცვლენ, თავიანთი ზნეობითა და ქცევით არაფრით აღემატებიან მათ. დღევანდელი გადასახედიდან, სევასტისა და გულთამზეს კარიკატურული სახეები აშკარად სატირულია; მაგრამ 1920-იან წლების რეალობის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო ამის აშკარად წარმოჩენა, რადგან უარეს შემთხვევაში, ავტორი რეპრესიებს ვერ გადაურჩებოდა, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, პიესას თაროზე შემოდებდნენ.

ყურადღებას იქცევს პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ ფინალი; საქმე ის არის, რომ პიესის ადრინდელი გამოცემები მთავარი გმირის შემდეგი სიტყვებით სრულდება: „ეჰ, გათავდა შენი ჩალიჩი, ყვარყვარე თუთაბერო. ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება“. შესაძლოა, სწორედ ამგვარი ფინალის წყალობით არ დადებულა პიესა თაროზე და სხვადასხვა დროს განსხვავებული ინტერპრეტაციებით წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე. თუმცა, პიესის საბოლოო ვარიანტში დრამატურგი მთავარ გმირს სხვა სიტყვებს ათქმევინებს: „გული არ გაიტეხო ყვარყვარე, დაილუპა ის, ვინც სირცხვილით სოროში ჩამვრა, მე კიდევ ავცოცდები“ (კაკაბაძე).

ცხადია, ეს სიტყვები არაორაზროვანი მინიშნებაა, რომ ყვარყვარე საბოლოოდ არ დამარცხებულა; იგი დროებით მიიძალა, მაგრამ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში კვლავ გამოჩნდება და კვლავაც შეეცდება ხელისუფლების თავში მოქცევას, ზემოთ „ავცოცხლას“. კვლავაც შევნიშნავთ, რომ პ. კაკაბაძემ ერთი თაღლითის ისტორიაში ნათლად გამოკვეთა საზოგადოების როლი, რომელიც ისეთივე უზნეოა, სულიერებადაცლილია, ფარისეველია, როგორც მის მიერ ხელდასმული „გმირი“. სავსებით გავიზიარებთ პროფესორ რევაზ მიშველაძის შენიშვნას: „... ამოდ უკრავდნენ ტაშს ლოყის სიღრმეში მიმჯდარი ცეკას მდივნები სპექტაკლს, ჩვენ რა გვენადვლება, მოქმედება თებერვლის რევოლუციის წინა დღეებში მიმდინარეობსო..... ყვარყვარე თუთაბერი - გაფრთხილებაა, იგი მწერლის მკვახე შემახილია მომავალი თაობებისათვის: განსაკუთრებით დიდი ისტორიული კატაკლიზმების დროს გმართებთ ყურადღების გაფაციცება, ე, მანდ, სადმე ყვარყვარე თუთაბერი არ შემოგეპაროთო“ (მიშველაძე, 1998, გვ. 284).

რაც შეეხება „ლაზარეს თავგადასავალს“, აქ ეტაპობრივად არის წარმოდგენილი, თუ როგორი იყო საბჭოთა საზოგადოება ბრეჟნევისა და გორბაჩოვის პერიოდში (ანუ, საქართველოს სინამდვილეში, მჭავანაძისა და შევარდნაძის პერიოდში) და რა გზა უნდა გაევიღო უბრალო, რიგით მოქალაქეს კარიერული წინსვლისთვის. აღსანიშნავია, რომ ლაზარე ადეკვატურად რეაგირებს პოლიტიკურ ცვლილებებზე და სწრაფად უღებს ალღოს შექმნილ სიტუაციას. ქარხანაში მუშაობის დაწყებიდან ცოტა ხანშივე მიხვდა ლაზარე, რომ ადმინისტრაცია რაღაც მაქინაციებში იყო ჩაფლული. როდესაც ადგილობრივ გაზეთში სოცშეჯიბრის შედეგები გამოქვეყნდა, ლაზარემ არ დაიხარა, ყურადღებით ჩაუჯდა გამოთვლებს და გაშიფრა „წუნდებული დეტალების“ სქემა. სწორედ ამ დროის გაიღვიძა მასში ლიდერის თვისებებმა: შეკრიბა თავისი ბრიგადის ბიჭები, გააცნო მოქმედების გეგმა და აიყოლია. დასახული გეგმის წარმატებით განხორციელებას მოჰყვა „კომკავშირული შრომის დამკვეთური ბრიგადის“ ჩამოყალიბება, ლაზარეს ბრიგადირად არჩევა და მისი გამჭრიახობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით პირველი „დიდი ფულის“ შოვნა.

ქარხნის ადმინისტრაციამ შეამჩნია „ზედმიწვევით ფრთხილი, ზრდილი და კორექტული“ ახალგაზრდა და ხელი შეუწყო მის კარიერულ წინსვლას: ჯერ მოსკოვში გააგზავნეს დარგის მუშაკთა ყრილობაზე დელეგატად, შემდეგ რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩიეს, ორი წლის შემდეგ კი პარტიაშიც მიიღეს და დირექტორმა რეკომენდაცია გაუწია, რათა კომკავშირის რაიკომში ინსტრუქტორად მიეღოთ. ცხადია, ლაზარე მაღლიერი იყო დირექტორისა, თუმცა მოგვიანებით გააცნობიერა, რომ „...კი, ერთის მხრივ, ხელი წამიკრა კარიერაზე, მარა, მეორეს მხრივ, ქარხანას მოაშორა ჩემისთანა ბუნტარი და ინტრიგანი ენთუზიასტი“ (ანთაძე, 1998, გვ. 23). ცხოვრების ახალ ეტაპზე ლაზარეს ცხოვრებაში ქალი გამოჩნდა, რომელმაც გარდამტეხი როლი ითამაშა მის შემდგომ ცხოვრებაში.

ბრეჟნევისეული სტაგნაციის პერიოდში ლაზარე სახელმწიფო სამსახურში მსახურობდა ინსპექტორად; მან სწრაფად აუღო ალღო „ხარკის“ ამოღებისა და გადანაწილების პრინციპს, რომელიც საბჭოურ ჩინოვნიკურ წრეებში იყო დამკვიდრებული. მოგვიანებით, ლაზარემ საქმოსან-კომბინატორის ნილაბი შეიცვალა და ამჯერად კომუნისტურ ელიტურ საზოგადოებაში ერთობ დაფასებული - საბჭოთა ხელოვნის იმიჯი მოირგო. შესაძლოა, ეს მისი საბოლოო სახე გამხდარიყო, რომ არა გორბაჩოვისეული „პერესტროიკა“ და „გლასტნოსტი“.

პოლიტიკური კლიმატის შეცვლის კვალდაკვალ, 1990-იან წლებში ლაზარემ კაპიტალის დაგროვება და რუსეთზე გავლით მისი ევროპაში დაბანდება დაიწყო და წარმატებით განახორციელა. სწორედ ევროპელი ბიზნესმენის პოზიციიდან გვმოდვრავს ნოსტალგიურად მომართული ლაზარე, რომელიც საბჭოთა სინამდვილეში უბრალო მუშაკ იყო, ინჟინერიც, მექრთამე ჩინოვნიკიც, კინორეჟისორიც, კომბინატორიც („ეს, ცხადია, თავმოსაწონარი სულაც არ არის, მაგრამ მაინც მგონია, იყო იმ ჩვენს კომბინატორობაში რაღაც ტალანტური, მაღლცხებული“): „ღმერთმა დაიფაროს საქართველო

მექრთამეების, ხაზინის ქურდებისა და მიწა-წყლის გამფლანგველ-მიმთვისებელთა იმ უთავბოლო ჯირითისაგან, ახლა რომ გამართულა ჩემს სამშობლოში. დროზე მოგვიყვანოს ჭკუაზე უფალმა, ამას ვევედრები და მეტს არაფერს“ (ანთაძე, 1998, გვ. 51). ამგვარად, რომ არა ნოვაციებისა და გარდაქმნების უნარი, ლაზარე ვერ აუღებდა ალღოს პოლიტიკური კლიმატის სწრაფ ცვლილებებს და სავალალო 1990-იანების „დაკარგული თაობის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი იქნებოდა; თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მან გამჭრიახობის, მოხერხებულობის, კრეატიული აზროვნებისა და პოლიტიკური ალღოს წყალობით გადაირჩინა თავი.

ზოგადად, პიკარესკული გმირის მორალურ-ფსიქოლოგიურ ქარაქტეროლოგიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია *პიკაროს დამოკიდებულება ქალების მიმართ*. როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ტრადიციულ პიკარესკულ მოტივს, რომელსაც არც XX საუკუნის თაღლითურ/ავანტიურულ პროზაში განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილება, წარმოადგენს *ქორწინება, ქალების მიმართ ანგარებანი დამოკიდებულება*.

ბიბლიოგრაფია:

ანთაძე, მ. (1998). ლაზარეს თავგადასავალი. *ცისკარი*(#10).

ბენაშვილი, დ. (1959). *მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

კაკაბაძე, პ. (თ. გ.). *ყვარყვარე თუთაბერი*. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/yvaryvare_TuTaberi.htm

მაღლაფერიძე, თ. (2005). *მარადი აწმყო*. თბილისი: უნივერსალი.

მიშველაძე, რ. (1998). *უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნიკოლეიშვილი, ა. (1997). *XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები* (ტ. II). ქუთაისი.

ჭიჭინაძე, მ. (2014). *საბჭოთა სინამდვილის კრიტიკულ-ოპოზიციური ასახვა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში*. სადისერტაციო ნაშრომი. ქუთაისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://doc.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia_chichi.pdf

ჯავახიშვილი, მ. (2004). *თხზულებანი შვიდ ტომად* (ტ. II). თბილისი: საქართველოს მაცნე.

Maia Melanashvili

Gori State University

PICARO'S CHARACTERIZATION IN THE 20TH CENTURY GEORGIAN LITERATURE RESUME

In the literature of the 20th century, including the Georgian literature, both the picaresque novel and the picaresque play were depicted. In the present work, we will rely on the artistic faces created by M. Javakhishvili, P. Kakabadze and M. Antadze.

In the aforementioned paper, we will focus on and analyze the typical characterological features of Georgian picaros - Kvachi, Kvarkvare, Lazare.

When discussing the problem of the relationship between picaros and their surrounding society, *the question of attitude of Georgian picaros to politics* naturally arises. In the case of Kvachi and Kvarkvare, it is uniquely connected to the existing revolutionary reality, and in the case of Lazare - to two periods of Soviet life: Brezhnev's "Stagnation" and Gorbachev's "Perestroika".

In general, regarding the moral-psychological characterization of the picaresque hero, *picaro's attitude towards women* is important. As it is known, one of the traditional picaresque motifs, which has not experienced significant changes even in the fraudulent/adventurous prose of the 20th century, is *marriage, greedy attitude towards women*.

Keywords: Picaresque, Novel, Literature, Characterology.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთა
სტრატეგია და მიზანი ცხინვალის რეგიონში
(1918-1921)

საკვანძო სიტყვები: ოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობა, ქართულ-ოსური, საბჭოთა რუსეთი, ეთნოკონფლიქტი, ბოლშევიზმი, სუვერენიტეტი, სეპარატიზმი, დამოუკიდებლობა.

შესავალი. საქართველოს რესპუბლიკა, ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, „ყალიბდებოდა ევროპული ტიპის სახელმწიფოდ, სადაც ყოველი მოქალაქის უფლება განურჩევლად მათი ეთნიკური და კონფესიური წარმომავლობისა გარანტირებული იყო“. (არდაშელია, 2018, გვ. 56) გარდა იმისა, რომ ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს გარანტირებული კვოტები გააჩნდათ საქართველოს პარლამენტში, 1919 წლიდან დამფუძნებელი კრების 130 კაციან შემადგენლობაში შედიოდა ქალთა წარმომადგენლობაც. მათ შორის: მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე¹, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე², ქრისტინე შარაშიძე³, ანა სოლოლაშვილი⁴, ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე⁵.

რაც შეეხება ეროვნული უმცირესობების თემას, ჩვენი ყურადღება მიმართულია ოსთა საკითხისადმი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ეს პრობლემა ხშირად ხდებოდა როგორც ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში, ასევე საყოველთაო მსჯელობის საგნადაც. ერთი მხრივ, ოსი ხალხის ნაწილი აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში, მონაწილეობდა საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, დაწყებული უმაღლესი საკანონმდებლო სტრუქტურებიდან და ყველა სოციალური ინსტიტუტების ჩათვლით, ხოლო მეორე მხრივ, სახეზე გვქონდა ბოლშევიკური რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატისტული დაჯგუფებების აგრესიული ბუნების ფრთა, რომლის ორგანიზებით მოკლე ხანში მოეწყო რამდენიმე შეიარაღებული გამოსვლა. როგორც დოკუმენტური მასალა ცხადყოფს ადგილობრივ ბოლშევიკთა აქტიური მეცადინეობის შედეგად ოსთა სეპარატისტული გამოხდომები ფასდებოდა ოსების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება გამოცხადებული იყო ოსი ხალხის მტრად. ბუნებრივია, ამ რიტორიკას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მსგავსი აგიტაციური სამუშაოები გარკვეულ როლს ასრულებდა ოსთა ნაწილის შეგნებაში

¹ **მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე** - 1918 წლიდან იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, 1919 წლიდან არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხაზით. 1921 წელს, რუსეთის არმიის საქართველოზე თავდასხმის დროს, მოღვაწეობდა წითელ ჯვარში. ქვეყნის იძულებითი გასაბჭოების შემდეგ ჩაება ანტისაბჭოთა მოძრაობაში. იმყოფებოდა გადასახლებაში.

² **ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე** - 1918 წელს არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიის ხაზით. 1921 წლიდან ჩართული იყო ანტისაბჭოთა მოძრაობაში. იმყოფებოდა გადასახლებაში. დაბრუნების შემდეგ ეწეოდა კერძო პედაგოგიურ საქმიანობას.

³ **ქრისტინე შარაშიძე** - 1917 წელს იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის და თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი. 1919 წელს არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით. შედიოდა პრეზიდენტის სამდივნოში, იყო საბიბლიოთეკო, სარედაქციო და სახალხო განათლების კომისიის წევრი.

⁴ **ანა სოლოლაშვილი** - 1918 წლიდან მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში, ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი, 1919 წლიდან კი არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხაზით. იყო საბიბლიოთეკო და სარედაქციო კომისიის წევრი. საქართველოს იძულებით გასაბჭოების შემდეგ, ჩაება ანტისაბჭოთა მოძრაობაში, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. დაპატიმრებულ იქნა 1937 წელს და იმავე წელს საქართველოს შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სამეულის მიერ (ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდის და „შოვინისტური“ განწყობების, ასევე „მენშევიკთა“ ლიდერ რამიშვილთან კავშირის ბრალდებით) მიესაჯა დახვრეტა.

⁵ **ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე** - 1917 წელს არჩეული იყო გურიის ქალთა საზოგადოების თავმჯდომარედ, 1919 წელს არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხაზით. იყო შრომის კომისიის წევრი.

საქართველოს ხელისუფლებისადმი, ქართველი ხალხისადმი სიძულვილის ჩამოყალიბებაში, რაც მოგვიანებით შეიარაღებულ დაპირისპირებებში ვლინდებოდა.

კვლევის მეთოდები. მოცემულ სტატიაში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: განზოგადება, ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, შედარება, სისტემური მიდგომა. შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი, რომელიც გამოყენებულია კვლევის პროცესში, საკუთარ თავში აერთიანებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სახის თეორიულ მეთოდოლოგიას.

ძირითადი ნაწილი. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ჩვეული ტოლერანტობით მოეკიდა ეროვნულ უმცირესობათა საკითხს, მათთვის გარკვეული პროპორციულობით გამოიყო ადგილები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, მათვე, ქვეყნის უმაღლეს ტრიბუნაზე მიეცათ საკუთარ ენაზე სიტყვით გამოსვლის უფლება. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში თავიდანვე მითითებული იყო: „საქართველოს რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის პოლიტიკურ და სხვა უფლებებს; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“. (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აქტების კრებული, 1918-1921, 1990, გვ. 3-4)

ქართველთა გვერდით, საქართველოს ეროვნულ საბჭოში შევიდნენ: რუსი, ებრაელი, აფხაზი, ოსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. ამ წარმომადგენელთა ყოლის უფლება განისაზღვრა 1918 წლის 13 სექტემბრის კანონით „საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც იმ ეროვნულ უმცირესობას, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობს და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთაგან შედგება, ჰქონდათ ეროვნულ საბჭოში წარმომადგენლის ყოლის უფლება. მათთვის გამოყოფილი 26 ადგილიდან ორი ადგილი გათვალისწინებული იყო ოსთათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაში არსებობდა ქვეყნის დეცენტრალიზაციის განხორციელების პოლიტიკური ნება. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ 26 თვითმმართველი ქალაქის გვერდით, მაზრებში იქმნება თვითმმართველობის ახალი ფორმა - ერობები. უკვე 1920 წლის მარტის მდგომარეობით არსებობდა 20 სამაზრო ერობა.¹ ამ სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებას წარმოადგენდა: სახელმწიფო გადასახადების მოკრების უზრუნველყოფა, სახალხო განათლების განვითარება, სოციალური გარემოს გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების მართვა, გარემოს დაცვის და კომუნიკაციების განვითარების უზრუნველყოფა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის განვითარება, უსაფრთხოების დაცვა, წესრიგის უზრუნველყოფა, მიწის რეფორმის განხორციელება და სხვ.

სამაზრო ერობა აირჩეოდა ორი წლის ვადით, პირდაპირი, პროპორციული სისტემით. უნდა ითქვას, რომ თვითმმართველობათა მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკა ერთობ შთამბეჭდავია. ვგულისხმობთ 1920 წლისთვის მოქმედ ექვს ათეულზე მეტ ფაბრიკა-ქარხანას, გორი-ცხინვალის, სამტრედია-სენაკის და ქუთაისი-ხონის სარკინიგზო მონაკვეთების აგებას და სხვ.

რაც შეეხება გორის მაზრას, ერობის საარჩევნო კომიტეტი მოეწყო 1918 წლის გაზაფხულზე. კომიტეტის პრეზიდიუმი არჩეულ იქნა 17 აპრილს. რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ არჩევნები ჩატარდა 15/IX-23/X.² მაზრა გაყოფილი იყო რვა საარჩევნო ოლქად, აქტივობამ ორმოცდაათ პროცენტს გადააჭარბა.

გორის მაზრის ერობის რვა საარჩევნო ოლქიდან ერთ-ერთი ცხინვალის ოლქი გახლდათ, რომლის საარჩევნო შედეგების მიხედვითაც³ გორის მაზრის ერობაში ცხინვალიდან არჩეულ იქნა ხუთი ხმოსანი (ხუთივე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელი).

საგულისხმოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვითმმართველობის სისტემა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მაღალი დონით გამოირჩეოდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითად საშუალებას თემები წარმოადგენდა. განსაკუთრებული

¹ 1920 წლის მარტის მდგომარეობით არსებობდა შემდეგი სამაზრო ერობები: თბილისის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, დუშეთის, გორის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, ქუთაისის, შორაპანის, რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, სამურზაყანოს, კოდორის, გუმისთას და გუდაუთას.

² გორის მაზრის საეროზო არჩევნების სამაზრო ინსტრუქტორი გახლდათ მარიამ კაპანაძე, სამაზრო საეროზო საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარე - მიხეილ კობერიძე, თავმჯდომარის მოადგილე - დ. ხუციშვილი, მდივანი - მ. კინწურაშვილი.

³ გორის სამაზრო ერობის არჩევნებში ჯავის მხარის ოსმა მოსახლეობამ მონაწილეობა არ მიიღო.

ყურადღება ეთმობოდა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას. თემის შესახებ შემუშავებული კანონპროექტის¹ მიხედვით, იმ ტერიტორიაზე, სადაც ეთნიკური უმცირესობა მოსახლეობის 2/3-ზე მეტს შეადგენდა, თვითმმართველობებს შეეძლოთ სხდომების ჩატარება უმრავლესობის მშობლიურ ენაზე. თვითმმართველობა ვალდებული იყო უზრუნველყო არსებული დოკუმენტაციის ეროვნულ უმცირესობათა ენაზე თარგმნა და ა.შ.

ეროვნულ უმცირესობათა მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გატარებული მსგავსი ტიპის პოლიტიკის მიუხედავად, გორის სამაზრო ერობის არჩევნებში ოსთა გარკვეულმა ნაწილმა მონაწილეობაზე უარი განაცხადა. უფრო მეტიც, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის ფორმით გამოყოფის საკითხი დაისვა 1918 წლის 15-იდან 17 თებერვლამდე მიმდინარე ოსთა მეორე ყრილობაზე. სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ ამიერკავკასიის კომისარიატის წინაშე წარმოადგინა პროექტი, რომლის საზღვრებშიც შედიოდა გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრების ფარგლებში არსებული ტერიტორია.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას თავიდანვე მტრული განწყობით შეხვდა ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლება. საქართველოს წინააღმდეგ, მისი დასუსტების და შემდგომში ხელში ჩაგდების მიზნით, ვერაგული პოლიტიკის განხორციელებისას საბჭოთა რუსეთის უმთავრეს პარტნიორებად და დასაყრდენად წარმოდგენილი იყვნენ აფხაზი და ოსი სეპარატისტები.

საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მოზრდილი ტერიტორიის „მოზომვა“, ამ ტერიტორიისთვის თანდათანობით ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სახელწოდების დამკვიდრების მცდელობა და საბოლოოდ შიდა ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილის მისაკუთრება – ეს გახლდათ ოსური სეპარატისტული ფრთის მთავარი სტრატეგია და მიზანი.

„საქართველოს ნაწილის „ოსეთად“ მონათვლას (მაშინ, როდესაც ნამდვილი ოსეთი საქართველოს გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძვლები არ გააჩნდა და მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა - შეექმნა საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური პლაცდარმი რუსეთის კომპარტიისათვის, რომელიც მანამდე ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იყენებდა შიდა ქართლში.

ოსები საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა არ არის. ისინი ჩამოსახლებული ხალხია. რა დროიდან, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მიუხედავად იმისა, დიდი ხნის წინათ ჩამოსახლდნენ ისინი თუ ცოტასი. მაგრამ ჰქონდათ ოსებს ავტონომიური ოლქის სტატუსის უფლება? აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს – არა.

რაკი ოსები შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობა არ არის, მათთვის ამ ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭება ქართველი ხალხის სუვერენული უფლების დარღვევა იყო. ოსებისათვის ავტონომიის მინიჭება იურიდიულად წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის დაკანონებას. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ისეთივე ოკუპაციაა, როგორც რუსეთის მიერ აღმოსავლეთ პრუსიის დაპყრობა.“ (სონლულაშვილი, 2018, გვ. 287-288)

ბოლშევიკების მიერ წაქეზებულ ოსთა მხრიდან შიდა ქართლის მკვიდრი ადგილობრივი ქართული მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი აგრესიის გარდა ცნობილია ფაქტები, როდესაც ქართველი ეროვნების ადგილობრივი მოსახლეობის გარდა ოსთა გარკვეული ნაწილი უპირისპირდებოდა საქართველოში მოსახლე სხვა ეთნიკური ჯგუფების მოქალაქეებსაც. მაგალითად, ცხინვალელი ებრაელებისადმი იყო უხეშად მოქცევის შემთხვევები, არა მხოლოდ რიგითი ადგილობრივი ოსების, არამედ ოსი ეროვნების სამართალდამცავების მხრიდანაც. არსებობს მასალები (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი), ებრაელ მცხოვრებთა პურის რიგში დამცირების, მათთვის საკარმიდამო ნაკვეთების ჩამორთმევის და სხვ. ყოველივე ეს ძალზე ძაბავდა ებრაელთა და ოსთა შორის არსებულ ურთიერთობებს და ურთიერთმტრობის პლატფორმაზე გადაჰყავდა.

ა. სონლულაშვილის აზრით, შიდა ქართლის მცხოვრები ოსები აშკარად დაუპირისპირდნენ პირველ რესპუბლიკას და ყოველგვარი შეფარვის გარეშე დაიწყეს ქართული მიწის მისაკუთრებისა და ოსური სახელმწიფოს ფორმირების შექმნის მცდელობა. ყბადაღებული ერების თვითგამორკვევის რეალიზაციას ოსები ქართული ტერიტორიის ხარჯზე ფიქრობდნენ. (სონლულაშვილი, 2009, გვ. 96)

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად იყო დათმობაზე წასულიყო და ოსთათვის, როგორც ეთნიკური უმცირესობისთვის ეროვნულ-კულტურული ავტონომია მიენიჭებინა. სეპარატისტულად განწყობილი ოსების ნაწილს ეს წინადადება არ აკმაყოფილებდა, ამას ერთვოდა ბოლშევიკ-აგიტატორთა იდეოლოგიური მუშაობაც, რამაც საბოლოოდ ქართველთა და ოსთა დაპირისპირება განაპირობა. „ამ აგიტაციამ ადგილობრივი ხელისუფლებისადმი ოსი ხალხის სიძულვილის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა“. (ვადაჭკორია, 2003, გვ. 148)

¹ თემის შესახებ კანონპროექტის განხილვა დაგეგმილი იყო 1921 წლის დამდეგისთვის.

ეროვნულ უმცირესობათა სეპარატისტულ მისწრაფებებში, ქვეყნის უსაფრთხოების მიმართულებით, საშიშროებას ხედავდა ცენტრალური პრესაც: „ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობენ პატარა ერები – ოსები, აფხაზები, სომხები და სხვ. რომელთაც სურთ გამოყონ და შექმნან საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ეს რომ ასე მოხდეს, ყველაფერი დაიღუპება. ჩვენ ისედაც განადგურებულნი ვართ და თუ ყოველი პატარა ერი მოისურვებს შექმნას თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, მაშინ დაიღუპებიან ისინიც და ჩვენც.“ (ერთობა, 1918)

დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ლოიალურმა პოლიტიკამ მაინც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი. საბჭოთა რუსეთის წაქეზებული ოსური შეიარაღებული რაზმები რამდენჯერმე დაუპირისპირდნენ საქართველოს, შეიარაღებული ამბოხებებითა და გამოსვლებით სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. ამასთან, ყოველი ამბოხების დაწყება დაკავშირებული იყო ქვეყანაში მიმდინარე უაღრესად რთულ მოვლენებთან, რაც ახალშობილი ქართული რესპუბლიკისთვის ზურგში დანის ჩაცემას უდრიდა ყოველთვის.

„В 1918-1920 годах произошло три крупных восстания в Шида картли (именуемой в советское время Юго-Осетинской автономной областью). Все три восстания проходили под лозунгом установления Советской власти, и, что главное, - присоединение Южной Осетии к РСФСР. Наиболее мощным было восстание 1920 года. Характерной чертой всех этих восстаний было и то, что по времени они совпадали обычно с угрозой вражеского вторжения в Грузию“. (Ментешавили, 1994, стр. 249)

საქართველოს ხელისუფლებას, ბუნებრივია, ჰქონდა თავდაცვითი რეაქცია ოსთა სეპარატისტულ გამოხდომებზე. წამქეზებელ ბოლშევიკთა მხრიდან ეს შეიარაღებული გამოსვლები შერაცხულ იქნა ოსთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად. ეს აპრობირებული მეთოდი გახლდათ. საქართველოს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ საბჭოთა რუსეთის მუდმივ თავისტკივილად იყო ქცეული და მის აღმოსაფხვრელად საქართველოს ტერიტორიის დაქუცმაცება და ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ მცირე ერებს შორის წინააღმდეგობების გამწვავება იდეალური გამოსავალი იქნებოდა,

საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყნის თავდაცვის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს შორის სიმკაცრით გამოირჩეოდა 1920 წელს ცხინვალში განვითარებული მოვლენების წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოპერაცია. თუმცა ამ ოპერაციის ოსთა გენოციდის მიზნით მოწყობილად შეფასება, რა თქმა უნდა, აბსურდულია.

ამ მიმართულებით საგულისხმოა რ. თოფჩიშვილის მოსაზრება: „Как же можно считать жертвами геноцида осетин, павших в бою, который вели грузины за сохранение территориальной целостности? Такие жертвы, и притом большие, были также со стороны грузин. Говоря об осетинских беженцах, ни словом не упоминают грузинских беженцев, изгнанных с мест исконного проживания осетинскими сепаратистами. Мы, со своей стороны, можем с уверенностью сказать, что жертвы с обеих сторон – следствие осетинского сепаратизма, пожелавшего отторгнуть исконные грузинские территории и создать осетинское государство. Нельзя молчать и о том, что в раздувании конфликта осетинским сепаратистам помогли российские имперские силы, которые их поощряли и наставляли. Жаль, что грузины вовремя не догадались: русские с помощью осетин плетут нам сеть вот уже почти столетие“. (Топчишвили, 2015, стр. 330)

სამოქალაქო ომებში ჩაბმული საბჭოთა რუსეთი 1920 წლის ჩათვლით სათანადოდ ვერ ეხმარებოდა საქართველოში მოკალათებულ სეპარატისტულ ძალებს. მას სჭირდებოდა დრო და ეს დროც მალე დადგა. 1921 წლის თებერვალში საქართველოში შემოჭრის და იძულებითი გასაბჭოების აქტივით საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაასრულა არსებობა.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების და ანექსიის მიზნით საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში ოს სეპარატისტთა შეიარაღებული ბანდები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას. როგორც ს. რეხვიაშვილი მიუთითებს, საქართველოს დამპყრობელი საბჭოთა რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემადგენელი ნაწილი იყო ე.წ. დიგორის ოსთა პირველი რევოლუციური რაზმი. (რეხვიაშვილი, 1980, გვ. 19)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიიდან ერთი წლის თავზე შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

„В созданную 30 апреля 1922 года Юго-Осетинскую АО вошла северная часть горных районов Картли и часть провинции Рача. В составе АО оказались исторические провинции Грузии-Самачабло, Ксанское эриставство, Сапалавандишвило, часть Саамилахвро.

Это был совершенно неоправданный с исторической и юридической точки зрения акт, направленный против грузинского народа, поскольку на протяжении многовекового существования грузинской государственности осетины никогда не имели государственных образований на территории Грузии. Более того, две третьих живущих в Грузии осетин обюосновались за пределами т. н. «Южной Осетии» (в Кахети, Тбилиси, Боржомском ущелье) во второй половине XIX века и в XX веке“. (Гвасалиა, 2015, стр. 68)

პროფ. გ. სოსიაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიით და ქართული სახელმწიფოებრიობის ხელყოფით დაიწყო ბნელი ხანა, რომელმაც

რამდენიმე ათწლეული გასტანა და მძიმე დადი დაასვა ქართულ ცნობიერებას. საქართველო ბუნებრივი განვითარების გზას ასცდა. დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირობებში, გამოჩნდა მკვეთრი კონტრუბი ქართული სახელმწიფოს ევროპული სივრცისკენ სწრაფვისა. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დასამარების შემდეგ საქართველო ევროპულ ცივილიზაციას, ევროპულ სივრცეს დიდი ხნით მოწყდა. ქვეყანაში დაიწყო „ახალი ცხოვრება“. ბოლშევიკური ხელისუფლება აქტიურად შეუდგა ქვეყნის მართვას. (საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), 2013, გვ. 5)

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის¹ 1921 წლის 6 მარტის დადგენილებით - წინადადება მიეცა პარტიის ყველა წევრს, კერძოდ, თბილისისა და ბათუმის ორგანიზაციებს, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საგანგებო კომისიების მუშაობას ისე, რომ ორგანიზაციის ყოველი წევრი იყოს საგანგებო კომისიის აგენტი მენშევიკებისა და ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში. (კვერენჩილაძე, 2014, გვ. 6)

ქართველი ბოლშევიკები ტოლს არ უდებდნენ რუს თანამოაზრეთ. როგორც რ. კვერენჩილაძე მიუთითებდა, მართალია მათ ქართველები ერქვათ, მაგრამ არსებითად რუსეთის ბოლშევიკური პარტიის შემადგენელი ნაწილი იყვნენ. ძმობისა და ბედნიერი ცხოვრების – კომუნისმის დამყარების დროში გაუგონარი საშინელებანი დაატრიალეს. (კვერენჩილაძე, 2011, გვ. 14)

ამ ყოველივეს მიუხედავად, ქართველი საზოგადოებრიობა აგრძელებდა პროტესტის გამოხატვას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიხმოთ 1921 წლის 7 მაისის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომის ოქმი. აღნიშნულ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის აღნიშვნის ფორმებთან დაკავშირებით.

ამ დადგენილების მიხედვით, 26 მაისის აღნიშვნას უნდა მისცემოდა შეძლებისდაგვარად სადღესასწაულო ხასიათი. პროგრამა ითვალისწინებდა საზეიმო სვლას, მანიფესტებს, მიტინგებს, არანაირი ეროვნული დროშა არ დაიშვებოდა გარდა წითელი დროშებისა. იგეგმებოდა სამხედრო ალღუმი, მიტინგები დახურულ შენობებში, უფასო თეატრალური დადგმები და სხვ.

ჩამოთვლილი აქტივობების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ფართო მასისთვის განემარტათ დამოუკიდებლობის კომუნისტური გაგება, რომელმაც თავისი არსი მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობის შემდეგ შეიძინა. ამ დღეს ქართველ ერს საქართველოს გასაბჭოება უნდა ეზეიმა. (საქართველოს შსს არქივი)

პროტესტის გრძნობით განმსჭვალული და პატრიოტულად განწყობილი ქართველი ხალხი სახლიდან გარეთ არ გასულა. ქუჩაში მხოლოდ რუსები, სომხები და რუსი ებრაელები ზეიმობდნენ.

ბიბლიოგრაფია:

არდაშელია, ო. (2018). *საქართველო-აზერბაიჯანის სტრატეგიული პარტნიორობა (ისტორია და თანამედროვეობა)*. თბილისი: უნივერსალი.

ერთობა. (1918). #129.

ვადაჭკორია, შ. (2003). *საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე)* (წიგნი I). თბილისი.

კვერენჩილაძე, რ. (2011). *საბუთები დადადებენ*. თბილისი: უნივერსალი.

კვერენჩილაძე, რ. (2014). *წამების გზა* (წიგნი I). თბილისი: უნივერსალი.

რეხვიაშვილი, ს. (1980). დიგორის პირველი რევოლუციური რაზმი საქართველოში. კრებულში: *მეგობრობა*. თბილისი.

საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები). (2013). დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა. თბილისი:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აქტების კრებული, 1918-1921. (1990). თბილისი.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი. ფონ. #284, ანაწ. #1, საქ. #1079, ფურც. 7-8.

საქართველოს შსს არქივი. (II), ფ. #14, აღწ. #1, ს. #5, ფურც. 29.

სონდულაშვილი, ა. (2009). „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! თბილისი.

სონდულაშვილი, ა. (2018). *საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა*. თბილისი.

¹ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამ პერიოდში გახლდათ მიხ. კახიანი.

ტაბაღუა, ი. (1995). საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა დე ფაქტო და დე იურე. ევროპის და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კრებულში: *საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან* (ტ. II). თბილისი.

Гвасалиа, Д. (2015). Шида Картли и осетинская проблема. В сбор. *«Осетины в Грузии»*. Тбилиси.

Ментешавили, А. (1994). Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах. В сбор. *«Осетинский вопрос»*. Тбилиси.

Топчишвили, Р. (2015). Об осетинской мифологии истории и кража истории. В сбор. *«Осетины в Грузии»*. Тбилиси.

Aleksandre Mgebrishvili

Gori State University

**STRATEGY AND GOAL OF THE AUTHORITIES OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF
GEORGIA IN THE TSKHINVALI REGION
(1918-1921)
RESUME**

In the history of the peoples of the Caucasus, concern for self-preservation has always been relevant. In order to maintain security, it was necessary to overcome obstacles, maintain the balance of the great powers, and make appropriate political decisions.

The signing of the Brest-Litovsk Treaty in 1918 accelerated the process of Georgia's declaration of independence. Naturally, along with other factors, this circumstance was conditioned by the strengthening of the real threat of the growth of Turkish influence in the South Caucasus.

After the declaration of independence by Georgia, the independence of the Democratic Republic of Georgia was recognized de facto by the Supreme Council of the Entente¹, and the same council recognized the independence of Georgia de jure on January 27, 1921. The next day, Italian Foreign Minister Carlo Sforza wrote to Georgian Foreign Minister Evgeni Gegechkori²: "According to the issue raised by the Georgian Foreign Minister, a decision was made yesterday on the de jure recognition of the Republic of Georgia." (Tabaghua, 1995, p. 100)

The heads of different states recognized the Democratic Republic of Georgia de jure at short intervals. These countries were: Turkey, Russia, Germany, Switzerland, Belgium, France, England, Italy, Japan, Austria, Romania, Haiti, Liberia, Mexico, Panama, Siam, Luxembourg and others.

The first democratic republic of Georgia was distinguished by the diversity of political parties. This made it possible for representatives of all social strata to freely express their opinions and to protect the interests of each ethnic group.

Keywords: Occupation, Territorial integrity, Georgian-Ossetian, Soviet Russia, Ethno-conflict, Bolshevism, Sovereignty, Separatism, Independence.

¹ On January 12, 1920.

² Evgeni Gegechkori - was elected as the chairman of the South Caucasus government and the acting minister of the military. On June 2, 1918, Gegechkori was appointed as the Minister of Foreign Affairs of independent Georgia. In the absence of Noe Zhordania, he acted as the chairman of the government. Based on the decision of the Constituent Assembly on March 12, 1919, he first held the position of Minister of Foreign Affairs, and from 1921, by combination, the position of Minister of Justice.

ჟან რასინის ბიბლიური პასაჟების რეინტერპრეტაცია „ესთერის“ მიხედვით

საკვანძო სიტყვები: კლასიციზმი, რასინი, დრამატურგია, ბიბლია, ესთერი.

ცნობილი ფრანგი დრამატურგი, ჟან ბატისტ რასინი (1639-1699 წწ.) XVII საუკუნის საფრანგეთის ეროვნული კულტურის ფორმირებისა და ფრანგული კლასიკური ლიტერატურის აღმავლობის ეპოქაში მოღვაწეობდა. რასინს ბრწყინვალე კარიერა ჰქონდა და სამეფო კარის დაახლოებული პირი იყო. იგი საფრანგეთის აკადემიის წევრი გახდა 1673 წელს, ხოლო 1677 წლიდან კარის ისტორიოგრაფის ტიტული მიენიჭა და მეფე ლუი XIV ყველა ლამქრობაში თან დაჰყვებოდა, 1694 წელს კი მეფემ თავის პირადი მდივნის თანმდებობა უბოძა. ეს არის პერიოდი, როცა ლუი XIV პოლიტიკური კურსი სამეფო ხელისუფლების აბსოლუტიზაციაში მდგომარეობდა, რომელმაც თავი გამოაცხადა ერთადერთ და ექსკლუზიურ ავტორიტეტად საზოგადოებრივი თუ სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. ბრწყინვალეობა და დიდებულება სავალდებულო ეტიკეტი ხდება ამ პერიოდის ფრანგული კულტურისათვის, მაგრამ, ამავე ბრწყინვალე გარეგნობის უკან სოციალური და მორალური წესრიგის ღრმა და ტრაგიკული წინააღმდეგობებია, რომლებმაც განსაზღვრა XVII საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგული სულიერი ცხოვრების და ლიტერატურული მიმდინარეობის შინაარსი. რიშელიეს ეპოქის მიერ წამოჭრილი პოლიტიკური პრობლემების სიმწვავე აქტუალობას კარგავს და ადგილს უთმობს ქვეყანაში ფილოსოფიურ-ესთეტიკურ პრობლემებს.

სამეფო ძალაუფლების აბსოლუტიზმის ყველაზე ძლიერი მხარდამჭერი იყო ლუი XIII მინისტრი, კარდინალი რიშელიე, რომელმაც შექმნა უნაკლო ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატი, მისი მთავარი პრინციპი კი დაფუძნებული იყო საყოველთაო დისციპლინაზე. სოციალური ცხოვრების ამ ძირითადმა პრინციპმა რა თქმა უნდა გავლენა იქონია ხელოვნების განვითარებაზე. თუმცა ხელოვნებას დიდად აფასებდნენ, და სახელმწიფო ყველანაირად ხელს უწყობდა მის განვითარებას, ამავე დროს სამეფო კარი და დიდი მოხელეები ცდილობდნენ თავის ინტერესებისათვის დაემორჩილებინა ხელოვანები. ბუნებრივია, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი სწორედ კლასიციზმის ხელოვნება გახდა (Bonnefon, 1895, p. 147-159).

კლასიციზმი (ლათინურად Classicus - სამაგალითო) XVII საუკუნეში აბსოლუტური მონარქიის იდეოლოგიის ფონზე წარმოიშვა საფრანგეთში, როგორც ხელოვნებისა და ლიტერატურის მიმდინარეობა, რომელიც საფრანგეთის კულტურის სიმბოლოდ იქცა და რომლისთვის მთავარი მახასიათებელია ანტიკურ ხელოვნების ნიმუშთა იდეალურ-ესთეტიკურ ნორმებად გამოცხადება. ამ მიმდინარეობას საფუძვლად უდევს როგორც ანტიკური ხანის ფილოსოფიურ-იდეოლოგიური ეტალონები, ასევე რაციონალიზმი. კლასიციზმი თეატრში მე-17-ე საუკუნეში ფრანგმა დრამატურგებმა განავითარეს. მისი სტილი ბერძნული კლასიკური თეატრის წესების მიხედვით დახვეწეს და მათ შორის არისტოტელეს „პოეტიკაში“ ნაპოვნი დროის, ადგილისა და მოქმედების „კლასიკური ერთობის“ მიხედვით ჩამოაყალიბეს. მაშასადამე, კლასიციზმმა ტრაგედიისთვის ე.წ. სამი ერთიანობის კანონი დააფუძნა: დროის (რომელიც მოიცავდა 24 საათს), ადგილის (აუცილებლად უნდა ყოფილიყო მეფის სასახლე და ისიც, ერთი რომელიმე დარბაზი) და მოქმედების (ტრაგიკული მოქმედება მხოლოდ ერთი ინტრიგით უნდა ყოფილიყო ნასაზრდოები). კლასიციზმის თეორეტიკოსები თვლიდნენ, რომ ხელოვნებაში სილამაზის საფუძველი ყალიბდება გარკვეული კანონებით, რომლებიც წარმოიქმნება ჰარმონიის რაციონალური გაგებით. მრავალრიცხოვანმა ტრაქტატებმა ხელოვნების შესახებ წინა პლანზე დააყენა პოეტის ჰარმონია, რაციონალურობა და შემოქმედებითი დისციპლინა, რომელიც ვალდებული იყო წინააღმდეგობა გაეწია მსოფლიო ქაოსისთვის. კლასიციზმის ესთეტიკა ფუნდამენტურად რაციონალისტური იყო, რის გამოც უარყო ყველაფერი ზებუნებრივი, ფანტასტიკური და სასწაულებრივი, როგორც სადი აზრის საწინააღმდეგოდ. შემთხვევითი არ არის, რომ კლასიციზტები იშვიათად და უხალისოდ მიმართავდნენ ქრისტიანულ თემებს. ანტიკური კულტურა, პირიქით, მათთვის გონების და სილამაზის განსახიერება იყო (Расин, 1977, стр. 377-408). ფრანგული კლასიციზტური ლიტერატურის

ცნობილი წარმომადგენლები არიან: ბუალო, რასინი, კორნელი, მოლიერი, მადამ დე ლაფაიეტი, ლა ფონტენი...

XVII საუკუნის საფრანგეთის სამი უდიდესი დრამატურგიდან ერთ-ერთია რასინი, კორნელთან და მოლიერთან ერთად. იგი შემდეგი ცნობილი ტრაგედიების ავტორია: „ანდრომაქე“ (1667 წ.), „ბრიტანიკუსი“ (1669 წ.), „იფიგენია“ (1674 წ.), „ფედრა“ (1677 წ.), „ესთერი“ (1689 წ.), „ატალია“ (1691 წ.) და სხვ. ჟან რასინი XVII საუკუნის ფრანგული კლასიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში იგი დამკვიდრდა, როგორც ტრაგედიის განსაკუთრებული ჟანრის დამაარსებელი. რასინის რელიგიური და ფილოსოფიური პრობლემების თვალსაწიერი მოიცავს არა მხოლოდ მოვალეობებისა და ვნებების კონფლიქტს, არამედ ცოდვა და მადლის არსის წვდომასა თუ ქრისტიანულ თავგანწირვას. რასინის ყურადღების მთავარი საგანია ადამიანის შინაგანი ხასიათის სიტყვიერად სიზუსტით აღწერა დრამატურგიაში. ჟან რასინის გავლენა ყველაზე მეტად საფრანგეთში შეიმჩნევა - ჟან ჟაკ რუსო, მადამ დე სტალი, შატობრიანი, გუსტავ ფლობერი, მარსელ პრუსტი თავიანთ ნაშრომებში დრამატურგ რასინის მიერ შექმნილ ფსიქოლოგიურ სურათებს იყენებენ (Lanson, 1903, p. 177-231).

ჟან რასინის, როგორც ბრწყინვალე დრამატურგის მიმართ ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, დაწყებული მისი თანამედროვეობიდან დღემდე როგორც ევროპაში, ასევე მთელს მსოფლიოში და რა თქმა უნდა საქართველოში. XIX საუკუნის დასაწყისში ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია რასინისა და კორნელის ნაწარმოებთა თარგმანები. მას უთარგმნია რასინის „ესთერი“ და „ფედრა“, თუმცა „ესთერის“ ალექსანდრე ჭავჭავაძისეული თარგმანის მცირე ნაწილია არის შემორჩენილი დღეისათვის.

პოლ ჟაკინემ (1815-1902 წწ.), რომელიც გახლდათ საფრანგეთის ეროვნული განათლების გენერალური ინსპექტორი, 1889 წელს გამოსცა რასინის „ესთერი“ შესანიშნავი კომენტარებით, ლიტერატურულ-გრამატიკული და ისტორიული შენიშვნებით, სადაც ერთგან აღნიშნავს, რომ თუმცა რასინი ერთგულია ანტიკური მოდელისა დრამატურგიაში, მას ესთერის - როგორც მთავარი პერსონაჟის სახით საკმაოდ საინტერესოდ შემოაქვს ბიბლიური მოტივები, რომლითაც ქმნის ნამდვილად დადებით გმირს (Racine, 1889, p. 26).

თანამედროვე ფრანგი პროფესორი და ლიტერატურის მკვლევარი ემანუელ ბლანი თავის წერილში „ჟან რასინის ბიბლიური ტრაგედიები“, რომელიც გამოაქვეყნა 2021 წელს Odysseum /eduscol-ის საფრანგეთის სამინისტროს განათლების ეროვნულ პორტალზე, წერს, რომ „თუ რელიგიური თეატრი, შემოიფარგლებოდა უბრალო „ღვთისმოსაობის საუბრებში“, რელიგიური ტრაგედია, წინააღმდეგობრივ მიზანს ატარებდა, რამდენადაც რელიგიური თემები შეუთავსებელი ჩანდა ტრაგიკულ თემებთან... პირველი, იმიტომ, რომ გმირებად ზოგადად წმინდანები არიან წარმოჩენილი... მაგრამ ტრაგედიაში გმირი, რომელსაც ბედი მართავს, არც კარგია და არც ცუდი... სენტ-ევრემონდი წერდა 1672 წელს (ძველი და თანამედროვე ტრაგედიის შესახებ): „ჩვენი რელიგიის სული საპირისპიროა ტრაგედიისა. ჩვენი წმინდანების თავმდაბლობა და მოთმინება ზედმეტად ეწინააღმდეგება თეატრის მიერ მოთხოვნილ გმირთა სათნოებებს...“ შემდეგ ავტორი ამ სტატიისა აგრძელებს, რომ სწორედ ამიტომ ირჩევდა რასინი ბიბლიურ ძველი აღთქმის მოტივებზე აღებული სიუჟეტს თავის დრამებში, რომელთაგანაც გამონაკლისია „ესთერი“ ბედნიერი დასასრულით, რომ ტკივილიანი გზის და ტრაგედიების გამოვლის შემდეგ გმირებს ზეცისაგან ეძლევა კურთხევა და წარმატება (Blanc, 2021).

თუმცა ეს პერიოდი XVII საუკუნის პირველი ნახევრისთვის დამახასიათებელი იყო, როგორც ლიტერატურა - რელიგიური გზავნილის გარეშე, ანუ წმინდა წერილის სასწაულები ეკუთვნოდა საოცრებას, რომელსაც კლასიკური რაციონალიზმი გამორიცხავდა თეატრალური წარმოდგენისგან. მიუხედავად ამისა, რასინის ბიბლიური ისტორიებით ნასაზრდოები დრამები გამორჩეულად პოპულარული იყო გამოქვეყნების დღიდან და წარმატებით იდგმებოდა სხვადასხვა სცენაზე.

შუა საუკუნეების კათოლიციზმში, განსაკუთრებით საფრანგეთში, ადამიანის სულის უფრო რთული გაგება გამოიხატებოდა იანსენისტების სწავლებებში და პასკალის ფილოსოფიაში. სწორედ ამ იდეებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რასინის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში.

იანსენიზმი (ლათინურად - Iansenismus) მისი დამაარსებლის, ჰოლანდიელი თეოლოგის კორნელიუს იანსენიას სახელის მიხედვით, იყო რელიგიური მოძრაობა კათოლიკური ეკლესიის შიგნით, რომელიც, აკრიტიკებდა მის ზოგიერთ დოგმას, თუმცა ერესად შეირაცხა მალევე რომის პაპის მიერ. იანსენიზმის ფილოსოფიური ბირთვი წინასწარგანწყობის, „მადლის“ იდეაში განიხილებოდა, რომელზედაც საბოლოოდ დამოკიდებული იყო სულის ხსნა. იანსენისტებს სწამდათ, რომ ადამიანის თავდაპირველი ცოდვის, მისი ბუნების სისუსტის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ზემოდან მხარდაჭერით, მაგრამ გადარჩენის შეუცვლელი პირობაა ამ სისუსტისა და ცოდვის შინაგანი შეგნება, მუდმივი სწრაფვა ზნეობრივი სიწმინდისა და სათნოებისაკენ. ამრიგად, იანსენისტების დოქტრინაში

თავმდაბლობა ღმერთის დაუოკებელი განგებულების წინაშე და შინაგანი მორალური ბრძოლის პათოსი ცოდვასთან და მანკიერებებთან, რომელსაც ხელმძღვანელობს გონების ანალიზის ძალა, წინააღმდეგობრივი იყო. ბუნებით რელიგიური იანსენიზმი ამავე დროს რაციონალისტური გახლდათ თავისი განწყობით და მე-17-ე საუკუნეში გონების როლის შესახებ ქადაგებდა. იგი ხაზს უსვამდა ადამიანის ცოდვით სავსე ბუნებას და მისი პირვანდელი ცოდვის შედეგად დაცემას, და შესაბამისად, აღიარებდნენ უფლის მიერ სამყაროში მოვლენების წინასწარგანსაზღვრულობას და აბსოლუტურ აუცილებლობას ღვთიური მადლისა ადამიანის გადასარჩენად. იანსენისტები გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ პიროვნების რწმენისა და მოქმედების არჩევანის თავისუფლებას.

ზოგადად, მე-17-ე საუკუნის შუა პერიოდი ძალიან მდიდარი იყო ახალი რელიგიური სწავლებებით; ზოგიერთმა მათგანმა შეიძინა დიდი სოციალური მნიშვნელობა და სხვა კულტურულ და სოციალურ მოძრაობებთან შერწყმა და გავლენა იქონია პოლიტიკაზეც. ამ სწავლებებს შორის იანსენიზმი ალბათ ყველაზე გავლენიანი იყო (Нерасова, 2008, стр. 54-65).

რასინის შემოქმედების გასაგებად აუცილებელია გავითვალისწინოთ ორი მნიშვნელოვანი მომენტი: იანსენისტური სწავლება და მიდრეკილება ბერძნული პოეზიისადმი. იანსენიზმმა პოეტს ჩაუნერგა რწმენა, რომ ადამიანი ბუნებით არის ცოდვილი, რომ ნებისმიერი დამსახურება, სიკეთე ადამიანში მოდის არა მისი ძალისხმევით, არამედ ღვთიური მადლით. ამგვარად, იანსენისტები მზად არიან გადარჩენისთვის (თუმცა მათ არ აქვთ ნდობა მის მიღწევაში) და სამყაროს უარყოფისთვის, რომელიც მათთვის გამოუსწორებლად დაზიანებულია თავდაპირველი ცოდვის შედეგად. ისინი პოულობენ მშვიდობას, „თავშესაფარს“ წინასწარ განსაზღვრულობაში, მაგრამ ეს გულისხმობს მარტოობას, სამყაროს გარეთ არსებობას, კომპრომისის მიღწევის შეუძლებლობას, რაც მათ უქმნიდა რეალობის ტრაგიკული აღქმის საფუძველს.

რასინის შემოქმედების ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შემდეგ, რომელიც ზემოთ ხსენებული იანსენიზმის ელემენტებით იყო ნასაზრდოები, თუ მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ აზროვნებას გავანალიზებთ, ნათლად ჩანს, რომ ზოგადად ჩამოყალიბებული მხატვრული სისტემა, რაც დამახასიათებელი იყო კლასიციზმისთვის მის სრულ განსახიერებას სწორედ რასინის შედეგებში პოეზებს.

კლასიციზმის კლასიკური დოქტრინის ჩამოყალიბება ძირითადად ხდება 1620-1630-იან წლებში, როდესაც თანდათანობით, კრიტიკული დისკუსიების დროს, იქმნება წესების სისტემა, რომელიც არეგულირებს ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრს. ეს მკაცრად ნორმატიული მიმდინარეობა, როგორც აღინიშნა, ეფუძნებოდა რაციონალისტური ფილოსოფიის პრინციპებსა და მეთოდებს, უპირველეს ყოვლისა, გონების „უნივერსალურ“ კანონებს და ფუნდამენტურ მოთხოვნებს აყენებდა აზროვნების ლოგიკური სიცხადისა და მისი სიტყვიერი გამოხატვისათვის. კლასიციზმმა მაღალ და დაბალ ჟანრებად დაჰყო ლიტერატურული ჟანრები. მაღალ ჟანრებში მოიაზრებოდა ტრაგედია, ეპიკური პოემა, ოდა, ჰიმნი. დაბალ ჟანრებად კი კომედია, იგავ-არაკი, ზღაპარი დასახელდა. ჟანრების ურთიერთშერევა მკაცრად იკრძალებოდა. მაღალი ჟანრების მოქმედი პირები ღმერთების, მეფეების თუ გმირის დონეზე ასული არისტოკრატების სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო ბურჟუაზიის და დაბალი ფენების წარმომადგენლები მხოლოდ დაბალ ჟანრებში გამოჰყავდათ.

ჟან რასინის ტრაგედიებისთვის დამახასიათებელია ლაკონიზმი, სამი ერთიანობის კანონის დაცვა და ყურადღების გამახვილება ფსიქოლოგიურ ანალიზზე. რასინისთვის კლასიციზმი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობდა იმაში, რომ დაენახა და შეეღწია მკითხველს თვით არსებაში და მარადიულში, რასაც ბიბლიური მოტივის გამოყენებით ცდილობდა. როგორც აღვნიშნეთ, რასინის დრამატურგია ბიბლიურ სიუჟეტებითაა ნასაზრდოები. ზოგადად ტერმინი „რელიგიური დრამა“ მოიცავს ავტორის ლიტერატურულ პიესებს ბიბლიურ, ჰაგიოგრაფიულ, ალეგორიულ და მასთან დაკავშირებულ სულიერ თემებს. კლასიციზმის რელიგიური შინაარსის სპექტაკლი განსხვავებულია შემდეგი ეპოქისგან, განმანათლებლობისგან, როდესაც ბიბლიური მოტივის საფუძველი პოლიტიკურ ან ანტიკლერიკალურ ნაშრომს წარმოადგენდა.

რასინის „ესთერი“ არის XVII საუკუნისთვის დამახასიათებელი ტრაგედია, რომელიც შთაგონებულია ბიბლიური ისტორიით. ეს არის სამოქმედებიანი პიესა ლექსად, გუნდთან ერთად, რომელიც მაძამ დე მენტენონმა დაუკვეთა სენ-ლუსის ახალგაზრდა დიდებული გვარის ჩამომავალ გოგონათა სამეფო პანსიონატის მოსწავლეებისთვის. იგი პირველად წარმოდგენილი იქნა 1689 წლის 26 იანვარს სენ-სირში. ძველი აღთქმის სიუჟეტზე დაწერილი ეს ტრაგედია სრულიად განსხვავებულად არის აგებული: მასში არის სამი და არა ხუთი მოქმედემა, დარღვეულია ადგილის ერთიანობა; სპექტაკლი მთავრდება ბედნიერი დასასრულით.

ნაწარმოები იწყება რელიგიური პროლოგით: „ერთგულება“ - ლუი XIV და მისი მეორე იდუმალი მეუღლის მაძამ დე მენტენონის სადიდებლად, რომელიც, როგორც ფრანგი ისტორიკოსები წერენ,

ცნობილი იყო თავისი ერთგულებით მეფისადმი. ესთერი კი ბიბლიური პერსონაჟია და ებრაელი ხალხის მხსნელად ითვლება. მის პატივსაცემად იმართება დღესასწაული ადარის თვეში (ებრაული კალენდრის თვე, რომელიც შეესაბამება გრიგორიანული კალენდრის თებერვალს/მარტს) სახელწოდებით პურიმი. საერთოდ, ფართოდ არის ცნობილი, რომ ესთერმა თავი საფრთხეში ჩაიგდო, რათა თავისი ხალხი გადაერჩინა სიკვდილისგან. რასინის დრამის „ესთერის“ სიუჟეტიც ასე ვითარდება: სპარსეთის მეფემ უარყო და გააძევა დედოფალი ვაშტი დაუმორჩილებლობის გამო, რის შემდეგაც ახალი მეუღლის ძიებას იწყებს. ასარჩევად ულამაზესი გოგონები მიჰკვარეს, რომელთა შორის ესთერი ამოარჩია. ესთერმა ტახტზე ასვლის შემდეგ საკუთარი თავი და თავისი ხალხი იხსნა შეთქმულებისაგან, რომელიც კარის უხუცესმა და ესთერის გამზრდელის, მორდოქაის მტერმა, ჰამანმა ჩაიფიქრა, რითაც საფუძველი ჩაეყარა პურიმის დღესასწაულს (ბიბლია, 1989, გვ. 465-471).

აქ ავტორი ცდილობდა მაძამ დე მენტენონთან პარალელი გაეგლო ამ რელიგიური პასაჟის გადმოტანით თავის დრამაში და ესთერის მეუღლის, ბიბლიაში რამდენჯერმე ნახსენები სპარსეთის საქვეყნოდ ცნობილი და ძლევამოსილი მეფე ქსერქსე I (ახაშვეროში - ასეა ნახსენები ბიბლიაში) ანუ ასურუსის (Assuerus - როგორც მას რასინი მოიხსენიებს დრამაში „ესთერი“) სახით კი მეფე ლუი XIV ასხამს ხოტბას. იეზუიტური იდეების ერთგული მაძამ დე მენტენონი დარწმუნებული იყო თეატრის საგანმანათლებლო ღირებულებაში. ამიტომ მან მიმართა რასინს, დაეწერა „ღვთისმოსაობისა და ზნეობის თემაზე... რომელშიც სიმღერა შერეული იყო ამბავთან“ (Goldmann, 1962, p. 255). ამ შეკვეთით რასინმა დააკავშირა ტრაგედია და ლირიკული ტრაგედია (ანუ ერთგვარი ფრანგული ოპერა, რომელიც XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, თითქმის 100 წელი, XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე იდგმებოდა ფრანგულ სამეფო თეატრის სცენაზე). რასინს ეს ასევე აძლევდა ძველი ბერძნული ტრაგედიის ტრადიციის გამოყენების საშუალებას, რომელშიც სიმღერა შერეული ყოფილიყო მოქმედებასთან, რასაც ის „ესთერის“ დრამაში ელიზის პერსონაჟის წყალობით გადმოგვცემს, რომელსაც ორმაგი როლი აქვს.

ბიბლიური სიუჟეტის მთავარი გმირები ანალოგია თვით მეფისა, მისი ყოფილი რჩეულისა, მაძამ დე მონტესპანისა, რომელიც ურჩობის გამო სასახლიდან განდევნეს; ესთერი, რა თქმა უნდა, თავად მაძამ დე მენტენონის პროტოტიპად იყო წარმოჩენილი; ხოლო დაუნდობელი ჰამანი გაიგივებული იყო მინისტრ ლუვოასთან. ტრაგედიის მთავარი თემა - ჰამანის მიერ ებრაელთა დევნა - ინტერპრეტირებული იყო ფრანგ პროტესტანტებთან მიმართებაში, რომლებიც კანონგარეშედ გამოცხადდნენ ნანტის ედიქტის გაუქმების შემდეგ (1685 წ.). სხვა ინტერპრეტაციასაც განიხილავენ ზევრად უფრო დამაჯერებელს ამის თაობაზე, რომლითაც ტრაგედიაში ვხედავთ იანსენისტების გამოქომაგებას, რომლებიც ასევე სასტიკ დევნას განიცდიდნენ. ესთერის ეპიზოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ღმერთი, რომელიც იხსნის თავის ხალხს სუსტაა მეშვეობით. ჩვენ მოწმენი ვართ უდანაშაულობისა და სისუსტის დაპირისპირებისა, ძლიერებისა და ცრურწმენების წინააღმდეგ, მეფის ესთერისკენ სიკეთით შემობრუნებას ასევე არ აქვს დამაჯერებელი ფსიქოლოგიური ახსნა, მხოლოდ მაძლი, როგორც ჩანს, უბიძგებს მას საბოლოო გადაწყვეტილებისკენ.

რასინმა, როგორც დრამატურგმა, შემოიღო „ინსტინქტის ფსიქოლოგია“ ტრაგიკულ ჟანრში, ეს არის ქალის ცნობიერება, რომელსაც მართავს ირაციონალური, გრძნობა, მიჯაჭვულობა და არა იდეა, გონება. თუ კორნელთან ძლიერი ნებისყოფის „მამაკაცის“ თეატრია წარმოდგენილი, რასინთან ქალური ინსტინქტებია წინა პლანზე წამოწეული, სადაც ქალი მეფობს უზენაესად, თანდაყოლილი ემოციურ-ფსიქოლოგიური იმპულსებით. რასინს უკვე ჰყავს ახალი ტიპის ადამიანი, რომელიც ზომავს თავის სიტყვებსა და მოქმედებებს იმით, თუ როგორ იმოქმედებენ ისინი სხვებზე. ამრიგად, რასინთან ტაქტი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მანერები, ეს არის ადამიანის გამოხატულება, მისი სულიერი კეთილშობილებითა და მგრძნობელობით (Расин, 1977, стр. 377-408).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნეში რელიგიური დრამა რჩებოდა ცოცხალ ფენომენად, როგორც საფრანგეთის, ასევე დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის თეატრში და სარწმუნოებრივი პიესების საფუძველზე შექმნილი სპექტაკლები, მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ამ ეპოქის საფრანგეთის ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ბიბლიური თემების თეატრალური ნაწარმოებები სამეფო კარისა და ზოგადად საზოგადოების უპირველეს სულიერ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. სწორედ ბიბლიის მოტივებზე ადებული ისტორიების რეინტერპრეტაცია ანუ ხელახალი გააზრება ჟან რასინის მიერ, რომელიც შესანიშნავად წარმოაჩინა ავტორმა თავის დრამებში, ახალ სიცოცხლეს ჰმატებდა კლასიციზმის ეპოქის ტრაგედიებს... და ფაქტიურად საფრანგეთის კულტურის ახალ სახელმწიფო პოლიტიკას და განათლებას დაუდო საფუძველი. ჟან ბატისტ რასინის „ესთერი“ ამის თვალსაჩინო მაგალითია, რადგან ისევ წინა პლანზე გამოდიოდა უკვდავი თემები ერთგულებისა, თავგანწირვისა, სიყვარულისა, მეგობრობისა, ადამიანის მარადიული სწრაფვისა უფლისადმი სასოებისა... ჟან რასინმა ეს ყველაფერი ხელახალი ინტერპრეტაციით წარმოაჩინა და XVII საუკუნის დრამატურგიას შესანიშნავად მთარგო, თუმცა აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს.

ბიბლიოგრაფია:

- ბიბლია. (1989). *ესთერი*. (გვ. 465-471). თბილისი: საქართველოს საპატრიარქო.
- Beugnot, B. (1969). Review of [Gabriel Spillebout, *Le Vocabulaire biblique dans les tragédies sacrées de Racine*, Genève, Droz, Publications romanes et françaises, XCIX, 1968, 440 p.]. *Études littéraires*, 2(1).
- Blanc, E. (2021, 08.04.). *Les tragédies bibliques de Jean Racine*. Retrieved from <https://eduscol.education.fr/odyseeum/les-tragédies-bibliques-de-jean-racine>
- Bonnefon, D. (1895). *Les écrivains célèbres de la France, ou Histoire de la littérature française depuis l'origine de la langue jusqu'au XIXe siècle*. Paris: Librairie Fischbacher.
- Butler, P. (1959). *Classicisme et baroque dans l'oeuvre de Racine*. Paris.
- Delfour, L. (1891). *La Bible Dans Racine*. Paris: Éditeur Ernest Leroux.
- Goldmann, L. (1962). Structure de la tragédie racinienne. In *Le théâtre tragique*. Paris.
- Lanson, G. (1903). Études sur les origines de la tragédie classique en France. *Revue d'Histoire littéraire de la France*, X, 177-231, 413-436.
- Littman, R. J. (1975). The Religious Policy of Xerxes and the Book of Esther. *The Jewish Quarterly Review*, 65(3), 145-155.
- Orcibal, J. (1952). Le genèse d' Esther et d'Athalie. *Revue des sciences religieuses*, 26(1), 94-95.
- Racine, J. (1889). *Esther* (avec notes grammaticales, littéraires, historiques et précédée d'une étude par P. Jacquinet). Paris: Librairie Classique Eugène Belin.
- Racine, J. (2020). *Esther: Tragédie tirée de l'écriture sainte*. M. DC. LXXXIX. Avec Privilège Du Roi. Publié par Ernest et Paul Fièvre pour Théâtre-Classique.fr.
- Некрасова, И. А. (2008). Французская католическая драма и театр в XVII веке. *Театрон* (№1), 54-65.
- Некрасова, И. А. (2013). *Религиозная драма и спектакль XVI-XVII веков*. Санкт-Петербург: Гиперион.
- Расин, Ж. (1977). Трагедии. (Е. А. Смирнова, Ред.) *Литературные памятники*, 377-408.

Vazha Otarashvili

Georgian Technical University

Eka Kvantaliani

Akaki Tsereteli State University

REINTERPRETATION OF JEAN RACINE'S BIBLICAL PASSAGES ACCORDING TO "ESTHER" RESUME

The article is about the excellent drama "Esther" created by the famous 17th century French playwright Jean-Baptiste Racine on a biblical story. Racine took the dramatic genre to a new level, and all of his creations became the standard of classicism, although it should be noted that his dramas are fueled by biblical plots. Although antiquity was considered to be the standard and norm in the era of classicism, Jean Racine was uniquely able to reinterpret or re-understand biblical motifs, which he magnificently portrayed in his dramas and breathed new life into the tragedy of the classicism era.

In doing so, he ushered in a new state policy of culture and education in France, in the era of the formation of French national culture and the rise of French classical literature. Because the eternal themes of love, devotion, self-sacrifice, friendship, trust in God were coming to the fore again ... Jean Racine reinterpreted all this in the drama of the seventeenth century, which is still important and relevant today.

Keywords: Classicism, Racine, Dramaturgy, Bible, Esther.

ქსნის ხეობის ონომასტიკიდან სოფელი ქურთა და მისი მიდამოები

საკვანძო სიტყვები: ონომასტიკა, დასახლებული პუნქტები, ანთროპონიმები, ქსნის ხეობა.

დასახლება მდებარეობს მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, შემადგენულ ადგილზე, შედის კორინთის საკრებულოში. ამჟამად კი მოსახლეობა შემცირებულია ოკუპაციის გამო. სოფელი იყოფა ოთხ უბნად: ზემო ქურთა, ქვემო ქურთა, ხრიკულაანთ უბანი, ჯაბანაანთ უბანი. სოფლის მცხოვრებთა გვარებია: ბიტიაშვილი, დავითური, ხრიკული, ბერიანიძე, პაპიაშვილი, გუთნიაშვილი, ჯაბანაშვილი, ელოშვილი, პავლიაშვილი.

შესავალი

სოფელი მოხსენებულია მთელ რიგ წყაროებში, რაც იძლევა საშუალებას, რომ თვალი მივადევნოთ ონომასტიკური მასალების ცვალებადობას ისტორიულად, განვსაზღვროთ მიგრაციისა და იმიგრაციის შედეგად როგორ განვითარდა ტოპონიმია, ანთროპონიმის საკითხები, რომლებიც დღეს ძალზე საინტერესოა პოლიტიკური და მეცნიერული თვალსაზრისით.

სოფელი მოხსენებულია ცნობილი მეცნიერის იოანე ბაგრატიონის შრომაში „ქართლ-კახეთის აღწერა“, სადაც არის ასეთი თავი: ქსნის ხეობა, რომელიც თვის ეყოდა მეფის ძეს იოანეს სააზნაუროებით და ეკლესიის მამულნიც არიან აქა: „ქურთა მოსახლენი“ (ბაგრატიონი, 1986, გვ. 36). როგორც ნაშრომის შესავალშია აღნიშნული, იოანე ბატონიშვილი თვითონ გვამცნობს, რომ „ქართლ-კახეთის სოფლების აღწერა“ შეუსრულებია ორი მეფის - ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დავალებით 1794-1799 წლებში. როგორც აღწერიდან ჩანს, ქსნის ხეობის მთელი რიგი სოფლები მისი საკუთრება ყოფილა და აქედან დასკვნა, რომ მონაცემები სანდოა.

საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლებში (ჯავახიშვილი, 1967, გვ. 195) სათაურით „ქურთის ქსნის ერისთავის ყმა: ცხოვრობდნენ:

უთლენიანთ მახარებლის შვილი კომლი ა, თავი ბ, ირემა და ზურაბა.

უთლენიანთ პაპიას შვილი კომლი ა, თავი ბ, გიორგი და მახარე.

უთლენიანთ ოთარას შვილი კომლი ა, თავი ბ, აბრამ და აღდგომელა.

ქამურელი გოგოლას შვილი კომლი ა, თავი ბ, გიორგი და ბერი.

ჯაბაური ბუჯიას შვილი კომლი ა, თავი ბ, ჯაბანა და ბერი.

ჯაბაური გამიხარდის შვილი კომლი ა, თავი ა, ფაცია.

ჯაბაური ქურციკას შვილი კომლი ა, თავი ა, ქიტესა.

ხრიკული ბერის შვილი კომლი ა, თავი ა, პატარკაცი.

1781 წლის ქსნის ხეობის აღწერაში სათაურით ქურთიდან (ჯავახიშვილი, 1967, გვ. 218) დასახლებულები არიან:

ბიტიას შვილი კომლი ა, თავი ა, გიორგი.

უთნის შვილი კომლი ა, თავი ა, აღდგომელი.

უთნის შვილი კომლი ა, თავი ა, შიო.

პაპის შვილი კომლი ა, თავი ბ, გიორგი და მახარა.

დავითურის შვილი კომლი ა, თავი ა, დათუნა.

ექვსი ოჯახი ჯაბაური, რომელთა სახელებია: კაცია, ბერი, ელისბარ, გოგია, აბრამა, ქიტესა, მახარებელი, გრიგოლა, გიორგი, ლოთიკა, ზაზა, კურციკა.

ხრიკული შვილი კომლი ა, თავი ა, პატარკაცი.

დავითურის შვილი კომლი ა, თავი ა, მახარებელი.

ზემოხსენებულ ორ აღწერას შორის სულ შვიდი წელია გასული, მაგრამ დროის სიმცირის მიუხედავად ანთროპონიმთა შორის სხვაობა მაინც არის ძირითად წარმოებაში. 1774 წელს გვარი უთნელიშვილი მოხსენებულია როგორც უთნელიანთი, რაც ენობრივად კუთვნილებას გამოხატავს, ხოლო 1781 წლის აღწერაში იგივე ზემოხსენებული აღდგომელა, გიორგი, მახარე, ზურაბ არიან უთნელიშვილები.

რაც შეეხება საერთოდ ამ გვარის წარმოშობას, იოანე ბაგრატიონი ასე მოგვითხრობს: „უთნელიშვილი დროსა ახალციხის დაპყრობისა თურთაგან შთავიდნენ იმერეთს, რომელნიმე გადმოვიდნენ ქართლს. 1724 წელს მოსულან ქართლს (საქართველოში) და დაესახლნენ გვერდისძირს ადგილს ფლავს - ქსანს საერისთაოს ადგილსა შინა და დაჩნდნენ ესენი აზნაურად ვახტანგ მეფის დროსა და სხვათაცა“... (ბაგრატიონი ი., 1997, გვ. 56).

ჯაბაურის გვარი ორივე აღწერაში არის მოხსენებული. როგორც ადრინდელი ჩანაწერებიდან ვგებულობთ, მეჯუდის ხეობის სათავეში ადრე მცხოვრები ბუჯიაშვილები მოგვითხრობენ, რომ ისინი წარმოშობით არიან ჯაბაურის გვარიდან და სალოცავად დადიოდნენ სოფელ ქურთის ეკლესიაში - ღვთისმშობელში.

დავითურის გვარის ადამიანები ცხოვრობდნენ ზემო ქურთაში და ჩამოსახლდნენ ქვემო ქურთაში, მაგრამ ზემო სოფელში ყოველთვის ადიოდნენ და თავიანთ კუთვნილ მამულს ამუშავებდნენ.

შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობის XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსულ კამერალურ აღწერებში დასახელებულია სოფელი ქურთა (ალიმბარაშვილი, 2021, გვ. 284). სოფელში ცხოვრობდნენ: პატარკაცი და იოსებ ხრიკულიშვილები, კაცია ჯაბაურაშვილი, ვეფხია, გოგია, მახარა, ნინია, აღდგომელა უთნიაშვილები, ბერი დავითური, ნინია დავითაშვილი; როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში, კერძოდ 1784 წლის აღწერაში მოხსენებული პატარკაც ხრიკული 1804 წლის აღწერაში უკვე ხრიკულიშვილია, ხოლო კაცია ჯაბაური არის ჯაბაურიშვილი.

ქსნის ხეობაში, რომელიც დიდი ისტორიული წარსულით გამოირჩევა ბევრი ტოპონიმი, რომლებშიც შემონახულია ცნობები თუ ვის უცხოვრია ამ ტერიტორიაზე. შემონახულია ფაქტები წინაპრების საქმიანობის შესახებ, მათ შორის სოფლის მეურნეობის რიგი დარგების შესახებ.

ტოპონიმებში შემონახულია არა მარტო გეოგრაფიული წარსული, არამედ ძვირფასი ინფორმაციები ისტორიული, ენათმეცნიერული, ეთნოგრაფიის და სხვა სახელწოდებათა მიხედვით.

სოფელი ქურთა მთისა და ბარის გარდამავალ ზოლში მდებარეობს, ვრცელი მამულები ოთხივე მხარეს გარს არტყია და ინტენსიური მეურნეობისათვის ყოველთვის ხელსაყრელი იყო, თუმცა ბოლო დროს ოკუპაციის გამო მეურნეობა მთლიანად მოშლილია, ასევე მთავარი მიზეზია მიგრაცია მშობლიური ადგილებიდან.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით არის ასეთი გეოგრაფიული ერთეული, რომელსაც სახასო მთა ეწოდება. ეს ადგილები გამოყენებული იყო როგორც სახნავ-სათესად, ისე სამოვრებად, დაბალი და მაღალი ზონები იყო ეკონომიკის საფუძველი სოფლისათვის.

როგორც ნიჭიერი რესპონდენტი ანტონ ილიას ძე დავითური მოგვითხრობს, ქურთა და მისი მიდამოები იყო სახასო, ე.ი. სამეფო საკუთრება, იყო სამეფო დიდი ხოდაბუნების გამგებელი მათი კაცები იყო, რომლებიც ჩვენი პაპებიდან ყოფილან დანიშნული და მათ ეკითხებოდათ პურისა და ქერის შემოსავლის ანგარიში, მეურნეობის მართვა განსაკუთრებით გაზაფხულზე და ზაფხულში. მეფის ამ დარგის მოხელეებს ჰქონიათ გარკვეული შემოსავალიც.

როგორც სპეციალურ ლექსიკონშია აღნიშნული, სახასო სხვათა ენაა, ქართულად ბლისტი ჰქვიან (ორბელიანი, 1993, გვ. 74). ბლისტი კი არის საკუთარი აგარაკი, სათავისთაო ხოდაბუნი, სახასო (ორბელიანი, 1991, გვ. 106). როგორც ზემოხსენებული მთხრობელი გვარწმუნებს, სოფლის მიდამოები და სხვა ადგილებიც ჩრდილოეთით ეკუთვნოდათ ერეკლე მეფის შვილებს და ასევე მათი იყო დიდი მამულები დასავლეთით მდინარე ლეხურისკენ.

კომპოზიტის მეორე ერთეული მთა, სპეციალურ ლიტერატურაში ასეა განმარტებული: „დედამიწის ამალგებული ადგილი, ამობურცული ფორმა, რომელიც თავისი სიმაღლით თვალსაჩინოდ აღემატება მიდამოს“ (ხარაძე, 2021, გვ. 88). სიტყვა მთა იწარმოება ანთროპონიმების საწარმოებლად, რომელიმე პიროვნების, გვარის, კომლის სახელის აღსანიშნავად. მაგალითად სახასო მთა არის, მაგრამ დანაწილებულია სათიბებად, რომელიც ასე იწარმოება: დავითურიანთ მთა, მილათ მთა (მილაძე), გუთნიაანთ მთა (გუთნიაშვილი), ელოაანთ მთა (ელოშვილი), პავლიაანთ მთა (პავლიაშვილი). არის ასეთი წარმოება გადაშენებული გვარების მიხედვით, რომელიც ხსოვნამ შემოგვინახა: უთნიაანთ მთა (უთნელიშვილი), ჟამურაანთ მთა (ჟამურელი), ქურციკაანთ მთა (ქურციკაშვილი), გამიხარდიანთ მთა (გამიხარდიშვილი), ბერიაანთ მთა (ბერიშვილი) და სხვა.

ზებეყურის მთა, ამ ერთეულს აღნიშნავს თავის შრომაში ვახუშტი ბაგრატიონი და იძლევა მის დახასიათებას: „ზებეყურის მთა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოდგების ცხვირად ქსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ და დავიწროებებს ქსანსა კლდითა“ (ბაგრატიონი ი., 1997, გვ. 70). მთა მდებარეობს სოფლის დასავლეთით, მთის ნაწილი ყანჩავეთს ეკუთვნოდა. როგორც ინფორმატორები გადმოგვცემენ, ეს მთაც დიდი სამეურნეო კერა იყო წარსულში და მერე ყველაფერი მოიშალა, რაც მოსახლეობის ყოფას უარყოფითად დაეტყო.

ზემოხსენებული მთები ხშირად არის დამოწმებული წყაროებში, მაგრამ ნაკლებად არის ქედი, როგორც ტოპონიმი, ალბათ ეს გამოწვეულია მისი სიმცირის გამო დიდ გეოგრაფიულ არეალში. ქედი ჩვენს შემთხვევაში სოფელ ქურთაში რამდენიმეა, რომლებიც ინდიკატორით არის ნაწარმოები, მაგალითად: ხაზინი ქედი, რომელიც სახასო მთასთან მდებარეობს და უნდა ითქვას, რომ მცირე ერთეულია, გამოყენებული იყო სამეურნეო საქმიანობისათვის, მათ შორის სახნავ-სათესად. ეს სახელი ეწოდება იმის გამო, რომ ადრე ხვნის დროს გუთნის დედას და მის თანამებრეებს უპოვიათ ძვირფასი ლითონის ნაკეთობები და ეს სახელიც ამის გამო დაერქვა. არის ტოპონიმიც ხაზინი (ხიზნი) ვაკე. სოფლის სამხრეთით, ჩრდილოეთით ასევე დავადასტურეთ: საცქერი ქედი, ახოთ ქედი, პატარა ქედი, ხრიკულთ ქედი, წყაროთ ქედი, სასვენო ქედი, ზემოთ ქედი, ქვემოთ ქედი, შუა ქედი...

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნული გეოგრაფიული ტერმინი ასეა განმარტებული: „წაგრძელებული მთა, სერი მთაგრეხილი“ (ხარაძე, 2021, გვ. 88). აღსანიშნავია, რომ ქსნურ მეტყველებაში ქედს - გორასაც უწოდებენ.

სოფლის ტოპონიმების დიდი პროცენტი ნაწარმოებია -ებ სუფიქსით, რაც ადგილის სიდიდეს გახაზავს. მაგალითები:

ბაღნარები, სოფლის სამხრეთით ამჟამად სამოვრებია, ადრე იყო სახნავები, არის ოთხი ჰექტარი.

გოგდურები (ასევე იწოდება როგორც გოგდური). სახნავი სოფლის ჩრდილოეთით, შვიდი ჰექტარი. მელქუთები, ახოები, ადრე იხვნებოდა, ამჟამად სამოვარია, სოფლის დასავლეთით.

ნატურები, სახნავი სოფლის დასავლეთით, 3 ჰექტარი.

საგულეები, სათიბები მთის ძირას ჩრდილო-დასავლეთით, 3 ჰექტარი.

ხისოტები, სამოვრები სოფლის სამხრეთით.

დიდველები, 2 ჰექტარი, სახნავი, სოფლის სამხრეთით.

კვრიტავეები, სახნავები სოფლის სამხრეთით, 3 ჰექტარი.

სამგლეები, იყო დასახლებული ადგილი, ამჟამად სათიბები.

კოდეები, დამრეცი ველები სოფლის დასავლეთით.

წმინდა გიორგი (ასევე ეწოდება ოთხი წმ. გიორგი), იცოდა ოთხი დღეობა ზემო ქურთაში.

ნაბურლები, სამოვრები სოფლის ჩრდილოეთით.

წირქოლურები, ქურთის საკუთრება სამოვრები წიქროლის მხარეს ჩრდილოეთით, ექვსი ჰექტარი.

ღელემიწა (მიწები), სახნავი, 2 ჰექტარი.

პანტნარი (პანტიანები), სახნავი, არის ტყებალები, 2 ჰექტარი.

შერეული ტყეები, ტყე, ბუჩქნარი, სოფლის ჩრდილოეთით.

ვენახები, ჯაბანანთ უბანში.

ნავენახრები, ხრიკულთ უბანში.

ბუცხვირები, მუხიანი ადგილი სამხრეთ-დასავლეთით.

მუხები, შემადლებული გორა, ადგილი არის ნიში, სალოცავი.

საშაბათოები, სახნავი სამხრეთით, 2 ჰექტარი.

საჯღაბარდლოები, პატარა ახოები ტყეში.

ჰიდრონიმები

არის ონომასტიკის ნაწილი, უფრო მიესადაგება ტოპონიმიკას, რომლებიც შეიცავენ წყალს (ბერძნული სიტყვებიდან ჰიდრო - წყალი და ონომა - სახელი). ჰიდრონიმები ტოპონიმების მსგავსად ძველია, რადგან ადამიანები სახლდებოდნენ იქ, სადაც წყალი იყო, რაც არსებობისათვის აუცილებელი იყო. ჰიდრონიმებში, როგორც ტოპონიმებში, შემონახულია ლექსიკა, რომელიც წარსულს ამოატივტივებს და ადვილად არ იკარგება.

სოფლის ჰიდრონიმები მთელ რიგ მოვლენებთან არის დაკავშირებული და გადმოცემები შემონახულია დღესაც.

მუმი წყალი არის საჯღაბარდოში და სოფელს ეხლაც ემსახურება. როგორც ინფორმატორები მოგვითხრობენ, ირანის წინააღმდეგ მებრძოლი დიდი სარდალი გივი ამილახვარი წირქვალს ციხეზე ამყარებდა დიდ იმედს და გამაგრებული ჰქონდა, მუმი წყარო ისე იყო შენიღბულად შეყვანილი ციხეში, რომ მტერმა ვერ მიაგნო და წყლის დიდი მარაგები ჰქონდათ ქვევრებში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული წყარო, როგორც გვაცნობეს, სამკურნალოც ყოფილა, რასაც ასევე გადმოგვცემენ დღეს წირქვალის ციხესთან მცხოვრებნი.

კოდას წყარო, მდინარე სოფლის დასავლეთით, ადგილი კოდაში, რომელიც იყო სამოვრები, მაგრამ არის ნასახლარებიც, სადაც ძველ ქურთელებს უცხოვრიათ. სადაც წყაროა, იქ ჩადგმულია ხის კასრი და ნაწილობრივ გადახურულია ხემასალით, რომლითაც მინდორში მომუშავენი იყენებდნენ, ჩაედინება იქვე ხევში.

ბებრის წყარო, არის ზებეყურის მთის ძირში, ცივია, იქ მისული კაცი თუ ჩრდილში წამოწვა, ძნელად რომ ხელმეორედ მუშაობა დაიწყოს, ჩანს ამიტომ უწოდეს ეს სახელი.

ვერძა წყარო, არის სოფლის ჩრდილოეთით, რომელსაც ადგილობრივები უწოდებენ ვერძას და ვეძას, რომელიც არს მარილიანი და საქონლის დასარწყულებელი, ეტანება გარეული ნადირ-ფრინველი. ს. საბა ასე განმარტავს: „ვეძა მომჟაო წყარო ბუნებით“ (ორბელიანი, 1991, გვ. 262).

ყინანურის წყარო, სოფლის დასავლეთით, გამოდის სახასო მთიდან და მართლაც ყინულივით ცივია, სახელიც ასე აქვს დარქმეული.

ქურთუ წყაროც ასევე ცივია და სასიამოვნო დასალევია, გამოდის სახასო მთის ძირში.

დამპალწყლები, გამოდის ჩრდილოეთის მხარეს და წყალს აქვს შმორის სუნი. ორ ათეულამდე სახელწოდება დარქმეულა მინდვრის, ადგილის, ფერდობის მიხედვით, საიდანაც წყაროები გამოდიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი წყარო გაზაფხულობით დიდნაკადიანია, რადგან მარჯვნივ თოვლის წყლით, მერე შრებიან, მაგრამ სახელწოდებები მაინც შენარჩუნებულია ავტომატურად.

კვირიტავის ხევი, გამოდის ადგილი ყინანურიდან და არის მდინარე ქსნის მარჯვენა შენაკადი.

წყენიწყაროები, არის როგორც ნაკვეთები, ისე წყაროები, მაგრამ ამ წყლის დალევა ბევრი არ შეიძლება, იწყინება და სახელიც ამის მიხედვით არის დარქმეული.

ბიჭათ ხევა, სახელი დარქმეულია ნასახლარის ხევის ქსანთან შერთვის ადგილას.

ნასახლარის ხევი გამოდის აღმოსავლეთის მხრიდან და მდინარე ქსნის მარჯვენა შენაკადია.

საკვირიკეს ხევი, გამოდის მილათ (მილაძეები) მიწებიდან და ქსნის მარჯვენა შენაკადია.

ტოპონიმიში -ანთ სუფიქსური წარმოება გამოხატავს კუთვნილებას რომელიმე პირისა, გვარისა და შტოგვარისას:

ჯაბანანთ ნაფუძრები, სოფლის ჩრდილოეთით, სადაც ჯაბანაშვილები ცხოვრობდნენ.

ეკლესიონიმები

თითქმის ყველა სოფლის სალოცავია ლომისა, თითქმის ყველგან არის ნიშები. დღეობა იწყება იგნისის დასაწყისიდან, მათ შორის სოფელ ქურთაშიც. ხრიკულაანთ უბნის დარბაზული ეკლესია აგებულია ფლეთილი ქვითა და დუღაბით, გამოყენებულია გათლილი შირიმის ქვაც. ეკლესიის გრძივ კედლებზე ასევე გადადის შირიმის ქვის თაღები, ამავე ქვითაა გაჭრილი მაღალი თაღოვანი სარკმელი.

ზემო ქურთაში არის ლაშრობის ეკლესია, რომელიც სხვადასხვა ზომის ფიქალითაა ნაგები, ნაწილობრივ ჩამოქცეულია ქვის სახურავი.

ღვთისმშობლის ეკლესია ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული, დღეობა აღინიშნება აღდგომის მეორე კვირას.

მეორე ღვთისმშობელი არის პატარა ეკლესია მდინარე ქსნის მარჯვენა ნაპირზე აგებული, სადაც ასევე აღინიშნებოდა დღეობა აღდგომის მერე კვირას.

ენობრივ-დიალექტური მოვლენები

სოფლის ტოპონიმებისა და ანთროპონიმების დასახელებისას გრძელი ხმოვნები არ ისმის და პირდაპირ გამოითქმის: პაპიანი, პავლიანი, ალექსანი, ბუჯიანი, გამიხარდიანი, გიორგანი, კაციანი, პატარკაციანი. მოფარებულ ადგილებს ეწოდებათ ჩირდილი - ჩირდილები და არა ჩრდილები. მიხას ნაქოხვარი, აქ ჩართულია ხმოვანი ა, რომელიც სხვა მაგალითებშიც ჩანს.

რედუქციის მაგალითები: მზვარე < მზვრი ადგილები, ქსანი < ქსნური გზა, ქსნური დეღე, ნაყვრები ახო < ნაყვრების ახო.

როგორც ქსნის ისე ლიახვის, ფრონეს და სხვა ხეობებში მსგავსად ქურთისა -თა სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები საკმარისად არის წარმოდგენილი. როგორც ცნობილი მკვლევარი ვარლამ თოფურია თავის წერილში აღნიშნავს: „-თა სუფიქსი ნათესაობით ბრუნვაში დასმული მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსია, მას დროთა ვითარებაში ადგილის სახელთა სუფიქსობის ფუნქცია დაუკავშირდა. მართალია, აღნიშნული სუფიქსის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს, მაგრამ გასაზიარებელია მხოლოდ ზემოხსენებული გამოკვლევა, რომ აღნიშნულ სუფიქსს რაიმეს სიმრავლის აღნიშვნა ეკისრებოდა“ (თოფურია, 1924).

ზემო ქურთის ტოპონიმები

ალალოანი, სათიბი 10 ჰა.

აღნიშნურები, ნაკვეთები დასავლეთით.

ბუცხვირები, მუხიანი ადგილი.

ბებრის ახო, დასავლეთით.

ბოლოფუმნარები, სათიბი 4 ჰა.

ბიტიაშვილი ახო, დასავლეთით.

გოგლურები, სათიბი 7 ჰა.
დავითურიანთ, ნაფუძრები.
ვენახები, ჯაბანანანთ უბანში.
ზებაყური, მთა დასავლეთით.
კვირაცხოვლის მამულები, დასავლეთით.
კოდას ჩირდილი, დასავლეთით.
კალიები, ველები, სამოვარი, დასავლეთით.
მილათ მიწები, ჩრდილოეთით (გვარი მილაძე).
ნატირები, მამულები.
სახასო მთა, დასავლეთით.
საგულეები, სამოვარი, ჩრდილოეთით.
ხიხიტები, სამოვარი, სამხრეთით.
სამგლეები, სამხრეთით 3 ჰა.
ქოწყობილის ჩირდილი, სამხრეთით.
ლეღემიწა, სათიბი 20 ჰა.
ყინანურის ჩირდილი, სამხრეთით.
წიწიანთ ახო, მილაძეების შტოგვარის მიხედვით არის დარქმეული.
წითელეები, სამოვარი, დასავლეთით.
წირქოლურები, სათიბი 6 ჰა.
ჭალები, ქსნის პირზე.
ხრიკულაანთ უბანი (გვარი ხრიკული).
ხიზნი ქედი, აქ ადრე იპოვეს ხაზინა.
ჯაბანანანთ ნაფუძრები (ჯაბანაშვილი).
მზარეულაანთ, ქენქაძეების შტოგვარი.
ქიტიაანი, ქენქაძეების შტოგვარი.

ქვემო ქურთის ტოპონიმები

ბაკურთკარი, ნასოფლარი, დასავლეთით.
ბატონის საჯდომი, დასავლეთით.
ბეგურიანი მთა, დასავლეთით.
ბიჭათ ხევი, ქსნის მარჯვენა შენაკადი.
დიდველი, სათიბი, ჩრდილოეთით.
ვანოს ახო, დასავლეთით.
ნაორმოები, სათიბი, ჩრდილოეთით.
ნახელნარები, მინდორი, დასავლეთით.
ნაწისქვილარი, ქსნის მარჯვენა მხარეს.
ნახაზარი, სამხრეთით.
ნიშიქედი, მთა, დასავლეთით.
სახასო მთა, დასავლეთით.
ნაფუძნარები, ველები, დასავლეთით.
ქურთაწყაროს ველები, დასავლეთით.
წალკოტი, მამულები, დასავლეთით.
ჯვრები, ნავენახრები, დასავლეთით.

მეთოდოლოგია:

გამოყენებულია აღწერისა და კვლევის მეთოდი ქართულის ენის კვლევის მიზნებით.

დასკვნა

სოფელ ქურთის ონომასტიკური მასალები: ტოპონიმები, ანთროპონიმები, ჰიდრონიმები, შტოგვარის სახელები მთლიანად ქართულია. კვლევა დამყარებულია ქართულის ენის მონაცემებზე დაყრდნობით, შედეგები კი ეყრდნობა თეორიულ და ისტორიულ მასალას.

ბიბლიოგრაფია:

ალიმბარაშვილი, ი. (2021). *შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით*. გორი: გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ზაგრატიონი, ვ. (1997). *საქართველოს გეოგრაფია*. თბილისი: მეცნიერება.
 ზაგრატიონი, ი. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა*. თბილისი: მეცნიერება.
 ზაგრატიონი, ი. (1997). *შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა*. თბილისი.
 თოფურია, ვ. (1924). გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში. *ჩვენი მეცნიერება*(11-12).
 ორბელიანი, ს. ს. (1991). *ლექსიკონი ქართული* (ტ. I). თბილისი: მერანი.
 ორბელიანი, ს. ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტ. II). თბილისი: მერანი.
 ხარაძე, კ. (2021). *ძველი ქართული გეოგრაფიული ტერმინების ლექსიკონი*. თბილისი.
 ჯავახიშვილი, ი. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები* (წიგნი I). თბილისი: მეცნიერება.

Nikoloz Otinashvili
Gori State University
FROM THE ONOMASTICS OF KSANI GORGE
THE VILLAGE KURTA AND ITS ENVIRONS
RESUME

The village of Kurta is located in the Ksani gorge on the right bank of the river, on an elevated spot. It is divided into four districts: Upper-Lower Kurta, Khrikulaant and Jabanaant districts. The surnames of the residents are: Bitiashvili, Daviturni, Khrikuli, Berianidze, Papiashvili, Gutniashvili, Jabanashvili, Eloshvili and Pavliashvili. The village is named in the statistical descriptions of the Ksani valley of 1774-81, as well as in other historical documents, where anthroponyms of that time are recorded, which are partially preserved today. There also references to toponyms, which contain not only geographical past, but also valuable information about historical, linguistic, ethnographic and other names.

The report explains the localization, etymology, origin of toponyms, as well as references from special literature.

Keywords: Onomastics, Settlements, Anthroponyms, Ksani gorge.

ზურაბ ოქროპირიძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შალვა დადიანის მინიატურათა ციკლიდან - „ჩამოკრულები“

საკვანძო სიტყვები: მინიატურა, „ჩამოკრულები“, ეროვნული, სოციალური, სამშობლო.

„დიდი ილიას შემდეგ ასეთი მრავალფეროვანი ბუნების მოღვაწე ჯერ არ გვყოლია. შალვა არის ჩვენი იმედი და ჩვენი სინდისი. მე მიკვირს, პირდაპირ მიკვირს, საიდან აქვს ამდენი ულავი ცოდნა, ის ხომ ცოდნის ნამდვილი სიძველეთა მუზეუმი...“ (კრიტიკა, 1975, გვ. 154) ასე შეაფასა შალვა დადიანის ხალასი ნიჭი, მრავალმხრივი სამწერლო, სათეატრო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ქართული მწერლობის დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ. მართლაც, მისი ცხოვრება და ღვაწლი განსაცვიფრებლად ღრმაშინაარსიანი და ნაირგვაროვანია. ერთდროულად წერს ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, მინიატურებს, ესკიზებს, სათეატრო თხზულებებს, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს, მსახიობობს, რეჟისორობს, ხელმძღვანელობს მსახიობთა კავშირსა და სათეატრო საზოგადოებას. ძირითად სამოღვაწეო სფეროებად იგი მწერლობასა და თეატრს ირჩევს - მთავარ ბურჯთ ჩვენი სულიერი

საგანმურისა. მათ აღორძინებას უნდა მოჰყოლოდა იმპერიის მარწუხებში მოქცეულ ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერება. ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში შალვა დადიანმა საოცარი მუყაითობით იმუშავა ორივე ფრონტზე. მწერალი აღიარებს, რომ რადგან „დრამატურგიაში ერთგვარი ჩამოღამება იყო და ქართული ცხოვრება არ ფეთქდა სცენაზე“, უფრო დრამატურგიისკენ გადავიხარეთ (დადიანი, 1953, გვ. 11). იგი შეიქმნა ერთ-ერთი მეთაურთაგანი ახალი ქართული დრამატურგიისა. ბრწყინვალეა მისი პროზაც, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მინიატურა და რომლითაც ის მოველინა სამწერლო ასპარეზს (მწერლის პირველი ნაწარმოები მინიატურა - „წმინდა ცრემლები“ იყო, იგი 1896 წელს გამოქვეყნდა ილიას „ივერიაში“).

XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მწერალთაგან იშვიათად თუ ვინმემ აუარა გვერდი ამ დროისთვის დამკვიდრებულ მცირე ფორმის ნაწარმოებებს. პროზის ეს ჟანრი მეტად მომხიბვლელი იყო თავისი მარტივი სიუჟეტით, ტექსტის სიმცირით, ამავე დროს, ფსიქოლოგიური პერიპეტიებითა და ემოციებით, საგანთა და მოვლენათა იმპრესიონისტული ხედვით. მინიატურების წერა შალვა დადიანს ჰოლანდიელი მინიატურისტი მწერლის, ედუარდ დეკერის (1820-1887, ფსევდონიმი - მულტატული) პატარა ტექსტების შთაგონებით დაუწყია - „ამ ჟანრმა მომხიბლა და მეც შევუდექი ესეთი მანერით წერას...“ (დადიანი, 1958, გვ. 533). შეიძლება ითქვას, რომ სამწერლო შემოქმედების დასაწყისშივე იგი ნოვატორული მოდგომებით გამოირჩა. 900-იან წლებში მწერალმა შექმნა მინიატურათა ციკლი „ჩამოკრულები“, რაც სათქმელის იგავურად თქმას ნიშნავდა. „ჩამოკრულებში“ მხატვრულად, სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით აისახა საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე უმძაფრესი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები.

ავტორმა ერთი ციდა ტექსტებით ჩვენი იმჟამინდელი ყოფა-ცხოვრებისა და ყველაზე აქტუალური პრობლემების შესაშური ცოდნა, ამ უკანასკნელთა გადაწყვეტისთვის ბრძოლის მზაობა გამოავლინა. მათში ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი სიმწვავეთა და ექსპრესიითაა გადმოცემული ქართველ მშრომელთა საბრძოლო განწყობილება და იმედი „შრომის სუფევის“ დამკვიდრებისა. მძაფრ სოციალურ საკითხებთან ერთად მინიატურების სულისკვეთება, ვფიქრობთ, უმეტესადაც, ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლის პათოსმა განსაზღვრა. შალვა დადიანის წმ. ილია მართლისეული ეროვნული კონცეფციის შესაბამისად ესმოდა ამ ორი დიდი მოტივის ერთიანობა. იგი ემიჯნებოდა ახალ იდეოლოგიას, რომელიც აბუჩად იგდებდა ეროვნულ საკითხს და რევოლუციის მთავარ მიზნად საქართველოს და რუსეთის (ზოგადად - მსოფლიოს) მუშათა კლასების მიერ კლასობრივი მტრის განადგურება და პროლეტარიატის ჰეგემონიის დამყარება წარმოედგინა. ცხადია, მწერალს კარგად ესმოდა მშრომელი მასების დიდი როლი რევოლუციებში, მაგრამ მათი ეროვნული ინტერესების გარეშე წარმოდგენა შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან სწორედ ეროვნული ჩაგვრა აორმაგებდა ხალხის ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას. დღეს სადავო აღარ არის, რომ საქართველოში 900-იანი წლების გამოსვლებს სიმძაფრეს და მასშტაბებს უმეტესად ეროვნული ხასიათი სძენდა - „სოციალური ბრძოლის მძლავრი აკუმულატორი საქართველოში ყოველთვის იყო ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა... საქართველოში სწორედ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა წარმართავდა რევოლუციების ხასიათს...“ (თევზაძე, 1994, გვ. 213-218). საბჭოური რეჟიმი მთელი საუკუნის მანძილზე საგულდაგულოდ ჩქმალავდა საქართველოში 900-იანი წლების რევოლუციის ეროვნულ ხასიათს. ეს თემა ტაბუდადებული იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში მას ცალმხრივად, რსდმპ-ს მიერ ორგანიზებული კლასობრივი ბრძოლის ნაწილად განიხილავდნენ. შესაბამისად, კლასობრივი ბრძოლის მომხრეებად რაცხდნენ იმ შემოქმედთ (მათ შორის შალვა დადიანს), ვინც ამ თემას შეეხებოდა.

ამრიგად, შალვა დადიანის 900-იანი წლების მცირე ზომის ტექსტები ემსახურებოდნენ რა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას, თავისი დროისათვის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟღერადობით გამოირჩეოდნენ. ამანაც განაპირობა, რომ „ჩამოკრულები“ მკვლევართა მსჯელობის საგნად იქცა. „სახალხო გაზეთის“ (1912, N586) რეცენზენტი მწერლის მინიატურებს იმპრესიონიზმის ნიმუშებად, ავტორს კი - ქართულ მწერლობაში მის მესამიერკვლედ თვლიდა (მანამდე იგივე აზრს ავითარებდა კრიტიკოსი აკაკი პაპავა). პირველი ნაწილი შეფასებისა საფუძვლიანი იყო, რადგან იმპრესიონიზმი მინიატურის თანმდევ თვისებას წარმოადგენდა და ბუნებრივია, იგი „ჩამოკრულებშიც“ გამოვლინდებოდა, რაც შეეხება იმპრესიონიზმის პირველმედროშეობას, ეს შეიძლება საკამათო იყოს, რადგან ამ პერიოდში არაერთ ქართველ ავტორთან ვხვდებით ამ ლიტერატურულ ნოვაციას, ხოლო მის გამოკვეთილ წარმომადგენლად ეროვნულ მწერლობაში ნიკო ლორთქიფანიძეა აღიარებული. მკვლევარი ალექსანდრე ბურთიკაშვილი მიიჩნევდა, რომ შალვა დადიანის „მინიატურები თავისი ლაკონიურობით, პოლიტიკური აქტუალობით, მიზანდასახულობით, აზრის სიღრმით მნიშვნელოვან მხატვრულ მოვლენას წარმოადგენდა...“ (ბურთიკაშვილი, 1952, გვ. 50). მსგავსი აზრი ჰქონდა „ჩამოკრულებზე“ ლიტერატორ ლევან ასათიანს.

მასაც მოსწონდა მინიატურების „სიტყვის ძალა, ლაკონიზმი... აზრის სიღრმე და მდიდარი შინაარსი...“ (ასათიანი, 1974, გვ. 150).

ქართულ მწერლობაში მინიატურის ფუძემდებლად აღიარებდა მწერალს გიორგი ციციშვილი (რაც ასევე საკამათოდ მიგვაჩნია), იგი სწორად შენიშნავდა, რომ პროზაიკოსმა „ეროვნული პროზის ვერსიფიკაციის საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანა.“ (ციციშვილი, 1974, გვ. 195). პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის მართებული შეფასებით, შალვა დადიანმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაამკვიდრა ჩვენს მწერლობაში მინიატურული ჟანრი... „ამ მინიატურებში ორიგინალური ფორმით ირეკლებოდა იმ პერიოდის დრამატული მოვლენები...“ (ნიკოლეიშვილი, 1994, გვ. 100-101).

აღნიშნული ციკლის პირველივე მინიატურაში - „სიხარულის არის ცრემლები“, ავტორი სიმბოლურ-ალეგორიულად, მოღუშულ-მოქუფრული ბუნების სურათთა ჩვენებით გამოხატავს სათქმელს, სევდიან განწყობებს. იგი აღწერს მიდამოს, სადაც არავის და არაფერს არ ეტყობა სიცოცხლის ნიშანწყალი. მინიატურა ილიას „ელეგის“ მოტივებზეა შექმნილი. აღნიშნავს კიდევ მწერალი - აქ დაიბადაო ილია. ერის მამის ფრაზებს იმოწმებს და თავადაც მსგავს სიტყვებს ამოთქვამს: „არცა სინათლე, არცა ხმა რამ არ მოისმოდა...“ (დადიანი, 1958, გვ. 13). წმ. ილია მართლის სტრიქონების მოხმობამ მინიატურას მეტი ცხოველმყოფელობა შესძინა, ცხადად გამოკვეთა მწერლის ნაღვლიანობის მიზეზი - სამშობლოსა და მშრომელი ადამიანის უნუგეშო მდგომარეობა (შალვა დადიანის სხვა მინიატურებშიც გვხვდება ილიასა და აკაკის ფრაზები. ამ საკითხს ქვემოთ შევხებით). როგორც „ელეგიაში“ აქაც ავტორის მწუხარება ღრმა და უნაპიროა. ერი ღრმა ძილს მისცემია, გამოსავალი თითქოს არჩანს, თუმცა ლექსშიც და მინიატურაშიც ერთგვარი იმედი ჩნდება. „ელეგიაში“ იმედი ავტორის უფლისადმი ღალადისში იგრძნობა, რომელსაც უთუოდ შეისმენს გამჩენი. „სიხარულის არის ცრემლებში“ კი მანუგეშებლად კვლავ ბუნება გვევლინება. მანამდე მოღუშულ ცას ნელ-ნელა მტრედისფერი გადადებია - „ტყევი კი შრიალებს... ზღვა? დიდებულად, ნელა ტალღას სცემს...“ (დადიანი, 1958, გვ. 14). ბუნების ამ სურათთა ხილვა ერის გამოღვიძების მაუწყებელ სიმბოლოდ ესახება მწერალს, თითქოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ხმებიც ჩაესმის, რის გამოც „ცრემლები აღრჩობს სიხარულისა“.

„სიხარულის არის ცრემლები“ პროზაული ქმნილებაა, თუმცა თხრობის თავისებური მანერით გამოირჩევა. ავტორი თხრობის დროს მინიატურაში შინაგანი რიტმის თანმიმდევრული დაცვით, სათქმელის წყვეტილი, შეკუმშული და ემოციური გადმოცემით აღწევს ფრაზისა და აზრის ერთგვარ სიმფონიას. შედეგად ვიღებთ რეალიზმისა და იმპრესიონიზმის საინტერესო ნაერთს, რომელიც სალექსო ტაქტის მსგავს ულამაზეს პროზაულ სტრიქონებად გამოიხატება: „ზოგჯერ ზვირთების ნელი ჩქროლა მინანავებდა... თავს ცა მრისხანედ მოქუშული ჩამომწოლოდა, თითქოს უნდოდა ღრუბელთ ზვავკვეშ რომ მოვყოლოდი...“ (დადიანი, 1958, გვ. 13). მინიატურის რიტმული წყობის გამო გაზეთ „ცნობის ფურცლის“ (სადაც იბეჭდებოდა „ჩამოკრულები“) რედაქტორს ილია ალბაძეს სათაურის ქვეშ მიუწერია - „ლექსისებური“. ასეთი რიტმული პროზის პრინციპს და იმპრესიონისტულ მანერებს მრავლად ვხვდებით სხვა „ჩამოკრულებშიც“.

1905-07 წლების ქარიშხლიანი პროცესების სუსხი იგრძნობა მინიატურაში „მონა-ყმა-მუშა“. იგიც რიტმული პროზის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, რომელშიც მწერალი ნარჩვევი, საოცრად დაწინებელი, მაგრამ მეტყველი, ფრაგმენტული ფრაზებით გვიამბობს უსამართლობის გაჩენის მთელ დასაბამისეულ ისტორიას. კაცობრიობის ამ უმძიმესმა მატანემ შვა სუსტი და ძლიერი, ღარიბი და მდიდარი, ამ უკანასკნელის ბატონობა პირველზე, რომელსაც დროთა მსვლელობაში სახელს უცვლიდნენ მხოლოდ, უფლებრივად კი იგივე რჩებოდა. ჰუმანისტი ავტორისთვის მიუღებელია „კაცის, სულიერის ტანჯვა-წვალება.“ იგი გულწრფელად თანაუგრძნობს ჩაგრულთა ფენას, კალმის ორიოდ მოსმით ცოცხლად გვიხატავს ტანჯული ადამიანის სულიერ განცდებს, მისი გამოღვიძებების, საკუთარი მდგომარეობის შეცნობის სურათებს.

უკეთესი მომავლისთვის ბრძოლასა და მოძრაობას ქადაგებს ავტორი ნახევარგვერდიან ტექსტ „ენგურში“. მკითხველი უთუოდ მიხვდება ამ პატარა თხზულების იდეურ-თემატურ და შინაარსობრივ მსგავსებას ილიას „მზავრის წერილებთან“. შალვა დადიანსაც ის იზიდავს ენგურში, რაც „აჩრდილის“ ავტორს - თერგვი: „ვნახე ენგური - ტანჩქარი, დაუდგრომელი... მთარღვევს მთა-ბარს... სულ მოძრაობაშია... სულ ბრძოლაშია... მიყვარს ენგური...“ (დადიანი, 1958, გვ. 17). ზემოთ განხილული („სიხარულის არის ცრემლები“), ეს და სხვა მინიატურები, მწერლის მოგონებები და ზოგადად, მისი შემოქმედება, ნათლად წარმოაჩენს ავტორის დამოკიდებულებას ქართული აზრის გიგანტებთან - ილიასთან და აკაკისთან.

ილიასეული მოტივები საცნაურია მინიატურა „ჩემებურშიც“. ავტორი აქაც ალეგორიებით გვესაუბრება. მწერალს უყვარს ზაფხული, რადგან ზაფხულში „რაც აქვს სათქმელი ბუნებასა, სულ გამოუთქვამს... მაგრამ ამ ულამაზეს დროს დიდი მტერი ჰყავს - სიცხე. ყველაფერი ხმება - „ვარდიც დამჰკნარა“. ნაწარმოების მთავარი იდეისა და ალეგორიულ სახეთა გააზრებას აადვილებს მასში

ჩართული ილიას ერთი სტრიქონი: „მეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა...“ იგი ცხადად მიგვანიშნებს მინიატურის ეროვნულ სულისკვეთებაზე. ილია აქ ღმერთს თხოვს სამშობლოს შველას. მინიატურისტიც ცას (ღმერთს) ემუდარება ზაფხული სიციხისგან დაიფაროს: „იქექ-იქუხე... გადმოხეთქე სულ ნიაღვარი...“ (დადიანი, 1958, გვ. 67). როგორც ილიასთან საქართველო უფლის, ღვთისმშობლის წილხვდომილია, ისე ჩვენს თხზულებაში ზაფხულის გამჩენი და დამავაკაცებელი უფალია. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ზაფხული თავისუფლებისთვის მებრძოლი საქართველოს სიმბოლოა, სულისშემხუთველი სიცხე კი თანმხლები კოლო-ბუხებით - რუსული თვითმპყრობელობა თავისი მოხელეებით. ილიას მსგავსად, შალვა დადიანსაც მოსწონს ცად აზიდული მთები, გულზვიადი მყინვარი, მაგრამ სიმორისა და უძრაობის გამო ვერას არგებს ზაფხულს: „ვერც ჩვენ გვაგრილებს და ვერც ჭირნახულს შველის...“ (დადიანი, 1958, გვ. 67).

ილიასა და აკაკისადმი მწერლის განსაკუთრებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, როგორც თავად მოგვითხრობს მოგონებებში, დიდი როლი უთამაშია მამას - ნიკო დადიანს - იმჟამად ცნობილ მწერალსა და მოღვაწეს. იგი ახლოს მეგობრობდა ილიასთან და აკაკისთან, სხვა მწერლებთან. „ჩვენს ოჯახში, წერს შალვა დადიანი, დიდ აკაკისთან ერთად ილიას კულტი იყო გამეფებული... აქედან ჩამენერგა სიყვარული და მოწიწება ამ რჩეული კაცისა...“ (დადიანი, 1962, გვ. 77). „რჩეული კაცის“ მუხანათურმა მკვლელობამ შეძრა ახალგაზრდა შემოქმედი. მან ქართველთა საყოველთაო გლოვას თავისი სამწერლო ხმაც შეუერთა - შექმნა მინიატურა „ილია“. მწერალი ეროვნული მოძრაობის თავკაცს „დიდ ლამპარს“ უწოდებს, რომელიც „ჩააქრეს მხეცურად“. თუმცა, ავტორის თქმით, ვერ ჩააქრეს უხილავი ნათელი ამ ლამპრისა. ეს უხილავი ნათელი „ჩვენს გრძნობასა და გონებაში უცხო შუქად ჩამდინარებს...“ ყველა იგლოვს ილიას, იგლოვს „შავის ძაძვებით შემოსილი არსებაც... მუდამ ჩამავებული... მუდამ დაჩაგრული... შვილთაგანაც მიტოვებული და დაგმობილი...“ (დადიანი, 1958, გვ. 47) ამ მუნწი და დათალხული ფრაზებით მწერალი თავის უპირველეს შვილზე მგლოვიარე სამშობლოს მხატვრულ სახეს ქმნის, რომელსაც დარდმა და ნაღველმა ცრემლიც წაართვა - „თვალთ მიკვდომია, შიგ უსასობა ჩასახვია“ (დადიანი, 1958, გვ. 47). ილიასადმი მიძღვნილ მინიატურაზე თავისებური შეხედულება ჰქონდა კრიტიკოს იპოლიტე ვართაგავას. იგი მშრალ და უემოციო ქმნილებად მიიჩნევდა მას, რომელიც „გულს არ აღელვებსო“ (ვართაგავა, 1962, გვ. 214).

აკაკის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილია აღწერილი თხზულებაში „აკაკის“. ავტორი პოეტს თაობათა აღმზრდელს, ახალი საქართველოს აღმდგენელსა და გამამშვენიერებელს უწოდებს. ილიასა და აკაკის მამულიშვილობას იმ ეპოქასა და შემდეგშიც ბევრი ვერ აღიქვამდა სათანადოდ, მისთვის კი ისინი იმთავითვე წმინდა შარავანდედით იყვნენ მოსილნი. მათადმი მიძღვნილ ტექსტებში შალვა დადიანის შემოქმედების ეროვნული ხასიათი და ცხოვრებისეული კრედიო იკითხება. აქვე სათქმელია, რომ „ილიასა“ და „აკაკის“, ასევე ზოგიერთ სხვა „ჩამოკრულსაც“ („მონა-ყმა-მუშა“, „კახეთი“, „ჩემებური“, „მშენებლობა“, „ძალი“ და სხვა) პუბლიცისტური ელფერი დაჰკრავთ, რაზეც სამართლიანად მიუთითა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა (ნიკოლეიშვილი, 1994, გვ. 101). XX საუკუნის ათიან წლებში იგივე შენიშნა, ოლონდ გადაჭარბებულად ზემოთ მოხსენიებულმა „სახალხო გაზეთის“ (1912, N588) რეცენზენტმა. იგი მთლიანად „ჩამოკრულებს“ თვლიდა „მაშინდელი პუბლიცისტური წერილების შინაარსის მხატვრულ გადმოცემად, ვიდრე ხელოვნურ ნაწარმოებად...“ (გაზეთის მიმომხილველის ეს შეფასება წინააღმდეგობაშია წინა რეცენზიასთან, რომელშიც იგი სამწერლო ოსტატობას უქებდა ავტორს).

„მზის ჭიატიც“ ეროვნულ-სოციალურ პრობლემატიკას ეხმაურება. მინიატურის მიხედვით, მზის ერთი მხარე საკვირვლად ელვარებს, რომელსაც თან ფრთოსანთა წმინდა გალობა ახლავს, მეორე კი მთლად ჩაბნელებულია, ბნელი ნაწილიდან სვავთა ხარხარი ისმის. ავტორი ორად გაყოფილი მზის, წმინდა გალობისა და დემონური ხმების მაგალითზე სიმბოლოურად გადმოგვცემს ბოროტისა და კეთილის ბრძოლას. იგი ოდინდელი ადამიანური ყოფიერებისთვის დამახასიათებელი კოლიზიაა, რომელშიც სახელდობრ, 900-იან წლებში რუსული მმართველობის წინააღმდეგ ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლის სურათები ირეკლება. ნაწარმოების ფინალი ოპტიმისტურია - მზე უფრო მეტად სხივოსნობს: „განიბნევა ეგ წყვილი და მასთან ერთად გაქრება ხმაურობა სვავთა...“ (დადიანი, 1958, გვ. 26).

„ჩამოკრული“ მინიატურის სახელს უფრო მეტად ამართლებს „მდინარე“. ავტორი ყველაზე იგავურად აქ ამბობს სათქმელს. მდინარე, რომელიც სიცოცხლის, სიწმინდის სიმბოლოდ ესახება მწერალს, ახლა ხალხს წამლავს და ასწებოვნებს. მიზეზი დაბინძურებული სათავეა. ამიტომ იგი უნდა გაიწმინდოს. შალვა დადიანი ქარაგმულად გვიხსნის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმძიმეს - სათავამდე მისასვლელი გზა ეკალ-ღორღითაა დაფარული. „მდინარეში“ ქართველთა შეუკავშირებლობას, ადამიანთა ერთი ნაწილის მერყევ ბუნებასა და მონობისადმი შემგუებლობის სურათებსაც ვხედავთ: სათავისკენ წამსვლელნი „ცოტანი ვიყავით... ცალცალკე მივემართებოდით... ზოგი შუა გზაზე იდგა... ზოგი ახლა იწყებდა სვლას...“ (დადიანი, 1958, გვ. 19). მწერალს ებრალება ისინი, ვინც რაღაცა მიზეზით არ გაჰყვა სათავისკენ მსვლელობას. მათ მოწამლული მდინარის მსხვერპლებად

მიიჩნევს. ბინძური სათავე, ცხადია, ცარისტული მართვის მახინჯი სისტემა, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროს აჭაობებს. იგია სათავე ეროვნულ-სოციალური ჩაგვრისა. მინიატურის მეორე ნაწილში უკვე იგრძნობა ერთობისკენ სწრაფვა. აქ ადამიანთა მასა წარმოდგენილია საერთო მიზნისკენ მავალ შეგნებულ კრებულად. ისინი აცნობიერებენ, რომ ამ ბრძოლაში „ბევრი გაიკაწრება... ზვირთებში გადაიჩეხება, მაგრამ მაინც მივაღწევთ სათავეს... განვიწმინდებით მწიკვლისგან...“ (დადიანი, 1958, გვ. 20). ასეთი თავგანწირვა უდიდეს ზედნიერებას, ადამიანის სულიერ მისწრაფებათა გამოვლენის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს.

იგივე მოტივი გრძელდება მინიატურა „მეორე მდინარეში“. მასშიც მთავარ კოლიზიას ბუნების სტიქიური ძალა - ალღვებული მდინარე და მასთან შებმული ხალხი ქმნის. ადამიანებს განუზრახავთ მწვანედ მოზიბინე და თვალწარმტაცი პეიზაჟებით მორთულ მეორე ნაპირზე გადასვლა. როგორც ვხედავთ, ავტორი ამ შემთხვევაშიც ბუნების სურათთა გასიმბოლოებით გამოხატავს ტექსტის იდეურ-აზრობრივ მხარეს. ბოზოქარი მდინარე რუსული თვითმპყრობელობაა, მწვანედ მოზიბინე მხარე კი - თავისუფლება. მინიატურის მიხედვით, ერმა ცხადად იგრძნო თავისუფლებისათვის ბრძოლის საჭიროება და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ აზვირთებული მდინარის „უწყალო ტალღებს“ შეება. „უწყალო ტალღებში“ ის სისასტიკე იგულისხმება, რომელსაც იმპერიის მოხელენი იჩენდნენ ამბოხებულ ქართველთა მიმართ.

ზღაპრულ-სიმბოლური გააზრებით საინტერესოა უსათაურო მინიატურა, რომელიც გვამცნობს, რომ „დაიბადა მშვენიერი ბავშვი“. ის სიმართლის შვილი იყო. ბავშვს „დაჩაგრულები ძუძუს აწოვებდნენ და იგი საუცხოო ჭაბუკი დადგა“. მას ყველაზე მეტად ჰქონდა - ნიჭი ორთეოსისა. მისი ხმა ციური რამ მუსიკა იყო... მის მომსმენელს თვით მხეცსაც კი იმორჩილებდა...“ (დადიანი, 1958, გვ. 59). ბავშვი, როგორც მკვლევარი მანანა ნიკოლაძე მიუთითებს, სამართლიანობას განასახიერებს (ნიკოლაძე, 2011, გვ. 85). იგი უნდა გაიზარდოს, გაძლიერდეს, რათა დამყარდეს საყოველთაო თანასწორობა. თუმცა მას ბევრი მტერი ჰყავს. ავტორი მიმზიდველი მეტაფორებით გვიხატავს რევოლუციური გამოსვლების სიმძაფრეს, რომელიც განსხეულებულია ჭაბუკის თავს დადგმული უცნაური ნათების გვირგვინში. მანათობელმა გვირგვინმა და მომაჯადოებელმა ხმამ ძილი დაუფრთხო მინიატურაში დათვის სახით გამოხატულ რუსეთის იმპერიას და გაღიზიანებულმა ტორი გაჰკრა ბიჭს. ჭაბუკის სახეში შესაძლოა თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს ხატებაც დავინახოთ. ფინალი აქაც საიმედოა - „მოფრენილა ზღაპრული ფასკუნჯი და თავისი უებარი ფრთის შეხებით იარას უმრთელებს ჭაბუკს“ (დადიანი, 1958, გვ. 59). ნიშანდობლივია, რომ მწერალი ამ და სხვა ტექსტებშიც თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლას მუდმივ პროცესად მიიჩნევს.

900-იანი წლების საქართველოს ცვალებადი და წინააღმდეგობრივი სინამდვილეა გადმოცემული მინიატურაში, რომელსაც შექსპირის სიტყვები - „რად არ მეშლება ეს სხეული ესრედ მაგარი“ - აქვს ეპიგრაფად წამძვარებული. იგი რადიკალურად ეწინააღმდეგება ავტორის სხვა ქმნილებათა ოპტიმისტურ სულისკვეთებას. მასში ის განწყობები და სურათებია ასახული, რომელიც რევოლუციის მარცხის შემდეგ ქვეყანაში დამყარებულ ტირანიას მოჰყვა. მწერლის იმედი უსამართლობის დაძლევისა არ გამართლდა. მისი სულიერი განწყობილება პირველივე წინადადებაში ვლინდება - „კალამი ხელს არ ემორჩილება“. იქვე მოაყოლებს ილიას ფრაზას: „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები...“ ერის ლიდერის ეს სიტყვებიც სევდის მომგვრელია, მისი სამშობლო დაცემულ მდგომარეობაში ხვდება აყვავებულ ბუნებას. თუმცა კითხვაში - შენ როსლა აყვავდებიო, ერთგვარი იმედიც გამოსჭვივის. მინიატურაში კი ყველგან სიკვდილი და სასოწარკვეთილება სუფევს: „გოლგოთა... სახრჩობელები... სვავთა ხარხარი... ბორკილების ხმა... ჩონჩხიანი შიმშილი... გმინვა დაჩაგრულისა...“ (დადიანი, 1958, გვ. 60). შალვა დადიანი ისედაც უსასოო ყოფას რამდენადმე ჰიპერტროფიულად წარმოაჩენს. თხზულებაში უსიამოვნო რეალობა მწერლისეულ წარმოსახვასთანაა გადაჯაჭვული, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მას. ტრაგედიაა ბრძოლის ველზე გმირის სიკვდილი, მაგრამ ამ სამწუხარო ამბის ამგვარი წარმოდგენა, რომ „თვით ნახა, შავი ყორანი თავის მყრალის ნისკარტით როგორ უკორტნიდა ტურფა თვალებსა“ - ჰიპერტროფიული სინამდვილეა. მწერალი, მართლაც თვითმხილველი და თანამონაწილე რთული პროცესებისა, შეწუხებულია შექმნილი მდგომარეობით. ამიტომ მკითხველზე მეტი შთაბეჭდილების მოხდენის, გამოსავლის ძიებაზე დაფიქრების მიზნით, ასეთ ხერხს მიმართავს. ავტორის მხატვრული ჭკრეტის წყალობით, ნაწარმოებში „მზის ჭიატისგან“ განსხვავებით ერთი გამამხნეველი სხივიც არ კიაფობს. ყველგან „სისხლის რუები“ მდინარებენ. მწერლის თვალი სანუგემის ვერაფერს ხედავს.

იმედი და უიმედობა ენაცვლება ერთმანეთს მინიატურა „ცისიერში“, რომელიც შემოქმედისთვის დამახასიათებელი ბუნების სურათთა ურთიერთმონაცვლეობითაა გამოხატული. იგი ნათლად გვიჩვენებს 900-იანი წლების საქართველოს ცვალებად და წინააღმდეგობრივ სინამდვილეს. აღნიშნული განწყობები აზრობრივად ტევადი, მაგრამ უმოკლესი ფრაზებითაა გამოხატული: „შევსწარ განთიადსაც“, „შავზნელი ღამე“, „ეტყობა რიჟრაჟობს“ და სხვა. მოვლენათა სწრაფი ცვალებადობა და წუთიერი შთაბეჭდილებები მწერლის იმპრესიონისტულ მანერებზე მიუთითებს.

უკუდმართ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას ამხელს მინიატურა „ხახვი“. ნაწარმოების გმირი (ავტორი) შუაზე ჭრის უსიცოცხლოდ გამოშხირალ დაბერებულ ხახვს. იგი გაკვირვებულია თითქმის მკვდარი სხეულის შუაგულიდან ზევით წამოსული სასიცოცხლო ყლორტებით. „როგორც პოზედონოსცემა, ჩაკვარი თავში დანის ბრტყელი პირი“ - აღნიშნავს მწერალი. ავტორი კვლავ ალევორიებს მიმართავს. მანანა ნიკოლაძის დაკვირვებით, ხახვი იმპერიის სიმბოლოა, ყლორტები კი - პროგრესული იდეების (ნიკოლაძე, 2011, გვ. 101). ამ კონტექსტში რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდის ობერპროკურორის ხსენებამ გააცხადა თხზულების დედააზრი - თვითმპყრობელობის სასტიკი შეურიგებლობა ყოველგვარი ახალი აზრისადმი. კონსტანტინე პოზედონოსცევი (1827-1907) იმპერატორ ალექსანდრე III სამინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარ იდეოლოგს წარმოადგენდა, რომელიც ძირშივე სპობდა საზოგადოებისაგან ინიცირებულ ნებისმიერ სიახლეს. მწერალი მიგვანიშნებს, რომ მისი მოღვაწეობა ერთიორად საზიანო იყო ქართველთათვის, რადგან იგი მიზნად ისახავდა ეროვნული თავისუფლების იდეის, თავისთავადობისა და ღირსების აღმოფხვრას. რუსი მაღალჩინოსნის გაპერსონაჟებით შალვა დადიანმა ხაზი გაუსვა იმპერიის მესვეურთა ქართველთმოდულებობას. საქართველოსადმი პოზედონოსცევის დამოკიდებულებას კარგად ასახავს მისი წერილი რუსეთის იმპერატორისადმი: „ქართველები უმეცარნი არიან, სასულიერო პირებიც კი უმეცრებასა და სიღარიბეში ცხოვრობენ...“ სხვა წერილში კი აღნიშნავდა: „ამ მხარეში აუცილებელია მკაცრი ზომების შემოღება წესრიგის დასამყარებლად...“ (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი). წესრიგის დამყარებაში სასწავლო და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში, ეკლესია-მონასტრებში ქართული ენის საყოველთაო აკრძალვა, ყოველივე ნაციონალური აზრის ჩახშობა იგულისხმებოდა, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ამ ბატონის ზეობის (70-80-იან) წლებში. პოზედონოსცევი მოითხოვდა მკაცრად გაკონტროლებულიყო რა ლიტერატურას იწერდნენ და რას ეცნობოდნენ სასულიერო სასწავლებლების პედაგოგები.

ვაჟური მოტივები ისმის მინიატურა „მთის ყვავილში“. იგიც ვაჟას მცირე ფორმის თხზულებების („ია“, „მთის წყარო“, „ქუჩი“) დარად, მონოლოგის ფორმითაა დაწერილი. მწერალი ისე გადმოგვცემს სათქმელს, რომ ყვავილში ბუნების კონკრეტული წარმომადგენლის განცდებიც დავინახოთ და სიმბოლურ-ალევორიული მნიშვნელობაც. იგი ვაჟას ბუნების წვერებივით ძალზე მგრძნობიარეა. ბუნების შვილი: ცვარ-მარგალიტი, იადონი, ნისლი, ნაზი ნიავი მასაც თავს ევლებიან. ხანდახან წარღვნისებური მსხვილი წვიმაც ხვდება, ტალახითაც ისვრება, მაგრამ უმანკო წყაროს წვეთები ამორებენ ლაქებს. ხარობს მთის ყვავილი თავისი კუთხის მშვენიერებით, თუმცა ადამიანები, რომლებიც კაფავენ ტყეებს, ყვავილებს, მათ შორის მთის ყვავილს, ძირში თხრიან. თიხის ქოთანში მოთავსებული ნეტარებით იგონებს წარსულს. მას არ უყვარს ადამიანი, რომელმაც თავისუფლება წაჰგვარა, უდიერად მოეპყრო ბუნებას. მთის ყვავილი ვაჟას ქუჩივით მსჯელობს კაცთა მოდგმაზე - გაოგნებულია, რომ ისინი ერთმანეთსაც მტრობენ, ჰკლავენ, არ იციან თავისუფლების ფასი. ანალოგიურად ემდურვიან ადამიანს იაც („ია“) და მთის წყაროც („მთის წყარო“). როგორც ითქვა, „მთის ყვავილი“ სიმბოლურ-ალევორიულადაც გაიაზრება. ყვავილი თავისუფლების, ტყვედპყრობილი სამშობლოს მხატვრული სახეა. ყვავილს (საქართველოს) მრავალი განსაცდელი შეხვედრია, მაგრამ უფლის წყალობითა და თავისუფლებისადმი მუდმივი სწრაფვით დაუძლევიან. ახლა ბედმა უმუხთლა და თიხის ქურჭელში (დამპყრობლის უღელქვეშ) მოექცა, მაგრამ კვლავ გამოსცემს თავისუფლების მძაფრ სურნელს, რომელიც აღიზიანებს მის ახალ პატრონს (რუსულ თვითმპყრობელობას). „ამ სურნელების ჰარმონია მთელი გულსაკლავი მუსიკაა, მოთქმია შემაზრზენი თავისუფლებაზე.“ ამ სურნელის ფრქვევას არ შეწყვეტს ყვავილი (საქართველო იბრძოლებს თავისუფლებისათვის), რადგან ის იმ კუთხის შვილია, „სადაც ორბის თავისუფალი ფრთების ქნევა გაისმის...“ (დადიანი, 1958, გვ. 46).

ეროვნულ-სოციალური პრობლემების გადაწყვეტის გზებს ეძიებს მწერალი მინიატურებში - „ხმა“, „შინ“, „მაგრამ... მაგრამ“, „მშვიდობით“, „წამოვიზარდენით“, „ფალავანი“, „ოთხი კედელი“ და სხვა. დასახელებულ ქმნილებებში კვლავ მედგრად ისმის ავტორის მებრძოლი ხმა: „ხმა სიმართლისა, ხმა ჭეშმარიტებისა...“

მიუხედავად ცალკეული შენიშვნებისა, აქტუალურმა თემატიკამ, იდეურმა სიღრმემ და მხატვრულმა ოსტატობამ „ჩამოკრულებს“ მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულება მოუპოვა. შალვა დადიანმა კონკრეტულ სახეებში მხატვრული, იგავურ-ქარაგმული ფორმით განათავსა XX ასწლეულის დასაწყისის საქართველოში მიმდინარე მოვლენების ძირითადი მიმართულებები და ხასიათი, რითაც განზოგადებული ბუნება შესძინა მათ. „ჩამოკრულები“ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგაც არ კარგავენ ცხოველმყოფელობას, რადგან დღესაც თითქმის იგივე პრობლემების წინაშე ვდგავართ. თავისუფლების მაძიებელი „მთის ყვავილი“, „საუცხოო ჭაბუკი“ ისევ ჩრდილოელი „დათვის“ აგრესიის ქვეშაა. მწერლის იდეიდან გამომდინარე, ჭაბუკს (საქართველოს) აუცილებლად მოუშუშებს იარებს შორით მოფრენილი ზღაპრული ფასკუნჯი.

ბიბლიოგრაფია:

- ალმანახი „კრიტიკა“. (1975). #2.
- ასათიანი, ლ. (1974). *ლიტერატურული წერილები. ნარკვევები*. თბილისი.
- ბურთიკაშვილი, ა. (1952). *შალვა დადიანი*. თბილისი.
- დადიანი, შ. (1953). *ნიკო შიუკაშვილი. პიესები*. თბილისი.
- დადიანი, შ. (1958). *რჩეული თხზულებანი* (ტ. I). თბილისი.
- დადიანი, შ. (1962). *რჩეული თხზულებანი* (ტ. V). თბილისი.
- ვართაგავა, ი. (1962). *შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება*. თბილისი.
- თევზაძე, დ. (1994). *საუკუნის თვალთ*. თბილისი.
- ნიკოლაძე, მ. (2011). *შალვა დადიანის მხატვრული პროზა*. დისერტაცია. ქუთაისი.
- ნიკოლეიშვილი, ა. (1994). *XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები* (ტ. I). ქუთაისი.
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი*. ფ. 488, საქმე 26345.
- სახალხო გაზეთი*. (1912). #586, 588.
- ციციშვილი, გ. (1974). *შალვა დადიანი*. თბილისი.

Zurab Okropiridze
Gori State University

FROM THE CYCLE OF MINIATURES BY SHALVA DADIANI - "CHAMOKRULEBI" RESUME

Shalva Dadiani stood out with innovative approaches at the very beginning of his writing career. From the 900s, he was one of the first who established the miniature genre in our writing. The writer works created during this period called "Chamokrulebi", which means narrating the message with a periphrastic way in a symbolic-allegorical form. Their main topic was determined by the national-social motives. The most difficult socio-political events taking place in Georgia at the beginning of the 20th century were vividly reflected in the miniatures. Like Ilia, Akaki, Vazha, author often mentions their expressions in his texts. He calls on the Georgian people to fight for freedom.

Keywords: Miniature, "Chamokrulebi", National, Social, Homeland.

იზოლდა რუსაძე, კახაბერ ქეზულაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კირილე ლორთქიფანიძე და ლექსიკოგრაფიის საკითხები

საკვანძო სიტყვები: ლექსიკოგრაფი, ლექსიკონი, ხელნაწერი, მეტყველების ნაწილები, მცენარეთა და ცხოველთა სახელწოდებები.

კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე (1839-1919) XIX საუკუნის 60-იანი წლების თერგდალეულთა თაობის ერთ-ერთი კოლორიტული წარმომადგენელია. ის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის უახლოესი მეგობარი, თანამოაზრე და თანამებრძოლი, მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე თავდადებით და უანგაროდ ემსახურა მშობლიურ ქვეყანას. „შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში არ ყოფილა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ისეთი მოვლენა, რომელშიც მას გულმხურვალე მონაწილეობა არ

მიეღოს. კირილე ლორთქიფანიძეს საქართველოში იცნობდნენ როგორც პუბლიცისტს, კრიტიკოსს, რედაქტორს, ქართული წიგნის გამომცემელს, მთარგმნელს, თეატრალს, პოეტს, ქუთაისის საადგილმამულო და ურთიერთნდობის კრედიტის ბანკების მოღვაწეს, ქუთაისის ქართული გიმნაზიის შესანიშნავი შენობის აგების თავკაცს, ახალი ქართული შრიფტის შემქმნელს... იგი ყოველთვის მხარში ედგა, უფრო ხშირად კი წინ უძღოდა იმათ, ვინც ეროვნული იდეალების განხორციელებისათვის იბრძოდა“ (ვაჭრიძე, 1998, გვ. 55).

დიდია კირილე ლორთქიფანიძის დამსახურება როგორც ქართული ეროვნული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწისა. ამ საკითხზე სრულყოფილად მსჯელობა აქ ძალიან შორს წაგვიყვანს. მხოლოდ გამოვეყოფთ მის საქმიანობას ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეში. „ის ქართული ენის არა მარტო კარგი მცოდნე და სტილისტი იყო, არამედ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში საინტერესო შრომასაც ეწეოდა როგორც ენის თეორეტიკოსი, გრამატიკოსი და ლექსიკოგრაფი,“ – წერს კ. მემველია თავის მონოგრაფიაში „თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე“ (მემველია, 1965, გვ. 172).

მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, კირილე ლორთქიფანიძის არქივში (№2173), უამრავი ხელნაწერი საბუთია დაცული. ეს საბუთები მრავალფეროვანია. აქ ჩვენ ბევრ საინტერესო მასალას ვეცნობით, მათ შორის მის ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობას, რაც ამჟამად ჩვენი განხილვის ობიექტს წარმოადგენს (ცნობილია, რომ, კირილე ლორთქიფანიძემ პირადი არქივი და უნიკალური წიგნების ბიბლიოთეკა 1916 წლის 14 იანვარს ანდერძით გადასცა ქუთაისის საისტორიო საზოგადოებას, რომლის ბაზაზე გაიხსნა ქუთაისის ისტორიული მუზეუმი).

ირკვევა, რომ კირილე ლორთქიფანიძე დაინტერესებული იყო ქართული და უცხოური სიტყვების ახსნა-განმარტებებით. მას შეუდგენია ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული მცირე და მოზრდილი მოცულობის ლექსიკონები. აქვეა დაცული ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელშიც შეტანილია 1400 ქართული სიტყვის რუსული თარგმანი. საყურადღებოა მცირე მოცულობის ლექსიკონი მცენარეებისა და ცხოველთა შესახებაც, სადაც საყოფაცხოვრებო სიტყვებსაც ვპოულობთ. საინტერესოა კირილე ლორთქიფანიძის შედგენილი უცხო სიტყვების ლექსიკონი. ასევე, „ბიძია თომას ქოხს“ დართული აქვს კ. ლორთქიფანიძის შედგენილი საინტერესო ლექსიკონი, სადაც განმარტებულია 65 უცხო და ქართული სიტყვა. მოკლედ რომ ვთქვათ, კ. ლორთქიფანიძის პირად არქივში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა. ის ჯერ კიდევ უცნობია და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. აქ ვხვდებით სხვადასხვა სახის რვეულებს, სადაც ავტორს შეტანილი აქვს ქართული და უცხოური სიტყვების ახსნა-განმარტებები. აქვე მოიპოვება ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები, რომელთაგან ერთ-ერთი უფრო მოზრდილი მოცულობისაა.

კირილე ლორთქიფანიძის არქივში ჩვენ დავადასტურეთ რამდენიმე ხელნაწერი რვეული. მაგალითად: ხელნაწერი №473, №474, №554. ზუსტად აღვწერთ თითოეულ მათგანს.

ხელნაწერი №473 შეიცავს 17 ფურცელს, ნაწერია ორივე გვერდზე. ავტორს ალფავიტზე დაწყობილი 170 სიტყვა ასე დაუსათაურებია: „ზოგიერთი სიტყვების განმარტება“. იგი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ტიპისაა. ყველა ეს სიტყვა და მათი ახსნა ლამაზი ხელით, შავი ტუშით დაწერილია შვიდ ფურცელზე. აღსანიშნავია, რომ „ზოგიერთი სიტყვების განმარტებაში“ ოცზე მეტი ერთეული მეცხოველეობის საკითხს ეხება. საილუსტრაციოდ დავასახელებთ ზოგ მათგანს:

აკანათი – მახე ფრინველთ დასაჭერი.

ბოკვერი – ლომის ლეკვი, მოზრდილი.

ბუნაგი – გარეულ ცხოველთ სორო, ხვრელი, თავშესაფარი, სამყოფი, საბუდარი.

თათი – ხელი, ტოტი, ცხოველების წინა ფეხზე უფრო იტყვიან.

თოხარიკი – ჩორთით სიარული, ჯორულად სიარული ცხენისა.

ონავარა – მტაცებელი ცხოველი.

ნიჟარა – ტყავკეცილირბილსხეულოვან ცხოველებისა.

უხელო – ცხენზე იტყვიან, როცა შეუკაზმავია.

ქართა – ფარეხი, შინაურ პირუტყვთა სამწყვდევი.

მაგარა – ჯაგარი, ღორის მაგარი ბალანი.

ჭედილა – დაკოდილი, დასაჭურისებული ხარი.

ხვითქი – ნიანგი, კროკოდილი.

აქვეა განმარტებული ზოგიერთი თავზისა და ფრინველის სახელიც:

თოხისტარა – კუდფანფალა, წყალწყალა ჩიტი.

ლიფსიტა – პატარა თევზი.

ნაფოტა – თევზია ერთგვარი, რომელსაც ტარანს ვეძახით.

ფარფატი – აქეთ–იქით ნელა ფრინვა.

ფართქუნი – ფრთების მოძრაობა იმგვარად, როგორადაც ფრინველმა ტანის ბანვის დროს იცის.

ჯუჯუმკალა – მწერია ერთი.

ამავე ხელნაწერში მცენარეთა განმარტებულ სახელებსაც ვხვდებით. აი, ისინიც:

ბაბუსწვერა – მცენარე ბაბუა.

არყის ხე – პრტყელფურცლიანი მთიული თეთრი ხე, საუკეთესო საშეშე, ხედ ითვლება ცივ ქვეყნებში.

ბარდი – ბურდო, ჯგუფურად ამოსული სხვადასხვაგვარი მცენარეები ერთმანეთთან გადახლართული ღერებით, რტოებით, ფოთლებით და ეკლებით.

ბუსუსი – გინგლი, ქინქლი, ბალახისა და ხის.

ბუმგი – წაბლის და სხვა მცენარეთა ნაყოფის ეკლებიანი კანი. კაჭაჭი – ღვარძლი და ან სხვა ბალახი პურისა და სხვა მოსავლისათვის მავნებელი.

კურკანტელა – ეკლიანი მცენარე, ბუჩქად წითელ-წითელ ნაყოფს იხამს.

მაჟალო – ტყის ვაშლი.

ნერგი – დასარგავი ან ახლად დარგული ჩქოლა ხე.

პლანტაცია – თამბაქოს, ჩაის ბუჩქის, ლელწმის, ბამბის, სიმინდის და სხვა მცენარეთა ყანები.

ტევრი – სქელი, ბურკილი ტყე.

შეთვალვა – ყურძნის ან სხვა მცენარის ზოგი მარცვალი სიმწიფის დროს მწვანე ფერის მაგიერ ბუნებით ფერს მიიღებს. შემდეგი მთელი მტევნები ამფერადვე დამწიფდებიან, როცა ფერის ცვლა დაიწყება, იტყვიან, ყურძენი შეითვალაო.

შხოლები – ნეშო, ფურცლებიანი ხის შტოები.

ჩქოლა – ახალნაზარდი ხე.

წიწიბო – წიფლის ზეთიანი კაკალი.

ჭერები – მდინარეთაგან მოტანილი და დაყრილი მთელი ხის შტოები.

„ზოგიერთი სიტყვების განმარტების“ ავტოგრაფიულ ნუსხაში სხვა სიტყვების განმარტებასაც ვხვდებით:

აბურცება – დაწვის ან დამდულვრის გამო რომ ხორცის კანი აიშუშება და შიგ წვენი ჩადება.

აბჯარი – ჯავშანი ძველებური, მეომრისთვის სახმარი, ტანსაცმელი ჭრილობის ასაცდენად, გაკეთებული რკინისა და ფოლადის რგოლების ბადისაგან. სადაც მოხერხდებოდა, იქ ბადის მაგიერ რკინისაგან გაკეთებულ იარაღს ხმარობდნენ.

ადრესი – გასაგზავნ კონვერტზე და სხვა ნივთებისა და საქონლის სახვევებზე წარწერა, თუ გასაგზავნი ვის და სად უნდა მიუვიდეს ან გადაეცეს ანუ ჩაბარდეს.

აივანი – შესავალი, წინკარი, გადახურული უკედლო სამყოფი კაცთათვის სახლებზე მიშენებული, დერეფანი, ვერანდა, ბალკონი.

აკვიატება – აკვიატება, ადევნება, გარდაკიდება, აჩემება, დაჟინება.

ალვახაზი – ტკბილეული საჭმელი გასქელებულის თაფლისაგან გაკეთებული.

ალიზი – გამოუმწვარი აგური და თვით სააგურე მიწა მოხელილი, რომელსაც კარის მაგიერ ხმარობენ.

ალო – ნახნავი მიწა, მხვნელთ შრომის სასყიდლად დანიშნული.

ანეული – გაწმენდილი და დახნული მიწა, გაზაფხულზე პურის დასათესად მომზადებული.

რაც შეეხება მეტყველების ნაწილებს, აქ ავტორს შეტანილი აქვს არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, ზმნები, სახელზმნები. სახელები მოცემულია საწყისი ფორმით. აქ ერთნაირი წესითაა ანბანზე დალაგებული ძირეული და წარმოქმნილი, მარტივი და რთული სიტყვები. ვერ ვიტყვით, რომ განსამარტავი სიტყვების მარაგი კირილე ლორთქიფანიძეს აღებული ჰქონდეს ქართული მწერლობიდან ანდა ნათარგმნიდან. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ლექსიკოგრაფი განსამარტავ სიტყვასთან თუ მის განმარტებასთან დაკავშირებით არსად არ იმოწმებს ან არ უთითებს წყაროებს, არც ციტატაა სადმე მოყვანილი. სალექსიკონო მასალას არ აქვს სქოლიო. ამ ხელნაწერში 8-დან 14 გვერდების ჩათვლით შავი ფანქრით ჩამოწერილია 100 რუსული სიტყვა ქართული თარგმანიტურთ. ჩანს, რომ კირილე ლორთქიფანიძე მასზე სხვადასხვა დროს მუშაობდა. ზოგ რუსულ სიტყვას ქართული განმარტება იმავე ფანქრით აქვს აღნიშნული. ზოგს კი – შავი ტუშით, სალექსიკონო მასალა ანბანზე დალაგებული არ არის.

გვერდ 15-17-ზე კი ალფავიტის მიხედვით დაწყობილი 250-მდე ქართული სიტყვა ნათარგმნია რუსულად. ზოგიერთი მათგანი დატოვებულია განმარტების გარეშე. სიტყვები რომელიმე დარგის მიხედვით დალაგებული არ არის. აქ ვხვდებით ისეთ ერთეულებს, როგორცაა აბლაბუდა, აზატი, ალაბასტრი, ამარტი, არჩევანი, არხი, ატლასი, აქატი, ბაგირი, ბალაშხანი, ბაკანი, ბარდა, ბარომეტრი, ბაჭია, ბახალა, ბედევი, ბელი, ბერწი, ბლაგვი, ბუდე, ბუნაგი, გადასავალი, გარდიგარდმო, გვარჯილა, გრადუსი, გულის ფიცარი და სხვა.

№474 ხელნაწერი ლექსიკონი 24 ფურცლიანია. 23 ფურცელი შესრულებულია შავი ტუშით. ნაწერია ორივე მხარეს ფაქიზად, ულამაზესი ხელით.

ლექსიკონში გვხვდება ყოველგვარი სახელი, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქ ვხვდებით მეტწილად მცენარეთა და ფრინველთა სახელწოდებებს. სანიმუშოდ დავასახელებთ რამდენიმეს:

აბზინდა – (ბალახი) აბრეშუშა
აბუტარაკი
აგინარი
აედონი – იადონი
ავაზა – ბარასი
ავაჯუა – ბალახი
ავშანი – ბალახი
აკაკი – (ბრინჯაოს ხე)
აკანთო
ალავერდი, იონჯა
ალუჩა – შუმტყემალი
ამალაჩა – ბალახი
ამნატონ – ხე
ანაგვრულა, გვირილა, მყრალა
ანისული – ცერეცო
ანკარა – გველხოვერ
ანწლი – დიდგულა ხე
ანსარუთი – ბალახი
აპუტარაკი – ბალახი
არდაგუნი – ბალახი
არჯაკელა – ჯიკო, ზერჩო.
არჯიოკა – ბალახი
ბაბაყული, ბაბოყველი – ფრინველი
ბარი – ფრინველი
ბალია – გარეული კუ
ბზეწვია – ფრინველი
ბოლობეჭდა – ფრინველი
გალიოსი – თევზი
გარეული ბატი
გარე თხა
გავაზი
ბუმგი, ზღარბი
გარეული ღორი
გარიელი – ფრინველი
ბარშაგი – ნეხვკუმპულა
გედი
გელაქნური – თევზი
გველი
გველაძუა (ჭიაყელა)
გველეშაპი და სხვა.

ე.ი. ლექსიკონი შეეხება მხოლოდ ფლორასა და ფაუნას. აქ ძირითადად 1400 სიტყვაა, რომელთა უმრავლესობა ნათარგმნია რუსულად. ბევრ მათგანს მიწერილი აქვს ლათინურადაც. მიუხედავად იმისა, რომ მასალა დალაგებულია ანბანზე, ავტორს მასზე მუშაობის დამთავრება ვერ მოუხწრია.

ლექსიკონის 24-ე გვერდზე კირილე ლორთქიფანიძეს შავი ფანქრით მიუწერია შემდეგი:

„ეს ლექსიკონი შედგენილია თითქმის 50 წლის წინათ პეტერბურგში, როცა 30 წლის ვიქნებოდი. კ. ლ. ფანქრით გაკეთებული შენიშვნები პეტრე წულუკიძის ნაწერია და თვით ამ რვეულში აქა-იქ მისივე ხელით კარანდაშით არის შენიშვნები, რომელიც მას ჩაუმატებია, როცა ეს რვეული მას ვათხოვე და მას ჰქონდა უკანასკნელ დრომდის“. (შენიშვნა: პეტრე წულუკიძე იყო ქუთაისის მკვიდრი, პროფესიით აგრონომი. მას საკუთრად ჰქონდა სტამბა, სადაც კ. ლორთქიფანიძის შრიფტით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. კ. ლორთქიფანიძეს კ. წულუკიძისათვის უთხოვებია ლექსიკონი. პ. წულუკიძეს კი მასზე მინაწერი გაუკეთებია).

კირილე ლორთქიფანიძის ციტატას აქვს ხელისმოწერა. იგი დათარიღებულია 1917 წლით.

კირილე ლორთქიფანიძის მინაწერის მიხედვით, ავტორს ეს ლექსიკონი შეუდგენია დაახლოებით 1867 წელს, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოსული სულხან-საბას ლექსიკონი. ეს უკანასკნელი რაფიელ ერისთავმა გამოსცა 1884 წელს. ჩანს, კირილე ლორთქიფანიძე სულხანის ლექსიკონს ხელნაწერში იცნობდა, რაც დიდ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ლექსიკოგრაფს. არც რაფიელ ერისთავის მცენარეთა ლექსიკონს იცნობდა კირილე ლორთქიფანიძე, რადგანაც პირველად რაფიელ ერისთავის ლექსიკონი 1873 წელს გამოქვეყნდა.

№473 და №474 ხელნაწერების შედარებით დადგინდა, რომ ორივე ხელნაწერში სხვადასხვა სიტყვაა წარმოდგენილი. ისინი ერთმანეთს არ მოიცავენ.

№554 ხელნაწერში რამდენიმე გვერდზე ლექსიკოგრაფს ჩაუნიშნავს სიტყვები ქართულ-რუსულად და რუსულ-ქართულად. გარდა ამისა, ქართულ ენაზე ვხვდებით აგრეთვე მცენარეთა და თევზთა სახელწოდებებსაც.

როგორც ვხედავთ, კირილე ლორთქიფანიძის ფაქტობრივი მასალა და დაკვირვებები სანდო პირველწყაროა ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიისათვის.

ბიბლიოგრაფია:

ვაჭრიძე, პ. (1998). ქუთაისის მუზეუმი და კირილე ლორთქიფანიძე. *ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შრომები*, IX-X.

მებველია, ვ. (1965). *თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე*. თბილისი: განათლება.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი. ხელნაწერთა განყოფილება. კირილე ლორთქიფანიძის არქივი. №2173 – საბუთები №473, №474, №554.

Izolda Rusadze, Kakhaber Kebuladze

Akaki Tsereteli State University

KIRILE LORTKIPANIDZE AND LEXICOGRAPHY ISSUES

RESUME

Kirile Lortkipanidze (1839-1919) is one of the most colorful representatives of the Tergdaleli generation in the 60s of the XIX century. He, the closest friend, comrade and comrade-in-arms of Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Niko Nikoladze, served his native country with devotion and selflessness throughout his long life. „It can be said without exaggeration that for more than fifty years there has not been an event of public importance in which he did not take an active part. Kirile Lortkipanidze was known in Georgia as a publicist, critic, editor, publisher of a Georgian book, translator, theater, poet, figure of Kutaisi local and mutual credit banks. He often preceded those who fought for the realization of national ideals“ (Vachridze 1998, 55).

Kirile Lortkipanidze was interested in the explanations of Georgian and foreign words. He compiled Georgian-Russian and Russian-Georgian dictionaries of small and large volumes. The Georgian-Russian dictionary is preserved here, which includes 1400 Russian translations of Georgian words. A small dictionary on plants and animals is also noteworthy, where we also find household words. The dictionary of foreign words compiled by Kirile Lortkipanidze is interesting.

Kirile Lortkipanidze's lexicographic heritage is particularly noteworthy in his personal archives. It isn't studied thoroughly yet and needs further research.

Kirile Lortkipanidze's factual material and observations can serve as an important source for studying the history of Georgian Lexicography.

Keywords: Lexicographer, Dictionary, Manuscript, Parts of speech, Names of plants and animals.

გალაკტიონის ერთი ლექსის საიდუმლო

საკვანძო სიტყვები: გალაკტიონი, გალაკტიონოლოგია, ტექსტოლოგია.

1959 წლის 12 მარტს, თვითმკვლელობამდე ხუთი დღით ადრე, გალაკტიონი დილაადრიან მივიდა ცნობილ მხატვართან – კორნელი სანაძესთან და დაჟინებით მოსთხოვა, რამდენიმე წლის წინ დაწყებული პორტრეტის – „მე და ღამის“ ხატვა საჩქაროდ დაესრულებინა.

მხატვარმა უცნაურად აღელვებულ პოეტს მოუბოდიშა, აუხსნა, რომ ძალიან დაკავებული იყო და მომდევნო დღეს მისვლა შესთავაზა. გალაკტიონმა მტკიცედ განუცხადა: – არა! თუ მხატავ, დამხატე, თუ არა და მეტი არასოდეს არ მოვალ!

პოეტის კატეგორიული მოთხოვნის გამო კორნელი სანაძემ ხატვა დაიწყო. რამდენიმე საათის შემდეგ, როცა ეტიუდი დაასრულა, გალაკტიონი წამოდგა, ნახატს დააკვირდა, მოეწონა, შემდეგ მხატვარს წაუკითხა ლექსი „ეს იყო წინათ“, გადაეხვია და წავიდა. გალაკტიონის ეს ვიზიტი კორნელი სანაძესთან უკანასკნელი აღმოჩნდა.

როცა მხატვრის მონათხრობს ეცნობი, შეუძლებელია, არ აგეკვიტოს ფიქრი, რომ აფორიაქებული გალაკტიონი საბედისწერო ნაბიჯის გადასადგმელად ემზადებოდა. უეცარი შერიგება კორნელი სანაძესთან, ვისზეც მთელი სამი წელიწადი განაწყენებული იყო, კატეგორიული მოთხოვნა „თუ მხატავ, დამხატე“ და შემდეგ თითქოს ბავშვური მუქარა „მეტი არასოდეს არ მოვალ“, 1959 წლის 17 მარტის ტრაგედიის ფონზე, ავისმომასწავებლად აღიქმება. თუმცა მთავარი ამ ეპიზოდში მაინც ის ლექსი მგონია, რომელიც პოეტმა კორნელი სანაძეს წაუკითხა.

„ეს იყო წინათ“ – გენიალური ხუთსტროფიანი უსათაურო – დღეს გალაკტიონის ავტოეპიტაფიად არის მიჩნეული:

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
რაც გახსენება გულმა არ ჰგუბოს –
მაინც მოვიდა ვიღაც გვირგვინით
და შენს უბრალოს აშვენებს კუბოს.

მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალეზა,
თითქო ზღვის კარად თივას თიბავდე,
ვინა თქვა შენი გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე.

მიდიხარ... აღარ დაგემდურება
არც მიწიერი, არც ზეციერი,
ვინა თქვა შენი უბედურება?
არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი.

მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი.
ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.

მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშვენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს –
შენ უკვდავების ხარ ბინადარი.

1959 წელს, გალაკტიონის თვითმკვლევლობისთანავე ითქვა, რომ პოეტმა უკანასკნელი გზა ამ შედეგით გაინათა (გურამ ასათიანი), ოდნავ მოგვიანებით კი ლექსი სიკვდილთან საოცარი სიმშვიდით შეხვედრის უდიდეს ადამიანურ დოკუმენტადაც მოიხსენიეს (გიორგი გაჩეჩილაძე).

„ეს იყო წინათ“ 1956 წელს დაიწერა და ავტორის სიცოცხლეში ერთადერთხელ გამოქვეყნდა – 1957 წელს, თხზულებათა რვატომეულის ბოლო ტომში.

იმ დროისათვის, როცა გალაკტიონის ე. წ. ავტოეპიტაფია დაიწერა, გენიალურ პოეტს შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მისი უნიკალური მისია უკვე შესრულებულია, რომ მან, ისევე როგორც რუსთაველმა, მთელი ეპოქა შექმნა – „ეპოქა დიდი, გალაკტიონის“ და მშობლიურ მთაზე ხელთუქმნელი ძეგლიც აიგო. პოეტის განწყობილებებს 1950-იანი წლების არაერთი ტექსტი ცხადყოფს, მათ შორის, სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ლექსი „ეპოქა გალაკტიონისა“. გავიხსენოთ ისიც, უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1940-იან წლებში, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ რომ დაიწერა, შედეგრი, რომელიც გალაკტიონის ჰემმარიტი „ძეგლი და ანდერძია“ (თეიმურაზ დოიაშვილი).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ალბათ, მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ასაკში შესულ პოეტს, ცხოვრებით გადაღლილსა და მარადისობაზე მოფიქრალს, ავტოეპიტაფია შეექმნა.

და მაინც, არის ერთი გარემოება, რომელიც ამ ჰიპოთეზის მიმართ რაღაც ეჭვს ბადებს: „ეს იყო წინათ“ გალაკტიონისათვის უჩვეულო სიზუსტითაა დათარიღებული – მითითებულია არა მხოლოდ წელი, არამედ – თვე და რიცხვიც: 1956 წლის 15 მარტი. თარიღის ასეთი კონკრეტიზაცია ინტერესს იწვევს: რა უნდა მომხდარიყო 1956 წლის 15 მარტს?

გალაკტიონის ბიოგრაფიიდან და პოეტის შესახებ არსებული მოგონებებიდან ამ დღის შესახებ განსაკუთრებული არაფერია ცნობილი. აღნიშნული პერიოდის ჩანაწერები და დღიურები, სხვა წლებისგან განსხვავებით, სიუხვით არ გამოირჩევა. ფრაგმენტული ჩანიშვნებიდან მხოლოდ ისაა ცხადი, რომ 1956 წლის თებერვალში გალაკტიონმა „მშვიდობის წიგნი“ გადასცა მხეჭდავებს და აპრილამდე პოემის ტექსტს ამზადებდა გამოსაცემად. 15 მარტით დათარიღებული ჩანაწერი მის უბის წიგნაკებში არ ჩანს.

ამდენად, ბიოგრაფიულ-დოკუმენტური მასალის მიხედვით შეუძლებელი აღმოჩნდა თუნდაც იმ კვალის მიგნება, რომელიც ავტოეპიტაფიის რაიმე ფსიქოლოგიურ იმპულსზე მიანიშნებდა. გვრჩებოდა ერთადერთი გზა – დაკვირვება ავტოგრაფებზე.

ლექსის ორი ხელნაწერიდან ერთ-ერთში ნაწარმოების სათაურია „უბინაო პოეტის ხსოვნას“. აქ ტექსტი ბევრად ვრცელია – ჩვენთვის საინტერესო სტროფებს წინ უძღვნის შემდეგი სტრიქონები:

უბოროტესი მრხვეელი რიდის,
შავი ზღვის პირას ხე იდგა მრუდე,
მაგრამ ტოტებში უცნობი ჩიტის
შენ შეამჩნიე ლამაზი ბუდე.

სთქვი: ჩიტსაც კი აქვს თავისი ზღუდე!
მე კი მოხეტე კიდიით კიდიით
ისევ უცნობ გზებს უნდა გავუდგე,
თუმცა არ ვიცი, ეს გზა სად მიდის!

ჩიტსაც ხომ ბუდე აქვს საკუთარი,
თავშესაფარი, ნავთსაყუდარი,
არემარეს რომ ასე დაშვენდა.

და მე კი, მართლაც საკვირველია,
ათი წელია, ოცი წელია,
ერთ ქოხს ვაშენებ და არ აშენდა!

ამ ტექსტის შემდეგ, რომელსაც სონეტის ფორმა აქვს, პირდაპირ, ყოველგვარი ინტერვალის გარეშე გრძელდება: „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ“ და გალაკტიონის შედეგრი მცირე ცვლილებებით მეორდება.

ავტოგრაფისეული ტექსტის პირველი ნაწილი, რომელიც მკვეთრ კონტრასტს ქმნის მის მეორე მონაკვეთთან (ამქვეყნიური უბინაობა – მარადისობაში სამუდამო თავშესაფრის დამკვიდრება), ივან ბუნინის ცნობილ ლექსს ეხმიანება, რასაც პოეტის სხვა ხელნაწერიც ადასტურებს; თუმცა ისიც ნათელია, რომ რუსი მწერლის ნაწარმოების საწყისი ფრაზით – „У птицы есть гнездо“ შთაგონებული ტექსტი

გალაკტიონის ცხოვრების ბოლო პერიოდის მიმე ყოფაზე აშკარა მინიშნებებსაც იტევს: ბევრს ახსოვს თბილისის ქუჩების, ბაღების, სასადილოების მუდმივი სტუმარი – მიუსაფარი, უბინაო გალაკტიონი, რომელსაც „შინ“ დაბრუნებას ყველაფერი ერჩივნა. უთქვამს კიდევ ერთი ნაცნობისთვის: სამი სახლი მაქვს და არცერთში ჩემი ადგილი არაა, ახლა აფხაზეთში ვაშენებ სახლს და იქ დავმკვიდრდებიო. მართლაც, სიცოცხლის ბოლო მონაკვეთი სოხუმის სახლის მშენებლობას შეაღია. ალბათ, ამ დაუსრულებელი მშენებლობის გამომახილია ხელნაწერისეული სტრიქონები: „ზღვის პირად... ერთ სახლს ვაშენებ და არ აშენდა“.

ეს ცხადყოფს, რომ ყოფითი პრობლემებისგან შეწუხებული, საკუთარი პოეზიის მნიშვნელობის შესანიშნავად მცოდნე პოეტი თავს მარადისობაში დაბინავებით ინუგეშებდა. როგორც ჩანს, ამკვეციურმა მიუსაფრობამ ზეციურ თავშესაფარზე ფიქრი გაუძმაფრა, საამსოფლო წარუმატებლობებს მარადისობაში დამკვიდრების იდეა დაუპირისპირა, საკუთარი აწმყო მომავლის სიმადლიდან დაინახა და შეაფასა. სწორედ ამიტომ ამ ვრცელ ტექსტს სათაურიც შესაბამისი დაარქვა: „უბინაო პოეტის ხსოვნას“. ამ სახელწოდების მიხედვით ლექსი უკვე პირდაპირი მნიშვნელობით, ყოველგვარი დამატებითი განმარტებების გარეშე აღიქმება ავტოპიიტაფიად.

შეიძლება ითქვას, რომ ხელნაწერისეული ვრცელი ტექსტის გათვალისწინების შემდეგ, მეტ-ნაკლებად გასაგები ხდება პოეტის ის განცდები, რამაც მას „ეს იყო წინათ“ უკარნახა.

თუმცა ლექსის მეორე, თარიღიან ავტოგრაფზე დაკვირვება მკვეთრად ცვლის წარმოდგენას ლექსის შთამაგონებელ იმპულსზე. ამ ხელნაწერში ტექსტი ოთხსტროფიანია: წარმოდგენილია ძირითადი ტექსტის II-V სტროფები უმნიშვნელო ცვლილებებით და წინა ხელნაწერისაგან განსხვავებული სათაურით: „არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი“.

ავტოგრაფის შესწავლისას ყურადღება მიიქცია გულდასმით გადახაზულმა სათაურმა: „ელო ანდრონიკაშვილის ხსოვნას“ და იქვე, ტექსტის ახლოს მიწერილმა და ასევე საგულდაგულოდ გადახაზულმა ფრაზამ: „გარდაიცვალა ძვირფასი ელო“.

ელო, იგივე ელენე ანდრონიკაშვილი (1883-1956) ცნობილი მსახიობი იყო, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი როლით დამახსოვრა თავი ქართველ მაყურებელს. როგორც აღნიშნავენ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი რუჟაია და გაიანე (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „დალატი“), კაროჟნა (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), კატიუშა მასლოვა (ლ. ტოლსტოის „ადდგომა“). სორბონის უნივერსიტეტში განათლებამიღებული ელენე დაინტერესებული იყო ლიტერატურითა და მთარგმნელობითი საქმიანობითაც: სხვადასხვა დროს თარგმნა ოსკარ უაილდის „პადუის დედოფალი“, გუსტავ კადელბურგის „შავი ლაქა“, ალექსანდრე ოსტროვსკის „უმზითვო“ და სხვა პიესები. მსახიობი ქართული და აღმოსავლური ცეკვების ბრწყინვალე შემსრულებლად ითვლებოდა. ხალხში ლეგენდასავით ვრცელდებოდა ამბავი, თუ როგორ დაუთმო უმშვენიერესი თაიგული ელოს ცეკვით მონუსხულმა ცნობილმა ფრანგმა მოცეკვავემ: ამ ყვავილების ღირსი თქვენ უფრო ხართო.

თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი, სოხუმი... – ეს არასრული ჩამონათვალია იმ ქალაქებისა, რომლებთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ელენე ანდრონიკაშვილის სასცენო თუ პედაგოგიურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სცენის მიტოვება 52 წლის ასაკში მოუხდა, მისი ამაგი კი მთავრობამ მხოლოდ 1944 წელს დააფასა, როდესაც საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ელენე ანდრონიკაშვილი 1956 წლის 12 მარტს გარდაიცვალა, 15 მარტს კი იწერება „ეს იყო წინათ“, უფრო ზუსტად, ამ ლექსის საწყისი ვარიანტი, რომელიც, როგორც ავტოგრაფისეული მინაწერები ცხადყოფს, მსახიობის გარდაცვალებას ეხმიანება.

რა აკავშირებდა გალაკტიონს ელო ანდრონიკაშვილთან?

რატომ უნდა მიემდღვნა მსახიობი ქალისთვის ასეთი სულისშემძვრელი ლექსი? რადგან გალაკტიონისა და ელენეს ურთიერთობის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა პოეტის დღიურების მიხედვით ვცადოთ.

ელო ანდრონიკაშვილი გალაკტიონის ჩანაწერებში არაერთხელ იხსენიება. მისი სახელი და გვარი ხშირად გვხვდება სხვადასხვა სიაში – პოეტის მიერ შედგენილი ეს სიები ჩატარებულ თუ დაგეგმილ ღონისძიებათა მონაწილეების ჩამონათვალია. მწერლებთან, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებთან მსახიობი ქალის მრავალგზის დასახელება, ცხადია, მიგვითითებს, რომ ელო მუდმივად იყო მოქცეული გალაკტიონის თვალსაწიერში.

ჩანაწერთაგან განსაკუთრებით საინტერესო ჩანს 1950 წლით დათარიღებული ერთი ტექსტი, სადაც ელო ანდრონიკაშვილი მოულოდნელ კონტექსტშია ნახსენები: გალაკტიონი მსჯელობს თავისი პირველი წიგნის (1914 წელი) შესახებ, იხსენებს იმ თემებს, მოტივებს, სალექსო ფორმებს თუ ფორმისეულ ელემენტებს, რომლებიც 1910-იანი წლების პოეზიისათვის სიახლეს წარმოადგენდა. ამ კონსპექტურ ჩანაწერში მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული ლექსია დასახელებული („მე და ღამე“, „გეტერა“, „მუსიკა

უეცარი“, „გურიის მთები“...) და მათ შორის ერთ-ერთია „რა მშვენიერი იყო ნამი“: „რეფრენი – რა მშვენიერი იყო ნამი (ელიკო ანდრონიკაშვილი)“.

გალაკტიონის ეს სიტყვები რამდენიმე ვარაუდს აჩენს: შესაძლოა, მსახიობმა რომელიმე სადამოწო წაიკითხა ლექსი და პოეტი ადრინდელ შთაბეჭდილებას იხსენებს; ვერც იმას გამოვრცხავთ, გალაკტიონი ნაწარმოების ადრესატზე მიგვითითებდეს. მით უფრო, რომ 1910 წელს, როდესაც ეს ლექსი დაიწერა, ელო ანდრონიკაშვილი უკვე პოპულარული მსახიობი იყო. ან იქნებ: ნაწარმოების თავისებურ, განსხვავებულ რეფრენს მიაქცია ყურადღება ელომ და პოეტს თავისი დაკვირვება გაუზიარა? ამ ვარაუდთაგან რომელიც არ უნდა შეესაბამებოდეს რეალობას, ერთი რამ ცხადია – გალაკტიონისთვის „რა მშვენიერი იყო ნამი“ რაღაც ფარული ძაფებით ამ კონკრეტულ პიროვნებას უკავშირდება. მრავლისმეტყველია ისიც, რომ პოეტის არქივში დღემდე ინახება ელენეს მიერ ნაჩუქარი რვეული წარწერით:

„14 მაისი, 1930 წ., სოხუმი. ელო ანდრონიკაშვილი გიძღვნიტ ამ რვეულს ჩვენი პატარა მოგზაურობის მოსაგონებლად და თქვენი დღიურის დასაწყისის დატად. გალაკტიონ ტაბიძეს“.

ამ „პატარა მოგზაურობის“ შესახებ ინფორმაცია უშუალო თვითმხილველმა, ნიკო გვარამემ შემოგვინახა: 1930 წლის გაზაფხულზე მისთვის წინადადებით მიუმართავთ სოხუმის დასის მსახიობებს – ელო ანდრონიკაშვილსა და ილიკო ჯუღელს – დასავლეთ საქართველოში სალიტერატურო სადამოების გამართვის იდეა გაუზიარებიათ. ნიკო გვარამეს, თავის მხრივ, გალაკტიონი და გიორგი ქუჩიშვილი დაუთანხმებია ღონისძიებებში მონაწილეობაზე. გამართულა დაუვიწყარი სადამოები სოხუმში, ოჩამჩირეში, გაღში, ზუგდიდში, ფოთში... მოგვიანებით, როცა გალაკტიონმა აფხაზეთში გატარებული დღეები მოიგონა, საგანგებოდ გაიხსენა ელოს ნაჩუქარი რვეული: „აფხაზეთის სადამო (ქრონიკები იქაურ გაზეთებში)... რვეული ელო ანდრონიკაშვილისა. ფოტო სურათები (გადაღებული სოხუმში)...“.

სხვათა შორის, ამ რვეულმა გალაკტიონის რამდენიმე საინტერესო პოეტური ექსპერიმენტი შემოგვინახა, რომლებიც დაკვირვებულ შესწავლას მოითხოვს. პოეტის არქივში არის კიდევ ერთი, 1945 წლით დათარიღებული ტექსტი: „ელიკომა სთქვა: გამომიძახა შარიაშო, – წერს უბის წიგნაკში გალაკტიონი, – დიდხანს მელაპარაკებოდა შენს წიგნზედ და შენზედო. სთქვაო, რომ ასეთი პოეტი ეხლა რუსეთშიაც არ არისო. მხოლოდ ეს არისო, რომ მას ბევრი ისეთი რამ შეუტანია წიგნში, რომელთა შეტანა აუცილებლობა არ იყოვო... ბევრი რამ კარგი ილაპარაკა შენზე, როგორც პიროვნებაზე“...

მართალია, ქალი აქ გვარის გარეშეა მოხსენიებული, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ელიკო“ სწორედ ელენე ანდრონიკაშვილია: 1944 წელს ხელისუფლების მიერ ოფიციალურად აღიარებული, საქართველოს დამსახურებული არტისტი მომდევნო, 1945 წელს პეტრე შარიას – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის საქმეთა მდივანს რომ დაებარებინა, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს.

თუ ჩემი ვარაუდი რეალობას შეესაბამება, მაშინ პოეტისა და მსახიობის ურთიერთობის კიდევ ერთი ასპექტი იკვეთება: ვხედავთ, როგორი სიფრთხილითა და მზრუნველობით აცნობს ქალი გალაკტიონს ხელისუფალთა აზრსა და განწყობას. ისიც ცხადი ხდება, მათი ურთიერთსიმპათია და სიახლოვე „ზევითაც“ რომ არ ყოფილა უცნობი. ამ გაფრთხილების მნიშვნელობაზე გალაკტიონის რეაქცია მეტყველებს: „მას შეუტანიაო (თითქო არ იცის, რომ მე ამ წიგნის არა ვიცი რა, რაც რადიანს გადავეცი, კორექტურაც კი არ წამიკითხავს, ბევრი რამ ჩაუმატეს და ეხლა მე უნდა ვაგო პასუხი).“ ჩანაწერის თარიღის მიხედვით, აქ გალაკტიონის 1944 წლის „რჩეული“ უნდა იგულისხმებოდეს, სადაც პოეტმა მართლაც შეიტანა ადრეული ტექსტების ის თავდაპირველი ვარიანტები, რომელთა განმეორებით ან სრული სახით დაბეჭდვას მანამდე ვერ ბედავდა და, როგორც ჩანს, ეს შეუნიშნავი არ დარჩენილა.

ასეთია გალაკტიონისა და ელო ანდრონიკაშვილის ურთიერთობის ის მკრთალი შტრიხები, რომელთა თავმოყრა პოეტის უბის წიგნაკების მიხედვით მოხერხდა. თუმცა მაინც ბუნდოვანი რჩება, ვერ ხერხდება პასუხი კითხვაზე: რატომ უნდა მიემღვნა პოეტს ასეთი სულისშემძვრელი ლექსი ელო ანდრონიკაშვილისათვის.

კვლავ ავტოგრაფს მივუბრუნდეთ: ხელნაწერზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ნაწარმოები გალაკტიონს მისთვის შემადრწუნებელი ინფორმაციის პოეტური უარყოფით დაუწყია:

ვინა სთქვა შენი გარდაცვალება –
არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე...

ამ სტრიქონებს მოსდევს ფრაზა „უმაგალითო ჩვენი წვალება“... რა იგულისხმება ამ სიტყვებში, ამის დადგენა ახლა ალბათ შეუძლებელია, თუმცა ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით უკვე მრავალმნიშვნელოვნად ჟღერს სიტყვა „ჩვენი“ – სავარაუდოდ, იგი თანამოაზრეობას, მეგობრობას, საერთო ინტერესებს გულისხმობს.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ არამხოლოდ სათაურსა და ლექსთან მინაწერ ფრაზაში, არამედ უშუალოდ ტექსტშიც არის მინიშნება ადრესატზე: ხელნაწერში ნაცვლად სტრიქონისა „თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე“ იკითხება: „თითქოს კახეთში თივას თიბავდე“. კახეთი ელო ანდრონიკაშვილის, კახელ თავადთა შთამომავლის, მშობლიური კუთხე იყო.

ლექსის პირველი სტროფი, როგორც აღვნიშნე, ამ ავტოგრაფში არ გვხვდება. სავარაუდოდ, ნაწარმოების დასაწყისი სტრიქონები სულ ბოლოს დაიწერა. აქვე უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის თხზულებათა ზოგ გამოცემაში ლექსი ამ საწყისი სტროფის გარეშე იბეჭდება:

ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
რაც გახსენება გულმა არ ჰგუბოს –
მანც მოვიდა ვიღაც გვირგვინით
და შენს უბრალოს ამშვენებს კუბოს.

ეს სტრიქონები, გარდა იმისა, რომ ტექსტის განუყოფელი ნაწილია და სწორედ ამგვარად, ამ სტროფთან ერთად გამოაქვეყნა გალაკტიონმა თავის თხზულებათა მერვე ტომში, მნიშვნელოვანია სხვა მხრივაც: ლექსის დასაწყისი ალუზიაა „არტიტული ყვავილების“ ერთ ცნობილ ტექსტზე. ფრაზა: „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ“ პირდაპირ გვაგზავნის გალაკტიონის 1916 წელს დაწერილ ლექსთან „ვერხვები“, რომელშიც ეს სტრიქონი ორჯერ გვხვდება. იგი მთავარი პერსონაჟების – პაჟისა და პრინცესას დრამატული სიყვარულის ამბავს გვახსენებს და, შესაბამისად, გალაკტიონისა და ელენეს ურთიერთობას რეტროსპექციაში, ამ რომანტიკულ-სიმბოლისტური პარადიგმის არეალში აღგვაქმევენებს.

ხელნაწერების შესწავლის შედეგად, როგორც ვხედავთ, გაირკვა, რომ გალაკტიონის ე. წ. ავტოეპიტაფიის თავდაპირველი იმპულსი პოეტისათვის ძვირფასი ადამიანის გარდაცვალება იყო. შემდეგ ტექსტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, უფრო განზოგადებული სახე მიიღო: ავტორმა ადრესატის ვინაობა ნაწარმოების სწორების საწყის ეტაპზევე დაფარა, თუმცა მიძღვნილი სათაურის სანაცვლოდ დაწერა ლექსის პირველი სტროფი, რომელიც ალუზიურად, პარადიგმაზე მინიშნებით ელო ანდრონიკაშვილთან ამდღეობული ურთიერთობის შინაარსს აქარაგმებდა.

„ეს იყო წინათ“ ერთდროულად გალაკტიონისთვის ძვირფასი ადამიანის ფარულ ხსოვნასაც ინახავს და იმ გენიალური პოეტის რეკვიემდაც აღქმება, ვინც ამქვეყნიური მიუსაფრობის სანაცვლოდ ზეციური სიმშვიდე და მარადისობაში არსებობა მოიპოვა...

ბიბლიოგრაფია:

ტაბიძე, გ. (1957). *თხზულებანი რვა ტომად*. ტ. VIII. თბილისი. გამომცემლობა: საბჭოთა საქართველო.

ტაბიძე, გ. (1966). *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. II. თბილისი. გამომცემლობა: საბჭოთა საქართველო.

ტაბიძე, გ. (1972). *თხზულებანი თორმეტ ტომად*. ტ. XII. თბილისი. გამომცემლობა: საბჭოთა საქართველო.

Natia Sikharulidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

THE SECRET OF GALAKTION TABIDZE'S ONE POEM RESUME

The article analyzes Galaktion's latest masterpiece „It Was Long Ago“.

As a result of the study of the manuscripts, as we can see, it became clear that the initial impulse of Galaktion's auto-epitaph was the death of a person dear to the poet. Then the text underwent some changes, took a more generalized form: the author concealed the addressee's identity at the initial stage of correcting the work, however, instead of the dedicatory title, he wrote the first stanza of the poem, which allusively, referring to the paradigm, contained the content of the exalted romantic relationship with Elo Andronikashvili.

„It was before“ simultaneously preserves the secret memory of a loved one for the poet and is perceived as the requiem of the genius artist who gained heavenly peace and existence in eternity in exchange for worldly carelessness...

Keywords: Galaktion, Galaktionology, Textology.

წარმავლობის ღამე და წარუვალობის ხატი ანა კალანდაძის პოეზიაში

საკვანძო სიტყვები: პოეტი, ღამე, პოეზია, მარადისობა, მზე.

ანა კალანდაძე უაღრესად რელიგიური პოეტია, წილნაყარი მარადიულ, საღვთო სიბრძნესთან, რაც მომავალში გაღწევის გარანტიაა.

პოეტს ხელეწიფება მატერიალურ და სულიერ სამყაროთა საიდუმლოებების ჭვრეტა, მომადლებული აქვს სულის თვალი, უტყუარი ინტუიცია, ზენარულ ძალებთან გამუდმებული კავშირის უნარი.

„გაბრწყინებულ ტაძარში“ მიღმაქვეყნიურ სინათლეს ხედავს, ჩაესმის უზენაესის ხმა „...შექმენ საფასე, ვერ გარყვნას მილიმან“, „სახლს ნუ ააგებ ქვიშასა ზედა“ (გაბრწყინებული იყო ტაძარი) (კალანდაძე, 1982, გვ. 39).

პოეტი შიშით შეჰყურებს „ცისკრის ვარსკვლავს“, ეძვირფასება არა ჩვეულებრივი მიწიური ბედნიერება, არამედ „სხვა იდუმალეობით აღვსების წამი“ (ნუ მიახლოვდები, შენ, ცისკრის ვარსკვლავო) (კალანდაძე, 1982, გვ. 41).

ნათელსმენის უნარით მომადლებულს, ჩაესმის „ფრთათა შრიალი ლურჯ სერაფიმის“ (აკრთობს ღამეებს) (კალანდაძე, 1982, გვ. 46).

ნათელმხილველი, საღვთო ცეცხლით სავსე პოეტი უზენაეს ნათელს შეჰკლადებებს (ვარ მარად ვარსკვლავთა მჭვრეტელი) (კალანდაძე, 1982, გვ. 7).

არჩევანია წარმავლობასა და უკვდავებას შორის (თქვენ ჩაგიხედავთ კლდეების გულში?) (კალანდაძე, 1982, გვ. 52) და თვითდაჯერებას ანიჭებს, რომ მის „მაღალ სულს ცხოვრების ჭუჭყი ვერ მოერევა“ (გვეამაყება) (კალანდაძე, 1982, გვ. 41).

ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც მუდმივი ბრძოლაა მიწიურსა და ციურს შორის, „ამაოების აჩრდილი“ „მწუხარების სახლში“ ეპატიჟება, უზენაესი – „ნათლის სახლში“...

სამყარო სავსეა არაკაცებით (როს მესხმის ლაფი), ღვთის ტაძრის მნათედ არარაობა გვევლინება (არარა გვესმის), ეშმაკი შხამს ანთხევს (კალანდაძე, 1982, გვ. 50, 57, 58).

„მოსისხლე, მოშურნე მტრის“ ლანდი, „მგლების მგლობა“ ვლინდება „ფარულ თუ ცხადად“ (დროდადრო) (კალანდაძე, 1982, გვ. 8).

„ყრუ და ბნელი“ სულის კაცის „გული ბოროტი გონებას თრგუნავს“. მისი ნასწავლობაც საშიშია, უნასს მიმსგავსებული, დამანგრეველი ვულკანის ძალას ფლობს, ამბობს პოეტი და იმოწმებს ილია ჭავჭავაძეს: „თუ... კაცის სული... ყრუ და ბნელია, გული ბოროტი გონებას თრგუნავს, საშიში არის მის ნასწავლობა: სამშობლოვ ჩემო, მიიღებ უნასს და დამანგრეველ ვულკანის ძალას... საშიშიაო, ილიამ ბრძანა“ (ილიამ ბრძანა) (კალანდაძე, 1982, გვ. 59).

„გაზაფხულთან“ (ძველი ქართულით „ზაფხული“ – საღმრთო სახელია) „უგუნურებით“ განშორებული პერსონაჟი ანა კალანდაძის ლექსისა მოთქვამს: „გაზაფხულისა დამექცნენ ბჭენი... დამატყდა თავსა უგუნურება – გარდამოვიდა სასჯელიც შენი: დავკარგე ლარი მე უთვალავი და სინანულთა ვიქეცი ვანად!“ (დუმს ძალი შენი სასწაულებრი) (კალანდაძე, 1982, გვ. 243).

ლექსში „ო, ისევ ისე“, პოეტის იდეალია „ლალი და საფირონი“. საუნჯის, ზურმუხტის, მოწის, ბივრილის ადრესატია პოეზია, რომელიც ხელმოცარულთ აღიზიანებთ (ჩემი ზურმუხტი, ჩემი მოწი, ჩემი ბივრილი) (კალანდაძე, 1982, გვ. 264).

ძვირფას თვლებს სიტყვას უკავშირებდა ვაჟა-ფშაველა: „...სიტყვამ-წვერს მარგალიტი მოისხა, ტანი ზურმუხტით იფარა“ (სიტყვა ეული) (ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, 1980, გვ. 288).

აკაკი წერეთელი „მარგალიტების მთესველს“ უწოდებდა ვაჟა-ფშაველას, პოეტის გულში კი მარგალიტი, „მარგალიტების სალარო“ ეგულებოდა (ზღვაო, აღელდი, აღელდი) (ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, 1980, გვ. 243).

გალაკტიონისთვის „ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მას ზღვა ფარავს შეუცვლელი“ (ხელოვნება) (ტაბიძე, 1993, გვ. 12).

„ჩემი სულია განძების ყუთი“, აცხადებდა ვალერიან გაფრინდაშვილი (გაფრინდაშვილი, 1990, გვ. 10).

ანა კალანდაძე ხშირად საუბრობს განძზე, ძვირფას თვლებზე, ყალბ ქვებზე. პოეტისთვის ყველაზე დიდი განძია რწმენა: „...განძად გპოვებდი: მექმნები შიშად და არა ლხენად... თუ ჩაქრე, მეცა მივდრეკები ქრობად, ფოთოლთა ცვენად... თუ არა მუდამ დამიბრუნდება ჩემივე რწმენა, მზე დიდებული – ვით ლამაზ მინდვრებს“... (შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ სადგურს) (კალანდაძე, 1982, გვ. 163).

პოეტი ღმერთს ევედრება ციური მადლისთვის, ნატრობს უზენაესი საუნჯეების მადლის ხილვას: „გულს დამდე, ხელი შენი, ძლიერო, ხელი გულს დამდე, რომ შენი მარად შემეწეოდეს ციური მადლი... რომ შენეული საუნჯეების ვიხილო მადლი“ (გულს დამდე ხელი შენი, ძლიერო) (კალანდაძე, 1982, გვ. 74).

წმინდა წერილში ყოველთვის სიბრძნეს ენიჭება უპირატესობა ოტრო–ვერცხლთან შედარებით: „...ყოველი ოქრო მის თვალში ქვიშის ნამცეცია, ვერცხლი კი ტალახად შეირაცხება მის წინაშე“ (სიბრძნე სოლომონისა, 7,9) (ბიბლია, 2013, გვ. 493).

„ქართულ სასულიერო პოეზიაში ოქრო, მარგალიტი, ძვირფასი თვლები სულიერი თვისების, სიკეთის, რწმენის სიმბოლოებია“ (გაიოზ იმედაშვილი) (საიუბილეო კრებული კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე, 1959, გვ. 176).

ანა კალანდაძის პოეზიაში ძვირფასი ქვები ხან პოეზიის, მხატვრული შედეგების სიმბოლოა, ძალზე ხშირად – რწმენის, უზენაესის.

ნეტარი ავგუსტინე მარგალიტად სახავდა რწმენას: „მე კი ნაპოვნი მქონდა უკვე მარგალიტი კეთილი... მრავალსასყიდლისა, რომლის შესაძენადაც კაცმა ყოველივე უნდა გაყიდოს და მოიყიდოს იგი“ (აღსარება) (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1985, გვ. 190).

დავით წინასწარმეტყველი მიმართავდა ღმერთს: „ამიტომ მიყვარს მცნებანი შენი ოქროზე და ბაჯალლოზე მეტად“ (ფს. 118, 128) (ბიბლია, 2013, გვ. 453).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ „... თვალი იგი პატიოსანი, რომელსაც ყველა სიქველენი ემყარებინ“ – არის უზენაესი (დანტე ალიგიერი, 2012, გვ. 442).

ანა კალანდაძე გულში მარგალიტით ინახავს რწმენას: „მე მივსდევ შენს ხმას, ცათაფრენად რომელიც მიხმობს... თან დაგიმარხავს, როგორც მარგალიტს, ჩემი გულის მდუმარე ფსკერი“ (მე მივსდევ შენს ხმას) (კალანდაძე, 1987, გვ. 107).

რელიგიური შინაარსისაა საუნჯე შემდეგ სტრიქონებში: „ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი... ბრწყინავს ცისკარი აღზევებული და სიხარულთა ჩემთა უფალი... აჰა, საუნჯე ჩემი ახალი“ (ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი) (კალანდაძე, 1987, გვ. 196).

ცისკარი სიხარული, უფალი, საუნჯე საღვთო სახელებია.

პოეტისთვის „განცხადებული საუნჯეა“ ზენაარსის მაცნე „წყარო უბიწო“, „მაყვალთაჩერო“ (თვალმარგალიტის ელვარე სხივთა) (კალანდაძე, 1987, გვ. 209).

წყარო, „სიცოცხლის წყალი“ უფლის სახელია (გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა) (22,17) (ბიბლია, 2013, გვ. 999).

„მაყვალთა ჩერო, მაყვალი“ ზეციურ დედაზე მიმანიშნებელია (მოსია, 1996, გვ. 124).

„წმინდა ნათელის“ (ღმერთის) მოვლინებას ახლავს „ამეთვისტო და მარგალიტასხმული“, „სიხარულის გვირგვინი“ (ჩამოჰკრეს მწუხრის, ო, დაო ჩემო) (კალანდაძე, 1987, გვ. 201).

ცა წმინდა, ოქროს გულის შემოქმედთ ეხსენებათ, რათა მოიხელთონ ხელთუქმნელი მარგალიტი-სიბრძნე: „ბაჯალლოსათვის გაიწვრიალებს გული, სული აიკრფეს თვალ–მარგალიტის მძივებს, თუ გაიხსენება ცა–სასწაულით სავსე, ააელვარებს მისთვის დანთებულ იმედს“ (ბაჯალლოსავით გაიწვრიალებს გული) (კალანდაძე, 1982, გვ. 230).

ზღვასავით მარგალიტით და ურიცხვი განძითაა სავსე პოეტის სული: „...ჩემს სულში მარგალიტი ციმციმებს ცივი... ურიცხვი განძია ჩემში“ (ზღვის საიდუმლო) (ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, 1980, გვ. 104).

ლირიკოსის სული ისწრაფვის „კვლავ შეერთოს ლალს და საფირონს“ (ო, ისევ ისე) (კალანდაძე, 1987, გვ. 306).

„უმაღლესი საუნჯეა“ რწმენა, ღმერთი, სიბრძნის, შთაგონების მომნიჭებელი სულიწმინდა და მას განადიდებს პოეტი სიტყვის საუნჯით: „...მიხილა მზემან... ო, მან მომაგო ესე საუნჯე–იგივ მიაგო მას... სულმან ჩემმან“ (აჰა, მომაგო ესე საუნჯე) (კალანდაძე, 1987, გვ. 228).

„ნევმირებული ძლისპირის“ მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი არის „მეუფის საუნჯე“ (ნევმირებული ძლისპირნი, 1982, გვ. 41).

ფუფუნებას, მამონას მონობას მიიჩნევს პოეტი რომის უბედურებად: „დაღუპა რომი ფუფუნებამ, გაიხრწნა რომი, დაემორჩილა ბრძენის ნებაც... მამონას სურვილს... გაცოცხლებული იუდეა უმზერდა მახვილს, რომელმაც... ხორცზე აღაზევა მარადი სული“ (დაღუპა რომი ფუფუნებამ) (კალანდაძე, 1982, გვ. 78).

სიმდიდრეს სრულიად განსხვავებული ქვეტექსტი აქვს ანა კალანდაძის პოეზიაში: „გულს ჩასახული მყვა ანგელოზი და სხივთა თოვით ვიყავ მდიდარი“ (გულს ჩასახული მყვა ანგელოზი) (კალანდაძე, 1982, გვ. 258).

პოეტის იდეალია არა „მიწიური გვირგვინი, არამედ ცისა!“ (შუალამისას მოვიხილე) (კალანდაძე, 1987, გვ. 199).

„სხივი, ძოწი“, „სიხარულია“ (ღმერთის სიმბოლოა) ბედნიერების მომნიჭებელი (ავიღე ძოწი სიხარულისთვის) (კალანდაძე, 1987, გვ. 191-192).

არც „ლხინია“ ჩვეულებრივი, მიწიერთათვის სანატრელი გაგების, „მოღლილი“ პოეტისთვის სანატრელია უზენაესი ნათელი, რაც „უსასრულო ლხინის“ მომადლებელია: „მოღლილს ლოდინით და აღმართებით ნათელი შენი გულზე მეცემა... სულში მეღვრება შენი ნათელი და... უსასრულო ლხინს მივეცემი“ (მოღლილს ლოდინით და აღმართებით) (კალანდაძე, 1982, გვ. 82).

უმადლესი იდეალების მსახური პოეტისთვის მიუღებელია უთავმოყვარეობო კაცუნათა, სინდის-ნამუსისგან განშორებულ ქონდრისკაცთა, „სოფლის საცდურს“ აყოლილთა ცხოვრების წესი, თვითონ კი გამუდმებით სიმართლის, სიკეთის მსახურია: „...არ გიჩანს კახაბრად, ვინაც არ არის, ფეხთით მიგიდის თხათა არვები. სულს უმამაცესს და სისხლთა თხევას, შენს გზას-ერთადერთს მივესალმები!“ (შენს სიამაყეს მივესალმები) (კალანდაძე, 1982, გვ. 69).

„უძღებ ფიტულთა“, „მკრეხელთა“ ღიმილს არასოდეს ენდობა მაღალი ჰუმანისტური კრიტერიუმების ერთგული (ხშირად გესვრიან მკრეხელურ ღიმილს) (კალანდაძე, 1982, გვ. 73).

ანა კალანდაძე ხედავს „ცას უუშორესს, გრძნეულს და მისანს“ (როდესაც კვენის ბუიოტი) (კალანდაძე, 1987, გვ. 104), რომელსაც წმინდა წერილში „ცათა ცა“, ეწოდება. ღმერთი, „ამაღლებული, ძველთუძველს ცათა ცაში“ (გვ. 68, 34).

ემვირფასება ქართლის ცაზე ანთებული „ნათელთა კაცთა გრძნეული ხომლის“ ბრწყინვალეობა (განდიდებულ მათით ქვეყანა) (კალანდაძე, 1982, გვ. 52).

„ამაოების წინაშე ფარად“ ესახება „გრძნეული სხივი“ (ვიპოვე ჩემი წმინდა სავსება) (კალანდაძე, 1982, გვ. 261), რაც დავით წინასწარმეტყველის რემინისცენციას იწვევს: „შევიძულე ამაოების დამცველები და მე მივენდე უფალს“ (ფსალმუნი, 30,7) (ბიბლია, 2013, გვ. 416).

სხივი საღმრთო სახელია: „ხალხები მოვლენ შენს ნათელზე და შენი სხივის ელვარებაზე“ (ესაია წინასწარმეტყველი) (ბიბლია, 2013, გვ. 566).

„უფერული და უტყვი დღეები“, ყოველდღიურობისთვის ზრუნვა ეწინააღმდეგება ჭეშმარიტი შემოქმედის ცხოვრების წესს, „უსაზღვროება“, უზენაესის წმინდა ნათელია მისი წინამძღვარი, „სამეუფოთა ცისათა სახლია“ მისი ნავთსაყუდელი (სასოებისა მაქვს საყუდარი) (კალანდაძე, 1982, გვ. 263).

ანა კალანდაძეს აინტერესებს „დასაწყისი და დასასრული“, უსაზღვროება, მშვენიერების მამიებელი პოეტი შემოსილია „მისტიურის მიღმა ფერებით“ (თუ არ ეშორვი) (კალანდაძე, 1987, გვ. 137).

ცათა ცას, უზენაესს, წმინდა ნათელს მხოლოდ მაღალი სულის, სუფთა თვალის ადამიანები ხედავენ: „გვეამაყება, რომ ჩვენს მაღალ სულს ცხოვრების ჭუჭყი ვერ მოერევა, ლიქნას არ იცნობს ჩვენი კუნძული! სული... წრფელი გვაქვს, მზით დახუნძლული, ცას სუფთა თვალით უნდა ვუმზიროთ და შორით ვჭკრეტდეთ ქართ მიმოზერვას“, წერს პოეტი (გვეამაყება) (კალანდაძე, 1982, გვ. 130).

უკეთურებასთან განშორების ძალის მომცემია „მზეი ცხოველი“ – ღმერთი (კალანდაძე, 1982, გვ. 226).

უკვდავების საწინდარია არა „მიწიური ბედნიერება“, არამედ „სამეუფოთა ცისათა სახლის“ ზნეობით ცხოვრება, სულიწმინდისაგან მომადლებული სიბრძნის ერთგულება.

ანა კალანდაძის პოეზიაში დანახულია „ყოფნა-არყოფნისა და წუთისოფლის წარმავლობის ფილოსოფიური პრობლემა“ (ნიკოლეიშვილი, 2002, გვ. 514).

ასევე აღნიშნულია „მიწიერი სიბლანტისა და სიუხემისგან განწმენდისა და ამაღლებულობისკენ მისწრაფება“ (ნიკოლეიშვილი, 2002, გვ. 515).

წარუვალსა და წარმავალის დაპირისპირებაში პოეტისთვის განკუთვნილია „ნათლის სახლში“ დამკვიდრდება: „ვინ დაიჩემოს ხატი იგი წარუვალობის? წარმავალისა, აჰა, უკვე მკვიდრება ღამე... – არა, ნათლისა სახლსა შეხვალ-მიბრძანებს ვილაც, კვლავ სასოება გეუწყება ძლიერთა გამო!“ (ვინ დაიჩემოს ხატი იგი წარუვალობის) (კალანდაძე, 1982, გვ. 232).

„წარუვალი და მარადქარულია“ პოეტის იდეალი (მომიცავს იგი) (კალანდაძე, 1982, გვ. 231).

ამასთან, შეცნობილი აქვს, რომ დიდ იდეალს უანგარო მსხვერპლი სჭირდება, რისთვისაც მზად არის: „...მე ვიღებ იმ მსხვერპლს, რას სამსხვერპლო შენივე ითხოვს“ (მე მივსდევ შენს ხმას) (კალანდაძე, 1982, გვ. 66).

ნათელმზილველი ხედავს „ვარდისფერ ღრუბელს“, „ვარდისფერ წვიმებს“, (უნდა გამათბონ შენმა სხივებმა) (კალანდაძე, 1982, გვ. 75).

„ღრუბელი ნათლისა, ღრუბელი ჩვენი ზეციური დედის სიმბოლოა (ნევმირებული ძლისპირნი, 1982, გვ. 98).

წვიმა უფლის მეტაფორული სახელია: „ბარაქიანი წვიმა აწვიმე, ღმერთო, შენს სამკვიდროს, და თუ დაუძღურდება, შენ გაამაგრებ“ (ფსალმუნნი, 67, 10) (ბიბლია, 2013, გვ. 430).

ბოროტებასთან შეურიგებელი პერსონაჟი პოეტის ლექსისა ევედრება „მფარველს“ – ღმერთს: „...ისევ განკვეთე შენ ურჩხული გაუმაძღარი და დამიფარე, ვით წალკოტში ყვავილს იფარავ, გააღე ჩემთვის, ო, კარები შენი ტაძრისა, კვლავ სასოებით შემოვიდე ხელუწიფარო. მფარველო ჩემო! ბოროტების ყოველი ვცანი, არ დაცხრეს მათგან, არ დადუმდეს ჩემი კითარა!“ (ისევ გახსენი გული ჩემი) (კალანდაძე, 1987, გვ. 140).

ბედნიერებაა სიხარულთან, ია–ვარდთან ზიარება, მათთან სანთლების დანთება: „...გულში იმკვიდრებს ბედნიერება და სიხარულის თეთრ სანთლებს ანთებს“... (უარგიყვია) (კალანდაძე, 1982, გვ. 235).

ია მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა. უფლის დედა მოიხსენება, როგორც „უბინოებით შემკული ია“ (ვახტანგ VI, 1975, გვ. 137).

ვარდი, ყვაველი ქრისტეს მეტაფორაა: „ყვაველები დაჩნდნენ მიწის პირზე,

ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა) (2,12) (ბიბლია, 2013, გვ. 488).

ისევ და ისევ კონკრეტდება ანა კალანდაძის პოეზიაში მიწიური, წარმავალი გვირგვინის არარაობა და ციურის მარადისობა: „შუადამისას მივიხილე წმინდა სავანე, შუადამისას მოვყევი მას ისევ და ისევ, არ მიწიური კავშირისთვის, არ მიწიურის, არ მიწიური გვირგვინისთვის, არამედ ცისა“ (შუადამისას მოვიხილე წმინდა სავანე) (კალანდაძე, 1982, გვ. 253).

ცნობილია, რომ „რწმენისგან მოწყვეტილთა შემოქმედება ყოველდღიური და მიწიერი იქნება“, (ა. მინდიაშვილი „ხელოვნების რელიგიურობისა და თანამედროვე სინამდვილის შესახებ“ (ცისკარი, 1999, გვ. 114).

პოეტის „სულის წვეულია“, „მზე“ და „ნამძვი“ (თუ, ვინ ჩურჩულდება? (კალანდაძე, 1982, გვ. 91).

მზე საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 83,12) (ბიბლია, 2013, გვ. 438).

ნამძვი სიცოცხლის ხის, ანუ უზენაესის სიმბოლოა (მოსია, 1995, გვ. 122).

წმინდა წერილი გვმოდღვრავს: „ყოველი ღვთისგან შობილი სძლევს წუთისოფელს. წუთისოფლის მძლეველი ჩვენი რწმენაა“ (I იოანე, 5,4) (ბიბლია, 2013, გვ. 321).

ანა კალანდაძის პოეზია არის წუთისოფლის ცდუნებათაგან განრიდებისა და უზენაეს, საღვთო სიბრძნესთან ზიარების მაგალითი. ლირიკოსის მუდმივი გზამკვლევა ბიბლიური, მარადიული სიბრძნე.

პოეტისთვის მარადისობაა მზე (ღმერთი), კარავი–მარიამ ღვთისმშობელი (უძველესი იადგარი, 1988, გვ. 7): „...ნაზთა იმედთა უმწვანეს კარავს, უმხურვალესი გზით რომ იცნობა, წმიდათაწმიდა აქ ვის სახელი და უმაღლესი მარადისობა“ (აბასთუმნის გზას) (კალანდაძე, 1982, გვ. 154).

მიწისა და ცის საიდუმლოების შეცნობა, მიწიდან ცამდე ამაღლებაა პოეტის მიზანი: „შენ მე დაგხურავ ლამაზ გვირგვინს და მით მიწიერს ჩემს საიდუმლოს გაზიარებ, ო, ფიქრთა ჩემთა... მე ავმაღლდები შენს ლურჯ ცაზე, შენთვის ვიბრწყინებ, აღვინთები და დავშრტები შენდა“ (მე შენ დაგხურავ ლამაზ გვირგვინს) (კალანდაძე, 1982, გვ. 162).

ლექსში „შემოიკრიბნენ ტაძრად გლეხკაცნი“ (კალანდაძე, 1982, გვ. 17) პოეტი წუხს რწმენისგან გაუცხოებულ, მიწისკენ მიქცეულ სულებზე: „...დავიწყებოდათ მიუწვდომელი, კანდელი ხატთან ობლად კრთებოდა, ო, მიწისაკენ მიქცეულ სულებს ცა და ციური დავიწყებოდათ“...

დანტეს მიხედვით, განუვითარებელი, ბნელი სულები ცის ძახილისადმი ყრუ არიან, ვერ ხედავენ მარადიულ მშვენიერებას და ამიტომაც განიკითხებიან უზენაესისგან: „ცა გიხმობთ ისევ და ტრიალებს იგი თქვენს თავზე, გიჩვენებთ თანაც მარადჟამულ მშვენიერებას თვისსა, მაგრამ თქვენ მაინც ისევ მიწას მისჩერებხართ და სასჯელს გიწვდით ამიტომაც ყოვლისმზილველი“ (დანტე ალიგიერი, 2012, გვ. 233).

„ღვთაებრივ კომედიაში“ მიწას მიჯაჭვულთ, სიმაღლის უგულვებელმყოფელთ საიქიოში მართლმსაჯულების მიერ მისჯილი აქვთ მიწისკენ ცქერა: „...რადგანაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭკრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის ცქერა“ (დანტე ალიგიერი, 2012, გვ. 256).

დანტეს პოემაში მთავარია ცათა საუფლოს ხილვა, მისტიური ჭეშმარიტების წვდომა: „ნუ გაოცდები, რომ შეიძლო შვილმა სოფლისამ ჭეშმარიტების მისტიურის აგრე ჩაწვდენა, ეს მან შეიცნო, ვინც იხილა ცათა საუფლო“ (დანტე ალიგიერი, 2012, გვ. 464).

ანა კალანდაძე „მისტიურის მიღმა ფერებით“ არის შემოსილი.

რუდოლფ შტაინერი წუხდა ადამიანის „მიწიერ არსებად“ ქცევაზე, „ზემიწიერი ძალებისგან“ მოწყვეტაზე და ასკვნის: „ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მასში“ (შტაინერი, 1994, გვ. 269, 270, 273).

ამაოებას ებრძვის და უფლისკენ მიაპყრობს მზერას წმინდა წერილი: „შევიძულე ამაოების დამცველები და მივენდე უფალს“ (ფს. 30,7) (ბიბლია, 2013, გვ. 416).

სულიწმინდის მადლით გაბრძნობილი ანა კალანდაძის უზენაესი მისიაა მიწიერთა მიბრუნება ზეცისკენ, უზენაესისკენ, მისი პოეზიის რეზიუმედ შეიძლება მივიჩნიოთ ეშმაკთან ბრძოლის გამომხატველი სტრიქონები: „განვედი ჩემგან, მხოლოდ მზისაა ეს საყუდარი“, „მოსპე ბელზებელი, განმინათლე ბნელი!“...

ბიბლიოგრაფია:

ბიბლია. (2013). თბილისი: პალიტრა L.

გაფრინდაშვილი, ვ. (1990). *ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები, მწერლის არქივიდან*. თბილისი: მერანი.

დანტე ალიგიერი. (2012). *ღვთაებრივი კომედია*. (ვ. გამსახურდია, მთარგმნ.) თბილისი: პალიტრა L.

ვახტანგ VI. (1975). *ლექსები და პოემები*. თბილისი.

კალანდაძე, ა. (1982). *ლექსები*. თბილისი: მერანი.

კალანდაძე, ა. (1987). *ერთტომეული*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

მოსია, ტ. (1995). *საღვთო სახისმეტყველება*. ზუგდიდი.

მოსია, ტ. (1996). *საღვთისმშობლო სახისმეტყველება*. ზუგდიდი.

ნევმირებული ძლისპირნი. (1982). გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი.

ნიკოლეიშვილი, ა. (2002). *XX საუკუნის ქართული მწერლობა*. ქუთაისი: ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საიუბილეო კრებული კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავზე. (1959). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საქართველოს ეკლესიის კალენდარი. (1985). თბილისი.

ტაბიძე, გ. (1993). *თხზულებანი ხუთ ტომად* (ტ. I). თბილისი: საქართველო.

უძველესი იადგარი. (1988). გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა. თბილისი.

ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია. (1980). თბილისი: მერანი.

შტაინერი, რ. (1994). *ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება*. თბილისი: ხომლი.

ცისკარი. (1999). №9.

Luara Sordia

Sukhumi State University

THE PROBLEM OF EPHEMERALITY AND BEING IN ANNA KALANDADZE'S POETRY RESUME

The main problem of Anna Kalandadze's poetry is the awareness of earthly, perishable goals and eternal ideas, the service of exalted ideals. The poetess believes that the highest treasure is not gold or jewels but faith, happiness and the revelation of the Almighty. Poetess believes that the highest mission of the artistic word is to serve faith, to bring people to the good, to God and to victory over the devil.

Keywords: Poet, Night, Poetry, Eternity, Sun.

ზვიად გამსახურდიას პოეზიის პანეგირიკული ხასიათი - მიძღვნილი ხასიათის ლექსები

საკვანძო სიტყვები: პოეზია, პანეგირიკული, პოეტი, პროფეტიზმი, ენიგმა.

ზვიად გამსახურდია, პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, თავისებური პოეტია. თავის ლექსებს ძლიერ არ აყდარუნებდა. მის გარშემომყოფ მრავალ მოშურნეთ უღვივებდა დაუოკებელი ბრძოლის სურვილს და მათ შეზღუდულობასა და სულიერ სიღუბჭირესთან ბრძოლას მძაფრი და ღრმა კრიტიკული ნაშრომებით ახერხებდა. გამორჩეული იყო ნიჭიერებით, სიყვარულით, პირდაპირობით, დისიდენტური ვნებათაღელვით, დაუდგრომლობით, ტკბილმეტყველებით, პოეზიისა და მუსიკის დაუსრულებელი ზიარებით (მერაბ კოსტავასთან სიახლოვეც განაპირობებდა ამას), ესთეტიკური წიაღსვლებით, უშუალოებით, შეურყენელი მეგობრობით, საოცარი ზოგადი განათლებითა და ამავედროულად ღრმა პროფესიონალიზმით.

ზვიად გამსახურდიას შემოქმედების ერთი თვალის გადავლებითაც კი ჩანს, რომ მას ხანგრძლივი შემოქმედებითი წვა განუცდია, ის უაღრესად ძლიერია მსოფლგანცდებში და მარადიული, უცვლელი, უცნაურად მშვიდიც კი, მაგრამ თემატურად ცვალებადი. მისი ზღვრულობამდე მისული პატრიოტიზმი თემატურად ტრიადის სახით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ - ძეგლები, გმირები და მსოფლიო ლიტერატურა. ძირითადად ზვიად გამსახურდიას პოეზია პანეგირიკულ ხასიათს ატარებს და ის მიძღვნილია - მიძღვნაა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებისადმი, საქართველოსთვის თავდადებული თუ შეწირული გმირებისა და მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი პოეტ-მწერლებისადმი. ზვიად გამსახურდიას პოეზიაში სჭარბობს სამშობლოს ხატი. ლექსები: „მესხეთისადმი“, „განთიადი არმაზისხევში“, „ქაშვეთი.“ არის მხოლოდ რელიგიურ თემაზე შექმნილი ლექსებიც. მიძღვნილი ხასიათისაა „მთვარის ნიშნობა“ (გალაკტიონ ტაბიძისადმი), „კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი“, „ქართველი ჯარისკაცი კიევთან“ (ზურაბ ფალავანდიშვილის ხსოვნას), „ლამარის ხატი (ვახტანგ რაზიკაშვილისადმი), „პალადიუმის რაინდისადმი“ (ზაირონისადმი), „ბოდლერი“, „დავით კაკაბაძე“ და სხვა. პოეტი ზოგადად მეფსალმუნე ტარიგს გვაგონებს, რომელიც წარდგენილია სამსხვერპლოდ და ამას შესანიშნავად ჭვრეტს (მიუხედავად იმისა, რომ სიტყვაც არ წასცდენია ამაზე ლექსებში, იგავებში კი სულ სხვაგვარი ვითარებაა). ლიტერატურამ იცის ენიგმებამდე აყვანილი ალუზიები, სადაც მთქმელი საერთოდ არ ახსენებს მისთვის საინტერესო ობიექტს, მაგრამ სულისმიერად გრძნობს მკითხველი და შესანიშნავად აღიქვამს ოდნავი დაკვირვებითაც კი. ამის ნიმუშად მიგვაჩნია ხალხური ლექსი პირობითი სათაურით „რა ვქნისა ციხე ავაგე“, სადაც სიტყვა საქართველო საერთოდ არაა ნახსენები, მაგრამ საქართველოს მისტიკური მომავალი ისე ოსტატურადაა ასახული, რომ მისი ხსენება, შესაძლოა, ღირსებასაც კი ულახავდეს სამშობლოს დასახელებას:

„რა ვქნისა ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოიდენ
ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს: დრო რო მოალის,
კარ გაიღების თავადა.“

(ხალხური)

ზვიად გამსახურდია, როგორც ყველა პოეტი, სამოციანელებიდან მოყოლებული გალაკტიონის გავლენას განიცდის. ის გამოწკლისია მხოლოდ სტრიქონის სითამამითა და აზრების დაუფარაობით. თვით ლექსის სათაურიც კი გალაკტიონიდან ნახსენებს ჰვავს. და ყველა, ვინც ამას აკეთებს, მხოლოდ თავისი ესთეტიკური გემოვნების დახვეწილობაზე მიუთითებს:

„ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი,
ჩვენს ბრგე ციხეებს, ტანკენარ ტაძრებს
ეს საუკუნე სპობს უახლესი.“

მალე გვექნება მინამე-ჰესი,
დაშლის ვარძიას, ზარზმას და ხერთვისის,
გმინვა-გოდება ჯავახის, მესხის
აბობოქრებულ ტალღებს შვერთვის...

ამ ხუდონჰესით, ნამოხვანჰესით,
სვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ მეხი
რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში,
ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი.

ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი,
თან გვარწმუნებენ: იცავსო ძეგლებს
ეს საუკუნე უდიადესი!“

(„საუკუნე უახლესი“) (გამსახურდია, 2014)

გალაკტიონ ტაბიძე როდესაც ძველის „დაუნდობელ ნგრევას“ უხდიდა ხარკს, ზვიად გამსახურდიამ ისეთ დროს აღიმალა ხმა საქართველოს საამაყო მემკვიდრეობის დასაცავად, როდესაც ეს სიცოცხლისთვის საშიში იყო. სულისკვეთებით გალაკტიონისეული სტრიქონებისაგან კი განსხვავდება, მაგრამ სტილი და მანერა უთუოდ გვახსენებს დიდი პოეტის რამდენიმე ლექსს - „საუკუნე სპობს უახლესი,“ „იცავს ეს საუკუნე უდიადესი“ და ა.შ. სამწუხაროდ, ლექსი ძალიან თანადროულადაც ჟღერს... უნებლიედ გიჩნდება აზრი - რომ არ ყოფილიყო ზვიადი და ზვიადისთანა გმირები, ვინ გამოექომაგებოდა ჩვენი სულის ნაწილებს? მოაღწევდნენ ისინი დღემდე?..

დასაწყისში კი, მაგრამ მერე და მერე აღარ იგრძნობა გალაკტიონის გავლენა, თუმცა, მისეული რემინისცენციები არ ტოვებს ზვიად გამსახურდიას პოეტურ სულისკვეთებას. მაგალითად:

„მთვარიანო მთავ,
ფორიანო ხევ.“

(„მთვარიანი მთა“) (გამსახურდია, 2014)

„დათრთვილურ სიზმართა
გოდების მჩნლები
ეგ
შენი
ცრემლები.“

(„ღამე იღვენთება“) (გამსახურდია, 2014)

რამაც ერთხელ უკვე მოახდინა გავლენა, მეორედ იგი უკვე სიახლისა და მოულოდნელობის, გაუცხოვების ეფექტს კარგავს. მართალია, ვირგილიუსი ჰომეროსის პლაგიატი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც რჩება სწორუპოვარ გენიოსად. რატომ? ის დამოუკიდებელი ნაწარმოებია როგორც სტილით, ისე პოეტური სახეების თავისებურებებით, რაც განაპირობებს კიდევ მის ორიგინალურობას. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ზვიად გამსახურდიამ გავლენის არტახებიდან თავის დაღწევა წარმატებით მოახერხა.

ბევრია ვარდებით, ოლარებით, უძირო ღამეებით, სამშობლოში ხეტიალით, სიფაქიზითა და აღმფრენით სავსე სტრიქონები. მთავარი ისაა, ზვიად გამსახურდიას ადრეულ შემოქმედებაში იგრძნობა ჯანსაღი გავლენა, რასაც ძალიან მალე აღწევს თავს. მთავარია, მთელი მისი პოეზია დამოუკიდებელი მსოფლგანცდისა და გარდაუვალი შემოქმედებითი გარდაქმნისა და დამოუკიდებლობის ჯანსაღი პროცესია.

ზვიად გამსახურდიას ვნებანი არც პირად ცხოვრებასა და არც შემოქმედებაში არ დაჰკლებია, რაც ბოლომდე გაჰყვა სულის განწმენდის ძიებაში მყოფ მის ბობოქარ არსებას. მაგრამ სულ სხვაა ისტორიული ძეგლების ნახვით გამოწვეული ვნებები, რომლებიც ასე თავანკარაა და სუფთა. ეს აზროვნების სიღრმესა და სიმწიფეში შესვლას უნდა მოასწავებდეს. ზვიად გამსახურდია აქაც გამორჩეულია - სულის სინატიფე და გრძნობისეული ტრანსფარანტულობა, დახვეწილი ტაეპი და მოკლედ გადმოცემული ემოციური მუხტი გარდაუვალად მოქმედებს მკითხველზე:

„შენ გეზმანება ვაჰანი და ძველი ვარძია,
სამსარი, კლდეში შეხიზნული, გედივით წუნდა,
შოთას აკვანი მადლიანი ვინაც არწია,

ვინაც ჯვარცმული იყო მარად და არ შეძრწუნდა.

შენ გეზმანება გარუჯული სამცხის სერები,
მუნჯი მოწამე წარსულისა - მდუმარე მტკვარი,
ცის კაბადონზე სპილენძის და ტყვიის ფერები,
კუმურდოს თალი დაღარული და ზარზმის ზარი.

შენ გეზმანება ოლთისი და მდუმარე ბანა,
იშხანი, ოშკი, პარხალი და წმინდა ხახული,
ვინაც ხილვები წარსულისა ცრემლებით ბანა,
ჟამთა სიავით დასეტყვილი და ჭირნახული.“

(„მესხეთისადმი“) (გამსახურდია, 2014)

ელისო ვირსალაძის ხელოვნებამ რომ შთაგონება მოგანიჭოს, ეს გასაკვირი არაა, თუმცა, მის მიერ გადმოცემულის ზუსტი აღქმა და ინტერპრეტაცია (ისიც ლექსით), ყველას ხვედრი არ არის. ის დიდ ინტელექტუალურ რესურსებსა და ლაკონური სტილის ფლობას გულისხმობს. ეტიუდივით სიმებიანი საკრავით შესრულებული ვირტუოზული ნაწარმოები - „კაპრიჩიო“ ძალზე დინამიკური და თავისუფალი ხასიათის მუსიკალური პიესაა. პოეტს ის ანტიკური სამყაროს (სტიქსის წყალი; ქარონი), ძველი აღთქმისა (ლიბანი, ქერუბიმი) და წინასწარმეტყველურ (წამების გვირგვინი) შთაბეჭდილებას უქმნის. ძველსა და ახალ აღთქმას უშუალოდ ანტიკურ შემოქმედებით ქურაში გადაადნობს და პროფეტულ დაბოლოებამდე მიჰყავს, სადაც ბოლო ტაეპი არა მარტო ბიბლიური პარალელი, არამედ საკუთარი მომავლის ზმანებას უფრო მოგვაგონებს.

ელისო ვირსალაძის მიერ ჟინით გადმოცემული ყოველი მუსიკალური ჰანგი, ცვალებადი ხასიათის ვირტუოზული მუსიკალური პიესა, დიახვც რომ ეთანადება ლექსის პათოსს და - პირიქით:

„... და ვარსკვლავთშობილი მითი.

სცვივოდა შავი მთვარეები

მარმარილოს ცას.

სიმებში ბუდობდა გრიგალი.

მეწამულ არშიებად

დაეტყო შენს სახეს

წყევლა უმძაფრესი:

სტიქსის წყალივით მღვრიე ფიქრების ღვართქაფი,

ქარონის ელდა,

ლიბანის ხანძარი -

და კვლავ - ქერუბიმული ბრწყინვალეობა

წამების გვირგვინის.“

(CAPRICCIO) (გამსახურდია, 2014)

ძნელია თქვა, როგორ გამოსდის პოეტებს მომავლის წარმოდგენა. ეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესასწავლია, რადგან ბევრი რამ გაუგებარია. ხომ არ ფლობენ პოეტები მედიუმის გარკვეულ თვისებებს? მათ მიერ წარმოთქმული სიტყვა როგორც საკრალური ელემენტი რამენაირად მოქმედებს თუ არა მომავალზე? ზვიად გამსახურდიას პოეზიაში შეიძლება გამოვყოთ წინასწარმეტყველობის ორიოდე ფაქტი: პირველი, პოეტი ჩვენ წინაშე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას სჭვრეტს წინასწარ - ეს იქნება ეკონომიკური ფორმაცია, რევოლუცია, სამოქალაქო ომის დაწყება, სტიქიური უბედურება და ასე შემდეგ მოვლენები; მეორე - პოეტი წინასწარმეტყველებს სხვა ადამიანების ბედს და თავის პირად ცხოვრებასაც, უპირველეს ყოვლისა, ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლის შესახებ.

მეოცე საუკუნეში, რა თქმა უნდა, პოეტის ეს ფუნქცია საზოგადოებაში იჩენს თავს. იყვნენ მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, რომელთა შემოქმედებაში ეს საკითხი ღრმად არის შესასწავლი. ამა თუ იმ ზომით ყველა ჭეშმარიტ პოეტს აქვს წინასწარმეტყველური პროფეტული შესაძლებლობები. ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული ამას არაერთგზის დაამტკიცებს. პროფეტიზმის მისტიფიცირება ძალზე მაცდუნებელია, მაგრამ ის მეცნიერულ შესწავლას უფრო საჭიროებს.

პოეზიის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალური მიზანია სხვადასხვა მეთოდებით გადასცეს გლობალური და ლოკალური ინფორმაცია. ეს მიზანი გულისხმობს თანაშემოქმედებით რეცეფციას -

მკითხველს როგორც თანაავტორს. თავისთავად ავტორი, როგორც შემოქმედი ერთეული არ არის თვითმკმარი. თანამედროვე კულტურაში აზრი კომუნიკაციური ბუნების შესახებ ბევრ საინტერესო კანონზომიერებას იძლევა მხატვრის შემოქმედების განვითარების შესახებ. შინაგანი დიალოგი შემოქმედებისა მის ესთეტიკურ განცდას, დიალოგურ ბუნებას აღიარებს. მხატვრული ნაწარმოების აქტი თავიდანვე გულისხმობს პოეტის კავშირს მაკროსამყაროსთან და ისინი მიღებულ ინფორმაციას ადამიანისთვის გასაგებ ენაზე უგზავნიან თანამედროვეთ და მომდევნო თაობებსაც. შესაძლოა, ისინი თავად უგზავნიან კოსმოსს გარკვეულ გზავნილებს ადამიანის წარმოშობისა და ბუნების შესახებ დედამიწაზე ცხოვრების შემდეგ არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც ღიად რჩება დღემდე (კრის ფრისტი, შინაგანი დიალოგის გამოყენება მრავალმხრივი ეფექტის მისაღწევად).

„მიძღვნა“ არის სონეტი, რომელშიც პროფეტული და ენიგმატური გადახლართულია ერთმანეთში. პოეტი სათქმელს ისე აყალიბებს, რომ უდროო ბურუსში გხვევს, მაგრამ თავბრუს გარეშე, მოგიწოდებს დაფიქრებისკენ. ის, რომ ამ დროს თავიდან აიცილო ლექსი - რეზუსის მდგომარეობა, კიდევ ერთხელ მიუთითებს პოეტის ოსტატობაზე:

„საპირისპირო განათების სხივი ფარული
შემოესალტა დაუტირებ სახვათა კრებულს
ვით შედამების შუქ-ჩრდილები მთას დაფიქრებულს,
ეწვევა სულის საკურთხეველს ახლა სხვა რული.

გრაალის კოშკი შორით მოსჩანს ქიმ-გაბზარული,
პალლას ათენას, სიბრძნის ველზე უშფოთვლად რებულს
„შავი ყორანი აზის თავზე“ და გაფითრებულს
გარს ახვევია დემონების ბილწი არული...“

(„მიძღვნა,“ სონეტი) (გამსახურდია, 2014)

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოეტი - წინასწარმეტყველის პოეზიისთვის დამახასიათებელია არა მხოლოდ კომუნიკაციური ფუნქცია, არამედ მეტაკომუნიკაციური ანუ ყოვლისმომცველი ფუნქცია, რომელიც არის გათვლილი მაქსიმალურად ფართო აუდიტორიისთვის, მათ შორის მომავლიდან წარსულისკენ და - პირიქით. ტერმინი შეიძლება ფილოსოფიური ტერმინია და ხდება მისი კვინტენსენცია შემოქმედების დისკურსიული ანალიზისა და ის განსაზღვრავს წინასწარმეტყველების პოეტური შეტყობინებების მთავარ ვექტორებს.

ზვიად გამსახურდიას პირადი მომავლის საიდუმლო სერობის მისტერიასთან შედარება მისი თავზარდამცემი ესქატოლოგიური წარმოსახვის ნიმუშია, რომელსაც არც მეტი და არც ნაკლები თავისი საკუთარი სისხლით ზღავს.

საზოგადოებრივი დრამა იქ მის პირად ტრაგედიად გარდაიქმნება. და რატომ მოხდა ეს? ხომ არ იყო ეს დაუნდობელი და მსახვრალი ბედის გარდუვალობა, რომელიც აჩრდილივით დასდევდა პოეტს? დიდი ხანია ცნობილი იყო, რომ ძირითადი თემები პოეზიისა არის სიყვარული და სიკვდილი. ზვიად გამსახურდიას შემოქმედებიდან კარგად ჩანს, რომ ის წერდა სიყვარულსა და სიკვდილზე, მაგრამ წერდა ძალიან ზუსტად და მოზომილად:

„ალები ალებრივ ალობენ
ელვათა მტყორცნელნი ეთერად,
წამები წლებადვე წვალობენ
მწუხრის ანგელოსნი გალობენ
თუ მომსპარია სიკეთე რად.“

(ზვიად გამსახურდია, „წამთა წამება“)

„შარავანდედი ჩანგების
თუ დიადემა განგების
აღსასრულისა ჰანგები
მოვლენდა ის ფარშავანგები.“

(„ქვაბთახევის ელეგია“) (გამსახურდია, 2014)

ზვიად გამსახურდიამ კარგად უწყოდა, რომ წინასწარმეტყველება არ არის მატერიისა და ენერჯიის გადანაწილება და, ამდენად, არაეოლოგიურია. ეოლოგიაში ახალი არაფერი იქმნება, მხოლოდ ძველი გადაინაცვლებს. ეოლოგია აუცილებლობაა, წინასწარმეტყველება კი - თავისუფლება, სადაც ცის

გარდაცვალებაში იგულისხმება ხილული ცა, რასაც დარობა დარის მოსდევს, ანუ მარადიული, დაუღველი სიკეთე სამოთხისა. ქნარის ფერისცვალებას კი შემოქმედებითი გარდაქმნის ყველაზე ლაკონური სიმბოლოც კი შეიძლება ეწოდოს. ბიბლიური წინასწარმეტყველების ეგზომ მცირე ლირიკულ ჩარჩოებში ასე ოსტატურად მოქცევა ზვიად გამსახურდიას ლიტერატურული სიღრმისა და გემოვნების უტყუარი დასტურია. პროფეტული ენიგმა, ასე შეიძლება ეწოდოს აფრაზე გაკრულ გველის მეტაფორას. ხომ არ არის ეს ათასწლეულით შეკრული სატანა სუპერსამყაროს, მართლისა და მტყუანის გადარჩევის, უფლის მეორედ მობრძანების შემდგომ საღვთო მეუფების დადგომის სიმბოლო? ავტორი თავისთავს ელაპარაკება, რადგან პროფეტიზმი გამოსხივებისა და დაბადებისაგან პრინციპულად განსხვავდება. ემანაციაში სხივდება მატერია და მატერიიდან მოწყვეტა. ამის დასტურია სტრიქონი „ცის გარდაცვალებას ელი,“ რაზედაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდოდა, რომ სწორედ აქ არის განცხადებული ფარული თვითდიალოგი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ასე შეფარვითა და თითქოს ასეთი თავანკარა ქართულით გამოუტანია სამზეოზე, მაგრამ შეუიარაღებელი თვალთ ამის დანახვა შეუძლებელია. ამიტომ საჭიროებს მისი პოეზია გაცილებით ღრმა კვლევას, ვიდრე ეს აქამდე გაკეთებულა. ამ მხრივ, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონსტანტინე (კოკო - კონსტანტინე უმცროსი) გამსახურდიას განსაკუთრებული წვლილი მამის პოეზიის კვლევის გაღრმავების თვალსაზრისით (კონსტანტინე ზ. გამსახურდია, ზვიად გამსახურდია, „კოსმიური წირვა“):

„აფრაზე გაკრული გველი,
ფერისცვალება ქნარის,
ცის გარდაცვალებას ელი,
ახლოა დარობა დარის!“

(„მთვარის ნიშნობა,“ გალაკტიონ ტაბიძისადმი) (გამსახურდია, 2014)

ზვიად გამსახურდიამ კარგად უწყოდა, რომ ეგოცენტრისტული განწყობებით არაფრის შექმნა არ შეიძლება, არ შეიძლება მიეცე აღმაფრენას და გამოიგონო უმჯობესი სამყარო. პარადოქსი ისაა, რომ ის ახერხებდა და აერთიანებდა ასკეზასა და შემოქმედებით ცხოვრებას. ასკეტურ გამოცდილებას ის შეჰყავს თავისთავში, აფიქრებს საკუთარ სრულქმნასა და გადარჩენაზე. ეს ერთი მხარეა პოეტის პროფეტული ნათელხილვებისა, ხოლო შემოქმედებით გამოცდილებას მწერალი თავისთავისგან გაჰყავს და მიაქანებს უმაღლესი სამყაროსკენ. ზვიად გამსახურდიას შემოქმედებაში არის თავისებური ასკეზა და თვითშეზღუდვაც, მაგრამ სხვა ხასიათისა. ეს ასკეზა არაა მიმართული პირადი სრულქმნისა და პირადი გადარჩენისაკენ (თუმცა, არც უამისობაა, მაგრამ შედარებით პატარა დოზით, რაც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ. ნ.ქ.). არც ასკეზა მიიღწევა ნიჭიერებითა და უნარებით. შემოქმედებით გენიალობა გამოიმუშავება, რომელიც პოეტს მაღლიდან მაღლის სახით ენიჭება. ზვიად გამსახურდია შემოქმედებით დამაბვას აღწევს პირველქმნილი ბუნებითი თავისუფლებით და არა თვითსრულქმნის ასკეტური გმირობის მარცხით. ასკეზა მიძღვნილი შეიძლება იყოს, მაგრამ მასში კარგად იჭვრიტება თავად ზვიადის სახე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საზღვარი ზვიადისა და მერაბის პიროვნებებს შორის წაშლილია, სადაც მოიაზრება ერთი, იქაც მეორე და - პირიქით:

„ერზე მჭმუნვარე ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვალ იცოდე!
ქრისტემ მოგმადლა ცის გასადები
და სერაფიმთა ჰაეროვნება,
ამ ქვეყნად ტანჯვით რომ იდაგები
იმქვეყნიური გელის ცხოვნება.“

(„წამებულ ძმისადმი,“ მერაბ კოსტავას) (გამსახურდია, 2014)

რატომ იყო ასე გაუტეხელი თავის ბრძოლაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთადერთი დისიდენტი? რას შეეწირა ის? მისი საიდუმლო არის თავისუფლების საიდუმლო. მისი ენიგმაც და პროფეტიზმიც მხოლოდ უძირო თავისუფლებიდან მომდინარეობს, რამეთუ უძირო თავისუფლებიდან შეიძლება ახლის შექმნა არარსებულისა. ასეთი იყო ახალი საქართველოს შექმნა - საბჭოთა კავშირის რუტინის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება, რუსეთის პრეზიდენტის ხელმოწერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების თაობაზე და ა.შ. ეს ჭეშმარიტად „საკვირველ ძლევას“ ჰკავდა. მას შემდეგ ქართველობას იმედის ნაპერწკალი აღარც ჩაქრობია, მიუხედავად წარმოუდგენელი ზეწოლისა. რადაცისგან, ყოფიერისაგან ახლის შექმნა, არარსებულისა შეუძლებელია. მისგან მხოლოდ დაცლა შეიძლება, დაბადება და გადანაწილება. შემოქმედება კი

არაფრისგან, თავისუფლებისაგან, თავისუფლების გზით ყოფიერებასა და სამყაროში გარღვევაა. ხშირად ამას პოეტი ყოფითი თემატიკის უბრალო მაგალითებით გადმოსცემს, თუ როგორ ექცევა ლუციფერის მონობის არტახებში გავაჭრებული მუზა, თავისუფალი შემოქმედების სიმბოლო, პერსონიფიცირებული. შავი სიბნელის უკიდურესი ზღვარია. ამ ფერის არჩევა ნიშნავს საბოლოოდ მიღებულ აბსოლუტურ გადაწყვეტილებას. შავი როგორც მაქსიმალურად კონცენტრირებული ფერი ასახავს აგრესიულ შეუპოვრობას. ის ნიშნავს გაჩერებას. ამგზნები გავლენებისაგან სრულ დაცვას და მათ განდევნას. ის, ვინც პირველ ადგილზე აყენებს შავს, სიჯიუტე და შეუდრეკლად წინ აღუდგება საკუთარ ბედს. მათ ვინც ვერ ღებულობს ამ ფერს, არ ძალუმს აკრძალვების მიღება და დაკარგული თავისუფლების სანაცვლოდ აყენებენ ავტორიტარულ მოთხოვნებს (არასამთავრობო ორგანიზაცია „დენდრონი“). საქმე ისაა, რომ პოეტს მოზმანებული შავი მთვარე შეუდრეკელობისა და აგრესიული შეუპოვრობის სიმბოლოდაც კი აქცევს.

ასეთია ზვიად გამსახურდიას პოეზიის მიძღვნილი ხასიათის ლექსების სულისკვეთება.

ბიბლიოგრაფია:

გამსახურდია, ზ. (1989). *მთვარის ნიშნობა*. თბილისი: მერანი.

გამსახურდია, ზ. (2014). *კოსმიური წირვა: ლექსები*.

გამსახურდია, ზ. (2018). *79 ამბავი*. თბილისი.

გამსახურდია, კ. ზ. (2015). *რავენისა ციხე ავაგე*. თბილისი: ინტელექტი.

Nana Kiria

Sukhumi State University

THE PANEGYRIC CHARACTER OF ZVIAD GAMSAKHURDIA'S POETRY - DEDICATED POEMS OF CHARACTER RESUME

Zviad Gamsakhurdia's poetry is mainly panegyric in nature and it is dedicated to Georgian architectural monuments, or sacrificed heroes of Georgia and prominent poets and writers of world literature.

Zviad Gamsakhurdia's work has many lines full of roses, olars, bottomless nights, wandering in the homeland, simplicity and ascension. His entire poetry is a healthy process of inevitable creative transformation and independence of the independent worldview.

Zviad Gamsakhurdia's passion did not diminish either in his personal life or in his work, which led to the end of his bohemian creature in search of soul purification. But the passions evoked by the sight of historical monuments are so different that they are so headstrong and pure.

Keywords: Poetry, Panegyric, Poet, Prophecy, Enigma.

ტერმინ „ჟამისწირვის“ განსაზღვრისა და მერმისთან ურთიერთკავშირისათვის

საკვანძო სიტყვები: „ჟამისწირვა“, დრო, წირვა, მერმისი, ლიტურგია.

საღვთისმეტყველო ტერმინების ჩამოყალიბებას ზოგჯერ ისეთი მისტიკური და შეუცნობელი ისტორიები ახლავს, რომ ადამიანის ცნობიერება მასში გარკვევას მხოლოდ დროთა განმავლობაში, თანდათანობით ახერხებს. ამის მაგალითია ტერმინი **ჟამისწირვა**. საღვთო ლიტურგიის - **ჟამისწირვად**, ჩვენი აზრით, იგივე - **დროის შეწირვად** სახელდებაში, როგორც გავარკვეით, ლიტურგიკის ერთი ახალი, უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციის დანახვის საშუალება გვეძლევა.

ამ მნიშვნელობის აღმოჩენა, ვფიქრობთ, თვითმყოფადმა ქართულმა აზროვნებამ რწმენით შეძლო და სიტყვაში გააცხადა. რამდენადაც, „ადამიანს, გარდა ცოდნისა და გამოცდილებისა, ახასიათებს რწმენა. რწმენა სულიერი მისწრაფება ინტუიციურად შეიმეცნოს ის, რასაც აზროვნება ვერ სწვდება. და ამ ღრმად შინაგანი, ცნობიერებისა და ქვეცნობიერების ზღვარზე არსებული სწრაფვის გაცხადებაც ენით ხდება“ (ჯორბენაძე, 1997, გვ. 9-10). გერმანელი ენათმეცნიერის, ვილჰელმ ჰუმბოლდტის კონცეფციით: ენა არის მსოფლხედვა; ენა არის ერის სულის გამოხატულება; ახალი ენის დაუფლება, ახალი მსოფლხედვის შექმნა (ჯორბენაძე, 1997, გვ. 11) ვფიქრობთ, ქართულმა ენამ, სწორედ ერთ-ერთი ახალი მსოფლმხედველობა შესძინა საეკლესიო ღვთისმსახურებას ტერმინით **ჟამისწირვა**.

ჟამისწირვა, ბერძნულ ტერმინ **ლიტურგიის** მსგავსად, დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა საკუთრივ ღვთისმსახურების აღმნიშვნელ ტერმინად. მიჩნეულია, რომ - **ჟამნი**, ანუ იგივე პერიოდულად აღსავლენი ლოცვანის სახელწოდება, მიუერთეს **წირვას** - ევქარისტიული ღვთისმსახურების აღმნიშვნელ ტერმინს. შედეგად, **საღვთო ლიტურგიას** ეწოდა **ჟამისწირვა**. გარდა ასეთი კომპოზიციური შერწყმისა, ჩვენ ვფიქრობთ, საღვთისმეტყველო სიტყვა „**ჟამისწირვა**“, ენის წარმოშობის შესახებ ანტიკურ საბერძნეთში შემუშავებული $\mu\sigma\chi\epsilon$ - „ფუსეი“ თეორიის მიხედვითაა შექმნილი. ამდენად, იგი თავისი ბუნების ზუსტ შესატყვისობას შეესაბამება, ანუ ის მიგვითითებს **ჟამის**, იმავე დროის **შეწირვის** შესახებ.

სიტყვა **ჟამისწირვა** იხმარება ისეთ ადრეულ ჰაგიოგრაფიულ ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებში, როგორებიცაა: გრიგოლ ხანძთელისა და ექვთიმე ათონელის ცხოვრება, კლარჯული მრავალთავი და სხვა. მაგ., ყველასათვის ცნობილია უწყება VIII საუკუნისა, რომელშიც გიორგი მერჩულე ამბობს: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა **ჟამი შეწირვის** და ლოცვად ყოველი აღესრულების“ (მერჩულე, 1986). აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ წყაროებში, ტერმინ **ჟამთან** მიმართებით გვხვდება ასეთი გამოთქმებიც: „ჟამსა თვისსა, ჟამსა ჰრეკონ, ჟამსა აწვიონ, ჟამითი-ჟამად, ჟამი მარჯვე, ჟამისა მის ბრძენთა მიერ შეუცავი, იტყოდა ჟამსა და სხვა (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ბ). - ესე იგი, ტერმინი **ჟამი** არ არის მხოლოდ **წირვასთან** დაკავშირებული ტერმინი, რომ მას ბერძნული *kairos*-ის ანალოგიურად (ბერძნულში ღვთისმსახურების აღმნიშვნელ დროდ, მხოლოდ სიტყვა *kairos* გამოიყენება და არ იყენებენ *χρονος*-ს). მაგალითად: $\text{Καιρός τῶν πῶνται τῶν Κυρίων}$ - ჟამი არს მსახურებად უფლისა), მხოლოდ ამ შინაარსობრივი დატვირთვის მნიშვნელობა მივანიჭოთ და არ მივიჩნიოთ ჩვეულებრივ ფიზიკურ ქრონოლოგიურ დროდ, როგორც ბერძნულად *χρονος*-ია.

თანამედროვეობის ერთ-ერთი დიდი ფილოსოფოსი და მოაზროვნე, იტალიელი მეცნიერი - ჯორჯიო აგამბენი საუბრობს „მესიის დროის“ მნიშვნელობაზე. მისი აზრით „... „მესიის დრო“ აღნიშნავს არა ქრონოლოგიურ ხანგრძლივობას, არამედ განცდილი დროის ხარისხობრივ ტრანსფორმაციას, ანუ გარკვეულწილად ქრონოლოგიური დაგვიანების მსგავსს, როდესაც, მაგალითად, ამბობენ: „მატარებელი იგვიანებს“ - ამაში დრო სრულიადაც არ იგულისხმება. „1. ხოლო დროთა და ჟამათვის, ძმანო, არ გჭირდებათ რამეს მოწერა.

2. რადგან თქვენ თვითონაც მშვენივრად იცით, რომ დღე უფლისა მოვა, როგორც მპარავი ღამით.“ - წერს პავლე მოციქული თესალონიკელებს (1 თეს . 5, 12). სიტყვა „მოვა“ ბერძნულად „ $\acute{\epsilon}\rho\chi\epsilon\tau\alpha$ - ერცეტაი“, ორიგინალ ტექსტში გამოიყენება აწმყო დროში, ზუსტად იმგვარადვე, როგორც სახარებაში მესია იწოდება „მომავალად“ ($\text{ho } \epsilon\rho\chi\omicron\mu\epsilon\nu\omicron\varsigma$ - ჰო ერხოუმენოს), ანუ იმად, ვინც არასდროს წყვეტს მოსვლას (ანუ მარადის მოვალს მ. მ). ვალტერ ბენიამინმა შესანიშნავად აითვისა რა პავლე მოციქულის მიერ თქმული, იმეორებს თავისი ჩვეული მანერით: „ყოველ დღე და ყოველწამს - ეს ის პატარა კარებია, რომელშიც მესია შემოდის“. ...დრო, რომელზეც მოციქული საუბრობს, არ არის ჟამთა აღსასრული.

...მესიანური დრო არა ჟამის აღსასრულია, არამედ თანაფარდობა ყოველი წამისყოფისა, ყოველი ჟამისა (καίρῳ - კაიროს) ჟამის აღსასრულთან და მარადისობასთან“ - წერს ჯორჯიო აგამბენი (აგამბენი, 2017).

აღსანიშნავია, რომ, ზოგიერთ სიტყვაში „ჟამის“ სემანტიკურ მნიშვნელობად მოიაზრება სრულიად ისტორიული ცხოვრება. ამის დასტურია სიტყვა „ჟამთააღმწერელი“, რაც ისტორიული ამბების აღმწერ მემატაიანეს ნიშნავს (ჩიქობავა, 1986, გვ. 374). ასევე, მსგავსი სიტყვაა - **ჟამიანობა**. იგი შავი ჭირის ეპიდემიას აღნიშნავს (ჩიქობავა, 1986, გვ. 374). ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ საღვთო ლიტურგიის **ჟამისწირვად** დასახელებაც, ისეთი ყოვლისმომცველობითი თვალსაზრისით ყოფილიყო მიჩნეული, როგორც ყოველივე ამქვეყნიურის ღვთისადმი შეწირვაა, რითაც, ადამიანის ცნობიერებაში შესაბამის ხარისხობრივ ტრანსფორმაციას განიცდის ფიზიკური დრო და მისი ღვთისადმი მიძღვნილ, გადადის მეტაფიზიკურ დროში, სადაც უფალი ჰგებებს.

მართალია, უძველესი დროიდანვე ცნობილია, ქრისტიანული სადღეღამისო ღვთისმსახურება ყველგან ჟამნების მიხედვით განისაზღვრებოდა, ანუ თითოეულ საღვთისმსახურო განგებას ჰქონდა თავისი დრო, თავისი ჟამი, მაგრამ მთელი **საღვთო ლიტურგიისთვის** არავის, ქართველის გარდა, დროსთან დაკავშირებული სახელი არ დაურქმევია. რამდენადაც გამოვიძიეთ, გარდა ქართულისა არცერთ სხვა ენაში, ღვთისმსახურების სახელდება არ არის დაკავშირებული დროსთან. ამდენად შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქართველს დროსთან დაკავშირებით განსაკუთრებულად კრძალვითი და საზრიანი დამოკიდებულება ჰქონდა. ამიტომაც ასე გონივრულად შეათავსა **საღვთო ლიტურგიისა და დროის** გააზრება.

საკუთრივ დროის ფაქტორი, ერთ-ერთი ყველაზე განხილვადი თემაა მსოფლიოს ფილოსოფოსებისა და თეოლოგებისათვის. ჩვეულებრივ აღიარებულია, რომ, ღვთივბოძებული დრო, ეს არის ყველაზე ძვირფასი და ყველაზე შეზღუდული არაგანახლებადი რესურსი, რომელსაც განსაკუთრებულად სწორად გამოყენება ესაჭიროება. თვით შესაქმიდან გვეძლევა გაფრთხილება და ცხადი მითითება დროსთან მიმართებით, როცა შემოქმედი ადამიანს აფრთხილებს ათ მცნებაში, რომ ექვს დღეს იქმოდეს, რასაც იქმოდეს და წმინდა ჰყოს დღე იგი შაბათი. იმაზე მეტად წმინდაყოფა შეუძლებელია, ვიდრე ამ დღის უფლისადმი მიძღვნა-შეწირვაა. როგორც თეოლოგები შესაქმის შესახებ ამ საკითხზე წმ. მამების ნააზრევით მსჯელობენ, „მეშვიდე დღე“ ამჟამადაც გრძელდება, ხოლო მკვდართა აღდგომის შემდეგ კი დადგება მარადიული **„მერვე დღე“**, ანუ მომავალი საუკუნო სიცოცხლე (თინიკაშვილი, 2004, გვ. 19).

აღნიშნული **„მერვე დღე“**, იმავე **მერმისის** მნიშვნელობით არის ჩვენს ენაში მოხსენიებული. თეოლოგების ნააზრევში ყურადღება ყოველთვის გამახვილებულია ფიზიკური, ყოფითი დროიდან მეტაფიზიკურ დროში გადასვლაზე. სწორედ ეს ხდება ჟამისწირვისას. ძვირფასი დრო, რომელიც ჩვენთვის ღვთისგან ბოძებული უნიკალური მოცემულობაა, ჩვენ მიერ შეიწირება, მიეძღვნება უფალს, რითაც ვუკავშირდებით **მერმისს**. შესაბამისად, „მეშვიდე დღიდან“, გადავდივართ **„მერვე დღეში“**. სწორედ ამ პროცესს შეესატყვისება ტერმინი **ჟამისწირვაც**, რამდენადაც იგი აღიარებულია, როგორც ესქატოლოგიური მოვლენა. ვნახოთ როგორ განიმარტება ენციკლოპედიურად აღნიშნული ტერმინები:

„ესქატოლოგია (ეტიმ. ბერძ. éschaton „უკანასკნელი“ + logos „მეცნიერება“) - ნიშნავს მოძღვრებას საბოლოო დღეზე. ბიბლიური რწმენა ქვეყნის დასასრულსა და მკვდართა აღდგომაზე, ფორმულირებულია „მრწამსის“ მე-7, მე-11 და მე-12 წევრებად. იქ ნათქვამია, რომ იესო ქრისტე კვლავ მოვა დედამიწაზე; აღდგებიან მკვდრები და შევაბიჯებთ მერმის საუკუნეში. რას ნიშნავს „**მერმისი**“? ღვთის წინაშე ათასი წელი ერთ დღეს უდრის (ფს. 89:9). რამდენადაც „შესაქმის“ წიგნი შვიდი დღის შესახებ გვაუწყებს, ბიბლიური შვიდი დღე შეიძლება მოვიაზროთ 7 ათას წლად. ამის ანალოგიით ქრისტიანთა შორის ფეხი მოიკიდა რწმენამ, რომ ქვეყანა შვიდათას წელს იარსებებს. მერე დადგება მისი აღსასრული და მეორედ მოვა მაცხოვარი იესო. წუთისოფლის არსებობის შვიდ ათას წელს შვიდ საუკუნეს უწოდებდნენ, ხოლო მომავალ ცხოვრებას - მერვეს. ასე წარმოიშვა სპეციფიკური ტერმინი **მერვე** ანუ **მერმისი** საუკუნე. **მერვე საუკუნე** არის აღთქმის იდეალი ანუ ცათა სასუფეველი, რასაც, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, შეგნებულად თუ გაუაზრებლად, ელტვოდა და ელტვის წუთისოფლის ყოველი ელემენტი, - სულდგმული თუ მინერალი, გონიერი თუ პირუტყვი, ხეპრეც და მეცნიერიც. ესაა **სამოთხე** და ედემი, სადაც ვმკვიდრობდით.“ (ბიბლიოვიკი). აღნიშნული სამკვიდრო ცხადია, მარადიულია.

სწორედ ქრისტესთან ზიარებით გვეძლევა საშუალება მარადისობასთან, ქართული ტერმინი რომ ვიხმაროთ იმავე **მერმისთან** ზიარებისა. პროტოპრესვიტერი გიორგი ფლოროვსკი მსჯელობს: „ევქარისტიაში ერთიანდება დასაბამი და დასასრული. ...ლიტურგიის წესშიც უკვე ციმციმებენ მერმისი საუკუნის ფერები. ეს ქვეყნიერების გარდაქმნის დასაწყისია, საუკუნო ცხოვრებისთვის მისი აღდგომის დასაწყისი. როგორც წმინდა მაქსიმე აღმსარებელი განმარტავს, ლიტურგიაში ყველაფერი მერმის საუკუნის ხატია და ამქვეყნიერების დასასრულს აღნიშნავს. - იმიტომაც სახელდო უფალმა სიტკბოებით

მერმისი საუკუნის წმინდანები ტრაპეზად – განმარტავს კავასილა – რომ ეჩვენებინა: იქ არაფერია ამ ტრაპეზზე უდიდესი. ...პური ცხოვრებისა თავად აცოცხლებს თავის მიმღებს და ცვლის მას, თავისად გარდაქმნის... როდესაც ჩვენში ქრისტე გარდამოვა, შემოგვეზიარება და გვიერთდება, გვცვლის ჩვენ და თავის თავში გარდაგვქმნის, როგორც მთრონის უკიდევანო ზღვაში მოხვედრილ წყლის პატარა წვეთს. ...და მტვერი, მიიღებს რა მეუფის სახეს, უკვე აღარ არის მტვერი, მიწისაგანი, ის უკვე სხეულია მეუფისა, უფრო მეტად ნეტარი, ვიდრე ამის წარმოდგენა შესაძლებელი. უმჯობესი დაიპყრობს უუმღლურესს, საღვთო დაიმორჩილებს კაცობრივს, როგორც პავლე მოციქული ამბობს ალდგომის შესახებ: რათა ცოცხალმა შთანთქას მოკვდავი (1 კორ. 5:4). ეს არის ბოლო საიდუმლო. შეუძლებელია მეტის მიწვდომა, შეუძლებელია რამის დამატება.“ (ფლოროვსკი, 2011). აქ მართლაც ყველაფერია ნათქვამი!

დაიხ, ნამდვილად შეუძლებელია რაიმეს დამატება, როდესაც მერმისი საუკუნის მისაღწევად, ამქვეყნიური დროის **ჟამისწირვისეულ** სრულ მიძღვნა-შეწირვას მოვახდენთ უფლისადმი. თუ ქრისტემდელი მსხვერპლშეწირვა შემოიფარგლებოდა რომელიმე მატერიალური ფასეულობის შეწირვით, ამჟამად სრულიად ამსოფლიურ დროს ვწირავთ უფალთან დასაკავშირებლად. ამდენად, ეს კავშირი მყარდება წარმოდგენლად უფრო მეტი სრულყოფილებით, ვიდრე ის იყო ადრინდელი მსხვერპლშეწირვის რიტუალისას დამყარებული. ცხადია, რომ ტერმინი **ჟამისწირვა**, ისევეა **დროის შეწირვის** აღმნიშვნელი, როგორც **εὐχαριστία** - **ევქარისტია** არის **მადლობის შეწირვის** აღმნიშვნელი საღვთისმეტყველო ტერმინი. ჩვენ ვწირავთ ამჟამიერს, **მერმისში** დასამკვიდრებლად.

ამგვარად, სახეზეა ქართულად ჩამოყალიბებული საღვთისმეტყველო ტერმინი **ჟამისწირვა** (დროის შეწირვა), როგორც საღვთო ლიტურგიის ერთერთი მთავარი ფუნქციის ლინგვისტური აღმნიშვნელი. თავად ტერმინი **ლიტურგია**, თავიდან სულ სხვა დანიშნულების მქონე იყო. რასაც მოწმობს მისი კომპოზიტურობა: **ლიტურგია** (ბერძ. Λειτουργία) – საერთო (სახალხო, საზოგადო) საქმე. იგი შედგენილია ბერძნული სიტყვებისაგან **Λάος** (ერი, ხალხი) და **ἔργον** (საქმე). სწორედ **საღვთო ლიტურგიას**, იმავე **ჟამისწირვას** ხელეწიფება ფიზიკური დროის განწმენდით, განწმინდოს მთელი სამყარო, „რადგანაც კოსმიური, ადამიანური და ნგელოზური გეგმები გაერთიანებულია ერთ საღვთო ლიტურგიაში“ (Евдокимов, 2007, стр. 132) და, როგორც ღვთისმეტყველება ამტკიცებს, საღვთო ლიტურგიის კოსმოგონიურობისა და ესქატოლოგიურობის წყალობით, მთელი სამყაროს ფერისცვალებას უნდა ველოდოთ. ამდენად, „ყოველი დროის მონაკვეთს და, საზოგადოდ, ისტორიასაც წმინდა შინაარსს ანიჭებს საეკლესიო კალენდარი და მსახურებათა ციკლი. ადამიანს კი ევალება მოიხელთოს მათი განზომილება და განავრცოს მათივე ტრანსცენდენტულობა პირად დროსა და სივრცეზე“ (Евдокимов).

საკითხში უკეთ გასარკვევად, მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგადი შეხედულებები ცალ-ცალკე დროისა და წირვის შინაარსობრივი მნიშვნელობის შესახებ: ცნობილია გამოთქმა: სამი რამ ეკუთვნის ადამიანს: სული, სხეული და დრო (... e se pure alcuna si pateva chiamare nostra queste erano le sole tre — ... anima, corpo e tempo). მატერიის არსებობის ერთ-ერთ ძირითად ფორმად მიიჩნევენ - დროს, რომელიც მოვლენების კანონზომიერი მონაცვლეობით გამოიხატება. სივრცე და დრო განუყოფლადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ყველაფერი სადღაც და ოდესღაც ხდება.

დროის აღრიცხვას საფუძვლად დაედო ციურ სხეულთა მოძრაობით განპირობებული ისეთი მოვლენები, რომლებიც მეტ-ნაკლებად თანაბარი პერიოდულობით მეორდება. თითქოს, შემოქმედს სამყაროს შექმნისთანავე, ადამიანისთვის დროის განსაკუთრებული მაღალდანიშნულების გამო საზომი ერთეულიც ბუნებრივად ჩაუდევს. თუმცა, მაგალითად, ნეტარი ავგუსტინე არ ეთანხმება დებულებას, რომ დროის მსვლელობა განპირობებულია ციური სხეულების მოძრაობით, რადგან მოძრაობა, მისი აზრით, აღიქმება დროში და არა პირიქით – დრო მოძრაობაში. დროის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ ციური სხეულების მოძრაობაც და არავითარ შემთხვევაში პირიქით. ავგუსტინეს მიხედვით, დროის გაზომვა შესაძლებელია ადამიანური ცნობიერებით, რომელსაც მომავლის მოლოდინი აქვს, წარსული ახსოვს და აწმყოს კი უშუალოდ აღიქვამს (11:26; 11:33) (ნეტარი ავგუსტინე, 1995).

ავგუსტინე ამბობს, რომ: „ეს რაღაც სამი დრო მხოლოდ ჩვენს სულში არსებობს და სხვაგან ვერსად ვერ ვხედავ მათ“ (11:26), რადგან რეალურად ისინი არ არსებობენ, წარსული უკვე აღარ არსებობს, მომავალი კი ჯერ არ დამდგარა. მაშ რაღაც ვზომავთ?- კითხულობს ის. კითხვები ბევრი აქვს: საიდან მოედინება, რა გზით მიდის და საით მიემართება დრო? საიდან, თუ არა მომავლიდან? რა გზით, თუ არა აწმყოს გავლით? საითკენ, თუ არა წარსულისკენ? მაშასადამე, იქიდან მოედინება, სადაც ჯერ კიდევ არ არის, იმ გზით მიედინება, რომელსაც გრძლივობა არ გააჩნია და იმისკენ მიემართება, რაც უკვე აღარ არის (11:27). ავგუსტინე ღმერთს სთხოვს ეს გონებაშიუწვდომელი ამოცანა ამოახსნევინოს, რაშიც მას რწმენის იმედი აქვს და აღნიშნავს: „მწამს და იმიტომ ვამბობ“, ესაა სასოება ჩემი, რისთვისაც ვცოცხლობ. „აჰა, რა ხანია მომიზომე დღენი“, ისინიც მიჰქრიან, მაგრამ არ ვიცი როგორ (11:28). საბოლოო პასუხად ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „ასე რომ, სულს ჩემო, შენში ვზომავ დროს“ (11:27) (ნეტარი ავგუსტინე, 1995).

ნეტარი ავგუსტინეს მისტაგოგიური ხედვა და დასკვნები დროსთან დაკავშირებით, თითქოს ერთგვარად ეხმიანება ქართულ აზროვნებას ტერმინ **ჟამისწირვის** გაშინაარსებისას. ეს იგრძნობა, როცა წმინდანი ამქვეყნიურ ყოფას აღიქვამს ისე, როგორც მოზომილი დღენი, ანუ ამ წუთისოფლისთვის განსაზღვრული რაღაც დრო, რომლის მდინარებაც შეუცნობელია, მაგრამ ამავდროულად სულში ზომავს მას, რადგან მეტად ეძვირფასება და იცის მისი მაღალდანიშნულებითი ღირებულება. **ჟამისწირვის** სახელმძღვანელო სწორედ ასევე იცოდა დროის ფასი და ღვთისუფლისად ცდილობდა ყველაზე ძვირფასი მიემღვნა ღვთისთვის, ანუ დრო, რომელიც ამ წუთისოფლისთვის ჰქონდა მოზომილი, შეეწირა უფლისთვის ლიტურგიკული ღვთისმსახურებისას მაღლობისა და ქების მსხვერპლთან ერთად. ყველაზე ძვირფასისა და საუკეთესოს შეწირვა ხომ თავიდანვე იყო დადგენილი ჯერ კიდევ ძველი აღთქმის დროს დაწესებული მსხვერპლშეწირვისას.

გარკვეული ყოფითი **დროის** ღვთისთვის შეწირვა უდავოდ ნიშნავს ამქვეყნიური ყოფითი რეალობის დათმობას და მთლიანად ღვთისათვის მიძღვნას. ავგუსტინესეული, სულში მოზომილი, დროის ყველაზე მისტიური გამოყენებაც ხომ მის ღმერთთან განდობილ ურთიერთობებში შეგვიძლია ვივარაუდოთ. მით უმეტეს, ავგუსტინე დროსთან დაკავშირებით ვარაუდობს, რომ დრო სულის განფენილობა შეიძლება იყოს (11:33) (ნეტარი ავგუსტინე, 1995). სწორედ სულის პეროგატივაა მისი (დროის) ღვთისადმი შეწირვაც.

ახლა განვიხილოთ ტერმინ **წირვის** შინაარსი. იგი, პირველ რიგში, მსხვერპლშეწირვის საკულტო მსახურებიდან მომდინარეობს. პირველი უსისხლო **მსხვერპლშეწირვის**, შემდეგში იგივე **ჟამისწირვის**, იგივე **ევქარისტიული ლიტურგიის** - ქრისტიანობის უდიდესი საიდუმლოს საფუძველი და დამაარსებელი გახდა თავად ქრისტე. იგი საკუთარი სისხლით ეწირება და ხდება მარადიული გამომსყიდველი კაცობრიობის ცოდვებისა. საიდუმლო სერობა - ეს იყო პირველი ევქარისტიული ლიტურგია იესო ქრისტესი. ცხადია, იგივე პირველი **ჟამისწირვა**. ეს იყო სერობა, რომელმაც ძველადღებულ მსხვერპლშეწირვა გააუქმა და დააწესა ახალადღებულ შესაწირი. ეს არის ქებისა და მაღლობის შეწირვა (პომაზანსკი). ჩვენი კვლევის მიხედვით, ტერმინ **ჟამისწირვიდან** გამომდინარე, უკვე ვაცნობიერებთ დროის შეწირვის შესახებაც.

სიტყვა - **წირვა**, ქართულ ენაში რამდენიმეგვარად გამოიყენება, მაგ.: შეწირვა, განწირვა, თავგანწირვა, მსხვერპლშეწირვა, შემოწირვა, შემოწირულობა, შესაწირი და ა.შ. ეს ტერმინი სინონიმია სიტყვა მიძღვნა, ძღვნა, ძღვენი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ტერმინი „წირვა“ განმარტებულია, როგორც „ღთის შეძღვნა, ღთის შეძღვნობა, უფლის ძღვნობა“ (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ა). აქ ცხადად იკითხება წირვის მნიშვნელობა, როგორც - **ღვთის მიძღვნა**, ძღვნა. ჩვენ ვიცით, რომ წირვის დედააზრი მომდინარეობს მისი უმთავრესი საიდუმლოების მნიშვნელობიდან - ქრისტეს შეწირვიდან ყოველი წირვის რიტუალის დროს, მისი სისხლისა და ხორცის მორწმუნეთათვის განმაცოცხლებლად მიღება-ზიარებით.

ე.ი. განმარტებაში მითითებული - „ღთის შეძღვნა“, პირდაპირი მნიშვნელობით იკითხება, როგორც **ღვთის შეწირვა** (ჩვენ შემთხვევაში ქრისტეს შეწირვა). ამ გრამატიკულ კონტექსტში თუ სიტყვა **ჟამისწირვის** მნიშვნელობას წავიკითხავთ, ცხადია, ეს ტერმინი მოიაზრება, როგორც **დროის შეწირვა**. მარადისობისკენ მსწრაფი ქართული თავისუფალი აზროვნება ფიზიკურ, საზღვრულ დროსთან მიჯაჭვულობას ვერასდროს ეგუებოდა. შესაბამისად, ყოველთვის ცდილობდა მარადიული ღირებულებების არსში წვდომას, და სწორედ ეს მომენტი ასახა ყველაზე სანუკვარი შემოქმედებითი აქტის - **ჟამისწირვის** - სახელდებისას, როცა გადაწყვიტა, ღვთიურ მარადისობაში შესაერთებლად ამქვეყნიური, მეტაფიზიკური დრო შეეწირა უფლისათვის...

აქამდე დამკვიდრებული აზრით, მიიჩნევენ, რომ ტერმინი **ჟამისწირვა** სავარაუდოდ, უნდა მოდიოდეს მსგავსი ორი სიტყვის შერწყმისაგან **“ჟამსა სწირონ”**, ანუ განსაზღვრულ დროს (როგორც წესი სამხრად) ეს ღვთისმსახურება ტარდება და სახელს ამის თქმა სურს. ამასთანავე, გამოითქვა აზრი, რომ თითქოს მას ვერ გავიაზრებთ იმ დროდ, რომელსაც ჩვენ ღმერთს ვწირავთ, რადგანაც ევქარისტია აღესრულება იმ დროის მიღმა, რომელსაც ჩვენ ფიზიკურად აღვიქვამთ და შესაძლებლობის ფარგლებში განვკარგავთ; თითქოსდა, არც თავად წირვის ტექსტები არ საუბრობენ რაიმე მსგავსზე, რომ ჩვენ დროს ვწირავდეთ შემოქმედს, რადგან ეს მეტაფიზიკური დრო ჩვენი საკუთრება არ არის, შესაბამისად, მას ჩვენ ვერ შევწირავთ, პირიქით უფალი გვიძღვნის ევქარისტიული ლიტურგიისას ამ დროს. ლიტურგიკული ტექსტები საუბრობენ ქების მსხვერპლზე და არა დროისა.

ამის პასუხად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, დიახ, ევქარისტია აღესრულება იმ დროის მიღმა, რომელსაც ჩვენ ფიზიკურად აღვიქვამთ. მატერიის არსებობის გამომხატველი ფუნქცია, ვეღარ ექნება ამ დროს, რადგან ის უკვე შეიწირა, მიემღვნა უფალს და, შესაბამისად, გაქრა ჩვენთვის. რადგან ჩვენი წირვისჟამიერი ქმედება მარადიულ უფალთან თანამყოფობის მცდელობას ეხება. ამდენად, აღნიშნული სტატუსის დრო, რომელიც უფალს ჩვენთვის ჰქონდა მოცემული, ჩვენ მიერვე იქნა მიძღვნილი,

შეწირული ღვთისადმი ისევე, როგორც მსხვერპლი ქებისა, სიყვარულისა თუ სინანულისა, რომელთა შეწირვასაც უფალი მიგვითითებს ჩვენ ბიბლიის მიხედვით... (ებრ. 13,15-16; ფს. 23; 26; 49; 50 და სხ.). ამგვარად, ფიზიკური დროის შეწირვით ხდება უფლის მიერ ჩვენი მეტაფიზიკურ დროსთან, ზემოაღნიშნულ **მერმისთან** დაკავშირება, ეს კავშირი, ცხადია, ხორციელდება გონების ჭკრეტამდე ზეაწეული მობილიზება-კონცენტრაციით, რაც აუცილებელი პირობაა მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული პროცესი ზუსტად პირდაპირპროპორციულია იმისა, თუ როგორ ვიყენებთ და რას ვუძღვნიტ ჩვენ ღვთივბოძებულ დროს... თუ ჩვენ ამ დროს განვლევთ ღვთისადმი იმ ტექსტებისმიერი ქმედებით, რაიც ჟამისწირვის მიმდინარეობისას წარმოითქმება, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს დრო ღმერთს მივუძღვნიტ, შევწირეთ, რათა დავუახლოვდეთ მას, რომ შევძლოთ ღვთაებრივ მარადისობასთან, **მერმისთან** შეხვედრა. წირვის პროცესში, როცა განილევა, თავდება დრო (ამქვეყნიური), გადავდივართ უდროობაში (უჟამობაში), სადაც უფალი მყოფობს. უფალი, რომლის წინაშე წარდგომაც აუცილებლად მოითხოვს ჩვენგან პასუხს იმის შესახებ, თუ რას მოვახმარეთ მის მიერ ჩვენთვის ბოძებული დრო. ამდენად, ყოველი წამი იმდენად ღირებულია, ძნელად თუ ვინმეს ძალუძს მისი ისე გონივრულად გამოყენება, როგორც ღვთისგან განსაზღვრულ სიკეთესთან შესაბამისობაა. იქნებ ამიტომაცაა, რომ ვნებებისაგან განწმენდის გზაზე დამდგარი, გონებაგანათლებული ქრისტიანი, უფრო და უფრო ცხადად ხედავს საკუთარ ცოდვილიანობას, რის შედეგადაც აცხადებს ცოდვილთა შორის პირველობას. ქრისტიანული ცხოვრების სწორად განკარგვა ყოველი ღვთივბოძებული წამის შესაბამისად გამოყენების განსაზღვრულობაშია.

რაც შეეხება ზემოხსენებულ აზრს, რომ ჟამისწირვის ტექსტებში დროის შეწირვაზე არაფერია ნახსენები, ამის პასუხად საკმარისია გავიხსენოთ, ლიტურგიიდან სიტყვები: „შენნი - შენთაგან, შენდა შემწირველნი ყოველთა და ყოველისათვის“, სადაც ფაქტობრივად ნათქვამია, რომ ადამიანი ყველაფერს უნდა სწირავდეს უფალს (მდრ. „შენდა შემწირველნი ყოველთა“), მათ შორის დროს, რომელიც თავისთავად არის ყოველივე ამქვეყნიურის მომცველი; ამიტომ მტკიცება იმისა, რომ დროის შეწირვის შესახებ ლიტურგიკულ ტექსტებში არაფერია თქმული, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული. ამასთანავე, ცნობილია, რომ ეს ტექსტები, დაარსებიდან დღემდე იცვლება და ვინაიდან, აქამდე ამ საკითხისადმი ყურადღება არავის გაუმახვილებია, წირვის ტექსტებშიც ვერანაირად ვერ აღინიშნებოდა ის. გარდა ამისა, არცაა აუცილებლობა დროის შეწირვის შესახებ ტექსტებში მოხსენიებისა, რადგან საქმე ეხება საღვთო ლიტურგიის თვით მთელი პროცესის დასახელებას. ამდენად, ის არ საჭიროებს შიგ ტექსტებში ახსნა-განმარტებას, რადგან ეს დასახელება თავად არის განმმარტებელი რასაც ვაკეთებთ, ანუ, თვით ამ მოვლენის „**ჟამისწირვად**“ დასახელებაშივე პირდაპირ ითქმება და შესაბამისად იგულისხმება, რომ დროს ვწირავთ.

ტერმინი **ჟამისწირვა**, სავარაუდოდ, ის შემთხვევაა, როცა ბრძენმა და ღვთისმჭვრეტელმა ადამიანებმა ცნობიერისა და ქვეცნობიერის ზღვარზე შენიშნეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციური დანიშნულება ღვთისმსახურებისა, დროის, როგორც უსისხლო მსხვერპლშეწირვის, აღსრულებისა. და ეს პროცესი შეაფასეს, როგორც **დროის შეწირვა**. სწორედაც დრო, როგორც ყველაზე ძვირფასი რამ, შეიწირება. ღმერთს ხომ ყველაზე ძვირფასი და საუკეთესო უნდა შევწიროთ! ქრისტიანისთვის სახელდების ასეთი მიგნება ჩვეულებრივი მოვლენაა. მით უმეტეს, ენათმეცნიერებაშიც ცნობილია, რომ ბრძენნი უსულო საგნებსაც ანიჭებენ „სულიერებას“, რამეთუ მათ სახელწოდებებში თვით წმიდა ენის ასოები ქმნიან გარკვეულ სულიერ სასიცოცხლო ძალებს.

თუ ჩვენ უარყოფთ ტერმინ **ჟამისწირვის**, როგორც დროის შეწირვის მნიშვნელობით შეგნებულ, ღვთისმჭვრეტელობით სახელდებას, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ, ეს მოხდა სახელმძღვანელოს ინტუიციური (სინამდვილეში რწმენიდან მომდინარე) ქმედებით. მსგავსი შემთხვევები გასაკვირი არ არის, ვინაიდან, კაცობრიობის ცხოვრებაში მოვლენებს ზოგჯერ მისი შინაარსის შემცველი სიტყვებით, სახელმძღვანელოსთვის გაუცნობიერებლად ერქმევა სახელები. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ **ჟამისწირვის** ეს გონივრული სიტყვათშეთანხმებაც ასეთ შემთხვევათა რიცხვს მიეკუთვნებოდეს. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ აღნიშნული ტერმინის შინაარსი ნამდვილად დროის შეწირვის მნიშვნელობის გამომხატველია.

აღსანიშნავია, რომ ჟამის სხვა სიტყვებთან მიმართებით ხმარებისას გრამატიკულად არც ერთხელ არ ჩანს სიტყვა - „**ჟამის**“ ბრუნვის ნიშნის შინაარსთან შეუთავსებელი ისეთი ცვლილება, როგორც **ჟამისწირვის** შემთხვევაში აღიქმება, თუკი მას ლოცვების წაკითხვის დროდ მივიჩნევთ. ვფიქრობ, უფლება გვაქვს წარმოვადგინოთ ამ ტერმინის განმარტების მცდელობა, ჰერმენევტიკის ანტიოქიური სკოლის მეთოდით, რომელიც ცნობილია ტექსტების ტიპოლოგიურ და ბუკვალურ მხარეზე ყურადღების გამახვილებით წაკითხვითა და კვლევებით. შესაბამისად, ტერმინი **ჟამისწირვა** შეგვიძლია წავიკითხოთ, როგორც **დროის შეწირვა**.

როგორც ჩანს, ქართველი განსაკუთრებულად ბრძნულ ეგზისტენციურ განსჯა-მსჯელობის უნარს ავლენს დროსთან მიმართებით. ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ, თუნდაც ამქვეყნიური ცხოვრების წუთისოფლად სახელდება და ხალხური სიმღერა მრავალჟამიერი. ორივე შემთხვევაში საოცარი ფილოსოფიური ხედვაა დროისა და მარადისობის აღქმასთან მიმართებით გამოხატული. დროსთან დაკავშირებით მსგავს ბრძნულ ტრადიციას აგრძელებს აგრეთვე მერაბ მამარდაშვილისეული განმარტება - „სიცოცხლე არის ძალისხმევა დროში“. სიცოცხლის დროსთან მიმართებით ასეთი განსაზღვრა დროის მნიშვნელობის ჟამისწირვისეულ გააზრებას ეხმიანება.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ქართული საღვთისმეტყველო ტერმინი ჟამისწირვა ნიშნავს ღვთისადმი დროის შეწირვას, რითაც დაკავშირებას ვახდენთ ღვთაებრივ მერმისთან, იმავე მერვე დღესთან. ამდენად, ეს ტერმინი, თავისი არსობრივი გაგებით არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შინაარსის შემცველი, ბრძნული, ორიგინალური მსოფლმხედველობრივი სიტყვა კაცობრიული აზროვნების საღვთო ისტორიაში, როგორც ქართული ღვთისმსახურების ისტორიული განვითარების მეტად გონივრული შედეგი.

ბიბლიოგრაფია:

- აგამბენი, ჯ. (2017). *ეკლესია და დრო*. (მ. მთაწმინდელი, მთარგმნ.) მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://sheimetsne.blogspot.com/2017/12/blog-post.html>
- ბიბლიოვიკი. (თ. გ.). *ესქატოლოგია*. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ესქატოლოგია?fbclid=IwAR2FAzy-CvVCHGtwlxoiaPFFO-viqJxNec1JrhdkvXCVvja3C_Zy4ulrUIY
- თინიკაშვილი, დ. (2004). *შესაქმის განმარტება* (ნაწ. I). თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა.
- მერჩულე, გ. (1986). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. *ქართული პროზა* (ტ. I). თბილისი.
- ნეტარი ავგუსტინე. (1995). *აღსარებანი*. თბილისი: ნეკერი.
- პომაზანსკი, მ. (თ. გ.). *დოგმატური ღვთისმეტყველება*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <https://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/pomazanski/18.htm>
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (თ. გ.)ა. *ლექსიკონი ქართული*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=8&t=dict&w1=წ&w2=ი&w3=რ>
- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (თ. გ.)ბ. *სასკოლო ლექსიკონები*. მოძიებულია ვებგვერდიდან: <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=list&d=21&t=dict&w1=%E1%83%9F&w2=%E1%83%90&w3=%E1%83%9B>
- ფლოროვსკი, გ. (2011). *ეკლესიათა საზღვრების შესახებ*. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=440%3A2011-10-05-08-13-57&catid
- ჩიქობავა, ა. (რედ.). (1986). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული)*. თბილისი: ქსე.
- ჯორბენაძე, ბ. (1997). *ენა და კულტურა*. თბილისი.
- Евдокимов, П. Н. (2007). *Искусство иконы: Богословие красоты*. Клин: Христианская жизнь.
- Евдокимов, П. Н. (б.д.). *Православие*. Получено из https://azbyka.ru/otechnik/Pavel_Evdokimov/pravoslavie-evdokimov/5_3_6

Nari Chkhaberidze
Georgian Technical University
**FOR THE DEFINITION OF THE TERM “ZHAMISTSIRVA” AND FOR THE CONNECTION TO
“MERMIS” (NEXT YEAR)**
RESUME

The study expresses an opinion on the main Georgian theological term – “Time Sacrifice Service” (Eucharist) that it, in addition to the definition considered so far, has another particularly important content of understanding. In particular, if earlier this precious term was considered in aspect connected to time, as a composite term associated with the specific time of prayer – „time“ – „liturgy“ now an additional view was expressed that this term must be created to directly indicate the sacrifice of time to God. For using the time, which is an invaluable God-given gift.

When the content of the “time sacrifice” is understood from the point of view of the study, as a sacrifice of worldly, physical time to God, it turns out that with sacrifice we will approach the eighth day, same - equal to eternity that we call „Mermisi” in Georgian. At the same time, it means the fulfillment of the ultimate symbol of the faith - the final part of the faith, according to which the believer expects for the life in the imperishable eternity. The eschatology of the Eucharist was accurately and easily expressed in the corresponding Georgian theological terms.

Keywords: “Zhamistsirva”, Sacrifice, Time, “Mermis” (Next year), Liturgy.

მარინე ცერცვაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**იმპრესიონიზმის „აშკარა გამონათებები“ ნიკოლოზ ინასარიძის (ინდო ინასარის)
პროზაულ მინიატურებში**

საკვანძო სიტყვები: იმპრესიონიზმი, პროზა, მოდერნიზმი, ემიგრაცია, მინიატურა.

იმპრესიონიზმი, რომელიც ევროპაში 1867 წელს კლოდ მონეს ნახატის „შთაბეჭდილება: მზის ჩასვლა“ (“Impression: soleil levant”) მიხედვით არის დასათაურებული, მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშნებით ყველაზე სრულად მხატვრობაში გამოვლინდა, იშვიათად საფრანგეთში შემდეგ კი გავრცელდა ამერიკასა და ევროპაში. ეს მიმდინარეობა ყურადღებას ამახვილებს მოვლენებზე, რომლებიც არსებობენ ცხოვრებაში და როგორ არიან აღქმულნი სუბიექტურად მხატვრის მიერ.

აღსანიშნავია, რომ იმ შთაბეჭდაობით და მრავალფეროვნებით, როგორც მხატვრობაში, მხატვრულ ლიტერატურაში იმპრესიონიზმი ვერ გამოვლინდა, თუმცა ასახვა პოვა ისეთ ცნობილ მწერალთა შემოქმედებაში, როგორებიც იყვნენ: გი დე მოპასანი, კნუტ ჰამსუნი, ოსკარ უაილდი.... მთელი შესაძლებელი სისრულით კი პეტერ ალტენბერგის „როგორ ვხედავ მე ამას“ - წუთიერ შთაბეჭდილებათა ჩანაწერებშია მოცემული.

ნაშრომში საუბარი იქნება იმპრესიონიზმზე - იმ ხაზით, როგორ აღიქმება ეს მიმდინარეობა ქართულ მხატვრულ მწერლობაში. ყურადღებას გავამახვილებთ ერთ ქართველ ემიგრანტ მოღვაწეზე, რომლის შემოქმედებაში, კრიტიკოსთა აზრით, შეინიშნება იმპრესიონიზმის „აშკარა გამონათებები“ და, რომელიც სრულიად უცნობი აღმოჩნდა ქართული განათლებული საზოგადოებისთვის, მისი ნაწერები კი მიუღებელი 20-იანი წლების ქართული ემიგრანტი მოღვაწეებისთვის, რომლებსაც რუსუდან ნიშნინიძე ტექსტის ავტორებს უწოდებს და არა მწერლებს, ამ ტერმინის პირდაპირი გაგებით.

ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოში, სადაც ქართული იმპრესიონიზმის შესახებ არის საუბარი, მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედება ნახსენები, ამავე დროს, აღნიშნულია ის შერწყმა იმპრესიონიზმისა და რეალიზმისა, რომელსაც ადგილი აქვს მწერლის შემოქმედებაში.

იმის დასადასტურებლად, რომ იმპრესიონიზმის გამოჩენას ევროპასა და ამერიკაში ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საქართველოში, კრიტიკოსი ნ. მესხრიკაძე, მსჯელობს რა იმპრესიონიზმზე ქართულ ლიტერატურაში, მიიჩნევს, რომ საქართველოში იმპრესიონისტულმა და ნეორომანტიკულმა მიმდინარეობებმა მაშინ იჩინა თავი, როცა მეოცე საუკუნის დასაწყისში, ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში გაჩნდა მისწრაფება სინამდვილისგან განდგომისაკენ. ცდებმა, ამ კუთხით, „მრავალფეროვანი და მრავალმხრივი კვალი დააჩნია ქართული მწერლობის ახალი თაობის შემოქმედებასაც“ (მესხრიკაძე, 2011, გვ. 54).

კრიტიკოსი, იმის დასტურად, რომ ქართველი მოღვაწეები განიხილავდნენ ამ საკითხს, დაიმოწმებს ჟურნალ „ლომისის“ პირველ ნომერში დაბეჭდილ სტატიას - „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი“, სტატია ეკუთვნის კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც ამ დროს განიცდის რა ექსპრესიონიზმის გავლენას, უპირისპირდება იმპრესიონიზმს, გამიჯნავს მას ექსპრესიონიზმისაგან, რადგან გავრცელებული იყო აზრი, რომ ექსპრესიონიზმი იყო იმპრესიონიზმის გაგრძელება.

ნ. მესხრიკაძე ასევე მოიყვანს ერეკლე ტატიშვილის აზრს, გამოთქმულს წერილში „Perastera ad astva“ (ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ) - „იმპრესიონისტი უსმენდა და უტყვი იყო,ექსპრესიონისტს აღარაფერი ესმის, მხოლოდ მეტყველებს“ (მესხრიკაძე, 2011, გვ. 55), რითაც ასევე ყოფს ამ ორ მიმართულებას ერთმანეთისგან.

შეიძლება ვთქვათ, რომ იმპრესიონიზმმა თავისი წარუშლელი კვალი დაამჩნია არა მარტო 20-30-იანი წლების ქართული მოდერნიზმის პერიოდს, არამედ თანამედროვე ქართულ ლიტერატურასაც.

თუმცა ჩვენში იმპრესიონიზმს არ მიუღია ლიტერატურულ-ესთეტიკური ნორმების ხასიათი, მიიჩნევა, რომ მან ასახვა და გარკვეული წილი პოვა არა მარტო ნიკო ლორთქიფანიძის, არამედ ლეო ქიაჩელის, გალაკტიონის, სერგო კლდიაშვილის, სანდრო ცირეკიძის და სხვა მწერალთა შემოქმედებაში - საერთო აქვთ ის, რომ ერთიან მხატვრულ სტილს (იმპრესიონისტულს) ემორჩილებოდნენ და ჰქონდათ სამყაროსადმი დამოკიდებულების ბუნებრივი და უშუალო ხედვა.

ამ კუთხით საინტერესოა „ტრაგიკული ბედის მქონე ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე“ ნიკოლოზ ინასარიძე (როგორც მას გურამ შარაძე მოიხსენიებს), რომელსაც უფრო ლიტერატურული ფსევდონიმით - ინდო ინასარი - იცნობდნენ.

რა შეიძლება ითქვას ინდო ინასარის მოღვაწეობის დასაწყისზე - დაამთავრა რა თბილისის ახლად დაარსებული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, თანაკურსელებისგან და თანამოაზრეებისგან ჩამოაყალიბა ჯგუფი (ნ. ინასარიძე, შ. ჩხაიძე, ვ. ჩოგოვაძე, ა. გვენცაძე და სხვ.), რომელთაც ბევრი ჰქონდათ საერთო „ცხოვრებისეულ მოვლენებზე საზოგადოებრივი სინამდვილის შესახებ“ (შარაძე, 2001, გვ. 369). ამ ჯგუფს ეწოდებოდა „ადამიანოსანი“ - ამავე სახელწოდებით ინდო ინასარი, შემდგომში, ემიგრაციაში, გამოსცემს ჟურნალს, ეგიდით - „კავკასიელი „ადამიანოსნების“ კულტურული ორგანო“. ჟურნალი გამოდიოდა პარიზში 1930 წ. #1 შემოდგომა, 1932 წ. #2 - ზაფხული. ტირაჟი არ არის მითითებული. ჟურნალის ავტორ-გამომცემელი, რედაქტორი, სტატიების ავტორი, თვით ინდო ინასარია და არავინ სხვა. ორი ნომერი დაცულია გურამ შარაძის კერძო კოლექციაში და მის მიერ დაარსებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

ინდო ინასარმა პარიზში გაზეთი „მუხარადის“ რამდენიმე ნომერიც გამოსცა, მაგრამ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ „ადამიანოსანის“ ორ ნომერს, სადაც, წარმოდგენილია მისი ლირიკული პროზის ფრაგმენტები. აქ ნიკოლოზ ინასარიძე აღიქმება, როგორც „ერთი ჟურნალ-გაზეთის ერთი თანამშრომელი“ (შარაძე, 2001, გვ. 375).

გურამ შარაძე, რომელმაც ჩამოიტანა 20-იანი წლების ქართული ემიგრაციის არქივი და პირველად გააცნო ეს ავტორ-გამომცემლები ქართულ საზოგადოებას, მიიჩნევს, რომ ნიკოლოზ ინასარიძე არის „XX საუკუნის 20-იანი წლების ქართულ მწერლობაში მომძლავრებული დეკადენტური (უფრო იმპრესიონისტული) მიმდინარეობის წარმომადგენელი“. განვიხილავთ ამ ავტორ-გამომცემელს იმ ნიშნით, რომ „იგი ცდილობს ჩაწვდეს ქართული სიტყვის იდუმალებას, მის შინაგან მიმოხვრას... მისთვის სიტყვაა ხელოვნების მთავარი ძარღვი და არა სიუჟეტის ბანალობა, თუნდაც საინტერესო და წარმტაცი“ (შარაძე, 2001, გვ. 375).

ინდო ინასარის „ადამიანოსანი“ არ განიხილება არა მარტო ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ, მის პუბლიკაციას ვერ შეხვდებით იმ მრავალფეროვან ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც მისი ემიგრაციაში ყოფნის დროს (და შემდეგაც) გამოდიოდა. ამის მიზეზი ორმხრივი მიუღებლობაა ავტორისა და გამომცემლების მხრიდან.

სწორედ ეს იქნებოდა მიზეზი, რომ ნ. ინასარიძემ შექმნა ჟურნალი, სადაც წარმოგვიდგინა თავისი „ეგოცენტრული ესთეტიკა და პოლიტიკა“ (შარაძე, 2001, გვ. 376). ჟურნალის პირველი ნომრის წინასიტყვაობაში - „თავი ქმნა“, წარმოდგენილია ავტორის პიროვნული ფილოსოფია:

„ადამიანოსნობა - განგაშია თითუელ კაციდან ადამიანურ გრძნობების გამოსამახებლად!

ადამიანოსნობა - კიაფია კატასტროფის - კომუნიზმის ასაცილებლად!

ადამიანოსნობა - სინათლეა კაცობრიობის სიცოცხლის ცაზე!“ (შარაძე, 2001, გვ. 378).

რუსუდან ნიშნიანიძე წიგნში - „საქართველო სამანს აქეთ....სამანს იქით“ აღნიშნავს, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველები წერდნენ მხოლოდ ქართულად და საქართველოზე. მათთვის ყველაზე დიდი ტრაგედია სამშობლოს მიტოვება და ემიგრაციაში ხანგრძლივი ყოფნა წარმოადგენს. გამონაკლისი არც ნ. ინასარიძეა. მისი ლექსი - „გულო დაფიქრდი“ კარგად გადმოსცემს ამ განწყობას:

„მივდივარ, მიმაქვს ტრფობა და ფიქრი....

მიხმე, მითხარი გულო, სად მიჰქერი?

მამულში მოდის თოვლი და ფიფქი,

გულო დაფიქრდი, გულო დაფიქრდი....

მოვწყდი მამულსა და დამენანა

ურმული ტკბილი და ნანინანა.....

თოვლმა და ფიფქმა თუკი გასტანა

გაუძნელდება ქვასაც ატანა....“ (შარაძე, 2001, გვ. 384).

ნაწარმოები, რომელიც წარმოდგენილია ჟურნალში „ადამიანოსანი“, მიეკუთვნება პოეტურ პროზას. მისი ძირითადი არსი კარგად ჩანს ავტორის სიტყვებში, რომლითაც მიმართავს ემიგრაციაში მყოფ ყველა ქართველს:

„თანამედროვე ეპოქის ქართველმაც უნდა გამოიტანოს ტკივილებით დაკოდილი და მუნვით დასერილი გამოხედვა საკაცობრიო გამზირზე.

დე, მომავალმა თაობებმა თქვან - იყვნენ ქართველები, ტკივილებს ამღერებდნენ და ქვეყანას ამხნეებდნენო!“

ადამიანის, ერის სქესის, პიროვნებისა და თანამედროვე თაობის ტკივილების სამღერებლად გამოდის ადამიანოსანი“ (შარაძე, 2001, გვ. 388).

იმპრესიონიზმის მკვლევარი, რიჰარდ გამანი: „ჩვენ ყოველთვის ვიყავით ნერვის, გრძნობის, და აღქმის შემოქმედნო, ჩვენი რეაქცია იყო მყისიერი, ემოციური, ყურადსაღები. ჩვენ ვიყავით ასევე საუკეთესო დამფასებლები შეუმჩნეველი შეგრძნებებისა, ყოველთვის შეგველო აღმოგვეჩინა უფაქიზესი და უღრმესი სული საგნებისა, მათგან გამომდინარე მსუბუქი სურნელი“ (პაიჭაძე, 2018, გვ. 260). სიტყვები მიმართულია საზოგადოების ნაწილისკენ, რომელიც ცდილობს არ შეაჩნიოს ის ძალისხმევანი, რომლებსაც იმპრესიონისტები დებდნენ თავიანთ ნაწერებში. რა შეიძლება ითქვას ამ კუთხით ნ. ინასარიძეზე - ის ცდილობს აღმოაჩინოს ეს უფაქიზესი და უღრმესი სული საგნებისა თავის ნაწერებში და, თუმცა გალაკტიონის ძლიერ გავლენას განიცდის, მაინც ცდილობს განცალკევებულად იდგეს ქართველ ემიგრანტ-მოდვაწეთა შორის და, რომელიც დღესაც სრულიად უცნობია ქართული ლიტერატურისთვის.

ნიკოლოზ ინასარიძის მინიატურებს განიხილავს კრიტიკოსი ავთ. ნიკოლეიშვილი, რომელიც გურამ შარაძის პუბლიკაციის შემდეგ დაინტერესდება ამ პიროვნებით და თავის წიგნში „ქართული ემიგრანტული მწერლობა“ საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს მის მხატვრულ შემოქმედებას. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ინდო ინასარის 20-30-იან წლებში დაწერილი პროზაული მინიატურები, რომლებიც გამოქვეყნებულია მის ჟურნალში „ადამიანოსანი“, მიუხედავად იმისა, რომ „მათში ფილოსოფიური თვალთახედვითაა განსჯილ-გააზრებული ამქვეყნიური ყოფის იდუმალი არსი“ (ნიკოლეიშვილი, 2006, გვ. 421), ისინი მაინც განიცდიან „მოდერნისტულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა მძლავრ ზეგავლენას და თუმცა ისინი პროზად დაწერილი ლექსებია, პოეტური ნაწარმოებისათვის დაწერილი რიტმული მოწესრიგებულებით სწორედ ასეთი შეფასების საფუძველს იძლევა“... (ნიკოლეიშვილი, 2006, გვ. 421).

თუ თამარ პაიჭაძეს ვერწმუნებით, მას მიაჩნია, რომ საქართველოში იმპრესიონიზმისათვის არც მეთოდოლოგიური სკოლის, არც ორგანიზაციული ფორმის მიცემა არავის უფიქრია: „ის ქართულ მწერლობაში, სავსებით ბუნებრივად, ამბიციების განცხადებების გარეშე გამოჩნდა“ (პაიჭაძე, 2018, გვ. 76) და „ქართველ ლიტერატორის შემოქმედებით სამყაროში ევროპულ ანალოგიებთან ზიარებამ და ინტერპრეტაციამ განაპირობა“ (პაიჭაძე, 2018, გვ. 276). რა თქმა უნდა, ამ სიტყვებში ნაგულისხმებ ქართველ მწერლებში არც მოიხსენიება და არც მოიაზრება ინდო ინასარი, მაგრამ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ემიგრანტი მწერალი მათ გავლენას განიცდის და თუ ქართველი იმპრესიონისტი მთავარ თეზად „მე გგრძნობ, მე მესმის“ ამ დებულებას მიიჩნევს, ინდო ინასარიც წერს ამ გავლენით მთავონებული, მაგრამ არ ავიწყდება საქართველო, მისი აწმყო და მომავალი.

ბიბლიოგრაფია:

- მესხრიკაძე, ნ. (2011). *ღვაწლი ივანე მაჩაბლისა*. თბილისი: უნივერსალი.
ნიკოლეიშვილი, ა. (2006). *ქართული ემიგრანტული მწერლობა*. ქუთაისი.
ნიშნაიანიძე, რ. (2005). *საქართველო - სამანს აქეთ... და სამანს იქით* (წ. I). თბილისი: მერანი.
პაიჭაძე, თ. (2018). *მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
შარაძე, გ. (2001). *ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია* (ტ. 2). თბილისი.

Marine Tsertsvadze

Gori State University

"CLEAR FLASHES" OF IMPRESSIONISM IN THE PROSE MINIATURES OF NIKOLOZ INASARIDZE (INDO INASARI) RESUME

The paper discusses the "Georgian writer and public figure with a tragic fate" (as Guram Sharadze refers to him), Nikoloz Inasaridze, who was known by a more literary pseudonym - Indo Inasari. The emigrant writer is influenced by Georgian writers following impressionism, and if the Georgian impressionist considers this statement "I feel, I understand" to be the main thesis, Indo Inasari also writes inspired by this influence, but he does not forget Georgia, its present and future, and as Sergi Chilaya writes about symbolists, he also Impressionism leaves many flaws, the author's work also talks about these "lights of impressionism", which are noteworthy.

Keywords: Impressionism, Prose, Modernism, Emigration, Miniature.

გიორგი ხორბალაძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაკობ გოგებაშვილი - პერსონაჟი, მხატვრულ ლიტერატურასა და სცენაზე
(ერთი პიესის მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: იაკობ გოგებაშვილი, პერსონაჟი, პიესა, როსტომ ჩხეიძე.

შესავალი

ხშირად, ლიტერატურა თუ ზოგადად ხელოვნება, მოტივირებულია მოღვაწეთა ბიოგრაფია დიდი რუდუნებით, დემონსტრირებადად ასახოს და შეუნივთოს მხატვრულ შემოქმედებას, რამდენადაც, მოღვაწეთა ცხოვრება, მეტწილად, სწორედ შემოქმედებით ცხოვრებას გულისხმობს, ხოლო ცხოვრებისა და შემოქმედების პარალელური აღქმა ყოველთვის უფრო საინტერესოა და ფასეული ხელოვნების ისტორიის კონტექსტში. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულად ღვაწლმოსილი ავტორების არა მხოლოდ ცხოვრება და შემოქმედებაა ღრმად შესწავლილი, უფრო მეტიც, იქმნება და იწერება მათი ცხოვრების ამსახველი ბიოგრაფიული რომანები, ზოგ შემთხვევაში, ავტობიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურაც კი მოგვეპოვება, რაც, უთუოდ, განსაკუთრებული ინტერესის საგანია. წინამდებარე კვლევაში კი, ჩვენ შევისწავლით იაკობ გოგებაშვილს, როგორც პერსონაჟს, მხატვრულ ლიტერატურასა და სცენაზე, როსტომ ჩხეიძის ორმოქმედებიანი მონტაჟის (როგორც ავტორი უწოდებს) „ის სურნელი თოვლში“ მიხედვით.

მსჯელობა

ჩვენი პატარა ქვეყნის ისტორია, მით უფრო კულტურული ცხოვრების განვითარების ისტორია, არაერთ ღირსეული და რჩეული მოღვაწის მხრებზე დგას, პირდაპირი გაგებით; აღნიშნულის გათვალისწინებით, ისტორიულ კანონზომიერებადაა ქცეული, რომ ხშირად, ლიტერატურა თუ ზოგადად ხელოვნება, მოტივირებულია მოღვაწეთა ბიოგრაფია დიდი რუდუნებით, დემონსტრირებადად ასახოს და შეუნივთოს მხატვრულ შემოქმედებას, რამდენადაც, მოღვაწეთა ცხოვრება, მეტწილად, სწორედ შემოქმედებით ცხოვრებას გულისხმობს, ხოლო, ცხოვრებისა და შემოქმედების პარალელური აღქმა ყოველთვის უფრო საინტერესოა და ფასეული ხელოვნების ისტორიის კონტექსტში. ამიტომაც, რომ ძალიან მტკივნეულად აღიქმება ბიოგრაფიებისა თუ ბიოგრაფიული შტრიხების დაკარგვის არცთუ იშვიათი ფაქტები; მართო ის რად ღირს, ამ ტკივილის სიმძაფრის გასაცნობიერებლად, რომ ქართული ლიტერატურის სიამაყის, მსოფლიო ლიტერატურული მოვლენის, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ, პრაქტიკულად, ცნობები არ გაგვაჩნია; რაც გვაქვს ისიც იმდენად მწირია, რომ ამ გენიალური ავტორის ბიოგრაფიის აღდგენის საშუალებას ნაწილობრივაც ვერ ხდის შესაძლებელს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ შოთა რუსთაველის ცხოვრებისეული პერიპეტეხები, მისი ოჯახური გარემო ან რიგი ბიოგრაფიული ნიუანსები ცნობილი გახლდეთ, ხომ უდავოა, რომ მის გენიალურ ქმნილებაში კიდევ მოვძებნიდით არაერთ მნიშვნელოვან კონტექსტს და მთელ რიგ საკამათო საკითხებსაც ლოგიკურ დასკვნებთან მივიყვანდით?! რა თქმა უნდა, ეს პოემის წასაკითხადაც მნიშვნელოვანი იქნებოდა და, ამავდროულად, მეტად საინტერესოც, თავისთავად. საბედნიეროდ, ახალი და უახლესი პერიოდის ქართული მწერლობა, ამ მხრივ, გაცილებით ღირსეულად გამოიყურება. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულად ღვაწლმოსილი ავტორების არა მხოლოდ ცხოვრება და შემოქმედებაა ღრმად შესწავლილი, უფრო მეტიც, იქმნება და იწერება მათი ცხოვრების ამსახველი ბიოგრაფიული რომანები, ზოგ შემთხვევაში, ავტობიოგრაფიული ხასიათის ლიტერატურაც კი მოგვეპოვება, რაც, უთუოდ, განსაკუთრებული ინტერესის საგანია.

წინამდებარე კვლევაში ჩვენ შევისწავლით იაკობ გოგებაშვილს, როგორც პერსონაჟს, მხატვრულ ლიტერატურასა და სცენაზე, როსტომ ჩხეიძის ორმოქმედებიანი მონტაჟის (როგორც ავტორი უწოდებს) „ის სურნელი თოვლში“ მიხედვით. რამ განაპირობა სწორედ ამ ნაწარმოების სივრცეში განგვეხორციელებინა ჩვენი კვლევა და რატომ ჩავთვალეთ რომ ეს მომცრო აგებულების წიგნი თვითკმარი იქნებოდა ასეთ მასშტაბურ მოღვაწესთან მიმართებით? პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ავტორის უდიდესი დამსახურება ბიოგრაფიული რომანის, როგორც ჟანრის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილის მიმართულებით, მას 28 (ამ ეტაპზე) ბიოგრაფიული რომანი აქვს შექმნილი სხვადასხვა დროისა და ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეთა შესახებ, სადაც როსტომ ჩხეიძე აღადგენს ნიუანსობრივ დეტალებს და მხატვრული ქარგის მოშველიებით, საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოაქვს მოღვაწეთა ცხოვრების ის ფაქტობრივი და მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც ბიოგრაფიული რომანის პრიზმაში კიდევ უფრო ტევადია შინაარსობრივი თვალსაზრისით; ამასთან, საინტერესოა ავტორის განსაკუთრებული დამოკიდებულება კონკრეტულად იაკობ გოგებაშვილის მიმართ, ეს მომცრო წიგნი დადასტურებაა დიდი, უფრო მეტიც - ამოუწურავი ინტერესისა და, ამავდროულად, გამოხატავს განსაკუთრებულ მოკრძალებულებას, წიგნის ავტორის მხრიდან გამოხატულს, რაზეც ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს არა მხოლოდ თავად მწერლის შემოქმედება, არამედ ის ფაქტიც, რომ იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანის - „ბურჯი ეროვნებისა“ კვალდაკვალ, რომანის ავტორი დამატებით ქმნის კიდევ ერთ ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებს და ამ რომანის ერთგვარ გამომახილს - პიესას - „ის სურნელი თოვლში“. იმდენად დიდია მწერლისა და ლიტერატურათმცოდნე როსტომ ჩხეიძისათვის იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი, რომ ვრცელი ბიოგრაფიული რომანის შექმნიდან მალევე იგი კვლავ უბრუნდება პერსონაჟ იაკობ გოგებაშვილს და თითქოს ცდილობს სხვა კომპონენტი და რაკურსი შესძინოს „დედა ენის“ შემოქმედის ბიოგრაფიული პორტრეტის სრულყოფის საკითხს. პიესის, ისევე, როგორც ბიოგრაფიული რომანის კითხვისას, რჩება შთაბეჭდილება, რომ იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიის პარალელურად, თანდათანობით ვითარდება და საგანგებოდ, სახიერად შემოდის არაერთი მოღვაწის (ილია ჭავჭავაძე, ვასილ ბარნოვი, ნიკო ხიზანიშვილი, ნიკო ცხვედაძე, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური და ა. შ.), ბიოგრაფიული შტრიხები.

საინტერესოა, რითია უპირატესად საინტერესო ეს ნაწარმოები და, ზოგადად, რა ძირითად განსხვავებას პოვებს მკითხველი ბიოგრაფიული პრონიკებისგან განსხვავებულს? ამ საკითხის სრული სისავსით აღსაქმელად აუცილებლად მიგვაჩნია გავიზროთ, რომ როსტომ ჩხეიძე პასუხისმგებლობით უდგება ფაქტობრივი გარემოების, ისტორიული სიმართლის ურღვევობის საკითხს და მისი დამოკიდებულება სრულიად გამორიცხავს ზედმეტ და ხელოვნურ ჩარევას მოღვაწეთა ბიოგრაფიულ პრონიკებში. ავტორის მრწამსი მომართულია და მოტივირებული, რომ არავითარ შემთხვევაში არ

გავიდეს რეალური პორტრეტის საზღვრებიდან, თუნდაც კეთილშობილური მიზნით და პირად სიმპათიას არ მისცეს გასაქანი შეასრულოს „ფოტოშოპის“ ფუნქცია მოღვაწის პორტრეტის ხატვისას. ნათლად იკვეთება მწერლის განწყობა - ზოგადი სურათი უნდა დარჩეს ზუსტი და არა ხელოვნურად გალამაზებულ-გაფერადებულ. ერთი კია, იგი ცდილობს მკითხველისთვის თვალსაჩინოდ აქციოს სურათის ის ფონური გარემო, რომელიც, ერთი შეხედვით, ყურადღების მიღმა ხოლმე დარჩენილი.

აქ კვლავ უნდა დავსვათ კითხვა - რატომ უნდა მოინდომოს მწერალმა, სქელტანიანი, ფართო მოცულობის ბიოგრაფიული რომანის შემდეგ, შექმნას, დამატებით, მცირე ფორმატის პიესა იმავე მოღვაწის შესახებ? ბუნებრივია, არ ვივარაუდებთ, რომ ბიოგრაფიული რომანი ვერ დაიტევდა რაიმე სახის ინფორმაციას, ამიტომ პასუხი ერთმნიშვნელოვანია - ავტორი გრძნობს მისი ლიტერატურული გმირის (ამ შემთხვევაში იაკობ გოგებაშვილის) შინაგანი სამყაროს მაღალბუნებოვანებას და ცდილობს მისი არა მხოლოდ გარეგანი, არამედ შინაგანი პორტრეტის გახსნას, რისთვისაც პიესა დამატებით ასპარეზს უხსნის მას, მით უფრო, რომ ნებისმიერი პიესა მეტი წარმოსახვის უნარს გულისხმობს, როგორც კითხვის, ისე წერის პროცესში და, საბოლოოდ, იდეაშივე, გამიზნულია სცენაზე პერსონაჟის გასაცოცხლებლად.

ამდენად, ამ არცთუ დიდი მოცულობის პიესას ძალიან საინტერესო იდეა და შინაარსი გააჩნია, იგი წარმოგვიდგენს იაკობ გოგებაშვილს, როგორც მოღვაწეს, როგორც ლიტერატურულ პერსონაჟს და როგორც სცენიურ გმირს, რომლის წიაღშიც უნდა გაცოცხლდეს პერსონაჟი და ხილულად და შთამბეჭდავად გადმოსცეს ის ნიუანსები, რომლის სრულად დასანახავად ტექსტს მინიმუმ ერთი დეტალი (დანახვადობა) აკლია.

როსტომ ჩხეიძე პიესას ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ხიზანიშვილის დიალოგით იწყებს, რომელიც ხმაურიანი, გნიასიანი თბილისის ქუჩაში მიმდინარეობს, და პერსონაჟებიც, სწორედ, თბილისისა და თბილისური სიტუაციის წახდენაზე დარდით სავსე დიალოგით მიუყვებიან გზას, ალექსანდრე ორბელიანის გარდაცვალებას განიცდიან და ვიღაც ახალს ნატრობენ, მის მისიას რომ აიღებს საკუთარ თავზე; ეს „საკუთარ თავზე აღება“ კი, პირველ ყოვლისა, საგანმანათლებლო მისიად წარმოუდგება ილია ჭავჭავაძეს: „ალექსანდრეს გარეშე სიმართლე არ გვეცოდინებოდა და ცრუ წარსული კი რაღა წარსულია, უფრო საშინელიც კი არის, ვიდრე სრული არცოდნა“. ამ ნატვრასთან შეუძლებელია ილიასეული ბაზალეთის ყრმის მონატრება არ გაგახსენდეს და ინტერესიც ამაშია; უეცრად, უზომოდ გახარებული სემინარიელები შემოდიან ასპარეზზე, რომლებიც ჩანთებს ჰაერში სტყორცნიან, ნიშნად ბედნიერებისა, რადგან გოგებაშვილი ჩამოვიდა! ილია კი, ნიკო ხიზანიშვილის კითხვას ასე პასუხობს: „მოუთმენლად მოველოდი მის დაბრუნებას კიევიდან, თან გულიც მიგრძნობდა, აქ რაღაც ამბებს დაატრიალებს მეთქი... და აჰა, ეს ესაა გამოჩნდა და კიდევ გადაურევია სემინარიელები... აბა, კიდევ მეტს უნდა ველოდეთ“. ამგვარად, პირველ სურათში, იაკობ გოგებაშვილის გარეშე იქმნება იაკობის სახე და თან როგორი სახე, დისტანციიდან დანახულიც და, ამავდროულად, დეტალიზებული, ამასთან, ვარიანიდან კი არა, თითქოს ბაზალეთის აკვნიდან მოვლენილი, რომლის მოლოდინიც რწმენითა და იმედით აღავსებს ილია ჭავჭავაძეს. სიუჟეტის მთლიანი კონტექსტის მიხედვით, თითქოს გათვლა იმაზეა, რომ ილიაც იზიარებს აკაკის ცნობილ სიტყვებს - „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იაკობის ღვაწლთან-ო“. რა თქმა უნდა, მთავარი ის არ არის - ვისი ღვაწლი ვისას რა მხრივ აღემატება, მთავარია, რომ ამდაგვარი ურთიერთგანწყობა არსებობდა ამ სამ ბუმბერაზს შორის და იმ ურთულეს ეპოქაში, ეს განცდა თითოეულ მათგანს მხოლოდ ბურჯად და საყრდენად წაადგებოდა, უთუოდ; ერთმანეთის ფასის ცოდნა, ერთგვარი „ზურგის ქარი“ უნდა ყოფილიყო ერთ ეპოქაში მოღვაწეთათვის, რასაც, შესანიშნავად იაზრებს როსტომ ჩხეიძე, ამიტომ არის, რომ ამ ყველაფერს უბრალოდ კი არ მოგვითხრობს, არამედ საოცრად ოსტატური ნიუანსებით, თითქოს რამდენიმე განზომილებაში გადმოსცემს. თუ შეიძლება გადმოცემისა და აღქმის ამ თავისებურ ურთიერთკავშირს კინემატოგრაფიის ტერმინი მივუსადაგოთ (და, პრინციპში, რატომაც არ შეიძლება, ავტორი ხომ სასცენოდ და, შესაბამისად, პერსპექტივაში, საეკრანედაც ხატავს პერსონაჟებს) მაშინ ეს ნაწილი სწორედ „4 დ“ ეფექტით არის დაწერილი, რამდენადაც, პასაჟი უწყვეტად და უცილობლად ამ თანმიმდევრობით მიდის მკითხველამდე - ჯერ მკითხველი კითხულობს, რაც წერია, მერე აუცილებლად გაეფიქრება ის - რაც არ წერია, მაგრამ თავისთავად იგულისხმება, ამასობაში შეგრძნებადი ხდება პერსონაჟთა შინაგანი განცდებიც და, თუ წარმოსახვასაც მივაშველებთ (ეს უკვე ინდივიდუალურ უნარებზეა დამოკიდებული), გონების თვალთ პასაჟს პეიზაჟით დავინახავთ და ვიგრძნობთ.

მეორე სურათში უკვე თავად შემოვა იაკობ გოგებაშვილის პერსონაჟი, შემოვა და გაეცნობა წიგნში მკითხველსა და სცენაზე მაყურებელს - როგორც ახალგაზრდა მარტოკაცი. მგლების ხროვას ჰგავს სემინარიის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი. ამ არაადამიანური გარემოს დამხოვა კი ასე შეუძლებლად რომ გამოიყურება, სწორედ ახალგაზრდა მარტოკაცის პროგრესულ აზროვნებასა და პრინციპულობას შეემსხვრევა: „სადაც მე ვიქნები იქ კი არა, სადაც არც ვიქნები იქაც უნდა აღიკვეთოს

შეგირდების ასე სასტიკად დასჯა“ - განუცხადებს დირექტორს და, რა თქმა უნდა, აღნიშნული განაცხადი, დღევანდელი გადასახედიდან ბუნებრივ პირობად გამოიყურება, თუმცა, არა იმ დროისა და ეპოქაში, როდესაც იგი პრაქტიკულად სისტემის ძირეულ რეფორმას გულისხმობდა.

ბიოგრაფოსი, ძალიან ღრმა დეტალებშიც რომ შევიდეს, დიდი-დიდი ერთი წინადადებით აღწეროს როსტომ ჩხეიძის მონტაჟის მესამე სურათი, ან სხვას რას დაწერს მეტს, ძალიანაც რომ მოინდომოს, როდესაც სათქმელი იმით შემოიფარგლება, რომ ერთი კონკრეტული წლის, კონკრეტულ დღეს, იაკობი მშობლიურ სოფელ ვარიანს ეწვია; ესაა და ეს, თუმცა, მხატვრულ ტილოსა და სცენაზე იაკობის განცდები მთელი სისავსით წარმოჩინდება, როგორ შეჭხარის მშობლიურ სოფელს, როგორ განიცდის და დარდობს, რომ არც ჯანმრთელობა და არც პირობები არ უწყობს ხელს უფრო მეტი დრო გაატაროს მშობლიურ სახლში, როგორ სისხლსავსედ იაზრებს საკუთარ მისიას, რომლის გამოც ვალდებულია, თავს გაუფრთხილდეს, რადგან მის ვალს ვერავინ გადაიხდის და ვერავინ შეენაცვლება... და სწორედ აქ, ამ ადგილზე, იპოვის დედაენის პირველ გასაღებსაც;

როსტომ ჩხეიძე გადაიაზრებს და იაკობის ფიქრთა მდინარეებში ერთმანეთს გადააჯაჭვავს იაკობის ორ მძაფრ ემოციურ განცდას, მშობლიური სოფლის ხილვის სიხარულისა და დედაენის ოქროს გასაღების - „აი ია“-ს პოვნისა, რასაც გაბრიელ ეპისკოპოსთან დიალოგში, აღსავლის კარის გაღებასთან შეადარებინებს ავტორი იაკობის პერსონაჟს.

შინაგანი განცდების, სულისმირი სამყაროს სრულყოფილი ასახვა მხოლოდ საზოგადოებრივი ასპარეზის კონტექსტში არ არის საკმარისი, ის, რასაც როსტომ ჩხეიძის პიესა ისახავს მიზნად - გარეგნულის, საყოველთაოდ ცნობილის პარალელურად შეძლოს იაკობის შინაგანი სამყაროს გათვალხილულება, ბუნებრივია, ვერ მიიღწევა პირადი განცდების გვერდის ავლით. ამიტომ, მეოთხე სურათი ახალგაზრდა იაკობს მოხუცი იაკობის წინაშე დააყენებს და ვასილ ბარნოვთან დიალოგის ინსცენირებით აღადგენს: იაკობის მიმართ ერთი ქალის სიყვარულის ისტორიას და მიზეზს, რამაც იაკობი განარიდა და დააფრთხო სიყვარულის ნიჭით სარგებლობისა და საკუთარი ოჯახის შექმნისაგან. მიზეზი შეგვეძლოს გვეძია ან სადმე ამოგვეკითხა კიდეც, მაგრამ ამ თავგანწირული ჰუმანურობის ფასი რა მოცულობისა შეიძლება ყოფილიყო თავად იაკობისთვის, იქნებ, ეს ვეღარ წარმოგვედგინა, „იის სურნელი თოვლში“ კი სწორედ ამ მხრივაც გახლავთ ყველაზე საინტერესო.

მეხუთე სურათში, როსტომ ჩხეიძე, იაკობ გოგებაშვილისა და გაბრიელ ეპისკოპოსის დიალოგის ფორმატში პრაქტიკულად, ეპოქას ხატავს; ეს არის გამორჩეული თვისებებისა და დიდი გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანთა პოლიტიკურ-ფილოსოფიური დისკუსია, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე წუხილითაა გაკერებული და სამშობლოს ნათელ მომავალზე არა მარტო ფიქრით, არამედ, სტრატეგიის განხილვით გრძელდება. მეხუთე სურათი ორნაწილიანია და ორი დიდი ადამიანის დიალოგი მის სიუჟეტურ ქარგასაც წარმოადგენს, ოღონდ, მეორე ნაწილში გაბრიელ ეპისკოპოსს ილია ჭავჭავაძე შეცვლის, რაც, ვფიქრობთ, მიზანმიმართული მინიშნებაა და ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის არა მხოლოდ საერო, არამედ, სარწმუნოებრივი მნიშვნელობითაც, ხაზგასმას ნიშნავს. მსგავსი სიღრმის, დატვირთვისა და შთამბეჭდაობის პოლემიკის (რომელიც ცალკეულ მომენტებში მონოლოგებადაც შეიძლება იქნას გადააზრებული), განვითარება მხატვრულ ნარატივში, მხოლოდ იშვიათი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე მწერლებს ძალუძთ; მსგავსი უმაღლესი შესაძლებლობები აღსანიშნავია ზოგადად ნაწარმოებში, თუმცა, განსაკუთრებულად, უთუოდ მეხუთე სურათი უნდა გაიმიჯნოს.

პირველი მოქმედება სწორედ ამ შთამბეჭდვი დიალოგებით სრულდება და მეორე მოქმედებაში უფრო ფართოდ გაიშლება პერსონაჟთა გაღერა; ასპარეზზე გამოჩნდებიან იაკობის მოძულენიც და მხარდამჭერებიც, მათი სახით განვითარებული სცენები კი, თითქოს, კეთილისა და ბოროტის ჭიდილია, რომელმაც იაკობის ქანდაკებას ბოლო წახნაგები უნდა შემოუთალოს: მეფისნაცვალი, გიმნაზიის დირექტორი, კანცელარიის უფროსი, საკუთარი ვერაგული გეგმებითა და დამოკიდებულებით, კიდეც უფრო წინა პლანზე გადმოიტანენ იაკობის ხასიათის ნიუანსებს და ვინაიდან ოპონენტის თვალსაწიერში სარკისებურად აირეკლება ხოლმე განსხვავებული შტრიხები, ის ინფორმაციაც, რასაც მათი ურთიერთდიალოგი ხდის საცნაურს, რასაკვირველია, კვლავ ათასჯერ უფრო მეტყველია, ვიდრე ბიოგრაფიის, რამდენჯერაც გნებავთ, იმდენჯერ წაკითხვა.

იაკობის ჩამოთვლილ მოშურნეებთან შესაპირისპირებლად კი ავტორს ანტონ ფურცელაძე, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, გეგე მაღალაშვილი, იოსებ მამაცაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, დარო მამაცაშვილი, ნიკო ცხვედაძე, სანდრო ცხვედაძე, ნიკო ლომოური, ნიკო ხიზანაშვილი შემოჰყავს პერსონაჟებად. მწერალი, სწორედ ამ შეპირისპირების მეთოდით, ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების პარალელურად, გაშლის, მცირე, მაგრამ ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოების წარმოდგენებს იაკობის პიროვნებასა და საქმიანობაზე, რომელიც მრავალ

შრესაც შეიცავს, არგუმენტებსაც და დასკვნებსაც; მათი ერთობლიობით კი, ისევ და ისევ იაკობ გოგებაშვილის გარეგნული და სულიერი სამყარო ხდება მაქსიმალურად აღქმადი მკითხველთათვის.

ავტორის ხედვა, მხატვრული წარმოსახვა, პიესის დასასრულს ისევ მშობლიური სოფლის მონატრების განცდით სავსე იაკობს დახატავს: „როგორ მენატრება ჩემი ვარიანი, რაც დრო გადის, სულ უფრო მიჭერს გულზე მისი უნახაობა, ნეტა შემეძლოს, გავშორდე აქაურობას და სამუდამოდ ჩემს სოფელსში გამოვიკეტო...“ ეს ის წინადადებაა, რომლითაც დასკვნითი, მეორე მოქმედების მეხუთე სურათი იწყება; და სწორედ ეს განცდა, იაკობს, დედა ენის „ოქროს გასაღებთან“ საბოლოოდ მიიყვანს.

ბოლოს, შეიძლება დავასკვნათ - რამდენადაც პიესა სცენის პერსპექტივას თავდაპირველადვე გულისხმობს, ბუნებრივია, რომ როსტომ ჩხეიძეს, ეს ნამუშევარი, თითოეულ ასპექტში, სწორედ სცენაზე გაცოცხლებული სახით უნდა წარმოედგინა, თუმცა, ამ შემთხვევაში, პიესა არა მხოლოდ ლიტერატურულ ნიმუშს წარმოადგენს, არამედ, როგორც ავტორის მინაწერი ცხადყოფს, ერთგვარი დაკვეთაცაა. დიდი ლიტერატურა შეკვეთით არ იქმნება, მხოლოდ დაკვეთისმაგვარი წაქეზებაა აქ შესაძლებელი; იოანე საბანისძის წაქეზების არ იყოს, მისი დასაწერი რომ იყო „აბოს ცხოვრება“ და თავადაც ვერ გაეაზრებინა, ამდაგვარად, სცენიური სახე უნატრია იაკობისა რეჟისორ სოსო ნემსაძეს და მაინცდამაინც „ბურჯი ეროვნებისას“ ავტორისთვის გაუგონებია ეს გულისწუხილი. ამიტომ, სოსო ნემსაძის როლი არა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ რეჟისორმა, ამავე პიესის მიხედვით, 2016 წელს მართლაც შესანიშნავი სპექტაკლი დადგა გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე და უაღრესად საინტერესო სცენური სახე გააცოცხლა „დედაენის“ ავტორისა, არამედ, როგორც იდეის ინსპირაციის წყარო, მას ეს როლიც შეუთავსებია, და შედგა შესანიშნავი ტანდემი - მწერლისა და რეჟისორისა, სადაც მწერალმა მიზნად დაისახა შინაური, ყველას იაკობი დაეხატა როგორც პერსონაჟი, შემდგომ კი ესტაფეტა, მიზნის განუხრელი დაცვით, გადაიბარა რეჟისორმა სოსო ნემსაძემ.

ბიბლიოგრაფია:

ჩხეიძე, რ. (2007). *ბურჯი ეროვნებისა*. თბილისი.

ჩხეიძე, რ. (2015). *იის სურნელი თოვლში*. თბილისი.

ხორბალაძე, გ. (2018). *რაკურსი*. თბილისი.

Giorgi Khorbaladze

Gori State University

IAKOB GOGEBASHVILI - A CHARACTER IN FICTION AND ON STAGE

(According to one play)

RESUME

Often, literature or art in general is motivated by the biographies of artists with great depth, to demonstrate and compare artistic creativity, as the life of artists, to a large extent, implies creative life, and the parallel perception of life and creativity is always more interesting and valuable in the context of art history. It should be noted, that not only the life and works of exceptionally meritorious authors are deeply studied, moreover, biographical novels depicting their lives are created and written, in some cases, even autobiographical literature is found, which is undoubtedly a subject of special interest. In the presented study, we will analyze Iakob Gogebashvili as a character, in fiction and on stage, according to Rostom Chkheidze's two-act montage (as the author calls it) "The Scent of Violets in the Snow".

Keywords: Iakob Gogebashvili, Character, Play, Rostom Chkheidze.